ISSN 1987-7455

მეცნიერ მეცნიერები

ალმანახი

I

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე შედევრები

ალმანახი

I

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2009

UDC (უაკ) 32+327
პ-563

გ. ჭუმბურიძისა და ზ. ჭილაძის რედაქციით

გარეკანი: ნანუკა ჭილაძე

დაიბეჭდა საქართველოში, თბილისში
გამომცემლობა "საქართველოს უნივერსიტეტი"
Copyright © The University of Georgia
საავტორო უფლებები დაცულია © 2009 გამომცემლობა "საქართველოს უნივერსიტეტი"
ISBN 1987-7455

სარჩევი

წინათქმის მაგიერ:
'ჯეიმზ ბონდის რეაბილიტაცია, ანუ პოლემიკური
შენიშვნები თვითრეკლამის ელემენტებით'.....5

მოთხრობები
რეტრო: დეიმონ რანიონი – ორი ნოველა.....31
სატირა: ბორის აკუნინი – 'მოთხრობები ჭკუაუხმართათვის'.....47
იუმორი: პეტერ კარვაში – 'ამირბარ მოროს რაპორტი'.....63

წერილები, ესეები, ნარკვევები
1. მარიო ვარგას ლიოსა – 'თავისუფლების კულტურა'.....73
2. ჯონ მილტონი – 'სიტყვა თქმული პარლამენტის წინაშე –
ბეჭდვითი სიტყვის დასაცავად'.....80

ამონარიდები
ფრენსის ფუკუიამა – 'ისტორიის დასასრული და
უკანასკნელი ადამიანი'.....88

პიესები
კვენტინ ტარანტინო, ჯეიმზ ეივორი – 'ლაყე საკითხავი'.....102

საჩვენო ზღაპრები
ნაღდი სამი გოჭის ამბავი.....214
წითელქუდას მორიგი თავგადასავალი.....220

კბილის გასაკრავი (რეცენზია, გამოხმაურება, მკვახე შეძახილი...)…
'მოთარგმანების ამაო გარჯა...' 228

ეს ერთი და...
'ოინბაზი'.....237
'დაგვიანებული წერილი...'.....240

რომანები
ენტონი ბერჯესი – 'მექანიკური ფორთოხალი'.....315

პოეზია
ეზრა პაუნდი – 'ეპიტაფიები'.....403

საჯილდაო ქვად.....405

HOW *NOT* TO BE AN ALIEN:
Helter-Skelter Mythstories of Georgia

ჯეიმზ ბონდის რეაბილიტაცია ანუ პოლემიკური შენიშვნები თვითრეკლამის ელემენტებით*

"ადრე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამ თემაზე თუ მომიწევდა საჯაროდ მსჯელობა, რადგან ცოტა არ იყოს და უხერხულია, როცა ბრძნული სახით მეტისმეტად ბანალურ ჭეშმარიტებებს ღაღადებ, თანაც იმ ხალხის გასაგონად, ვინც სულ არ მიგაჩნია იდიოტებად. მაგრამ ბანალური ჭეშმარიტებანი იმიტომაცაა სწორედ ბანალური, რომ მათზე, როგორც წესი, არავინ ფიქრობს; ადამიანები კი ყველაზე ხშირად სწორედ იმას ივიწყებენ, რაზედაც ყველაზე ნაკლებ ფიქრობენ ხოლმე..."

ლორდი კენტერვილი, *"წერილები პროვინციიდან".*

"ელემენტალურია, უოთსონ ჩემო, ელემენტალური!"

არარსებული ციტატა.

პროლოგი:

საიდანაც ირკვევა, რომ წინამდებარე სტატიის თემა არამც და არამც არ ამოიწურება სათაურშივე გაცხადებული შინაარსით და ამასთანავე მოთხრობილია, თუ რა მიზეზებმა განაპირობა ავტორის მცდელობა, დაესვა საკითხი სახელგატეხილი საიდუმლო აგენტის სრული და საბოლოო რეაბილიტაციის თაობაზე.

ინგლისელი მწერლის, მისი უდიდებულესობის საიდუმლო სამსახურის ყოფილი თანამშრომლის, იენ ფლემინგის ლიტერატურულ გმირს (ჯეიმზ ბონდი, სპეციალური აგენტი მკვლელობის ლიცენზიით, იგივე აგენტი №007) მეტად უცნაური ბედი დაჰყვა: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტრიუმფალური გასტროლების შემდეგ იგი სამარცხვინოდ "ჩაფლავდა" იქ, სადაც თითქოსდა ყველაზე მეტად ელოდნენ. "პერესტროიკის" გარიჟრაჟზე შემოდგა ფეხი "ხანჯლისა და მოსასხამის" ამ უდრეკმა რაინდმა საბჭოთა მიწაზე, მაგრამ არც მაშინ და არც მერე, როცა საბჭოთა კავშირი საერთოდ გაქრა მსოფლიო რუკიდან, ჯეიმზ ბონდმა რკინის ფარდის აქეთ ბევრი ვერაფერი შემატა თავის სახელს – პირიქით, ძველი რომანტიკული შარავანდედიც გაუხუნდა და დასავლური მასკულტურის სხვა მეორეხარისხოვან პერსონაჟებში ჩაიკარგა.

* სტატია ესე ლამის ორი ათეული წლის წინათ დაიწერა და რა — შეიცვალა რამე?. (*რედ. შენ.)*

ჩაიკარგა და ჩაიკარგოს, ახლა ეგ მადარდე კიდეო, – შეიძლება განაცხადოს მკითხველმა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს და სამართლიანად თვლის, რომ ამ მხრივ საქართველოში ისედაც უამრავი საჭირბოროტო პრობლემაა დაგროვილი – როგორც წმინდა თეორიული გააზრების, ისე პრაქტიკული გადაწყვეტის თვალსაზრისითაც. ამიტომ თავიდანვე გვინდა დაგაკვალიანოთ, რომ წერილში სწორედ რომ მწვავე ლიტერატურულ პრობლემებზე გვექნება ლაპარაკი და იმ საკითხებზე, რომელთა აქტუალობის მიუხედავად, აქამდე არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ასეთები კი არც ისე ცოტაა – თუნდაც მხატვრული თარგმანისა და ე.წ. "მასობრივი ლიტერატურის" ურთიერთმიმართების საკითხი. ჩვენში ეს თემა ერთად არასოდეს განუხილავთ, და არც გასაკვირია: მასკულტურა მუდამ მიჩნეული იყო რაღაც არასერიოზულ საქმედ, განათლებულ კაცს რომ არაფრად არგია და თუკი ითქმებოდა ორიოდ სიტყვა, ისიც იმიტომ, რათა კიდევ ერთხელ დაფიქსირებულიყო მისი მოძალების საფრთხე; მხატვრული თარგმანის პრობლემები კი მართალია საპატიო, მაგრამ მაინც ვიწრო სპეციფიკურ სფეროდ ითვლება, სადაც თარგმანის კრიტიკა ფაქტიურად ტექსტუალური შედარებით შემოიფარგლება და კრიტიკოსი მენტორული ტონით მსჯელობს: წერია ასე, უნდა იყოს ისე, წერია თეთრი, უნდა იყოს შავი და ა.შ.

და მთავარი ის კი არაა, რომ ამგვარი ხედვა საერთოდ ცალმხრივი და უმართებულოა, არამედ ის, რომ **მასკულტურისადმი ჩვენი დამოკიდებულება სწორედ თარგმანის პრობლემატიკის მიმართ დილეტანტური მიდგომითაა განპირობებული; რაც თავის მხრივ, არც მეტი არც ნაკლები, მთლიანად ლიტერატურული პროცესის დამახინჯებულ აღქმასაც განაპირობებს:** ლიტერატურა ხომ, ზოგადად, გულისხმობს როგორც "სერიოზულ", ისე "გასართობად საკითხავ" ნაწარმოებებს, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ მწერლობას (ანუ, სწორედ თარგმნილ ლიტერატურას). მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, მაგრამ ერთი შეხედვით ამ ურთიერთკავშირთა დანახვა არც ისე იოლია, რადგან მკითხველ საზოგადოებაშიც და თვით პროფესიონალ ლიტერატორთა შორისაც სულ სხვა შეხედულებებია გაბატონებული, თუკი საერთოდ შეიძლება რაიმე ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე ლაპარაკი... ამ შემთხვევაში უფრო აზროვნებისა თუ აღქმის კლიშირებასთან, სხვადასხვა გარემოებათა გამო დამკვიდრებულ უკუღმართ სტერეოტიპებთან გვაქვს საქმე. რასაკვირველია, გამონაკლისი კი არსებობს, მაგრამ ეს ისეთი გამონაკლისია, რომელიც თუ არ ადასტურებს წესს, არც უარყოფს მას – ანუ გამონაკლისი, რომელიც საერთო სურათს არ ცვლის.

რაც შეეხება ბ-ნ ჯ. ბონდს, მისი შელახული ღირსების აღდგენა სულაც არ გახლავთ ამა წერილის თვითმიზანი: უბრალოდ, ფლემინგის ცნობილი პერსონაჟის ბედი ზემოხსენებულ სტერეოტიპთა მოქმედების კარგი მაგალითია, რაშიც თვალნათლივ დავრწმუნდი, როცა თავის დროზე მომიწია "ბონდიანას" სერიიდან ერთ-ერთ რომანის მოთარგმანება გ. ჭუმბურიძესთან ერთად. სხვათა შორის, მას ისეთი განსხვავებულ ავტორებთან ჰქონია საქმე, როგორიცაა ფრანსის ბეკონი თუ ენტონი ბერჯესი, თანათარგმნელია ზიუსკინდის "ნელსურნელების", მისი უშუალო რედაქციითაა გამოსული ჯოისის "ულისეს" პირველი წიგნი თუ კიპლინგის მოთხრობები, და სწორედ მან აღიარა, რომ წმინდა პროფესიონ-

ალური გაგებით, ფლემინგის ტექსტზე მუშაობა არანაკლებ რთული იყო, ვიდრე "მექანიკური ფორთოხლის" პასაჟების ქართულად გადმოტანა! ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, თითქოს ფლემინგი და ბერჯესი ერთი დონის მწერლები იყვნენ, მაგრამ ის აზრი, რომ **პროფესიონალური მიდგომის თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რა რანგის მწერალს თარგმნი,** ერთი შეხედვით ლამის კოპერნიკულ გადატრიალებად ჩანს მხატვრული თარგმანის თეორიაში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა ბანალური ჭეშმარიტება!

ასე რომ, ჩემის მხრივ ერთგვარი უმადურობაც კი იქნებოდა, უყურადღებოდ დამეტოვებინა შეუდარებელი 007-ის უღვთოდ შერყვნილი იმიჯი, რახან გარკვეულწილად, სწორედ ფლემინგის რომანზე გაწეულ ჯაფას უნდა ვუმადლოდე ამ სტატიის იდეას. თუმცა ისიც ითქვას, ჯეიმზ ბონდი აქ მხოლოდ საილუსტრაციო მასალად არაა მოხმობილი; იგი ასე ვთქვათ, ამოსავალი წერტილია, საიდანაც უნდა დაიწყოს მსჯელობა – ბანალურ ჭეშმარიტებათა ერთგვარი ჯაჭვი, ოღონდ ეს ჭეშმარიტებანი მართლაც იმდენად ბანალურია, ხოლო სტერეოტიპები იმდენად მყარი, ვშიშობ – საბოლოო ჯამში მკითხველი აღშფოთებული და შეურაცხყოფილი არ დამირჩეს...

თავი I

რომლის ზერელე გადაკითხვაც კი საკმარისია, რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ თურმე ჯ. ბონდი სულაც არაა და არც არასოდეს ყოფილა რომანტიკული ყაიდის სუპერგმირი

თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ჯეიმზ ბონდს ქართული მკითხველი საზოგადოება ფაქტიურად არ იცნობს, თუმცა რუსულ ენაზე ფლემინგის თითქმის ყველა რომანია თარგმნილი, ხოლო ვიდეოეკრანებზე "ბონდიანას" არაერთი ნიმუში უჩვენებიათ. არ იცნობს, რადგან ჯერ კიდევ მოქმედებს მითი ჯეიმზ ბონდზე; მითი კი, მოგეხსენებათ, ხშირად ჯაბნის სინამდვილეს...

საბჭოური პროპაგანდის მიერ ჯეიმზ ბონდი წარმოდგენილი იყო, როგორც მკვლელობისათვის მომართული უსულგულო მანქანა, ლამაზმანების მაცდუნებელი სუპერმამაკაცი, ერთგულად რომ მსახურებს ინგლისის იმპერიალიზმს და პათოლოგიურად სძულს კომუნისტები; ფლემინგის რომანები მოიხსენიებოდა, როგორც რამ მდარე ხარისხის ანტისაბჭოთა თხზულებები, უხვად გაჯერებული ძალადობითა და ეროტიკით. ამგვარი წარმოდგენა ფლემინგის ლიტერატურულ პერსონაჟზე, საბჭოთა აგიტაციის მიმართ გამომუშავებული იმუნიტეტის მიუხედავად, საოცრად მტკიცედ გაჯდა ჩვენს ცნობიერებაში. არსებითად, ჯეიმზ ბონდი ქართველ მკითხველს ზუსტად ასე ჰყავდა წარმოდგენილი, ოღონდ ის, რასაც პროპაგანდა უარყოფით მახასიათებელში უთვლიდა, ავტომატურად გადაჰქონდა დადებითში, თავად სუპერაგენტის იმიჯი კი უცვლელი რჩებოდა.

პირველი გაკვირვება, შეიძლება ითქვას იმედგაცრუებაც, ვიდეოჩანაწერების გავრცელებამ გამოიწვია, როცა გამოჩნდა ფილმები შონ კონერის, როჯერ მურისა თუ სხვათა და სხვათა ვარსკვლავთა მონაწილეობით: დინამური კინოსანახაობის ნაცვლად მაყურებელმა იხილა აშკარა ფარსი, თანაც სრულიად შეგნებულად გადაღებული სწორედ ასე, როცა ცხადლივ იგრძნობა ფილმის ავტორების ირონიული დამოკიდებულება "ჯაშუშური ვნებებისა" თუ თავად მთავარი გმირის მიმართ, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ პერსონაჟებზე, როგორიცაა რკინისყბებიანი გიგანტი – ცეცხლში რომ არ იწვის და წყალში არ იძირება, მრისხანე "კაგებეშნიკები" – გენერალი გოგოლი და გენერალი პუშკინი, თუ "ინტელიჯენს სერვისის" მრავალშვილიანი რეზიდენტი სტამბოლში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქალებისაგან გაჩენილი საკუთარი პირმშოები რომ ჰყავს აგენტებად...

ამ ფილმებმა საფუძვლიანად კი შეარყია ბ-ნ ბონდის ავტორიტეტი, მაგრამ მაინც ვერ მოსპო. გულუბრყვილო მაყურებელმა ჩათვალა, რომ ფილმი ლიტერატურული ნაწარმოების პაროდირებული ვარინტია, თორემ რასაკვირველია, წიგნში სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე. მაგრამ გამოდის წიგნი (რუსული თარგმანი, რასაკვირველია), ცნობისმოყვარე მკითხველი ჯერ კიდევ ჩაუმქრალი ინტერესით ეცნობა ფლემინგის განთქმულ რომანებს და კვლავ იმედგაცრუება – ამჯერად უკვე საბოლოოდ. მართლაცდა, რაღას არ წააწყდებით ამ ყბადაღებულ ბონდიანაში: ისევ და ისევ გაშარჟებული ავკაცები, ფანტასტიური სიუჟეტები – რად ღირს თუნდაც ინგლისის დაპყრობის მცდელობა ჰოლანდიური ქათმების განადგურებით და ა.შ. და ა.შ. ამას დაუმატეთ, რომ თავად ეს სუპერაგენტი 007-იც დიდი ვერაფერი ჯელი ჩანს: წამდაუწუმ მტრის მიერ დაგებულ ხაფანგში ებმება და ნაცემ-ნაგვემი, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით თუ გადაურჩება ხოლმე სიკვდილს. მართალია, თავისებური კომპენსაციის სახით ყოველი რომანის დასასრულს თითო ლამაზმანი კი ერგება, მაგრამ...

თუმცა საკმარისია, ქართველი მკითხველის აღშფოთება ადვილად გასაგები ხდება: "ესაა ბონდი?. ესაა სუპერაგენტი?! რომანი კი არა, მასხარაობაა!" და ამის შემდეგ თითქოს თავისთავად ჩნდება მარტივი კითხვა: ნუთუ ევროპელი მკითხველი ისე გამოდებილდა, რომ მსგავსი სისულელე "იქ" წარმატებით სარგებლობს? (არადა სარგებლობს, ფაქტია). აქედან კი ერთი ნაბიჯია დასკვნამდე, რომ ევროპელი მკითხველი დაბალი დონისაა, სულიერება აკლია, ჩვენ კი... მოკლედ, რაც კარგები ვართ, სულ ქართველები ვართ!..

ოღონდ აქვე შეიძლება სრულიად საპირისპირო ფაქტის მოყვანაც: ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ევროპული ბესტსელერი, უმბერტო ეკოს "სახელი ვარდის" ჩვენში ღრმად ინტელექტუალურ ნაწარმოებად იქნა აღქმული და ჩვენმა ე.წ. მასობრივმა მკითხველმა ეს რომანი, შეიძლება ითქვას, ვერ დაძლია. და არა მარტო მასობრივმა! ევროპაში კი ეს წიგნი უაღრესად პოპულარულია მკითხველთა ფართო წრეებში, ისევე როგორც ჯეიმზ ბონდის თავგადასავლები. რაშია სამე? ერთის მხრივ თითქოსდა სრული სისულელე, მეორე მხრივ – რთული, მრავალშრიანი ოპუსი და ეს ოხერი ევროპელი თუ ამერიკელი მკითხველი (დიახ, დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ – ამერიკელიც), ორივეს სიამოვნებით ეტანება!

საქმე ისაა, რომ ჩვენში პაროდიის ცნება, როგორც წესი, დაცინვის, გამასხრების, შაყირის, "დაღადავების" მნიშვნელობით აღიქმება; ისეთ გაქილიკებად, სადაც ავტორისეული დამოკიდებულება აშკარაა და თვალსაჩინო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სხვაგვარი პაროდირების ლიტერატურული ტრადიცია ჩვენ არ გაგვაჩნია. შეფარული ირონია ქართული სიტყვაკაზმულობისათვის უცხოა. აღარაფერს ვამბობ პაროდირების იმ ფართო გაგებაზე, თომას მანმა რომ "შინაარსისაგან გამოთავისუფლებული ფორმებით თამაში" უწოდა – ეს ცალკე საკითხია... არადა, დასავლეთში ფლემინგის პოპულარობა ძირითადად სწორედ რომ მისი რომანების ორიგინალურმა პაროდიულობამ განაპირობა, ქართველი მკითხველი კი ამ მხრივ იმთავითვე წამგებიან მდგომაეობაში აღმოჩნდა, რადგან უჩვეულო იყო არა მარტო საკუთრივ პაროდირების მეთოდი, არამედ ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ლიტერატურულ ტრადიციებზეც, რომლის პაროდირებაც ხდება ფლემინგის რომანებში.

ჩვენ ხომ მივეჩვიეთ, რომ სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებში მთავარი გმირი მუდამ საზრიანობისა და ვაჟკაცობის განსახიერებაა, ფლემინგი კი შეგნებულად ხატავს სუპერგმირის შარჟს. საბჭოური პროპაგანდა თავისდაუნებურად სრულ სიმართლეს ამბობდა, როცა ამტკიცებდა – ჯეიმზ ბონდში არაფერი ადამიანური არ არისო – ის მართლაც ცარიელი სქემაა, მოარული სტერეოტიპი, და ჟანრის კანონების მიხედვით, გამარჯვებისთვისაა განწირული – რაოდენ რეგვენიც არ უნდა იყოს. მაგრამ ის, რაც დასავლელი მკითხველისათვის ღიმილის მომგვრელია, ქართველს აღიზიანებს და ნერვებს უშლის: ვერ გაუგია, რატომ უნდა თვლიდეს ამ ბედოვლათ 007-ს "კაი ყმად" და აზრადაც არ მოსდის, რომ არც უნდა თვლიდეს ასეთად. ჯეიმზ ბონდი არაა სუპერგმირი, ღმერთია მოწამე, არც არასოდეს ყოფილა! ესაა მითი, რომელიც საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ შექმნა და მისი სიმყარე შესატყვისი ლიტერატურული ტრადიციის არარსებობის შედეგია, მითმა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში არსებული სიცარიელე ამოავსო, ოღონდ საკმარისი იყო მივახლოებოდით მას და ილუზიაც გაქრა – ჯეიმზ ბონდი ის ნაცნობი გამოდგა, რომელიც თურმე სულ არ გვცნობია...

მაგრამ ტრადიციის არარსებობა თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს: არ არსებობს ამქვეყნად ერი, რომლის მწერლური მემკვიდრეობა მთლიანად მოიცავდეს მსოფლიო ლიტერატურაში დაგროვილ ტრადიციებს. ამ მიმართებით სწორედ მთარგმნელობით საქმიანობასა აქვს უდიდესი მნიშვნელობა – მაღალხარისხოვანი თარგმანი არცთუ იშვიათად განსხვავებული ლიტერატურული ტრადიციის ეროვნულ ნიადაგზე შემომტანად და დამამკვიდრებლად გვევლინება და ჩვენმა მკითხველმა, მარტივად ვთქვათ, საერთოდ რომ ვერ აღიქვა ფლემინგის რომანები, არა მარტო უცხო რამ საკითხავთან შეხვედრით გახლდათ განპირობებული, არამედ უპირველეს ყოვლისა იმით, უვარგის თარგმანებთან რომ ჰქონდა საქმე.

თავი II

რატომ არ იკითხება დეტექტივები ქართულად, ანუ – თვითკმაყოფილი დილეტანტიზმის *ხმაური და მძვინვარება*

ჩვენ დიდი ხანია მივეჩვიეთ ერთ უცნურ მოვლენას – იმდენად მივეჩვიეთ, ვეღარც კი აღვიქვამთ მის უცნაურობას. კერძოდ, თუკი კაცს მეტ-ნაკლებად შეუძლია რუსული ტექსტის გაგება, იგი უცხოური ლიტერატურის კითხვას უცილობლად რუსულად ამჯობინებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა მასკულტურის ნიმუშების შემთხვევაში – იქნება ეს დეტექტივი, ფანტასტიკა, თუ რაიმე ამდაგვარი. არსებობს ლამის ფაქტის კონსტატაციის დონემდე დასული შეხედულება, რომ "ასეთი ლიტერატურა ქართულად *არ იკითხება*".

ვერაფერს იტყვი, დიდებული ფორმულაა – "არ იკითხება", მორჩა და გათავდა! მართალია, ეს არსად დაწერილა, მაგრამ იმდენად გავრცელებული აზრია, რომ პრაქტიკულად ყველა იზიარებს, რაც ასევე პრაქტიკულად მჟღავნდება: ვთქვათ, ერთი და იმავე უცხოელი ავტორის, ერთნაირად გაფორმებულ-დასტამბული "ქართული" და "რუსული" წიგნი სხვადასხვაგვარად იყიდება. მეტიც, რუსული თარგმანი ქართულზე გაცილებით ძვირიც რომ ღირდეს, მკითხველი მაინც მას ანიჭებს უპირატესობას. მიზეზი მარტივია: ქართულად არ იკითხება, რუსულად – იკითხება!.. და აი, აქ მივადექით პარადოქსულ სიტუაციას – ჯერ ერთი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამგვარი მდგომარეობა კაციშვილს არ ანაღვლებს და სანთლით რომ ეძებოთ, ამ თემაზე წარმოთქმულ ერთ სიტყვასაც ვერ იპოვით... მოკლედ, თითქოს პრობლემა არც არსებობს, თითქოს ასეთი სიტუაცია მხოლოდ მასკულტურასთან მიმართებაში იხატებოდეს! ასეც რომ იყოს, მაინც არ იქნებოდა დიდად სასიამოვნო, მაგრამ ხომ ფაქტია – დღეს ქართველი კაცი განათლებას ფაქტიურად უცხო ენაზე იღებს და ის, რომ რუსულად გაცილებით მეტია თარგმნილი, საერთოდ არაფერს ნიშნავს, რადგან თუკი რამ ქართულადაც არის თარგმნილი, როგორც წესი, ნაკითხი კაცი მაინც რუსულს ამჯობინებს.

თუმცა, პარადოქსები აქ არაფერ შუაშია და ამ პრობლემებზე ჩვენში მხოლოდ იმიტომ არაა მიღებული ლაპარაკი, რომ თავად არსებული ვითარებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს ორგვარი დასკვნა: ან ქართულად ვერ თარგმნიან ხეირიანად, ან ქართული ენა რუსულთან შედარებით გაცილებით ღარიბია...

ეს უკანასკნელი პოსტულატი კი იმდენად მკრეხელურად ჟღერს, მის ხმამაღლა გამოთქმას, ბუნებრივია, ყველა ერიდება: ქართული ენა ნებისმიერი, განათლებული თუ გაუნათლებელი ქართველისათვის ეროვნული მეობის ხატია – იმდენი ქებაᲘ და დიდებაᲘ თქმულა ქართულისა ენისაᲘ, რომ მისი განსაკუთრებულობა ტრუიზმადაა მიჩნეული; მშობლიური ენა ნებისმიერი ქართველის სიამაყეა, თუნდაც ამ ენაზე არც ლაპარაკი შეეძლოს ხეირიანად, არც წერა და წიგნს კი ფაქტიურად, არც კითხულობდეს... განა ვის არ ახსოვს ნიკო მარის ცნობილი გა-

მონათქვამი, რომ ქართულ ენაზე ამქვეყნად ყველაფრის გამოხატვაა შესაძლებელი და თავისი შინაგანი პოტენციით იგი მსოფლიო ენაა! მოდი და ამის მერე გამოაცხადე, რომ ქართული რუსულს ჩამოუვარდება, ინგლისურ-ფრანგულ-გერმანულ-ესპანურზე რომ არაფერი ვთქვათ... საკმარისია ამგვარი რამ დაგცდეს და არგუმენტებს ვინღა დაეძებს – წამსვე ნიჰილისტობას დაგწამებენ (და ესეც – უკეთეს შემთხვევაში!). არადა, ამ თემაზე ტაბუ ფაქტიურად, მხოლოდ და მხოლოდ ამის გამოა; ქართველ მწიგნობარ-ინტელიგენტთა უდიდესი ნაწილი კი სწორედ ასე ფიქრობს – ამგვარი აზრი ხშირად გაიელვებს ხოლმე პირად საუბრებში, თუმცა წერილობით, რასაკვირველია, არავინ ადასტურებს.

საკვირველი მხოლოდ ისაა, რომ უფრო ბუნებრივადაა მიჩნეული ქართული ენის ჩამორჩენილობა-სიღარიბე, ვიდრე მთარგმნელთა არაპროფესიონალიზმსა თუ უმწეობაზე საკითხის დასმა. არადა, სინამდვილეში საქმე სწორედ რომ პირიქითაა – ქართული ენა კი არაა დამნაშავე, ჩვენი მკითხველი თუ რუსულად ამჯობინებს წიგნის კითხვას – **ერთადერთი მიზეზი, რატომაც უცხოური ლიტერატურა რუსულად უფრო კარგად იკითხება, ქართული თარგმანების უხარისხობა და მთარგმნელთა ბედოვლათობაა.** ერთი შეხედვით, ესეც კიდევ ერთი ელემენტალური ჭეშმარიტება, რომლის დამტკიცებაც უადვილესი საქმეა: რატომ ხდება რომ, ვთქვათ, ჰაფეზი ან მოშე-იბნ-ეზრა ქართულად უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე რუსულად? აი, ჯონ დონი კი ჯობია ქართულად არც წაიკითხო...

ანდა კიდევ უკეთესი: ერთი და იგივე მწერლის ორი ცნობილი ნაწარმოები სულ სხვადასხვაგვარად იკითხება – სტაინბეკის "ტორტილა ფლეტი" კი არ ჩამოუვარდება, ალალად სჯობს რუსულს, ხოლო "მრისხანების მტევნები", თუ სხვა რამ უცხო ენა არ იცი, მართლა რუსულად უნდა იკითხო კაცმა. მოკლედ, ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს: თუ რაიმე წიგნი ქართულად "არ იკითხება", მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდი თარგმანია.

თითქოს ბუნებრივი დასკვნაა, თითქოს ელემენტალურია, ბანალურია, ოღონდ აქ ვაწყდებით კიდევ ერთ მეტად გავრცელებულ სტერეოტიპს – კერძოდ, მითს ქართული მთარგმნელობითი სკოლის შესახებ: რომ ჩვენ გვყავს დიდებული მთარგმენლები... მთარგმნელები კი გვყავს, მაგრამ ფაქტიურად, არავითარი სკოლა არ არსებობს. სხვათა შორის, ვერც კარგ მთარგმნელთა სიმრავლით დავიკვეხნით – მეტიც, ნამდვილი პროფესიონალი საქართველოში თითო-ოროლა თუ იქნება. სწორედ *პროფესიონალი* და არა, უბრალოდ, *ნიჭიერი*. ნიჭიერი ხალხი ნამდვილად არ გვაკლია, თუმცა...

ჩვენში ძალიან ბევრს "ცნობილი მთარგმნელის" სახელი აქვს, პრემიებითაც არიან დაჯილდოებულნი, მათზე გაზეთებშიც წერენ და ინტერვიუებსაც ართმევენ, ოღონდ მათ თარგმანებს არავინ კითხულობს... მაგრამ აქაც კლიშეთა და სტერეოტიპთა მთელი სისტემა მოქმედებს, რომელთა არსში გარკვევა გაგვიჭირდება, თუ ახლა მცირედით არ გადავუხვიეთ და არ გავარკვიეთ წმინდა თეორიული საკითხი: რას ნიშნავს კარგი თარგმანი? რა არის ის მთავარი პრინციპი,

რომლის მიხედვითაც მხატვრული თარგმანის ავ-კარგი უნდა განისაზღვროს?

ერთის შეხედვით, ასეთი კითხვის დასმა ღია კარის მტვრევას ჰგავს – ამის თაობაზე ხომ არაერთხელ დაწერილა და თქმულა ჩვენშიც და უცხოეთშიც. მოკლედ, ხარისხიანი თარგმანის განსაზღვრის პრობლემა თითქოს არც არსებობს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოში ვცხოვრობთ და უგულისყურო, ზედაპირული დამოკიდებულება სხვადასხვა თეორიული თუ პრაქტიკული საკითხების მიმართ ლამის სისხლში გვაქვს გამჯდარი. ამიტომ ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ კარგი თარგმანი ისაა, რომელიც ადექვატურად გადმოსცემს ორიგინალის ქსოვილს; ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი ენობრივი სამყაროდან ნაწარმოები გადაგვაქვს სხვა ენობრივ სამყაროში – ეს არის და ეს. *რა დიდი ფილოსოფია ამას უნდაო*, იფიქრებთ ალბათ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენში **ადექვატურობა,** როგორც წესი, **სიზუსტეში** ერევათ, თუმცა მართლაც ათასჯერ ითქვა, რომ თარგმანის სიზუსტე და განსაკუთრებით, მხატვრულ ლიტერატურასთთან მიმართებაში, მეტად პირობითი ცნებაა, რადგან შეუძლებელია განსხვავებულ ენობრივ სივრცეში მექანიკურად გადაიტანო მხოლოდ ორიგინალის ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. თითქოს მარტივია, თითქოს თეორიულადაც ყველას კარგად მოეხენება, მაგრამ რად გინდა...

როცა ვამბობთ, რომ მთავარი პრინციპი ადექვატურობაა, ეს უპირველეს ყოვლისა, **მხატვრული ეფექტის ადექვატურობას** გულისხმობს – თარგმნილმა ტექსტმა მკითხველზე (მიახლოებით მაინც!) ისეთივე ემოციური ზემოქმედება უნდა მოახდინოს, როგორსაც ორიგინალი ახდენს, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება თარგმანი მისაღებად. დანარჩენი კი, ნეტარსახსენებელი დარასელიასი არ იყოს, *უკვე ტექნიკის საქმეა*, ანუ – ჩვენს შემთხვევაში – სარედაქციო სამუშაო. მაგრამ როცა არ არსებობს ადექვატური მხატვრული ეფექტი, ყოველგვარი სწორება/X-ირება წყლის ნაყვაა მხოლოდ.

როგორც აღვნიშნეთ, ნიჭიერი ხალხი არ გვაკლია, ოღონდ მე თუ მკითხავთ, მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში დღეს საკალალო მდგომარეობაში სწორედ ამ ყბადაღებული *ნიჭიერების* ფენომენის გაფეტიშების გამოა. ე.წ. "ხალასი ნიჭი" ქვეცნობიერად უპირისპირდება ***პროფესიონალიზმს,*** რაც ადექვატურობის პრინციპის სრულ უგულებელყოფაში გამოიხატება: ჩვენში რატომღაც თვლიან, რომ თუ კაცმა "ენა იცის" და მეტ-ნაკლებად გამართული ქართულით შეუძლია წერა, ნებისმიერი დეტექტივის მოთარგმანებასაც იოლად გაარმევს თავს; და იწყებს მავანი თარგმნას და იქმნება ტექსტი, სადაც ქვემდებარეც თავის ადგილზეა, შემასმენელიც, გარემოებაც, განსაზღვრებაც და ირიბი დამატებაც, მაგრამ რად გინდა – "არ იკითხება!"

კარგად რომ გავერკვეთ ამ, ერთის შეხედვით, პარადოქსულ ვითარებაში, ისევ და ისევ ანბანურ ჭეშმარიტებებზე მოგვიწევს ლაპარაკი. ისე, ქართული მთარგმნელობითი კულტურის უკიდურესად დაბალი დონის საილუსტრაციოდ, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ (წერია შავი – უნდა იყოს თეთრი) უამ-

რავი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ *"ტევრიდან გამოვარდა მამალი ხარი"*, რომ *"შერიფმა მოძრავი გამაგრილებელი დააძრო საბარგულიდან"*, ანდა კელტური ეპოსის გმირმა რაინდმა როგორ დალია *ჩაილურის წყალი* – როცა თვით შეფასების კრიტერიუმებია დეფორმირებული, როცა კარგს აღარ ჰქვია კარგი და ცუდს – ცუდი, ამგვარი კურიოზების ჩხრეკას აზრი ეკარგება. მთავარი კი სწორედ შეფასების კრიტერიუმებია – კიდევ ერთი მარტივი, ბანალური ჭეშმარიტება, და სწორედ ამიტომაც მას ყურადღებასაც არავინ აქცევს: **მხატვრული თარგმანის შეფასების მთავარზე-მთავარი კრიტერიუმი ისაა, რომ იგი კარგად უნდა იკითხებოდეს!** ჩვენში მიღებული რედუქციონისტული მეთოდიკა, ანუ თარგმანის კრიტიკული განხილვა მისი ცალკეული პასაჟებისა და ფრაზების მიხედვით – კრიტერიუმად არ გამოგვადგება: გააჩნია როგორია დედნის კონტექსტი, ინტონაცია, რიტმიკა, გამომსახველობა, მოკლედ – მთლიანობა, ის ემოციური მუხტი, ის მხატვრული ეფექტი, რომელიც მთელ ნაწარმოებს გასდევს. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს აზრი ტექნიკურ დეტალებზე მსჯელობას. მაგალითად, თუკი ბორხესის "ავეროესის შეცდომა" ან ნაბოკოვის "ლოლიტა" დუნედ იკითხება – ესე იგი ცუდი თარგმანია, რაოდენ გამართული ქართულითაც არ უნდა იყოს ნაწერი. ადექვატურობის პრინციპი არა მარტო შინაარს, არამედ შინაგანი დინამიკის ადექვატურობასაც გულისხმობს. მარტივად რომ ვთქვათ, თარგმანში უცილობლად უნდა იქნეს შენარჩუნებული ორიგინალის "ტემპი" და იგივე შეიძლება ითქვას ლიტერატურული ნაწარმოებების სხვა ინტერტექსტუალური კომპონენტების მიმართაც. ადექვატურობის პრინციპი – სისტემური პრინციპია, სადაც განმსაზღვრელი ასპექტებია შინარსი, სტილისტიკა და მხატვრული ეფექტი...

აღნიშნული პრინციპით ოპერირება გაცილებით იოლია პოეზიის მიმართ, და მით უფრო გასაკვირია ამ მხრივ ჩვენი დაუდევრობა. ყველამ იცის, რომ გოეთე დიდი პოეტია, მაგრამ საინტერესოა, საიდან იცის ეს კაცმა, ვისაც მხოლოდ ქართულად შეუძლია გოეთეს წაკითხვა? ქართულად თარგმნილი გოეთე არაფრით ჩანს ნოე ზომლეთელზე დიდი პოეტი. ანდა ტოვებს კი დიდი პოეზიის (თუნდაც კარგი ლექსების) შთაბეჭდილებას გაქართულებული ჰიუგო, შილერი, ბლეიკი, ვერლენი, ფროსტი, იეიტსი... ქართული თარგმანებით თუ ვიმსჯელებთ, მათ, ყველას ერთიანად, ჩოსერი სჯობს, ვიიონთან ხომ ახლოსაც ვერ მოვლენ! განა შეიძლება საკამათო იყოს რომ, ვთქვათ, რაინერ მარია რილკეს თარგმანი თავისი მხატვრული ღირებულებით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს თუნდაც ტიციან ტაბიძის საუკეთესო ლექსებს? ანდა როგორი თვალსაჩინოც არ უნდა იყოს გ. ნიშნიანიძის ვერსიფიკატორული ოსტატობა ედგარ პოს "ყორანის" თარგმნისას, კარგი მაშინ იქნებოდა, თუკი მხატვრული ეფექტის თვალსაზრისით გალაკტიონის "ლურჯა ცხენებს" გაუტოლდებოდა ან, სულ მცირე, ფრაგმენტულად მაინც ზეპირად დაამახსოვრებდა თავს მკითხველს (ხომ საკმარისია ინგლისურის თუნდაც ზერელე ცოდნა, რომ "ყორანის" ვირტუოზული სტრიქონები მეყსეულად გაგიჯდეს მეხსიერებაში!). სხვანაირად მისი თარგმნა პროფანაციაა, ანუ – უბრალოდ, ცუდი თარგმანი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ნიშნიანიძის თარგმანი თუ სილოვან ნარიმანიძის "თარგმანზე" 1001 თავით მაღლა დგას: ეს მხოლოდ მთარგმნელის პოეტურ ნიჭიერებაზე მეტყველებს და არა თავად თარგმანის ღირსებაზე.

ჩვენში დამკვიდებულ კლიშე-დოგმებზე გაზრდილი მკითხველი აქ შეიძლება გულწრფელად აღშფოთდეს: ემაგ პრინციპით მართლა ათასში ერთხელ თუ გამოვა კარგი თარგმანი, ისიც მაშინ, თუ კონგენიალურ მთარგმნელთან გვაქვს საქმე – ე.ი. პრაქტიკულად შეუძლებელი რამ ყოფილაო... მე კი ასე ვიტყოდი: თქვენ თარგმანი რა გგონიათ? ცხადია, *ასე* თარგმნა ძნელია, მაგრამ ადვილი, უხეშად რომ ვთქვათ, ფლავის ჭამაა. დიდი პოეტის ქმნილების თარგმნა ნიჭიერებას და ტექნიკურ ოსტატობას თავისთავად გულისხმობს, ოღონდ სულაც არაა აუცილებელი, მთარგმნელი გენიოსი იყოს – ლიტერატურის ისტორიაში ხშირად მომხდარა, სწორედ უჩინო პოეტებს უთარგმნიათ რიგიანად მაღალი პოეზია: ვთქვათ, ელისს – ბოდლერი, ან ონიშკოვიჩ-იაცინს – კიპლინგი; არც ლოზინსკი იყო პასტერნაკზე უკეთესი პოეტი, მაგრამ მის მიერ თარგმნილი "ფაუსტი" აშკარად სჯობს პასტერნაკისას და საკმარისია თვალი გადააავლო, იმას მაინც მიხვდები, გენიალურ ნაწარმოებთან რომ გაქვს საქმე! ეს კი ცოტა არაა – ვერც ერთი "ქართული ფაუსტი" მკითხველს მსგავს წარმოდგენას ვერ შეუქმნის, და აი, სწორედ აქ ვაწყდებით კიდევ ერთ მოარულ სტერეოტიპს, რომელიც იმდენად აბსურდულია, უხერხულიც კი იქნებოდა ამაზე ლაპარაკი, მეტისმეტად გავრცელებული რომ არ იყოს.

ქართველ ლიტერატორთა შორის დამკვიდრებულია ერთი ფრიად ორიგინალური გამოთქმა – "წიგნის დადება". ამ თავისებურ ჟარგონში იგულისხმება წიგნის გამოცემა, რაც რატომღაც, ავტომატურად ითვლება დადებით ფაქტად, ის კი არავის აინტერესებს, ვინ კითხულობს ამ წიგნს, ან თუ კითხულობს საერთოდ ვინმე... ამ მხრივ არც თარგმანებია გამონაკლისი. ხშირად გაიგონებთ, რომ ქართულად "დაიდო" ესა თუ ის ცნობილი მწერალი ან პოეტი – ანუ, მთარგმნელმა დიდი შრომა გასწია, წიგნი დაისტამბა და ახლა შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ ამიერიდან ქართულ ენაზე გვაქვს "უფროსი ედდა" თუ "ოსტატი და მარგარიტა" თუ "სამი მუშკეტერი"... არადა, განა ელემენტალური არ არის, უოთსონ ჩემო, რომ **მთარგმელის ნაღვაწი იმის მიხედვით კი არ უნდა ფასობდეს, რა თარგმნა, არამედ – *როგორ* თარგმნა?!** აბა ასე დანტეს "ღვთაებრივი კომედიაც" დევს ქართულად, მაგრამ რა – გინდა მიწაში დებულიყოს...

სხვათა შორის, თუკი XIX საუკუნეში გადავინაცვლებთ და იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, გაგვანცვიფრებს თარგმანთა სიუხვე, ავტორთა სახელებით ხომ ლამის ცამ ქუხილი დაიწყოს: არისტოტელე, ტაციტუსი, ციცერონი, პეტრარკა, სვიფტი, ლესინგი, კორნელი, რასინი, მოლიერი, ბაირონი, ლეოპარდი, ჰიუგო... ჩამოთვლა ლამის დაუსრულებლად შეგვიძლია გავაგრძელოთ, მაგრამ თუკი ვინმეს იმის ილუზია გაუჩნდება, რომ მაშინ "დიდი საქმე გაკეთდა", ერთი ისიც ვიკითხოთ: ამ თარგმანებიდან რომელი შემორჩა დღეს ქართულ კულტურას? რომელმა მოახდინა თუნდაც უმცირესი გავლენა ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე? საკმარისია ეს შეკითხვა დავსვათ და თითო-ოროლა ნაწარმოებიღა შეგვრჩება ხელში. დღეს თითქოს უკეთესი მდგომარეობაა – თარგმანთა საშუალო დონე, თარგმნის ზოგადი კულტურა თითქოსდა ამაღლდა – წავიდა ის დრო, როცა შექსპირი მთარგმნელის პირით

გვეუბნებოდა: *'უკრამენ ტრუბები, შემოდიან კაროლი და კარალევა'*, ანდა *'ჯერ არ გაუცვეთია ბაშმაკები, რითაც მისდევდა ქმრისა კუბოსა'* – მაგრამ თუკი დღეისთვის არსებულ კარგ თარგმანებს მთლიანად თარგმნილ ლიტერატურას შევადარებთ, უმძიმეს სურათს მივიღებთ: რაც გაკეთდა, წვეთია ზღვაში – შეუდარებლად მეტია ისეთი თარგმანები, საერთოდ რომ ყოველგვარი კრიტიკის მიღმა დგას. **ასეთია ქართულად ნათარგმანებთა აბსოლუტური უმრავლესობა** და ეს ეხება როგორც პოეზიას, ასევე პროზას. ოღონდ ლექსთწყობაში თუ უსუსურობა შეუძლებელია შენიღბო გამართული ქართულით (ბოლო-ბოლო, არტურ რემბოს "მთვრალი ხომალდი" თუკი, ზოგადად, ლადო ასათიანის "გულბაათ ჭავჭავაძეს" ვეღარ ჯობია, ხოლო ტ.ს. ელიოტის პოეზია – ასევე ზოგადად, ბესიკ ხარანაულის ლექსებს, უკვე ყველაფერი ცხადი უნდა გახდეს); აი, პროზაში კი მეტი საშუალებაა მხატვრული ილუზიების შესაქმნელად, ოღონდ ცოტა ტვინი თუ განძრიე კაცმა, არც აქაა მაინცადამაინც ძნელი გაერკვე, როგორ და რანაირადაა საქმე. ხოლო თუ ჩვენს ლიტერატურულ (და არა მხოლოდ ლიტერატურულ) წრეებში კრიტიკულ განწყობას თვითმკმარი ინდიფერენტიზმი ჭარბობს და მთარგმნელობით სფეროში საკალალო მდგომარეობა ხეირიანად არცა გვაქვს გაცნობიერებული, ამის მიზეზი სწორედ იმ მეტისმეტად ბანალურ ჭეშმარიტებათა უგულებელყოფაა, რომელთა შესახებაც უკვე ვილაპარაკეთ და ზედმეტი არ იქნება, თუკი ერთხელ კიდევ გავიხსენებთ:

ა) კარგი თარგმანი ისაა, ადექვატურად რომ გადმოსცემს დედნის შინაარსსა და ხელწერას.

ბ) აქედან გამომდინარე, დიდი პოეტისა თუ დიდი მწერლის ქმნილებათა თარგმანი მხატვრული დონით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ქართული ორიგინალური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

გ) ამიტომაც კარგი თარგმანი უცილობლად ეროვნული ლიტერატურის კუთვნილება ხდება, სუსტი კიდე, თუნდაც ძალზე სახელოვანი ავტორისა იყოს, დროთა განმავლობაში უსახელოდ იკარგება.

დ) ასე რომ, მთარგმნელის დამსახურება მისი ნამუშევრის *ხარისხით* უნდა განისაზღვრებოდეს და არა რაოდენობით, ან თარგმნილ ავტორთა რეგალიებით.

როგორია?! როგორც იტყვიან, ქვას გახეთქავს! კაცი არ მეგულება, ზემომოყვანილ პოსტულატებს უარყოფდეს, მაგრამ საკმარისია ისინი ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას მივუსადაგოთ, რომ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩება, თითქოს დიდი ხანია დაგვავიწყდა თეორისა და შავის გარჩევა, ულმერთოდ ვატყუებთ ერთმანეთს, საკუთარ თავს და თან ძაანაც კმაყოფილები ვართ შექმნილი ვითარებით...

საქმე ისაა, რომ საქართველოში იყო მთარგმნელი, თუნდაც ძალზე სახელოვანი, გაცილებით ნაკლებ პრესტიჟულია, ვიდრე უბრალოდ "ქართველი პოეტი გერქვას" (თუ რატომაა ასე, ცალკე საკითხია – ახლა მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით შემოვიფარგლოთ) ამიტომაც მთარგმნელებად, როგორც წესი, ის

ადამიანები გვევლინებიან, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზთა გამო მწერლისა თუ პოეტის სახელი ვერ დაიმკვიდრეს. ეს კი ჩვენს სინამდვილეში უცილობლად წარმოშობს ერთგვარ არასრულფასოვნების კომპლექსს და მის სუბლიმირებას მთარგმნელი თავის საქმიანობაში ახდენს, ასე ვთქვათ, "თავის ჭიას ახარებს" ანუ – საკუთარი კომპლექსების პრიზმაში ატარებს ორიგინალის ტექსტს. ამ შემთხვევაში, თუკი მისი განწყობა დედნისას დაემთხვა – ხომ კარგი, თუ არადა ვღებულობთ ტიპიურ სუროგატს. სწორედ ამგვარი სუროგატებითაა სავსე ქართული მთარგმნელობითი მემკვიდრეობა.

და სანამ ჩვენში უგერგილო მწერალზე უფრო მეტად კარგი მთარგმნელი არ დაფასდება, ზემოაღნიშნულ კომპლექსს ყოველთვის ექნება ნოყიერი ნიადაგი; ეს კი მანამ არ მოხდება, ვიდრე ზოგადად ლიტერატურული საქმიანობის ერთ უმთავრეს საზომთაგანად **პროფესიონალიზმი** არ მიიჩნევა, ვიდრემდის ყველგან და ყველაფერში თვითკმაყოფილი დილეტანტიზმი მძლავრობს და მძვინვარებს.**

თავი III

სადაც უღმერთოდაა ერთმანეთში არეული პუბლიცისტიკა, ისტორია, ფილოსოფია, ფსიქოლოგია და ლიტერატურული კრიტიკა, ავტორი კი უკვე აშკარად და მოურიდებლად მიმართავს თვითრეკლამას

რომ შეიძლებოდეს ერთად შეკრიბო ყველა მაღალხარისხოვანი თარგმანი, რაც ჩვენს საუკუნეში შექმნილა ქართულად, აღმოჩნდება რომ სწორედ XX საუკ. ლიტერატურის *რიგიანი* თარგმანებია ცოტაზე ცოტა, და ეს ეხება როგორც პოეზიას, ისე პროზას, როგორც "მაღალი შტილის", ესევე ლიტერატურული მასკულტურის ნიმუშებს. ამგვარი ვითარების ერთად-ერთი ობიექტური მიზეზი კი სწორედ *ენის ფაქტორია* – ნებისმიერი ლიტერატურული ნაწარმოების ონტოლოგიური პირობა. ხომ ელემენტალურია, რომ შეუძლებელია ნაწარმოების მექანიკური გადანაცვლება განსხვავებულ ენობრივ სივრცეში – თარგმანი, თავისი არსით, ჰერმენევტიკულია: იგი საკუთარ თავში შეიცავს ინტერპრეტირებას და შედეგად, ნამდვილი თარგმანი *ყოველთვის* შემოქმედებითი აქტია, ხოლო როცა მთარგმნელი "მიჯაჭვულია" ტექსტზე და ჯიუტად ცდილობს ორიგინალის სტერეოტიპული მოდელებისა და იდიომატიკის უცვლელად გადმოტანას, იგი კი

** ისიც ითქვას, ჩვენში ხელოვნების დარგთა შორის ლიტერატურა ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია: მუსიკოსი ვერ გახდები, თუ ნოტები არ იცი ან რაიმე ინსტრუმენტზე მაინც არ უკრავ; შეუძლებელია მხატვარი გერქვას, თუ უბრალო ნატურმორტის დახატვა არ შეგიძლია; კინორეჟისორს სამონტაჟო მაგიდასთან მაინც უნდა შეეძლოს მუშაობა; აი, მწერლის სახელს კი ისე მოიპოვებ, ნაკითხობაც არაა სავალდებულო — შემთხვევით არ გაჩენილა (და პოპულარობაც მოიპოვა) ანეკდოტურმა ნათქვამმა: *"მე ბიძია, მწერალი ვარ — მკითხველი კი არა!."*.

არ იცავს, არამედ უხეშად არღვევს ადექვატურობის პრინციპს. რა თქმა უნდა, ასეთი თარგმანები "არ წაიკითხება", გინდა ნიჭიერი კაცის ნამუშევარი იყოს და გინდაც – სრული პროფანის ნაცოდვილარი, რადგან აქ თავად თარგმნის მეთოდიკაა პრინციპულად არასწორი: ირღვევა ორიგინალის შინაარსის შესაბამისობა ენობრივ სივრცესთან, ამ შესაბამისობის შენარჩუნება კი მხოლოდ შემოქმედებითი, ჰერმენევტიკული მიდგომითაა შესაძლებელი. სწორედ ამგვარი მეთოდითაა შესრულებული ამქვეყნად არსებული უკლებლივ ყველა მაღალხარისხოვანი თარგმანი – ისინი არასოდეს იმეორებენ "ზუსტად" ორიგინალის ფრაზეოლოგიას, სამაგიეროდ მათ შენარჩუნებული აქვთ შინაარსის მიმართება ენობრივ სივრცესთან, ანუ შენარჩუნებულია ნაწარმოების *ყოფიერების* მოდუსი. მოკლედ, როგორც ჩინელები იტყვიან, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რა ფერისაა კატა, მთავარია მან თაგვი დაიჭიროს... ამ კონტექსტში კატა – ენაა, თაგვი – ნაწარმოები, ხოლო თარგმანი სხვა არაფერია, თუ არა "თაგვის ჭერა".

მაგალითისთვის ავიღოთ რაბლეს "გარგანტუა და პანტაგრუელის" და ვიიონის "მცირე ანდერძის" ქართული თარგმანები: ორივე ეს ნაწარმოები დაწერილია ძველი ფრანგულით, რომელიც საგრძნობლად დაშორებულია თანამედროვე ფრანგულს. ენობრივი თვალსაზრისით, მთარმნელების მიდგომა ტექსტის მიმართ რადიკალურად განსხვავებულია: გურამ გოგიაშვილი თარგმნის ისე, როგორც, მისი ვარაუდით, კითხულობს დღეს რაბლეს ფრანგი მკითხველი, ანუ – არქაიზებული ლექსიკითა და კონსტრუქციებით; დავით წერედიანისათვის კი ამოსავალი დებულებაა, რომ ვიიონის ლექსი იმდროინდელი მკითხველისათვის სულაც არ ჟღერდა არქაულად, ამიტომ თარგმანი თანამედროვე ქართულითაა შესრულებული. როგორც ვხედავთ, ორიგინალისადმი მიდგომა პრინციპულად განსხვავებულია, მაგრამ ორივე შემთხვევაში "კატამ თაგვი დაიჭირა", ანუ მივიღეთ კარგი თარგმანი. სამწუხარო ისაა, რომ ამგვარი "კატა-თაგვობანა" ჩვენში იშვიათად თუ თავდება წარმატებით, რადგან ფაქტიურად, მთარგმნელის ენობრივ სამყაროსთან დამოკიდებულებას მთლიანად განაპირობებს ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები: სპარსული პოეზია და ინგლისური ბალადები იმიტომაც ითარგმნება კარგად, რომ ჩვენი ლიტერატურული ტრადიციისათვის "იოლად მისარქმელია" (რაც თავისთავად, არ ამცირებს ვახუშტი კოტეტიშვილისა თუ გიორგი ნიშნიანიძის დამსახურებას), და იგივე მიზეზის გამო ქართულად "გამოდის" XIX საუკ. ფრანგული ლიტერატურა, რომელმაც თავის დროზე დიდი გავლენა იქონია რუსულ ლიტერატურაზე და რუსულის პრიზმაში გარდატეხილმა, ქართულზეც, მაგრამ "არ გამოდის" გერმანული, რადგან ამ ქვეყნის ლიტერატურული ტრადიციები ევროპის ქვეყნებიდან ყველაზე ნაკლებად ესადაგება ჩვენსას.***

ლიტერატურული ტრადიცია და ის ენობრივი სამყარო, რომელშიაც

*** ჩვენს ლიტერატურულ წრეებში ისეთი აზრიც კი დამკვიდრდა, რომ გერმანული ლიტერატურა "მძიმეა" და ძნელად საკითხავი. რა თქმა უნდა, იმას არავინ ითვალისწინებს, არის თუ არა ეს ლიტერატურა "მძიმე" გერმანელი მკითხველისათვის, და არც იმისთვის მიუქცევიათ ყურადღება, ჰერმან ჰესეს ერთი და იგივე რომანი სულ სხვადასხვა "სიმძიმის" რომაა სოლომონ აპტისა და სერგეი ავერინცევის თარგმანებში, ხოლო ჰოფმანის "ოქროს ქოთანი", რომელიც სოლოვიოვის რუსულ თარგმანში ლაღად და მსუბუქად მიედინება, ქართველი მთარგმნელებისთვის დღემდე საჯილდაო ქვად ქცეულა; თუმცა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამაგალითოდ ისიც გვეყოფოდა, "ძალიან მძიმე" რობერტ მუზილი როგორ ძალდაუტანებლად იკითხება ცხონებულ თენგიზ პატარაიას თარგმანში...

ტრადიცია მოქმედებს, ერთიმეორისაგან განუყოფელია – ესაა უმთავრესი აქსიომა, რომელიც პროფესონალ მთარგმნელს არათუ კარგად გათვითცნობიერებული, არამედ რომ იტყვიან, სისხლში უნდა ჰქონდეს გამჯდარი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართული ენა განზე დგას ინდოევროპულ ენათა ოჯახიდან და ეს უკანასკნელი გარემოება, პლუს ტრადიციის არარსებობა, გარკვეულ სიძნელეს უქმნის ქართველ მთარგმნელს – მას მეტი ფანტაზიისა და ტექნიკური ოსტატობის გამოყენება სჭირდება იქ, სადაც ვთქვათ, რუსი მთარგმნელი იოლად გავა ფონს, ევროპული ენებიდან ნასესხები მზამზარეული კონსტრუქციებითა და კლიშეებით. ტრადიციის არარსებობის შემთხვევაში მთარგმნელს ფაქტიურად, საკუთარი ენობრივი სამყაროს ერთგვარი განახლება უწევს, თუმცა უფრო მართებული იქნებდა გვეთქვა – *უნდა უწევდეს*, რადგან ქართველ მთარგმნელს, ჩვეულებრივ, წარმოდგენაც არა აქვს, ასეთი საპატიო მისია თუ ეკისრება. ჩვენთან თარგმანი შემოქმედებითი აქტია არა ტექსტისადმი გააზრებული, ჰერმენევტიკული მიდგომის, არამედ მთარგმნელის სულიერი განწყობის, მისი კომპლექსების სუბლიმაციის თვალსაზრისით და როგორი კუთხითაც არ უნდა შევხედოთ, ყველაფრის თავი და თავი მაინც ერთია – *არაპროფესიონალიზმი*. ამ წარმმართველი ტენდენციის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი კი სწორედ ლიტერატურული მასკულტურის თარგმანებია.

როცა ლიტერატურულ მასკულტურაზეა ლაპარაკი, რასაკვირველია არ იგულისხმება მარტოოდენ თანამედროვე ლიტერატურა: თავად ტერმინი – *მასკულტურა* თუმცა XX საუკ. გაჩნდა, მასვე მიაკუთვნებენ XIX საუკ. გავრცელებულ ე.წ. "ბულვარულ რომანებს", იგივე კონტექსტში იხსენიება კლასიკური აკანტიურული რომანი, გოთური რომანები და სხვა მსგავსი ტიპის თხზულებები. ქართველ მთარგმნელთა დამოკიდებულება მასკულტურისადმი კი ზუსტი ანარეკლია საერთოდ ჩვენი ინტელიგენციის ქედმაღლური დამოკიდებულებისა ამდაგვარ ქმნილებათა მიმართ. ამ თემას აქ აღარ გამოვეკიდებით და აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ გოთური რომანი ჰოფმანსაც დაუწერია, ბორხესი დეტექტივების ანთოლოგიებს ადგენდა, ხოლო ილია ჭავჭავაძეს კაი სქელტანიანი ბულვარული რომანი – ბუვიეს "იზა" აქვს ნათარგნი... აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართველი მთარგმნელი ლიტერატურულ მასკულტურას სერიოზულად არ აღიქვამს და არც მისი თარგმნა ითვლება დიდად პრესტიჟულ საქმედ. როცა ვინმე მაინც აკეთებს ამას, მაშინვე ჩნდება აზრი, რომ ალბათ კაცს მატერიალურად უჭირს, ფული სჭირდება, თორემ ისე როგორ მოკიდებდა ამ "გლახა საქმეს" ხელსო. საინტერესო ის არის, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს მართლაც ასეა, და თუკი დღეს დილეტანტიზმი ქართული თარგმანების მოუცილებელი, "თანამდევი სულია", მასკულტურის მიმართ ეს დილეტანტიზმი კიდევ უფრო გამოკვეთილია და თვალსაჩინო.

თავი გავანებოთ იმას, რომ უბრალო პროფესიული ეთიკა გულისხმობს აღებული სამუშაოს კარგად შესრულებას – ეთიკის დარღვევაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ქართველი მთარგმნელი გულშიაც არასოდეს გაივლებს, რომ შესაძლოა ვერ მოერიოს რაღაც იაფფასიანი, მასობრივი ლიტერატურის რომელიც გენებოთ ნიმუშს და ერთის შეხედვით, ამგვარი თვითდაჯერება არც მთლად უსაფუძვლო ჩანს: ნებისმიერი ეპოქისა და ნებისმიერი ჟანრის მასკულ-

ტურის ნიმუში, როგორც წესი, გავრცელებულ კლიშეებსა და სტერეოტიპულ მოდელებზეა აგებული. ასე რომ, მთარგმნელს სიტყვადქმნადობის დიდი უნარი თითქოს არც სჭირდება, ოღონდ კი სწორად მიუსადაგოს ქართულ ენაში დამკვიდრებული შესაბამისი კონსტრუქციები; არც ისაა დიდი უბედურება, თუ ქართულში თანამედროვე რეალიების სინაკლულეა და უცხოურ კლიშეთა ანალოგიური კონსტრუქციებიც არაა დაფიქსირებული – კარგი მთარგმნელი ყოველთვის მოახერხებს ადექვატური მხატვრული ეფექტის შემცველი ფრაზის მოძიებას, მაგრამ ამისთვის ნიჭის გარდა, დაფიქრებაცაა საჭირო, ანუ პრობლემის გააზრება, ჩვენი თარგმანებით კი საქმეში ჩაუხედავ კაცს მართლა ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დარჩეს, თითქოს ქართული ენა უძლურია ნორმალურად გადმოსცეს უმარტივესი დეტექტიური ინტრიგის პერიპეტიები. არადა, საქმეც ისაა, რომ მთარგმნელი მართლა ვერ ახერხებს უაღრესად ბანალური მხატვრული ტექსტის ადამიანურ ენაზე მოთარგმნას და ნაწარმოების შინაარსისა და სტილისტიკის ურთიერთმიმართებას უადგილო კაზმულსიტყვაობით ამახინჯებს! აბა, რა დიდი ფილოსოფია უნდა იმის ცოდნას, რომ არ შეიძლება დეტექტივის თარგმნა ისეთი ენით, დედამიწის ზურგზე არცერთი ქართველი რომ არ ლაპარაკობს?! როცა "მთარგმნელის" ხელიდან გამოდის ფრაზა, ვითომდა ამერიკელი პოლიციელის შეძახილი – '*ჩააგეთ იარაღი ბუდეში, სერ*!.' – ეს მკითხველის აბუჩად აგდებაა, რადგან პოლიციელი ასე არ იტყოდა, არც ქართველი, არც ამერიკელი... ტექსტისადმი შემოქმედებითი მიდგომა კი იმით გამოიხატება, რომ ვთქვათ, ნორვეგიელი ვიკინგები რუსთაველის (!) ციტატებით ლაპარაკობენ, ხოლო ჩიკაგოს ბარში, სადაც კედელთან აყუდულა ვინმე "დაღლარა ყოჩი", უცებ თავისი "ქეშიკების" თანხლებით შემოდის ადგილობრივი განგსტერი, რომელსაც ასეთ ანტურაჟში ალბათ ისღა დარჩენია, თავზე ყარაჩოღელის ფაფახი დაიხუროს და სენდვიჩის ნაცვლად ბასთურმა ან ლულა-ქაბაბი მოითხოვოს...

ამის შემდეგ იტყვიან, აბა რა იქნება, დეტექტივები ქართულად არ იკითხებაო! ასე ნათარგმანები მართლა მტერმა წაიკითხა. ანდა რაზეა ლაპარაკი, როცა ქართულ თარგმანში მთლიანად უგულებელყოფილია ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელთა გარეშეც არათუ დეტექტივი, მასკულტურის არანაირი თხზულება არ "წაიკითხება" – ესაა დინამიკა და ბუნებრივი, სხარტი დიალოგები. საერთოდ, პერსონაჟების ნორმალურად ამეტყველება ქართველი მთარგმნელებისთვის სიზიფეს შრომად ქცეულა და არაბუნებრივი მეტყველება, ყალბი ინტონაცია ლამის ლიტერატურულ ტრადიციად გვექცეს! საკმარისია ნახოთ ქართულად გახმოვანებული რომელიმე უცხოური ფილმი, რომ პირდაპირ ყურს მოგჭრით დიალოგთა სიყალბე: ფრანგი შანსონეტები, ამერიკელი ბუტლეგერები თუ იტალიელი მაფიოზები თარგმნილი ტექსტის მიხედვით, ენაღვარჭნილ დეგენერატებად გამოიყურებიან... როგორ არ გავიხსენო ჩემთვის დღემდე უცნობი რუსი მთარგმნელების მიერ ამერიკული ფილმის, "შესანიშნავი შვიდეულის" მართლაც რომ ბრწყინვალე გახმოვანება: მძაფრი, ემოციურად დამუხტული, ლაკონიური ფრაზები განუმეორებელ ეფექტს ქმნიან, ხოლო პერსონაჟების ლექსიკა ისეთია, უკვე თავად ამ პერსონაჟების ინდივიდუალობის მახასიათებლად გვევლინება. მოკლედ, სულ გავიწყდება თარგმანთან რომ გაქვს საქმე. შემთხვევითი არაა, ვისაც

თავის დროზე ფილმის ეს ვარიანტი უნახავს (და არა ვიდეობაზარზე შემოსული ახალი, უხეირო სინქრონული გახმოვანებით) უამრავი ადგილი ზეპირად ახსოვს, ხოლო ზოგი ფრაზა საერთოდ მოარულ გამოთქმადაც კი იქცა... ფილმის უმაგალითო წარმატებას დიალოგების მაღალოსტატურმა თარგმანმაც დიდად შეუწყო ხელი და პროფესიონალური თვალსაზრისით, "შესანიშნავი შვიდეულის" რუსული ვარიანტი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ კინოგახმოვანების, არამედ საერთოდ მთარგმნელობითი ხელოვნების შედევრად.

ქართულად გახმოვანებული ფილმები კი ისევე "არ ისმინება", როგორც "არ იკითხება" ქართულად თარგმნილი ლტერატურა – არაბუნებრივ ტექსტს, თუნდაც გენიალური მსახიობი კითხულობდეს, მაინც ვერაფერს მოუხერხებს და შეუძლებელია, ქართველმა კაცმა ბუნებრივი ტონით წარმოთქვას "თქვენ იდიოტი ხართ, კლოს!" თუმცა ტექსტუალურად, თითქოს, ყველაფერი რიგზეა... ოღონდ ეგაა – ფილმში დიალოგის აღქმა უფრო უშუალოა: აქ ტექსტი შერწყმულია ინტონაციასთან, ხმის ტემბრთან და ფრაზათა ხელოვნურობა მეყსეულად ფიქსირდება; ქაღალდი კიდე, მოგეხსენებათ, ყველაფერს იტანს და ჩვენი მკითხველიც ისე მიეჩვია არაბუნებრივი ენით ნაწერ ტექსტებს, დამწერის მიმართ არანაირი პრეტენზია არ უჩნდება – მას უკვე სტერეოტიპის დონეზე ჩამოუყალიბდა სრულიად უკულმართი შეხედულება, თითქოსდა ლიტერატურული ქართული სწორედ ასეთი უნდა იყოს. ამიტომაცაა, ხმას რომ არავინ იღებს და თავისთვის ყველა რუსულად ამჯობინებს წიგნის კითხვას, მასკულტურის ნიმუში იქება ეს თუ "მაღალი შტილის" ქმნილება.

აქვე ისიც ითქვას, საყოველთაოდ გავრცელებული აზრი რუსულ თარგმანთა უმაღლესი ხარისხის თაობაზე, ფრიად გადაჭარბებულია. არსებითად იგივე მასკულტურის ნიმუშები რუსულადაც საკმაოდ სუსტადაა თარგმნილი და მაგალითად თუნდაც იგივე ფლემინგის რომანები გამოდგება: ქართველი მკითხველი იმდენად ენდობა რუსულ თარგმანს, ამჯერად მისამართი შეეშალა და თავისი გულისწყრომა მთარგმნელს კი არა, ავტორს და პერსონაჟს დაატეხა თავზე. არადა, ღმერთი-რჯული, ჯეიმზ ბონდი აქ არაფერ შუაშია და თარგმანის უხარისხობასაც აქ ენის ფაქტორით ვერ ახსნი: რუსულ ენაში ევროპეიზმის კლიშეებიც და ურბანისტული რეალიებიც მყარადაა გამჯდარი – ამ მიმართებით რუს მთარგმნელს, როგორც უკვე ვთქვით, დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება. ასევე შეიძლებოდა კიდევ არაერთი მაგალითის მოხმობა, და არა მარტო მასკულტურიდან: ვთქვათ, ირანული და არაბული კლასიკური პოეზია რუსულად გაცილებით უფრო "ცუდად იკითხება" ვიდრე ქართულად, ანდა შორს რომ არ წავიდეთ, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტონის რუსული თარგმანებიც გვეყოფოდა გულის მოსაფხანად; მაგრამ ფხანა, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, ქეცმა იცის. მთავარი ისაა, რომ რუსული თარგმანების საშუალო დონე, მთლიანად თარგმნის კულტურა, განუზომლად მაღლა დგას ქართულთან შედარებით; ამიტომ, რამდენიც არ უნდა ვუკიჟინოთ მკითხველს – ქართულად იკითხეო, მაინც არაფერი გამოვა, ისევე როგორც ვერავის დაარწმუნებ, თითქოსდა "ვოლგა" ჯობდეს BM-ს. მოკლედ, სანამ არ გავაცნობიერებთ არსებულ მდგომარეობას, სანამ რადიკალურად არ შეიცვლება დილეტანტური დამოკიდებულება მთარგმნელობითი საქმიანობის

მიმართ, მანამდე არაფერი გვეშველება: ქართულად თარგმნილი წიგნი "არ წაიკითხება".

სხვათა შორის, როცა ფლემინგის რომანს ვთარგმნიდით, იმთავითვე მიზნად დავისახეთ "რუსებისთვის მაინც გვეჯობნა" და შეგვექმნა მასობივი ლიტერატურის ნიმუშის როგიანი თარგმანი. როგორც გითხარით, ეს არც ისე იოლი საქმე გამოდგა, მაგრამ როცა ტექსტზე მუშაობა დავასრულეთ, ორივენი დარწმუნებულები ვიყავით (და ახლაც იგივე აზრისა ვართ), რომ "ჩვენი ბონდი" ბევრად ჯობია რუსულს და თუმცა "შესანიშნავი შვიდეულის" დონეზე "ვერ გავქაჩეთ", ასე კარგად ჯერ არცერთი ქართულად თარგმნილი დეტექტივი არ იკითხება. ყველაფერი შევუნარჩუნეთ: თხრობის დინამიურობა, ავტორის შეფარული ირონია, ცოცხალი დიალოგები... თუმცა არც ისე გულუბრყვილოები ვიყავით, გგვგონებოდა თითქოს ამ წიგნის გამოსვლა რაიმე განსაკუთრებულ მოვლენად შეიძლებოდა აღქმულიყო. ასეც მოხდა: საკმაოდ უშნო პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ "*კაცი ოქროსვარაყიანი იარაღით*" ისე გაითქვიფა მასკულტურის სხვა თარგმანებში, არავის ყურადღება არ მიუქცევია. მოულოდნელი ამაში არაფერი იყო-მეთქი და არც არაფერს ვიტყოდი, რომ არა ერთი საგულისხმო ამბავი: ყველა ჩვენს ნაცნობს, თუნდაც ზრდილობის გამო რომ წაიკითხა ეს წიგნი, დაახლოებით ერთნაირი რეაქცია ჰქონდა: "ძალიან კარგად იკითხება, წყალივით მიდისო", მაგრამ ამას ისე ამბობდნენ, თითქოს რაღაც არაბუნებრივ მოვლენას შეესწრენ, თითქოს რაღაც დაუწერელი კანონი დაირღვა... არადა, მართლა დაირღვა! ჩვენ ისე შეესისხლხორცეთ სიყალბეს, თარგმნილი ტექსტისაგან უკვე ქვეცნობიერად ვითხოვთ ხელოვნურ, არაბუნებრივ კონსტრუქციებს, როგორც "ლიტერატურულობის" ატრიბუტს... და თუ ეს ასე არ არის, ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულნი ვრჩებით. ერთმა ისიც კი გვითხრა, ოდნავ დამნაშავის ტონით – კარგად იკითხება, მაგრამ ალაგ-ალაგ მეცინებოდაო! აბა როგორ ამეხსნა მისთვის, რომ ფლემინგის კითხვისას თუ არ გაგეცინა, სწორედ მაშინაა ცუდად საქმე... მართალი გითხრათ, დიდად გულზე არც მეხატება საკუთარი ლიტერატურული პრაქტიკიდან მაგალითების მოხმობა, მაგრამ ჩვენი თარგმანის ასეთმა უცნაურმა აღქმამ, უშუალოდ ტექსტზე მუშაობისას წარმოქმნილი ტექნიკური სიძნელეების ფონზე, ცხადლივ დაგვანახა, თუ რაოდენ პარადოქსული ფორმებით შეიძლება გამოვლინდეს ლიტერატურული ტრადიციის არარსებობა.

თავი IV

და უკანასკნელი, საიდანაც ჩანს, რომ ავტორს უკვე დასაკარგი აღარაფერი აქვს და ისიც ბოლომდე ამბობს სათქმელს...

დაკვირვეული მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ მთელ ჩვენს მსჯელობას ერთგვარი პოლემიკური ჟღერადობა დაჰკრავს, თუმცა ამ პოლემიკის ადრესატი არ ჩანს. კაცმა რომ თქვას, ვერც გამოჩნდება, რადგან აქ ლაპარაკი არაა პიროვნებებზე, – საქმე იმ უკღმართ სტერეოტიპებს ეხება, რომლებიც თეზისების

სახით არავის ჩამოუყალიბებია, მაგრამ ისეა გამჯდარი საზოგადო ცნობირებაში, ლამის ჩვენი სულიერი წყობის, ჩვენი მენტალიტეტის სისხლხორცეული ნაწილი გამხდარა. ამიტომ მსჯელობა აგებულია ერთგვარი აქსიომატური სილოგიზმების ღერძზე, როცა ერთი ბანალური ჭეშმარიტებიდან ავტომატურად გამომდინარეობს მეორე, მეორედან მესამე, მესამედან მეოთხე და ა.შ. ამასთან, თითოეული აქსიომა არათუ სავსებით მისაღებია ქართველ ლიტერატორთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის, არამედ კარგადაცაა ცნობილი მათთვის, მაგრამ საკმარისია ეს აქსიომატური დებულებები ცხოვრებისეულ პრაქტიკას მივუსადაგოთ, რომ მაშინვე თვალნათლივ გამოჩნდება შეუსაბამობა, ხშირად დაპირისირებაც კი ელემენტალურ ჭეშმარიტებებსა და ყოველდღიურობაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს შორის. ჩვენდათავად, თეორიული პოსტულატების თვალსაზრისით ახალი არც არაფერი გვითქვამს, ფაქტიურად მხოლოდ იმას ვამტკიცებდით, რომ ყველაფერი ახალი – კარგად დავიწყებული ძველია...

მაგრამ ახლა უკვე ერთმეორისაგან ლოგიკურად გამომდინარე დებულებებს ისეთ დასკვნებამდე მივყავართ, რომლებიც არაა საყოველთაოდ გაზიარებული და ცოტა ვინმე თუ მიიჩნევს ფაქტის უბრალო კონსტატაციად. ამიტომ იმედია, მკითხველი არ გაგვინაწყენდება, თუ ამჯერად ცოტა შორიდან მოვუვლით, რათა ბოლოში მშვიდობიანად გავაღწიოთ.

დავიწყოთ იმით, რომ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ: ქართულ ენაში მართლაც არაა დამკვიდრებული თანამედროვე ყოფის შესატყვისი ბევრი ტერმინი, ნეოლოგიზმი თუ სტერეოტიპული კონსტრუქცია. სულ უბრალო მაგალითი: სასაუბრო მეტყველებაში იშვიათად თუ ვინმე ახსენებს ავტომანქანის ნაწილებს ქართულად – *სცეპლენია, მიგალკა, პავაროტნიკი, ჟიკლიორი* და ა.შ., ჩვენი ყოველდღიური ლექსიკის ორგანულ ელემენტადაა ქცეული. ასევე ვერაფრით გადმოგვიქართულებია ინგლისურში გავრცელებული თუნდაც ისეთი გამოთქმა, როგორიცაა love making – ერთი შეხედვით, მართლაც სერიოზული დაბრკოლებებია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: ამგვარი ტიპის სიძნელეები ყველაზე ადვილი დასაძლევია – კონტექსტზე დაყრდნობით თავისუფლად შეიძლება საჭირო სიტყვის, გამოთქმის ან მთელი კონსტრუქციის მოხერხებულად და ბუნებრივად "ჩაჯენა" ტექსტში. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ მძაფრი კამათი ქართული ლიტერატურისა და ენის ურთიერთმიმართების ირგვლივ XIX საუკ. 60-იან წლებში, "მამათა და შვილთა" ბრძოლის სახელით რომაა ცნობილი. მაშინ ბევრს ლაპარაკობდნენ ლიტერატურული ქართულის ხელოვნურობაზე, მაშინაც უმწვავესად იდგა იმდროინდელი რეალიების ლიტერატურაში "გაცოცხლების" პრობლემა. ეს არ იყო თავაზიანი დარბაისლური პაექრობა ცოცხალ კლასიკოსებს შორის: მოკამათეთა ტონი ხშირად ცილდებოდა ელემენტალური ეთიკის ფარგლებს, მაგრამ გავიდა დრო, ვნებათა ღელვაც წარსულს ჩაბარდა და დღეს ცოტას თუ ახსოვს, რომ მაშინ ქართულ ენაში არ არსებოდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა *ასანთი, ლიანდაგი, ქვემეხი, შინაარსი* და სხვა მრავალი... სწორედ "შვილების" თაობის, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მეცადინეობით მოხერხდა ლიტერატურული ქართულისა და სასაუბრო მეტყველების ურთიერთმიახლოება, სწორედ მაშინ შეიძინა ქართულმა ენამ გან-

ვითარების იმპულსი და მოხდა ენის შინაგანი პოტენციალის ახლებური გამოვლინება. რასაკვირველია, ეს პროცესი არ მიმდინარეობდა უმტკივნეულოდ – ბოლოსდაბოლოს, თვით იაკობ გოგებაშვილი წერდა – *სტოლი, სტაქანი...* მაგრამ მთავარი იყო სწორედ **პროცესის მიმდინარეობა** და არა ცალკეული გადახრები. დღეს საგანგაშო ისაა სწორედ, რომ არავითარი პროცესი არ მიმდინარეობს. უამრავი, ერთიმეორეზე გადაჯაჭვული პრობლემა არსებობს, მაგრამ არ ხდება მათი გააზრება, არ იგრძნობა მიზანმიმართული მოქმედება მათ გადასაწყვეტად და რომ არა ჩვენივე გულგრილობა არსებული მდგომარეობის მიმართ, დიდი ხნის გაცნობიერებული გვექნებოდა კიდევ ერთი ბანალური ჭეშმარიტება: თანამედროვე ლიტერატურის ქართულად თარგმნა გაძნელებულია არა იმდენად ლექსიკური მარაგის სიმწირის, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო; მიზეზისა, რომელიც გარკვეულწილად თავადვე განაპირობებს ლექსიკის სიღარიბეს და რომელიც ავტომატურად გამოიყვანება თვით იმ ფაქტის აღიარებიდან, რომ ქართულ ენაში თანამედროვე რეალიები არაა მყარად გამჯდარი: **ჩვენმა მწერლობამ ვერ შესძლო ურბანისტული ცნობიერების ადექვატური ასახვა ქართულ სიტყვიერებაში** – არავითარი სხვა მიზეზი თანამედროვე რეალიების სიმცირისა, თავად ამ რეალიების სიმცირის ფაქტიდან არ მოიაზრება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამას თავისი ობიექტური საფუძველიც გააჩნია. ქართული ლიტერატურის განვითარებაზე ხომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა სრულიად არალიტერატურულმა ფაქტორებმა და მძიმე სოციალ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, უპირველესი მნიშვნელობა მის *ეროვნულობას* მიენიჭა. ლიტერატურა ხშირად განიხილებოდა, როგორც ეროვნული თვითშეგნების მამოძრავებელი ძალა, და რამდენადაც XIX საუკუნეში ქართული ცნობიერება უფრო კონსერვატიულ გარემოში, კერძოდ სოფლურ ყოფაში იყო შენარჩუნებული, ხოლო ისტორიული ორიენტირები – წარსულისაკენ მიმართული (“სახელოვანი წარსული!”) ეროვნულობაც, გარკვეულწილად, პატრიარქალურ სულისკვეთებასთან გაიგივდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოხდა ტრადიციონალისტური კლიშეების **საკრალზაცია** და ტრადიციის ცნებაც ჩვენში დღემდე შეფასებითი მნიშვნელობით იხმარება, ანუ იგულისხმება აუცილებლად რაღაც დადებითი; ტრადიციული ფასეულობანი კი (ლიტერატურული თუ არალიტერატურული) აღიქმება როგორც მარადიული ღირებულების მქონე ფენომენი – რაც, რასაკვირელია, პრინციპული შეცდომაა.

ქართული ლიტერატურის ქრონიკული ანგაჟირებულობა – სამშობლო მხარისადმი სიყვარულის დეკლარირება, გმირული წარსულის აშკარა თუ ფარული დაპირისპირება აწმყოსთან, ეთნიკური თვითმყოფადობის პოლიტიკურ კონტექსტში გადატანა – მოკლედ ყველაფერი, რაც “პატრიოტული მოტივების” ცნებაში ერთიანდება – მიჩნეული და განხილულია, როგორც მისი **ღირსება** და არა **თვისება.** ამგვარი მიდგომა სწორედ ტრადიციათა საკრალიზაციითაა განპირობებული, რასაც გარდუვალად მოჰყვება ხოლმე მათი დოგმატიზირება და პატრიარქალური სულისკვეთების, პატრიარქალური ფსიქიკის კონსერვაცია. ეს მეღავნდება არა მარტო ქართველ ლიტერატორთა მსოფლმხედველობაში, არამედ წმინდა სტილისტურ დონეზეც კი: ქართული ენის პროზა მთლიანობაში მაინც

ვერ გამოვიდა XIX საუკ. რეალისტური სტილისტიკის ჩარჩოებიდან. რასაკვირველია, ამ მხრივ არის ცალკეული მიღწევები, თანდათანობითი წინსვლაც კი შეიგრძნობა – ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე ქართული პროზის ენა გაცილებით უფრო "გამართული ქართულია", ვიდრე XIX საუკუნისა, მაგრამ აქ ლაპარაკია წამყვან ტენდენციაზე და არა ცალკეულ, თუნდაც მხატვრულ-ესთეტიკური გაგებით მნიშნელოვან რეციდივებზე. მოძველებული სტილისტიკა, როგორც შესაბამისი **ფსიქიკის** გამოვლინება, არა მარტო მხატვრულ პროზაში, არამედ ყოველდღიური ინფორმაციის გადმოცემის დროსაც კი ვლინდება. საკმარისია ყური მივუგდოთ ჩვენი ტელევიზიის რეპორტაჟებს, რომ მაშინვე კაზმულსიტყვაობის ნამდვილი კასკადი დაგვატყდება თავზე. ის კი არა, ნებისმიერი მარალჩინოსანი "რამეთუებით" იწყებს ლაპარაკს...

თუმცა, ეროვნულობისა და ტრადიციული ყოფის გაიგივება მარტო ქართული ლიტერატურისათვის სულაც არაა დამახასიათებელი. თავის დროზე ხორხე ლუის ბორხესიც ურჩევდა თანამემამულეებს, ნუ გამოეკიდებით "ნაციონალურ კოლორიტს", არგენტინა თქვენ მართლა გაუჩოები და პამპასები ხომ არ გგონიათ – წერეთ თავისუფლად, წერეთ რაზეც გინდათ, თქვენს ეროვნულობას მაინც ვერსად გაექცევითო. და ამას ამბობდა ესპანურენოვანი მწერალი, ანუ კაცი, ვინც იმ ენაზე წერდა, რომლითაც ათზე მეტი ქვეყნის ეროვნული ლიტერატურა იქმნება! ქართული ენის წიაღში კი მხოლოდ ქართული ლიტერატურა ცოცხლობს და ფაქტიურად, ჩვენთვის ერი და ენა იდენტური ცნებებია; ხოლო როცა ქვეყანაში სწორედ ტრადიციონალისტური, პატრიარქალური ფსიქიკა დომინირებს, სხვანაირი მიდგომა არცაა მოსალოდნელი – მწერლის ფსიქიკა მისივე მსოფლგანცდის გამომხატველია და პატრიარქალური სულისკვეთება, ზოგჯერ აშკარა, ზოგჯერ კი უფრო ქვეცნობიერ სიღრმეებში ჩამარხული, შესატყვისად აისახება მხატვრული ნაწარმოების სტილისტიკაშიც: ვთქვათ, როცა ქართულ თარგმანებში დიალოგების ხელოვნურობაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ჩვენი ლიტერატურის საერთო სენია – ტრადიციულად, ქართულ მწერლობაში პერსონაჟთა მეტყველება ან სტილიზებულია, ან კუთხურ დიალექტს ეყრდნობა, რასაც თარგმნის დროს იშვიათად თუ გამოიყენებ – ამერიკელი ფერმერი კახელი გლეხივით ხომ ვერ მოუქცევს და ვერც ავანტიურისტი ფელიქს კრული ილაპარაკებს კვაჭი კვაჭანტირაძის ლექსიკით. ბუნებრივი დიალოგი კი თანამედროვე თემაზე შექმნილ ქართულ თხზულებებში იმდენად იშვიათია, მაშინვე იქცევს ყურადღებას. ასე რომ, ენის გამდიდრება-განვითარების თვალსაზრისითაც, მთარგმნელობით საქმიანობას საქართველოში არანაკლები (თუ მეტი არა) მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ორიგინალურ შემოქმედებას...****

თვით ლიტერატურული მასკულტურის რიგიანად თარგმნა თუნდაც ამიტომ

**** ნიშანდობლივია — 60-იანი წწ. ქართულ პროზაზე ჰემინგუეის თარგმანებმა მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ნებისმიერმა ჩვენმა კლასიკოსმა. თუმცა ისიც ვაღიაროთ, რომ გავლენა უფრო ზედაპირული იყო: იგი, უბრალოდ, კარგად მოერგო იმდროინდელი ახალგაზრდობის სულისკვეთებას, თორემ თარგმანის *ხარისხი* აქ არაფერ შუაშია — ასე იმავე მთარგმნელის ყოვლად უნიათო "თამაში ჭვავის ყანაშიც" უაღრესად პოპულარული გახლდათ (სხვათა შორის, სწორედ *განწყობილებათა შეუსაბამობის* გამო ვერ გაითავისა ქართულმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ თუნდაც ჯოისის "ულისეს" თარგმანი).

ჰაერივით ესაჭიროება ჩვენს ლტერატურას, რადგან მასკულტურაში ყველაზე რელიეფურადაა გამოკვეთილი ბუნებრივი მეტყველება და ურბანისტული ფსიქიკა. მაგრამ, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, ეს ყველაფერი ცარიელ ლაპარაკად დარჩება, სანამ არ მოხდება პრობლემის გაცნობიერება, გააზრებული მიდგომა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების მიმართ. კერძოდ, თუკი ვაღიარებთ რომ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა მსოფლმხედველობრივი თუ სტილისტური თვალსაზრისით, როგორც წესი, XIX საუკ. მწერლურ პრინციპებს ეფუძნება, მაშინ იძულებულნი გავხდებით ისიც დავასკვნათ, რომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურა თავისი წარმმართველი ტენდენციით – ***ეპიგონურია.*** იგი იმ მუსიკალურ ინსტრუმენტს წააგავს, რომელიც სულ ერთ ტონალობაში უკრავს. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ – ამასაც აქვს თავისი ობიექტური მიზეზები: 20-იანი წლების ექსპერიმენტები ქართულ ლიტერატურაში პოლიტიკური რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიებისა და ცენზურის გამო ჩაკვდა, ლიტერატურული ცხოვრებაც იზოლაციაში მოექცა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისაგან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა. ეს ყველაფერი კარგადაა ცნობილი, მაგრამ მიზეზი, როგორი ობიექტურიც არ უნდა იყოს, ფაქტობრივ მდგომარეობას მაინც არ ცვლის; თუმცა, თავისთავად ეს ჯერ არაა ტრაგედია – სწორი დიაგნოზი ხომ განკურნების წინაპირობაა. საქმე მაშინაა ცუდად, თუ ეს დაავადება ეროვნული ხასიათის დიდ ღირსებად მიგაჩნია და თავიც კი მოგაქვს ამით!.

ალბათ ყველას არაერთხელ გვსმენია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართული ლიტერატურის ნიმუშების "საზღვარგარეთ გატანას" და უცხოეთში რომელიმე ჩვენი მწერლის წიგნი თუ გამოიცა, ამას ისე აღნიშნავენ, როგორც მთელი ჩვენი კულტურის გამარჯვებას, არადა ის თითქოს აღარავის აინტერესებს, როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამ პუბლიკაციას იქაური ლიტერატურული კრიტიკის ან უბრალო მკითხველის მხრიდან. ანკი ვინ რას იტყვის, როცა ქართველ მწერალთა თხზულებები აბსოლუტურად არ იწვევს უცხოეთის ლიტერატურული სამყაროს ინტერესს. არცერთი თანამედროვე ქართველი მწერალი, არცერთი თანამედროვე ქართველი პოეტი მსოფლიოში არ მიიჩნევა თუნდაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ფიგურად. ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში ეს, შესაძლოა, უვარგის თარგმანებსაც დავაბრალოთ, მაგრამ როგორი იდეალურიც არ უნდა იყოს "ლიტერატურული ექსპორტის" ორგანიზაცია (თანამედროვე მწერლობა იქნება ეს, თუ ლიტერატურული კლასიკა), მქუხარე ოვაციებს მაინც არ უნდა ველოდეთ. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა არაფრად ვარგა და ყველაფერი ნულიდანაა დასაწყები, მაგრამ თანამედროვე უცხოელი მკითხველისათვის ქართული მწერლობის მიღწევები კარგად ნაცნობი ლიტერატურული ტენდენციეის ტიპიური ნიმუშებია – იმ ტენდენციების, რომლებიც ევროპული კულტურის წიაღში ყოველმხივ შესწავლილი, გამოწვლილვით გარჩეული და მთლიანად გათავისებულია (ერთადერთი გამონაკლისი ამ მხრივ იქნებ ვაჟა-ფშაველა იყოს, რადგან მისი შემოქმედება აღნიშნულ ტენდენციათა ჩარჩოებში ბოლომდე ვერ თავსდება). ვთქვათ, XX საუკ. ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები, ევროპული გაგებით, XIX საუკუნის პოეტები უფრო არიან: მათი პოეტური ხელწერა, მათი მხატვრული სამყარო – ევროპაში

განვლილი ეტაპია და როცა გოგლა ლიონიძეს, ან თუნდაც ანა კალანდაძეს წარადგენ როგორც თანამედროვე პოეტს, რაგინდ ბრწყინვალე თარგმანი იყოს, ევროპელი მკითხველი ჩათვლის, რომ ეპიგონთან აქვს საქმე. გალაკტიონსაც კი იოლად "ჩასვამენ" ფრანგ სიმბოლისტთა პლეადაში...

ეპილოგი:

მოცულობით მცირე, გარნა ფრიად ანალიტიკური – სადაც უნებურად გვახსენდება პესიმისტი ინგლისელი პოეტის, ლორდისა და დენდის მკვახე შეძახილი...

ნოდარ დუმბაძის "მზიან ღამეში" არის ერთი საგულისხმო ეპიზოდი: უნივერსიტეტში, ლიტერატურის სემინარზე ახალგაზრდა პოეტი კითხულობს ლექსს, რომელიც ასე მთავრდება – კომპასის ისარი თურმე იმიტომ უჩვენებს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, რომ "ჩრდილოეთით მოსკოვი არი, ხოლო სამხრეთით – პატარა გორი" (რომელიც გულისხმება, დიდია). სემინარის ხელმძღვანელის კითხვაზე, რა ქნას სპარსელმა, ვისთვისაც მოსკოვიც და გორიც ჩრდილოეთიაო, პოეტი პასუხობს: "ჩემი ლექსი სპარსეთში არ წავა!"

და სწორედ ესაა ჩვენი კულტურული ცხოვრების ტრაგედია: ძალზე ბევრი ნაწარმოები, რომელიც დიდი ლიტერატურის ნიმუშად მიგვაჩნია, "სპარსეთში ვერ წავა". ქართული მწერლობა დღემდე დახშული სივრცეა, ხოლო ნაწარმოების შეფასებას იმის მიხედვით, თუ რა წვლილი მიუძღვის მას ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში – ლიტერატურულ კრიტიკასთან საერთო არაფერი აქვს. ლიტერატურის ეროვნულობა მხოლოდ მაშინაა ფასეული, თუ იგი "სპარსეთში წავა", ანუ სხვა ეროვნების მკითხველსაც გულზე მოხვდება – სრულიად ბანალური ჭეშმარიტება, რომელიც ისევე მივიწყებულია, როგორც ბევრი სხვა. მაგრამ როცა "*ქვევრიდან ხაპში, ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში...*" და ბევრი ამდაგვარი რამ პოეზია გვგონია, ეს უკვე კრიტერიუმების სრული აღრევის, უფრო სწორად, ყოველგვარი ლიტერატურული კრიტერიუმების არარსებობის მაჩვენებელია. არადა, საკმარისია ელემენტალური მწერლური კრიტერიუმებით მივუდგეთ როგორც თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, ისე კლასიკურ მემკვიდრეობას, რომ ლამის სისხლში გამჯდარი სტერეოტიპული წარმოდგენები ხუხულასავით დაგვენგრევა. დიდი გათვითცნობიერება არ სჭირდება იმის აღმოჩენას, რომ ვთქვათ, მიხეილ ჯავახიშვილი ან კონსტანტინე გამსახურდია არ არიან დიდი მწერლები, ხოლო "ჯაყოს ხიზნები" და "დიდოსტატის მარჯვენა" უბრალოდ, სუსტი ნაწარმოებებია. ვერც ერთი და ვერც მეორე რომანი "სპარსეთში ვერ წავა", საფრანგეთსა და ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ... ვერც მიდის.

ოღონდ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ "ვერ წავა", არამედ ის, რომ არც

გვაინტერესებს, წავა თუ ვერა.

ელემენტალურ ჭეშმარიტებათა უგულებელყოფა, საკუთარი გამორჩეულობით უსაგნო ყოყოჩობა, დილეტანტური თვითდაჯერებულობა – ლამის მესიანისტურ პრეტენზიებში რომ გადადის – მოკლედ, ნამდვილი "ლიტერატურული ზვიადიზმი" მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის მაჩვენებელია: ქართული ლიტერატურული ყოფა პროვინციალიზმითაა გაჟღენთილი. არადა, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ნამდვილად იყო ცალკეული გამობრწყინებები, სწორედ თავიანთი არაორდინალურობით, ეპიგონურ პროვინციალიზმთან დაპირისპირებით რომ იქცევდნენ ყურადღებას: მერაბ აბაშიძის "აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო", ბესიკ ხარანაულის "ხეიბარი თოჯინა", გიორგი ბაქანიძის "ორმოცი დღე და ორმოცი ღამე", აქვე გავიხსენოთ გურამ დოჩანაშვილის რამდენიმე მოთხრობა და ოთარ ჭილაძის პირველი რომანები... მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყოველივე ამან ვერ მიიღო "ფრონტალური გარღვევის" ხასიათი. ნორმალური ლიტერატურული ატმოსფეროს უქონლობის გამო ერთნი დინებას დაჰყვნენ და საერთო ნაკადში ჩაიკარგნენ, სხვები კი საკუთარი ხელწერის მრავალჯერადი განმეორებით თავისებურ ბიწიერ წრეში მოექცნენ. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველი ასეთი გაელვება სწორედ იმ "ხალასი ნიჭის" გამოვლინება უფრო იყო, ვიდრე შეგნებულად გააზრებული ქმედება.

თავი და თავი კი ისაა, რომ პროფესიონალიზმი უცილობლად გულისხმობს ***ცოდნას*** და ***გააზრებას,*** რაც საერთოდ მიუღებელია ლიტერატურის მიმართ ჩვენი კლიშირებული ფსიქიკისათვის. ჩვენ დღემდე გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ლექსი კი არ იწერება, არამედ *აღმოითქმის*, რომ უბრალოდ ნიჭიერმა კაცმა შეიძლება სულ იოლად დაწეროს შთამბეჭდავი რომანი, მთარგმნელმა მხოლოდ "ენა უნდა იცოდეს" – პროფესიული გამოწვრთნა კი ჩვენში "ხელოსნობად", ნიჭიერი კაცისათვის ლამის უკადრის საქმედ მიიჩნევა. რაც მთავარია, ეს ყველაფერი ჩვენი ლიტერატურული ტრადიციისა და ეროვნული ხასიათის შედეგი გვგონია, ანუ აბსოლუტურად არ გვესმის თავად ტრადიციულობის შინაარსი, და არც გვინდა რომ გვესმოდეს!..

ქართულ ლიტერატურულ სამყაროში დამკვიდრებული ეს ნებაყოფლობითი იზოლაციონიზმი იმავდროულად, ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსის გამოვლინებაა. არაერთი ბანალური ჭეშმარიტება იმიტომაცაა საგულდაგულოდ მივიწყებული, რომ ქვეშეცნეულად გვეშინია სიმართლის გაგების – იმ სიმართლის, ილუზორულ მყუდროებას რომ დაგვირღვევს, და **ყველაზე მეტად ამ მოჩვენებით მყუდროებას სწორედ მაღალხარისხოვანი თარგმანები ემუქრება, რადგან ერთ ენობრივ სივრცეში, მსოფლიო ლიტერატურის ფონზე, უკვე აშკარად ჩანს ქართული ლიტერატურის სიდუხჭირე**. ამ ფონში კი არა მარტო საკაცობრიო შედევრები, არამედ უაღრესად ფართო ლიტერატურული სპექტრი იგულისხმება, თვით მასკულტურის ჩათვლით. საკმარისია *ადექვატურად* ითარგმნოს თუნდაც ჰაროლდ რობინსი, და ტვინუღრძობელი მკითხველი თვალნათლივ დაინახავს – "ამერიკული ბესტსელერების მეფე", რომელსაც, სხვათა შორის, სერიოზული ლიტერატურის შემოქმედად არც არავინ მიიჩნევს –

მართლაც მეფურად გამოიყურება იმ ქართველ ნომენკლატურულ მწერლებთან შედარებით, ხელოვნების მეტრებად რომ მოაქვთ თავი... ამიტომაც რა გასაკვირია, თუკი ამხელა ვაი-უშველებელია ატეხილი და ლამისაა გლოვის ზარებიც დაარისხონ საქართველოში "იაფფასიანი ლიტერატურის მოძალების" გამო – კარგად თარგმნილი დასავლური მასკულტურა მომაკვდინებელი დარტყმაა ადგილობრივი მასშტაბის კალმოსნებისთვის. რაც შეეხება მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეულ ქმნილებებს, მათი მნიშვნელობა არსებულ ვითარებაში ერთიორად იზრდება: მაღალ პროფესიულ დონეზე თარგმნილი ლიტერატურის სიუხვე ყველაზე თვალსაჩინო საბუთი იქნებოდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ეპიგონური სულისკვეთების წარმოსაჩენად; მაშინ ამის ხმამაღლა განცხადება არამც და არამც არ გაიჟღერებდა მკრეხელობად, არამედ აღიქმებოდა როგორც ფაქტის უბრალო კონსტატაცია...

PS: ჩვენში შექმნილ მდგომარეობაზე მართლაც დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი – ეს ისეთი თემაა, რომელსაც ერთი ალმანახი, მით უმეტეს ერთი წერილი ვერ ამოწურავს. თუმცა ისტორია ალბათ ყველაფერს თავის კუთვნილ ადგილს მიუჩენს, გავა დრო და ყველაფერი დალაგდება, ოღონდ თუ ხელი არ გავანძრიეთ, კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება ასეთი ანომალიური მდგომარეობა და კიდევ რა შედეგებს მოიტანს. დროა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი მთავარი მტერი ჩვენივე მთვლემარე გონებაა – საკმარისია სულ რამდენიმე ელემენტალური ჭეშმარიტების აღიარება, რომ ჯაჭვური რეაქციით მთელი მანკიერი სისტემა დაირღვეს, რადგან, როგორც დასაწყისშივე ვთქვით, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული და ჩვენი ბრალი არაა, თუკი ჯეიმზ ბონდის რეაბილიტაციას ქართული ლიტერატურის ბევრი "კლასოკოსის" დისკრედიტაციამდე მივყავართ. მართალია, ეს მტკივნეული პროცესია, მაგრამ სხვანაირად, პოპულარული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, "ჩვენი საშველი არ იქნება". სიმართლეს, ბოლოს და ბოლოს, თვალი უნდა გავუსწოროთ: *"იწრო არს ყოფა ბატონებო, რომლითაც ტკბებით – ნუ გეზმანებათ ოკეანედ პაწია ტბები..."* *****

დავით ზყარაძიშვილი

***** ბაირონი, პოემა "დონ ჟუანის" წინარე წამძღვარებული მიმართვიდან "ტბის სკოლის" პოეტებისადმი (რედ. შენ.)

მოთხრობები

რეტრო:
დეიმონ რანიონი — ორი ნოველა

სატირა:
ბორის აკუნინი — 'მოთხრობები ჭკუაუხმართათვის'

იუმორი:
პეტერ კარვაში — 'ამირბარ მოროს რაპორტი'



დეიმონ რანიონი

ერთი უიღბლო სიყვარულის ამბავი

ზამთრის ცივი საღამოა. მანჰეტენის ხიდზე მომავალ მანქანაში სამი ბრუკლინელი ჯეელი ზის და სამივეს ერთი სული აქ, ვინმე ბონი მაკ-კარტი მოიგდონ ხელში. ბონის მთელი ბროდვეი იცნობს, საქმეც კარგად აიწყო და ყველას სჯერა – ფარსაგი რამე თუ არ შეემთხვა, დიდი კაცი გახდება ჩვენი ბონიო. ისე, რო იცოდეთ, იმპორტზე მუშაობს – კანადიდან ხარისხიანი სასმელი შემოაქ და აქ ყიდის.

სიმპათიური ბიჭია ბონი, ჭკუის კოლოფი, საჭირო ხალხსაც იცნობს; ოღონდ ეგაა – ზოგ-ზოგები თვლიან, სიფრთხილე ღალატობს, რაღა მაინცადამაინც ბუღა ენჯის ტერიტორიაზე იჭრება ბრუკლონშიო. მართალია, ბუღა ენჯი ძირითადად რეკეტს მისდევს და წამალსაც ასაღებს შიგადაშიგ, მაგრამ სასმელითაც ხო ვაჭრობს? არაჯანმრთელი კონკურენცია კიდე არავის ჭირდება უბანში.

მაკ-კარტის წამალი სულ არ აინტერესებს, რეკეტი – ოდნავ, მაგრამ მთავარი ისაა რო მაგარი ვინმეა და ალალად სჯერა, ბრუკლინის სარფიან ბაზარზე საქონლის გატანას ვერავინ დამიშლისო; მით უმეტეს, მისი სასმელი ენჯისას ერთი თავით ჯაბნის.

მოკლედ, იმ სამი მასტიდან, მანქანაში რო სხედან, ერთი ბუღა ენჯია, მეორე – კაიფა მაქსი, ადგილობრივი ავტორიტეტი, შეიძლება ითქვას; და მესამეც ვინმე ბობი მაზალო – მაგაზე ამბობენ, ნიჭიერი ბიჭია, ბევრი ისეთი რამ ეხერხებაო, ოღონდ მე კი რაღაც არ მეხატება გულზე – მართლა მაზალო სიფათი აქ და იმიტო.

მაზალოს ხელში ჯვალოს ტომარა მოუმარჯვებია – მაგ საქმის ვიწრო სპეციალისტად ითვლება. ბრუკლინში მაგარ შაყირში გადის, ვინმეს თუ გაკოჭავენ, ტომარაში უკრავენ თავს და მერე სადმე მოაყუჩებენ კარგა ხნით. მე თუ მკითხავთ, ცარიელი მატრაბაზობაა და უაზრო ღადავი, ოღონდ ბუღა ენჯისა და მისი ამფსონებისაგან უკეთესს რას უნდა ელოდო – მართლა რო ხისთავები არიან სამივე.

ეტყობა, ბონის ასავალ-დასავალი კარგად დაუმუღამებიათ: საღამოობით, ასე 10 საათისთვის, ბონი 54-ე ქუჩას ჩაივლის, პარკ ავენიუზე გაუხვევს და ღამის კლუბ *'ჩიტირეკიას'* სტუმრობს ხოლმე. იქ ცხოვრებაში გამოსული ტიპები ტასაობენ. ბონი კლუბის წევრია, თანაც ევასება, სმოკინგში რო ჩაიზმანება და იქაურ ლამაზმანებს ტარაბუას ახვევს.

ხოდა, ეს ბრუკლინელი ჯელები მაკ-კარტის მოწვავენ თუ არა, ბუღა ენჯი და კაიფა მაქსი გადაჭრილი ლულებიდან წამსვე ჟაკანს უშენენ, მაზალო ბობი კიდე ჯვალოს ტომარას ისე აფრიალებს, ეტყობა გონია, ბონი მაკ-კარტი ჩაისვრის, ისკუპებს და თავისით ჩახტება ტომარაშიო.

მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩვენი ბონი ვინმე დაბდურის ერთი არ გეგონოთ! ჟაკანი რო ყურთან ჩაუწივლებს, წამში აზრზე მოდის, აგურის კედელს გადაევლება და ვიღაცის ეზოს შეაფარებს თავს. ბუღა ენჯი, კაიფა მაქსი და ბობი მაზალო მანქანიდან გადმოცვივდებიან და კედელს ეკვრიან – ფიქრობენ, მაკ-კარტი შეიარაღებული იქნება და მოფარებულიდან სროლა თუ აგვიტეხა, კაი დახლიც დაგვიდგებაო.

არადა, ბონი ხო უიარაღოა: ვერ იტანს, წელში გამოყვანილი სმოკინგი დამბაჩის ტარმა თუ გამოუბურცა. ხოდა, მთელი ამბავიც სწორედ აქედან იწყება – თვითონ ბონიმ მიამბო, დიდ პატივს მცემს და იმიტომ: რამდენი წელი გავიდა და არსად წამომცდენია, მისი სრული სახელი რო *ბონიფაციუსია...*

ხელცარიელი ბონი რო კედელს გადაახტა, ის კედელი ერთ ძველ, ორსართულიან, მოუვლელ სახლს არტყია და იქ ერთი ბებერი კუკლა, ქ-ნი ანაბელა ბერკლი სახლობს; გაზეთებს თუ დაეჯერებათ, ანაბელა ბერკლის იმდენი მაყუთი აქ, დათვლა რო დაიწყოთ, ნაღდად ტვინს იღრძობთ – განსაკუთრებით თუ თავად ქესატადა ხართ მაყუთზე.

ანაბელა ბერკლის ფარა მამიკომ, უოლდო ბერკლიმ უანდერძა. დიდი შებერტყილი ვინმე იყო და მაგარი დასტაც მოხია თავის დროზე. აუთვისებელ მიწის ნაკვეთებს ყიდულობდა ქალაქში – იაფად, რაღა თქმა უნდა – და მერე ცეცხლის ფასად ყიდდა. ახლა რაც აქ მაღაზიები, სასტუმროები და რესტორნებია, სულ მაგის მიწაზეა გაშენებული. ოღონდ დიდი ახირებული ვინმე კი იყო ეგ მოხუცი ბერკლი: ქალიშვილს არათუ გათხოვებას, გათხოვებაზე ფიქრსაც უკრძალავდა. მერე დრო გავიდა, უოლდო ბერკლიმ თქვენი ჭირი წაიღო, ანაბელაც დაბერდა და ოჯახის შექმნის საკითხი საერთოდ აღარც ახსოვდა. მაგიორში, ხუშტურები დაჩემდა ისეთი, მტერს.

ხოდა, იმას ვამბობდი, ქალბატონი ბერკლისა მთელ დუნიას სულ ქინძზე იკიდებს, აღარავის ენახვება, მათ შორის არც ნათესავებს, რომლებიც რას არ ჩალიჩობენ, როგორმე ანაბელას მაყუთი შეაწერონ; არადა მოგეხსენებათ, თუ ადამიანი ვინმეს ეუბნება, შენი ნახვა არ მეკაიფებაო, ის ვინმე იმ ადამიანს ახირებულის სახელს ანათლავს ხოლმე. ასეთი ნათლობა კი ყველაზე კარგად პირში ჩალაგამოვლებულ ნათესავებს ეხერხებათ, ცხადია. ახლა იმ დიდ სახლში ანაბელა მარტოდმარტო ცხოვრობს, ორად-ორი ბეხრეკი მსახურის იმედად. გარეთ იშვიათად გამოდის და ხალხიც ათას ჭორ-მართალს ყვება მასზე.

მაშ ასე, ბონი მაკ-კარტი სწორედ იმ სახლის ეზოში ცემს ბოლთას და ერთი სული აქვს, იქედან დაითესოს, მაგრამ კედელზე გადაძრომა არ ეპრიანება

– აზრობს, იქეთა მხარეს ბუღა, კაიფა და მაზალო დახვდებიან, ასარჩევად კიდე – ან ჯვალოს ტომარა, ან გადაჭრილი ლულა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, გასაქცევ გზას ვერ პოულობს; ამასობაში კედლის ძგიდეზე თოფის ლულა იჩითება, მერე – ბუღა ენჯის მურდალი სიფათი. ბონი გულზე სკდება, ასე ღლაპივით როგორ გამომიჭირესო. სიტუაციაა, ნუ იტყვით.

უცბად ჩითავს, სახლს ერთი პატარა კარიც აქვს, გვერდზე. ბონი ალალბედზე ეპოტინება სახელურს, კარი იღება და ბონი მაკ-კარტი უცაბედად ერთ დიდ დარბაზში ამოყოფს თავს. იქაურობა სულ ანტიკვარიატითაა გაწყობილი, კედლებზეც ძველებური სურათები კიდია, აქა-იქ რაღაც ქანდაკებებიც ჩანს. კუთხეში უშველებელი საათია მიდგმული, ლამის ჭერამდე უწევს. ერთი სიტყვით, მდიდრული და საკაიფო ადგილია, ბონი კიდე გაშტერებული იყურება – ეგონა, ამ იდუმალ სახლში აბლაბუდების, გამომპალი ავეჯისა და ვამპირების მეტი ან რა უნდა იყოსო.

ვამპირებისა რა გითხრათ და ვიღაც ტანჩია, ბებერ კუკლას კი ხედავს: ქალბატონს თეთრი კაბა აცვია, სავარძელში ზის და ბუხარს ეფიცხება. ერთი პირობა ბონი იმასაც კი ფიქრობს, სანამ ყვირილი არ აუტეხია, იქნებ ადგილზევე გავთიშოო, მაგრამ ამ დროს ბებერი კუკლა ბონის შეხედავს, თბილად გაუღიმებს და ეუბნება:

– საღამო მშვიდობისა!

ბონი არ პასუხობს, იმიტო რო ასეთ საღამოზე ენა არ მოგიბრუნდება კაცს, "მშვიდობისაო", რო თქვა. შუა ოთახში დგას და არ იცის, რა მოიმოქმედოს. ბებერი კუკლა ისევ იღიმება და ანიშნებს, ჩამოჯექიო.

სულ მალე მაკარტიც ბუხართან ზის და კუკლას ეღადავება. ეს, რაღა თქმა უნდა, ქალბატონი ანაბელა ბერკლი გახლავთ. უცნობი ჯეელი სახლში დაუკითხავად შეუვარდა, ანაბელას კი არც შიში ეტყობა, არც გაკვირვება. სიმართლე თუ გინდათ, ბონი მაკ-კარტი ისეთი ჯიგარია, თან ისეა დაზმანული, კუკლა მაგარ კაიფში ვარდება.

გაზეთებს ბონიც კითხულობს – კარგად იცის, ვინაა ანაბელა ბერკლი და ფიქრობს, მაგარი შერეკილიაო. აბა, ამდენი მაყუთის პატრონი იყო და სახლში გამოიკეტო?! გადი, გამოდი, ქალაქში მაინც გაიარე – ნახე ხალხი რას გრიალებს... ამას კი ფიქრობს, მაგრამ ზრდილობიანად იქცევა, სტუმარია მაინც.

– რა ახალგაზრდა ხართ, – ამბობს ანაბელა და ბონის სიფათში შეყურებს. – რა ხანია, ამ სახლის კარი ახალგაზრდას არ გაუღია, რა ხანია...

ისე ღრმად ოხრავს, ისეთ გატეხილშია, ბონი მაკ-კარტის გული უკვდება.

– 45 წელი გავიდა, – მოხუცი ისე ჩურჩულებს, თითქოს საკუთარ თავს

ელაპარაკებაო: – ახალგაზრდა იყო, სათნო და სანდომიანი...

ბონის კიდე ლულაგადაჭრილი თოფი და ბუღა ენჯის სიფათი უდგას თვალწინ, მაგრამ უნებურად იტაცებს ის ნაღვლიანი ამბავი, ბებერი კუკლა რო უყვება: ანაბელას სიგიჟემდე ყვარებია ერთი ახალგაზრდა, მამისის კომპანიაში რო მუშაობდა უბრალო კლერკად.

და როგორც ბონიმ მერე მითხრა, არც არაფერი სჭირდა თურმე იმ ბიჭს ისეთი, ერთ-ორ ლიმონს რო ვერ ეშველა, მაგრამ ანაბელას მამა იმგვარი ბოღმის ბუკეტი იყო, არაფრის გაგონება არ სურდა. ახალგაზრდები გულს მაინც არ იტეხდნენ: ბებერი უოლდო რო ლოგინს მიაშურებდა, ჯეელი ეზოდან შემოიძურწებოდა ხოლმე და თავის კუკლას ჩაეფსკვნებოდა. მერე ისხდნენ ასე, ბუხართან, ხელიხელჩაკიდებულნი და მომავალზე კაიფობდნენ – გეგმებს აწყობდნენ, როგორ დაიწერდნენ ჯვარს მას მერე, რაც ბებერი უოლდო საიქიოში წაიღებდა წერილს.

ერთხელაც უოლდო მუცლის თუ რაღაც ოხრობის ტკივილმა გამოაღვიძა უდროო დროს, ადგა და სასტუმრო ოთახს მიაშურა – რომს, ბურბონს თუ ვინ იცის, რა ღვთის რისხვას ეძებდა. იქ კიდე ნორჩი ანაბელა და მისი გულის ვარდი არ გაჩითა?! ისე იყვნენ ჩახუტებულ-ჩაწებებულები ერთმანეთს, ლურსმნით მიჭედებულები გეგონებოდათ.

უოლდო ბერკლიმ სულ ნაპერწკლები ყარა თვალებიდან, ჯეელს უბრძანა – არც აქ, არც ჩემს ოფისში თვალით აღარ დამენახოო და გააპანღურა გარეთ. გარეთ კიდე ისეთი ქარბუქი ტრიალებდა, ძაღლს არ გააგდებდა ღვთისნიერი კაცი. ანაბელა თურმე მამამისს ემუდარა, დილამდე მაინც დარჩეს აქაო, ამ უბედურებაში გზა-კვალს ვერ გაიგნებსო, მაგრამ ბებერ უოლდოს სულ მათი მტლაშა-მტლუშის სცენა ედგა თვალწინ, თან მუცელი გვრემდა, თან ისედაც გვარიანი მუტრუკი ვინმე იყო და ამიტომ პირველ ჩვენებას მიაწვა: ჯეელს თავი ქუჩაში უკრა და კარიც მიუჯახუნა.

დილაზე ის ჯეელი ეზოს ჭიშკრის ახლო იპოვეს, ფიცარივით გაშეშებული. ქარაშოტში გზა ვერ გაეგნო უბედურს, მობრუნებულიყო, ვინძლო უკან შემიშვანო, ბაგრამ უოლდოს ყველა კარი ჩაერაზა; იმის ბრახუნსა და ყვირილს კიდე იმ ქარბუქში ვინ გაიგონებდა?

– იმის მერე, – ანაბელა ბონის ეუბნება, – მამაჩემისთვის ხმა აღარ გამიცია და არც ამ სახლში შემოუდგამს ფეხი ვინმე მამაკაცს. თუმცა მაგ კარს ყოველთვის ღიად ვტოვებ, ეგების ვინმე გაჭირვებულმა შემოაღოს-მეთქი.

ამას ისე ამბობს, ბონისაც რაღაც ისეთი თვალით შესცქერის, ჩვენს ბონის ეჭვი უჩნდება, თოფის ხმა ხო არ გაიგონაო, მაგრამ ზრდილობიანი ბიჭია და ზედმეტი კითხვებით მასპინძელს თავს არ აბეზრებს. ძველი ამბების გახსენება კიდე ანაბელას ხასიათს უფუჭებს, ცრემლები უკვე ღაპა-ღუპით ჩამოსდის... აღრეც გითხარით, ბონი მაკ-კარტი მაგარი ბიჭია-მეთქი, არაფერს ეპუება, ოღონდ ერთი

სისუსტე კი სჭირს: ვერ იტანს, როცა კუკლა ტირის – გინდ ახალგაზრდა იყოს, გინდ ხანმოთეული. ხოდა, ანაბელას გულს უკეთებს, მკლავზე ხელს უთათუნებს და ასეთ რამეს ეუბნება:

– თქვენი გამკვირვებია, რომ ამბობთ აქ არავინ მოდისო! ძვირფასო, ეგ რო მცოდნოდა, აქ ასეთი ლამაზი კუკლა ცხოვრობს, თანაც კარი მუდამ ღიაა, ვერაფერი დამაკავებდა, ყოველ ღამე შემოვაჭრიდი! დამშვიდდით, ცრემლი შეიშრეთ, ერთად ვიყოთ და გული გადავაყოლოთ – მით უმეტეს, რომ აქ კაი ხანი მომიწევს ყოფნა... ერთი ეს მითხარი, ლამაზო – ამ სახლში დასალევი თუ მოიძებნება?

ამ სიტყვებზე ანაბელა ბერკლის ეღიმება, ცრემლს იწმენდს, რაღაც ფოჩიან ბაწარს ქაჩავს და ზარს აწკარუნებს. ოთახში ასე, ოთხმოცდაათიოდე წლის სარგადაყლაპული მასტი შემოდის, ბონის რო დაჩითავს, გაოცებისაგან პირს აფჩენს, ცალი თვალი ალთას გაურბის, ცალი – ბალთას. ანაბელა ეუბნება, საუკეთესო ღვინო და შებოლილი ორაგულის ბუტერბროდები მოგვართვიო. ის კიდე ლენჩივით მარტო თავს აქიცინებს, შოკშია. თან მთვრალივით ბარბაცებს, კარში გასვლის მაგივრად კინაღამ კარადაში შედის. ოღონდ მალევე მოდის ჭკუაზე და სარდაფიდან ისეთი ღვინო ამოაქვს, ბონი ჭკუას გადადის. ერთი პირობა ისიც კი გაუელვებს თავში, ეზოს კარი მაინც არ იკეტება, იქნებ ხვალ ჩემი ბიჭები გამოვაგზავნო და სარდაფი გავატეხინოო. შანსი არაა, ათმაგიც რო დაადოს, ასეთ ღვინოს კლიენტები ხელიდან გამოსტაცებენ...

ბონი მაკ-კარტი და ანაბელა ბერკლი ბუხართან სხედან, ღვინოს წრუპავენ და შებოლილ ორაგულს შეექცევიან. ბონი ხან ამ მთისას ყვება, ხან იმ ბარისას, თანაც ამბავს შიგადაშიგ ცოტა აშალაშინებს, ანაბელას ძალიან რო არ ეხამუშოს. ბებერ კუკლას კიდე მაგრად უსწორდება, გულიანად იცინის და არის ერთ ამბავში.

ბოლოს ბონი აზრზე მოდის, ბუღა ენჯი და მისი კუდებიც, იმ თავიანთი გადაჭრილი თოფითა და ჯვალოს ტომრით სადმე წაეთრეოდნენ უკვეო და ანაბელას ემშვიდობება. ის კიდე თავად აცილებს, ოღონდ ეზოს კარამდე კი არა, სადარბაზომდე. ბონის ბროდვეის რომელიღაც თეატრში ნანახი ერთი სცენა ახსენდება, მასპინძლის ხელი ტუჩებთან მიაქვს და ეამბორება. ანაბელა ბერკლი გაშტერებული უყურებს, ბონის კიდე საკუთარი თავისა თვითონაც უკვირს.

ქუჩაში მართლა აღარავინ ელოდება, ბონი გზას განაგრძობს და მალე *ჩიტირეკიაში* იჩითება. ხედავს, იქაური კლიენტები უკვე ნერვიულობენ, ვაითუ ბონიბიჭმა მართლა მაზალო ბობის ტომარაში ამოყო თავიო. ერთი ვინმე კი ბონის ციმციმ ეუბნება, ბუღა ენჯი ამჟამად 49-ე ქუჩაზე, ლოთიანი ჩარლის დუქანში ბაირამობს, ყველას სასმელით უმასპინძლდება და იკვეხნის – იმ თქვენ ნაქებ ბონი მაკ-კარტის ისეთი დღე ვაყარე, კუდამოძუებული გარბოდა, კედლებს სულ კურდღელივით ახტებოდაო. ეს რო ესმის, ბონის მა-ა-გრა უტყდება...

ბუღა შუა სმაშია, ისევ ისე შაყირობს, ბონი სიმაღლეზე ხტომაში ვავარჯიშეო. ამ დროს ლოთიანი ჩარლისას იარაღმომარჯვებული მასტი შემოდის და

ბუღა ენჯის ოთხ ტყვიას ისე სწრაფად აჭედებს ბეჭებში, *'ვაიმეს'* თქმასაც ვერავინ ასწრებს. ამას გარდა, ის მასტი ერთ ტყვიას კიდე კაიფა მაქსს ახლის და ერთსაც – ბობი მაზალოს. რაღაც ხუთიოდე წამის წინ სამივე მაგარ კაიფში იყო, ახლა კი ბუღა ლურსმანივით უსულო გდია, მაზალო – ბუღაზე ორჯერ უფრო მკვდარი, კაიფა მაქსს კიდე გახვრეტილი ფეხი გაუჩაჩხავს და იქაურობას კივილით იკლებს. იმ მასტის გარეგნობა, რაღა თქმა უნდა, არავის ახსომდება, იმ ერთი-ორი ჩამშვების გარდა, იქაურებში "კრუხებს" რო ეძახიან. აი, ეს შინაური ფრინველები უკაკლავენ პოლიციას, მომხდური თვით ბონი მაკ-კარტი იყოო.

პოლიციასაც მეტი რა უნდა! დილა თენდება და ბონი მაკ-კარტის აპატიმრებენ. როგორც გითხარით, ბონი გამოჩენილი პიროვნებაა, პოლიციაშიც კარგად იცნობენ და უეჭველია, მკაცრადაც დასჯიან, იქნებადა ელექტროსკამზეც დასვან. ბონი ჰაიმ გოლდსტაინს ქირაობს – ეს გოლდსტაინი ქალაქში საუკეთესო ადვოკატად ითვლება, ოღონდ ისიც კი ორჭოფობს და ერთთავად იმას გაიძახის, მაკ-კარტი გვარიანადაა გაბმულიო. გაზეთები ბონის სურათებითა და მისი ამბებითაა აჭრელებული, რეპორტიორები მაკ-კარტის აუგად იხსენიებენ.

ბოლოს და ბოლოს ბონისაც ეჭვი უჩნდება – ჩემი საქმე მართლა ცუდად უნდა იყოსო, თუმცა ეგეთ წვრილმანს, როგორიც განზრახ მკვლელობის ბრალდებაა, ადრე აინუნშიაც არ აგდებდა ხოლმე. პროკურორიც მაკ-კარტის თავდებით გამოშვებას აჭიანურებს, სრული ორი კვირა ვირის აბანოში აყურყუტებს, ეს კიდე ისეთი ფაქიზი ბუნების ადამიანში, როგორიც ბონი მაკ-კარტია, მკვეთრად უარყოფით ემოციებს იწვევს.

სასამართლო იწყება და ვისაც არ უნდა კითხო, ყველა იმას გეტყვის – მაკ-კარტის სასჯელი არ აცდებაო. მერე ჩამშვებების რიგი დგება და უკვე კითხვაც არ უნდა, ისედაც ნათელია რა შავ დღეშიცაა ჩვენი ბონი. "კრუხები" ჩვენებას იძლევიან: 5 იანვარს, ზუსტად შუაღამეს, ეჭვმიტანილი ლოთიანი ჩარლის დუქანში გაიჩითა და ბუღა ენჯი, კაიფა მაქსი და ბობი მაზალო "დაპლომბაო". მერე კიდე რამდენიმე მოწმეც გამოიქექა და ისინიც ადასტურებენ – ასე, 12 საათისთვის, ჩარლის ბუნაგის მიდამოებში, ბონი მაკ-კარტი მოვწვითო.

ყველა ასე ფიქრობს: თუ ჰაიმ გოლდსტაინმა ბონის ელექტროსკამი ააცილა, მართლა მაგარის რამე ვექილი ყოფილაო.

საღამო ხანია, სიტყვა დაცვას ეძლევა. გოლდსტაინი ფეხზე დგება, გადაჭედილ დარბაზს ავლებს თვალს და აცხადებს: *მოწმე – ქ-ნი ანაბელა ბერკლი! თხოვეთ შემობრძანდეს დარბაზშიო...*

თავიდან აზრზე ვერავინ მოდის, ვის იძახებს დამცველი, თუმცა სახელი და გვარი კი ყველას ეცნაურება. კარი იღება და შავ კაბაში გამოწყობილი ტანჩია, ბებერი კუკლა შემოტანცავდება. თავზეც შავი ქუდი დაუკოსებია, თეთრი თმები და თეთრი პირისახე ჩარჩოში ჩასმულს მიუგავს.

მოგვიანებით ერთ გაზეთში წავიკითხე, სასამართლო დარბაზში ქალბატონი

ბერკლი ისე მომხიბლავად გამოიყურებოდა, სპილოსძვლის მინიატურიდან ცოცხლად გადმოსულს ჰგავდაო. სხვას აბა რას დაწერდნენ – ანაბელა ისეთი მაყუთის პატრონია, რომელი ჟურნალისტი გაბედავს ბებერ კუკლას ბებერი კუკლა დაუძახოს?!

ანაბელა ბერკლის თან ბებერი მასტების მთელი ამალა ახლავს – იფიქრებდით, მოხუცთა თავშესაფარში მოვხვდიო. ყველა ფრაკებში, გახამებულ-საყელოიან პერანგებსა და პეპელა ყელსახვევებშია ჩაზმანული. ესენი თურმე საქვეყნოდ ცნობილი იურისტები არიან, ყველანი ანაბელა ბერკლის ინტერესებს იცავენ, უმთავრესად ერთმანეთისაგან.

სასამართლოში ასეთი ჩოჩქოლი და რევერანსები ჩემს დღეში არ მინახავს. თავად მოსამართლეც კი ფეხზე დგება და ქალბატონ ბერკლისას თავს უკრავს. ანაბელა მოწმის ადგილს იკავებს, მის ირგვლივ ბებერი ადვოკატები სხდებიან. ქუჩაში ისეთი აყალმაყალია, ძაღლი პატრონს ვერ ცნობს. ხმა დაირხა, სასამართლოში ანაბელა ბერკლი გაიჩითაო და მთელი ქალაქი აქეთ მორბის. ყველას უნდა შტატში უმდიდრეს ბებერ კუკლას თვალი შეავლოს.

დარბაზი თანდათან წყნარდება და გოლდსტაინი ანაბელა ბერკლის მიმართავს:

– ქალბატონო ბერკლი, თუ არ შეწუხდებით, ორ-სამ კითხვაზე უნდა მიპასუხოთ. თან გახსოვდეთ, მოწმის ფიცი რომ გაქვთ დადებული... შეხედეთ ბრალდებულს, – ხელს ბონისკენ იშვერს, აგრძნობინებს, ადექიო. – ამ კაცს თუ იცნობთ?

ანაბელა თანხმობის ნიშნად თავს უქნევს. ბონი ბებერ კუკლას ყურებამდე პირგახეული უღიმის. გოლდსტაინი თავისას განაგრძობს:

– 5 იანვარს, ღამით, ეჭვმიტანილი თქვენს სახლში იმყოფებოდა?

– დიახაც. – პასუხობს ანაბელა ბერკლი.

– იმ ოთახში, სადაც თქვენ ისხედით, საათი თუ გაქვთ?

– დიახ. – ისევ დადებითად პასუხობს ანაბელა ბერკლი, – კედლის დიდი საათი დგას.

– თუ შეამჩნიეთ, რა დროს აჩვენებდა საათი, როცა ეჭვმიტანილი თქვენგან წავიდა?

– შევამჩნიე, როგორ არა, – ამბობს ანაბელა. – 12 საათი იყო, ზუსტად 12.

ეს განცხადება დარბაზში დიდ გამოცოცხლებას იწვევს: თუკი ბონი მაკ-

კარტი ქალბატონ ბერკლის სახლიდან 12 საათზე გამოვიდა, ვერაფრით მოახერხებდა იმავდროულად ლოთიანი ჩარლის დუქანში გაჩითულიყო, რადგან ამ ორ წერტილს შორის მანძილი კარგა ხუთი კვარტალით განიზომება, ავტომანქანა კი ჩვენს ქალაქში გვარიანი იშვიათობაა და ვერანაირად ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველი. მოსამართლე პოლიციელებს სათვალეებს ზემოდან უბღვერს, პოლიციელები დამსმენებს თვალებით ჭამენ; სიფათებზე აწერიათ, აქედან რო გავლენ, რა კვერცხებსაც დაადებინებენ ამ "კრუხებს".

პროკურორი და მისი თანაშემწეები უხერხულად იშმუშნებიან, მსაჯულები ერთმანეთს ეჩურჩულებიან... ჰაიმ გოლდსტაინი აცხადებს, ჩემი კლიენტი უდანაშაულოა, ბრალდება მოუხსენითო. მოსამართლე ეთანხმება, თან თავის მხრივ უმატებს, დროა, პოლიცია ცოტა აზრზე მოვიდეს, უბრალოსა და ბრალიანის გარჩევა ისწავლოსო.

ბონი მაკ-კარტის ათავისუფლებენ. სანამ დარბაზიდან გავიდოდეს, ქალბატონ ანაბელა ბერკლისთან მიდის, ხელს არმევს და მოკრძალებულად მადლობას უხდის. ტყუილს ვერ ვიტყვი, მე თვითონ არ გამიგონია, მაგრამ ვინც ყური მოკრა, იმან მითხრა – ანაბელა ბონის ეუბნება თურმე:

– რომ მოიცლით, მინახულეთ. აუცილებლად.

– რა სათქმელია, აუცილებლად გესტუმრები, ლამაზო. – პასუხობს ბონი, – ზუსტად 12 საათზე.

მერე ბონი მაკ-კარტი თავისი გზით მიდის, ანაბელა ბერკლი – თავისით. ქალაქში ხმა დაირხა, ქალბატონმა ბერკლიმ მაგრად გაასწორა, სამართალს პური აჭამა და უდანაშაულო ბიჭი სიკვდილს გადაარჩინაო.

არადა, მე თუ მკითხავთ, ბონი მაკ-კარტი კიდე ბედს უნდა უმადლოდეს, ბებერმა კუკლამ რო სასამართლოში ბევრი აღარ იბლატავა და არ დააზუსტა, რო ის მისი შეყვარებული ჯეელი სწორედ ღამის 12 საათზე გაწირეს გასათოშად, რო ანაბელამ ყველა მისი საათი ამ დროზე გააჩერა, და რო აგერ უკვე 45 წელია, ქალბატონ ბერკლის სახლში ყოველთვის 12 საათია...

თარგმანი: ვალერი ჯაფარიძე

მამენტ, ეგრეა!..

ერთ მშვენიერ საღამოს, ბროდვეიზე, ცაცია დაგლასის ბარში ვზივარ და გულიაშს ვათოხლავებ. ვისაც არ უნდა კითხო უბანში, ყველა გეტყვის რო დაგლასის უნგრელი მზარეული ისეთ გულიაშს ამზადებს, თითებს ჩაიკვნეტ.

ვზივარ და ჩემ ჭიას ვახარებ: დაგლასის საფირმო თოხლს შევექცევი, თან იმდღევანდელ გაზეთს ვათვალიერებ. გავიხედე, ბარში ვიღაც ტიპი შემოიძურწა, ჩემ მაგიდასთან ჩამოჯდა და იმანაც გულიაში შეუკვეთა. ერთი გადავხედე და ისევ გაზეთში ჩავრგე თავი. დოღის ამბებს ვამუღამებ და გულიაშს ვაგემოვნებ. უცებ რაღაც მაზალო ხმა მესმის. თავი ავწიე და რასა ვხედავ – ეს ტიპი ღლაპვით არ იწირპლება?! ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის სიფათზე და გულიაშის თეფშში წკაპა-წკუპი გააქვს.

გაზეთი განზე გადავდე და კარგად დავაკვირდი: ციცქნა ჯეელი იყო, მეტრნახევარზე ცოტა მაღალი. ერთ კაი ინდაურზე მეტი არ იქნებოდა წონით. უაზრო ფერის თმა ქონდა, თაგვის კუდივით წვრილი ულვაში და ძაან გატეხილი გამოხედვა. ყავისფერი კოსტუმი ეცვა და ნეხვისფერი შლაპა ეხურა. ეტყობა, ამ უბნელი არ იყო – ჩვენში ეგეთ გოიმურ ქუდებს არ ატარებენ.

ვუყურებ და ვერ გამიგია რა ჭირს ამ უბედურს, ის კიდე ხმას არ იღებს, ზის ბაიყუშივით და ცრემლად იღვრება. ჰა-ჰა და გულიაშიან თეფშს გააპიპინებს. ველარ მოვითმინე და ვეუბნები:

– იუზგარ, თუ თოხლი გიტეხავს, ცრემლები მოიწმინდე, ემანდ მზარეულმა არ დაგინახოს! კაცს გულიაშის მეფედ მოაქვს თავი, იფიქრებს, ჩემი ნახელავი არ დაევასაო, აიღებს და მაგ მათლაფას თავზე დაგამხობს.

– არა, კერძს რას ვერჩი, – ეს მტირალა ქონდრისკაცი მეუბნება და ხმაც ულვაშივით უწვრილდება: – მე ჩემ ცხოვრებას დავტირი... მითხარი, ოდესმე გყვარებია ვინმე?.

წამში ვიაზრე, რაც ჭირდა ამ საცოდავს. ეგ ბაზარ-ვაგზალი ხო ადამის და ევას დროიდან მოდის. ის ცრემლები რო მოაქუჩო, რაც ამ უბნის შეყვარებულებს დაუღვრიათ, მთელ ბროდვეის წალეკავს. მე, პირადად, ამნაირი ჭრელი ბაზრის არა მჯერა და არც არასდროს მჯეროდა. ამ წრიპა კლიენტსაც ეგრე ვუთხარი, იმან კიდე ხელები გაასავსავა:

– თქვენ რომ დებორა უიმზის იცნობდეთ, ასე არ იტყოდითო, – მეუბნება.

დებორა უიმზი ახსენა თუ არა, უფრო მოუშვა ონკანი. იმხელა კურ-

ცხლები გადმოყარა, მართლა შემაღონა. მერე, ცრემლების მარაგი რო შემოელია, გულიაშს მიადგა. ნახევარი თეფში შესანსლა და გუნება-განწყობაც მცირეოდნავ გამოუკეთდა – აბა რა, ვარიანტი არ არი, ცაცია დაგლასის გულიაშს გემო გაუსინჯო და ხასიათზე არ დადგე. წრიპა მასტმაც ცოტა თვალებში გამოიხედა, ლაყაფის იშტაზეც კი მოვიდა. სულ წვრილად ჩამიკაკლა თავისი ამბავი: მითხრა, დონალდი მქვია, გვარად ბიგმენი ვარ და პენსილვანიის შტატში, რაზმუს-ქალაქში ვსახლობო.

თუ სიტყვაზე ვენდობით, ერთი პატარა, მყუდრო და კოხტა ქალაქია. ეს წრიპა მასტიც იქ დაიბადა და გაიზარდა. 25 წელი შეუსრულდა, მაგრამ თავისი ქალაქის გარდა ბევრი არაფერი უნახავს. ერთი წლის წინ ფეხსაცმლის მაღაზიაში მოეწყო გამყიდველად და მაგარ გასწორებულში იყო, სანამ ამ დებორა უიმზის არ გადაეყარა. მისტერ უიმზი, დებორას მამა, ბენზინგასამართი სადგურის პატრონია და ქალაქში ერთობ ღირსპატივსაცემ პიროვნებად ითვლება. დებორასაც თავი კიტრად მოაქვს, ეს წრიპა დონალდი კი ისე ყავს გამოჭერილი, როგორც კატას – წრუწუნა.

– ისეთი ლამაზია, ისეთი კოხტა, – დებორაზე მიყვება, – ჭკუაზე გადაიყვანს კაცსო.

სხვისი ამბების გარჩევას მე ვინ მეკითხება, მაგრამ ჩვენში დარჩეს და ეს წრიპა დონალდი მართლა ჭკუააცდენილსა გავდა.

– უიმისოდ სიცოცხლეც არ მინდა, – მეუბნება, – ის კი ზედაც არ მიყურებს, იმიტო რო სხვანაირი კაცები მოწონს: ავარდნილ მასტებზე გიჟდება.

– როგორებზეო?.

– აი, კინოში რო გინახავს, მოგანგსტერო როჟები. ჯეიმს კეგნი, მაგალითად. იცი, ამ ორი კვირის წინ რა მოხია დებორამ? მეო, ასე მითხრა, ისეთი კაცები მომწონსო, იარაღით რო დადიან და ვინმე თუ არ მოუვიდათ თვალში, ჯერ შუბლში ახლიანო ტყვიას და მერე კითხულობენ, ეგ ვინ იყოო. ეგრე მე არ შემიძლია და რა ვქნა! თანაც, კაი ბიჭი ხარ და რამე ეგეთი გაბედე! ჩვენი შერიფი ეგრევე ციხეში გიკრავს თავს.

დონალდი მწარედ ოხრავს, თან გულიაშს ათოხლავებს და თან დებორას ამბავს აგრძელებს:

– ვაჟკაცობა გაკლიაო, ასე მითხრა.. ჩემ თავს ჯო დენჯერფილდი არჩია.

– ეგა ვინღაა?

– გაიძვერას ერთია. თამბაქოს მაღაზია აქვს და თან ჩუმ-ჩუმად ბუტლეგერობს, შინნახად ვისკის ყიდის. ერთი განახათ, რას იბრიქება, სულ იმას ტრაბახობს,

ერთხელ ალ კაპონემ ხელი ჩამომართვაო. იტყუება, რა თქმა უნდა.. ხოდა, დებორა იმასთან დადის.

ნაღველი შემოაწვა და ისევ ატირდა. ღმერთმანი, მართლა შემეცოდა – ვხედავ, ეს დონალდი ერთი პატარა, უმწეო კაცუნაა, პირველად გაიჭედა ისეთ ამბავში, ვიღაც უტვინო კუკლა რო გამოგიჭერს ბულკივით და რასაც უნდა, იმას გიშვება. ძაან-ძაან ძნელი ასატანი კია, ღმერთმანი! მერე და მერე, დრო რო გადის, ეჩვევი და ისე მაგრად აღარც გიტეხავს, ოღონდ თავიდან ხო ჭკუა გეკეტება?

– ჩვენ ბოდიში, მაგრამ ეგ შენი დებორა ცოტა ალაოდ ხო არ არი? – დონალდს ვეუბნები, – შავი მასტები სიცოცხლეს ძაან ცუდად ამთავრებენ ხოლმე, გინდა ცხოვრებაში, გინდა კინოში. ის დენჯერფილდია თუ ვიღაცა – ერთი კარგად დააქოთე და აზრზე მოვა.

– ე-ეხ, – ოხრავს დონალდი და დაჭმუჭნილი ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდს. – მიდი აბა, წაუქოთაქე, თუ ბიჭი ხარ! რამე რო იყოს, აქეთ წაგითაქებს. ხოდა, წამითაქა კიდეც – ცხვირ-პირი დამინაყა, თან დამემუქრა, დებორას ახლო არ გაეკარო, თორე ნაწილ-ნაწილ დაგშლი და აგაწყობო. დებორამ იმის მერე აიყარა ჩემზე გული, რატო ხელი არ შეუბრუნეო... სისხლი მომდიოდა და ხელი როგორ შემებრუნებინა! თან ცხვირი მეწმინდა, თან მუშტები მექნია?!

წრიპა დონალდმა ისე სევდიანად შემომხედა, თვალი ავარიდე.

– ხოდა, – მეუბნება და ისევ ცხვირსახოცს ჭმუჭნის, – ბანკიდან 200 დოლარი, მთელი ჩემი ფული გამოვიტანე და აქ ჩამოვედი. ვიფიქრე, იქნებ ერთი-ორი თავზეხელაღებული ტიპი გავიცნო ნიუ-იორკში, მერე რაზმუსში დავბრუნდე და დებორას მოვუყვე-მეთქი. მაშინ ჯო დენჯერფილდს ხო მოვუჯოკრავ?! ეგეთებს არავის იცნობ? აი, *შავი სამყაროს წარმომადგენლები* რო ქვიათ?.

ჩემდათავად, მე ეგეთს არავის ვიცნობ და გინდაც ეგრე იყოს, კრინტს ვერავინ დამაძვრევინებს – ამ ქალაქში ზედმეტ ლაქლაქს არავინ შეგარჩენს.

– არა, ძმაო, აბა საიდან? – წრიპას ვეუბნები.

– ე-ეხ... იქნება და საყლუპავი ადგილი მაინც გეგულებათ სადმე: აი, კონტრაბანდულ სასმელს რო ყიდიან, იმნაირი?

უნდა მეთქვა, არც ეგეთი ვიცი რამე-მეთქი, მაგრამ ლოთიანი ჩარლი და იმის ბუნაგი გამახსენდა: ამ ბოლო დროს ჩარლის კლიენტები შემოაკლდა, ფინანსებზე ცოტა ქესატად გახლდათ და ისეთ მუშტარს თუ მივუყვანდი, 200 მწვანე რო ედო ჯიბეში, გვარიანი მადლობელიც დამრჩებოდა.

ვტაცე ხელი და ზედ 47-ე ქუჩაზე, ლოთიანი ჩარლის დუქანში წავაცუნცულე. შევედი ბარში და რას ვხედავ: იქაურობა ხალხითაა სავსე. თანაც ხალხით,

მარა რა ხალხით! თუ ვინმე მართლა და "შავი" იყო ქალაქის ამ მხარეს, ყველა იქ არ დაგვხვდა?! კაი ხანია, ამდენი სხვა უბნელი ჯეელი ერთად არც მინახავს: ჯაგლაგი ჰარი და ბუღა ენჯი ბრუკლინში ჩალიჩობენ, პიტკინ მოკლე, რკინის შვარცი და კიდე ერთი მასტი ჰარლემში საქმიანობენ, ჯერი ბულდოზერი და იმის სამი კუდი კიდე, მოგეხსენებათ, ბრონქსელები არიან...

მერე გავიგე, ბიჭებს საიდუმლო სერობა ქონიათ ახლო-მახლო; საქმეები რო მოაყომარეს, ყელი გავისველოთო და ჩარლის ბუნაგს მოაკითხეს. ხო იცით, ჩარლის ყველა პატივს სცემს და იფიქრეს, რაღა სხვაგან ვიშარაფოთ, ეხლა ამ კაცს უჭირს და მოდი, ცოტა ხელი გავუმართოთო.

ყველანი ერთ დიდ მაგიდასთან სხედან და ლოთიანი ჩარლის კონტრაბანდულ ვისკის წრუპავენ. რო გამჩითეს, *ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო* – გადმომძახეს და ორივე, მე და დონალდი თავისთან მიგვიპატიჟეს.

რა მექნა, უარს ხო არ ვეტყოდი! ორივენი დიდ მაგიდას მივუჯექით და მუქთა ვისკის მივაწექით. ბიჭებს დონალდი გავაცანი, მოვუყევი, როგორ დააჩმორა ერთმა ტუტუცმა კუკლამ და როგორ დაალილავა ვიღაც მოძველბიჭო მასტმა ეს პატიოსანი კაცი. დონალდს ისევ ცრემლები წასკდა. სულაც არ გამკვირებია – ვინც ლოთიანი ჩარლის ვისკის პირველად დაამუღამებს, ყველა ტირის... დონალდის ამბავი რო გაიგეს, ბიჭებს მაგრა გაუტყდათ, ის კი არა, პიტკინ მოკლემ დონალდს ხელი გადახვია და ისიც ატირდა. ჯერი ბულდოზერი კიდე დონალდს ეუბნება:

– კაცის ეგრე გაბანძება აღარ გამიგია! თუმცა, ძმაო, შენც მოქცეულხარ, რაღა – იმ ნაბიჭვარს, ცხვირი რო მოგინგრია, ერთი კაი ხურდა ვერ დაუბრუნე?! აფსუს, დრო არა მაქ, თორე მე ვიცი რასაც ვიზამდი! წამოგყვებოდი ემაგ რაზმუსში და იმ დენჯერფილდს ისე გადავუვლიდი, სამი თვე ლოგინიდან ვერ ამდგარიყო. იმ კუკლასაც დავუგდებდი ერთ-ორ ტკბილ სიტყვას და ეგრევე მოჯდებოდა კუთხეში...

ვიფიქრე, ამაზე კაი დროს ვერ ვნახავ-მეთქი და ბიჭებს ვუთხარი, დონალდ ბიგმენი ნიუ-იორკში იმიტო ჩამოვიდა, იქნებ ვინმე შავი მასტი გაიცნოს-თქო. ბიჭებმა მხრები აიჩეჩეს, ბუღა ენჯი კიდე ეგეთ ფოსტას ჩამოვიდა:

– რა ვიცი, უნდა გავიკითხ-გამოვიკითხოთ, იქნებ ვინმე იცნობდეს კიდეც მაგნაირ ხალხს. მე პირადად, ხო იცით, ეგეთებს დასანახად ვერ ვიტან...

ვზივართ და ვმარჩიელობთ, "შავებში" გასული კაცი სად ვიპოვოთ. ამ დროს კარებზე ისეთი ბრაგა-ბრუგი ატყდა, ტანში გამცრა – ეგრე უკმეხად ხო მარტო პოლიცია აბრახუნებს! ლოთიანი ჩარლი კარებს ეცა და ჭუჭრუტანაში გაიჭყიტა. ამ დროს კიდე კარს უკან ვიღაცამ იბღავლა ხაფი ხმით:

– კარი გააღე, ჩარლი! შენ სტუმრებს უნდა დაველაპარაკო! გადაეცი, უკანა

კარიდან დათესვა არც იფიქრონ, იქაც ჩემი ხალხი დგას!

ლოთიანი ჩარლი უკან ბრუნდება და გვეუბნება:

– ლეიტენენტი ჰარიგანი და იმის ბიჭები არიან – ეტყობა, ვიღაცამ დაგაბოზათ. თუ ვინმეს იარაღი გაქვთ, ეხლავე გააქრეთ!

ამის გაგონებაზე ჯერი ბულდოზერს წრიპა დონალდი განზე გაყავს, დიდ ფიშტოს აჩეჩებს ხელში და ასე ეუბნება:

– იუზგარ, გამომართვი, ჩაიდე ჯიბეში და აგე, აქ ჩამოჯექი. თუ არ გაახურებ, ეგენი ხმას არ გაგცემენ. მე კიდე, თუ იარაღი მიპოვეს, ნაღდად გამსროკავენ, ისედაც თავდებით ვარ გამოშვებული.

არადა, ჯერი მართალს ამბობს: თუ ნასამართლევი ხარ და იარაღით გამოგიჭირეს, ბევრს არ გაღადავებენ, ეგრევე გაგსკვანჩავენ. ლოთიანი ჩარლის ვისკიმ კიდე დონალდი ისე გამოაქლიავა, სულ აერია რამსები – უხმოდ აიღო დურა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიტენა. სხვებმაც იაზრეს, რა ხდებოდა და წრიპა დონალდთან რიგი დადგა: ჯაგლაგმა ჰარიმ, ბუღა ენჯიმ, პიტკინ მოკლემ და ყველა დანარჩენმა თავისი იარაღი წრიპას მიაჩეჩა. იმანაც, რის ვაივაგლახით, მთელი ეს რკინა-კავეული ზოგი ჯიბეში, ზოგიც ქამარში ჩაიჩურთა, სკამზე ჩამოსკუპდა და გაიტრუნა გუგულივით. რო დაინახა, სიტუაცია მოყომარებულიაო, ჩარლიმაც გააღო კარი და მომხდურები შემოუშვა.

ამ დროს ჩარლის სტუმრები სამ-სამ კაცად არიან დანაწილებული, ცალ-ცალკე მაგიდებს უსხედან და უცოდველი სიფათებით იყურებიან. მე და დონალდი ჩვენ ძველ ადგილას ვზივართ. ლეიტენანტი ჰარიგანი კარგად მიცნობს და იცის, რო ერთი უვნებელი ვინმე ვარ, არაფერს ვაშავებ და არც არავის ვერჩი. ამიტომ მე და დონალდს ყურადღებას არ გვაქცევს, ჯერი ბულდოზერს, ბუღა ენჯის და სხვა დანარჩენებს კი მაგრა შმონავენ.

ჰარიგანმა და იმის ხალხმა ვერავის ვერაფერი უპოვა, ანდა რა უნდა ეპოვათ, მთელი იარაღი ხო წრიპა დონალდს ქონდა ლაბადის ქვეშ ასხმული... იმას კიდე, ერთხელ რო დაალივერეს, მერე ზედაც არავინ უყურებს. ეტყობა, ჩარლის ვისკიმ ეს უბედური მთლად გამოაპრუტუნა – ძილ-ღვიძილშია, ყვინთავს, ხან იქით გადაუვარდება თავი, ხან აქეთ.

პოლიციელები გატეხილში არიან, ჯერი ბულდოზერი და ბუღა ენჯი კიდე ლეიტენანტ ჰარიგანს ებრიქებიან: რას გავს თქვენი საქციელიო, კანონმორჩილ მოქალაქეებს როგორ ექცევითო, ეხლავე დავურეკავთ ჩვენ ადვოკატებს და მერე ნახავთო. დაბოღმილი ჰარიგანი თვალებს აბრიალებს, იქადნის – დაიცათ, ჩემი დროც მოვაო და თავის ბიჭებს ანიშნებს, ავუდეთ აქედანო.

ამ დროს დონალდს ფაიზაღად დაეძინა, სკამიდან ჩამოცურდა და იატაკზე

გაადინა ბრაგვანი. ჯიბეებიდან ოთხი პისტოლეტი და ერთი რევოლვერი ამოუცვივდა და აქით-იქეთ გაიფანტა. ყველაზე დიდი იარაღი – ჯერი ბულდოზერის ფიშტო – ზედ ლეიტენანტ ჰარიგანს მიუგორდა ფეხებთან. იატაკზე გაშხლართულ დონალდს კაი ხუთი წამი ყველა გაშტერებული უყურებდა, მერე კოპებმა სიტუაცია მოტვინეს, ისეთი ზედახორა დააყენეს, საწყალ წრიპას ცალი ქუსლი უჩანდა, მეტი არაფერი. ბორკილები დაადეს და პოლიციაში წაამსერეს.

უნდა გენახათ, რა ბაზარი ატეხეს გაზეთებმა მეორე დღეს! ჩვენმა პოლიციამო, – წერდნენ, – მაგრა ივაჟკაცაო, ძაან, ძაან საშიში განაბი დააკავაო. საცოდავ დონალდს სახელიც მოუძებნეს: "ბიგმენ – 12 ლულა"! გაზეთები წერდნენ, ლეიტენანტმა ჰარიგანმა განაცხადა, ესეთ სისხლისმელ განგსტერს პირველად ვხედავო, ორპისტოლეტიანი ყაჩაღიც დამიჭერია და სამიანიც, მაგრამ სად გაგონილა, კაცი ერთბაშად თორმეტ იარაღს დაატარებდეს თანო.

პოლიციაში ამბობენ, ეტყობა, ეს ბიგმენი ძაან სასტიკი ქილერია, მოგვშტერებია გაყინული მზერით და კრინტს არ ძრავსო. არადა, ხო ისქესეთ, რატო იყურება დონალდი გაშტერებული თვალებით? ისეა დაბნეული, გაგებაში არაა, რა უნდათ და რას ერჩიან. აზრზე რო მოვა, იტყვის სიმართლეს, აბა რას იზამს! ის კოდლაც, იარაღი რო მიაბარა წრიპას, ესე ფიქრობს, ამიტო ბროდვეიზე ბირჟაობას დროებით ყველა შეეშვა, თავ-თავიანთ უბნებში მილაგ-მოლაგდნენ და გაისუსნენ.

წრიპა კიდე, ეტყობა, მაგრა დაკაიფდა – ბოლომდე შევიდა როლში: ზის ჩუმად და მაწაკ სიფათებს კერავს. ეს ამბავი რო გაიგეს, ბიჭებს გაუსწორდათ, ასე თქვეს, ნახე, რა ჯიგარი ყოფილა ეს ჩვენი სიფთაზე გაცნობილი ძმაკაციო...

გულმა არ მომითმინა და იმ დღეს, მოსამართლე როსქაუერი საქმეს რო არჩევდა, სასამართლოში დავგაზე. დონალდს *სალივენის კანონის* დარღვევა ედებოდა ბრალად. გამოსულ ბიჭებს არ გესწავლებათ, ეს კანონი იარაღის უნებართვო ტარებას კრძალავს. დარბაზი ხალხით იყო გადაჭედილი, აბა რა იქნებოდა! ყველას ერთი სული ქონდა, ეს ვიღაც ჯაგა მასტი გაეჩითა. საკაიფოდ მოსულ პუბლიკაში ჯეელებზე მეტი კუკლები იყო. თანაც ენა არ მომიბრუნდება ვთქვა, ქვაზე დახატულ ეშმაკებს გავდნენ-მეთქი, უფრო პირიქით – ბევრი ავ თვალს არ დაენახვებოდა. არადა, გენახათ ერთი, ეს კუკლები რა დღეში იყვნენ – ერთმანეთზე გადადიოდნენ, სულ ტლინკებს ყრიდნენ, როგორმე "ბიგმენ 12 ლულა" დაეთირათ. წრიპა დონალდი კიდე იდგა გათიშული და თვალებს უაზროდ აცეცებდა. სამ პოლიციელს ალყაში ყავდა მოქცეული, ხელბორკილებით კიდე ორ სხვაზე ჩაებათ.

როგორც იქნა, ჟრიამული შეწყდა და პუბლიკამ კარგად დაალივერა ეჭვმიტანილი. კაცი და ქალი, ყველა პირდაღებული შესცქეროდა და საკუთარ თვალებს არავინ უჯერებდა – ეს "ბიგმენ 12 ლულა" მეტრნახევრიანი გაწლინკული სირიკო აღმოჩნდა და მეტი არაფერი. ეტყობა, მოსამართლე როსქაუერმაც იფიქრა, მხედველობა მღალატობსო, სათვალე გაიკეთა და წრიპა დონალდს მიაშტერდა. კაი

ხანს უყურა, მერე ლეიტენანტ ჰარიგანს მიუბრუნდა და ეუბნება:

– დავიჯერო, ესაა?!
– ნაღდად ეგ არი, წყალი არ გაუვა! – ჰარიგანი პასუხობს, რიხიანად.

– აბა, მაჩვენეთ ერთი, ამდენი იარაღი როგორ ზიდა ამ გალეულმა, – ამბობს მოსამართლე როსქაუერი და სასამართლო ექსპერიმენტის ჩატარებას ითხოვს.

ლეიტენანტმა ჰარიგანმა თავის ბიჭებს ჩამოუარა, თორმეტი დურა შეაქუჩა, ყველას კენჭები ამოაცალა და მთელი ეს იარაღი დონალდს ჩაულაგა – ზოგი პიჯაკში, ზოგი შარვალში, ზოგიც კიდე, ღმერთმა უწყის, სად. წრიპას წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, ხელიც წააშველა ჰარიგანს. ბოლოს, დონალდი საშობაო ნაძვის ხესავით რო დახუნძლა, ლეიტენენტმა გამოაცხადა – აი, ამ მდგომარეობაში იყო ეჭვმიტანილი, დაკავების მომენტშიო.

– მომიახლოვდი, – მოსამართლე როსქაუერი დონალდს ეუბნება, – თვალებში მინდა ჩაგხედო!

წრიპა დონალდი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, სცადა კიდეც მოსამართლისკენ წაჩანჩალებულიყო, მაგრამ ორი ნაბიჯიც არ ქონდა გადადგმული, ძირს გაშხლართა და სიფათი იატაკს ხია. მაშინ მოუტვინე, რატო მოადინა ზღართანი დონალდმა ლოთიანი ჩარლის ბარში: ის ამბავი მარტო ვისკის ბრალი არ იქნებოდა – ეტყობა, ამხელა სიმძიმე წრიპამ მაშინაც ვერ ზიდა.

ამ ამბავმა ყველა დააშტერა: პუბლიკა, პოლიცია, პრესა – აღარავინ იცოდა, რა ეფიქრათ. ამ დროს ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, ვიღაც გოჭივით ჩაპუტკუნებულმა კუკლამ წრე გაარღვია, წივილ-კივილით მივარდა იატაკზე გაგორებულ დონალდს, მუხლებზე დაეცა და მორთო ზარი და მოთქმა:

– დონალდ, საყვარელო, მე ვარ, დებორა! ჩემო გმირო, ვგიჟდები, ისე მიყვარხარ! ნიუ-იორკის გაზეთებმა წუხელ ჩამოაღწია რაზმუსში და როგორც კი შენი ამბავი გავიგე, მაშინვე გამოვქანდი! დღეის მერე შენი ვარ, მხოლოდ შენი! ჩემო ძა-ა-ლიან ძველო ბიჭო!

დონალდს ერთბაშად თვალები გამოუნათდა, წამოიწია, ცალ იდაყვს დაეყრდნო და მსუქან კუკლას დაუზასა. ეტყობა, ეს საქმე ისე გაუტკბა ორივეს, სასამართლო სულ ცალ ფეხზე დაიკიდეს – ჩაფრებმა ძლივს აახიეს დებორა იატაკზე წამოწოლილ წრიპას და ოცდაათ კილოზე მეტი რკინეულობა რო მოაშორეს, ეგეც მაშინვე ფეხზე წამოხტა.

მოსამართლე დიდის ინტერესით ამუღამებდა ამ სცენას. ბებერი როსქაუერი ვინმე ფარჩაკი არ გეგონოთ, ისეთი შებერტყილია, ვერაფერს გამოაპარებ. ეგრევე მოწვა, დონალდი რაღაც მთლად იმნაირი შავი მასტი არ უნდა იყოს, ესენი რო ხატავენო. მერე შესვენება გამოაცხადა და ეჭვმიტანილი მეორე ოთახში გაიყვანა.

იქ კიდე, ეტყობა, დონალდმა ყველაფერი დაფქვა. მოსამართლემაც სეფე სიტყვაში ბრძანა, დონალდ ბიგმენს ბორკილები ახსენითო; წრიპას კიდე უთხრა, ნიუ-იორკში ბოდიალს შეეშვი და სახლში დაეტიეო. გამისწორდა, როსქაუერმა რო გამოაცხადა, ბიგმენი თავისუფალიაო, თუმცა წრიპას მკლავზე ჩამოკონწიალე-ბული დებორა რო გავჩითე, ვიფიქრე, საწყალმა ბორკილები კი მოიშორა, სამ-აგიეროდ, უღელში გაყო-მეთქი თავი.

ამ ამბის მერე კაი ხუთი თვე იქნებოდა გასული, ჯერი ბულდოზერს და პიტკინ მოკლეს პენსილვანიაში რო მოუწიათ წასვლა – იაფი ვისკის დიდ პარ-ტიას მიაგნეს და იქაურ ბუტლეგერებს უნდა გარიგებოდენ. ქალაქ რაზმუსის ახლო-მახლო ქონდათ საქმე და იფიქრეს, მოდი ერთი ვნახოთ, წრიპა დონალდი რასა იქმსო.

– მერე, როგორ არი ჩვენი წრიპა? – ჯერის ვეკითხები.

– როგორც ყველი ხაჭაპურში, – ჯერი ბულდოზერი მეუბნება, – ის მსუქანი კუკლა, დებორა, ცოლად მოიყვანა. ქალაქში ისეთი მაგარი ბიჭის სახელი დაირტყა, შერიფად აირჩიეს და აირჩიეს თუ არა, ის ვიღაც დენჯერფილდი, იქვე გააპანღურა.

– უყურე შენ, მთლად ჯიგარი არ ყოფილა ჩვენი წრიპა!

– ჯიგარი არა, ფეხები! – ჯერი მეუბნება, – მე და პიტკინამ ქალაქში ჩასვლა ვერ მოვასწარით, რო მაგ ნაბოზარმა ეგრევე დაგვასტოპა და აბანოში ჩაგვაყუდა.

– სადაო?!

– ხო რა, ვირის აბანოში. ორი დღე გვახეხია საკანიდა ას-ასი ბაქსი ჯარიმა შეგვაწერა...

– ვა, ჯარიმა რიღასთვის?

– იარაღის უნებართვო ტარებისთვის!!! – ჯერი მეუბნება და თავისთვის ბურ-ტყუნებს – *აზრზე მოდი, მამენტ რას გადერსკდა ეგ ახვარი ეგაო...*

თარგმანი: ვალერი ჯაფარიძე

ბორის აკუნინი

ტეფალი

ხელის ერთი მოსმით, ბ-ნმა იაგკფიმ შუშის კუბს საფარი გადააძრო და კომისიის წევრებს დედა-ქალაქის მთავარი ქანდაქარის ნახელავი საზეიმოდ წარუდგინა.

წუთიერი, ოღონდაც სამარისებური სიჩუმის მერე წარბშეკრული გენერალ-გუბერნატორი დაეკითხა, კუშტად:

– ესა... რა არი?..

– რასაც დაგპირდით, – ოდნავი ხმისკანკალით გაეპასუხა იაგფი. – ტრიუმფალური თაღია, დიადი გამარჯვების 55 წლისთავის აღსანიშნავად... არ მითხრათ ახლა, არ მომწონსო!

მის აღმატებულებას ჯერ მკვდრისფერი დაედო, მერე წამოჭარხალდა და სულ ბოლოს ალმურიც კი მოედო სახეზე.

– შენა ისა... რა – სულ გააფრინე?! შენა, *გენაცვალე,* ვისკენ უბერავ, ჰა?! კრიმსკაიაზე რაც შიბლა წამომაჭიმინე, არ გეყო?. ვასილი ნეტარის ადგილას ახლა ეს გინდა დააყუდო?! წითელ მოედანზე?! ზედ არჩევნების წინ!!!

ბრაზისაგან გენერალ-გუბერნატორს სუნთქვაც კი შეეკრა და თვალებგადმოკარკლულიღა მიშტერებოდა ნატიფ ხელოვნებათა საიმპერატორო აკადემიის პრეზიდენტს...

იაგფიმ ერთი მიხედ-მოხედა მრგვალ მაგიდასთან მორჭმით მჯდომარე კომისიის წევრებს და იაზრა, საქმე იმაზე ცუდად იყო, ვიდრე იმთავითვე მოელოდა. კომისია, სრული შემადგენლობით, აშკარად საგონებელში გახლდათ ჩავარდნილი; ხოლო მისი აღმატებულების ადიუტანტს სამშენებლო დარგში – ფარულ ესთეტსა და *იუგენდშტილის* ასევე ფარულ თაყვანისმცემელს, ძირძველი სატახტო მეტროპოლიის ბარე ნახევარი რომ ა’ ლა *სეცესიონისტური* ნაგებობებით ჩაეხერგა, ახლა გულისწასვლას არაფერი უკლდა.

მ-დაა... ისე, მაგას კი გაუგებდა კაცი – თაღი მართლა უგვანად გამოიყურებოდა: ნაჭედი ლითონის ერთი რაღაც გიგანტური ხლართი, ზემოთ კიდე – ვიღაც ოჩოკოჩი-განმათავისუფლებელი, კალაშნიკოვის ავტომატი ჩაუბღუჯავს ზეაღმართულ ხელში... არადა, სწორედ ემაგ ოხერ ავტომატშია ძაღლის თავი დამარხული, ოღონდ ამას კომისიის წევრებს ხომ ვერ აუხსნი!.

ესე იგი, სხვა გზა მაინც არაა, ისევ კომუპენეტრაციის სეანსი გახდება საჭირო – როგორც რუსეთის ფლოტის მამა-დამაარსებლის ძეგლთან დაკავშირებით მოუწია... აბა, სხვა რა გინდა რომ ქნა?!.

ჯერ სახეაფორაჯებულ გენერალ-გუბერნატორს ჩახედა სიბრაზისაგან ლიბრგადაკრულ თვალებში, მერე ამოიოხრა, რასტრინგი VI პოზიციიდან XII-ზე გადაიყვანა და ხავერდოვანი, მკერდისმიერი ხმით წამოიწყო:

– ამ ყოვლად უგემოვნო, ეკლექტიკური იერსახის მატარებელი ტაძრის მოშლით ჩვენ ტოტალიტარიზმის ეპოქის კერპის მავზოლეუმსა და შავბნელი შუასაუკუნეების ქვის კედლის კონტურს შორის გამომწყვდეულ, ახალ, დემოკრატიული დედა-რუსეთის მთავარი მოედნის სივრცულ გახსნას ვაღწევთ – მშობლიური დედა-ქალაქის სასუნთქ ფილტვებს დამდეგი ათასწლეულის ცინცხალ ჰაერს ვუტუმბავთ და მის ენერგეტიკულ სისხლძარღვთა სისტემის შეფერილობა ვენოზური სილურჯიდან არტერიალურ-მეწამულის შეუდარებლად უფრო მაღალ რანგში გადაგვყავს – მომავლის არქიტექტურის ნათელი, მე ვიტყოდი, *სიცოცხლის-მამტკიცებელი* მჟღერადობა...

ორიოდ წუთში მიზანმიმართულმა იმპულსმა თავისი გაიტანა და ტრანსში ჩაძირული მისი აღმატებულებაც ამ სიტყვათმრუშობას უკვე სრული კმაყოფილებით უკანტურებდა მელოტ თავს.

– ეგრეა, – ამოღერღა ბოლოს. – ერთი მაგ ვიღაც ვასილის... ინეტარა და ეყო! მთელ მოედანს აღრჩობს... ახლა ეგ შენი რაღაცა იდგეს!

ცოდო იყო მოხუცი, განა არა – ოღონდ დრო აღარ ითმენდა და აღარც სენტიმენტებისთვის სცხელოდა ვინმეს. როგორც წესია, სხვებმა უსიტყვოდ დასტურჰყვეს პროექტი; პრეს-მდივანმა კიდე, ვითომდა მისალოცად, ხელი მოხვია მხარზე და ყურში უჩურჩულა: "სულ ჩემის წვითა და დაგვით, ბ-ნო ჩემო... სულ ჩემის მცდელობებით... ახლა, ერთი კარგი მაღარიჩიც შემერგება!." საბრალო. ერთი იცოდეს...

კომუპენეტრაცია პრანის დიდ ხარჯვას მოითხოვდა და გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციის თეთრი მარმარილოთი გაწყობილ კიბეზე იაგკფი ძლივს ჩამოლასლასდა. დაცვის უფროსი მდაბლად მიესალმა და თოფოსანთა წესისამებრ მოკლედ, წყვეტილი ფრაზებით მოახსენა:

– წინკარიდან არ გამოვა. დემონსტრანტები ახვევიან. იყნოსეს. ერთ ლუკმად არ ეყოფით. უკანა კარიდან ინებეთ.

ოღონდ, ტეფალის მზემ, მთლად მშვიდობით ვერც იქიდან გააღწია: ის-ის იყო მძიმე მუხის კარიდან შიგ გაზაფხულის შხაპუნა წვიმაში გააბიჯა, რომ ვიღაც სათვალიანმა წვეროსანმა ისკუპა სვეტის უკნიდან და სახელოვან ქანდაქარს საშზარეულოს დანა დააღირა კისერზე. მერე კი, პირადი დაცვის ბიჭების ძარღვიანი ხელებით გასკვანჩულმა, უკვე შორიდან მორთო ბღავილი:

– რას ერჩი ამ საბრალო მოსკოვ-ქალაქს, მხეცო, ნადირო! დაგიშავა რამე?!.

იაგკფიმ ბრძანება გასცა – *ათავისუფლეთ სალოსიო*, თავად კი, გულმოძმარული, საკუთარ "ბენტლიში" ჩაჯდა და – *სახლისაკენო*, – დაუგდო მძოლს. საბრალო, გზააბნეული ხალხი. ტეფალი იყოს მათი განმსჯელი. არა იციან, რასა იქმან.

არადა, გაუსაძლისი სწორედ ამ ბრმა, დაუსაზღვრავი სიძულვილის ატანა იყო, თუმცა არც მოსკოველებს გაემტყუნებოდათ: დროის ულმობელი მოთხოვნით, არაერთი საშინელება დაყენა ქალაქში – ჯერ იყო და კრემლის წმინდა კედლის წინ ბრინჯაოს მთელი ბესტიარიუმი გააშენა, მერე – ნაჭერ-ნაჭერ აკეპილი, თანაც ფერდში ჰოროლგარჭობილი ის გველის წიწილი ნაპოლეონის გორზე და მთლად ბოლოს, ჩაროზად – მთელი დიადი ჩანაფიქრის საკვანძო ნაწილი – ზედ მდინარის თავზე წამოყუდული ამაზრზენი გოლიათი, ნამდვილი ციკლოპი... მისი საყრდენი კვარცხლბეკის აფეთქებაც კი სცადეს გონებადაბინდულმა აბორიგენებმა, ოღონდაც ტეფალმა დაიფარა, ყოვლადკეთილმა...

და ახლა, ამ თაღის პროექტის გატანის მერე, დავალება თითქმის შესრულებულია: ბედშავი ხახვისთავა ტაძრის დანგრევა, გაჭიმე-გამოჭიმე – ერთი კვირის ამბავია, ავტომატიანი თაბაშირის კაცისთვის ბეტონის კარკასის ჩამოსხმა (ანუ, როგორც მისი აღმატებულება იტყოდა – *შეთითხვნა*) – ორი კვირის საქმე; მერე იმ ავტომატში შენიღბული ჰიპერლოკატორის ჩამონტაჟებასაც 9-10 დღე დასჭირდება და მორჩა: გალაქტომიმართების უხილავი ძგიდე ავტომატის ლულიდან ბირდაბირ მიუერთდება შლეგურად თვალდაჭყეტილი მეფის თითბერის კულულებს, ხოლო ორი მაკორექტირებელი სხივი (ხვეული მიკროდიაპაზონური – ნაპოლეონის გორიდან და დიფუზიური – მანეჟის მოედნის ქიმერებისაგან) სიგნალს საკმარისზე მეტადაც გააძლიერებს... ასე რომ, უზენაესი ვარსკვლავთშორისი კომიტეტის გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი – ზედმიწევნით და შეუფერხებლად!..

ნატიფ ხელოვნებათა აკადემიის პრეზიდენტმა საძილე ოთახის კარი გაიხურა, სარკის წინ დადგა და დაღრეჯილი, საკუთარ ანარეკლს მიაშტერდა: ჩამობერილი ლოყები, ხორციანი ტუჩები, დაბუშტული ცხვირი... აქაურები, საზოგადოდ, კეთილი ხალხია, გულუბრყვილო, რაღაცნაირად გულიც კი შეგტკივა მათზე, ოღონდ გარეგნობა აქვთ – ნუ იტყვი, ბულბულს დააჩხავლებს! მაგათი შემხედვარე, თავი დაგავიწყდება...

მიმოიხედა, ცდუნებას ებრძოდა. რა, მერე? აქ მაინც არავინაა. დიდება ტეფალს, საქმე ლამის ყუაზეა დაყვანილი, ახლა შეიძლება საკუთარ თავსაც სცე პატივი...

ხელის ერთი მოძრაობით გადაიხსნა კისრის მალები, ფრთხილად გადაქაჩა კანი და ნიღაბი კაპიუშონიანად გადაიძრო თავზე.

არა, მართლა კარგის რამ იყო ეს ჩვენი იაგკფი ეიკუეუდში – სწორედაც იმ უჭკნობი, დროშეუვალი სილამაზით დაღდასმული, მხოლოდღა ძველისძველ მეზოგრნულ სელენოგრამებზე რომ შეხვდებით: ოთხმაგ საღრჭენ კბილთა უზადო მწკრივი, დარგოლილი სტრამზების უწყვეტი ხვეული, სახედველთა მქრქალად გასხივოსნებული რომბები (განსაკუთრებით მარცხენა ქვედა გამოირჩეოდა, ნახევრად გამჭვირვალე, ჰორიზონტალურად მოძრავი აპკით დაცული).

ძვირფასო, სიცოცხლევ ჩემო, სულ ცოტაღა დარჩა, შენ ოღონდ დამელოდე... იაგკფის თავისი გულისსწორის ნაზი ნაკვთები ამოუტივტივდა მეხსიერებაში...

ახლა, დედამიწის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს წერტილში აგებულ ნიშანსვეტთა სისტემის მეოხებითა და ტეფალის წყალობით, მესამე სარაკეტო ფლოტი გალაქტიკათშორისი სივრცის 363.645.859.000.000.00 ეონს გადმოლახავს და ლენინის გორებზე პრეციზიულად გადმოსხამს საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს სრულ სამაშველო კორპუსს.

თავის რიგით 33 მივლინების პერიოდში იაგკფის ოთხივე გულთან ახლოს მიჰქონდა ამ პაწია ცისფერ ცდომილზე მოსახლე იგნორამუსთა ბედ-იღბალი: მათი მუნყოფის ჟამი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მათ კი ახალი ათასწლეულის დადგომა ბავშვებივით უხაროდათ; ოღონდ ეგაა, როგორც კი მაცხოვრის კოშკზე საათი თორმეტს ჩამოჰკრავდა, სწორედ ის განკითხვის დღე დადგებოდა, რომლის თაობაზეც ჯერ კიდევ იაგკფის წინამორბედი, ბებერი სკაუტი იოეაანნნ ნტლმცმლ უწინასწარმეტყველებდა დედამიწელებს – ჩამოვარდებაო ვარსკვლავი, და განიხვნებიან ბჭენი უძირონი, და მრუმე ბინდი გადაეკვრებაო მნათობს, და შეიშლებიან კომპიუტერები – მოკლედ, გალაქტიკათშორისი გათვლის ცენტრის მოხსენებისდა მიხედვით, ინტრაპლანეტური მიკროკატასტროფა მოხდებაო... ვინ დაგიჯერა.

და კიდეც კარგი, რომ ყურიც არავინ ათხოვა: ადვილი წარმოსადგენია, რა პანიკაც მოედებოდა აქაურობას! ახლა კი არაფერი ამდაგვარი – მაგიური ფორმულა, სულისმხსნელი საკვირაო ლოცვის სახით, რა ხანია რეგულარულად გადაიცემოდა ტელე და რადიო არხების საშუალებით, და აბორიგენებსაც ქვეცნობიერში უჯდებოდათ რწმენა ნათელი მომავლისა და სრული ოპტიმიზმის განცდა.

დიდება ტეფალს, ყველაფერი თავისი რიგით მიდის. მაშველთა კორპუსის უზარმაზარანტენებიანი ხომალდების (***'გამოცხადების'*** უცები მთარგმნელები მათ *კალიებად* იხსენიებდნენ: "...და კუდები მათი ვითარცა სკორპიოთა და კუდებსა შიდა მათ ნესტარნი...") ოთხგაწზომილებიან საცავებში დედამიწის უკლებლივ ყველა მაცხოვრებელი განთავსდება, წინასწარ ძილქუშდამართული, ხოლო გაიღვიძებენ ისინი უკვე ვუფერის ხომლში, ცდომილზე, ტყუპისცალივით რომ წააგავს მათს მშობლიურ სანახებს... მხოლოდ ბალახი იქ ვარდისფერი იქნება, ხოლო წყალი – რძისფერი. სარემონტოც იქ ბევრი აღარაფერი დარჩა.

აი მერე კი იცოცხლე, არანაკლებ სამ სინათლის წელიწადს აიღებს იაგკფი შვებულებად, და თავის გულის მურაზთან ერთად გადაიკარგება სადმე – ვთქვათ, მიყრუებულ უგრეკშტ რგეშკზე, და თვალითაც არ დაენახვება არავის! როგორც თქვა მგოსანმა: *“იეშჩიდუუზ, ზუკფხშდუგრ!”*

ტეფალის მზემ, უკეთესად ვერარას იტყვი...

ბორის აკუნინი

აღმოსავლეთი და დასავლეთი

თავი 1.

ჰაჯი მურატოვმა იფიქრა, ცოტას წავიომებო და მთებიდან ბარად დაეშვა. ჯერ ერთი, მასსა და მის მიურიდებს თავადაც ყელში ამოუვიდათ პირქუშ ხეობებში მალვა, მერე კიდე, შურიც უნდა ეძიათ ურწმუნოებზე – მუხანათურად, ციდან ნასროლი რაკეტით რომ დაასამარეს დიდი იმამი...

სატვირთო მანქანებში ჩასხდნენ და სარკესავით სწორ გზატკეცილს დაადგნენ. დროდადრო გიაურების საგუშაგოებს გადააწყდებოდნენ ხოლმე, მაგრამ დიდება ალაჰს, რუსები წუწკები არიან, ქრთამზე უარს ვერ ამბობენ, მურატოვს კი ფული ბლომად ქონდა.

საქმე ალჩუზე დაუჯდათ და ჰაჯი მურატოვმაც ირწმუნა, ამ გაშლილ დაბლობზე ვივლით, ვივლით და მათს სულ მთლად მთავარ ქალაქს მივადგებითო. ტელევიზორს თუ რამე დაეჯერება, ის ქალაქი დღედაღამ ათასფრად ჩახჩახებდა და იქაურები ბაიბურშიც არ იყვნენ, ომი რა იყო. რიბირაბოზე კი, როცა ერთ სოფელს თუ დაბას მიადგნენ – ნაიბმა მისი სახელიც ვერ დაიმახსოვრა – ბედმა უმუხთლათ. მოსახლეთა საუბედუროდ, იქაური ბლოკ-პოსტის უფროსი მეტისმეტად პატიოსანი, ანდა სულაც მეტისმეტად ყეყეჩი აღმოჩნდა: არც ფული აიღო და სროლაც აქეთ აუტეხა.

ნუკერებმა უჯიათი ოფიცერი და მისი ხალხიც იქვე ჩახოცეს, ოღონდ გზის გაგრძელება აღარ გამოდიოდა. ნაიბის მებრძოლები მთვლემარე ქუჩებში მიმოიფანტნენ, თან შიგადაშიგ ქვედა სართულების ფანჯრებს უშენდნენ ტყვიას – ისე, ყოველი შემთხვევისათვის. სწორედ ამ დროს რუსის ჯარიც შემოლაგდა სოფელში.

ეჰ, რაც არი, არი – იფიქრა ჰაჯიმ, – *დაე, აქ გაიმართოსო ჩემი ბოლო ბრძოლა.* ისე კი ინანა, იმ სოფლის სახელიც რომ ვერ დაადგინა, საცა სულ მალე უზენაესს უნდა შეჰყროდა. შუა დაბაში ერთი დიდი, თეთრად შებეთქილი, სქელკედლებიანი შენობა იდგა და ქვის მაღალი ღობეც ერტყა ირგვლივ. ნაიბის რაზმი შიგ საიმედოდ გამაგრდებოდა.

მურატოვის ბიჭები ვესტიბულში შეცვივდნენ, ფანჯრებთან ჩაიმუხლეს, ავტომატის ლულები გარეთ გამოყვეს და სახელდახელო ცეცხლი გახსნეს. ანაზდად, გიაურებმა შეწყვიტეს საპასუხო სროლა, თუმცა ქუჩებში უკვე ჯავშანმანქანების ტევა აღარ იყო, ცას კი სამხედრო შვეულმფრენების გუგუნი აყრუებდა.

მერე ყურბანი მივიდა ნაიბთან და უთხრა:

– ცუდი საქმე დაგვემართა, ჰაჯი. საავადმყოფოა ეს – იმიტომაც აღარ გვესვრიან.....

თავი 2.

პრემიერ-მინისტრ ვიქტორ სტეპანოვიჩ ლორის-მელიქოვს რომ მოახსენეს, ჩეჩენმა აბრაგებმა საავადმყოფო იგდეს ხელში, იქ კიდე ათობით მშვიდობიანი მოსახლე წევსო, ვიქტორ სტეპანოვიჩი ხატებით მორთულ კედელთან მივიდა და პირჯვარი გადაისახა. დადგა ჟამი, რომლის ფარული შიში ჯერ კიდევ იმ დღიდან მოსდევდა, როცა საბოლოოდ გადაწყვიტა, საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო. აკი იმთავითვე იგუმანა ლორის-მელიქოვმა – ადრე თუ გვიან, ბედისწერა იმ არჩევანის წინაშე დააყენებდა, არჩევანიც რომ აღარ ეთქმოდა.....

ოღონდ ხშირად იტყოდა ხოლმე ვიქტორ სტეპანოვიჩი – თუ კაცი ცხოვრებას ხალხის სამსახურს უძღვნის, თავი უნდა დაივიწყოსო. და აი, ეს დროც მოვიდა, ახლა საქმით უნდა დაემტკიცებინა საკუთარი სიტყვა.

– თვითმფრინავი გაამზადეთ! – გასძახა თანაშემწეს, – ადგილზე გავარკვევ ყველაფერს....

– არიადნა არკადიევნამ გთხოვათ, აუცილებლად დამირეკოსო, – მოწიწებით შეახსენა ადიუტანტმა.

– ჰო, ეგ მერე.....– თავი დაუქნია ლორის-მელიქოვმა. გადაწყვიტა, ჯერ-ჯერობით ცოლზე ფიქრიც კი ამოეგდო თავიდან. ახლა ურყევი სიმტკიცის გამოჩენა მოეთხოვებოდა მხოლოდ.

თავი 3.

მიურიდები სულგანაბულნი შესცქერდნენ ჰაჯის, რომელსაც მუხლი მოეყარა დიდრონი მეწამული პლაკატის ქვეშ – **მშრომელთა ჯანმრთელობა – ჩვენი მთავარი საზრუნავია!** – და მამაზეციერს შეღაღადებდა:

– შემაგონე, დამაკვალიანე, - ჩურჩულებდა მურატოვი და ცივ ლინოლეუმს ეკვროდა შუბლით. – როგორ მოვიქცე? ამ უდანაშაულო ხალხს რაღას ვერჩი?.

საავადმყოფო ალყაში იყო მოქცეული. მიურიდებმა სცადეს ორსული ქალები მაინც განერიდებინათ გვერდითი გასასვლელიდან, მაგრამ როგორც კი კარები ოდნავ გამოაღეს, სოფლის მოედნიდან მსხვილკალიბრიანმა ტყვიამფრქვევმა დასცხო და ერთი იქვე გაათავა, ორი კი მძიმედ დაიჭრა.

– როგორ გავიყვანოთ აქედან ეს ავადმყოფები და ექიმები, ფეხებში რომ გვებლანდებიან და ბრძოლას არ გვაცლიან?! აკი შენმა მოციქულმაც ასე დაგვარიგა: *არა ემტროო მცირესა და სუსტს...*

ალაჰი პასუხს აყოვნებდა. ვაითუ, თავადაც საგონებელში იყო ჩავარდნილი.

თავი 4.

პრემიერის კორტეჟმა აეროპორტი "მინერალური წყლები" უკან მოიტოვა. დაჯავშნული ლიმუზინი აწყვეტილი სისწრაფით მიქროდა და მტვრის ბუღს აყენებდა გზაზე. ლორის-მელიქოვი კიდევ ერთხელ, ამჯერად უიმედოდ ჩაეკითხა საკუთარ თავს, იქნებ არსებობსო რაიმე სხვა, უკეთესი გამოსავალი?

არა, გამოსავალი არ არსებობდა. რაღა თქმა უნდა, ყაჩაღების ხუშტურზე სიარულს აზრი არა აქვს: ერთხელ დაუთმობ და უსასრულო ბაკხანალიის ჯაჭვიც გაიდება: ეს გატაცებებიო, ეს მძევლების აყვანაო და გაგრძელდება ასე, გაუთავებლად. ვთქვათ, ევაჭრე და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე გამოისყიდე – დღეს გადარჩენილი ყოველი სიცოცხლე ხვალ და ზეგ ასობით მკვდარს მოიტანს... არა და არა, ათასგზის მართლები არიან ისრაელები: არავითარი დათმობა, არავითარი გარიგება, არავითარი ვაჭრობა! სჯობს ერთხელ გაიღო სისხლის საზღაური, რომ შემდეგ გამუდმებით არ უხადო გამომძალველებს. მე, ლორის-მელიქოვი, ღვთისა და ხელმწიფისაგან ნაბოძები ძალაუფლებით, პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ!.

ადიუტანტმა მგონი, ჩათვლიმაო და პრემიერ-მინისტრმაც დრო იხელთა, პერანგის საყელო შეიხსნა, იქიდან ოქროს მედალიონი ამოაძვრინა, შიგ ჩასმულ ქალის ფოტოსურათს ეამბორა და უჩუმრად ჩაილაპარაკა: *მაპატიე ძვირფასო, და ბედს შეურიგდი...*

– ალოიზი ხრისტოფოროვიჩ, გაიღვიძეთ! – ვიქტორ სტეპანოვიჩმა ფრთხილად შეანჯღრია თანაშემწე, - მურატოვთან უნდა დამაკავშიროთ როგორმე...

თავი 5.

ტელეფონი, აქამომდე ხმაგაკმენდილი რომ იდო მთავარი ექიმის მაგიდაზე, გამაყრუებლად აჟღრიალდა. ყურბანმა მურატოვს მოახსენა – გიაურების ყველაზე დიდ უფროსს, ჩეჩენი ხალხის დაუძინებელ მტერს, ლორის-მელიქოვს, შენთან ლაპარაკი მოსურვებიაო.

გულდამძიმებულმა ჰაჯიმ უხალისოდ აიღო ყურმილი. კარგად იცოდა,

რასაც ახლა გაიგონებდა: დაგვნებდი მურატოვ, მაშინ უბრალო ხალხის გამოშვების ნებასაც მოგცემ, თუ არადა საუკუნოდ თავი მოგეჭრება, სახელსაც შეირცხვენ და მთიელის ღირსებასაც ლაფში ამოსვრიო...

– მე ვარ. – მოკლედ ჩაჰყეფა ყურმილში და თვალები მილულა. ვერ გადაეწყვიტა, რა პასუხი შეიძლებოდა გაეცა მტრისთვის. აფსუს, უსასრულო თვისი სიბრძნით ალაჰმა მუსლიმებს თვითმკვლელობა რომ აუკრძალა!.

– ჰაჯი მურატოვ, გესმით ჩემი? – ნაიბს ეს ხმა მრავალჯერ სმენია ტელევიზორით.

– კი.

– მურატოვ, თქვენა ხართ? – ვიქტორ სტეპანოვიჩს ეჭვი შეეპარა, ასე მოკლე-მოკლედ რომ მპასუხობს ეს კაცი, ვაითუ რუსულზე მწყრალად იყოსო. – მოლაპარაკებას არ დავიწყებ, ვიდრე ყველა ავადმყოფს და მთელ სამედიცინო პერსონალს არ გამოუშვებთ, გაიგეთ?

ტელეფონი დუმდა.

– ამ ადამიანების სანაცვლოდ ჩემ თავს გთავაზობთ მძევლად. – მკაფიოდ, დამარცვლით თქვა ლორის-მელიქოვმა. უმალ გაახსენდა, ამ ცოტა ხნის წინ ერთმა პოლიტიკოსმა საარჩევნო ბაქი-ბუქის დროს რომ განაცხადა, მზად ვარ ჩემი თავი ყველა კავკასიელ ტყვეზე ბითუმად გავცვალოო, და იქვე საჩქაროდ მიუმატა: – ჩემი სიტყვები დემაგოგია არ გეგონოთ, მურატოვ! მე მანდ მოვალ, თქვენ კი კარს გააღებთ და ყველას გაათავისუფლებთ. დავრდომილი სამოქალაქო პირების ნაცვლად რუსეთის პრემიერ-მინისტრს ჩაიგდებთ ხელში – რა, ცუდი გარიგებაა? რას იტყვით? მოთხოვნებზე კი მერე ვილაპარაკოთ.

ვიქტორ სტეპანოვიჩმა ჯერ კიდევ თვითმფრინავში გააშალაშინა ბრძანება, რომელიც ახლა საგულდაგულოდ დალუქულ კონვერტში ედო: უკანასკნელი მძევლის გამოსვლიდან ათი წუთის თავზე ჯერ შენობა დაიბომბება, ხოლო შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმი მიხედავს საქმეს. ნანგრევებში ჩაიმარხება ყველა ტერორისტი და თავად ვიქტორ სტეპანოვიჩ ლორის-მელიქოვიც. სამაგიეროდ, ვერც ერთი არამზადა ვეღარ გაბედავს რუსეთის ქვეშევრდომების მძევლად აყვანას, ვეღარასოდეს!

ჰაჯი კი ფიქრობდა: არ მიმატოვა ალაჰმა და სასწაული მომივლინა – არც ღირსება შემელახება და აღარც უბრძოლველად დანებება მომიწევს – გვიომია და ეგ არიო! მერე კიდე ერთმა აზრმა გაუელვა თავში: თეორ ხელმწიფის ყველა მინისტრი რომ ეგეთი იყოს, იქნებ დამოუკიდებლობაც აღარ მოგვეთხოვაო. ლორის-მელოქოვს კი ასე უპასუხა:

– ისლამის მებრძოლები ქალების, ბავშვებისა და ავადმყოფების

ზურგსუკან არ იმალებიან! შენს ყვავ-ყორნებს უბრძანე, დროზე ადრე არ ის-
როლონ. არც შენ მოხვიდე. განა რაში მჭირდები?!

თავი 6.

შენობა ბოლოს მთავარმა ექიმმა დატოვა – 18 სთ. და 7 წუთი იყო, ალაყაფის კარი რომ გაიარა. ოდნავ შეყოვნდა, საავადმყოფოს კორპუსს თვალი შეავლო, თითქოს ემშვიდობებაო და ჩორთით გადაჭრა უკაცრიელი მოედანი.

18 სთ. 30 წთ. ჯერ ავტომატები და ტყვიამფრქვევები აკაკანდნენ, მერე დაბომბვაც დაიწყო. ბრძოლა კარგახანს გაგრძელდა – ჯერ პირველ სართულზე შეეტაკნენ ერთმანეთს, შემდეგ მეორეზე გადაინაცვლეს, მერე – მესამეზე და ბოლოს სახურავზე გაიმართა ხოცვა-ჟლეტა.

შუაღამე გადაცილებული იყო, როცა ადგილობრივი გიმნაზიის სააქტო დარბაზში, სადაც დროებით შტაბს დაედო ბინა, მაზრის სარდალი შევიდა, ლორის-მელიქოვს მოწიწებით დაუკრა თავი და მის წინ, მაგიდაზე, ჰაჯი მურატოვის მოჭრილი თავი დაასვენა.

– მაქვს პატივი მოგახსენოთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, ცოცხალი არავინ ჩაგვბარდა. – ხელები გაასავსავა გენერალმა.

აბრეკის გადაპარსულ თავისქალას ხშირი წვერი ამშვენებდა. ლურჯი თვალები ღიად დარჩენოდა და სადღაც შორს, პრემიერ-მინისტრის მიღმა იმზირებოდა მრისხანედ. ზოგადად კი მოკლულს სახეზე მაინც წყნარი, თითქმის უშფოთველი გამომეტყველება ედო.

– *East is East, West is West...*– ნაღვლიანად გაივლო გონებაში ვიქტორ სტეპანოვიჩმა. სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი პრემიერი პოეტურ ხასიათზე დამდგარიყო. – საბოლოდ, ალბათ მართლა მოგვიწევს მთების ამ ველური შვილების თავიანთ ნებაზე მიშვება – დე იცხოვრონ, როგორც თავად სურთ. მართალი უთქვამთ – *სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადაო...*

მთარგმნელი: ეია ჯყენჭყორიძე

ბორის აკუნინი

ერთი კაცური კაცის ამბავი...

ფეხათრეული შემოვიდა სტუდიაში, თითქოს ეშაფოტზე ადისო, ისე. *'აბბა, მამაო, ამაცილე თასი ეგე სამსალისა...'*

არ აგაცილებს – არ ეგების ეგრე.

და ვიდრე კამერას ჩართავდნენ, იპპოლიტ ვიაზემსკის, საიმპერატორო ტელევიზიის ურეიტინგულესი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის უცვლელ წამყვანს, სახე ხელებში ჩაერგო და ერთ რამესღა ნატრობდა მხოლოდ: იქნება და გული გამიჩერდესო. აი ასე, უცბად, გადმოვარდნილიყო სკამიდან და თვალითაც აღარასოდეს ენახა სტუდიის ეს მასიური, ბუტაფორული ტელეფონებით მორთული და ბოლოებში გაგრეხილი მაგიდა, სოფიტების დამაბრმავებელი ნათება და ყელში ამოსული, ვერცხლისფერ ფონზე მობდრღვიალე წარწერა: **"სიმართლე – ითქვას!"**

მერე თავი ხელში აიყვანა, წელში გასწორდა, თეთრად გახამებულ-გაფითქინებული საყელოც ხელის ჩვეული მოძრაობით შეისწორა. ეთერში გასვლამდე ათი წამიღა რჩებოდა – ეკრანზე უკვე წავიდა ჩანართი: ყოვლად ვაჟკაცური იერსახის, ცისფერთვალება, სამდღეგაუპარსავ და ქარში ქერათმაიფრიალებულ ვიაზემსკის ზედ მომაკვდავი დრაგუნის ჩატეტკილ ტუჩებთან მიაქვს მიკროფონი, გარშემო კი შრაპნელი სკდება, დუმ-დუმის ფეთქებადი ტყვიები სეტყვასავით ეხეთქება მიწას და ჩანს, მდ. თერგის იქითა ნაპირზე როგორ ჯირითობენ სისხლსმოწყურებული, თეთრფაფახიანი და შავნაბდიანი ველური მთიელები... მონტაჟი, რაღა თქმა უნდა. თავად იპპოლიტს ასი წელი აზრად არ მოუვიდოდა ამისთანა უნამუსობა – კაცი საცაა იმ სამყაროში გადავა და შენ კიდე ინტერვიუზე ექაჩები! ოღონდ ეგაა, საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, ჩანართს მთელი 8%-ით აუქაჩია გადაცემის რეიტინგი. რას ერჩი – მაყურებელი, ძირითადად, მუშები და ხელოსნები, დიასახლისები და წვრილი ჩინოვნიკობაა – ამომრჩეველთა ნაღდი ხერხემალი, მათ კიდე, მასს-ჯგუფების შემეცნების სპეციალისტთა გამოკვლევებს თუ ვენდობით, *სწორედ ამგვარი, სადო-მაზოხისტურ კონოტაციანარევი მელოდრამები იზიდავთ, ლატენტური ფინალითო.*

"უფალო, შემინდე და მეოხ მყავი", – გუნებაში გადააკეთა იპპოლიტმა ნობელის მავანი ლაურეატისეული ლოცვა და ობიექტივის მრგვალ სიშავეს მზერაგასწორებულმა, ხავერდოვანი, გარნა მტკიცე ბარიტონით მიმართა უხილავ აუდიტორიას:

– ბატონებო და ქალბატონებო, მოგესალმებით! მე კვლავ თქვენთან ვარ – თქვენი მონა-მორჩილი, იპპოლიტ ვიაზემსკი, თქვენ კი უყურებთ ყველაზე ღია და მიუკ-

ერძოებელ გადაცემას “სიმართლე – ითქვას!” დღეს ყველას ერთგვარი სიურ-პრიზი გველის – იმგვარ ადგილებს მოვიხილავთ, სადაც, როგორც ძველად იტყ-ოდნენ, არათუ ხელმწიფე-იმპერატორი, თვით ჩვენი დედაქალაქის გენერალ-გუბერნატორიც კი ფეხით დადის...

ვიზაჟისტები და იმიჯმეიკერები ხშირად საყვედურობდნენ იპპოლიტს, რაღაც არასწორად გიჭირავთ თავი ტელეკამერის წინო, დაძაბული ჩანხართ და კუნთიც არ გიტოკდებათ სახეზეო; მარცხენა ხელიც რაღაც სულ საეჭვოდ დამალული გაქვთ მაგიდის ქვეშ – მიმოფსიქოლოგიის თვალსაზრისით ხომ სრუ-ლიად დაუშვებელი ამბავიაო; მაგრამ მერე და მერე აღმოჩნდა, მაყურებელი მიჩვეოდა და გაეთავისებინა კიდეც მისი ამგვარი მანერა, მიმომხილველები კი წერდნენ, ვიაზემსკის განგებ უჭირავს ასე ცალი ხელი, თითქოს ბოლოსთვის გადანახული კოზირის ამოღებას ეპირებაო.

ვინ რა იცოდა, ობიექტივს მოფარებული თითისფრჩხილები რა გამწარებით ესობოდა ხელისგულში, და ყოველი გადაცემის მერე სისხლიან სტიგ-მატებს უტოვებდა კანზე – განსაკუთრებით მაშინ, როცა აუტანელი საზიზღრობე-ბის გაცხადება უწევდა ხოლმე ეთერში. აი, როგორც მაგალითად, დღეს.

ცოდვა გამხელილი ჯობია და, ბ-ნი იპპოლიტი ათას ერთ უგვანობას მიეჩვია ამ თავის სამსახურის გადამკიდე, ოღონდ ახლანდელი გამოცდა კი მართლა ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. რა იყო ამასთან უწმიდესი სინოდის კედლებში პედოფილიის მამხილებელი რეპორტაჟი (მერე მთელი სამი კვირა უძილობა სტანჯავდა); ანდა კომუნისტური პარტიის ლიდერის თაობაზე გაშვე-ბული ჭორი – ვითომდაც ამ სამაგალითო მეოჯახესა და უპატიოსნეს კაცს სქესი გამოეცვალოს (კომუნისტებმა, გასაგებია, არჩევნები წააგეს, ოღონდ იპოლიტ ვი-აზემსკი მიკროინფარქტის დიაგნოზით მოათავსეს საავადმყოფოში).

არა, ეს ყველაფერი ამასთან რა მოსატანია!

წინა დღეს თვით შეფმა გამოიძახა და ჩვეული, სულში ჩამწვდომი ხმით განუცხადა:

– იპპოლიტ ჩემო, ვიღუპები, შენზეა ახლა მთელი იმედი. გუბერნატორი კვანტს მიდებს – ესაო, ისაო, ბანკებიო, ოფშორებიო, ეს სადაა და ის სად წავიდაო – მოკლედ, ათასი მამაძაღლობა უნდა რო ჩამომკიდოს... ბაბუ, მოგეხსენება, ისევ გათიშულშია და დრო იხელთა, გაგულავება მოუნდა ჩემ ხარჯზე. მნახა რა, და-ბალი ღობე! მიადე ახლა ერთი შენებურად, შიგ ჟანგიან ყბაში! და არავითარი ინტელიგენტური მიკიბ-მოკიბვები, ნაღდი პროფი ხარ და არა ვიღაც დორენკო-პიდორენკო!

შეფი გამგები კაცივით გაიღმიჭა, იპპოლიტ ვიაზემსკის კი გულძმარვა მოაწვა ღირსპატივსაცემი კოლეგის ასე აუგად ხსენებაზე.

აი, ხელი-ხელში გადმოცემული ვიდეომასალა რო ნახა, მერე კი მართლა სავალიდოლოდ გაუხდა საქმე, და იჯდა ასე სამონტაჟოში დილამდე – ჯერი-ჯერზე ხან უფილტრო "ჟიტანის" ნაფაზს ურტყამდა, ხანაც – წამალს. ერთხელაც კიდე – ბედზე ახლოში არავინ იყო – ტირილიც კი წასკდა.

საბრალო გუბიკა (შინაურობაში ასე ეძახდნენ გენერალ-გუბერნატორს – ვინ სიყვარულით, ვინ – ფარული ბოღმით) ამისთანა, პოლიტიკური მკვლელობის დარ ზურგში დარტყმას ნაღდად რო არ იმსახურებდა: მის დროს არ იყო – დედაქალაქი თავის თავს დაემსგავსა, გალამაზდა, ქანდაკებებითა და მონუმენტებით მოიკაზმა... უბრალო ხალხს მისი გაცვეთილი სამკუთხა ქუდიც ეხატებოდა გულზე და აპრეხილი ულვაშებიც. კი ბატონო, ლაქუცა და გაიძვერა ჩინოსნები ახვევია გარს, თავადაც უყვარს კაი ჭამა-სმა და დროსტარება – რა მერე, ვის არ უყვარს? მაგიორში, საქმესაც არ ივიწყებს!

და აი ახლა ამისთანა კაცი უნდა გაადებინონ ფეხქვეშ – მას, იპპოლიტ ვიაზემსკის! ამაზრზენი ამბავია, ღმერთმანი. ოღონდაც ვიაზემსკი სიტყვის კაცია და ვალის გადახდაც ღირსების საქმედ გაუხდია. როგორც ბრძანებდა დიდი ლაოძი: "ოდენ კაცურ კაცს მოეხსენება, რომ ქვეყნად არარაა მადლიერებაზე უფრო სპეტაკი და უმადურობაზე მეტად მრუმე". სწორედ ამ ციტატას არაერთგზის გაუმხნევებია ტელეჟურნალისტის ნაგვემი სული...

– *სიმართლე ითქვას*, – მცირეოდნავ სარკასტული ღიმილით, იპპოლიტმა კვლავ კამერის შავ თვალს უსწორა გამჭოლი მზერა, – თითოეული ჩვენთაგანი ხშირად სტუმრობს ხოლმე ამ ალაგს – რიგითი მუშაკნიცა და სულიერი მამებიც, ესტრადის ვარსკვლავებიცა და... – აქ იპპოლიტ ვიაზემსკიმ მრავალმნიშვნელოვანი პაუზა დაიჭირა – ასე განსაჯეთ, ქვეყნის განმგებელნიც.

ეკრანზე რა გინდა რა ფეხისალაგების ფოტოები ჩაენაცვლა ერთმანეთს: სოფლის ჩეჩმა და რკინიგზის სადგურის ფეხსადგილი, საერთო საცხოვრებლის უნიტაზი და ახალრუსთა მალაქიტის ქვის ჰიგიენური გარნიტური (ისე, დიდი შანსი იყო – თავად შეფის კუთვნილი სრა-სასახლიდან).

– დღეს სწორედ ამ ჩვენი სვე-ბედის გამგებლებით დავიწყებთ. არა, თქვენსავით მეც ალალად მაინტერესებს, რაგვარ ტუალეტებზე ისაქმებენ ხალხის რჩეულნი – აი, თუნდაც ეს ჩვენი გენერალ-გუბერნატორი ავიღოთ, რომლის საარჩევნო შეძახილი, გახსოვთ ალბათ, ასეთი გახლდათ: *"რასაც მოვიხმართ, სამამულოს მოვიხმართ!"*

იპპოლიტმა ლამის იყო, ზურგის მალებით შეიგრძნო, როგორ ავარდა პროგრამის რეიტინგი: მომავალი ელექტორატი არხებზე აქეთ-იქით გადართვა-გადმორთვას უმალ შეეშვა და ფეხბურთის მატჩისა თუ რაღაც თოქ-შოუს მაგივრად ახლა საიმპერატორო არხის გადაცემას მიეჯაჭვა. დიად, უკიდეგანო ქვეყნის სივრცეს ზარების რეკვასავით გადაუარა მოსახლეობის ერთსულმა შეძახილმა: "მა-ა-ნია!!! შეეშვი ქალო ტელეფონზე პრუტუნს, ნახე რა ხდება!"

– *სიმართლე ითქვას,* ეჭვიც კი არ შეგვპარვია, თუ ჩვენი უ-უმთავრესი პატრიოტი მოხელე მშობლიური პროლეტარული ქარხნის ნაწარმით არ ისარგებლებდა – მოგეხსენებათ, რა მძიმე საინვესტიციო გარემოა შექმნილი ქვეყანაში და როგორ უჭირს ნებისმიერ ჩვენს საწარმოს საკუთარი პროდუქციის გასაღება...

ეკრანზე მსხვილი პლანით ჩნდება მოსკოველ ოსტატთა თიხისაგან გამოძერწილი ნაცოდვილარი – თალხი თეთრი ფერის უნიტაზი და უკანა პლანზე – უხელფასობისაგან განაწამებ მუშათა მოქუფრული სახეები...

ეს შესავალი იყო. ახლა – მთავარი:

– ჩვენს გენერალ-გუბერნატორს სამი საპირფარეშო აქვს გამართული ერთ ბინაში, სამიც – მეორეში, ოთხი – აგარაკზე და ორიც – მონადირის ქოხში. შეიძლება ითქვას, გასაღების ერთი პატარა ბაზარია სამამულო წარმოებისთვის, მაგრამ რად გინდა რა... ახლა ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის რეპორტაჟი ეთერში.

ამას კი რვაწუთიანი სიუჟეტი მოჰყვა – ფარული კამერის ამაზრზენი მოგზაურობა გუბიკას მოსაყუჩებელ ადგილებში. საბრალო – ამის მერე მისთვის რა ხმის მიცემაზე შეიძლებოდა ლაპარაკი!

ამ საზიზღრობის კიდევ ერთხელ ყურება იპპოლიტს უკვე აღარ შეეძლო. ასისტენტს დაუბარა, ახლავე დავბრუნდებიო და საგრიმიოროში შეიმალა.

გულზიდვის საწინააღმდეგო წამალი გადაყლაპა, მერე სარკეში საკუთარ, ფერუმარილისაგან აპრიალებულ სახეს მიაჩერდა, სიძულვილით.

გაახსენდა, წინა გადაცემის მერე, მისი პაწია ქალიშვილი რო დაბრუნდა განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა პანსიონიდან, მამას კითხა: "მამ, ნაზირალა ლა ალი? ზინაიდივანნამ თქვა შენზე, ნამდვილი ნაზირალააო".

ერთი დარეკვა სადაც ჯერ არს და მაგ ზინაიდივანნას მეორე დღესვე მოაძრობდნენ პრესტიჟული სამუშაოდან, იქნებ დირექტორიც ზედ მიეყოლებინათ. მაგრამ იპპოლიტმა ჩაშვება არ იკადრა – უბრალოდ, თავისი ორივე გოგონა სხვა სასწავლებელში გადაიყვანა.

იმიტომ რომ ეს შეუდრეკელი ზინაიდივანნა სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებდა: მართლა ნაძირალა გახლდათ ჩვენი იპპოლიტ ვიაზემსკი და ეს მასზე უკეთ არც არავინ უწყოდა. რას იზამ, კიდევ ბევრჯერ მოუწევთ საწყალ გოგოებს ასეთი რამის გაგონება მშობელი მამის მისამართით, და ვერც ვერავის აუხსნი, ვერ შეაგნებინებ, რომ სწორედაც საკუთარი კაცური კაცობის გამო გახდა ეგეთი...

ამ ექვსი წლის წინ, როცა ის მართალია იმედისმომცემი, ოღონდ ჯერაც ერთი ვინმე წვრილფეხა ჟურნალისტი იყო, უბედურება დაატყდა თავს: მის

მეუღლეს, ნასტენკას, ტყუპის გაჩენას უწინასწარმეტყველებდნენ ექიმები და მართლებიც აღმოჩნდნენ, ოღონდ ბავშვები სიამის ტყუპებად დაიბადნენ – გვერდებით შეზრდოდნენ ერთმანეთს. დაზაფრული მამა აქეთ ეცა, იქით ეცა და გამოარკვია, რომ მხოლოდ შორეულ აომინში, ვინმე დოქტორ ლიუს შეეძლო მათი შველა; ოღონდ ამ ჩინელ ჯადოქართან ოპერაცია $50.000 დაჯდებოდა – სრულიად ფანტასტიური თანხა მაშინდელ ჟურნალისტ ვიაზემსკისთვის... იქნება და ჯობდა საერთოდ არაფერი გაეგო ამ ვინმე ლიუს თაობაზე – ის, რომ ბავშვების ხსნა შესაძლებელია, ოღონდ ამას უფულობა ედგა წინ, მთლად ჭკუაზე გადაყავდა იპპოლიტი. არადა, გადარჩენის შანსები ყოველი განვლილი დღით სულ უფრო მცირდებოდა...

და როგორც ეს ცუდ რომანებშია ხოლმე, უცებ და მოულოდნელად, საოცრება მოხდა: შეფმა დაურეკა (თავისი გავლენიანობის სწორედ ზენიტში რომ იყო, მაშინ) და განუცხადა – გავიგე შენი ამბავი, დღესვე კრემლში შემოიარე ჩემთან, შენისთანა ახალგაზრდებს უნდა დავეხმაროთ, აბა რისთვის ვართ აქაო. არადა, პირადად ჯერ გაცნობილიც არ ყავდა!

ოპერაციამ მშვენივრად ჩაიარა, ორთავა ურჩხულიდან გოგონები მშვენიერ პატარა ბავშვებად იქცნენ და იპპოლიტ ვიაზემსკიმ თავს კაცური სიტყვა მისცა: შეფის გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ – ამგვარი ვალის დაბრუნება საკუთარი სიცოცხლის ფასადაც არ გამოვაო.

გადასახადი კი ბევრად უფრო მძიმე ტვირთი აღმოჩნდა, ვინემ თუნდაც საკუთარი სიცოცხლე. ყოველ შემთხვევაში, კაცური კაცისთვის.

ახლა, მისი შეფის სკამი რომ შეირყა, გაზეთები ერთხმად ამუნათებენ, ლანძღავენ და მის დილეგში ჩაყუდებასაც კი მოითხოვენ. და აი ასეთ დროს გინდათ განუდგეს იპპოლიტ ვიაზემსკი თავის კეთილისმყოფელს?.. სწორედ ახლა, როცა ყველაზე მეტად ჭირდება თანადგომა?! ვერ მოგართვით – ვიაზემსკების გვარში ეგეთები არ მოსულა!

სარკის თავზე წითელი ნათურა აციმციმდა – ოცდაათ წამში ეთერში უნდა გამოჩნდეს. იპპოლიტი ისევ სტუდიაში შევარდა, სავარძელში ჩაესვენა. ასისტენტმა ელვის უსწრაფესად, ხელის ერთი მოძრაობით გაუსწორა ვარცხნილობა და განზე გახტა.

დაყენებული ხმითა და გამქირდავი ღიმილით, პოპულარულმა ტელეწამყვანმა იპპოლიტ ვიაზემსკიმ თავისი გადაცემა ასე დაასრულა:

– ძვირფასო ტელემაყურებლებო, *სიმართლე ითქვას*, ახლა უნიკალური საშუალება გქონდათ გეხილათ ჩვენი სამამულო წარმოების საქონლის უებრო პროპაგანდისტი და დამცველი – საკუთარ რეზიდენციებში, საკუთარ უნიტაზებზე მორჭმით მჯდომარე. ოღონდ ეგაა, ამა მოოქროვილ ქოთანთა უცხოური წარმომავლობა და, შესაბამისად, იგავმიუწვდომელი სიძვირეც, დამეთანხმებით, არავი-

თარ ეჭვს არ იწვევს. მოკლედ, როგორც ხალხში იტყვიან – *ვინც კარგად ჭამს, ის კარგად...* – და იპპოლიტმა ყოვლად ამაზრზენი რამ მიარითმა, ასე ვთქვათ, საკუთარი შემოქმედების მწარე ნაყოფი – ხალხი აქ არაფერ შუაში იყო.

მაგიდის ქვეშ კი, მაყურებლისაგან ფარულად და მოწოლილი გულისრევის შესაკავებლად, ბ-ნმა ვიაზემსკიმ ფრჩხილები, ჩვეულებისამებრ, სისხლისდენამდე ჩაისო ხელისგულებში...

მთარგმნელი: *ეია ჯაქჭყრიძე*

პეტერ კარვაში

ამირბარ მოროს რაპორტი[1]

1570 წ. 31 ივნისი, კვიპროსი, ფამაგუსტას ციხე-ქალაქიდამ.

საჩქაროდ!

სს. [2]
დ.ა., ს.ს.გ.[3]
ვასკო გასპარინო კორსინიანის, სახელოვანი ვენეციის დოჟსა და რჩეული სენიორიის თავკაცს.

ჩ.პ.[4]

ქვემორე ხელმომწერი, ვენეციის რესპ. ამირბარი და კვიპროსის გამგებელი, ქრ. ოტ. მორო მიესალმება კეთილშობილ დოჟსა და
უფ. სენატორებს!

ბატონებო! შექმნილი საგანგებო ვითარებისდა კვალად, ვითხოვ თქვენს მითითებებს შემდგომი მოქმედებისათვის, ხოლო პასუხი, სასურველია, გამეცეს დაუყოვნებლივ და გადმომეგზავნოს ჩემი ლოცმანის – კაცის სანდოსა და მრავალგზის გამოცდილის ხელთაგან.

უპირველესად, შეშფოთებით მოგახსენებთ, რომ ინფორმაცია მტრის საზღვაო დესანტის თაობაზედ, რომელიც – წყაროს უტყუარობაში დარწმუნებულმა – ნაადრევად და გადაუმოწმებლად მოგაწოდეთ, სრულიად მცდარია და, მეტიც ითქვას, ვაგლახად გაყალბებული.

აფროსანი, რომელსაც ჩემი მეუღლე და მისი თანმხლები პირნი, ჩემივე ადიუტანტ იაგოს ჩათვლით, ვენეციიდან კვიპროსს გადმოჰყავდა, მართლაც გადააწყდა ორი თურქული გალერის ნაშთებს, ოღონდაც ასისთავ იაგოს პატაკი, რომლის მიხედვითაც ქარიშხალს თურმე სრულად გაუნადგურებია ლალა მოჰამედ ფაშას ფლოტი, არანაირად არ შეესაბამება სინამდვილეს.[5]

---

[1] აშკარაა, საქმე ეხება კუნძულ კვიპროსის იმდროინდელი სრულუფლებიანი გამგებლის, ვენეციის დოჟისნაცვლის, *ქრისტოფორო ოტორინო მოროს* რელაციას თავად დოჟისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმართ, სპეციალური კურიერის ხელით გაგზავნილს. უსტარი ესე დაცულია ვენეციის მერიის არქივში და რეგისტრირებულია როგორც Dok. #37/ -133/Ven. /70 *(ავტ. შენიშვნა).*

[2] სრულიად საიდუმლოდ.

[3] დიპლომატიური არხებით, საფოსტო საურავის გარეშე.

[4] ჩაბარდეს პირადად.

[5] სენსაციური ცნობა, რომ თითქოსდა ოტომანთა მთელს ფლოტს ქარიშხალმა დარია ხელი, ლამის მოარულ სიუჟეტად იქცა მავან მოკალმეთათვის. მათ შორისაა სწორედ ვინმე უ. შექსპირი, *ბრიტი*

ნამდვილი კი ის გახლავთ, რომ როგორც ახლა ჩემმა დაზვერვამ მაცნობა, ორი ათეული, ქარიშხლისაგან სრულიად დაუზიანებელი ხომალდი კუნძულ როდოსს მიადგა და იქ, ყურეში, სელიმ II-ის ქარიშხალსგამორიდებულ დანარჩენ საბრძოლო ხომალდების ესკადრას შეუერთდა. თურქები ახლა მზად არიან კვიპროსზე გადმოსასხდომად – ამ კუნძულის საარაკო სილამაზე, კეთილისმყოფელი ჰავა და ანტიკური სიძველენი ხომ *კარგა ხანია, ხელყოფისაკენ წაქეზებს ზოგიერთ გვამებს...*[6]

ასევე, არ შეესატყვისება სინამდვილეს საფორტიფიკაციო ნაგებობათა აღმშენებლობის ის ტემპი, როგორაც მე დავახასიათე ამა წლის ივნისის მოხსენებაში (კოდი №36/), იმავ ადიუტანტის მონაცემთა ერთობლიობაზე დაყრდნობით. ვითრება კი, შეიძლება ითქვას, კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება: წინაღობათა ქსელი მორღვეულია და ოსმანთა სადესანტო ნავები ისევე დაუბრკოლებლად განვლიან მას, როგორც წყალი – ცხაურს...

და კვლავ, მოგახსენებთ, რომ მორალურ-ნებელობითი განწყობა გარნიზონსა და, შესაბამისად, მოსახლეობაშიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს – ოფიცერთა კორპუსი იმაზე მეტ ალკოჰოლს მოიხმარს, ვინემ თუნდაც რომ ერთად აღებულ ბერგამოსა და ვერონაში, ხშირია შეხლა-შემოხლა და აყალმაყალი, სუბორდინაციას ჯეროვნად არავინ იცავს, რიგითები სადარაჯოზე ერთმანეთში წილისყრით ნაწილდებიან! ამგვარ ვითარებაში სელიმის ნაპირს გადმოსხმული საზღვაო ფეხოსნთა წარმატებით მოგერიებაზე ფიქრი ნატვრა-სურვილის სფეროს უფრო განეკუთვნება!

(აგდებული ჟღერადობის ზედსახელი ინგლისელთათვის: შდრ. მაგ.: იანკი — ამერიკელი, ვანკა — რუს., ჭიჭიკია-შალიკიე — ქართ. და ა.შ.) ვინაც 1604 წ. პიესაც დაწერა ზემოხსენებულ ამირბარ ოტტო მოროზე, ლამის ცალი ხელით რომ მუსრავდა თურმე თურქებს, ხოლო მისი ბოლო გამარჯვება Deus ex Machina-ს პრიმიტიული ხერხითაა დასურათხატებული: საქმე ისაა, რომ იმ დროის ინგლისი ესპანეთის მეფის, ფილიპ II-ის მიერ ბრიტანეთის კუნძულებზე ჯარის გადასასხმელად გაგზავნილი "დიადი არმადის" — 2630 ქვემეხითა და 30.000 საზღვაო ფეხოსნით აღჭურვილი 130 საბრძოლო ხომალის ქარიშხლის შედეგად სრულად განადგურების შთაბეჭდილების ქვეშ გახლდათ. ხრიკი მეტად მარტივი, გარნა ქმედითი აღმოჩნდა: იმის დასამტკიცებლად, რომ მართლაცდა "ღმერთი იფარვის დედოფალსა", ელისაბედ I-ის უშუალო მითითებით გავრცელდა ოფიციალური ვერსია, თითქოსდა ესპანეთის მთელს ფლოტს ქარიშხალმა მოუთავა ხელი... ისტორიული სინამდვილე კი სულ სხვაგვარად წარმოჩინდება — ინგლისელებს რამდენიმეგზის მოუწიათ სისხლისმღვრელი შეტაკებების გამართვა და დიდი ძალისხმევაც დასჭირდათ ესპანელების უკუსაქცევად, გაღებულ მსხვერპლზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მომხდურთა ფლოტის "ზებუნებრივი" განადგურების პროპაგანდისტული ილეთი შექსპირმა მექანიკურად გადაიტანა თავის ოპუსში, ამჯერად თურქებთან მიმართებით; თუმცაღა უცებთათვისაც კი ნათელი უნდა იყოს, რომ ა) ხმელთაშუა ზღვაში ამგვარი ძალის ქარიშხლები არ შეიმჩნევა; ბ) ოტომანთა იმპერიისათვის კვიპროსი მთლად ყურისძირში გახლდათ და ახალი ექსპედიციის გაგზავნა მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა; აღარას ვამბობთ იმაზე, რომ არც კვიპროსია ბრიტანეთი და ერთი ციცქნა კუნძულის დასაპყრობად "ბრწყინვალე პორტა", ფილიპ II-სგან განსხვავებით, მთელს თავის რესურსებს ერთ ფსონზე არ ჩაკიდდა. *(მთარგ. შენ.)*

6. რაღა თქმა უნდა, თურქებს სულ ქინძზე ეკიდათ კუნძ. კვიპროსის საკურორტო მშვენებანი — მათ სპილენძის უმდიდრეს საბადოებზე ეჭირათ თვალი (კვიპროსი-cyprium — cuprum-სპილენძი) და თავად ვენეციაც ამიტომვე იჩემებდა ამ მიწას (ჯერეთ, კანონიერი მემკვიდრეობითობის პრინციპით — როცა იაკობ ლუზინიანი, კუნძულის ძირძველი მეპატრონე, აიძულა ასაკით მასზედ ბევრად უფროს ვენეციელ ქალბატონ, კატერინა კორნაროსთან ქორწინებას დასთანხმებოდა, ხოლო შემდეგ, როცა მათ შვილი არ ეყოლათ — ხმლითა და ოქროთი); ეს ერთიცა და ის მეორეც გარნა თურქებს აკლდათ — აქედან დაიწყო

ოღონდ საკითხავიც აი, ეს არის – რამ მიიყვანა საქმე აქამდე? *რამ თუ ვინ*? პასუხი ამაზე კი ერთი მაქვს: ყველა ამ დეზინფორმაციის, გარნიზონის დისციპლინის მიზანდასახულად მორღვევისა და არევ-დარევის მიზეზი ისაა, რომ ჩვენი არმიის საკადრო ოფიცერი, ასისთავი, ჩემი პირადი ადიუტანტი იაგო – თურქების აგენტია!

ცოდვა გამხელილი ჯობია და ჩემში იგი იმთავითვე ეჭვს იწვევდა. თავს იმით ვიმშვიდებდი, ეს უბრალოდ, პირად-ყოფითი ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებული ანტიპათიაა-მეთქი,[7] ანდა პირწმინდად პროფესიული ხასიათის ქიშპი.[8]

მაგრამ როცა ცალკეული ფრაგმენტები ურთიერთშევაჯერე, ჩემთვის დღესავით გახდა ნათელი – და სხვა ახსნა არც არსებობს – იაგო ოსმალების მიერაა მოსყიდული, მათი მსტოვარია! ამაში საბოლოოდ დამარწმუნა ჩვენი კონტრდაზვერვის მიერ ჩაჭრილმა წერილმა, რომელიც უტყუარად იაგოს ხელრთვითაა შესრულებული და ფამაგუსტას სიმაგრე-ნაგებობათა გეგმა ახლავს, სუსტი ან შენებადაუმთავრებელი ადგილების მინიშნებით; ასევე, უხვადაა გაჯერებული აშკარად დაქარაგმებული ფრაზები, სადაც ლაპარაკია ამინდზე, თევზაობისათვის ხელსაყრელ დროსა და ზემსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსნებზე... ამიტომაც დაბეჯითებით ვითხოვ სახელოვანი სენიორიისაგან ამ საქმის ინკვიზიციის ათეულისათვის[9] გადაცემას; და ასევე, თანხმობას ასისთავ იაგოს დაუყოვნებლივ დასატუსაღებლად.

ისიც ითქვას, ახლანდელი გადასახედიდან, იაგოს მოქმედება გულუბრყვილობისა და ვერაგობის მეტად უცნაურ, თუმცაღა ამით არანაკლებ ფეთქებად ნაზავად მოჩანს: ხელი არ დაუკლია, ჩემს ოფიცრებს შორის ჩამოეგდო შუღლი და განხეთქილება – ასე მაგალითად, კასიო – კაცი არამსმელი და მემთვრალეობის ყოველმხრივ წინააღმდგომი – გალეშილ მდგომარეობამდე მიიყვანა, მერე კი საკუთარ კოლეგას – როდრიგოს წაჰკიდა; შედეგად, არა მარტო

სწორედ შუღლი და ქიშპი ამ ერთი ციცქნა მიწის თაობაზედ. ოღონდაც, როგორცა თავად სენიორიაში, ეგრევე მასთან მი-მო-წერისას, წესად არ იდვა საგნების მართლად სახელდება, რაკიღა უკაზმულსიტყვაობა მდაბიორთა ხელწერად აღიქმებოდა, და ჩვენი მოროც, მოდას აყოლილი, რაღაც ლათაიებს ჰყვება კუნძულის მშვენებასა და მის ტურისტულ პოტენციალზედ *(რედ. შენ.)*

[7] საკარაუდოა, ამირბარი მორო იმ დაუსაბუთებელ ბრალდებაზე მიანიშნებდეს, რომ თითქოსდა მას ახლო სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა იაგოს ცოლთან — ემილიასთან, რაზედაც თავად იაგოს არაერთგზის დასცდენია ქარაგმული სიტყვა და თავის მხრივ, მის ოხტში ამოსვლასაც დაქადნებია. *(ავტ. შენ.)*

[8] თავის მოადგილედ მორომ ახალგაზრდა, წარმოშობით *ფლორენციელი* კასიო დანიშნა, რითაც ძალზე გაანაწყენა კიდეც იაგო — ამას ნებისმიერი თეატრალი დაგიდასტურებთ *(მთარგ. შენ.)*

[9] Dieci inquisitori di stato (*ათი სახელმწიფო გამომძიებელი*) — უმაღლესი სამსაჯულო დარბაზი, რომლის თანხმობითაც ხდებოდა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების, ფლოტის ოფიცრებისა თუ სახმელეთო ჯარის მეთაურთა დაპატიმრება; შდრ.: Musatti, La storia politica di Venezia (1897); თუმცა ზოგიერთ სხვათა აზრით — მაგ. იხ.: Malmetti, La grandezza di Venezia (1892) — ეს ორგანო საერთოდ არ ერეოდა ესეგვარ საკითხებში. ასე რომ, თავად გადაწყვიტეთ *(ავტ. შენ.)*

სისხლი დაიღვარა, იძულებულიც გამხადა სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულების მომენტში ატეხილი ყალიბისათვის საკუთარი მოადგილე გადამეყენებინა დაკავებული თანამდებობიდან – ეს კი, გასაგები მიზეზების გამო, უფროს ოფიცერთა შორის საბრძოლო სულისკვეთების გამძფრებას სულაც არ შეუწყობდა ხელს....

ასევე, თავის ძირგამომთხრელ საქმიანობაში ზემოხსენებული იაგო არც ათასგვარ, თუნდაც ყოვლად ბრიყვულ ჭორ-ცილისწამებათა გავრცელებას ერიდებოდა: მაგალითად, ჩემი გვარის მჟღერადობის დათამაშებით, მთელს გარნიზონს მოსდო, თითქოსდა ძარღვებში სარკინოზთა სისხლი დამიდის, მოსახლეობაში კი ხმებს ყრიდა – ნაღდი ზანგია, ოღონდ ფერ-უმარილით იფერმკრთალებს სახესო! რაკიღა, გასაგები მიზეზების გამოისობით, არანაირად არ შემეძლო ყოველ რიგითსა თუ კუნძულის მიყრუებულ კუთხე-კუნჭულში მცხოვრებს პირადად დავნახვებოდი, ამ აბსურდულმა ჭორმა იმგვარად ფართოდ მოიკიდა ფეხი, ახლა ბევრის გადარმუნება აღარც ისე ადვილი იქნება...– ბოლოს და ბოლოს, თავადაც ხომ ამემღვრეოდა სული, ზემდგომად ვინმე ფერადკანიანი რომ დაგესვათ ჩემთვის![10]

მაგრამ ეს კიდევ არაფერი – ჩემს მუნ-არყოფნისას იგი დაურიდებლად ამახინჯებს ჩემს კეთილ სახელს და კინობითი ფორმით, თანაც გენუეზურ კილოკავზე (sic!) უქცევს – *ოტტელლო!* ვენეცია-გენუის ისტორიულ ქიშპს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ სუბორდინაციის წესებითაც კი ყოვლად დაუშვებელი რამაა!

---

[10] "მავანთა გადარწმუნებას" რაც შეეხება, ოტორინო ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რამდენად წინასწარმეტყველური აღმოჩნდებოდა მისი ვარაუდი! საერთოდ, თავად ფიქრიც კი, თითქოსდა იმდროის ვენეციის ფლოტის ამირბარად მავრის ან ზანგის დანიშვნა ყოფილიყო შესაძლებელი, იმდენად აბსურდულია, სწორედაც რომ მხოლოდ თეატრალურ სამყაროში შეიძლებოდა ჰქონოდა გასავალი! არადა, ქრისტოფორო ოტორინო მოროს მავრობა/სარკინოზობა იმგვარადვე დაუჯერებელია, როგორაც *სუკ*-ის ვინმე ყოფილი გენერლის CIA-ს დირექტორად დასმა!...

მორო ძირძველ არისტოკრატთა საგვარეულოდან გახლდათ (მარტო მილანის დუკას, ლოდოვიკო მოროს ხსენებაც საკმარისი იქნებოდა!) მამით — ბასანოდან, დედით — ბელუნოდან, ანუ ვენეციის მიმართ ლოიალურად განწყობილი ქალაქებიდან, ხოლო თავად ბრეშიაში დაიბადა და აღიზარდა, რაც რესპუბლიკისადმი ნეგატიურ განწყობას იმთავითვე გამორიცხავდა, მისი კანისფერი კი იმაზე მუქი არ გახლდათ, რაც რომ ხმელთაშუაზღვის აუზის მკვიდრთათვისაა დამახასიათებელი.

ახლა, მამამისი ხომ მთლად ქალაქის 1/6-ის ტრიბუნი გახლდათ — 37 კუნძულის, 63 არხისა და 21 ხიდის გამგებელი, ქრისტოფორომაც საუცხოო სამხედრო კარიერა გაიკეთა და განსაკუთრებით სწორედ თურქებთან ბრძოლაში, დურაცცოს მიდამოებში შეხლისას გამოიჩინა თავი. შემდგომ ამისა, მამამისის კოლეგისა და მეგობრის, სენატორ ბრაბანციოს ქალიშვილზე, დეზდემონაზე იქორწინა და როგორც გადმოგვცემენ, ეს დაუვიწყარი სანახაობა იყო — ხალხის სამდღიანი სეირნობები მერიის ხარჯზე, ლაგუნის თავზე ღამისეული ფეიერვერკებითა და საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია, სენიორიას რაიმე სახის მეზალიანსი დაეშვა ამ დონეზე და ამგვარი პომპეზურობით... თუმცაღა, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, უკვე ვინმე ნოველისტი, *ბატისტა ჩინტიო ჯირალდი* თავის კრებულში Gli hecatomithi მოროს "მავრად" იხსენიებს, გარნა ზემოხსენებული ვაჟბატონი ამ უკანასკნელის თანამედროვე გახლდათ; ერთი ეგაა, ეგ ჯირალდი ემანუილ ფილიბერტ სავოიელის სამსახურში იდგა, მისი ბატონი კი არაოუ უბრად იყო დოჟ კორსიანინისთან რაღაც სადაო მემკვიდრეობისა გამო, სერთოდაც ცნობილი გახლდათ თავისი ანტივენეციური გუნება-განყობილებით (იხ. მაგ.: Bertino, Gli hecatomithi di G.B. Cintio, 1903). შემდგომ ამისა, ჩვენს მიერ აგრეთვე უკვე ნახსენებმა უ.შექსპირმა XVI საუკ. მიწურულის ვენეციის რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეთნოფსიქოლოგიური რეალიების სრული იგნორირებით, Moro '*Moore*'-ად (მავრად, სარკინოზად) მოთარგმნა და საწადელსაც მიაღწია — აქამომდე არც ერთ თეატრალურ კრიტიკოსს (თუკი ამგვარნი საერთოდ არსებობენ) მისი გმირის მავრობის თაობაზე ეჭვიც არ აღძვრია. (რედ.შენ.)

ოღონდაც პირადად ჩემთვის მთლად გამაოგნებელია ასისთავის უბადრუკი მცდელობანი – ჩემი ოჯახური ცხოვრების დანგრევის განხრით. არადა, სიმართლე ითქვას, მე რომ ამგვარი აუღელვებელი ხასიათის, გაწონასწორებული ზნისა და ცივი გონებით განსჯას ჩვეული კაცი არ ვიყო, სავსებით შესაძლებელია, ერთხელაც წონასწორობა დამეკარგა და უკადრისიც მეკადრებინა...

საქმეც ის გახლავთ, თქვენო უკეთილშობილესობავ, რომ სამიზნედ მას ჩემი სათაყვანო მეუღლე გაუხდია და ყოველი ქვენა ხრიკებით მისთვის სახელის გატეხვას ცდილობს! თანაც ამას იმდენად გამჭვირვალედ, გულუბრყვილოდ და უგერგილოდ სჩადის, გული მოგიკვდება კაცს! მაგ.: დეზდემონას კუთვნილ რაიმე სამშვენისს შეუგდებს ხოლმე მავან ოფიცერს ბინაზე, ან ჩემს დასანახად შუბლს შეიჭმუხნის, როცა კი ჩემს მეუღლეს შტაბის წევრებით გარშემორტყმულს ხედავს (ღმერთო ჩემო, სწორედ ის იქნებოდა არაბუნებრივი, ამგვარ მომხიბლავ არსებას აინუნშიც რომ არავინ აგდებდეს!) ან ვითომდა სულაც ყურმოკრულ ამბავზე მიმანიშნებს ხოლმე, უცაბედად.... ჩიტი ბდღვნად არ ეღირებოდა, მცდელობა რომ სურვილზე არ მიანიშნებდეს, სურვილი – მიზანზე, ხოლო თავის მხრივ, ჩვენს მიერ ხელში ჩაგდებული საიდუმლო ბარათი – იმ სამხილზე, პირდაპირ და არაორაზროვნად რომ ააშკარავებს იაგოს ღალატს!

აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ქმედებათა შესანიღბად იგი ძალ-ღონეს არ იშურებს – როგორ გამოსდის, ეს სხვა საკითხია – ვთქვათ, ყველას კარგად მოეხსენება მის დამქირავებელ მაჰმადიანთა დამოკიდებულება ღვინის მიმართ, და ჩვენი ასისთავიც დილა-საღამო ყურძნის ნაჟურის საქებარ სიმღერებს დასძახის, რეპერტუარი კი სრულიად განსხვავებულია ვენეციურისაგან – როგორც ფორმით, ასევე შინაარსით, და შეურაცხმყოფელი ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისათვის, სამხედრო დოქტრინაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.[11]

ჩემგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ჩემი მეუღლეცა და მთელი სამხედრო პერსონალი ისე იქცევა, თითქოსდა იაგოს კოჭი ალჩუზე უჯდეს – შეშფოთებას გამოთქვამენ, დამწუხრებული სახეებით დაიარებიან; მე კი ვცდილობ, ადექვატურად მოვიქცე – ანუ, აბორიგენთა ენაზე – "ავვარდი" – ვღიზიანდები, ვეჭვიანობ, ვიმუქრები და შიგადაშიგ, ბნედაც წამომივლის ხოლმე. ოღონდ ამგვარი, სამხედრო კაცისათვის სრულიად უგვანი ქცევა შესაძლოა ცუდად შემომიტრიალდეს – ბოლოსდაბოლოს, ყველას ხომ ვერ აუხსნი ამ ფარული თამაშის წესებს – ამიტომაც მოუთმენლად მოველი თქვენს მიერ ხელდასხმული კომისიის ჩამოსვლას, რათა დროულად უვნებელვყოთ მტრის ჯაშუში, მე კიდევ საშუალება

[11] რაოდენ უცნაურიც არ უნდა მოგეჩვენოთ, ეს ინგლისური ყაიდის სიმღერებია — იხ. იგივე უ.შექსპირი, "ოტელლო", 11, 3. როგორ და რანაირად მოხვდნენ ისინი ნისლიანი ალბიონიდან მზიან კვიპროსზე, თანაც — ვენეციურ დიალექტზე გადაწყობილები, სრულიად გაუგებარია. გარნა თუ იაგო ორმაგი აგენტი იყო და *ინტელიჯენს სერვისსაც* ედგა სამსახურში! ბრიტებს კი წესად უდევთ, ყოველგვარი ვარჯიშობებისა თუ კლუბური შეხვედრების შემდგომ, ყელის გასველებისას, a capella დასძახონ ხოლმე... *(ავტ. შენ.)*

მომეცეს, ჩემს უშუალო მოვალეობათა აღსრულებას მივყო ხელი: რა დასამალია და, მდგომარეობა მძიმეა – როგორც სტრატეგიული, ეგრევე ტაქტიკური თვალსაზრისითაც; დროც მცირე გვაქვს და თუ სასწრაფოდ არ მივმართავთ გადამჭრელ ზომებს, ყველა ვენეციელისათვის ეგზომ შეტკბობილი, ლამის საკუთარ მიწაწყლად მიჩნეული, ღვთივკურთხეული კუნძული კვიპროსი ვაითუ, თურქთა უღელქვეშ აღმოჩნდეს! ამაზე ფიქრიც კი გულს მიკლავს და სულს მიშფოთებს.....

დავშთები მარად –
რესპუბლიკისა და პირადად თქვენი ერთგული,
ვენეციის ფლოტის ამირბარი

ქრისტოფორო ოტორინო მორო

ერთვის ჩემი ბეჭედიცა და ხელრთვაც.

* * *

მთლიანობაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოსდა უსტარი ესე უზადოა, სრულად გადმოგვცემს ვითარების არსსა და თავად ამირბარის ქცევას – ვითარცა წინდახედულის, შორსმჭვრეტელისა და საერთოდ, ლამისაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კაცის ქმედებად წარმოგვისახოს. ოღონდაც სენიორიისა და თვით დოჟის რე–აქცია სრულიად გაუგებარი გახლდათ (ყოველ შემთხვევაში, დღესამომდე): სამხედრო დახმარების გაწევისა და იაგოს დაპატიმრებაზე ორდერის გაცემის მაგივრად, მათ მრავალკაციანი დეპუტაცია მიავლინეს კუნძულზე – რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ – ქ.ო. მოროს დოჟისნაცვლისა და გარნიზონის თავის თანამდებობიდან გადასაყენებლად და მის ადგილას თავის მხრივ ადრე მოადგილეობიდან გადაყენებული კასიოს დასანიშნად! ზოგნი მკვლევარნი (იხ. მაგ.: Hewlett, Venetian Republic, 'Rise, Growth, Fall' 11, 1900) იქამდეც კი მივიდნენ, მთელ ამ ამბავს მოროს მხარდამჭერ აქციად წარმოაჩენდნენ: ვითომდა თავად ვენეციაში უკვე მომწიფებულიყო აზრი, რომ კვიპროსი დაკარგულია რესპუბლიკისათვის და შორსმიმავალი შიდაპოლიტიკური მიზნების კვალად, სულაც არ სურდათ, ტერიტორიის დაკარგვა მათი რჩეული გმირის სახელთან ყოფილიყო ასოცირებული... თუმცაღა, ამ საზრისს ისიც უმაგრებს ზურგს, რომ დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ დეზდემონას ღვიძლი ბიძა, ანუ სენატორ ბრაბანციოს ძმა, გრაციანო და ღვიძლი ბიძაშვილი ლოდოვიკო, რომელმაც წამოაყენა კიდეც კუნძულის კომენდანტად ვინმე ახალის დანიშვნის მეტად საორჭოფო იდეა.

სიმართლე მხოლოდ საუკუნეების მერე გაირკვა, სანამ ვინმე ბერარმა,[12] სრულიად შემთხვევით, ვენეციის მუნიციპალური მუზეუმის საცავებში ერთ ხელნაწერს არ მიაკვლია (#149/F-221, Ven.-01-70), რომელიც ახლა, გარკვეული ანალოგიით, "იაგოს რაპორტითაპ" სახელდებული.

დოკუმენტის ტექსტი მოგვყავს სრულად, ბერარისეული პუბლიკაციისდა მიხ.:

ფამაგუსტა, კვიპროსი.

27. VII. 1570

მის აღმატებულებას, ფერრანდო ბონდელმანტის – საიდუმლო პოლიციის თავს.

ვენეცია, პიაცცა დი სან-მარკო, 57

ბ-ბ.[13]

სამხრეთის ვარსკვლავი მოგახსენებთ, რომ სისრულეშია მოყვანილი ალტერ-ნატიული – **ბ)** ვარიანტი გეგმისა Pax Cypria. აღსრულების დაჩქარება იძულებითი იყო, ვინაიდან თურქების საზღვაო ფეხოსანთა დესანტი, უტყუარად, უკვე უახლოეს ხანს ეპირება ხმელეთზე გადმოსხმას, ხოლო ჩემი სათვალთვალო ობიექტის თანამშრომლობა მომხდურებთან ეჭვის საბაბსაც კი აღარ გვიტოვებდა. გეგმის ეს ალტერნატივა იმიტომაც ვარჩიე, რომ **ა)** ვარინტის განსახორციელე-ბლად (დაპატიმრება, ვენეციაში ბადრაგის თანხლებით გადაგზავნა, სასამართლო პროცესის გამართვა და, საბოლოოდ, მოღალატის ეშაფოტზე აყვანა) დრო აღარ რჩებოდა; მეორის მხრივ, საქმე სენიორიის დელეგაციის ჩამოსვლამაც გაართულა – მათი მტკიცებით, ვენეციის რესპუბლიკის დიადი სახელი უმწიკვლოდ უნდა შეგვენახა, ოტტელლოს სიმუხთლის გახმაურება კი აუწონავ ზიანს მოუტანსო "საერთაშორისო ვაჭრობის დედოფალს" (!) ისიც ითქვას, ამირბარის პოპუ-ლარობა იმდენად დიდი გახლდათ ჯარსა თუ მოსახლეობაში, რომ <u>ვერანაირი</u> სამხილი (რომელთა რაოდენობა რამდენიმე სქელ საქაღალდეს იჭერს) მათი კერ-პის ვერაგობასა და ღალატში მათ ვერ დააჯერებდა.

ამიტომაც გავხდი იძულებული, ფრთხილად, უხმაუროდ მომეკვდინებინა არა მარტო თავად დოჟისნაცვალი, არამედ მისი მეუღლე დეზდემონაც, ვინაც არა მხოლოდ სრულად გახლდათ ინფორმირებული საკუთარი მეუღლის უმსგავსო

[12] იხ. A. Berar, Cypris, Chronique de L'ille de Chypre au Moyenage, 1907

[13] ხელი-ხელ, ხელიდან-ხელში *(მთარგ. შენ.)*

ქმედების თაობაზე, არამედ თავადაც აქეზებდა და უბიძგებდა მას ამისაკენ;[14] ასევე, კადეტი როდრიგო, კაცი საკუთარი მეთაურის მაღმერთებელი და ღალატის ბრმა იარაღად ქცეული მის ხელთ, და კვლავ, ასევე – მეუღლე ჩემი ემილია, ვინაც ამირბარმა, დეზდემონას მეშვეობით, ორგზის გამოიყენა მეკავშირედ თურქებთან მოლაპარაკებისას...

ყოველივე ესე მოვიმოქმედე ვენეციის რესპუბლიკისათვის თავდადებითა და სრული შეგნებით, რომ არავითარი სხვა საშველი აღარ იყო. რაც შეეხება განაჩენის აღსრულების ფორმას, მის მოტივირებასა და შესაბამის ლეგენდას, ყოვლად ბანალური, გარნა ქმედითი ვარიანტი შევარჩიე – წრეგადასული ეჭვიანობა ადიულტერის ნიადაგზე და, შესაბამისად, გონების ტემპორალური დაბინდება.

ველი თქვენს შემდგომ მითითებებს.

სამხრეთის ვარსკვლავი, აგენტი № 00,09 [15]

თარგმანი და შესაბამისი კომენტარები: ეია ჯყმეჭყორიძე

---

[14] *"მყიფეა სული დედაკაცისა!"* — უ. შექსპირის შენათხზავში, ვინძლო, ეს ერთადერთი ფრაზა შეესაბამებოდეს სიმართლეს! ჩანს, დეზდემონამ ვენეციაში სეფექალობას კვიპროსის ერთპიროვნული გამგებლის (რა ტიტულიც, სავარაუდოა, უნდა ბოძებოდა კიდეც — გარიგების თანახმად — ოტორინოს სელიმ II-ისაგან) ცოლობა, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, "I ლედის" სტატუსი ანაცვალა. *(ავტ. შენ.)*

[15] *ვინ იფარებოდა ამ ციფრების მიღმა, ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ჩვენის მხრივ ისღა დაგვრჩენია დაგუმატოთ, რომ ამ ამბებიდან სულ რამდენიმე თვის შემდგომ, სელიმ II-ისა და ლალა მუჰამედ ფაშას მხედრიონი მართლაც გადმოსხდა კუნძულზე; დაჭრილი კასიო პოლკოვნიკმა ბრაგადინომ შეცვალა და თუმცა დამხდურებს ცდა არ დაუკლიათ, თურქებმა ევბეისა და სკუტარის დათავისებას აწ უკვე კუნძული კიბრისიც ზედ დაურთეს....*

ამგვარია ისტორიის ჭეშმარიტი სვლა, რაშიც პირად-საქმიანი, რომანტიკული თუ სულაც ცოლ-ქმრული პერიპეტიები სრულიად არარელევანტურია, ხოლო მათგან რაღაც ტრაგედიების შეთხზვა – მთლად უკადრისი საქციელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ცუდმედიდობის ნიშანი მაინცაა – რასაც, ჩვენის ღრმა რწმენით, ვერანაირი თეატრალიზებული წარმოდგენები ვერ გაამართლებს...

წერილები, ესეები, ნარკვევები

მარიო ვარგას ლიოსა

‘თავისუფლების კულტურა’

ჯონ მილტონი

’სიტყვა თქმული პარლამენტის წინაშე — ბეჭდვითი სიტყვის დასაცავად’

მარიო ვარგას ლიოსა

თავისუფლების კულტურა

უცნაურია – გლობალიზაციის პროცესის წინააღმდგომთა ძირეული არგუმენტები სულაც არ ეყრდნობა ეკონომიკის საკითხებს; სოციალური და ეთიკური – ეგ თავისთავად, ოღონდ თავისებურ საჯილდაო ქვად მაინც კულტურის პრობლემები აქვთ ქცეული: ასე იყო 1993წ. სიეტლში ატეხილი დიდი ყალიბის დროს და იგივე განმეორდა შემდგომ დავოსში, ბანგკოკში, პრაღაში... ნეგაციურ დებულებათა პირამიდა კი დაახლოებით ასე გამოიყურება:

სახელმწიფოებრივი საზღვრების მოშლა და საერთო ბაზრით ურთიერთშეკავშირებული მსოფლიოს შექმნა უმძიმეს დარტყმას მიაყენებს ეთნიკურ თუ ეროვნულ ერთობებს – მათს ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, მითებს, ზნეობრივ ნორმებს – ანუ ყველაფერ იმას, რაზეც ამა თუ იმ ქვეყნის ან ერის თვითმყოფადობაა დაფუძნებული; და რაკიღა მსოფლიოს უმეტეს ნაწილს არ ძალუძს განვითარებული ქვეყნების კულტურათა – უფრო სწორად, ამერიკის შეერთებული შტატების, ამ სუპერერთეულის – პროდუქციის მოძალებას გაართვას თავი, ჩრდილო ამერიკის კულტურის სტანდარტები უცილობლად გადაჯეგავენ მცირე კულტურათა მრავალფეროვნებას. ასე და ამგვარად, მთელი დანარჩენი მსოფლიო, და არა მხოლოდ სუსტნი და მცირენი დაკარგავენ საკუთარ იერსახეს, თვითობასა და სულიერებას – XXI საუკუნეში ისინი რაღაც დანამატებად, თავისებურ კოლონიებად იქცევიან – ასე ვთქვათ, ახალი იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული ფსევდოკულტურის ზომბირებულ კარიკატურებად; თავად ეს ახალი წყობა კიდე (სამხედრო, სამეცნიერო და სხვ. და სხვ. უპირატესობათა ხარჯზე) საკუთარ ენას, აზროვნების წესს, რწმენას, დროსტარების ჩვევებსა და ოცნების ფორმებსაც კი გააბატონებს დედამიწაზე...

ნეგატიური უტოპიის ეს კოშმარი, რომელიც (რაღა თქმა უნდა, ისევ **ა.შ.შ.**-ს წყალობით) ლინგვისტურ და კულტურულ უდაბნოდ ქცეულ ჩვენს პლანეტას წარმოგვისახავს, სულაც არაა ე.წ. "მესამე სამყაროს" წარმომადგენელთა – ანუ მარქსის, მაოსა თუ ჩე გევარას აპოლოგეტ მემარცხენე პოლიტიკოსთა ნაჩალიჩარი საფრთხობელა: მოსპობა/განადგურების მოლოდინის ეს ფსიქოზი, ეს ქვეცნობიერი შიში ჩრდილო ამერიკელი გიგანტის მიმართ მაღალკულტურული ერების რიგით წარმომადგენლებსა და განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ სპექტრშიც შეინიშნება.

ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი საფრანგეთია, სადაც წარამარა იმართება გლობალიზაციის საფრთხის წინაშე დამდგარი "კულტურული თვითობის" გადარჩენის სამთავრობო კამპანიები. ინტელექტუალები და პოლიტიკოსები ტალღა-ტალღაზე იმაღლებენ ხმას – აქაოდა მონტენის, დეკარტეს, რასინის, ბოდლერის ქვეყანა – ქვეყანა, რომელიც, ამავე დროს, ჩაცმა-დახურვის, ყველა

სახის ხელოვნების, სასმელ-სამზარეულოსა და საერთოდ, სულიერების ჭიპი იყო – ახლა მაკდონალდსის, პიცა-სასადილოების, კენტაკური ტაბაკასა და ჯაზ-როკის, რეპის, ჰოლივუდური ჰეპი-ენდების, ჯინსების, სნიკერსების, ტოპიკების (სია დაუსრულებელია...) კულტურად შეიძლება ჩამოქვეითდეს. შიშს დიდი თვალები აქვს და შედეგად, ფრანგები დიდძალ სუბსიდიებს ახმარენ საკუთარი კინემატოგრაფიის ინდუსტრიას, ითხოვენ ყოველ კინოთეატრში თავისი წილი ედოს ფრანგული ფილმების ჩვენებას და შემცირდეს ამერიკული პროდუქციის იმპორტი. ამას დიდი ფულადი ჯარიმების დაწესება მოჰყვა მოლიერის მშობლიურ ენაში ანგლიციზმების შემოტანის აღსაკვეთად (სარეკლამო განცხადებებს ვგულისხმობ). თუმცა, პარიზის ქუჩებში მოხეტიალე უცხოელის თვალით, ამ დირექტივებს დიდი ვერაფერი შედეგი მოუტანია. იმავე მიზეზით, ვინმე ჟოზე ბოვე, ე.წ. *სწრაფკვების წერტების*‘ (Fast-food) წინააღმდგომი, უპოპულარულესი პიროვნება გახდა, ხოლო დილეგში სამი თვით მისმა გამოკეტვამ ეს, ასე ვთქვათ, ფერმერ-ჯვაროსანი ლამის საფრანგეთის ეროვნულ გმირად აქცია...

პირდაპირ გითხრათ, მთელი ეს არგუმენტები გლობალიზაციის წინააღმდეგ ჩემთვის სრულიად მიუღებელია, ოღონდ ისიც უნდა ვაღიარო, რომ სიმართლის რაღაც მარცვალი მათში მაინც არის. წინასთან შედარებით, ეს საუკუნე მართლაც უფერული გამოჩნდება, თუკი უკვალოდ გაქრა ის ტრადიციები, დღესასწაულები, ცერემონიები, წეს-ჩვეულებები თუ რწმენები, რაც ადამიანთა მოდგმას ეთნოლოგიურ და ფოლკლორულ მრავალფეროვნებას ანიჭებდა. არადა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი მართლაც ნელი-ნელ ივიწყებს მათ და, შესაბამისად, ყოველდღიურობის რეალობას უსადაგებს ცხოვრების ნირს. მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში იგრძნობა ეს პროცესი – ზოგან მეტად, ზოგან ნაკლებ, ოღონდ გლობალიზაცია აქ არაფერ შუაშია: ეს უფრო **მოდერნიზაციის** პროცესია, რაც, თავისთავად, პირველს – შედეგად, ხოლო ამ უკანასკნელს უკვე მიზეზად აქცევს. რაღა თქმა უნდა, სინანულით თავის ქნევა უპრიანია, როცა წარსულზე ვლაპარაკობთ, როცა დღესინდელი გადასახედიდან წარსული საუკუნეების ცხოვრების წესი მხოლოდ სიხალისით, თვითმყოფადობითა და სისხლსავსე მდინარებით გამორჩეული გვეხატება; იმასღა ვწუხვართ მხოლოდ, რომ პროცესი ესე, უბრალოდ, შეუცვლადია: კუბისა თუ ჩრდილო კორეის ტოტალიტარული რეჟიმები, იმის შიშით, ემანდ გარე სამყაროდან რაიმე სიახლე არ შემოგვაპარონო, საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან და ათასგვარ აკრძალვებსა და შეზღუდვებს იგონებენ, ოღონდ მათაც კი არ ძალუძთ მოდერნიზაციის შეღწევას მოულონ ბოლო და მათი კულტურული თავისთავადობის სტერილიზაცია მოახდინონ. თეორიულად, იქნებ ამგვარი რამ შესაძლებელიც კია, ოღონდ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მთელი ქვეყანა – ამაზონის აუზისა თუ აფრიკის ზოგიერთი ტომივით – სრულ იზოლაციას არჩევს და სრულად თვითმკმარ არსებობას განაგრძობს. ოღონდ ეგაა, ამგვარად დაკონსერვებული კულტურული თვითობა მოცემულ საზოგადოებას ცხოვრების პრეისტორიულ სტანდარტებთან თუ დააბრუნებს.

განა ვინ დავობს – მოდერნიზაცია ცხოვრების ტრადიციულ წეს-ჩვეულებების დაკნინება/გაქრობას იწვევს; ოღონდ იმავდროულად, ახალ შესაძლებლო-

ბებსაც სახავს და მთლიანად საზოგადოების განვითარებისათვის წინგადასადგამ ნაბიჯს უმზადებს ნიადაგს. სწორედ ამიტომ, თუკი თავისუფალი არჩევანის უფლება მიეცათ, ერები ზოგჯერ იმის საწინააღმდეგო გზას ადგებიან, რასაც მათი ემოციური ტრადიციონალისტი ლიდერები ისურვებდნენ.

გლობალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მთელი ეს მოძრაობა და კულტურული თვითობის თავგადაკლული დაცვა თავად ცნება "კულტურის" გააზრების სტატიკურ თვალსაზრისს ეყრდნობა, რასაც – ისტორიული გადასახედიდან – არავითარი საყრდენი არ გააჩნია. ანუ საკითხავი ისაა, რომელი ერთი კულტურა ოდესმე გადარჩენილა უცვლელი სახით? ამგვარი მაგალითები მხოლოდ რიცხობრივად მცირე, პრიმიტიულ, ცრურწმენებით მოსილ ტომებში შეგვიძლია მოვიძიოთ. ოღონდ ეგაა, სწორედ რომ მათი პრიმიტიული ცივილიზაციის გამო, მუდმივად ემუქრებათ ექსპლოატაციისა თუ გადაგვარების ხიფათი. სხვანი კიდევ, ვისაც თანამედროვე და სიცოცხლისუნარიან კულტურებად აღვიქვამთ, იმდენად იცვალეს სახე, ცხოვრების წესით ახლა ძნელად თუ მივამსგავსებთ მათს წინაპრებს. ამგვარი ევოლუცია იმდენად თვალშისაცემია საფრანგეთის, ესპანეთისა თუ ინგლისის მაგალითზე, რომ თუნდაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში სახეცვლილი საზოგადოება საგონებელში ჩააგდებდა მარსელ პრუსტს, ფედერიკო გარსია ლორკასა თუ ვირჯინია ვულფს – სწორედ მათ, ვინც თავის დროზე ამ ცვლილებების დასანერგავად გამოიღო ხელი.

საერთოდ, ეს "კულტურული თვითმყოფადობის" ცნება მეტად სახიფათო რამაა – თავისთავად საეჭვო, ხელოვნური კონცეფცია, პოლიტიკურ პერსპექტივაში ადამიანის უძვირფასეს მონაპოვარს, *თავისუფლებას* რომ ემუქრება. სულაც არ ვუარყოფ: ხალხს, ვისაც ენა, საცხოვრისი, ღვთის რწმენა, წეს-ჩვეულებები და პრობლემებიც კი მეტ-ნაკლებად საერთო აქვთ, ზოგადი მახასიათებლებიც საერთო ექნებათ; ოღონდ ეს კოლექტიური ცნება ვერანაირად ვერ განსაზღვრავს ყოველი წევრის მახასიათებელს და მხოლოდღა ზოგად, ასე ვიტყოდი, მეორად საერთო თვისებებს მიაწერს *პიროვნებას*, მუდამ რომ განსხვავდება ამა თუ იმ საერთო ჯგუფის მახასიათებლიდან. თვითობის გააზრება კიდე, თუკი ის ინდივიდუუმს არ ითვალისწინებს, დასაბამითვე რედუქციონისტულია და პიროვნულობისაგან დაცლილი – ერთგვარი კოლექტივისტური იდეოლოგიური აბსტრაქცია, რომელიც უარყოფს ყველაფერს, რაც კი ადამიანს თავად მოუპოვებია შთამომავლობითი, გეოგრაფიული თუ სოციალური ზეწოლის თვინიერ. მე თუ მკითხავთ, პირიქით – ჭეშმარიტი თვითმყოფადობა ყოველივე ამის გადააზრება/დაწურვასა და საკუთარი ქმედითობის გამოვლენაში მდგომარეობს.

კოლექტიური თვითობის ცნება, უბრალოდ, იდეოლოგიური ფიქციაა და ნაცისტობის საფუძველი. ჭკუასაღი ეთნოლოგებისა და ანთროპოლოგებისათვის ამგვარი თვითობა უარქაულეს თემებშიც კი პირობითია – რა გინდა რა ძლიერი იყოს საერთო წეს-ჩვეულებებისა თუ ადათების გავლენა, პიროვნული თვითგამორკვევის სურვილი მუდამ ცდება ჯგუფური ინტერესების საზღვრებს. გლობალიზაცია ყველას განურჩევლად საშუალებას აძლევს საკუთარი კულტურული თვითობის კონსტრუირება ნებით, საკუთარი შეხედულებებისა და მიდრეკილებების

მიხედვით მოახდინოს. დღესდღეობით, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ვალდებულნი აღარ არიან, როგორც ეს ადრე იყო და როგორც ეს ჯერ კიდევ შეუვალია დედამიწის არაერთ კუთხეში, სიცოცხლის ბოლომდე მიეკუთვნებოდნენ იმ "კულტურული თვითმკმარობის" ბიწიერ წრეს, რაც ენის, რელიგიისა და ადათ-წესების ძალის მეშვეობით ამ წრიდან თავის დახსნის არანაირ შანსს არ უტოვებს ინდივიდუუმს. ამ გაგებით, გლობალიზაცია პიროვნული თავისუფლების საზღვრებს მართლაც რომ დაუსაზღვრავს ხდის.

ერთი კონტინენტის ორი ისტორია

ვფიქრობ, რაც კოლექტიური თვითობის ჩამოყალიბებას შეეხება, ლათინური ამერიკა თავად ამ მცდელობის აბსურდულობისა და ხელოვნურობის საუკეთესო მაგალითია. რა შეიძლება ლათინური ამერიკის კულტურული ერთობის საგნად დავსახოთ? რწმენის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, მითოლოგიზაციის რა ერთობლიობა იძლევა ამ რეგიონის განუმეორებელ, უცვლად მეობას? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას ატეხილი ინტელექტუალური შეხლა-შემოხლის შედეგად მთელი ჩვენი ისტორია გაყალბების საგნად გადაიქცა. ყველაზე გახმაურებული პოლემიკა კი ე.წ. *ჰისპანისტებსა* და *ინდიჯინისტებს* ('ძირძველი თვითმყოფადობის'თეორიის მომხრეთა) შორის ჯახს მოჰყვა XX საუკ. დასაწყისში. პირველნი – ხოსე და რივა აგუეროს, ვიქტორ ანდრეს ბელონდესა და ფრანსისკო გარსია კალდერონის მსგავსად, სრული თვითდაჯერებით ირწმუნებოდნენ, რომ ლათინური ამერიკა "დიადი აღმოჩენისა" და კონკისტადორების, გაქრისტიანებისა და ესპანურ/პორტუგალიური ენების გათავისების შედეგად წარმოიშვა, ხოლო შემდგომ, ზემოჩამოთვლილ წინაპირობათა ჯამმა იგი უკვე დასავლური ცივილიზაციის ნაწილად აქცია. ჰისპანისტები სულაც არ ცდილობდნენ დაეკნინებინათ წინარე-ესპანური კულტურების ღირებულება, ოღონდაც მიიჩნევდნენ, რომ ამ უკანასკნელთ მხოლოდ მეორადი როლი მიენიჭათ სამხრეთ ამერიკის სოციალური და ისტორიული რეალობის შექმნაში – შემდგომ კი სწორედ თანამედროვე დასავლეთის ცხოველმყოფელმა გავლენამ გაამთლიანა რეგიონის თვითმყოფადობის ჭრელზე-ჭრელი მოზაიკა.

"ინდიჯინისტებად" სახელდებულნი მათი მოწინააღმდეგეები კიდე პირიქით – განაწყენებულნი უარყოფდნენ ყველა იმ სარგებელს, რაც ბებერმა ევროპამ თითქოსდა შესძინა ლათინურ ამერიკას. ჩვენს თვითობას წინარეკულტურებსა და ცივილიზაციებში აქვთ ფესვები გადგმულიო, – ირწმუნებოდნენ, – რომელნიც ძალისძალად მოგვკვეთეს აკრძალვების, რეპრესიების, მარგინალიზაციის შედეგად – და ეს არა მხოლოდ სამსაუკუნოვანი კოლონიური მმართველობის ხანაში, არამედ ამგვარი ამპუტაციის პროცესი შემდეგაც გრძელდებოდა – უკვე რესპუბლიკების გამოცხადების შემდგომო. ინდიჯინისტთა ღრმა რწმენით, ჭეშმარიტი "ამერიკული ხატება" (ჟოზე ლეზამა ლიმას ერთი ნაშრომთაგანის სათაურს რომ დავესესხოთ) სწორედ ადგილობრივი ენების, რწმენების, წეს-ჩვეულებების, ხელოვნების ნიმუშების იმ დეტალებსა და ნიუანსებში გამოსჭვივის, რაიც დასავლური კულტურის შემოტევას გადაურჩა. მეც-

ნიერული აზროვნების ამ ფრთის ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, პერუ-ელმა ლუის ვალკარსელმა კოლონიური ბატონობის ხანის უკლებლივ ყველა ძეგლის განადგურების იდეაც კი წამოაყენა – მათი "ანტი-პერუანული" ბუნებისდა გამო: ისინი, ასე ვთქვათ, წმინდა, ჭეშმარიტ, ძირძველ სამხრეთამერიკულ თვითობის წარმოჩენას უშლიდა ხელს... ასევე, ლათინური ამერიკის ერთი უორიგინალურესი რომანისტი, ხოსე მარია არგუედასი ეპიკურ სტილში, ერთობ მჭექარე ხმითა და შინაგანი პროტესტის მუხტით მოგვითხრობს ანდების მთიან მხარეში, კეჩუას ტომის ძირძველი კულტურის თვითგადარჩენის ამბავს – ხალხის ერთიან ძალისხმევას დასავლეთის მაღრჩობელა, ყოვლისმომშთობი და "წესის ამღვრევი" ზეწოლის მიუხედავად.

ორივე ამ მიმდინარეობამ ისტორიული შრომებისა და მხატვრული ლიტერატურის არაერთი თვალშისაცემი ნიმუში დაგვიტოვა; ოღონდ, თანამედროვე გადასახედიდან, ერთიცა და მეორეც საკუთარ თავში ჩაკეტილ, რედუქციონისტულ და საერთოდ, სრულიად მცდარ დოქტრინად წარმოგვიჩნდება. ვერც ერთი ვერ ახერხებს ლათინური ამერიკის კულტურული სიჭრელის საკუთარ იდეოლოგიურ არტახებში ბოლომდე ჩასმას და თანაც, ორივე ეს მიდგომა რაღაც რასისტული სულისკვეთებითაა სუნდაკრული... დღესდღეობით რომელი ჭკუათმყოფელი დაიწყებს მტკიცებას, თითქოსდა ლეგიტიმურად მხოლოდ ესპანურ-პორტუგალიური ან ამა თუ იმ ინდიელთა ესა თუ ის კულტურული შრე წარმოადგენდეს ლათინურ ამერიკას?!. და მაინც, ხანგამოშვებით თავს იჩენს ხოლმე ჩვენი "კულტურული თავისთავადობის" ხაზგასმისა და გამოყოფის იმგვარი პოლიტიზირებული მცდელობა, რომ ნებისმიერ სხვა სფეროში ამგვარი თავგამოდება დასტურ რაღაც დადებით შედეგს მოიტანდა. პიროვნებისათვის "კულტურული თვითობის" თავსმოხვევა ღილეგში გამომწყვდევის ტოლფასია: ანუ, ნება წაართვა თავად აირჩიოს – როგორ, რა გზით, და ვინ სურს გახდეს იგი.

ლათინურ ამერიკას არა ერთი, არამედ რამდენიმე კულტურული თავისთავადობა ახასიათებს და მათგან ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის იმაზე მეტ ლეგიტიმურობასა თუ შეუმღვრევლობას, რაც მას რეალურად გააჩნია. რაღა თქმა უნდა, ლათინური ამერიკის არეალი ესპანურისწინა კულტურებსაც მოიცავს, რომელთა გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია მექსიკაში, გვატემალასა და ე.წ. ანდების ქვეყნებში, ოღონდ იგი ასევე ხუთსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ესპანურენოვანი და პორტუგალიურენოვანი მოსახლეობის უზარმაზარ მასას წარმოადგენს, რომლის ყოფამ და ქმედებებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ზოგადად კონტინენტის კულტურის იერსახის შექმნაში; მეტიც ითქვას – განა აფრიკის გვარიანი წვლილიც არ იგრძნობა მის ძრაობასა და ნაკვთებში? საერთოდ, ის კულტურული, ეთნიკური და სოციალური ინგრედიენტები, რაც ლათინური ამერიკის ერთობლიობას სახავს, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხესთან გვაპოვნინებს მეტ-ნაკლებ საერთოს. კაცმა რომ თქვას, ჩვენ იმდენად მრავალსახოვანი კულტურული თვითმყოფადობა გვახასიათებს, მისი რაიმე ერთ მაგისტრალურ ხაზზე დაყენების მცდელობაც კი უაზრობად მეჩვენება. არადა, ეს რეალობაა სწორედ ის სიმდიდრე, რაც მონო-ნაციონალისტებისთვისაა გაუგებარი. ჩემის აზრით, ესაა სწორედ ის წინაპირობა, რაც ჩვენ, ლათინო-ამერიკელებს, საშუალებას მოგვცემს

გლობალიზებული სამყაროს სრულფასოვან მოქალაქეებად წარმოვაჩინოთ თავი.

ლოკალურ ხმათა გლობალური "ორკესტრირება"

ამერიკანიზაციის საფრთხის თაობაზე მოთქმა-გოდება იდეოლოგიურ პარანოიად უფრო მეჩვენება, ვინემ რეალობად. თქმა არ უნდა, გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებთან ერთად, ინგლისურმა ენამ ისეთივე წამყვანი პოზიცია დაიკავა, როგორც ლათინურმა შუა საუკუნეებში. მისი გავლენა გაიზრდება კიდეც, ვინაიდან ჯერ-ჯერობით მაინც იგი შეუცვლელი ინსტრუმენტია საერთაშორისო კომუნიკაციებისა და ანგარიშსწორებისათვის; მაგრამ განა ეს იმას მოასწავებს, რომ ინგლისური სხვა ენების ხარჯზე გაზულუქდება? ძალიანაც პირიქით, ასე მგონია. საზღვრების მოშლამ და ქვეყნების ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულებამ ახალ თაობას უბიძგა მეტად გაეთავისებინათ სხვა კულტურები – უკვე არა მხოლოდ ზოგადი ინტერესის, არამედ წმინდა პროფესიული წარმატებისათვის უცილობელი გახდა რამდენიმე ენის ფლობა და განსხვავებულ კულტურულ გარემოში გზის გაკვალვა. ესპანურენოვანი სამყარო ავიღოთ: მისი ფართო გეოგრაფიული არეალის მიუხედავად, სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინათ ის თვითმკმარი ერთეული იყო და საკუთარ ლინგვისტურ საზღვრებს ძნელად თუ ელეოდა, დღესდღეობით კი ესპანური მკვიდრად იკიდებს ფეხს ხუთსავე კონტინენტზე. თვით შეერთებულ შტატებში, 25 თუ 30 მილიონი ესპანურენოვანი მოსახლეობისათვის ანგარიშგასაწევად, ტეხასის მაშინდელი გუბერნატორი ჯორჯ ბუში და ვიცე-პრეზიდენტი ალ გორი არა მხოლოდ ინგლისურად, ესპანურ ენაზეც ეწეოდნენ თავიანთ საარჩევნო კამპანიას.

თუ გიფიქრიათ, გლობალიზაციის გამოწვევას რამდენმა მილიონმა ახალგაზრდამ უპასუხა იმით, რომ ისწავლა იაპონური, ჩინური, რუსული, ან თუნდაც ფრანგული და გერმანული? ჩემდა სასიხარულოდ, ამ ტენდენციას კლების ნიშანწყალიც არ ეტყობა მომავალში. ამიტომაც დარწმუნებული ვარ, საკუთარი კულტურისა თუ ენის დაცვის საუკეთესო საშუალება მისი ამ ახალ სამყაროში ორიენტირებაა და არა გულუბრყვილო მცდელობა, რაღაც აცრები ვუკეთოთ ინგლისური სახადის შიშით. **ისინი, ვინც ამგვარ რეცეპტებს იძლევიან, ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე ძირძველ მშობლიურ კულტურაზე, ოღონდ სინამდვილეში ნაცისტობის კარგად ნაცნობი ვირუსი კი შეჰყრიათ. და საერთოდ, თუკი რამ ნიშნეულს გვასწავლის კულტურის ისტორია, ეს ისაა, რომ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად მას სხვადასხვა ჯურის ბიუროკრატებისა თუ კომისრების მხრიდან არავითარი დაცვა არ სჭირდება. პირიქით – ამგვარი მცდელობა მხოლოდ პროვინციალობისაკენ უბიძგებს და ვინძლო, სულაც დაასაჭურისოს კიდეც. ვიტალობისათვის ნებისმიერი ერის კულტურას, ნორმალური ფსიქიკის მქონე ადამიანივით, თავისუფალი თანაცხოვრება ესაჭიროება სხვა კულტურებთან – სწორედ ეს განაახლებს და განამტკიცებს მას გარემო ცვლილებათა წინაშე.** ანტიკურ ხანაში, ლათინურის გავრცელებას ბერძნული ენა არ ჩაუკლავს და არც დაუკნინებია – პირიქით, ელინურმა კულტურამ გამსჭვალა რომაული ცივილიზაცია და ჰომეროსის პოემები, გინდ პლატონის ფილოსოფიური შრომები სწორედ მისი წყალო-

ბით გავრცელდა იმდროინდელ მსოფლიოში. გლობალიზაცია მცირე კულტურებს არ სპობს – პირიქით, ყველაფერი რაც ღირებულია და გადასარჩენად ფასეული, უცილობლად გადაირგვება და ახალ, უფრო მსუყე ნიადაგში გაიდგამს ფესვს.

ასე ხდება ახლა ევროპაში და განსაკუთრებით ესპანეთში, სადაც ერთდროულად რამდენიმე რეგიონალური კულტურა წამოიწია წინ. გენერალ ფრანსისკო ფრანკოს დიქტატორობის დროს ავტონომიების კულტურული განვითარება დაბორკილი იყო და საკუთარ პროვინციულ საზღვრებს ვერ სცილდებოდა, ახლა კი კატალონია, გალიცია თუ ბასკეთი – ფაქტიურად, ყველანი თვისობრივად ახალ გარემოში მოექცნენ. ოღონდაც ეს რეგიონალური აღორძინება ნაციონალიზმის გრიმასებში არ უნდა აგვერიოს – ამგვარი რამ უკვე თვით თავისუფლების კულტურას უქმნის საფრთხეს.

1948წ. თავის შესანიშნავ ესეიში "შენიშვნები კულტურის განსაზღვრისათვის", ტომას სტერნზ ელიოტმა ლოკალური და რეგიონალური კულტურების მომავალი რენესანსი იწინასწარმეტყველა. იმ დროისათვის ეს მეტისმეტად თამამი განცხადება იყო, მაგრამ ასე ჩანს, გლობალიზაციის პროცესი ამას რეალობად აქცევს XXI საუკუნეში, რაშიც სამწუხაროს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ. მცირემასშტაბიანი კულტურების აღორძინება კი მსოფლიო საზოგადოებრიობას დაუბრუნებს იმ წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების მრავალფეროვნებას, რაც მას XVIII-XIX საუკუნეებში ეროვნული სახელმწიფოების შექმნამ დააკარგვინა: ე.წ. საერთო-ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის წარმოსაჩენად (ამ ფაქტს რატომღაც ყველა ჩქმალავს, ალბათ თანამდევი მორალური კონოტაციების გამო), რეგიონალური კულტურები ხშირად ცეცხლითა და მახვილით ითრგუნებოდა – იკრძალებოდა ადგილობრივ ენებზე სწავლება და წიგნების ბეჭდვა, იდევნებოდა ადათ-ჩვეულებები და სარწმუნოებაც კი, თუ ყველა ესენი ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს იდეალს არ შეესაბამებოდა. ამ გზით დომინანტური კულტურა ბევრგან ძალისმიერივე მეთოდებით ინერგებოდა – ყველა სხვის საერთო-საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განსადევნად. მაგრამ მათდა გასაგებად ვამბობ, ვისაც გლობალიზაციის პანიკური შიში მოსდგამს – სულაც არაა ასე ადვილი მთლიანად მოსპო რაც არ უნდა მცირე არეალის მქონე კულტურა, თუკი მას მდიდარი ტრადიციები და მათი მიმდევარი ხალხი უმაგრებს ზურგს. დღესდღეობით, ეროვნული სახელმწიფოების იდეოლოგიური პოზიციების შესუსტების ფონზე, მივიწყებული, მიჩუმებული, მარგინალიზებული კულტურები ხელახლად იჩენენ თავს და გლობალიზებულ სამყაროშიც მყარად ამკვიდრებენ საკუთარ თვითობას.

2000წ., თებერვალი.

ჯონ მილტონი

სიტყვა თქმული პარლამენტის წინაშე – ბეჭდვითი სიტყვის დასაცავად

(1644წ.)

სწორედ ესაა თავისუფლება, როცა ადამიანს უფლება აქვს სხვისი კარნახის გარეშე ილაპარაკოს: ვისაც ეს ძალუძს და სჩადის კიდეც, პატივისცემის ღირსია; ვისაც არც ძალუძს და არც სურვილი აქვს, შეუძლია ჩუმად იყოს – ამით მკვიდრდება კიდეც სამართლიანობა ნებისმიერ სახელმწიფოში.

ევრიპიდე.

ისინი, ვინც ხელისუფლებასა თუ მის წარმომადგენლებს ეხმიანებიან, ანთუ პირადად სურთ მათთან შეხვედრა – როგორც ახლა მე მოგმართავთ თქვენ, პარლამენტის უზენაეს საკრებულოს – მუდამ იმის მტკიცებაში არიან, რომ მათი ნააზრევი უცილობლად წაადგებოდა საზოგადოებას; თუმც ზოგს ეჭვიც ღრნის, ზოგი კი პირადად მისთვის სავალალო შედეგებს უფრთხის...

თავად მე, შეიძლება ითქვას, სამივე ეს განცდა დამუფლებია: საკითხი ესე, ჩემს მიერ განსახილველად გამოტანილი, არაერთგვაროვან გამოხმაურებას გამოიწვევდა წარსულში და ვფიქრობ, არც ახლანდელი დრო იქნება გამონაკლისი.

{...}

სამი რამაა, რის გარეშეც ყოველგვარი სიტყვა ფუჭია: უპირველესად, როცა მხოლოდ იმას აქებენ, რაიც ჭეშმარიტად ღირსია ქების; მეორეც, თუკი ამტკიცებ, რომ ქების სიტყვა მართალი მისამართითაა მიმართული, და მესამე: ცხადზეცხადი უნდა იყოს – მაქებარს ლიქნის ჭია არ შეჩენია. ყოველ შემთხვევაში, ის ვინც შესაბამისად წარმოაჩენს რიგიანად გაკეთებულ საქმეს და არც იმას დაერიდება მიათითოს, რისი ქმნა უკეთ იყო შესაძლებელი, სწორედ მისი შეფასებანი იქნება მლიქვნელობას მოკლებული, ხოლო შენიშვნები – გარკვეულწილად, მისივე საქებარი სიტყვა.

{...}

ამჯერად საქმე იმ ბრძანებულებას ეხება, თქვენ რომ გამოეცით ბეჭდვითი სიტყვის

დასაზღვრის თაობაზე: “არა წიგნი, გაზეთი თუ ცალკეული ფურცელ-პამფლეტი იქნას დაბეჭდილი, თვინიერ ქვემოაღნიშნულ პირთა წინასწარი მოწონებისა და შემდგომი ხელრთვისა”. შევეცდები დავამტკიცო, ამგვარი აკრძალვა ვერაფრით შეუშლის ხელს იმ სკანდალური, გამრყვნელი თუ სახელმწიფოს ძირგამომთხრელი ლიტერატურის გავრცელებას, რომლის წინააღმდეგაცაა ეს ლიცენზირება გამიზნული – მხოლოდღა ზოგადად ცოდნის შეძენას შეუშლის ხელს, სიმართლის გარკვევას, და ჭეშმარიტების ძიების სურვილს მოსპობს – როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, ეგრევე ეკლესიის შიგან.

განათუ ვუარყოფდე, რომ ეკლესიასა და ფართო საზოგადოებას სწორედაც რომ თვალი უნდა ეჭიროს წიგნებზეც და ადამიანებზეც – მართალი სამართლის ქმნა აროდეს გვიზამს ზიანს. ეგაა, ნაბეჭდი წიგნი არაა მხოლოდ უსულო საგანი, მასში იგივე აღმტკინებელი ძალაა ჩაქსოვილი, რაიც მის შემქმნელს ახასიათებდა და მასშივე ირეკლება ის გონი, რამაც იგი შვა: წიგნი იმ მითიური გველეშაპის კბილებს შეიძლება შევადაროთ, დათესილნი რომ იარაღასხმულ ჯარად ამოიყრებოდა ხოლმე. მეორეს მხრივ, მისი განადგურებაც ლამის კაცისკვლას უტოლდება: ვინაც კაცს კლავს, კლავს არსებას გონიერს, ღვთის ხატად შექმნილს; მაგრამ ვინც წიგნს სპობს, სპობს თავად გონებას, ანუ იმას, რაიც ღმერთმა სულის შემდგომ შთაბერა ადამიანს.

დედა-მიწისთვის კაცთაგან ბევრი იქნებადა მხოლოდ ტვირთია, მისი მტკეპნავი; ოღონდაც კარგი წიგნი ძვირფასი განძია აღმქმელი სულისა და გამგები გონებისათვის, ცხოვრების შემდგომ სიცოცხლისთვის გადანახული. ჭეშმარიტად, არა ჟამთა სვლას არ ძალუძს კერძო სიცოცხლის აღდგენა, ოღონდ იგივე ჟამთა ცვლა არცთუ ისე ხშირად გვიბრუნებს ერთხელ უკვე უარყოფილ ჭეშმარიტებას – რაც მერე მთელი ერის საკალალოდ იქცევა ხოლმე.

და ასევე, რაკიღა ჩემდათავად წინააღვუდგები ზემოხსენებულ ბრძანებულებას, იმასაც შევეცდები დავამტკიცო, რომ ბეჭდვითი სიტყვის ლიცენზირების ეს პროექტი არ ახალია – ანტიკურ ხანაზე ხომ ზემოთ მოგახსენეთ და ახლა ისიც ვთქვათ – მან ინკვიზიციის ფესვებიდან ისაზრდოვა და მხოლოდღა მერე იქნა ჩვენს შინაურ ანაფორიანთა მიერ გათავისებული. სწორედ ტრენტის კრებამ და ესპანეთის ინკვიზიციამ ერთობლივად შეიმუშავეს და დააკანონეს ნუსხების ის სისტემა და ამკრძალავი ინდექსები, რასაც ბევრი მშვენიერი ძველი წიგნი შეწირა – ასეთი რამ მათი ავტორების საფლავებსაც რომ დამართოდათ, უარესი ვერ იქნებოდა. ოღონდ არა სჯერდებოდნენ ისინი ნაწერის მკრეხელური ბუნების განსჯას, არამედ ნებისმიერი, მათთვის გაუგებარი აზრების აღმოფხვრით ისაქმებდნენ თავს. საბოლოოდ, დააკანონეს კიდეც, რომ *‘არა წიგნი, ფურცელი თუ ბარათი იქნას დაბეჭდილი ორი, ან უკეთ, სამი ბერის მიერ შესაბამისად განხილვისა და ხელრთვის თვინიერ’* – თითქოსდა თავად წმ. პეტრეს ხელი-ხელ ებოძოს მათთვის კლიტენი ბეჭდვისანი!

{...}

გავკადნიერდები მოსეს, დანიელისა და პავლეს სახელების მოხმობით, რომელნიც მეგვიპტელთა, ქალდეველთა და ჰელინთა ყოველგვარ სწავლებათა მეცნიერნი იყვნენ და ვერ განიწრთვნებოდნენ მათთა წიგნთა კითხვის გარეშე – განსაკუთრებით კი მოციქული პავლე, სულაც რომ არ თვლიდა ზედმეტად ბერძენი პოეტების გამონათქვამები ჩაერთო წმ. წერილში. მისგან განსხვავებით, იულიანე აპოსტატი – ჩვენი საერთო რწმენის დაუძინებელი მტერი – ყოველთა ქრისტიანთ უკრძალავდა წარმართთა წიგნების სწავლას. ეგენიო – ამბობდა – ჩვენივე იარაღით გვისწორდებიან, და ხელოვნებითა დიდითა და მეცნიერებითა გვჯაბნიანო. ამა ბრძანებას კი მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ საქრისტიანო კინაღამ უვიცობის მორევში გადავარდა. იმ დროის ერთი ისტორიკოსის თქმით, მისი და მამა-შვილ აპოლინარიუსების მოღვაწეობას მეტი ზიანი მოჰქონდა ეკლესიისთვის, ვინემ დეციუსისა თუ დიოკლეტიანეს დაუფარავ სისასტიკეს.

II საუკ. 40-იან წლებში დიონისე ალექსანდრიელს უკვე ფრიადი სახელი ქონდა გაგდებული საეკლესიო წრეებში, როგორც უაღრესად ღვთისმოსავ და განსწავლულ კაცს – ერეტიკოსთა წინააღმდეგ, ხშირად მათსავე ნაწერებში ამოკითხულ მოსაზრებებს რომ იშველიებდა. ერთხელაც, მავანმა საეკლესიო პირმა დაამუნათა, როგორ ბედავდა იგი ამ უწმინდურებაში ხელის ფათურს. დიონისე არათუ აგდებით მოეკიდა უვიცის სიტყვებს – პირიქით, თავს დაეკითხა, რამდენად მართებული იყო მისი საკუთარი ქცევა; უცაბედად, ღვთისგან ჩვენება მოევლინა (ყოველ შემთხვევაში, თავად სწორედ ასე აღწერს) რომელმაც ამცნო: *იკითხე ყოველი, რაკიღა აიწონა გონება შენი და მიჩნეულ ხარ ღირსად განსმსჯელად და მეცნიერად.* მისივე თქმით, წმინდა წერილიც სწორედ იმ გვერდზე იქნა გადაშლილი, სადაც თესალონიკელთა მიმართაა ნათქვამი: *ყოველივე გამოიცადეთ, და უკეთესი იგი შეიკრძალეთ;* და მეყვსეულად გაახსენდა იმავე მოციქულის თქმული: *წმიდათათვის ყოველივე წმინდაა* – ანუ, არათუ ლუკმა ან სასმელი ხოლო, არამედ სწავლებაც ყოველგვარი, კეთილი თუ ბოროტი – ვინაიდან ვერა ცოდნა და ვერა წიგნი წაგწყმედს, თუკი შემეცნება შენი იმთავითვე არაა წაბილწული.

წიგნიც ხომ საკვებსა ჰგავს – ზოგი მარგებელია, ზოგი – არც იმდენად; მაგრამ განა ვინ უკეთეს მოწმეს ვიპოვი, ვიდრე აქ, თქვენს შორის მჯდომ სწავლულთა შორის უპირველესს, ბ-ნ სელდენს, ვისი შრომებიც ბუნებისა და სახელმწიფოს კანონების თაობაზე ლამის მათემატიკური სიზუსტით ადასტურებს, რომ ყოველი მოსაზრება, მცდარიც კი, ოღონდ ჯეროვნად გააზრებული, კიდევ ერთი ბიჯით გვაახლოებს ჭეშმარიტებასთან! და ასევე, როდესაც ღმერთმა საკვების არჩევანი დაუტოვა ადამიანს, მას გონების საკვების შერჩევის უფლებაც მისცა: ყოველმა ზრდასრულმა საკუთარი ნებით უნდა დაიცვას სულიერი მარხვა.

არა პირისაგან შესულისა შეირყვნების კაცი, არამედ პირისაგან გამოსულისაო – და ამით მაცხოვარი არჩევანს გვიტოვებს; სოლომონი გვაფრთხილებს, განსწავლულობა ვაებას ბადებსო, მაგრამ არც მას და არც სხვა ვინმე მადლცხებულ ავტორს უთქვამს – ამა და ამ საკითხავში არა ჩაიხედოთო. და საერთოდ, მაღალ ღმერთს რომ ჩვენი განსწავლულობის დასაზღვრა სურვებოდა, იმაზეც ნათლად მიგვითითებდა, რა სახის წიგნი გამოგვეცხადებინა ვაების მომტანად და რა –

კანონგარეშედ. აი, წმ. პავლეს მიერ მოქცეულებმა, წრეგადასული გულმოდგინებისა გამო, ეფესელთა წიგნები დაწვეს – ჯადო-მჩხიბაობისა იყოო; ეს მათი ნება გახლდათ, ყოველგვარი მითითების გარეშე, *საკუთარი* წიგნები დაწვეს და ეს შეფასების არჩევანს გვაძლევს: მათთვის იქნებ ეს გამოსავალიც გახლდათ, სხვას კი ეგებ კეთილი საქმისათვის გამოეყენებინა იმ ნაწერებში დაგროვილი ცოდნა...

ჭეშმარიტად, კეთილიცა და ბოროტიც ერთურთის თანამდევია ამ სამყაროში, მათი გაგება ერთი ჩაკბეჩილი ვაშლისაგან შემოვიდა ამა ქვეყნად; ანუ, სწორედ ესაა ადამის შთამომავალთა ბედისწერა – კეთილ/ბოროტი შეიმეცნონ და განასხვავონ. და რაღაა იგი, სიბრძნე კეთილი, ბოროტისა უმეცარი?! მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს ბიწიერების საცდურს გაუძლოს, და არა დამორჩილდეს, და არჩევით გაჰყვეს გზას კეთილს – ჭეშმარიტი ქრისტიანიც მხოლოდ მას ერქმის.

ყოველივე ზემოთქმულის გასაბათილებლად, ჩვეულებრივ, ერთადერთ მოსაზრებას იშველიებენ: ვაითუ საეჭვო საკითხავმა ზნეობისა და მართალი რწმენის დაკნინებას შეუწყოსო ხელი. მაგრამ მაშინ რიგი საეკლესიო წიგნებიცა და მათში არსებული საკამათო საკითხებიც უნდა გავიქროთ თვალსაწიერიდან! იქნებდა თავად ბიბლიაც ნაწილ-ნაწილ დაგვეჩეხა? აკი ღვთისგმობასაც ამოიკითხავთ მასში, და გარყვნილთა ქცევაც არცთუ კაზმულსიტყვაობის გარეშეა აღწერილი, ალაგ-ალაგ წმინდა ადამიანებსაც კი ღვთის ნების მიმართ დასცდებათ ხოლმე საყვედური და ზოგან ვინმე უცებმა მკითხველმა ვინძლო ეპიკურეს დებულებებიც კი ამოიკითხოს... და თუ განსწავლულ კაცსაც ზოგჯერ უჭირს მართლისა უკეღმართისაგან გამორჩევა, ლიცენზიის გამცემთ რიღათი იხელმძღვანელონ? თუ წინასწარულად თავს მიიჩნევენ ყოველთა ზედა მდგომებად და იჭვის ჭიაც არასოდეს შეპარვიათ?

და ასევე, თუკი მართალია რომ ჭკვიანი კაცი უხეირო ქმნილებებშიაც ჰპოვებს რაიმეს სასარგებლოს, ხოლო სულელი რჩეულ წიგნშიც ვერაფერს ნახავს, მაშ რაღად უნდა მოვაკლოთ ბრძენს მისი გონების მასაზრდოებელი წყარო, იმის შიშით, ბრიყვი რამ სიბრიყვეს არ გადააწყდესო? ასე არა მარტო არისტოტელეს, სოლომონის სიტყვასაც უნდა ვუფრთხოდეთ და თავად მაცხოვრისასაც, რაკიღა ყოველი ეშმა საკუთარ ბიბლიას კითხულობსო, ნათქვამია.

თუკი ჩვენ მართლა გადავწყვეტთ ბეჭდვითი სიტყვის შეზღუდვას, და ამით იმედი გვაქვს, ზოგადად ხალხის ზნე-ჩვეულებსაც გავუმჯობესებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, ყურადღების მიღმა დაგვრჩენია გართობა-სანახაობათა მთელი რიგი, რაც ვინძლო, წიგნზე ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდეს ხალხის ცხოვრებაში. არა მუსიკობა, არა მღერა, არა როკვა არ უნდა იქნეს დაშვებული მკაცრი ლიცენზირების გარეშე: მხოლოდღა ღრმად შინაარსობრივი და ტრადიციული ხმიანობის შესაბამისი უნდა მისწვდეს ხალხის სმენას! ახლა, მოცეკვაეებსაც ხომ უნდა მივხედოთ – რა მოძრაობა, რა ჟესტი თუ რხევა ეთანხმება საყოველთაო ზნეობრივ ნორმებს? და ყველაფერ ამას (მიყრუებულ პროვინციებს აღარ ვგულისხმობ) ორიოდ ათეული ზედამხედველი უნდა გასწვდეს? აღარას ვამბობ ჩაცმულობაზე, ღვინისა თუ სხვა რამ მათრობელი სასმელების მოხმარების ოდე-

ნობაზე, საუბრის წაყვანის წესსა თუ ნებისმიერი სახის დროსტარებაზე – ყველაფერი ეს ორიოდ ათეული ბრძენკაცის მიერ უნდა მოწესრიგდეს?!

როს უფალმა გონების ნათელი შთაბერა ადამს, ეს იგივე არჩევანის უფლება უბოძა – რაკიღა გონება იგივე განსჯის უნარია, ღვთივბოძებულიდან უამესი ამოირჩიოს; და არჩევანისაგან მისისა იქმნება სწორედ სათნოება კაცისა, ხოლო ერთის სათნოდ მოქცევა უმეტეს კეთილად ეთნიება ღმერთს, ვინემ ათი ბიწიერის მოთოკვა.

{...}

ისემც კაი დაგემართოსთ, ბატონებო – ვთქვათ და, მართლაც ავკრძალეთ ყოველი უზნეო და გონებისამღვრევი გამოცემა, ადგილობრივი თუ უცხოეთიდან შემოსული; რა მერე? ხომ სახელ-სახელ უნდა ჩამოითვალოს ისინი, ძველნიც და ახალნიც – დღეყოველ რომ ჩნდება – განათუ ორი ათეული მოხელე აუვა ამ საქმეს? ახლა ისიცა ვთქვათ, ზოგი ნაწილობრივაა მხოლოდ უვარგისი, სხვა მხრივ კი მეტად სასარგებლოა – მათ რაღა ვუყოთ? ფურცელ-ფურცელ ვჩეხოთ და ვშალოთ? და რამდენს გავწვდებით? და რამდენი უვარგისი გამოცემის მიხედვით (ვარგისთან შეფარდების გათვალისწინებით) შეგვეძლება ავკრძალოთ თავად ის სტამბები, სადაც ამგვარი რამ იბეჭდება? და თუ საქმიანობა უნდა შევუზღუდოთ მხოლოდ, როგორ და რამდენი ხნით?

ასე მიჩანს, ბრძანებულება ესე მკვდრადშობილია. განა ცოტაა სექტა თუ სქიზმა, ბეჭდვით სიტყვას სულაც რომ არ საჭიროებს? რამდენი დოქტრინაა, საუკუნეების განმავლობაში, დაუწერელი კანონებით რომ საზრდოობდა? აკი თავად ქრისტიანობაც სქიზმა იყო ერთ დროს, და მთელს წინა აზიაში სახარებისა და ეპისტოლეების უწინარეს ვრცელდებოდა! თუკი საზოგადოებაში ზნეობის ამაღლება გვსურს, ერთი გახედეთ იტალიასა და ესპანეთს – განათუ ჩვენზე პატიოსნები, ზნეობრივნი და შრომისუნარიანნი გახადა ისინი ინკვიზიციამ...

{...}

ახლა ისიც ვიკითხოთ, როგორნი უნდა იყვნენ თავად ცენზორები? ცხადია, ვისაც წიგნის ქვეყნად მოვლენისა თუ მოკვდინების უფლება ერგო, უნდა იყოს კაცი პატიოსანი, გაბრძნობილი, მუშაკი დაუღალავი: და ამისთანა ვინმე, იმის მაგივრად, საკუთარი სულიერ მოთხოვნათა სფეროს მიხედოს, დაჯდება და თვალებს დაიფსობს ათასგვარ უვარგის, ყოველ შემთხვევაში, მისთვის უინტერესო ნაწერებში ქექვით? გარნა ორიოდ ფურცლის გაცნობა ვერანაირად მისცემს საშუალებას, ვთქვათ, მთელს კრებულს გამოუტანოს მსჯავრი. და სად ვიპოვით მერე ამისთანა ხალხის შემცვლელთ? ისევ საშუალო გაგების, ცოდნისა და უნარის მქონე, ოღონდაც მუყაითი კორექტორების იმედზეღა მივუშვათ საქმე? მერედა, განა რა ქმნის სურვილი უნდა დარჩეთ მეცნიერთ, მწერალთ, მგოსან-მუსიკოსთ, თუკი მუდამ პატრიარქალური მორჭმით მჯდომარე ლიცენზიატორის შიში ექნათ? და საერთოდ, სახელმწიფო ჩემი ზედამხედველი კი უნდა იყოს, მაგრამ არა კრი-

ტიკოსი და ცენზორი. ხელისუფალნი ისევე შეიძლება შეცდნენ ცენზორის არჩევაში, როგორც თავად ცენზორმა შესაძლოა შესცოდოს ავტორის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, ნება მომეცით სერ ფრანსის ბეკონის სიტყვები შეგახსენოთ: *'ამგვარი ნებადართული ნაწერები მხოლოდღა მედროვეთა წისქვილზე თუ დაასხამს წყალს...'* ხოლო სიმართლე და აზრის სიახლე ის საქონელი არაა, ბეჭდვით, ხელრთვითა და რაღაც სტანდარტებით იქნას ნიშანდებული.

და თუკი ვინმე, ბატონებო, იმის მტკიცებას მოჰყვება, თითქოს ჩემი ეს საზრისი თითიდან მქონდეს გამოწოვილი, ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ სწორედ ახლახანს დავბრუნდი იმ ქვეყნებიდან, სადაც ინკვიზიცია ზეობს; იქაურ ბრძენ და პატივცემულ ხალხშიც მიწევდა ჯდომა, და ფრიად ნაამები გახლდით იმ თვალთახედვით, რითაც ისინი ჩვენ გვაფასებენ: ანუ, ინგლისი მათთვის აზრის სრული თავისუფლების ქვეყანაა, და არა უვიც-უწიგნური სამღვდელოების სამწყსო. თავად კი იმას სწუხდნენ, რომ წლების განმავლობაში იქ არაფერი დაწერილა, ლიქნითა და გახევებული დოგმატიკით აღბეჭდილ ოპუსთა გარდა. პატივი მერგო მენახულა თვით გალილეი, ინკვიზიციის დილეგში წლებგატარებული, უკვე მოტეხილი მოხუცი – ბრალი მისი ოდენ ის გახლდათ, ასტრონომიაზე სულ სხვა წარმოდგენა რომ ჰქონდა, ვინემ ფრანცისკანელ თუ დომინიკანელ ცენზორთ.

და განათუ ერთადერთი ვარ, ვინაც ამა თვალსაზრისს ადგას: თუკი ჩვენც ინკვიზიციის მეთოდების მსგავს აკრძალვებს დავაკანონებთ, და სახელმწიფო ყოველ თავის ქვეშევრდომზე ისევე იეჭვიანებს, როგორი შიშიც ექნება ყოველი ნაბეჭდი წიგნისა თუ ფურცლის, და წასაკითხად მხოლოდ იმას დაგვიტოვებენ, რასაც ცენზორებს საკუთარი ღჯუ გონება უკარნახებთ – იგივე ტირანია, ოღონდაც ნასწავლობის საწინააღმდეგოდ მიმართული – ახლა ჩვენშიც უცილობლად გაბატონდება. დიახაც, შედეგი სწორედ რომ სავალალო იქნება – ერთი მცირე, გაუნათლებელი მრევლის მოძღვარი უცაბედად ათასობით წიგნთა სამყაროს არქიეპისქოპოსად მოგვევლინება; ვინც გუშინ ხელოვნების მცირე ნიმუშს სამყაროული ბოროტების თესლად რაცხდა, ხვალ წიგნთა რიგს, წიგნთა ჯარს გამოუტანს განაჩენს და ეჭვი მაქვს, ბევრ მათს ავტორსაც ზედ მიაყოლებს.

განა აღარაა დრო, ჭკუა ვისწავლოთ: ინკვიზიციურ მეთოდებს მუდამ მიზნის საწინააღმდეგო შედეგებისაკენ მივყავართ – სექტებისა და სქიზმატურ აზრთა დათრგუნვის მაგივრად, ამით მათ სახელს ვუგდებთ და რეპუტაციას ვუქმნით. *'ნებისმიერი ნააზრევის აკრძალვა მის განდიდებას იწვევს'* – ბრძანებს ვიკონტ სენტ-ალბანი, და იქვე ამატებს: *'ყოველგვარი აკრძალული ნაწერი კი რატომღაც ჭეშმარიტების იმ ნაპერწკლად მიიჩნევა, რომლისაგან შემდგომ დიადი კოცონი აგიზგიზდება უცილობლად'*. ასე და ამგვარად, ბრძანებულება ესე ვინძლო სექტების ძიძადაც იქცეს, და ჭეშმარიტების ავ დედინაცვლად კი ნამდვილად გამოდგება; განა ვინ არ უწყის, რომ ჩვენი რწმენაცა და ცოდნაც მუდმივ გავარჯიშებას მოითხოვს – ჩვენივ სხეულისა თუ კიდურების მსგავსად. წმიდა წერილშიც ჭეშმარიტება წყაროსთვალსაა შედარებული: თუ წყალი მისი მუდმივ ნაკადად არ ამოედინა, იგი შემგუებლობისა და დამყაყებულ ტრადიციათა გუბედ იქცევა. და ასევე, მართალი რწმენით აღვსილი კაციც შეიძლება მწვალებელი იყოს: თუ რწ-

მენა მისი მხოლოდღა მოძღვრის სიტყვასა და ეკლესიის მამათა მსჯავრზეა გამოკიდებული და ყოველგვარ განსჯას მოკლებულია, საბოლოოდ თავად რწმენა მისი ექცევა ერესად.

მეორეს მხრივ, რაოდენ საამოა იმის ცოდნა, რომ ყოველივე წინასწარ დადგენილია და გაშალაშინებული: არა ნაწერი არა ხვდება უცების თვალს, გარეშე სამგზის გასინჯულისა, ნასწორებისა და საყოველთაო ხმარებისათვის მოწონებულისა – შინაგანი მზერა მოავლეთ, ბატონებო, ამ შემთხვევაში რაგვარი შემგუებლობისა და უცილობელი პირმოთნეობის წუმპე მოგველის ერსა თუ ბერს!

{...}

ბატონებო! ჩვენ, ბრიტანელები, საკუთარი რეფორმების ნათლით ვამაყობთ; გარნა თუ უჭკუოდ მიაშტერდა, კაცს მზის სინათლეც კი ბნელში შთააგდებს. ისინი, ვინც დღეყოველ სქიზმისა და სექტების საფრთხით გვამუნათებენ, საკუთარი უვიცობისა თუ ამპარტავნობის შედეგად თესავენ შფოთს – მათ არც სხვისი მშვიდად მოსმენა ძალუძთ, არც თავად შეუძლიათ ვინმეს რამეში გადარწმუნება. ესღა დარჩენიათ – ყველაფერ იმის აღმოფხვრას ითხოვენ, რაიც მათს სინტაგმაში არა წერია. სწორედ ეგენი არიან განხეთქილებათა შემომტანნი, არც თავად ხელეწიფებათ და არცა სხვას ვისმე ანებებენ ჭეშმარიტების სხეულის ნაწილ-ნაწილ გამთლიანებას. არადა, *'ცოდნით აღჭურვილნი, ცოდნის ძიებაში'* – ანუ, ჭეშმარიტების ერთი აგურის მეორეზე დადება – ეგაა როგორც მათემატიკის, ეგრევე ღვთისმეტყველების ოქროს ჭრილი, რაიც საუკეთესო ჰარმონიას ქმნის ეკლესიის შიგან, და არა შინაგანად დანაწევრებული ხალხის ნაძალადევი, გულსგარე ერთობა.

სადაცა განსწავლის სურვილი აქვთ, მუნცა მრავლად ბჭობენ, განსჯიან, წერენ – აზრი აზრია აზრის შესახებ, და კაცი საკუთარ აზრს სწავლის პროცესში იქმნის. ყოველ თავისუფლებაზე მაღლა მე სწორედ ცოდნის შეძენის, განსიტყვებისა და სხვებთან მისი განსჯის უფლებას ვაყენებ; თქვენ კი რას სჩადით, ბატონებო? გნებავთ ორიოდ ათეული ოლიგარქოსის დადგენილი საწყაოთი მომიზომოთ გონების საზრდო? მერწმუნეთ, ვინც ამგვარ რჩევას გაძლევთ, თქვენსავე მაღალ მდგომარეობას უთხრის ძირს: განა ბეჭდვისა და სიტყვის ამ თავისუფლებას თქვენსავე წინდახედულ, გამოზომილ, ჰუმანურ მმართველობას არ უნდა ვუმადლოდეთ? განა თქვენს შორისაც არ არიან ისეთნი, ვინაც, სწორედ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების წყალობით, საკუთარ საზრისთა დანერგვა-გავრცობას ეწეოდა მოქალაქეთა შორის? განა თავად თქვენ არ გამოეცით წინარე ბრძანებულება, საკმარისზე საკმარისი, სადაც შავით თეთრზე სწერია: "*არა წიგნი დაიბეჭდოს, გარეშე დასტამბველის, ეგრევე ავტორის სრული სახელისა*". აი, ვინც საკუთარი სახელისა თუ დამღის აღნუსხვას გაურბის და ფარულად ცდილობს საქონლის გასაღებას, სწორედაც რომ უპრიანია, სრულად დაისაჯოს კანონის კვალად.

და ბოლოს, ერთსაც ვიტყვი: *Errare humanum est* – შეცდომები კარგ მთავრობას ისევე მოსდის, როგორც ცუდს, და თუ ბეჭდვის უფლება მხოლოდ ფავორიტთა მცირე ჯგუფს გადაეცა, მით მეტია ალბათობა, მმართველი ორგანო შეცდომაში შეიყვანონ; ხოლო შეცდომის აღიარების უნარი და მისი სასწრაფოდ გამოსწორების სურვილი, ბატონებო, ის უმაღლესი ნიჭია, ბრძენ გამგებელთ რომ უნდა ახასიათებდეთ...

ფრენსის ფუკუიამა

გულცივ ურჩხულთაგან უგულცივესი

იქ, სადღაც, ჯერ კიდევ სახლობენ ტომნი და ხალხნი, ოღონდ არა ჩვენთან, ძმანო: ჩვენთან სახელმწიფოებია. და რაა სახელმწიფო? გეტყვით, დამიგდეთ ყური და მე გიამბობთ ხალხთა აღსასრულზე.

სახელმწიფო ჰქვია სახელად ცივ ურჩხულთაგან უცივესს, და გულცივადვე ცრუობს: აი, ასეთი რამ მოჟონავს მის ბაგეთაგან: "მე, სახელმწიფო, წარმოვადგენ ხალხს!" რა სიცრუეა! ხალხები შემოქმედთა შექმნეს, მიანიჭეს მათ რწმენა და სიყვარული: ასე იმსახურებდნენ ისინი სიცოცხლეს.

დამანგრეველებმა კი მრავალთ დაუგეს მახე და ამ მახეებს უწოდეს "სახელმწიფო": ხმალი და ასობით სურვილი შეაჩეჩეს მათ ძალად...

მე გაძლევთ ნიშანს: ყოველი ხალხი ბოროტისა და კეთილის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს, რაც მის მეზობელს არ ესმის; ყოველმა ხალხმა ადათების და უფლებების თავისი ენა მოიგონა, სახელმწიფო კი ბოროტისა და კეთილის ყველა ენაზე ერთდროულად ცრუობს, რაც არ უნდა თქვას, სიცრუეა – და რასაცა ფლობს, ყოველივე მიტაცებული.

ფრიდრიჰ ნიცშე – *"ასე ამბობდა ზარათუშთრა".*

თუკი ისტორია, ჩვენეული გაგებით, მართლაც უნდა დასრულდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიბერალურ დემოკრატიას არანაირი სერიოზული იდეოლოგიური მოქიშპე აღარ რჩება. წარსულში მას ბევრი უარყოფდა, ბევრს მმართველობის იმაზე უვარგის ფორმად მიაჩნდა, ვიდრე მონარქია, არისტოკრატია, თეოკრატია, ფაშიზმი, კომუნისტური ტოტალიტარიზმი თუ კიდევ სხვა რამ იდეოლოგია, რასაც კი ჟამი-ჟამ ირწმუნებდნენ ხოლმე. მაგრამ დღეს, თუკი ისლამურ არეალს არ ჩავთვლით, ეტყობა უკვე საყოველთაო თანხმობა არსებობს, რომ ლიბერალური დემოკრატიის პრეტენზიები – მმართველობის ყველაზე უფრო რაციონალურ ფორმად იწოდებოდეს, ანუ იმგვარ სახელმწიფო წყობად, სადაც საუკეთესოდაა რეალიზებული გნებავთ გონივრული სურვილი და გნებავთ, რაციონალური აღიარება – სავსებით სამართლიანია. მაშ, რატომ არაა ყველა ქვეყანა რეალურად დემოკრატიული თუნდაც ისლამური სამყაროს ფარგლებს გარეთ? რატომაა კვლავინდებურად ასე რთული დემოკრატიაზე გადასვლა ბევრი იმ სახელმწიფოსათვის, რომლის ხალხმაც და ხელისუფლებამაც უკვე ზოგადად მაინც გაიაზრა დემოკრატიული პრინციპები? მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში ბევრი რეჟიმი თავს დემოკრატიული პრინციპების ერთგულად აცხადებს, მათგან არაერთი მართლაც ძნელია კაცმა სტაბილურ დემოკრატიულ სახელმწიფოდ არ აღიაროს, მაგრამ

ამავე დროს, ბევრის დემოკრატიულობა მეტისმეტად საორჭოფოა. ისიც ვიკითხოთ, გულის სიღრმეში ბევრს რატომ გვგონია, რომ ამჟამინდელი მასიური მიდრეკილება ლიბერალიზმისაკენ, დროთა განმავლობაში მაინც განელდება?

ლიბერალური დემოკრატიის დამყარებაში ის უაღრესად რაციონალური პოლიტიკური ქმედება იგულისხმება, როცა მთელი საზოგადოება კონსტიტუციისა და იმ ძირითად კანონთა კრებულის ავ-კარგიანობაზე მსჯელობს, რომელთა კარნახითაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება უნდა წარიმართოს. მაგრამ ძალიან ხშირად, გამაოგნებელია როგორც საღი აზრის, ისე პოლიტიკის სისუსტეც თავად დასახული მიზნის მიღწევის საქმეში – ანუ, ადამიანთა უუნარობა, "კონტროლი გაუწიონ" საკუთარ ცხოვრებას როგორც პიროვნულ, ასევე ზოგადპოლიტიკურ დონეზეც. ასე მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში ესპანეთისა თუ პორტუგალიის კოლონიალიზმისაგან გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა თითქოსდა ძალზე სწრაფად ჩამოყალიბდა ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოებად და მათი კონსტიტუციებიც შეერთებული შტატებისა თუ რესპუბლიკური საფრანგეთის თარგზე დაიწერა; და მაინც, ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა დღემდე შეენარჩუნებინა დემოკრატიულობის უწყვეტი ტრადიცია. თეორიულ დონეზე, ლიბერალური დემოკრატიისადმი დაპირისპირება ლათინურ ამერიკაში არასოდეს ყოფილა ძლიერი, თუ არ ჩავთვლით აქა-იქ პრო-ფაშიზმისა და პრო-კომუნიზმის პერიოდულ, ხანმოკლე აფეთქებებს, არადა, ლიბერალურ დემოკრატიებს მაინც სასტიკი და რთული ბრძოლა მოუხდათ გამარჯვებისა და ხელისუფლების შენარჩუნებისათვის.

ევროპაში არსებობს რამდენიმე სახელმწიფო, მათ შორის რუსეთი, სადაც მმართველობის სხვადასხვაგვარი ავტორიტარული ფორმები გამოსცადეს, დემოკრატიას კი პირველად სულ ახლახანს ეზიარენ; ასევე, სხვა სახელმწიფოებს – ვთქვათ გერმანიას, დასავლეთ ევროპულ ტრადიციაში ღრმად გადგმული ფესვების მიუხედავად, უკიდურესად გაუჭირდათ დემოკრატიის მიღწევა, იმ დროს როცა საფრანგეთში, 1789 წლიდან ხუთი სხვადასხვა დემოკრატიული რესპუბლიკა შეიცვალა. ხსენებული მაგალითი მკვეთრად უპირისპირდება ანგლოსაქსური წარმოშობის დემოკრატიათა უმრავლესობის გამოცდილებას, იმ ქვეყნების პოლიტიკურ რეალობას, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას შედარებით იოლად და უმტკივნეულოდ მიაღწიეს.

იმის მიზეზი, თუ რატომ ვერ გავრცელდა ლიბერალური დემოკრატია საყოველთაოდ, ანდა რატომ ვერ შეინარჩუნა სიმტკიცე ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, საბოლოო ჯამში, ხალხსა და სახელმწიფოს შორის არასაკმარის შესაბამისობაშია საძიებელი. სახელმწიფო წინდაწინ გამიზნული პოლიტიკური ქმნილებაა, მაშინ როცა ხალხი – წინარეარსებული ზნეობრივი ერთობა; ანუ, სხვაგვარად, ხალხი – ესაა სიკეთისა და ბოროტების, წმინდისა და ცოდვილის, მართლისა და მტყუანის ბუნების თაობაზე იმ საერთო რწმენის მიხედვით ჩამოყალიბებული მთლიანობა, რაც შესაძლოა შორეულ წარსულში რაღაც გარკვეული

მიზნით კი გაჩენილიყო, მაგრამ დღეს უკვე მხოლოდ ტრადიციადღაა საყოველთაოდ შენარჩუნებული. როგორც ნიცშე ამბობს, "ყოველი ხალხი ბოროტისა და კეთილის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს", და "ყოველმა ხალხმა ადათებისა და უფლებების თავისი ენა მოიგონა" – რაც არა მარტო კონსტიტუციებსა და კანონებშია ასახული, არამედ ოჯახშიც, რელიგიაშიც, კლასობრივ სტრუქტურაშიც, ყოველდღიურ ჩვევებსა და ცხოვრების საყოველთაოდ მიღებულ წესშიც. სახელმწიფოს სფერო – პოლიტიკის, მმართველობის სწორი მეთოდის შესახებ გაცნობიერებული არჩევანის სფეროა, ხალხისა კი – სუბპოლიტიკური: კულტურისა და იმ საზოგადოების სამფლობელო, რომლის წესებიც იშვიათადაა მკაფიოდ განსაზღვრული ან გაცნობიერებულად აღიარებული თავად საზოგადოების წევრების მიერაც კი. როდესაც ტოკვილი *მოთოკვისა* და *დაბალანსების* ამერიკულ კონსტიტუციურ სისტემაზე ლაპარაკობდა, ანდა როცა ფედერალურ და შტატის ხელისუფლებათა შორის პასუხისმგებლობის გადანაწილება მოჰყავდა მაგალითად, იგი ცხადია, სახელმწიფოს გულისხმობდა; მაგრამ როცა ამერიკელთა ზოგჯერ ფანატიზმამდე მისულ სპირიტუალიზმს, თანასწორობისაკენ ლტოლვას, ანდა უფრო პრაქტიკული, და არა თეორიული მეცნიერებებისადმი მიდრეკილებას ახსენებდა, მხოლოდ ხალხის ბუნების აღწერას ისახავდა მიზნად.

სახელმწიფო სათავეში ექცევა და გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ხალხს, ხოლო ზოგ შემთხვევაში მის სახესაც აყალიბებს, როგორც მაგალითად, ლიკურგესა და რომულუსის კანონებმა ჩამოაყალიბეს სპარტისა თუ რომის მოქალაქეთა ეთოსი, ანდა როგორც თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებმა – იმ სხვადასხვა, ემიგრანტი ხალხის დემოკრატიული ცნობიერება, ვინაც ამერიკის შეერთებულ შტატებს უყრიდა საფუძველს. მაგრამ ხშირად საქმე იქამდეც მიდის, სახელმწიფო და ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება ერთმანეთს – როგორც, ვთქვათ, ჩინეთსა და რუსეთში, სადაც კომუნისტებმა მოიწადინეს ძალით მოეხვიათ მოსახლეობისათვის თავს მარქსისტული იდეალები. ამდენად, ლიბერალური დემოკრატიის წარმატებაცა და სიმყარეც არასოდესაა დამოკიდებული მხოლოდ გარკვეული საყოველთაო პრინციპების სისტემათა და კანონთა დანერგვაზე: აქ ხალხსა და სახელმწიფოს შორის თანხმობის მაღალი ხარისხის არსებობაც აუცილებელია.

თუკი, ნიცშეს თანახმად, ხალხს ჩვენც სიკეთისა და ბოროტების საერთო იდეების გამზიარებელ ზნეობრივ ერთობად განვსაზღვრავთ, მაშინ ნათელი ხდება, რომ ხალხების და მათ მიერ შექმნილი კულტურების სათავეები სულის *თიმოტური* ნაწილიდან მომდინარეობს. ნებისმიერი კულტურა ხომ *შეფასების* უნარიდან ჩნდება – იმ უნარიდან, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ვთქვათ, უფროსების პატივისმცემელი პიროვნება ღირსეულია, უწმინდური ცხოველების მჭამელი ადამიანი კი – არა. აქედან გამომდინარე, სწორედ თიმოსი ან აღიარების სურვილი გახლავთ იმის ასპარეზი, რასაც ჩვენ "ფასეულობებს" ვუწოდებთ. სწორედ აღიარებისთვის ბრძოლამ მოიტანა ბატონისა და მონის ურთიერთობა, მისი მრავალგვარი გამოვლინებით და ამ ურთიერთობიდან გამომდინარე – ზნეობრივი ნორმებიც: ვასალის პატივისცემა მონარქისადმი, გლეხისა – მემამულისადმი, არისტოკრატთა მხრივ უპირატესობის ქედმაღლური განცდა მდაბიორთა მიმართ და ა.შ.

ამავე დროს, აღიარების სურვილი ორი უაღრესად ძლიერი ადამიანური განცდის – რელიგიური რწმენისა და ნაციონალიზმის – ფსიქოლოგიური ასპარეზიცაა. იმის თქმა კი არ მსურს, თითქოს რელიგიაც და ნაციონალიზმიც ზოგადად, შეიძლება მხოლოდ აღიარების სურვილამდე იქნას დაყვანილი, მაგრამ რამდენადაც ორივე ამ განცდას ფესვი თიმოსში აქვს გადგმული, საკუთარ უდიდეს ძალას სწორედ ამ ფაქტს უნდა უმადლოდნენ. ღრმად მორწმუნე ადამიანი ღირებულებას ანიჭებს ყველაფერს, რასაც მისი რელიგია თვლის წმინდად – ზნეობრივ კანონთა ერთობლიობას, ცხოვრების წესს, მოწიწების კერძო საგნებს, – და ბრაზდება, თუკი მისთვის წმინდა რამ იბღალება; ნაციონალისტს მისი ეროვნული თუ ეთნიკური ჯგუფის ღირსებისა სწამს და ამდენად, საკუთარი თავისაც, როგორც ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის. იგი ამ ღირსების აღიარებას ესწრაფვის სხვათა მიერაც და რელიგიური მორწმუნის მსგავსად, ბრაზდება თუკი მას უგულებელყოფილად მიიჩნევს. სწორედ არისტოკრატი ბატონის თიმოტურმა ჟინმა, აღიარების სურვილმა დაუდო დასაბამი ისტორიულ პროცესს, ხოლო სწორედ რელიგიური ფანატიზმისა და ნაციონალიზმის თიმოტურმა ვნებებმა წარმართა იგი, მრავალსაუკუნოვან ომებსა და კონფლიქტებში გამოატარა. რელიგიისა და ნაციონალიზმის თიმოტური საწყისები ნათელყოფენ, თუ რატომაა "ფასეულობათა" გამო ატეხილი კონფლიქტები პოტენციურად ბევრად უფრო ულმობელი, ვიდრე დაპირისპირებანი მატერიალური ქონებისა თუ სიმდიდრის ნიადაგზე. ფულისგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება უბრალოდ გაიყოს, ღირსება ნიშანდობლივად უკომპრომისო ცნებაა: შენ ან აღიარებ ჩემს და ჩემთვის წმინდათაწმინდა ფასეულობათა ღირებულებას, ან არა. მხოლოდ "სამართლიანობის" მაძიებელ თიმოსს შესწევს ჭეშმარიტი ფანატიზმის, სიმტკიცისა თუ სიძულვილის უნარი.

ლიბერალური დემოკრატია, კონკრეტულად კი მისი ანგლოსაქსური ვარიანტი, მაქსიმალურად ხელს უწყობს ერთგვარ "ცივ ანგარიშს" – უწინდელი ზნეობრივი და კულტურული თვალსაზრისების მივიწყების ხარჯზე. რაციონალურმა სურვილმა უნდა ძლიოს აღიარების ირაციონალურ სურვილს, კერძოდ – ამაყი ბატონების მეგალოთიმიას, რომელნიც საკუთარი უპირატესობისა და უზენაესობის აღიარებას ესწრაფვიან. ჰობსისა და ლოკის ტრადიციიდან ამოზრდილი ლიბერალური სახელმწიფო მუდამ საკუთარ ხალხთან გაჭიანურებულ ბრძოლაშია ჩაბმული, ცდილობს ამ ხალხის სხვადასხვაგვარი ტრადიციული კულტურები გააერთგვაროვნოს და მხოლოდ შორს გამიზნული, პირადი მატერიალური ინტერესების "დაბალანსება" ასწავლოს. "სიკეთისა და ბოროტების" საკუთარი ენის მქონე ძველ, ზნეობრივ ერთობას ახლა ახალ რეალობასთან უწევს შეჯახება და დემოკრატიული ფასეულობების სისტემის ათვისებაც უხდება: უნდა ისწავლოს, როგორ გახდეს "თანამონაწილე", "რაციონალური", "საერო", "მობილური", "თანამგრძნობი" თუ "შემწყნარებლური". ადრე, ძველთაგანვე, ეს ახალი დემოკრატიული ფასეულობანი სულაც არ წარმოადგენდა ფასეულობებს ადამიანის უმაღლესი ღირსებისა თუ სიკეთის განსაზღვრის თვალსაზრისით – მათ მხოლოდ და მხოლოდ საშუალებებად მიიჩნევდნენ, ჩვევებად, რაც კაცს უნდა შეეძინა, თუკი სურდა ნორმალურად ეცხოვრა მშვიდობიან და აყვავებულ საზოგადოებაში. სწორედ ამ ვითარების შეცვლის გამო უწოდებდა

ნიცშე სახელმწიფოს "ცივ ურჩხულთაგან უცივესს", ამიტომ ადანაშაულებდა ხალხთათვის "ათასი სურვილის" ძალად თავსმოხვევაში და მათი კულტურული ფესვების შერყვნაშიც სდებდა ბრალს...

თუმცა, დემოკრატიამ თავის ამოცანას წარმატებით რომ გაართვას თავი, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებმა უნდა დაივიწყონ, რა ფუნქციას ატარებდნენ ადრე მათი დღევანდელი ფასეულობები და ისწავლონ ირაციონალურად, თიმოტურად როგორ იამაყონ საკუთარი პოლიტიკური სისტემითა და ცხოვრების წესით – ანუ, მათ უნდა შეიყვარონ დემოკრატია არა იმიტომ, ეს წყობა სხვა ალტერნატივებს უცილობლად რომ სჯობია, არამედ იმიტომ, რომ ეს *მათი* წყობაა. უფრო მეტიც, ძალაც უნდა დაატანონ თავს და სცადონ, ვთქვათ "ტოლერანტობაში" დაინახონ უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მიზნის მიღწევის საშუალება; დემოკრატიულ საზოგადოებებში შემწყნარებლობა უკვე განმსაზღვრელი ღირსება ხდება და მსგავსი სიამაყის განვითარება, გნებავთ, დემოკრატიული ფასეულობებისა და მოქალაქის მეობის განცდის ურთიერთშეთავსება, სწორედ ის სასიკეთო შედეგია, რაც "დემოკრატიულ" ან სხვაგვარად, "სამოქალაქო კულტურაში" იგულისხმება. ამგვარი კულტურაა გადამწყვეტი ფაქტორი დემოკრატიათა სიჯანსაღისა და სტაბილურობისათვის, რამდენადაც არც ერთ რეალურ, მიწიერ საზოგადოებას არ ძალუძს ხანგრძლივი არსებობა მხოლოდ რაციონალური "ანგარიშისა" და სურვილის საფუძველზე.

მაგრამ კულტურას – ტრადიციული ფასეულობების დემოკრატიულ ფასეულობებად გარდაქმნისათვის წინააღდგომით – შეუძლია დემოკრატიზაციის გზაზე აღმართულ კედლადაც იქცეს და ამგვარი ფაქტორი რამდენიმე კატეგორიად იყოფა.

ამათგან პირველი – ქვეყნის ეროვნული, ეთნიკური და რასობრივი ცნობიერების ხარისხსა და ხასიათს უკავშირდება. ნაციონალიზმსა და ლიბერალიზმს შორის აშკარა შეუთავსებლობა არ არსებობს; პირიქით, ეს ორი ფენომენი სინამდვილეში ძალიან მჭიდროდაც კი იყო გადახლართული, როცა მეცხრამეტე საუკუნეში, გერმანიასა და იტალიაში ეროვნული გაერთიანებისათვის მიმდინარეობდა ბრძოლა. მსგავსი ვითარება იყო 80-იანი წლების პოლონეთშიც, ქვეყნის ეროვნული აღორძინების მცდელობისას, და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, სადაც რესპუბლიკები სრული და საბოლოო დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სუვერენიტეტის მიღწევა, შეიძლება განხილული იქნას როგორც თვითგამორკვევისა და თავისუფლების სურვილის ერთი შესაძლო გამოხატულება, ოღონდ იმ პირობით, თუკი ეროვნება, რასა თუ ეთნიკური კუთვნილება არ გახდება მოქალაქეობისა და სამოქალაქო უფლებების განსაკუთრებული საფუძველი. დამოუკიდებელი ლიტვა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მთლიანად ლიბერალურ სახელმწიფოდ, როცა იქ მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის – რუსული უმცირესობის ჩათვლით – უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

მეორე მხრივ, ეტყობა დემოკრატია ვერ იხარებს ისეთ ქვეყანაში, სადაც

მოსახლეობის შემადგენელი ჯგუფების ეროვნულობა თუ ეთნიკური კუთვნილება იმდენად გამძაფრებულია, ამ ჯგუფებს ერთი ერის შვილობის განცდა ვერ აერთიანებს და ვერც ერთმანეთის უფლებების აღიარებას ახერხებენ. ეროვნული ერთიანობის ძლიერი განცდა კი მყარი დემოკრატიის აუცილებელი წინაპირობაა: ასე იყო შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში. ამგვარი განცდის არარსებობაც შეიძლება ჩაითვალოს იმის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად, თუ რატომ იყო შეუძლებელი საბჭოთა კავშირში მყარი დემოკრატიის მიღწევა, ვიდრე ქვეყანა უფრო პატარ-პატარა ეროვნულ ერთიანობებად არ დაიშლებოდა. პერუს მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენენ თეთრკანიანები, ესპანელ დამპყრობელთა შთამომავლები; დანარჩენი მოსახლეობა ინდიელებია – გეოგრაფიული, ეკონომიკური და სულიერი თვალსაზრისით უაღრესად გამიჯნული დანარჩენი ქვეყნისაგან. ამგვარი გამიჯვნა კიდევ დიდხანს იქნება პერუში სერიოზული დაბრკოლება მყარი დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე. იგივეს თქმა შეიძლება სამხრეთ აფრიკაზეც: იქ არა მარტო შავკანიანებსა და თეთრკანიანებს შორისაა ღრმა უფსკრული, არამედ თავად შავკანიანები იყოფიან მტრობის ხანგრძლივი ისტორის მქონე სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად.

მეორე კულტურული წინაღობა დემოკრატიისათვის, უკვე რელიგიას უკავშირდება. ნაციონალიზმის მსგავსად, არც რელიგიასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის არსებობს რაიმე ნიშანდობლივი წინააღმდეგობა, იმ შემთხვევათა გარდა, როცა რელიგია ტოლერანტობისა და ეგალიტარულობის ჩარჩოებიდან გამოდის. ჰეგელი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ საფრანგეთის რევოლუციას ქრისტიანობამ გაუკაფა გზა – ზნეობრივი არჩევანის უნარიდან გამომდინარე, ყველა ადამიანის თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებით. დღევანდელი დემოკრატიების უდიდესი უმრავლესობა, რელიგიური თვალსაზრისით, ქრისტიანული წარმომავლობისაა და როგორც სემუელ ჰანთინგთონმაც მიუთითა, ახალი, 1970 წლის შემდგომი დემოკრატიების მეტი წილიც, სწორედ კათოლიკურ ქვეყნებზე მოდის. შესაბამისად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ რელიგია, თავისთავად, წინაღობა კი არა – პირიქით, სტიმულია დემოკრატიზაციისათვის.

მაგრამ რელიგია *per se*, მაინც არ გახლავთ უცილობელი პირობა თავისუფალი საზოგადოების შესაქმნელად; ლიბერალიზმისათვის ნოყიერი ნიადაგის მოსამზადებლად ქრისტიანობამ, გარკვეული თვალსაზრისით, "თვითგაუქმება" უნდა მოახერხოს საკუთარი მიზნებისა და ამოცანების სეკულარიზაციის გზით. ამგვარი სეკულარიზაციის ფენომენად კი დასავლეთში ზოგადად პროტესტანტიზმი მიიჩნეოდა. როდესაც რელიგია ქრისტიანსა და მის ღმერთს შორის კერძო, პირადი ურთიერთობის დონეზე დაიყვანა, ამით პროტესტანტიზმმა გააუქმა ღვთისმსახურთა ცალკე კლასის აუცილებლობა და ფაქტიურად, ბოლო მოუღო რელიგიის ჩარევას პოლიტიკაში. მეტ-ნაკლებად, მსოფლიოს სხვა რელიგიებიც ჩაერთნენ სეკულარიზაციის მსგავს პროცესში: ასე მაგალითად, ბუდიზმი და სინტოიზმი ღვთაებისადმი პირადი თაყვანისცემით შემოიფარგლნენ – უპირატესად ოჯახის დონეზე; ინდუიზმისა და კონფუციანიზმის მემკვიდრეობამ შეიძლება ითქვას, სინთეზურია: ორივე მეტ-ნაკლებად უფრო ნებადამრთველი

მოძღვრებაა, ვიდრე ამკრძალავი, და მათი შეთავსება არცთუ ისე ძნელია საერო საქმიანობის ფართო სპექტრთან, მაგრამ ამ მოძღვრებათა არსი მაინც იერარქიული და არაეგალიტარულია. რაც შეეხება ორთოდოქსულ იუდაიზმსა და ფუნდამენტალისტურ ისლამს თუ მართლმადიდებლობას – ისინი პირიქით, უაღრესად ტოტალისტური რელიგიებია, რომლებიც ესწრაფვიან ადამიანის ცხოვრების ყოველი ასპექტი არეგულირონ, როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი, თავად პოლიტიკის სფეროს ჩათვლითაც კი. ასეა თუ ისე, მათი დემოკრატიასთან შეთავსება მაინც შეიძლება – კერძოდ, ისლამი ქრისტიანობაზე არა ნაკლებად ამკვიდრებს საყოველთაო ადამიანური თანასწორობის პრინციპს – მაგრამ ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია მათი შეხამება ლიბერალიზმთან, საყოველთაო უფლებების აღიარებასთან, განსაკუთრებით კი აზრისა და რწმენის თავისუფლების პრინციპებთან. ამიტომ, ალბათ არც გასაკვირი უნდა იყოს, რომ დღევანდელ მაჰმადიანურ სამყაროში ლიბერალური დემოკრატიის ერთადერთი გამზიარებელი თურქეთია – ქვეყანა, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში იშვიათი შეუპოვრობითა და გულწრფელობით მოახერხა უარეყო საკუთარი ისლამური წარმომავლობა საერო საზოგადოების სასარგებლოდ.

მყარი დემოკრატიისათვის მესამე ხელისშემშლელი პირობა – არათანაბარი სოციალური სტრუქტურა და მისგან გამომდინარე აზროვნების წყობაა. ტოკვილის თანახმად, ამერიკული დემოკრატიის სიძლიერე და სტაბილურობა ამერიკული საზოგადოების აბსოლუტურმა ეგალიტარულობამ და დემოკრატიულობამ განაპირობა – დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებასა და კონსტიტუციის დაწერამდე კარგა ხნით ადრე; ამერიკელები "თანასწორნი დაიბადნენ", ანუ ჩრდილოეთ ამერიკაში დანერგილი წარმმართველი კულტურული ტრადიციები ლიბერალური ინგლისიდან და ჰოლანდიიდან მომდინარეობდა და არა, ვთქვათ, მეჩვიდმეტე საუკუნის აბსოლუტისტური პორტუგალიიდან თუ ესპანეთიდან. ბრაზილიამ და პერუმ, პირიქით – მემკვიდრეობით სწორედ უაღრესად დაშრევებული კლასობრივი სტრუქტურები მიიღეს, ამ სტრუქტურათა შემადგენელი კლასები კი, ერთნაირად ეგოისტურნი, ერთმანეთისადმი ოდინდელი მტრობით გამოირჩეოდნენ.

სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ბატონები და მონები თავ-თავიანთ მენტალიტეტს ზოგიერთ ქვეყანაში უფრო გაშიშვლებული და წარსულში უფრო ღრმად ფესვგადგმული ფორმებით ინარჩუნებდნენ, ვიდრე სხვაგან. ლათინური ამერიკის დიდ ნაწილში, ისევე როგორც შეერთებული შტატების სამხრეთში სამოქალაქო ომამდე, მონობა აშკარად არსებობდა, ყოველ შემთხვევაში არსებობდა ფართომასშტაბიანი ჰასიენდური სოფლის მეურნეობის რაღაც ფორმები, რაც გლეხის ლამის მართლაც მონურ დამოკიდებულებას განაპირობებდა მიწათმფლობელთა კლასზე. ყალიბდებოდა ზუსტად ისეთივე ურთიერთობა, როგორსაც ჰეგელი უძველესი პერიოდის ბატონობისა და მონობის დამახასიათებელ ნიშნად სახავდა: ერთის მხრივ, მოძალადე და უქნარა ბატონები, მეორე მხრივ კი მათზე თავიდან ბოლომდე დამოკიდებული, დაშინებული მონების კლასი, რომელსაც თითქმის არანაირი წარმოდგენა არ გააჩნდა თავისუფლებაზე. აი, მაგალითად კოსტარიკაში კი, ესპანეთის იმპერიის იზოლირებულ და მივიწყებულ კუთხეში, სადაც

მთელი მოსახლეობა ერთნაირად ღატაკი იყო და არავითარი ჰასიენდური ტიპის მიწათმოქმედებაც არ არსებობდა, დემოკრატიამ შედარებით მეტ წარმატებას მიაღწია და ამის ერთადერთი ახსნაც, სწორედ ხსენებული მიზეზებია.

უკანასკნელი კულტურული ფაქტორი, რაც მყარი დემოკრატიის პერსპექტივებზე ახდენს ზემოქმედებას, საზოგადოების უნარს უკავშირდება, თავად შექმნას ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება – ის სფერო, სადაც ადამიანებს სახელმწიფოზე დაყრდნობის გარეშე შეუძლიათ რეალურად დაეუფლონ ტოკვილისეულ "ურთიერთობის ხელოვნებას". ტოკვილი ამტკიცებდა, დემოკრატია ყველაზე უკეთ მაშინ "მუშაობს", როცა ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ვრცელდება, როცა ცენტრალიზებული სახელმწიფო ბუნებრივად ყალიბდება უამრავი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან თუ კერძო ასოციაციებიდან, რომელთა ფუნქციონირებაც თავისუფლებისა და თვითმმართველობის გარკვეული სკოლაა. დემოკრატია, ბოლოს და ბოლოს, სწორედ თვითმმართველობამდე დაიყვანება და თუკი ადამიანებს შესწევთ უნარი ქალაქებში, კორპორაციებში, პროფესიულ გაერთიანებებსა თუ უნივერსიტეტებში "მიხედონ თავს", საფიქრებელია, სახელმწიფო დონეზეც წარმატებით მოახერხებენ იგივეს.

თავის მხრივ, ეს უნარი ხშირად თანამედროვეობისწინა საზოგადოების ხასიათს უკავშირდება, საიდანაც ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატია ამოიზარდა. ბევრი ამტკიცებდა, რომ ისეთი პრე-თანამედროვე საზოგადოებები, რომელთა სათავეშიც ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოები იდგნენ და სისტემურად ანადგურებდნენ ძალაუფლების ყველა შუალედურ წყაროს – იქნებოდა ეს ფეოდალური არისტოკრატია თუ ადგილობრივი, რეგიონული მხედართმთავრების დიქტატი, – მოდერნიზების შემდეგ გაცილებით უფრო ძლიერ მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ ავტორიტარული მმართველობისადმი, ვიდრე ის ფეოდალური საზოგადოებები, სადაც ძალაუფლება მეფესა და რამდენიმე ძლიერ, გავლენიან მთავარს შორის იყო დაყოფილი. რუსეთი და ჩინეთი – უდიდესი, ცენტრალიზებული ბიუროკრატიული იმპერიები რევოლუციამდელ ეპოქაში – კომუნისტურ, ტოტალიტარულ სახელმწიფოებად გარდაიქმნენ, ხოლო ინგლისი და იაპონია, სადაც გამოკვეთილი ფეოდალური სტრუქტურა არსებობდა, მყარ დემოკრატიებად ჩამოყალიბდნენ. ამ მიზეზებით შეიძლება აიხსნას ის სიძნელეებიც, რაც საფრანგეთისა და ესპანეთის ტიპის დასავლეთ ევროპულ ქვეყნებს შეხვდათ მყარი დემოკრატიის შექმნის გზაზე. ორივე შემთხვევაში, ფეოდალიზმი მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში ცენტრალიზაციის, მოდერნიზაციისაკენ მიმავალმა მონარქიამ "დაანგრია", რის შემდეგაც ამ ქვეყნებს მემკვიდრეობად ძლიერი სახელმწიფო ძალაუფლება და სუსტი, დათრგუნული, სახელმწიფოს გავლენაზე დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოება ერგოთ. ცენტრალიზაციის გზაზე დამდგარი ეს მონარქიები აზროვნების გარკვეულ სტილს ამკვიდრებდნენ, რისი კარნახითაც ადამიანებმა თანდათან დაკარგეს პიროვნულად, სპონტანურად თვითორგანიზების, ადგილობრივ დონეზე ერთად მუშაობის უნარი და საკუთარი ცხოვრების მოწყობაზე პასუხისმგებლობის განცდაც. ცენტრალიზაციის ტრადიცია საფრანგეთში – სადაც, როგორც წესი, პარიზიდან ნებართვის გარეშე არცერთი გზა არ გაჰყავდათ, არცერთ ხიდს არ აშენებდნენ პროვინციულ, პატარა

მდინარეზეც კი – უწყვეტ ხაზად გაგრძელდა ლუი მეცამეტედან ნაპოლეონამდე და ამჟამინდელ მეხუთე რესპუბლიკამდეც, ე.წ. Conseil d'etat-ის სახით. მსგავსი მემკვიდრეობა, თავის მხრივ, ესპანეთმაც უანდერძა ლათინური ამერიკის ბევრ სახელმწიფოს.

"დემოკრატიული" კულტურის სიძლიერე ხშირად დიდადაა დამოკიდებული იმ თანმიმდევრობაზე, რითაც ლიბერალური დემოკრატიის შემადგენელი ელემენტები გამოდის სამზეოზე. ასე მაგალითად, ბრიტანეთი და შეერთებული შტატები იმიტომაა თანამედროვეობის ყველაზე აყვავებული ლიბერალური დემოკრატიები, ამ ქვეყნებში ლიბერალიზმი წინ რომ უსწრებდა დემოკრატიას, ანუ, თავისუფლება უსწრებდა წინ თანასწორობას. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სანამ მოსახლეობის სხვა ფენებშიც გავრცელდებოდა, სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი ურთიერთობის, მმართველობაში პოლიტიკური თანამონაწილეობის ლიბერალური უფლებები ჯერ მცირერიცხოვან, როგორც წესი, მამრობითი სქესის, თეთრკანიან და მიწის მფლობელ ელიტაში ინერგებოდა. დემოკრატიული კამათისა და კომპრომისის ჩვევები, როდესაც დამარცხებულთა უფლებები ყოველმხრივაა დაცული და უზრუნველყოფილი, უფრო იოლად შეითვისეს ერთნაირი სოციალური წარსულისა და მიდრეკილებების მქონე პატარ-პატარა, ელიტურმა ჯგუფებმა, ვიდრე მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი, ტომობრივი თუ ეთნიკური სიძულვილით გაჟღენთილი საზოგადოების ფართო ფენებმა. ამგვარმა თანმიმდევრობამ ლიბერალურ დემოკრატიულ პრაქტიკას შესაძლებლობა მისცა ღრმად გაედგა ფესვი და მჭიდროდ გადახლართოდა ყველაზე უძველეს ეროვნულ ტრადიციებს. ლიბერალური დემოკრატიის გაიგივება პატრიოტიზმთან, მის თიმოტურ მიმზიდველობას აძლიერებს ახლად უფლებამოპოვებული ჯგუფების თვალში, და დროთა განმავლობაში ამ ჯგუფებს დემოკრატიულ ინსტიტუტებთანაც აკავშირებს.

ყველა ეს ფაქტორი – ეროვნული ერთიანობის განცდა, რელიგია, სოციალური თანასწორობა, სამოქალაქო საზოგადოებისაკენ მისწრაფება და ლიბერალური ინსტიტუტების ისტორიული გამოცდილება – მთლიანობაში ხალხის კულტურას შეადგენს. სწორედ ხსენებული ფაქტორების გათვალისწინება და ხალხებს შორის არსებული განსხვავებანი განმარტავს იმ ფაქტს, ერთნაირი ლიბერალურ-დემოკრატიული კონსტიტუციები რატომ მოქმედებს ზოგი ხალხის პრაქტიკაში საათივით აწყობილად, სხვა გარემოში კი ვერა; ანდა რატომ უარყოფს ერთი და იგივე ხალხი დემოკრატიას ერთ ეპოქაში, სხვა ეპოქაში კი უყოყმანოდ ადგება ამ გზას. ნებისმიერი სახელმწიფო მოღვაწე, ვინც ცდილობს თავისუფლების სფერო განავრცოს და წარმატებით მიიყვანოის სახელმწიფო "ისტორიის დასასრულამდე" – ამ ხასიათის სუბპოლიტიკურ წინააღმდეგობებს წინასწარვე უნდა ჭვრეტდეს.

და მაინც, არის რამდენიმე მოსაზრება კულტურასა და დემოკრატიასთან დაკავშირებით, რისი გაზიარებაც არამც და არამც არ შემიძლია. პირველი ის განცხადება გახლავთ, კულტურული ფაქტორები საკმარისი პირობაა დემოკრატიის დამყარებისთვისო. ასე მაგალითად, ერთი კარგად ცნობილი სოვე-

ტოლოგი თავს ირწმუნებდა, თითქოს საბჭოთა კავშირში, ბრეჟნევის ეპოქაში არსებობდა პლურალიზმის ეფექტური ფორმა და საკუთარი აზრის დასაბუთებას მხოლოდ იმით ცდილობდა, რომ საბჭოთა კავშირმა ურბანიზაციის, განათლების, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის, სეკულარიზაციის გარკვეულ დონეს მიაღწიაო. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ნაცისტური გერმანიაც პასუხობდა პრაქტიკულად ყველა, მყარი დემოკრატიისათვის ხაზგასმულად აუცილებელ კულტურულ წინაპირობას: იყო ნაციონალურად ერთიანი, ეკონომიკურად განვითარებული, ძირითადად – პროტესტანტული ქვეყანა; ჰყავდა ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური არაეგალიტარულობითაც არ გამოირჩეოდა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებისაგან. და მაინც, თიმოტური თვითდამკვიდრებისა და სიბრაზის ამ უდიდესმა აფეთქებამ, რაც გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის არსს შეადგენდა, შეძლო მთლიანად წაელეკა და მოესპო რაციონალური ურთიერთაღიარების სურვილი.

დემოკრატია ვერასოდეს შემოვა უკანა კარიდან; გარკვეულ დროს, ის სწორედ დემოკრატიის დამყარების თაობაზე მიღებული აწონილ-დაწონილი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად უნდა გაჩნდეს. პოლიტიკური სფერო დამოუკიდებელი რჩება კულტურისაგან და როგორც სურვილის, თიმოსისა და გონის გადაკვეთის წერტილს, მას საკუთარი, განსაკუთრებული ღირსება აქვს. მყარი ლიბერალური დემოკრატია წარმოუდგენელია ქმედითუნარიანი სახელმწიფო მოღვაწეების გარეშე, ვინც პოლიტიკის ხელოვნებას ფლობს და ძალაც შესწევს, ადამიანთა ძირითადი მიდრეკილებები სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარჩოებში მოაქციოს. როცა დაკვირვებით ვსწავლობთ დემოკრატიაზე ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებით გადასვლის შემთხვევებს, აშკარა ხდება – რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ზედმიწევნით პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორებიცაა ახალი დემოკრატიული ხელმძღვანელობის უნარი, ძველი შეცდომებისა და დანაშაულებების გამოძიების დაწყებამდე, მაქსიმალურად გაანეიტრალოს შეიარაღებული ძალები, შეინარჩუნოს სიმბოლური უწყვეტობა წარსულთან (დროშები, ჰიმნები და სხვა ასეთი), გაითვალისწინოს უკვე ჩამოყალიბებული პარტიული სისტემის ბუნება და განსაზღვროს, საპრეზიდენტო იყოს დემოკრატიული მმართველობა თუ საპარლამენტო. შესაბამისად, დემოკრატიათა მარცხის შესწავლაც ადასტურებს, რომ ამგვარი შედეგი არამც და არამც არ იყო გარდაუვალი – თუნდაც შექმნილი კულტურული თუ ეკონომიკური გარემოს გამო – ხშირ შემთხვევაში, მარცხს ცალკეული, კონკრეტული პოლიტიკოსების უვარგისი გადაწყვეტილებები განაპირობებდა. ლათინური ამერიკის სახელმწიფოები სულაც არ გამხდარან იძულებულნი, მაინცდამაინც პროტექციონიზმის და იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა აერჩიათ 30-იანი წლების მსოფლიო დეპრესიის დროს, არადა სწორედ ამ პოლიტიკამ მრავალი წლით დაასამარა მათი იმედები მყარ დემოკრატიასთან მიმართებით.

მეორე, და ალბათ უფრო ფართოდ გავრცელებული შეცდომა – დემოკრატიის დამყარების აუცილებელ პირობად კულტურული ფაქტორების მიჩნევა გახლავთ. მაქს ვებერი დაწვრილებით აღწერს იმ თანამედროვე დემოკრატიის ისტორიულ ფესვებს, რაც პრინციპში, დასავლური ტიპის ქალაქის გარკვეული,

ძალზე სპეციფიური სოციალური პირობებიდან აღმოცენებულად მიაჩნია. დემოკრატიის ვებერისეული განმარტებაც, როგორც ყოველთვის, ისტორიულად მდიდარი და ღრმაა, ოღონდ მისი დახასიათებიდან გამომდინარე, დემოკრატია შეიძლებოდა მხოლოდ დასავლური ცივილიზაციის ერთი პატარა კუთხის სპეციფიურ კულტურულ და სოციალურ გარემოში გაჩენილიყო; ის ფაქტი, რომ დემოკრატია გავრცელდა როგორც ყველაზე რაციონალური, მისაღები პოლიტიკური სისტემა და სხვა სისტემებთან შედარებით, უფრო "მოერგო" ზოგადად ადამიანური პიროვნების ბუნებას მსოფლიოს სხვადასხვა კულტურათა მასშტაბით, საერთოდ არცაა სერიოზულად განხილული.

ძალიან ხშირად გაისმის არგუმენტი, ესა თუ ის ქვეყანა ვერ გადემოკრატიულდება, რადგან აქამდე არავითარი დემოკრატიული ტრადიცია არ ჰქონიაო. ეს ტრადიცია აუცილებელი პირობა რომ იყოს, მაშინ ვერცერთი ქვეყანა ვერ გახდებოდა დემოკრატიული, რამდენადაც არ არსებობს ხალხი თუ კულტურა (დასავლეთ ევროპის ჩათვლით), რომელსაც ან არ დაეწყოს ძლიერი ავტორიტარული ტრადიციით, ან დროთა განმავლობაში ამგვარ მდგომარეობამდე არ მისულიყოს.

გამყოფი ხაზი კულტურასა და პოლიტიკას, ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის არცთუ ისე მკაფიოა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. სახელმწიფოებს შეუძლიათ ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ხალხების "ფორმირებაში", ანუ "ბოროტისა და კეთილის" მათეული ენის ჩამოყალიბებაში და ახალი ადათების, ჩვევებისა და კულტურების de novo შექმნაში. ამერიკელები არა უბრალოდ "თანასწორები დაიბადნენ", არამედ ჯერ კიდევ შეერთებული შტატების შექმნამდე "გათანასწორდნენ" იმ წლებში, როცა შტატისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გამოცდილებას იძენდნენ და ბრიტანეთისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ. ამერიკული საფუძვლების აშკარად დემოკრატიულმა ბუნებამ ხელი შეუწყო უფრო გვიანდელი პერიოდის დემოკრატიული ამერიკელის, იმ ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებას, როგორიც მანამდე არსად და არასდროს არსებობდა მთელი ისტორიის მანძილზე (სხვათა შორის, სწორედ ეს ტიპი აღწერა მშვენივრად ტოკვილმა). კულტურა ბუნების კანონებივით სტატიკური ფენომენი არაა; ის ადამიანის "ნამოქმედარია" და ევოლუციის უწყვეტ პროცესსაც განიცდის. კულტურამ შეიძლება სახე იცვალოს ეკონომიკური განვითარების, ომებისა თუ სხვა ეროვნული მასშტაბის ძვრების გავლენით, მიგრაციისა თუ გაცნობიერებული არჩევანის შედეგად, და აქედან გამომდინარე, დემოკრატიის კულტურული "მსაზღვრელები" – თუმცა უდავოდ მნიშვნელოვანი კია, მაგრამ მათდამი გარკვეული იჭვნეული დამოკიდებულებაც არ გვაწყენდა.

მეორე მხრივ, სწორედ ხალხებისა და მათი კულტურების მნიშვნელობა აღნიშნავს ლიბერალური რაციონალიზმის საზღვრებს, ანდა – სხვაგვარად თუ ვიტყვით – განსაზღვრავს კიდეც რაციონალური ლიბერალური ინსტიტუტების ირაციონალურ თიმოსზე დამოკიდებულების დონეს. რაციონალური ლიბერალური სახელმწიფო ვერ აშენდება მხოლოდ არჩევნების გზით, და ვერც სიც-

ოცხლისუნარიანი გამოდგება ქვეყნის ირაციონალური სიყვარულისა თუ შემწყნარებლობის მსგავსი ფასეულობებისადმი ძირეული მიდრეკილების გარეშე. თუკი თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის სიჯანსაღე სამოქალაქო საზოგადოების სიჯანსაღეს ემყარება, ხოლო ეს უკანასკნელი ადამიანთა შორის ურთიერთობის უნარზეა დამოკიდებული, მაშინ ნათელია, რომ წარმატების მოსაპოვებლად ლიბერალიზმი უნდა გასცდეს საკუთარი პრინციპების ფარგლებს: წარმატებული პოლიტიკური მოდერნიზაციისათვის რაღაც პრე-მოდერნულის შენარჩუნებაც აუცილებელია უფლებებისა და კონსტიტუციური გადაწყვეტილებების მისეულ სისტემაში, ანუ – სახელმწიფოს გამარჯვება, ოღონდ არა – ხალხზე...

თარგმანი: ზაზა ჯილაძე

პიესები

კვენტინ ტარანტინო, ჯეიმზ ეივორი

'Pulp Fiction — ლაყე საკითხავი'

Pulp Fiction

კვენტინ ტარანტინო
როჯერ რობერტს ეიერი

ლაყე საკითხავი

ანუ

ერთ პონტში გასული სამი ამბავი

(1993 წ. მაისში მოთავებული საბოლოო ვარიანტი)

Pulp (არს. სახ.):

1. რბილი, ნოტიო, უფორმო მასა ან ნივთიერება.
2. ხეშეშ, იაფ ქაღალდზე დასტამბული წიგნი ან ჟურნალი, ძირითადად – მარტივი, უგვანი შინაარსისა.

(American Heritage Dictionary, New College Edition)

1. კაფე, დილა.

ერთი ჩვეულებრივი კაფე ლოს-ანჯელესის გარეუბანში. დილის 9 საათია. ხალხი ხალვათადაა, თუმცა ჯამში არც ისე ცოტანი არიან. ძირითადად, სტანდარტული დილის თოხლი – წყალწყალა ყავა, ერბოკვერცხი და ზედვე მოტაფული ბეკონი.

კუთხის მაგიდას ორნი მიჯდომიან – ახალგაზრდა კაცი და ქალი. კაცს ოდნავი ბრიტანული აქცენტი ატყვია და სიგარეტიც რაღაც შესაბამისი მანერულობით გაუჩრია თითებში.

ქალი რა ხნისა იქნება, ანთუ სადაური, ასე უცებ ვერც დაჩოთქავ – თან ისე უცნაურად იქცევა, ჟესტიკულაცია სულ არ ემთხვევა ხოლმე ნათქვამს. სწრაფ-სწრაფად ლაპარაკობენ, რღვეულ რიტმში.

ახ. კაცი: არა, ეგრე არ წავა, შანსი არაა... ძაან სარისკოა. რახანია, დავახვიე...

ქალი: სუ ეგრე არ გაიძახი – *გეყო, დავახვიეთ, რისკია...*

ახ. კაცი: რასაც ვტვინავ, იმას ვბაზრობ! შენ კიდე...

ქალი: მერე კიდე სუყველაფერი გავიწყდება!

ახ. კაცი: წავიდა ეგ დრო, ახლა მეხსომება.

ქალი: ეგრე როცა ბაზრობ, იცი ვისა გავხარ?! *გაბრაზებულ* კვატას! კვიტ-კვიტ-კვიტ...

ახ. კაცი: ხოდა, ხვალიდან შეიცვლება ყველაფერი.

ქალი: ხვალიდანო-ო...

(იცინიან, თითქოს ჯერი-ჯერზეო – ერთი რომ ჩერდება, იქვე მეორეს ისევ უტყდება ხითხითი)

ახ. კაცი: ეგრეა. ოღონდ – ხვალიდან.

მიმტანი გოგო, ყავადანით ხელში: დაგიმატოთ?

ახ. კაცი: გაიხარე...

(გოგო ყავას უსხავს, ქალი სიგარეტს აბოლებს, რგოლებად. პაუზა)

ახ. კაცი: იმას ვაწვები, რო ახლა ეგ ისეთივე სარისკოა, როგორაც ბანკის გამოსუფთავება. ის კი არა და, კიდევ უარესი. ფედერალურ ბანკებში რა – სულ ქინძზე არ კიდია ყველას ყველაფერი – დაზღვეულები არიან და რაში ადარდებთ? იარაღიც კი არა გჭირდება – ისედაც გაგივსებენ ფუთას! ერთი ბიჭის მითხრეს – ფედერალურ ბანკში მობილურით შესულა და ვიღაცა კლერკს უწვდის – შენ ებაზრეო... იქიდან კიდე ვიღაც იმუქრება თურმე – ამ ბიჭის შვილი მძევლად გვყავს აყვანილი და ფულს თუ არ ჩამოხვალთ, აქვე ავჩეხავთ და ნაჭერ-ნაჭერ გამოვუგზავნით თქვენს დირექტორსო!

ქალი: მერე, გაჭრა?!

ახ. კაცი: გაჭრა რომელია, მაგას არ გიჩიჩინებ! აზრზე მოდი – ვიღაცა ყლიყვი ბანკში შედის, მობილურს აძრობს და საქმეც გაიჩარხა! კაცმა ყური არ გააპარტყუნა...

ქალი: იმის შვილს რაღა მოუვიდა?

ახ. კაცი: ამდენი აღარ ვიცი. იქნებ არც არავითარი შვილი არ იყო – აზრი ისაა, რო მობილურის ერთი ზარი და – მოთავებულია საქმე!

ქალი: მოკლედ რა – ბანკი გინდა დახვეტო?

ახ. კაცი: ვინ გითხრა, ბანკები-თქო – იმას გეუბნები, ბანკის ძარცვა უფრო ადვილია, ვიდრე რასაც ჩვენ ვჩალიჩობთ...

ქალი: დაიცა, რა – უარზე ხარ?

ახ. კაცი: უარზე ვარ, მა რა – ბოლო-ბოლო ან ტყვიას მომდებენ ბეჭებში, ან ოც წელს – ციხეში...

ქალი: არც ღვინის მაღაზიები გინდა?

ახ. კაცი: რა განსხვავებაა, რო? ეგეც იგივე არაა? მერე კიდე, ჭუტათვალებიანებიც ისე მომრავლდნენ, მთელი ეგ *ვიეტები* და *კორები* და *პაკები*[1] და ინგლისურის ინჩი-ბინჩი რო არ გაეგებათ, და ეტყვი რამეს – ვთქვათ, "სალარო ჩამოყარე", ან "მაყუთი მაიტა" და აზრზეც არ არი, რას ებლატავები... ბოლო-ბოლო, შემოგაკვდება ვინმე ეგეთი აზიატი ჩუჩმეკი და უყარე მერე კაკალი!

ქალი: არავის მოკვლა მე არ მინდა!

ახ. კაცი: მერე, ვინ გეუბნება, რო? მარა ეგრეა – ბოლო-ბოლო ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, ან ჩვენ – ან ეგენი... იმიტო რო გულთან ახლოს მიაქვთ ყველაფერი, მთელი კოდლას წყენად იღებენ... ან თუნდაც ვინმე ბებერი ურია იყოს – ზის იქ, დახლთან, ეგ მაღაზია იქნება და ბოლო ათი თაობა სულ მაგის ოჯახის ნაქონია და ჭკუაზე არ არი – თავსაც გადადებს და თავის ცოლშვილსაც... ანდა კიდე უარესი – ვინმე ბაბუ აიზეკი, სულ ის ძველი კარგი დრო რო ენატრება, ზანგებს რო კიდებდნენ დაპოხილ თოკზე – დააძრობს საიდანღაც ორმოცდახუთიან მაგნუმს და შენს მობილურს ზედაც არ შეხედავს – იქნება და ვერც მიხვდეს, რა არი! არა-ა, მაგეებს უნდა შევეშვათ.

ქალი: და რა ვქნათ ახლა, სამუშაო ვეძებოთ?..

---

[1] Viets, Cors, Pakis = ვიეტნამელები, კორეელები, პაკისტანელები (აგდებულ კილოზე)

ახ. კაცი: მორჩი, რა...

ქალი: აბა რა ჯანდაბა გინდა, აღარ იტყვი?

ახ. კაცი: *(თავს მიაბრუნებს და სადღაც იქით გასძახის):*

გაღ-ღსონ! ერთი ყავაც!

(მერე ქალს მიაშტერდება)

ახ. კაცი: აქაურობა უნდა დავბომბოთ.

(მიმტანი გოგო მოადგება გვერდიდან, ყავას უსხავს)

გოგო: "*გაღ-ღსონ*" მხოლოდ მამრობით სქესზე ითქმის, *სე-ერრ!*

(გადის)

ახ. კაცი: ერთი ეგეთიღა მაკლდა... *(თვალს გააყოლებს)*

ქალი: დაიცა რა – კაფე გინდა დაბომბო?! რა ხეირი?

ახ. კაცი: *(ისევ მოუბრუნდება)* ნუ სულელობ ერთი... აი – ბარი, ღვინის მაღაზია, ბენზინგასამართი და ეგეთები – ყველგან შეიძლება მიგაბრიდოს ვიღაც შერეკილმა, კაფე-რესტორნების გაფცქვნა კი სულ მარტივი რამეა – აზრზე მოდი – კაციშვილი არაფერს მოელის და ხალხსაც ტვინი კუჭზე აქ მომართული...

ქალი: *(ნელი-ნელ ჭკუაში უჯდება):* ასეთ დროს კი გმირობაზეც ნაღდად რო არავინ გაიქაჩება...

ახ. კაცი: ეგრეა. ამდაგვარი ადგილები სულ დაზღვეულია ხოლმე. მენეჯერსაც ქინძზე არ კიდია – ოღონდ თავიდან მოგიშოროს და სროლა არ ატეხო! ოფიციანტებიც რა – რისთვის გამოიდებენ თავს? დაუფასებს ვინმე? კლიენტები კიდე თოხლაობენ და საერთოდ აზრზეც ვერ მოდიან, რა ხდება...

(ხმას დაუწევს, ლამის ეჩურჩულება)

იცი როდის მხია თავში? აი იმ მაღაზიაში რო ვიყავით და რიგი რო გაიწელა და შენ თქვი – ეხლა ყველა ამათთვის რო საფულეები აგვახევინაო...

ქალი: მახსოვს, კი! რა მერე?..

ახ. კაცი: მაშინ მოვწვი – მაგარი იდეა იყო.

ქალი: მადლობელი.

ახ. კაცი: სალაროზე მეტი ფარა იმ საფულეებში იდო.

ქალი: ბევრად მეტი.

ახ. კაცი: და კაფე-რესტორნებშიც ოხრად ხალხი დადის...

ქალი: და ყველა – საფულეებიანი.

ახ. კაცი: როგორია?

(ქალი აქეთ-იქით მიმოიხედავს. მაგიდასთან მსხდომნი დანა-ჩანგლებს აწკარუნებენ, ქანცგაცლილი მიმტანი გოგო შეკვეთებს იღებს, მენეჯერი რაღაცას ედავება მზარეულს... ქალის სახეზე ღიმილი კრთება)

ქალი: გლიჯავს! *(საქმიანი გამომეტყველებით)* როდის ვიწყებთ?

ახ. კაცი: ახლავე! ოღონდ დაიხსომე – შენ ამ ბლიყვებს მიხედავ, დანარჩენი ჩემი საქმეა.

(ქალი თავს უქნევს. მერე 32 ყალიბის პისტოლეტებს დააძრობენ ჩანთებიდან, წინ დაილაგებენ და ერთურთისკენ გადახრილები, თვალებში ჩასცქერიან ერთმანეთს)

ქალი: ჩემი კვატა ვინაა?.

ახ. კაცი: ჩემი პუსკუნა ვინაა?.

(პუსკუნა და კვატა იარაღს დაავლებენ ხელს, ფეხზე წამოიჭრებიან; ამ წუთიდან უკან დასახევი გზა აღარა აქვთ – ძარცვა ***დაიწყო.*** *კვატა ნაღდი პროფესიონალივით ირჯება – გამოზომილი მოძრაობები, მშვიდი ხმა; პუსკუნას კი ეტყობა, რომ წკიპზეა: ხმა უკანკალებს, პისტოლეტის ლულას აქეთ-იქით იშვერს, უმისამართოდ)*

კვატა: ყურადღება! ყველანი ადგილებზე ვრჩებით! ერთი პატარა

ლოკალური ძარცვა, სხვა არაფერი!

პუსკუნა: არ გაინძრეთ-მეთქი!! გატოკდება ვინმე და – მიგახვრეტთ სუყველას!

<u>სურათი იცვლება:</u>

2. გარეხედი – 74 წლის გამოშვება *შევროლე*, დილაა.

ძველი, მონჯღრეული, რძისფერი *შევროლე ნოვა* ჰოლივუდის ღარიბ გარეუბანში ქუჩიდან ქუჩაზე გაზავს. წინა საკარძლებზე ორი ახალგაზრდა წამოჯიმულა – ერთი შავკანიანი და ერთიც – მკრთალსახიანთა მოდგმისა; ორივე ლამის საკუბოვედაა გამოწყობილი – მუქი ფერის, იაფფასიანი შარვალ-კოსტუმები, წვრილი შავი ჰალსტუხები და მუქივე ფერის თხელი, გრძელზე-გრძელი ლაბადები. თეთრკანიანს ***ვინსენტ ვეგას*** უხმობენ, ზანგს – ***ჯულზ უინფილდს.*** საჭეს *ჯულზი* უზის.

ჯულზი: კარგი ჰო, ახლა იმ ყავახანებზე მოყევი.

ვინსენტი: რა უნდა მოვყვე?

ჯულზი: რა და ისა, აი – დაბოლვა მოსულა?

ვინსენტი: კი, ეგრეა – ოღონდ როგორ გითხრა – თითქოს არც მთლად მასეა საქმე... აი, რო შეხვიდე, ყველას თვალწინ შეუკეთო და იქვე დაბოლდე, მთლად ეგრეც არ არი... სახლში შეგიძლია შენს ნებაზე და კიდე – სპეცადგილებში.

ჯულზი: დაიცა რა – ეგაა შენი ყავახანები?

ვინსენტი: მაშ. ახლა, წესი როგორ ეწყობა: უფლება გაქ იყიდო – გინდა, სულ შტაბელებად დაილაგე – და შეინახო, ოღონდ გაყიდვა – მხოლოდ მაშინ, თუ ეგეთი ნარკობარის მეპატრონე ხარ, ისე არ მოსულა.

ჯულზი: მერე?!

ვინსენტი: მერე და ისა... საქმეც ეგ არი, ამას არავითარი მნიშვნელი არა აქ, თუ გინდა, ჯიბით ატარე რა – კაციშვილი ხმას ვერ გაგცემს! აი, ვთქვათ და პოლიციამ გაგაჩერა – აზრზე

მოდი, გაჩხრეკის უფლებაც კი არა აქვთ! ამსტერდამში პოლიციას უფლება არა აქ კაცი ისე, ტყუილად გაჩხრიკოს...

ჯულზი: აბა, წავსულვართ ამსტერდამში...

ვინსენტი: მოგეწონება, ფაიზაღად. დაიცა, რამე რო იყოს, ყველაზე საღადაო იცი რა აქვთ იმ ჩემისებს?

ჯულზი: რაო, მაგალითად?

ვინსენტი: ფუნტიან ჩიზბურგერს იცი რას ეძახიან?

ჯულზი: *(მხრებს იჩეჩავს)* რა ვი...

ვინსენტი: ეგენი ხო მეტრულ სისტემაზე არიან, ფუნტების და ეგეთების არაფერი გაეგებათ... აზრზე მოდი – *როიალი ყველით!* მარტო ბიგ-მაკს უძახიან ბიგ-მაკს, ოღონდ მაგასაც რაღაც თავის ჭკუაზე – *ლე ბიგ-მაქ*, თუ რაღაც ეგრე...

ჯულზი: ეგენიც მყვანან რა... ჰოპერს[2] რაღა ქვია, ვთქვათ, იტალიაში – პიანინო?

ვინსენტი: მაგდენი აღარ ვიცი, ბურგერკინგებში არ მივლია. დაიცა, ჰოლანდიაში შემწვარ კარტოფილს თუ იცი, რას უშვებიან?

ჯულზი: რას, მაგალითად?

ვინსენტი: კეტჩუპის მაგივრად მაიონეზს ასხამენ ზემოდან!

ჯულზი: სულ გარეკეს?!

ვინსენტი: ჩემი თვალით ვნახე. თან რა – ისე კი არა, კიდეზე რო დააწვეთო – მთელ თეფშზე მოასხამენ ხოლმე.

ჯულზი: ვაი მაგათ პატრონს!

ვინსენტი: მაგიორში, კინოს თუ უყურებ, შეგიძლია ნაღდი კათხა ლუდი აიღო – ისე კი არა, ჩვენთან ქაღალდის ჭიქებიდან

---

[2] ყველაზე დიდი ბუტერბროდი **ბ**ურგერ**კ**ინგის ქსელში.

რო უნდა წრუპო – ფუი! მერე, ლუდის სმა მაკდონალდ-
შიც შეიძლება, ოღონდ ისეთის, აი – *მცირეალკოჰოლია-
ნის...*

ჯულზი: რას ერჩი, რაღაცა ჭკვიანური მაგათაც ხო მოსვლიათ
თავში.

<u>სურათი იცვლება:</u>

3. გარეხედი: შევროლეს საბარგული, დილაა.

*მანქანის საბარგული თავღიაა, ჯულზი და ვინსენტი იქიდან თითო 45 კალიბ-
რიან ავტომატურ იარაღს დააძრობენ, მჭიდეებს ტენიან და ჩახმახებზე
შეაყენებენ.*

ჯულზი: ამათი დროც დადგა...

ვინსენტი: რამდენი არიან, თუ იცი?

ჯულზი: სამი-ოთხი მაინც იქნება.

ვინსენტი: იმ ჩვენიანის ჩათვლით?

ჯულზი: რა ვი, აბა... რა გითხრა.

ვინსენტი: გინდა თქვა, იქნებადა ხუთიც იყოს?

ჯულზი: გამორიცხული არაფერია.

ვინსენტი: კარაბინები უნდა დაგვეთრია.

(ჯულზი საბარგულს კეტავს, უხმოდ).

<u>სურათი იცვლება:</u>

4. მიყრუებული საცხოვრებელი სახლის ეზო. დილაა.

ვინსენტი და ჯულზი ეზოში მიალაჯებენ. მათი გრძელი, შავი ლაბადების
კალთებმა ლამისაა, ქვაფენილი მოხვეტონ.

ვინსენტი: რაო, რა ქვიაო?

ჯულზი: მია.

ვინსენტი: მარსელასს სად გადაეყარა?

ჯულზი: არც სად. ადრე მსახიობი იყო.

ვინსენტი: რამე ფილმში მინახავს?

ჯულზი: მგონია, ყველაზე დიდი როლი ერთ რაღაც პაილოტ-სერიაში ქონდა...

ვინსენტი: ეგ რაღაა?

ჯულზი: აი, ტელევიზორში რო აჩვენებენ ხოლმე სერიალებს...

ვინსენტი: მაგათ საყურებლად მცხელა?..

ჯულზი: კარგი, ვთქვათ და არ უყურებ, ოღონდ შენისთანა ცივილიზებულმა კაცმა არ შეიძლება ყუთი რა არი, არ იცოდეს, ეგრეა?

ვინსენტი: დავუშვათ.

ჯულზი: ხოდა გაგონილი გექნება, იმ ყუთში სერიალებს უშვებენ, ძირითადად... ოღონდ ჩვენებას როგორ იწყებენ, თუ იცი? ჯერ ერთ სერიას გადაიღებენ, ამას ქვია სწორედ საცდელი, პაილოტ-სერია და მერე ხალხს უჩვენებენ და თუ მოეწონათ, სხვა დანარჩენ სერიებსაც ზედ მოაყოლებენ ხოლმე. ოღონდ ხშირად იქსირება მიდის და...

ვინსენტი: რა მიდის?!

ჯულზი: ორ ხაზს გადაუსვამენ, მსხვილად. მერე თაროზე შემოდებენ. მიაც ეგრე შემოდეს. თაროზე.

(შედიან შენობაში)

5. შიდა ხედი: სახლის სადარბაზო, დილაა.

(ვინსენტი და ჯულზი ლიფტის კარს მიადგებიან)

ჯულზი: ანტუან როკამორა გახსოვს? აი, მულატი რო იყო, სამოას კუნძულებიდან თუ რაღაცა – ტონი-ჯოკერს ეძახდნენ.

ვინსენტი: ის სქელო?

ჯულზი: არ ვიტყოდი, ძაანაც სქელი იყო-მეთქი. უბრალოდ, წონა აწუხებდა. ზანგებს ემართებათ ხოლმე.

ვინსენტი: ხო, და რა მერე?

ჯულზი: მარსელასმა გაასაღა. ხალხი ამბობს, სულ მარსელასის ცოლის ამბავიაო.

(კარი იღება, ორივენი შიგ შედიან)

6. ლიფტი, შიდა ხედი. ისევ დილაა.

ვინსენტი: რაო ვითომ, შემოეჟიმა იმ ჩემისას?

ჯულზი: ა-რა-ა-ა-ა!!! რასაა რო ბოდიალობ!

ვინსენტი: აბა, სხვა რა?

ჯულზი: ტერფების მასაჟს უკეთებდა.

ვინსენტი: ტერფების... რა?!.

ჯულზი: *(თავს უქნევს)* ეგრე იყო.

ვინსენტი: და მეტი არაფერი?

ჯულზი: *(თავს აქნევს)* არა.

ვინსენტი: და მარსელასმა რაო?

ჯულზი: ხალხი მიუგზავნა. იმათაც წაავლეს ქეჩოში ხელი და გადაუძახეს ფანჯრიდან. ქვევით კიდე ორანჟერეა იყო თუ რაღაცა ეგეთი – აი, შუშის სახურავები რო აქვთ, ხო იცი – მთელი ტანით დაებერტყა ზედ, ჩაამტვრია და ენაბლუობაც მას მერე დაჩემდა...

(კარი იღება, ჯულზი და ვინსენტი ლიფტიდან გამოდიან)

ვინსენტი: ვერ მოსვლია კარგი ამბავი.

7. დერეფანი საცხოვრებელი სახლის რომელიღაც სართულზე. ჯერ ისევ დილაა.

(ჯულზი და ვინსენტი გრძელ დერეფანს მიუყვებიან, დინჯად. საუბრობენ):

ვინსენტი: ეგრეა, რა – ასანთით თამაშმა ხანძარი იცის...

ჯულზი: მაგით რა გინდა რო თქვა?

ვინსენტი: მარსელას უოლესის ახალგაზრდა ცოლს არ უნდა უკეთო ხოლმე ტერფების მასაჟი. საერთოდ არავითარი მასაჟი არ უნდა...

ჯულზი: დაიცა რა, მეტისმეტი მოგდის.

ჯულზი: იქნებ ტონი-ჯოკერასაც მეტი მოუვიდა.

ჯულზი: არა-ა, მეტი არაფერიო, ასე ამბობენ. ტერფების მასაჟი რა ჩემი ფეხებია – მე დედაჩემს ვუკეთებ, ზაფხულობით უსივდება ხოლმე...

ვინსენტი: დაიცა, დედაშენი არა, იხვი... აზრზე მოდი, მასტი ინტიმურ შეხებაში შედიოდა მარსელასის ცოლთან! იგივეა, ძუძუსთავზე რო წაევლო ხელი... არა, მთლად ეგრე არაა, მაგრამ მაინც... ასე ვთქვათ, მაინც სხვის მოედანზე თამაშია.

(ჯულზი ადგილზევე შეშდება, ცალი წარბი ზევით აუდის)

ჯულზი: დაიცა... ტერფის მასაჟი და მკერდის მასაჟი სხვადასხვა რამეა, არა რო?

ვინსენტი: თითქმის. მაგრამ მაინც სხვის უბანში ხარ.

ჯულზი: რა უბანი, რის უბანი – შენ იქნებ, არ ვიცი, რამე სხვანაირად უზელ ტერფებს?! ოღონდ ბოიშვილი ვიყო, ტერფის დაზელვა და მკერდის დაქერვა ნაღდად რო სხვადასხვა რამეა და თამაში რა შუაშია?

ვინსენტი: თავშია, თავში. აი შენ – კაცმა გკითხოს, ტერფის მასაჟის ექსპერტი ხარ – დედაშენსაც არავის ანდობ, თვითონ უკეთებ... უცხო კაცისთვის თუ გაგიკეთებია როდესმე?

(ჯულზი რაღაც ქუშტად გახედავს, იმრიზება)

ჯულზი: მიდი რა, გაიარე.

(ისევ მიალაჯებს. ვინსენტს ელიმება, ოდნავ უკან მისდევს)

ვინსენტი: არა, მაინც რამდენჯერ?

ჯულზი: მორჩი რა...

ვინსენტი: იქნებადა მეც გამიკეთო – ეს ოხერი, სულ ახალთახალი ფეხსაცმელი რამ ჩამაცმევინა სიფთაზე...

ჯულზი: თუ ძმა ხარ, მოკეტე ახლა თორე მართლა ამეშალა ძარღვები... აგე, ეს კარია.

(ჩერდებიან, კარზე პლასტიკატის ფირფიტაა მიმაგრებული, #49 აწერია ზედ).

ჯულზი: საათის რომელია?

ვინსენტი: *(მაჯის საათზე იყურება)* 7-22.

ჯულზი: ადრეა. ცოტაც ვაცალოთ.

(კარს მოცილდებიან, პირისპირ დადგებიან და ისევ გააბამენ საუბარს, ხმადაბლა)

ჯულზი: ებიჭო, მე რო კაცს მასაჭს არ ვუკეთებ, ეს იმას ხო არ ნიშნავს, მარსელასი მართალი იყო, ტონი-ჯოკერა რო გადმოაგდებინა ფანჯრიდან... დალაპარაკებოდა კაცურად, რაზეა ბაზარი... აბა, ესაა საქმე? მე რო ვინმემ ფანჯრიდან გადაგდება დამიპიროს, ხო გავასხმევინე ტვინი! მასაც და მის განაბსაც...

ვინსენტი: დაიცა, ვინ გეუბნება – სწორი იყო-თქო! შენ იძახი – ტერფის მასაჟი არაფერს ნიშნავსო, მე კი იმას გიმტკიცებ, ნიშნავს-მეთქი! ათასი ქალისთვის გამიკეთებია და ყოველთვის ყველასთან ნიშნავდა რაღაცას! უბრალოდ, ისეთ სახეებს ვაწყობთ, თითქოს ეს არაფერს არ ნიშნავს, ამაშია მთელი მუღამი! როცა ეს ხდება, სიტყვას არავინ ამბობს, მაგრამ შენ ხომ აზრზე ხარ, და ქალიც აზრზეა, და მარსელასიც აზრზე მოვიდა და ის შენი ჯოკერაა თუ ვიღაცა, ცოტა უფრო ფრთხილად უნდა ყოფილიყო – მარსელასის ცოლია, ბოლო-ბოლო, მართლა ხუმრობაში გაატარებდა ეგონა?!

ჯულზი: მე რავიცი, რას გადამეკიდე! წამო, დროა უკვე.

ვინსენტი: როგორა თქვი, რა ქვიაო?

ჯულზი: მია ქვია. რა იყო, ახლა ბოსის ცოლმა დაგაინტერესა?

ვინსენტი: შენთვის არ მითქვამს – მარსელასს ფლორიდაში გამოუჩ-ნდა რაღაც საქმე და მითხრა, ქალს მიმიხედეო.

ჯულზი: ეგ როგორ? *(საჩვენებელ თითს ვინსენტს მიადებს შუბლზე, ცერას – ზევით ასწევს)* ასე?.

ვინსენტი: სულ გადაირიე?. სადმე უნდა წავიყვანო, გავართო... მოკ-ლედ, მოწყენილად რო არ იგრძნოს თავი.

ჯულზი: და შენ მია უოლესს გინდა სტრელი დაუნიშნო?..

ვინსენტი: მე კი არა, მარსელასს უნდა. აი, როგორც რომ მეგობრის ცოლი წაგიყვანია კინოში... ისე.

(ჯულზს თვალი გაუშტერდება)

ვინსენტი: მოკლედ, არაფერი ისეთი...

(ჯულზი ხმას არ იღებს)

ვინსენტი: რა გინდა, მარსელასს ერთ რაღაც სულელურ თხოვნაზე უარი ვუთხრა?!

ჯულზი: *(თავს აქნევს და მერე თავისთვის ბურდღუნებს):* მე არ ვიყო, ეგ წაკლა კიდე ვიღაცას გაუთხრის ორმოს...

ვინსენტი: რა თქვი?

ჯულზი: ისეთი არაფერი, წავედით.

ვინსენტი: არა, რა თქვი-მეთქი?.

ჯულზი: ჩემი ფეხები... არაფერიც არ მითქვამს, გაიგე? საქმეს მივხედოთ.

ვინსენტი: ახლა, მთლად იდიოტადაც ნუ გამომიყვან – რაღაცა ხო თქვი!.. თქვი თუ არა?..

ჯულზი: აქ საქმის გასაკეთებლად ვართ თუ საბლატაოდ?

ვინსენტი: მარტო ის გაიმეორე, რაც თქვი.

ჯულზი: 30 წამში აი ეს კარი გაიღება და გიჯობს, მზად იყო...

ვინსენტი: მე ყოველთვის მზადა ვარ!

ჯულზი: იმდენი შენ რა გითხარი. დაივიწყე ყველაფერი და მარტო საქმეზე იფიქრე!

8. ბინა #49, შიდა ხედი. ჯერ კიდევ დილაა.

ოციოდე წლის სამი ბიჭი მაგიდას მისხდომია, ზედ ჰამბურგერები, ზეთში შებრაწული კარტოფილი და პეპსი-კოლას ბოთლებია დახვავებული. მოულოდნელად კარზე აკაკუნებენ, ერთი მათგანი კარს აღებს: ზღურბლზე **ჯულზი** და **ვინსენტი** დაეყუდებიან.

ჯულზი: სალამი ბიჭებს! *(ორივენი დაუპატიჟებლად შედიან ბინაში)*

ბიჭები აშკარად დაბნეულები ჩანან; **მარვინი** – სწორედ ის შავკანიანი, ვინაც კარი გააღო – ნაბიჯ-ნაბიჯ იხევს უკან და კუთხეში იყუჟება; ქერათმიანი, გვარიანად დაკუნთული **როჯერი** ხმას ვერ იღებს – ზის გაუნძრევლად, ჩაკბეჩილი ჰამბურგერით ხელში; გამხდარ-გამწლიკულ **ბრეტს** ფერი წასვლია. ვინსენტი და ჯულზი შუა ოთახში დამდგარან, ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი. შემდეგში, ორივეს მაგივრად, სულ ჯულზი ილაპარაკებს.

ჯულზი: აბა, კარგს რას მეტყვით?

(პასუხი არ არის)

ჯულზი: *(ახლა უშუალოდ ბრეტს მიმართავს)* მე რაღაც ვიკითხე, თუ მეშლება რამე?

ბრეტი: ე-ე... რა გნებავთ, რო?

(ამასობაში ვინსენტი ბიჭებს ზურგიდან დაუვლის)

ჯულზი: არ იცით, ვინა ვართ?

(ბრეტი თავს გააქნევს, უარზეა)

ჯულზი: თქვენი, ასე რომ ვთქვათ, ბიზნეს-პარტნიორის – ვინმე მარსელას უოლესის... დაიცა, მარსელასს ხო იცნობ?

(პასუხი არ არის)

ჯულზი: *(ისევ პირადად ბრეტს მიმართავს)* თუ ინტუიცია არ მღალატობს, შენ ბრეტი უნდა იყო, ეგრეა?

ბრეტი: *(ხმაჩავარდნილი)* კი, მე ვარ...

ჯულზი: ძალიან კარგი. მაშ, შენს პარტნიორს რა ქვია, ბრეტ?

ბერტი: მარსელასი.

ჯულზი: არ-ა-ა, ეგ ჩვენთვისაა მარსელასი, შენთვის – მისტერ უოლესია, შევთანხმდით?

ბერტი: *(თავს უქნევს)* კი...

ჯულზი: ძალიან კარგი. მაშ ასე, ცოტა ხელი ხომ არ შეგიშალეთ? საუზმობდით, ასე მგონია... რას მივირთმევთ?

ბრეტი: ჰამბურგერებია... და კიდე – ჩიზბურგერები...

ჯულზი: ო-ო-ო, წმინდად ამერიკული საკვები, ნამდვილად! შეიძლება ითქვას – *საუზმე ჩემპიონთათვის!* ჭეშმარიტად... საიდანაა?

ბრეტი: ბატონო?

ჯულზი: მეთქი *მაკდონალდსია, ვენდისი, ბურგერ კინგი* – საიდანაა?

ბრეტი: *ბიგ კახუნა ბურგერიდან.*

ჯულზი: აჰა-ა, ჰავაიური ყოფილა. ვარგა რამედ?

ბრეტი: რას ერჩი...

ჯულზი: მე – არაფერს. შეიძლება გავსინჯო?

ბრეტი: კი...

(ჯულზი ერთს იღებს და მადიანად ჩაკბიჩავს)

ჯულზი: მ-მ-მ... მართლა არაა ურიგო... *(ვინსენტს)* არ დამეწვევი?

ვინსენტი: არა მშია.

ჯულზი: თუ მოგინდა, აი ეს გასიჯე აუცილებლად.

მაგარია. ჩემი ქალი ვეგეტარიანობაში გადავარდა და ახლა მე მიჭამს ტვინს, ლამისაა ხორცზე სულ ამაღებინოს ხელი! არადა, კარგ შემწვარ ბურგერს არაფერი შეედრება, მე რო მკითხო. შენა, ბრეტ, იცი საფრანგეთში ფუნტიან ჩიზბურგერს რა ქვია?

ბრეტი: არა, საიდან...

ჯულზი: ვინსენტ, გაანათლე ერთი!

ვინსენტი: როიალი ყველით.

ჯულზი: გესმის შენ?! და რატო, თუ მიხვდები?

ბრეტი: მეტრულ სისტემაზე რო არიან, იმიტო?

ჟულზი: ვახ, შენ გენაცვალე! ა, ტვინი! *(პლასტიკატის ჭიქაზე უთითებს)* აქ რა გისხია?

ბრეტი: პეპსია...

ჯულზი: ერთს მოვწრუპავ, ჰა?

ბრეტი: კი ბატონო.

ჯულზი: (გემრიელად მოყლუნწავს) კარგია, ახალგაზრდობა ირჩევს პეპსის!

(ახლა როჯერს მიმართავს)

ეი შენ, კუნთებიანო – იცი აქ რაზე მოვედით?

(როჯერი თავს უქნევს)

ჯულზი: მერე, ვერ ეტყვი ამ ჩემს კაცს, სადა გაქთ შეჩურთული?

მარვინი: ეგ იქაა...

ჯულზი: დაიცა, **შენ** გკითხა ვინმემ რამე?. *(როჯერს მიუბრუნდება)* აბა, რას მეტყვი?

როჯერი: ლოგინის ქვეშაა.

(ვინსენტი ლოგინთან მიდის, დაიხრება და შავ "დიპლომატს" გამოაძვრენს)

ვინსენტი: ბინგო!

(საკეტებს გაატკაცუნებს, კეისს გახსნის და იქიდან თითქოს რაღაც ნათება გადმოიღვრებაო. ვინსენტი მონუსხულივით დგას, თვალს ვერ აცილებს)

ჯულზი: მაშ ასე, კმაყოფილნი ვართ?

(ვინსენტი ხმას არ იღებს)

ჯულზი: ვინსენტ! კმაყოფილნი თუ ვართ-მეთქი!

ვინსენტი: სავსებით.

ბრეტი: მისმინეთ, თქვენ რა გქვიათ? აი იმას ვინსენტი

ქვია, გავიგე, და თქვენ?

ჯულზი: ვთქვათ და, პიტი, ტომი ან ჯერი – რა მერე?

ბრეტი: მე მარტო ის მინდა გითხრათ – ძაან ვწუხვართ, ცუდად გამოგვივიდა, ოღონდ ცუდი კი არაფერი გვედო გულში, გვეგონა...

(ამასობაში ჯულზი პისტოლეტს დააძრობს და სამჯერ დაახლის როჯერს მკერდში. როჯერი იატაკზე გაიშხლართება, დასისხლიანებული; ვინსი იღიმება: ჯულზი თავის სტიქიაშია)

ბრეტს ხმა ჩაუწყდა. ზის გაუნძრევლად – არ ყვირის, არც ტირის, ნაკვთი არ უტოკავს სახეზე, შიშისაგანაა გათანგული.

ჯულზი: ჩვენ ბოდიში, სიტყვა გაგაწყვეტინეთ... და რაო, რა მეგონაო?

(ბრეტს ყბა ჩამოუვარდება)

ჯულზი: ვერ გავიგე? მოკლედ, შეგიძლია მარსელას უოლესი ამიწერო, გარეგნულად?

(ბრეტი არ რეაგირებს, როჯერის გვამს დასცქერის, გაოგნებულია)

ჯულზი: *(იფეთქებს, ხმაურით გადააბრუნებს მაგიდას, ბრეტს დაადგება თავზე. ბიჭი ახლა ისე ზის მის წინ, როგორც პატიმარი დაკითხვაზე)*

საიდანა ხარ?

ბრეტი: *(აზრზე ვერ მოდის)* რა...

ჯულზი: შენ ინგლისური არ გეყურება?

ბრეტი: რა?

ჯულზი: *(პისტოლეტს საფეთქელზე აჭერს)* კიდე ერთი **რა** და წასულია შენი საქმე! ახლა მითხარი, <u>*როგორ გამოიყურება მარსელას უოლესი!!!*</u>

ბრეტი: ე-ე... ისა... შავია... ზანგი... არა – აფრო-ამერიკელი უნდა მეთქვა...

ჯულზი: ეგ კარგად გამოგვიდა. მერე?

ბრეტი: მაღალია...

ვინსენტი: ასე დილამდე ვერ მოვრჩებით.

ჯულზი: მოკლედ, ქუჩის ნათრევს გავს?

ბრეტი: *(ჭკუაზე აღარაა)* რა?.

ჯულზი: რა და... *(მხარში ესვრის. ბრეტი ჯერ ტკივილისაგან წამოიყვირებს, მერე უცებ კანკალი აიტანს)*

ჯულზი: გა-ავს მეთქი?!

ბრეტი: *(აგონიაშია)* არა!

ჯულზი: *(უყვირის)* აბა რაზე გადაწყვიტეთ, იოლი სახმარიაო?!

ბრეტი: ეგეთი არაფერი...

ჯულზი: *(ახლა – წყნარი ხმით)* როგორ თუ არაფერი, ბრეტ? შენ მაგას ეძახი არაფერს? ოდესმე ბიბლია თუ გადაგიკითხავს, ბრეტ?

ბრეტი: *(აკანკალებს)* კი...

ჯულზი: იქ ერთი ეგეთი ადგილია, კარგად მახსოვს – სწორედ ზედგამოჭრილია თქვენთვის – *ეზეკიელი, თავი 25, მუხლი 17:*

"... გზაი კაცისა მართლისა მრუდდება ცოდვილთა უკეთურებითა და უკანონობითა ბოროტთა; კურთხეულ არს, ვინაც სუსტნი გადაატაროს ველსა ბნელეთისა, და საბიჯგელად შეუდგეს ძმათა თვისთა; აღვმართავ მარჯვენას ჩემსას მათზე, წინააღმდგომად ბოროტისა, და მოვსრავ მრავალთა მხილებითა გულისწყრომითა, და სცნან მათ ღმერთი მოშურნე, მომცემი შურისგებისა ჩემისა მათთა ზედა!" [3]

(სიტყვა ჯერ არა აქვს დამთავრებული, რომ ჯულზიცა და ვინსენტიც თითო

[3] ბოლო ფრაზის გარდა, მთელი ეს აბდა-უბდა თავად ტარანტინოს გამოცხობილი სტილიზაციაა (მთარგ. შენ.)

მჭიდეს ბოლომდე დაახლიან ბრეტს; გვამი ერთხანს კიდევ ჩერდება სკამზე, მერე ძირს მოადენს ბრაგვანს. სიჩუმეში ახლა მხოლოდ მარვინის ბუტბუტიღა ისმის, ოთახის შორეული კუთხიდან)

მარვინი: უხ შენი... ასე... არაფრისთვის... უხ შენი...

ვინსენტი: *(მარვინზე ანიშნებს)* ესეც ამათი ბრიაჟკიდანაა?

ჯულზი: ეგრეა, კი. მარვინ, ეს ვინსენტია, იცნობდეთ.

ვინსენტი: უთხარი მოკეტოს, ნერვებს მიშლის.

ჯულზი: მარვინ, შენს ადგილას ნაღდად მოვკეტავდი.

(უეცრად აბაზანის კარი ჯახანით იღება და ვიღაც მეოთხე ბიჭი გამოვარდება, გრძელლულიანი მაგნუმის რევოლვერით ხელში)

IV ბიჭი: მოკვდით თქვენი!!! მოკვდით... მოკვდით... მოკვდით... მოკვდით...მოკვდით... მოკვდით!..

(ექვსივე ტყვიას გამოუშვებს ამ თავისი ჯიბის ზარბაზნიდან, თან აღტკინებული ყვირის, მართალი შურისგების ჟინით შეპყრობილი, ვერც გრძნობს, მჭიდე რომ დაიცალა და რამდენჯერმე ფუჭად გამოკრავს სასხლეტს... მერე ნელ-ნელა სახე ეცვლება)

IV ბიჭი: რა...

(ტყვიების ნიაღვარი გულ-მკერდს ნაფლეთებად უქცევს, კედელს მიასკდება და იქვე ჩაიკეცება)

ეკრანი ქრება. ჩნდება წარწერა: "ვინსი და მია".

9. ბუჩ კულიჯი – მაგარი ვინმე.

მაგიდის დაჩრდილულ კუთხეში ***ბუჩ კულიჯი*** ზის – თეთრკანიანი, 26 წლისა, ტიტულოვანი მოკრივე; მეწამული ფერის ქურთუკი აცვია, თმა მოკლეზე აქ შეკრეჭილი. ***მარსელას უოლესი*** არ ჩანს, თუმცა ვხვდებით, რომ ბოსთა-ბოსი სწორედ ბუჩს მიმართავს. მეტად დამახასიათებელი ხმა და მეტყველება აქვს

მარსელასს – რაღაც საშუალო ქუჩის ბიჭსა და ხელმწიფე-იმპერატორს შორის.

მარსელასი: *(კადრს მიღმა)* კარიერას რომ მორჩები, მერე გამიხსენებ. აქეთ მადლობას მეტყვი. მე შენთვის მხოლოდ კარგი მინდა! ბუჩ, ჩემი ბიჭი... ახლა ხარივითა ხარ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა ხომ არ იქნები, ფაქტია. ბოლო-ბოლო, შენიც რომ გაიტანო, რა შეგრჩება? ჩემპიონის ტიტული? მერე – რა ჩემ შიბლად გინდა? სახელი ფული არაა – ვერაფერში მოიხმარ. მერე გალოთდები და ბარებში იტრაბახებ – ერთ დროს ასეთი და ასეთი მაგარი ბიჭი ვიყავიო... რა მერე? გააკვირვებ ვინმეს?

(მარსელასის ხელი ბუჩის წინ, მაგიდაზე, ფულით გატენილ კონვერტს დებს)

მარსელასი: ახლა, ზედ ჩხუბის წინ, შეიძლება ცოტა გულიც კი გეთანაღრება, მაგრამ გაგივლის... დამიჯერე – ეგ სულ ცუდ-მედიდობის ამბავია, როგორც ჩვენი მამაო ამბობს... დაიკიდე. იმიტო რო, სულ ერთი-ორ წელიწადში, სადმე კარიბის სანაპიროზე რო წამოგორდები საკაიფოდ, მერე გამიხსენებ და იტყვი: *მართალი იყო ბიძია მარსელასიო.*

ბუჩი: ახლა არ ვამბობ რო? *(კონვერტს წაეტანება)*

მარსელასი: *(ჯერაც არ ჩანს კადრში)* მეხუთე რაუნდში დაუწვები.

ბუჩი: *(თავს უქნევს, თანხმობის ნიშნად)*

მარსელასი: ხმა ამოიღე!

ბუჩი: მეხუთეზე ვწვები.

10. მანქანა მიქრის. სალონის შიდა ხედი. შუადღეა.

ვინსენტ ვეგა ძაან მაგრა გამოიყურება თავისი შინდისფერი კაბრიოლეტის საჭესთან (*შევროლე მალიბუ,* 1964წ. გამოშვება). რადიოში როკ-ენ-როლი გრიალებს.

11. 'სალი ლე-როი', იგივე დრო.

"სალი ლე-როი" გვარიანი დიდი სტრიპტიზ-ბარია ლოს-ანჯელესში. მეპატრონე მარსელასია. ვინსენტის მანქანა საბურავების ღრჭიალით შეჯლიგინდება ბარის კუთვნილ პარკინგზე და თეთრი *ჰონდა-სივიკის* გვერდით ჩერდება.

ვინსი გადმოდის, ბარის უკანა კარს მიადგება და აკაკუნებს. ცოტა ხნის მერე კარი იღება, ზღურბლზე ***დეივი-ინგლისელა*** დაეყუდება. სინამდვილეში *ბრიტების* მოდგმისა არაფერი სჭირს – ერთი უბრალო, შავკანიანი ბიჭია ბოლდუინ-პარკის მიდამოებიდან. მარსელასის ხელქვეითია და "სალის" მიხედვა აბარია.

დ.-ი.: ვა-ა, ჩვენი კაცი ამსტერდამიდან! შემო რა – დამდგარხარ აქ უცხო სტუმარივით...

(ვინსენტი შიგ შედის. ხელში სწორედ ის შავი "დიპლომატი" უჭირავს. დეივი კარს გამოიჯახუნებს.)

12. 'სალი ლე-როი', შიდა ხედი.

დღის ამ დროს ბარი ცარიელია ხოლმე. დეივი დერეფანს მიუყვება, ვინსი უკან მისდევს.

ვინსი: დიდი ბოსი საითაა?

დეივი: ეგერ, ე – რაღაც საქმეებს აგვარებს...

(ვინსი უყურებს, როგორ ართმევს ბუჩი ხელს ერთ ზორბა, ბეჭვანიერ, დიდთავა შავკანიან მამაკაცს. ეს სწორედ ის მარსელასია, ჩვენკენ ზურგით დგას და მის სახეს ვერც ახლა ვხედავთ)

დ.-ი.: *(კადრს მიღმა)* დაიცა ერთ წუთს. ვეტყვი რომ მოხვედი. ჯერ ის თეთრკანიანი წავიდეს. ყავას დალევ?

ვინსი: თუ ნაღდს მომიდუღებ... თურქულად.

დ.-ი.: რაზეა ბაზარი. ამ წუთში. გავიგე, ხვალ მიას ასეირნებ?

ვინსი: ხო, რა – მარსელასის დავალებით...

დ.-ი.: ადრე შეხვედრიხარ სადმე?

ვინსი: არ-ა-ა, საიდან...

(დეივი-ინგლისელას ულვაშებში ეღიმება)

ვინსი: დაიცა, რას იკრიჭები?

დ.-ი.: ვინა, მეე? არც არაფერს.

ვინსი: კარგი ერთი, თუ ჩემი ძმა ხარ – შენ რა, მართლა იდიოტი გგონივარ? ბოსის ცოლი უნდა წავიყვანო რესტორანში, ერთად ვითოხლაოთ, მის სულელურ ხუმრობებზე გავიცინო... მორჩა, ესაა სულ.

(დეივი ფინჯან ყავას უდგამს წინ)

დ.-ი.: კარგი ხო, მე რა – მე ისე, დიდი არაფერი...

(ამ დროს ბუჩი შემოუჯდება დახლს, ზედ ვინსის გვერდით, ის კიდე თავის ყავას აგემოვნებს, დინჯად და აუჩქარებლად)

ბუჩი: ერთი პელ-მელი, ჩვენი ძმა. უფილტრო.

(ვინსი ერთს აათვალ-ჩაათვალიერებს, თან ყავას წრუპავს. ბუჩი მოწვავს, რომ ალივერებენ და ისე ეკითხება, შემპარავად – თავსაც კი არ მოაბრუნებს):

ბუჩი: რამე ნახე საინტერესო, ძმაკაც?

ვინსი: *(წყნარზე წყნარად)* ძმაკაცები რინგზე მოიკითხე.

(ბუჩი ნელა მოუტრიალდება, ისე რომ ნაკვთიც არ უტოკდება სახეზე)

ბუჩი: რა ბრძანე?

ვინსი: ვითომ რა ვერ გაიგე, შე ხისთავა...

(ის-ისაა, ბუჩმა უნდა წამოიწიოს რომ ამ დროს მარსელასის ჩახლეჩილი ბანი გაისმის):

მარსელასი: ვეგაც გამოჩნდა? შემოვიდეს.

(ვინსენტ ვეგა მეორე ოთახისკენ მიემართება, ბუჩს ზედაც არ შეხედავს. იმას კიდე ერთი სული აქ, ვინსს ცხვირ-პირი გაუერთიანოს, მაგრამ ხედავს – ისა და მარსელასი ერთმანეთს ეხვევიან, მხრებზე ხელებს უტყაპუნებენ... რაკი ეს ვირთხა მარსელას უოლესის ბრატკა ყოფილა, ჯობია შეევეშვა, ჯერ-ჯერობით მაინცო – სახეზე აწერია ნაფიქრალი. მერე წამოდგება, დეივი-ინგლისელას დოლარიანს და რაღაც ხურდას კიდე უყრის დახლზე და ჩოლახას ნაბიჯით გადის ბარიდან)

13. ლოს-ანჯელესის გარეუბანი. სამზარეულო ვინმე ლანსის ბინაზე. საღამო ხანია.

ვინსენტი და ვიღაც ორი გოგო მრგვალ მაგიდას უსხედან. ერთ მათგანს, ***ჯოდის,*** აშკარა გადახრა აქ საკუთარი სხეულის დახვრეტის განხრით: ყურის ბიბილოები ხუთ-ხუთჯერ აქ გახვრეტილი, თანაბრად ორივე მხარეს. ამას გარდა, ქვედა ტუჩში, ცხვირის მარცხენა ნესტოში და მარჯვენა წარბში ორ-ორი პაწია რგოლი აქ გატარებული. ვინსი ჩუმადაა, ცალი ყურით ისმენს გოგოების ტლიკინს.

ჯოდი: ... გათხოვებ, წაიკითხე. სუფთა ენციკლოპედიაა. რა გინდა, სულო და გულო, ყველაფერია პირსინგზე.

II გოგო: მეც ვნახე ეგეთი რაღაც, ყურების გასახვრეტად იყენებენ. მაგით ალბათ ძუძუსთავების დახვრეტაც შეიძლება...

ჯოდი: არავითარ შემთხვევაში! ეს უკვე პირსინგის იდეის დევალვირებაა! ყველა ჩემი ნახვრეტი – თექვსმეტივე – ნემსითა მაქ გაკეთებული. მარტო ენაზე რომ დამიმაგრეს...

(აქ უცბად ვინსიც გამოიჩენს რაღაც დაინტერესებას):

ვინსი: დაიცა, ენაზე რიღას მაქნისია? ჭამაში არ გიშლის ხელს?

ჯოდი: შენც კაი ყუმი ხარ, რა! არაფერსაც არ მიშლის და სექსისთვის არი უებარი... *(დაქალთან აგრძელებს საუბარს).*

ვინსი ამას საწყენად არ იღებს; თან ინფორმაციამაც ჩააფიქრა: აშკარად ცდილობს, ძირისძირში ჩაწვდეს ჯოდის არგუმენტს... სწორედ ამ დროს, ***ლანსი*** გამოაღებს საწოლი ოთახის კარს.

ლანსი: ეი, ვინს! დროზე ახლა!

(ოცდაათიოდე წლისაა, აჩეჩილთმებიანი, ვერცხლისწაყალივით მოძრავი მასტია. ხასიათიც ეგეთი აქ. არასოდეს არსად არ უმუშავია, არც რაიმე გადასახადი გადაუხდია და არც პოლიციას აუყვანია ოდესმე. ნარკო-ბარიგობით კი გააქ თავი)

კადრი იცვლება. ლანსის საწოლ ოთახში, ლოგინზე, ჰეროინის სამი პაკეტია, ვინსი და ლანსი ღრმაზროვანი სახეებით დასცქერიან ზედ.

ლანსი: აი ეს, ძმაო ჩემო, ნაღდზე-უნაღდესი *პანდაა* მექსიკიდან, კარგი რამის რამეა, ღმერთმანი... ეს *ბავაა*, არაფრით ამაზე ნაკლები... ამას კი, რატომღაც, *ჩოკოს* ეძახიან, თუმცა გარტციდანაა, ალემანების ქვეყნიდან. პირველ ორს ერთი ფასი აქ, ჩოკო კი ცოტა წაიძვირებს, მეგობრობის ამბავში რომც დავუკლოთ, მაინც ეგრეა; ოღონდ გაიჩხირავ და წამში აზრზე ხარ, რაზე იხდი ამდენს! არა, იმ ორსაც არა უშავს, ჩემთან მღვრიე არავის არაფერი მოაქ, ოღონდ ეს მაინც სულ სხვაა...

ვინსი: ხო, დამაბოლე ახლა, ეს-ესაა მსტერდამიდან ვარ ჩამოსული...

ლანსი: კარგი ერთი! არ დამიწყო ახლა ამსტერდამი – მე რა, ზანგი ვარ?! თუ სად გგონია თავი? ჩემთან ძმაო, ხალხი დადის – გამგები ხალხი, ცუდისა და კარგის გარჩევა იციან, არაფერი ეშლებათ! მე რასაც აქ ვშოულობ, ამსტერდამი მოგონილია!

ვინსი: კარგი რა, ნუ გაცურე ღია ზღვაში...

ლანსი: შენ როგორ გგონია?! შენ აქ ამსტერდამი არ გეგონოს ძმაო, აქ ბაზარზე სერიოზული ხალხი მუშაობს, კოკაინი არც აღარავის უნდა, ყველა ჰეროინს ურტყამს, ეგრეა!

(ვინსი, როგორც წესია, სიგანეზე დახვეული ბანკნოტების სქელ დასტას დააძრობს)

ვინსი: ჯერ სამასისას ავიღებ. მერე, თუ მართლა ეგეთია, ათასსაც ჩამოვალ.

ლანსი: კი ჩემი ძმა, თუ მანამდე არ დაიტაცეს... ისე, თრუდი არ დაგევასა? ახლა არავინ არა ყავს, სულ მარტოა, გინდა დაგაჯახო?

ვინსი: ეგ რომელია? მთელ სახეზე ჯართი რო აქ ასხმული?

ლანსი: არ-ა-ა, ეგ ჩემი ცოლია, ჯუდი.

(ვინსის ასეთ იაღლიშზე ორივეს სიცილი უტყდება)

ვინსი: გადარბენაზე ვარ. რამე რო იყოს, აქვე გასინჯვა არ მოსულა?

ლანსი: ნოუ პრობლემ, ჯიგარო! მეგობრის სახლი – შენი სახლია, ეგრე არ არი? დაგეხმარო?

ვინსი: არა, მადლობელი. ჩემი ყველაფერი თან დამაქ.

(თხელი, ლამაზი ბუდიდან "ძრავას" ამოიღებს და წამალსაც თვითონ იმზადებს)

ლანსი: ისევ იმ ძველ *მალიბუს* დააგორებ?

ვინსი: არ გამახსენო... ვიღაც ნაბიჭვარმა კარი არ მიმჭყლიტა ამ დილით?! აზრზე მოდი, სამი წელი გარაჟში მედგა, სულ ხუთი დღეა დავდივარ და... მაგის!..

ლანსი: ღმერთმანი, ეგეთ გამოსირებულებს ნაწლავები უნდა დააყრევინო, ადგილზევე.

(ვინსი წამალს შპრიცში "შეუკეთებს")

ვინსი: თუ ვიპოვე, ცოცხალი ვერც გადამირჩება, გეფიცები!

(ახლოდან: ნემსი ვინსენტის ვენაში შედის. შპრიცში სისხლი აქაფდება, ჰეროინს ერევა. ცერა თითი ნელ-ნელა აწვება დგუშს)

14. მარსელას უოლესის სახლ-კარი. საღამოა.

ვინსი წინკარს მიადგება. სახლიდან მისიკის ხმა გამოდის, კარზე კი რაღაც ბარათია მიმაგრებული. მოაძრობს, კითხულობს:

სალამი, ვინსენტ!
ვიცვამ. კარი ღიაა. შემოდი და რამე ჩამოასხი ორივესთვის.
მია

(ბარათს ოთხად კეცავს, ჯიბეში იდებს, ერთს ღრმად ამოიოხრებს და კარის სახელურს გადაატრიალებს)

15. მარსელას უოლესის სახლი. შიდა ხედი. საღამოა.

ვინსენტი პირველ სართულზე აქეთ-იქით დაბორიალობს – აინტერესებს, როგორ ცხოვრობს მისი ბოსი.

ვინსი: ა-უუ, უკვე აქა ვარ!

(მის უკან ოთახის კარი გაიჭრიალებს, ვინსი ქუსლებზე შეტრიალდება; კარის ჭრილში შიშველი მია უოლესის სხეული მოჩანს – თითქმის მთლიანად)

მია: ვინსენტი ხარ?

ვინსი: მგონი, ისა ვარ...[4]

მია: ვაგვიანებ. ბოდიშები. მანდ მარცხნივ ბარია. ყელი გაისველე.

ვინსი: ნუ იჩქარებ. სად გვაგვიანდება...

(მია კარს მოხურავს, ოღონდ მანამდე, კარის ღრიჭოში, მისი თვალები მოჩანს...)

<u>კადრი იცვლება</u>

ვინსი გაუნძრევლად დგას შუა ოთახში, მიხურულ კარს მიშტერებია, მონუსხულივით. აშკარად იმის წარმოსახვაშია, რა ხდება კარს მიღმა. მერე შეტრიალდება და ბარს მიაშურებს. ხიბლი გაქრა.

მია იცვამს, მერე სარკეში იხედება. სარკის წინ შუშის თაროა, მია 'ვიზაკარდით' კოკაინის ფხვნილს ადოზავებს ზედ და როგორც წესია, მილივით დახვეულ ახალთახალი ბანკნოტით შეისუნთქავს.

ამ დროს სასტუმრო ოთახში ვინსი მიას ფოტოს დასცქერის. დიდრონ ფოტოზე მია ტახტზე გადაწოლილა, წელში გაზნექილი.

---

[4] გაუგებარი შექსპირული ალუზია: 'A half of him...' ვინსს ან უნდა თქვას, რომ მიას სიშიშვლე მასზე ზედმეტად მოქმედებს, ან რომ არც ისეთი ხეპრეა, როგორადაც შესაძლოა, დაუხასიათეს. ასეა თუ ისე, ეს სცენა ფილმში მაინც არ მოხვდა

შემოდის მია, ხელში ვიდეოკამერა უჭირავს, ვინსენტი ყავს მიზანში ამოღებული.

მია: აბა თქვი, *ჩ-ი-ი-ზ!* [5]

ვინსი: არ წავიდეთ? მაგიდა უკვე...

მია: ჯე-ერ არ-ა... რაღაც-რაღაც შეკითხვები მაქ... შენ ის მითხარი, სიუზენ ვეგა შენი რა არი?

ვინსი: ბიძაშვილია, რა მერე?

მია: არ დამცენტრო ეხლა! მომღერალი *სიუზენ ვეგა* – შენი ბიძაშვილია?!

ვინსი: ***სიუ*** ჩემი ბიძაშვილია, ეგრეა. თუ მომღერალიც გამხდარა, ეგ მე არ მეხება. ისედაც იშვიათად ვხედავ.

მია: *(კადრს მიღმა)* ახლა კიდე რამდენიმე შეკითხვა. საქმე იცი რაშია, ვინს – ქალმა უნდა იცოდე, ვისთან ვახშმობ. საზოგადოდ, როცა სერიოზული არჩევანი გაქ, ორიდან ერთზე უნდა შეჩერდე ხოლმე. ასეა. აი მაგალითად, მე თუ მკითხავ, სულ ორი ტიპის ხალხი არსებობს – ვინც ელვისის ფანია და ვინც კიდე – ბითლზის. რა თქმა უნდა, შეიძლება ერთიც მოგწონდეს და მეორეც, ოღონდ როდესღაც მაინც გიწევს არჩევანის გაკეთება – არ არსებობს, ერთნაირად გიყვარდეს ორივე. მოკლედ, ეგაა და ეგ – ასე გავიგებ, რა კაცი ხარ.

ვინსი: ვცადოთ.

მია: აბა, *"ბანჩ კომპანი"* თუ *"პერტრჯების ოჯახი"*?[6] სწრაფად!

ვინსი: მარტო "პერტრიჯები", ვარიანტი არაა...

მია: პიტერ შტრაუსი თუ ნიკ ჰოლტი?[7]

---

[5] ინგლისურენოვანი ფოტოგრაფების "საფირმო" თხოვნა: ამ დროს, ჩვეულებრივ, ტუჩის უპეები გან-გან იწევა და ღიმილის იმიტაცია ხდება.

[6] ადრეული 70-იანი წწ. უდღეური კომედიები.

[7] მთავარი გმირები სერიალში "მდიდარი, ღარიბი..." (1976)

ვინსი: ჰოლტი, ცხადია...

მია: *“შეპყრობილი”*[8] *თუ “ჯოანა”?*[9]

ვინსი: პირველი. თუმცა ერთ თალიას ვათავებდი, ჯოანა რომ ლარი ჰეგმენს[10] მიმართავდა – *“მეუფევ ჩემო...”*

მია: არჩის[11] ადგილას რომ იყო, ჯერ რომელს გაჟიმავდი – ბეტის თუ ვერონიკას?

ვინსი: რა თქმა უნდა, ბეტის. ვერონიკა საერთოდ არ მევასებოდა.

მია: როდისმე მოგსურვებია, ქალს გაეწკეპლე?

ვინსი: ცხადია.

მია: ვის, მაგალითად?

ვინსი: ემა პილს “შურისმაძიებლებიდან”[12] და კიდევ არლინ მოტიკას...

მია: აი ეგ ვიღაა?!

ვინსი: მერხზე ერთად ვიჯექით მეექვსე კლასში... საიდან გეცოდინება.

(მია ვიდეოკამერას დაუშვებს და კარგად ვხედავთ მის სახეს; მეტისმეტად მომხიბვლელად იღიმება. ახლა გასაგებია, ასე რატომაც ეჭვიანობს ხოლმე მარსელასი).

მია: მორჩა გადაღება. ავუდეთ.

---

[8] ცნობიერების გაორებით გატანჯული ქალის ამბავი (1945).

[9] სერიალი “ვოცნებობ ჯოანაზე”, სადაც ასტრონავტი ენტონი ნელსონი დოქში გამომწყვდეულ ჯინის (ქალი-ჯინი) გაანთავისუფლებს.

[10] მსახიობი, ვინაც ასტრონავტს განასახიერებდა.

[11] იგულისხმება 50-იანი წწ. კომიკსების მხიარული გმირისა და მისი თანაკლასელი გოგონების თავგადასავალი.

[12] 60-იანი წწ. კლასიკური კომედიური სერიალი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტის ფათერაკებზე. საინტერესო დამთხვევაა, რომ 4 წლის მერე სწორედ უმა ტურმანს მოუწევს ემა პილის როლის შესრულება ამ ფილმის რიმეიკში...

16. "ბანი-ბაჭიას" რესტორანი; საღამოხანია. გარეხედი.

ბოლო ხანს 50-იანი წლების ყაიდაზე გაწყობილი რესტორნების მთელი ქსელი მოედო ლოს-ანჯელესს. ყველა გაჭრილი ვაშლივით გავს ერთმანეთს: ინტერიერი – "არჩის" კომიკსებითაა მორთული, მუსიკალური ავტომატები ყავლგასულ სიმღერებს ატრიალებენ, გახამებულ ქვედაკაბებსა და თეთრ წინდებში გამოწყობილი ოფიციანტი გოგონები ციმციმ მოგართმევენ "ფატს დომინოს"[13] (ჩიზბურგერი) ან "ვოლფმან ჯეკს"[14] (ეგ ომლეტია); ფასები კი – ნუღარ იკითხავთ. რატო – არავინ იცის...

ოღონდ "ბანი-ბაჭია" პირველი იყო მათ შორის, და უკეთესის თუ უარესის მხრივ – თავად განსაჯეთ. ხედვას გააჩნია.

ვინსის *მალიბუ* რესტორანს მოადგება. შენობას თავზე უზარმაზარი პოსტერი აქ გამოკიდული – წითელ ქურთუკში გამოწყობილი, ყველასათვის საყვარელი მულტიპლიკაციური ბაჭია. იქვე დევიზი ლაპლაპებს: "ნაღდი დროის მანქანა".

16. "ბანი-ბაჭიპ", შიდახედი.

ინტერიერი ირლანდიურ პაბს მოგაგონებთ, ოღონდ კედლებზე 50-იანი წწ. პოსტერებია გაკრული, მომსვლელები იმავე ხანის თავგადახდილი ავტომანქანების სალონებში სხდებიან. შუა რესტორანში საცეკვაო პოდიუმია დადგმული. ასასვლელ კიბეს დიდრონი ასოებით აწერია: *"უფეხსაცმლოდ!"* ტვისტის მოყვარული ხალხი აქ წინდებისამარა, ან სულაც ფეხშიშველა იხსენებს ახალგაზრდობას...

რესტორნის ფანჯრები სინამდვილეში მონიტორებია, რომლებზეც შავ-თეთრი ფილმები გადის – და ყველა კუთხეს შესაბამისად გამოწყობილი და გრიმდადებულ-თმადაყენებული მიმტანი გოგო თუ ბიჭი ემსახურება: ეს მერილინ მონროო, ეს ჯეიმზ დინიო, დონა რიდი და ქონდრისკაცი ფილიპ მორისიც[15] კი...

ვინსენტი და მეა 1959წ. გამოშვების წითელი *ედსელის* სავარძლებში სხედან, მენიუს ფურცლავენ. გვერდით ***ბადი ჰოლი*** უდგათ, მკერდზე წარწერა აქვს: *"მე ჰოლი ვარ, ჩემი მოვალეობა – თქვენი სიამოვნებაა!"*

ბადი: აბა, რას ინებებთ?

---

[13] 50-იანი წწ. ცნობილი ჯაზისტი და მსახიობი.

[14] იმავე წლების სახელდაგდებული ტელეწამყვანი.

[15] ვინმე ჯონი როვერტინი, რომელმაც სახელი იმით დაიგდო, სატელევიზიო რეკლამაში მქუხარე ხმით დასძახოდა: "ვიძახებთ ფილიპ მორრისს!"

ვინსი: ერთი "დაგლას სირკი",[16] კარგად შებრაწული. და ერთიც ვანილის კოკა.

ბადი: შენ, ცუნცულ?

მია: "დარვუდ კირბი", ნახევრად შებრაწული – სისხლი რომ კარგად იგრძნობოდეს, ისეთი და ერთიც რძის კოქტეილი – ხუთდოლარიანი...

ბადი: ეგ რომელი – "მარტინ ლუისი" თუ "ამოსი და ენდი?"

მია: ე-ე... *(ვინსს გახედავს)* ალბათ ისევ "მარტინ ლუისი" მირჩევნია.

(ბადი ადგილზევე აორთქლდება)

ვინსი: დაიცა – შენ რა, მართლა *რძის* კოქტეილი დაუკვეთე? ხუთ დოლარად?!

მია: რა იყო, რა გაიკვირვე?.

ვინსი: ე.ი. რძე და ნაყინი ხუთ დოლარად?

მია: კი, ეგრეა.

ვინსი: და ეს აქ ხუთი დოლარი ღირს?

მია: მაშ!

ვინსი: არც რამე ბურბონი შიგ და არც არაფერი?

მია: ... და არც კონო არც შამპო და საერთოდ, არაფერი მსგავსი!

ვინსი: კაი რა, ნუ ავარდები ახლა... ისე ვიკითხე.

(მიმოიხედავს. აქეთ-იქით ხალხი უზარმაზარ ბურგერებს ათოხლავებს, დიდი თუ პატარა ეკრანის ფსევდო-ვარსკვლავები თავისას ერეკებიან: მერილინი კისკისებს, დონა რიდი შიგადაშიგ რძეს ჩამოასხავს ხოლმე,[17] ქონდრისკაცი დაყენებული ხმით

---

[16] კომენტარებით თავი რომ არ შეგაწყინოთ, შემდგომ სულ 50-იანი წწ. ცნობილი მსახიობების, შოუმენებისა და სექს-ბომბების სახელებია ჩამოთვლილი.

[17] უცხიმო რძის იმ დროისთვის მეტად ცნობილი რეკლამა, ამავე მსახიობის მონაწილეობით.

აცხადებს – "ვიძახებთ ფილიპ მორ-რის-ს!!" ხოლო დინი და ჯერი, როგორც ყოველთვის, სულელობენ რაღაცას...)

მია: როგორია?

ვინსი: მე თუ მკითხავ, ნაღდი ცვილის მანეკენების მუზეუმია, ოღონდ ეს ცოცხალი ექსპონატები ვიღას მოუვიდა თავში...

(ქისას ამოიღებს და თამბაქოს იხვევს თავისთვის)

მია: *(დაინტრიგებული)* რას ეჩალიჩები?

ვინსი: მოსაწევს ვახვევ.

მია: აქ?! სულ გადაირიე?

ვინსი: რა იყო, არაფერი ისეთი... უბრალო თამბაქოა.

მია: ა-ა... მეც შემიკეთე ერთი.

ვინსი: გეუბნები, არაფერი შესაკეთებელი აქ არაა...

მია: მაშინ გამიხვიე...

(ვინსი ქაღალდის კიდეს გაუსმევს ენის წვერს, მერე მიას აწოდებს)

ვინსი: გასინჯე, თუ ასე ძალიან გინდა.

(მია გამოართმევს; ვინსენტი "ზიპოთი" უკიდებს)

მია: მადლობელი.

ვინსი: გაამოს.

(თავისთვის ახლა მეორეს იხვევს. ამ დროს მოახლოებული მატარებლის ხმა აყრუებს იქაურობას. ***მერილინ მონრო*** *საკენტილაციო ცხაურთან მიირბენს და ილუზორული მატარებლის მონაბერი ქარი თეთრი კაბის კალთას აუთამაშებს, ბოლომდე. აპლოდისმენტები)*

მია: მარსელასმა მითხრა, სულ ახლახან დაბრუნდა ამსტერ-

დამიდანო.

ვინსი: ეგრეა. შენზე კი მითხრეს, პაილოტ-სერიალში იღებდნენო.

მია: ჩემი დიდების 15 წუთი...

ვინსი: ეგეთი რა იყო?

მია: სერიალი ქალთა სპეცდანაყოფზე – "ჯგუფი მელია-5"

ვინსი: როგორაო?

მია: გეუბნები, "*ჯგუფი მელია ხუთი*"-მეთქი. "მელია" – ძაან-ძაან დიდი ეშმაკობების გამო, "ჯგუფი" – იმიტო რომ სულ ერთად ვმუშაობთ, "ხუთი" კიდე – მართლა ხუთნი რომ ვიყავით, იმიტომ. სამერსეტ ო'ნილი გახსოვს "ბატონ რუჟში"? ქერა გოგო, ეგ კაპიტნად გვყავდა, შვედი იყო ვითომ. მერე ერთი იაპონელი, ერთი ზანგი, ერთი ფრანგი და ერთიც მე – 100% ამერიკელი, ასე ვთქვათ... და ყველა ჩვენ-ჩვენი საქმის სპეციალისტი: იაპონელი, რა თქმა უნდა, *კარატეკა* იყო, შავკანიანი გოგო – ყველაფერს აფეთქებდა და ნებისმიერ საკეტს უჩუმრად ხსნიდა, ფრანგი – სექსის დიდოსტატი...

ვინსი: შენ რაღა?

მია: მე დანების ტყორცნა-ხმარებაში ბადალი არ მყავდა – სცენარის მიხედვით, ცირკის მსახიობებში გავიზარდე და ათასგვარ შოუებში ვმონაწილეობდი. დანა ცალკე და აკრობატიც ვიყავი, კარტში პროფესიონალ შულერებს ვაგოიმებდი, თოკზეც გავდიოდი – როცა მსოფლიო უნდა იხსნა, ეგ აუცილებელი რამაა, ხო გესმის... და კიდე მილიონი ანეკდოტი მასწავლა ბაბუაჩემმა, ძველმა ცირკის მასხარამ – მოკლედ, სერიალი რო მართლა გასულიყო, ყოველ სერიაში თითო წვერებიანი ანეკდოტი მაინც უნდა მომეყოლა – როგორი ამბავია?

ვინსი: *(სრულიად მშვიდი სახით)* ერთი მაინც თუ გახსოვს.

მია: სულ ერთი სერია არ გადაიღეს?

ვინსი: მერე, მოყევი.

მია: ნწ-უ, მაგარი სიბრიყვეა.

ვინსი: მოგცლია ერთი, რა მერე.

მია: არ მოგეწონება და შევრცხვები.

ვინსი: 50 მილიონისთვის გინდოდა მოგეყოლა და ახლა ჩემი გერიდება? გეფიცები, თუ გავიცინო.

მია: *(თავისდაუნებურად ელიმება)* სწორედ მაგაშია საქმე.

ვინსი: კარგი რა, მაგას ხო არ ვგულისხმობდი, ვერ ხვდები?

მია: მე კი ვხვდები, ოღონდ ახლა არაფერი გამოვა – განწყობის ამბავია, ხო გესმის...

ვინსი: ე-ე, ბავშვს რო კანფეტს დაანახებენ და მერე აღარ მისცემენ, ისეა ჩემი საქმე...

(მია ახლა მართლა იცინის, მთელი გულით)

შემოდის ბადი, სასმელებს ჩამოარიგებს. მია საწრუპავ ჩხირს წაეტანება.

მია: უ-მმ! მართლა გემრიელი ყოფილა.

ვინსი: მეც გამასინჯო არ გინდა? სათქმელად მაინც მექნება, რძის ხუთდოლარიანი კოქტეილი გემოზე როგორია...

მია: ა, ბატონო! ჩემი ჩხირიდან მოწრუპე, არ მოგერიდოს.

ვინსი: კარგი ერთი, ისეთი არაფერი მჭირს...

მია: ასეთი?

ვინსი: არც არაფერი, რას გადამეკიდე! *(სინჯავს)* მართლა მშვენიერი რამეა, ხუთ დოლარად...

(უკან აწოდებს)

მია: ერთ საწყალ პაუნდს[18] მითვლი?! თვითონ ფული არაფერში გაგიფლანგავს?!

(ერთხანს უხმოდ სხედან; რაც დრო გადის, სულ უფრო უხერხულად გრძნობენ თავს)

[18]ხუთდოლარიანს ეძახიან ასე.

მია: შენც გიტეხავს?

ვინსი: რა, მაგალითად?

მია: აი, ასეთი სიჩუმე რო ჩამოვარდება ხოლმე... ისე, სულ რაღაცა სისულელეებზე ბაზარი რატო უნდა გჭირდებოდეს, ვიღაცასთან რო ხარ?

ვინსი: *(მხრებს იჩეჩავს)* რა ვი, ეგრე კია...

მია: იცი, მგონი სწორედ მაგით შეგიძლია მიხვდე, როცა შენს გვერდით ვინმე მართლა შენიანი გიზის – აი, როცა არაფერი სულელური ბაზარი არ გჭირდება და მაინც კარგად და გემრიელად გრძნობ თავს...

ვინსი: რაღაც მეეჭვება, უკვე ასეთი ახლობლები ვიყოთ... არა უშავს, ჯერ ყველაფერი წინა გვაქვს – საათი არ გასულა, რაც ერთმანეთი გავიცანით.

მია: იცი რას გეტყვი? მე ტუალეტში შევირბენ, ცხვირი მაქ ცოტაზე დასაპუდრი, შენ კი მანამდე რამე სალაპარაკო მოიფიქრე.

ვინსი: *(ძაან სერიოზული სახით)* მოსულა.

17. ქალების ტუალეტი, შიდახედი.

მია კოკაინის გრძელ ბილიკს გაიყვანს პირსაბნის კიდეზე და ერთი კარგად "დაიპუდრება". ერთბაშად მხრებში გააძაგძაგებს.

მია: *(ცნობილ შოუმენს ბაძავს)* გაიხარე!

18. ისევ რესტორნის დარბაზი. იგივე საღამოა.

ვინსენტი თავის შეკვეთილ ბიფშტექსს ათოხლავებს. შიგადაშიგ დარბაზს გადაავლებს ხოლმე თვალს. შემოდის ***მია***.

მია: აი ეს მესმის! გამოდიხარ ტუალეტიდან და – თოხლიც მზადაა...

ვინსენტი: ცოტა არ შემეხურებინა, ახლაც ვერ ვეღირსებოდით... დიდი ფეხათრეული ვინმეა ეს შენი ბადი ჰოლი. არ ჯობდა, მერილინ მონროსთან დავმსხდარიყავით?

მია: ეგ რომელთან? ორნი არიან.

ვინსი: საიდან მოიტანე?. *(ჯერ თეთრ კაბაში გამოწყობილ "მერილინზე" ათითებს, მერე ნაქსოვ ჯემპრში მკერდგამოკვართულ, შემოტკეცილშარვლიან ქერა მიმტანზე)*

... აი ესაა მერილინ მონრო, ის კი – მემი ვან დორენია. ჯეინ მენსფილდი რა იქნა, ამდენი აღარ ვიცი – გამოსასვლელი დღე აქ ალბათ...

მია: მაგარი ხარ. ეგ კარგად გამოგივიდა.

ვინსი: ვიცი ხოლმე... ხანდახან.

მია: ის თუ მოიფიქრე, რაზე ვიჭორაოთ?

ვინსი: ერთი რაღაცის კითხვა მინდოდა, ოღონდ საწყენადკი არ მიიღო...

მია: ო-ო-ო, ეს უკვე უბრალო ენის მოქავებას აღარა გავს! მაინც, რისი ინტერესი გაქ?

ვინსი: ჯერ პირობა მომეცი რომ არ იწყენ.

მია: ეგ რანაირად? აზრზე არა ვარ რას მეკითხები და წინასწარ დაგპირდე? იქნებ სრულიად ბუნებრივი რეაქციაც მქონდეს – სრულიად უნებლიე, გაუაზრებელი...

ვინსი: კარგი, დაივიწყე...

მია: შანსი არაა. ისეთი შესავალი გაუკეთე, ახლა ღამე არ დამეძინება...

ვინსი: ბოლომდე მაგ სიტყვაზე დგეხარ?

მია: *(ენერგიულად უქნევს თავს)* კი, ეგრეა. ნამდვილად.

ვინსი: ანტუანის ამბავში შენი თუ ურევია რამე?

მია: ვინაა და რა დაემართა?

ვინსი: ტონი-მასხარა. ცუდი ამბავი შეემთხვა.

მია: ეგ ის არაა, ფანჯრიდან რომ გადმოვარდა?

ვინსი: გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს. ენები დადის, გადმოაგდესო. ზოგ-ზოგი იმასაც ამბობს, მარსელასის მითითებითო. მთლად უძვლო ენები კიდე – ქ-ნ მია მარსელას-უოლესისას გამოო.

მია: მართალს ამბობ?

ვინსი: აქეთ მეკითხები?

(რატომღაც ორივეს ეღიმება)

მია: რას აღარ გაიგებ ამ ქალაქში...

ვინსი: ნუ იტყვი.

მია: კარგი, სულ ცოტათი დაგეხმარო მაინც, ჩემი მორცხვი ბიჭი – სიტყვა "გაჟიმვა" თუ ახსენეს?

ვინსი: არ-ა-ა, მარტო ტერფების მასაჟზე იყო ლაპრაკი.

მია: მერე?

ვინსი: მერე არაფერი. ესაა სულ.

მია: დაიცა, გინდა თქვა რომ ხმები დადის, ტონი-მასხარა მია უოლესს უკეთებდა ტერფების მასაჟს და მარსელას უოლესმა ამისათვის გადმოაგდო ფანჯრიდანო?.

ვინსი: ეგრეა.

მია: და შენც დაიჯერე?

ვინსი: ჩავთვალე, რომ სავსებით შესაძლებელია.

მია: ანუ შესაძლებლად ჩათვალე, მარსელასს ტონი-მასხარა

გადმოეგდო ფანჯრიდან, იმიტო რომ ტერფების მასაჟს მიკეთებდა?!

ვინსი: ცოტა არ იყოს და მკაცრ საჯელად კი მომეჩვენა, ოღონდ შესაძლებლობას მაინც არ გამოვრიცხავ – გამიგია, მარსელასი მეტისმეტად უფრთხილდება თავის ცოლსო.

მია: დაიცა რა, სულ ნუ გარეკე – ქმარი რომ ცოლს უფრთხილდება, ეს ერთია და ვიღაცას მეოთხე სართულის ფამჯრიდან რომ გადაუძახებს – აქაოდა ტერფის მასაჟს რატო უკეთებდაო – ეს მეორე!

ვინსი: ბოლო-ბოლო, მართლა იყო რამე ეგეთი თუ სულ ცარიელი ჭორებია?

მია: ჩემი ბიჭი, ანტუან მასხარა-თუ-რა-ქვია-იმას, სულ ერთხელ შემეხო, ხელი რომ ჩამომართვა ქორწილში და ამ დროს მარსელასიც გვერდზე მედგა... მეტი არც არასოდეს მინახავს. საერთოდ. ოდესმე. მართალი ისაა, რომ კაციშვილმა არ იცის, მარსელასმა რატო გადმოაგდებინა ტონი ფანჯრიდან. არ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს, ასე მგონია. თუ თავად მარსელასი არ ინებებს ან ტონის არ გამოტეხავენ... ოღონდ თქვენ, კაცები რო ერთად გამოიკეტებით და ენებს აიქაფებთ ხოლმე, მტრისას – მთელი კოდლა ქუჩის ქალები ვერ გაჯობებენ!.

ვინსი: მაინც გამინაწყენდი...

მია: სულაც არა. ოღონდ ათას ერთ საზიზღრობას რო მოგაკერებენ, შენი არ უნდა თქვა?

(თავის ხუთდოლარიან კოქტეილს მოწრუპავს, მერე წყნარად ამბობს):

მია: მადლობა.

ვინსი: რისთვის?

მია: აი, ჩემი აზრიც რო გაინტერესებდა, იმისთვის.

(50-იანი წლების მუსიკა იგრიალებს)

მია: ცეკვა მინდა!

ვინსი: პარტნიორად ვერ გამოგადგები.

მია: აჰა-ა-ა! აკი მარსელასმა მთხოვაო, რესტორანში წაიყვანე, გაართე და საერთოდ, ყველა ხუშტური შეუსრულეო! მე კი ახლა მეცეკვება და რა ვქნა!

(ვინსს ეღიმება, დაიხრება და ფეხსაცმლის თასმების შეხსნას იწყებს. მერე მიას ჩაკიდებს ხელს და პოდიუმისაკენ მიყავს. იქ პირისპირ დადგებიან, ტვისტის ჩართვას დაელოდებიან და იწყებენ... მია კატასავით მოძრაობს, ძაან სექსუალური პლასტიკა აქვს; ვინსი კი შეუვალი სერიოზულობით ეკიდება ამ საქმეს. გარშემო ვიღაც-ვიღაცეები ცდილობენ აყვნენ, მაგრამ არაფერი გამოსდით: ეს წყვილი ბოლომდე "ჩაჯდა" რიტმში და თითქოს ერთმანეთს ავსებენ...)

19. მარსელას უოლესის სახლი. შიდახედი. ღამეა.

შემოსასვლელი კარი იღება და მია და ვინსი შემოტანცავდებიან. ისე მოძრაობენ, თითქოს ჯერ კიდევ იქ იყვნენ, პოდიუმზე. ოღონდ ტვისტის მაგივრად ახლა ტანგო აქვთ მორგებული. შუა ოთახში ჩერდებიან, იცინიან. მერე თვალებში შეაცქერდებიან ერთმანეთს.

ვინსი: ესეც იმ სიჩუმის ამბავში გადის?

მია: მე რა ვიცი! კარგი კი იყო და... ახლა ისევ მუსიკა მინდა და რამე დასალევი. ყელი გამიშრა!

(ბართან მიდის, ორივე სურვილი ერთად უნდა აისრულოს – ცალი ხელით მუსიკალურ ცენტრს რთავს და მეორეთი ჯინ-ტონიკს აზავებს. ძველი, ნოსტალგიური როკ-მუსიკის ჰანგი. ვინსი ბრინჯაოს საკიდთან მივა, პიჯაკს კაუჭზე კიდებს)

ვინსი: გავალ ერთი, მივაფსავ...

მია: ყოვლად უსარგებლო ინფორმაციაა... *დაჰკარ, მაკდუფ!*[19]

(ვინსი ტუალეტში შეიკეტება)

მია მუსიკას აყოლებს ტანს, თან ვითომ თავად უკრავს გიტარაზე, თან ვითომ სცენაზე დადის და უცებ სწორედ საკიდებელთან მოხვდება, შემთხვევით, ვინ-

[19] შექსპირი, "მაკბეთი".

სის პიჯაკს ხედავს, ხელს ჩაუცურებს ჯიბეში და ქისას ამოაძვრენს. მერე, აშკარად ვინსის მიბაძვით, ცოტაოდენ თამბაქოს ქაღალდზე გადმოყრის და ოდნავ ზედმეტად ბუთქუნა, მაგრამ მაინც სავსებით რიგიან მოსაწევს გაახვევს. ისევ ჩაუყოფს ხელს ჯიბეში, ახლა სანთებელას ამოიღებს და თითის ერთი არტისტული ჩამოკვრით ცდილობს *ზიპოს* ანთებას... გამოსდის კიდეც და ლამის იჭყივლოს სიხარულისაგან. ნელა მიაქვს ალის ენა, უკიდებს და ასევე ჩხაკუნით ხურავს სანთებელას თავს. მადიანად გააბოლებს, ბოლს ნესტოებიდან უშვებს, მერე ქისასა და სანთებელასაც პიჯაკის ჯიბეში აბრუნებს.

უცბად შეყოვნდება, თითებს ჯიბეში მოაფათურებს და პოლიეთილენის პაწია ტომსიკა ამოაქვს. სწორედ ის ნაქები თეთრი ფხვნილია შიგ, ვინსენტმა რომ ლანსისაგან შეიძინა. პაკეტს კარგად შეათვალიერებს. კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებს სახეზე.

მია: გეკადრებოდა ახლა ეს შენ, ჩემი დიდი ბიჭი? ამას მიმალავდი?.

20. მარსელას უოლესის სახლი. ტუალეტი. ღამეა.

პირსაბანის სარკეში ვინსენტის სახე ჩანს, ხელს იბანს, საკუთარ თავს ელაპარაკება.

ვინსი: დალევ ახლა ერთ ჭიქას და მორჩა, დავახვიეთ აქედან! უზრდელურად არ გვინდა, უბრალოდ ეუბნები – "ღამე მშვიდობისა, მია – ჩემი წასვლის დროა..." მერე გადიხარ გარეთ, ხელს დაუქნევ, ჯდები მანქანაში და...

<u>სასტუმრო ოთახი:</u>

მია მთელ პაკეტს ჩამოყრის მაგიდის შუშის ზედაპირზე – აზრზე არაა, ჰეროინთან რომ აქ საქმე... ჩვეულებისამებრ დაახვევს ასდოლარიანს და ერთი ჯაშ-ხოშიანად შეისუნთქავს...

<u>კადრი ახლოვდება:</u>

მია თავს გადააქნევს, ცხვირზე იტაცებს ხელს, თვალები უფართოვდება – ხვდება, რაღაც ფარსაგი ამბავი დაემართა... თითებს შორის ნელა მოჟონავს სისხლი...

ისევ ტუალეტში ვართ:

ვინსი ხელებს იმშრალებს, ისევ საკუთარ ორეულს ელაპარაკება სარკეში.

ვინსი: მოკლედ, ეს ტესტია ძმაო – ტესტია ნიახურის ჭამაზე: შეუნახავ ბოსს ნამუსს თუ ვერა... იმიტო რო ნდობა ერთ რამედ ღირს, ძმაო – ეგრეა...

ისევ სასტუმრო ოთახი:

მია ოთხზე დგას, ცდილობს ტუალეტის კარებთან მიხოხდეს, მაგრამ არაფერი გამოსდის – ხელ-ფეხი არ ემორჩილება, ნესტოებიდან სისხლი სდის, მერე კი იატაკზე გაერთხმება და არწყევს...

ტუალეტში: ვინსი თავისას ერეკება...

ვინსი: ... მოკლედ, გახვალ ახლა აქედან, ერთ ჭიქას დააყუდებ და ეუბნები: "ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა, თქვენი ღამე მშვიდობისათი... ძაან-ძაან საღამო იყო, ნამდვილად". მერე აუდებ სახლში და იქ ათავე რამდენიც გინდა... ეგრეა.

ჩათვალა, რომ სრული და ამომწურავი დირექტივები მიღებული აქ და ახლა მზადაა, კარს იქით ჩასაფრებულ ყოველგვარ ცდუნებას გაუძლოს. სახელურს გადაატრიალებს და სასტუმრო ოთახში შეაბიჯებს, მტკიცედ.

ისევ სასტუმრო ოთახი:

კამერის თვალი ვინსის მზერას მისდევს – კარი იღება, მერე მიხვეულ-მოხვეული დერეფანი და იატაკზე გაშხლართული მია – სახე და მკერდი სისხლითა და ნარწყევით მოთხვრია, ოღონდ გამომეტყველება გაწამებულის კი არა აქ, პირიქით – ნაკვთები იმდენად მოდუნებულია, პირი ღია დარჩენია და ქვედა ყბა უღონოდ ჩამოშვებია, მიცვალებულივით.

ვინსი: ღმერთო შენ მიშველე!

(მუხლებზე დაეცემა, მაჯისცემას უსინჯავს; მია ოდნავ შეირხევა. ვინსი ხვდება, რომ ჯერ კიდევ გონზეა და ცდილობს, ხმა ამოაღებინოს)

ვინსი: მია! რა არი, რა მოგვიდა?! ბოიშვილი ვიყო, რა გჭირს?!

(მია ცდილობს რაღაცა თქვას, არაფერი გამოსდის; ვინსი ქუთუთოს აუწევს და უცბად მოწვავს ვითარებას)

ვინსი: უხ შენი!.. ბედი უნდა ყველაფერს! მია! რამდენი ჩახეთქე?! ხმა ამოიღე, მია!!

(მია გათიშულია. ვინსი სილას გააწნავს – უშედეგოდ. მერე წამოხტება, საკიდს მივარდება და საკუთარი პიჯაკის ჯიბეებში იწყებს ქექვას. პაკეტი გაქრა. ისევ მიასთან მირბის. კამერის თვალი თან დაყვება)

ვინსი: ასე ჩემო კარგო, ახლა წამოვხტეთ ფეხზე...

(ქალის სხეული ხელებში მოეჭვარება)

ვინსი: ეს არაფერი, ახლა გავიაროთ... აბა, ერთი-ორი...

(გარეთ გაათრევს და ბალიშივით აგდებს მანქანის სავარძელზე)

21. ვინსის დიდი სიჩქარით მოძრავი *მალიბუ;* ღამეა.

ვინსენტი გიჟივით მიაქროლებს ღამეულ ქუჩებში, მოსახვევებში მუხრუჭების ღრჭიალი ისმის და ყოველი შემაღლებიდან მანქანა ტრამპლინიდან მხტომელივით მოფრინავს, ბრახანით ასკდება ქვაფენილს და აგრძელებს გზას...

22. ვინსის მანქანა, შიდახედი. ღამეა.

სპიდომეტრის ისარი ყვითელ შკალაზე გადადის; ვინსი საჭეს ჩაფრენია, წინ იყურება, მხოლოდ შიგადაშიგ, წამიერად გახედავს ხოლმე უსაფრთხოების ღვედებით საზურგეზე მიბმულ მიას, რომელსაც მანქანის ყოველ მოხვევაზე

თავი უილაჯოდ უვარდება აქეთ-იქით. ვინსი მობილურს დააძრობს ჯიბიდან, წვალებით და გინებ-გინებით კრეფს ნომერს.

23. ლანსის ბინა. შიდახედი. ღამეა.

ლანსი ისვენებს – ახლა ის უკვე აღარაა "ძალიან ძველი ბიჭი" და ძაან მაგარი ნარკოდილერი – ახლა ის ერთი უბრალო მოქალაქეა, ძველ საგარძელში ზის, პირში ბღუჯა-ბღუჯად იყრის პოპკორნს და რაღაც ძველისძველ სერიალს უყურებს ძველ ტელევიზორში. ტელეფონის ზარი. ლანსი დგება და კედელზე ჩამოკიდებულ, ვითომ ძაან ძველ აპარატთან მიდის. ვერ ასწრებს, ისევ ზარია. ***ჯოდი*** უყვირის მეორე ოთახიდან:

ჯოდი: ლანს! ტელეფონია, რამ დაგაყრუა?!

ლანსი: მესმის, ხო! გავიგე!

ჯოდი: ხოდა ახლა მაგ ვირთხებსაც გააგებინე – შუაღამისას ნუ გირეკავენ!

ლანსი: *(ყურმილს იღებს)* რომელი ხარ? გითხარით არა ყველას, გვიანობით არ დამირეკოთ-მეთქი!

(<u>კადრი იცვლება:</u> ჩვენ ახლა ისევ ვინსენტს ვხედავთ, გიჟივით ატრიალებს საჭეს და თან ცდილობს, ნიკაპსა და მხარს შორის გაკვეხებული მობილური არ გამოუსხლტეს; დიალოგის დროს კადრირება წარამარა იცვლება – ხან ვინსენტს ვხედავთ და ხან – ლანსს)

ვინსი: ლანს, ვინსი ვარ! მაგარ შარში გავეხვიე, უნდა მიშველო!

ლანსი: ე-ე, დაიცა – რა შარში?!

ვინსი: ადრენალინის შესაყვანი შპრიცი თუ გაქ!!.

ლანსი: *(ცოტა აზრზე მოდის)* ვთქვათ და მაქ, რა მერე?!.

ვინსი: მაგრა მჭირდება! აქ ერთი გოგო საცაა გაათავებს, მე მაგის!..

ლანსი: დაირეხვე?! ახლა აქ არ მომიყვანო!

ვინსი: სხვა გზა არა მაქ, ლანს! ვიღუპები!

ლანსი: რა, გაღმა გადის?.

ვინსი: არაფერი უკლია!

ლანსი: მერე ჩემთან რა გინდა შეჩემა – ჯერ საავადყოფოში დაგაზე და მერე ადვოკატთან!.

ვინსი: შანსი არაა!

ლანსი: ეგ უკვე შენი პრობლემებია, ძმაო – შენ გულაობდი, შენ-ითვე გამოძვერი... დაიცა, რა – მობილურით რეკავ?!.

ვინსი: აბა სხვა რანაირად!

ლანსი: გიჟი ხარ შე ჩემისა! არ გიცნობ – არ მიცნობ, აქ არ დაგინახო მოსული!

ვინსი: უკვე მოვედი...

(ისმის, მანქანა როგორ შემოჯლიგინდება ეზოში, მუხრუჭების ღრჭიალ-ღრჭიალით; ლანსი ყურმილს დააგდებს, ხელის ერთი მოძრაობით ფანჯარაზე ჟალუზის აწევს და ხედავს, ზედ გაზონზე გადმოვლილი როგორ შემოასკდება წინკარს)

ჯოდი: *(დაფეთებული ხმით)* რა არი, ისევ მიწისძვრაა?!

ლანსი კარს გამოაღებს და გარეთ გავარდება.

24. ლანსის სახლი. გარეხედი. ღამეა.

ვინსენტს გათიშული მია გადმოყავს მანქანიდან.

ლანსი: სუ გარეკე?! კარებს მიმტვრევ?! თან მობილურზე...

ვინსი: მორჩი ბაზარს! კვდება გოგო – შპრიცი დააძრე!

ლანსი: დაყრუვდი არა? აღარაფერი გეყურება?! გითხარი – ეგ

ვიღაც აშარაშკა აქ არ მოათრიო-მეთქი!

ვინსი: ქალი ***მარსელას უოლესის*** კანონიერი მეუღლეა – ეს ერთი! ახლა აქ თუ გაფშიკა ფეხი, მერე მიტირეთ რუსულად – ეს ორი! და სანამ შამფურებზე აცმულს შემხრაკავენ, ვიტყვი რომ მისი გადარჩენა შეგეძლო და თითიც კი არ გაანძრიე საშველად! – ესეც...

25. ლანსის სახლი, შიდახედი. ღამეა.

ჯოდი წამოხტება ლოგინიდან, მაისურს ჯონ ლენონის სახე და წარწერა უმშვენებს: MAKE *LOVE,* NOT *WAR*; კარებს მოაფიათებს და ყვირის:

ჯოდი: ორის ნახევარია, თქვე დედაიმასქნებულებო!.. რა ხდება?!

(ხედავს, ვინსენტი და ლანსი იატაკზე გაშხლართულ მიას დასდგომიან თავზე)

ჯოდი: *(უკვე წივილზე გადადის)* ეგ ვიღაა?! რას უშვებით?!.

ლანსი: მორჩი ჭყვიტინს! ლოგინის ქვეშ რო შავი ყუთი დევს, ის მომიტანე! დიდი შპრიცი გვინდა...

ჯოდი: ამას ჭირს რამე?!

ლანსი: არა, მე! ღმერთო ეს რა შარში...

ჯოდი: მერე, მოკიდეთ ხელი და მოისროლეთ აქედან!

ვინსი და ლანსი: *(ერთხმად)* შპრიცი გამოიტანე, შენი!!!

ჯოდი: რასაა რო მიყვირით ორივე!..

(გადის, საწოლი ოთახიდან რაღაც ბრახა-ბრუხის ხმა მოისმის)

ვინსი: მაგრები ხართ რა, ორივე...

ლანსი: დაიცა, შენ ისა... ეცადე, ამას გააგებინო რამე... მე ახლავე... მარტო ცნობარს მოვძებნი – სამედიცინო ცნობარი მინდა...

ვინსი: დაირეხვე?! რა ცნობარი შეჩემა, რის ცნობარი...

ლანსი: ხო უნდა ვნახო, როგორ კეთდება... ცხოვრებაში ადრენალინი არ გამიჩხერია!

ვინსი: დაიცა რა, ექვსი წელია ინახავ და აქამდე არაფერში დაგჭირებია?!

ლანსი: ჩემთან ძმაო, წესიერი ხალხი დადის, ასე ქლიავურად არავინ...

ვინსი: კარგი, ხო! მიდი, ეძებე...

ლანსი: წავალ, თუ გამიშვებ!

ვინსი: შეჩემისა, გიჭერს მერე ვინმე?!

ლანსი: ჩემთან ბლატავს შეეშვი, ამას ებაზრე!

(გავარდება მეორე ოთახში)

26. უკანა ოთახი ლანსის სახლში.

ოთახი ათასი ხარახურითაა გამოვსებული. ლანსი რაღაცეებში იქექება, თან თავისთვის ბურტყუნებს – *მიდი რა, მიდი...* სასტუმრო ოთახიდან ხმები ისმის.

ვინსი: დროზე, შე ყლიყვო – ჩამაკვდა ხელში!

ლანსი: ვერ ვპოულობ და რა ვქნა!..

ჯოდი: *(ვინსენტს ელაპარაკება)* რას ეძებს ის გადარეული?

ვინსი: მე რა ვიცი! რაღაც ცნობარი მომინდომა...

ჯოდი: *(ლანსს გასძახებს)* მანდ რას დაეძებ?

ლანსი: შავყდიანი წიგნია, სქელი...

(რაღაც ძველმანებს აქეთ-იქით ყრის, იგინება; კარში ჯოდი შემოიხედავს)

ჯოდი: რას ეძებ-მეთქი?

ლანსი: სამედიცინო ცნობარია, შავი...

ჯოდი: არავითარი ცნობარი მე მანდ არ მინახავს.

ლანსი: აქაა, აქ! სხვა სად უნდა იყოს...

ჯოდი: თუ ასე საჭირო რამეა, შპრიცთან ერთად ვერ შეინახე?

ლანსი: მომწყდი თავიდან!

ჯოდი: სანამ შენ აქ იქექები, ის ქალი ფეხებს გაფშიკავს და...

ვინსი: *(კადრს მიღმა)* დროზე რა, შეეშვი მაგას!

ლანსი ერთს კარგად შეუკურთხებს, რაღაც ყუთს თხლიშავს წიხლს და სასტუმრო ოთახში ბრუნდება.

27. იქვე. იგივე დრო.

ვინსი: მორჩი რა ტრაკის თამაშს, ნემსი გლიჯე!

(ლანსი შავ კოლოფს დაიდებს მუხლებზე, თავს ახდის და ნემსის გაწყობას იწყებს)

ლანსი: შენ მანამ პერანგი გახადე, გული უნდა მოუძებნო...

(ვინსი პერანგს სულ შემოაგლეჯს მიას)

ვინსი: ზუსტად სადმე წერტილში უნდა მოხვდეს?

ლანსი: ეგრეა.

ვინსი: *(ჯოდის გახედავს)* დიდი სქელი მარკერი მინდა.

ჯოდი: მარტო ფლომასტერი მაქ...

ვინსი: მაიტა, ტემპში!

(ჯოდი კარადას მივარდება, უჯრას დაითრევს და იქექება შიგ; რაღაც წვრილმანებს პირდაპირ იატაკზე ყრის)

ჯანსი: აჰა, მზადაა! გამომართვი.

ვინსი: კიდე რა გინდა?! შენ უკეთებ.

ჯანსი: შანსი არაა!

ვინსი: ცხოვრებაში ეგეთი არ...

ჯანსი: არც მე! შენ მოათრიე აქ ეს ქალი და შენვე მიხედე! *ხელებიც დამიბანია...*

(ჯოდი მოვარდება; ხელში ფლომასტერი უჭირავს. ვინსი გამოართმევს და სადაც მისი აზრით, გული უნდა იყოს, დიდ წითულ ლაქას ადებს)

ვინსი: ახლა რა?

ჯანსი: რა და გლიჯო უნდა! შიგ კაკალ გულში. ოღონდ მაგრა უნდა ჩაკრა – გულის ფიცარი რო გახვრიტოს, ისე...

(ხელს მოიქნევს, როგორც რომ ცუდიანი ფილმ "ჰელოუინში")

ვინსი: ვთქვათ, შიგ გულში მოვარტყი, მერე?

ჯანსი: მერე წამალს შეუყვან...

ვინსი: და რა მერე?

ჯანსი: მერე და მერე... ვნახავთ რა, სად წავალთ.

ვინსი: კი, სულ სახუმაროდ გვაქ საქმე...

ჯანსი: რავი, გონზე უნდა მოვიდეს, წესით.

(ორივენი მიას დააშტერდებიან; მიტკალის ფერი ადევს, აშკარაა – მალე საერთოდ აღარაფერი უშველის...)

ჯანსი: სამამდე ვითვლი. ერთი...

(ბლოუ-აპი წითულ ლაქაზე)

ჯანსი: ორი...
(კადრში შპრიციანი ხელი ჩნდება)

ლანსი: სამი!!!

(შპრიცი კადრიდან ქრება, ისმის ყრუ დარტყმის ხმა)

მიას თავი გადაუქანდება, ნემსი მკერდში შედის, ადრენალინი – შიგ გულის კუნთში. უცებ თვალებს ჭყიტავს, წამჯდება, კივის. შპრიცი მარცხენა ძუძუს ქვემოთ უქანავებს...

მის გარშემო ჩაცუცქული სამეული განზე გახტება – ყველა ერთდროულად, დაზაფრულნი.

მია ნელ-ნელა უწევს ხმას, ბოლოს სულ ჩუმდება. მძიმე-მძიმედ სუნთქავს. გაოგნებული "მაშველები" ისევ მიუახლოვდებიან.

ლანსი: თქვი რა, რამე...

მია: *(თვალგაშტერებული)* რამე...

ვინსენტი და ლანსი ზურგებით იატაკზე გადაგორდებიან, ქანცგაწყვეტილები...

ჯუდი: ლუდი არავის გინდათ?

28. ვინსის *მალიბუს* სალონი. ღამეა.

საჭეს ვინსი უზის. მია მიყავს სახლში. ორივენი ჩუმად არიან, დაშოკილები.

29. მარსელასის სახლი. წინახედი. ღამეა.

მალიბუ ზედ სახლთან ჩერდება. გადმოდის მია, ხმას არ იღებს, ისე მიემართება კარისაკენ.

ვინსი: მია!

(მია ჩერდება, მხოლოდ თავს მოატრიალებს, ნელა. ვინსი მანქანიდან გადმოსულა, ოღონდ ადგილიდან ფეხს არ იცვლის)

ვინსი: ახლა რას იზამ?

მია: შენ რაღა?

ვინსი: ამ ამბის გაგება მარსელასს არაფერში ჭირდება, ასე მგონია.

მია: *(ეღიმება)* ნუ შიშობ, ჩემი ძაან მაგარი ბიჭი. ეს რომ მარსელასმა გაიგოს, შენზე მეტი მე მომხვდება.

ვინსი: არ ვიცი, არ ვიცი...

მია: მე ვიცი. შენ ოღონდ ენას კბილი დააჭირე და ყველაფერი კარგად იქნება.

ვინსი: არის, უფროსო.

(უახლოვდებიან, ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს)

ვინსი: სამარე ვარ.

(მია ხელს უშვებს, და მუნჯურად აჩვენებს – "ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის, სიყვასაც არ ვიტყვი". ვინსს ეღიმება)

ვინსი: წავედი ახლა, ჩემი წილი ინფარქტი მაქ მისაღები.

მია: *(ჩაიფხუკუნებს)* გინდა ის ანეკდოტი გიამბო, "მელაკუდებიდან"?

ვინსი: *(მოუტრიალდება)* ვგევარ ახლა მე გამცინებელ კაცს? ისე ვარ, დანა რო დამარტყა, სისხლი არც გამომივა...

მია: სასაცილო მაინც არაფერია, ხო გითხარი... თუ გინდა, მოგიყვები.

ვინსი: რაკი შენსას არ იშლი...

მია: სამი პამიდორი მიგორავს ქუჩაში: მამა-პამიდორი, დედა-პამიდორი და შვილი-პამიდორი. ეს სულ უკან რჩება და დედ-მამის ძახილზე ყურსაც არ იბერტყავს. ბოლო-ბოლო მამა-პამიდორს მობეზრდება, მოუბრუნდება და ფეხს დაადგამს...

(აქ მია დრამატული სახით ვითომ რაღაცას გასრესს მიწაზე) :

"პამიდორი ხარ თუ პამიდვრის წვენი – *ქეჩუპ!.*"[20]

---

[20] ზანგურ კილოზე: ფეხი გამოადგი, დამეწიე!

(ორივეს ჩაეღიმება, ოღონდ არც ერთი არ იცინის)

მია: კარგად, ვინს!..

(შეტრიალდება და სახლში შედის. ვინსი ერთხანს დაკეტილ კარს მისჩერებია, მერე საჩვენებელ თითს ტუჩებზე მიიდებს და კოცნას გაუგზავნის. გატრიალდება, კადრსგარე გვესმის, როგორ ჯდება მანქანაში, ქოქავს და წყვიტავს ადგილიდან)

<u>ეკრანი ქრება.</u>

30. ჩამქრალი ეკრანი.

(სიბნელეში ისმის ქალის ხმა): ბუ-უჩ!

ეკრანზე სურათი ჩნდება წარწერით: *სან-როზარიო, კალიფორნია, 1972.* ერთი უბრალო სახლის პარმაღზე ქალი დგას, აშკარად ბუჩის დედაა; გვერდში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ვიღაც პირხმელი კაცი ამოსდგომია. ამის მერე კამერის თვალი 5 წლის ბავშვის ხედვით იღებს ყველაფერს.

დედა: ბუჩ! ერთწამს მოცილდი მაგ ტელევიზორს – ხომ გითხარი, სტუმარი გვყავს-მეთქი!. ხომ გახსოვს, გიყვებოდი – მამაშენმა სამხედრო ტყვეების ბანაკში რომ დალია სული?

ბუჩი: მ-მ... კი, დედა.

დედა: ეს კი კაპიტანი სკუნკია[21]. მამასთან ერთად ჩავარდა ტყვედ.

(კაპიტანი სკუნკი ერთ ბიჯს წარსდგამს და ცალ ფეხზე ჩაიმუხლებს, ბავშვს რომ გაუსწოროს თვალი. სიტყვაში ოდნავი ტექსასური აქ ცენტი დაჰკრავს)

[21] Skunk — თავის ყიამყრალობით სახელგაგდებული პატარა ცხოველია; გადატ. მნ. = ქოსატყუილა, ან სულაც "მაგარი უსიამო როჟა".

კაპ. სკუნკი.: გამარჯობა მეგობარო, შენი! ვიცი, ბუჩი გქვია... საიდან ვიცი? მე და მამაშენი განუყრელი ძმაკაცები ვიყავით, აი საიდან. ხუთ წელზე მეტი გავატარეთ იმ ჯოჯოხეთში. დიდი იმედი მაქ, შენ თვითონ არასოდეს მოგიწევს ამგვარის გადატანა, ოღონდ ეს იცოდე – როცა ორი მამაკაცი ისეთ გამოუვალ ვითარებაში მოხვდება, მე და მამაშენი რომ მოვხვდით, თან ასე დიდხანს, ეს უკვე გარკვეული პასუხისმგებლობის კისრებასაც გულისხმობს – ერთმანეთის მიმართ, ასე ვთქვათ. მე თუ ვერ გადავრჩებოდი, მაიორ კულიჯს მოუწევდა ახლა ჩემს შვილთან საუბარი. ოღონდ განგებამ ინება, რომ მე შენ გელაპარაკო, ბუჩ. და მე რაღაც მაქ შენთვის გადმოსაცემი...

(ჯიბიდან მაჯის საათს დააძრობს, ოქროსას)

... აი, ეს საათი – ჯერ კიდევ შენი პაპის-პაპის შენაძენია. მსოფლიო ომის ხანს იყიდა ნოკსვილ-ქალაქის ერთ პატარა მაღაზიაში – ტენესის შტატშია ეგა. რიგითმა ერნი კულიჯმა ზედ გემზე ასვლის წინ იყიდა საათი და ისე გასწია საბრძოლველად. უბრალო რამ საათი არ გეგონოს – მაშინ ეს ერთადერთი კომპანია უშვებდა მაჯის სათებს – ხალხი კი ძირითადად, რომ იცოდე, ჯიბის საათებს ეტანებოდა. შენმა პაპის-პაპა ერნიმ ამ საათით ხელზე გამოიარა მთელი ომი და მერე, შინ რომ დაბრუნდა ვალმოხდილი, საათიც შეიხსნა და ყავის ქილაში შეინახა... ასე, იმ თუნუქის კოლოფში იდო საათი, ვინემ პაპაშენს, 22 წლის დენ კულიჯს არ მოუწია ოკეანის გადალახვა – ეს უკვე II მსოფლიო ომი იყო და ერნი კულიჯმაც შვილს, დენ კულიჯს გაატანა საათი, ოღონდ იმას ბედმა უმუხთლა, კუნძულ უეიკზე მოხვდა ალყაში. პაპაშენს კარგად ესმოდა, რომ თავს ვეღარ დააღწევდა ალყას, და ორიოდ დღით ადრე, ვინემ ჯაპები[22] გადმოსხდებოდნენ, სატრანსპორტო ავიაციის მსროლელს, ვინმე სერჟანტ ვინოკის სთხოვა, ეს ოქროს საათი ჩემს შვილს გადაეციო. მამაშენი კი მას ჯერ თვალითაც არ ენახა. თუმცა, რამე რომ იყოს, ხომ არც სერჟანტი ვინოკი ცნობია მანამდე...

პაპაშენის სული უფალმა მიიბარა, ოღონდ ვინოკიმ კი მაინც შეასრულა პირობა და ომი რომ დამთავრდა, ბებიაშენისას ჩამოვიდა – მისი მცირეწლოვანი შვილისთვის, ანუ მამაშენისთვის, მამამისის (ვინოკის მამისა კი არა, პაპაშენის) ნაქონი ოქროს საათი რომ გადაეცა. სწორედ ეს საათი ეკეთა მამაშენს ხელზე, ჰანოის თავზე რომ ჩამოაგდეს. ჩამოაგდეს და ტყვეების ბანაკში უკრეს თავი, ჩემსავით. იცოდა, იქ რომ ვინმეს საათი ეპოვა მისთვის, ადგილზევე ჩამოართმევდნენ, ის კი თვლიდა, რომ ეს საათი შენი სამემკვიდრეოა და უმალ ზედ შეაკვდებოდა, ვინემ დაანებებდა ვისმე. ამიტომაც იმ ერთადერთ ალაგს შეინახა, სადაც ვიეტები[23] ვერ უნახავდნენ – საკუთარ დუნდულებში... მერე, ვინემ დიზ-

[22] Japs – იაპონელები (აგდებული ტონია).

[23] Viets – ვიეტნამელები (აგდებულ კილოზე).

ინტერია საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს, მე გადმომცა, რათა ეს ლითონის ნივთი ახლა მე დამემალა მტრისაგან. კიდევ 2 გრძელზე-გრძელი წელი გავატარე ბანაკში, ოღონდაც მამაშენისთვის მიცემულ სიტყვას არ გადავსულვარ და საათს უკანა ტანში საიმედოდ ვიმარხავდი....

შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ბუჩ – ახლა დროა, ეს ოჯახური რელიქვია შენ ჩაიბარო!

(კაპ. სკუნკი გაშლილ ხელის მტევანზე მობრჭყვიალე საათს უწვდის ბუჩს; კადრში მას ბავშვის ხელი ხვდება და ნივთს წაეპოტინება...)

31. გასახდელი. საღამო ხანია.

უკვე 27 წლის ბუჩი ტახტზე გადაწოლილა, ბრძოლის წინ მოსადუნებლად; სრულადაა ეკიპირებული: ტრუსები, მოკრივის მაღალყელიანი საცვეთები და ხელთათმანებიც კი. როგორც კი კამერა მის სახეს მიუახლოვდება, თვალებს გაახელს, მკვეთრი მოძრაობით წამოიწევს და თავს გადააქნევს, უცნაური მოგონების გასაფანთავად...

კარში მისი მწვრთნელის – ზედვე ეტყობა, დიდი გამოქექილი ვინმეს – თავი ჩნდება. ბრბოს ხმაური შემოიჭრება ოთახში.

მწვრთნელი: დროა, ბუჩ!

ბუჩი: წავედით.

*(ოღონდ მწვრთნელი ჯერ შიგ შემოდის, საკიდიდან გრძელ, ყვითლად მოლაპლაპე ხალათს ხსნის და ბუჩს შემოაცმევს. ზურგზე შავფერი წარწერაა: **ბუჩ კულიჯი.** მერე კარს გამოუღებს ბუჩს და ოთახში ისევ იჭრება ბრბოს ყურისწამღები ყაყანი).*

<u>ეკრანი ისევ ქრება.</u>

ჩნდება წარწერა: "ოქროს საათი".
კადრს მიღმა გვესმის #1 კომენტატორის ხმა:

#1: ერიჰა-ა! მე თუ მკითხავ, ამისთანა დაუნდობელი რამე

ჩვენს რინგზე არც არასოდეს მომხდარა...

(ფონად მაყურებლი ღრიალი გასდევს)

32. ჩიხი შენობის უკან. ჯერ ისევ საღამოა.

ჩიხში ტაქსია გაჩერებული. კოკისპირულად წვიმს. რადიომიმღებიდან კომენტატორების ხმა მოისმის.

#1: რაც თავი მახსოვს, არც ერთი მოკრივე ასე სწრაფად ჯერ არ ჩამოსულა რინგიდან... რას იტყვი, ჯონი ჩემო – ეს კულიჯი საერთოდ აზრზე თუა, რა ჩაიდინა?

#2: მგონი რომ კი, რიჩი – კარგად დავინახე, სახე შეეცვალა, როცა მიხვდა რა ამბავიც იყო მის თავს... მის ადგილას სხვაც ბევრი ინატრებდა ადგილზე გაქრობას!

33. ტაქსის სალონის შიდახედი. გარეთ წვიმს.

ტაქსის საჭეს *ესმერალდა ვილალობოსი* უზის. ახალგაზრდა ქალი ეთქმის. ცხელ ყავას წრუპავს პლასტიკატის ჭიქიდან და აშკარად ელოდება ვიღაცას. კომენტატორები კიდე თავისას ბაზრობენ:

#1: რამე რომ იყოს, დღევანდელმა ამბავმა ზოგადად კრივის განვითარებაზეც კი შეიძლება იქონიოს გავლენა ...

#2: ეგრეა, დენ[24] – წყალი არ გაუვა... ამგვარი ტრაგედია, შეიძლება ითქვას, ძირის-ძირამდე შესძრავს კრივის სამყაროს! ბოლოს და ბოლოს, პროფესიული კრივის მსოფლიო ასოციაციამ ყურად უნდა იღოს... ***(წკაპ!*** *– ესმერალდა რადიომიმღებს თიშავს).*

[24] აკი "რიჩი" ქვიაო?! მთარგმნელი არაფერ შუაშია, დედანშია ასე...

34. (გაგრძელება).

მესამე სართულის ფანჯარა იღება და იქიდან გადმოგდებული სპორტული ჩანთა შიგ კუთხეში მდგარ ნაგვის კონტეინერში ჩაეშვება. მერე იმავე ფანჯრიდან ბუჩი ხტება იმავე კონტეინერში. ზუსტად ისევეა გამოწყობილი, როგორც რინგზე – ხელიდან თათმანების წაძრობაც კი ვერ მოუსწრია.

ესმერალდას მცირედი გაკვირვება აღებეჭდება სახეზე; ბუჩი კი უკვე მანქანისკენ მორბის, გზადაგზა ყვითელ ხალათს იხდის, ძირს აგდებს. მერე თათმანიანი ხელებით წვალებით აღებს ტაქსის უკანა კარს და ხტება შიგ.

35. (კიდევ ერთი გაგრძელება)

ესმერალდა უკანა ხედვის სარკეში ადევნებს თვალს, კბილებით როგორ ცდილობს ბუჩი, თათმანი წაიძროს ხელიდან და ხაზგასმით მშვიდი ხმით, ჩიკანოს[25] აქცენტით ეკითხება: *თქვენ დაუკვეთეთ ტაქსი?..*

ბუჩი: თუ აქ გამოძახებაზე ხართ, კი.

ესმ.: საით?

ბუჩი: სადმე შორს აქედან...

(ძრავა ერთს დაიღმუვლებს და მანქანა ადგილს სწყდება, სპიდომეტრის ისარი ზევით-ზევით მიიწევს, ესმერალდას შიშველი ტერფი პედალს აწვება...)

36. სპორტდარბაზის გასახდელი, შიდახედი. დრო იგივეა.

კარი იღება და დეივი-ინგლისელა ძლივს შემოდის შიგ. გარეთ გულშემატკივრების და ჟურნალისტების ერთობლივი ჯგლეთაა. დეივი კარს მიახეთქებს. მერე შარვალ-პერანგს ისწორებს – ისე, უაზროდ.

ოთახში, მაგიდაზე, შავკანიანი მოკრივე წევს, ფლოიდ უილისი ქვია და მკვდარზე-მკვდარია. სულ ახალი მკვდარი. სახე დასიებია, ბზიკების ბუდეში ჩაყოფილივით. მაგიდის თავთან მისი მწვრთნელი წელში მოხრილა, მხრები უთრთის. ტირის.

მარსელას უოლესის მაიმახი ფიგურა გვერდში უდგას, ტორი მის მხარზე დაუდვია, უთანაგრძნობს. კუთხეში მია მიმჯდარა. მარსელასი მოიხედავს,

[25] ესპანო-ამერიკელი; ახლა დადებით მიმართვად ითვლება, როგორც მაგ. black.

დეივს დაინახავს და მისკენ გაემართება.

მარსელასი: რა გაიგე?

დეივი: მოტყდა ის ჩემისა. ეტყობა, გვარიანი ფული მოხია.

მარსელასი: დღეიდან მარტო ეს ერთი საქმე გაქ: იაპონიაშიც რომ აითესოს, იქ უნდა დახვდე, თუნდაც ბრინჯის ქვაბში იყო ჩამალული.

დეივი: დარდი გაუშვი, წელებს დავაყრევინებ!

37. ტაქსში. იგივე დროა.

ბუჩი, როგორც იქნა, ცალ თათმანს წაიძრობს და ფანჯრიდან გადაუძახებს. ახლა მეორეს მისდგება. ესმერალდას მეტის მოთმენა აღარა აქ.

ესმერალდა: ეს თქვენ ჩხუბობდით იქა? მართლა მოკრივე ხართ?

ბუჩი: არა-ა... ეს ისე, შიგადაშიგ. გასართობად.

(მეორე თათმანსაც აგდებს).

ესმერალდა: კარგი გართობა კია, ღმერთმანი! მოკალით კაცი...

ბუჩი: ვინა?

ესმერალდა: მე რა ვიცი – ის ვიღაც, მეორე...

ბუჩი: მოკვდა?

ესმერალდა: რადიოში ესე თქვეს და...

ბუჩი: ვერ მოგვივიდა კარგი ამბავი, ფლო[26]...

---

[26]იმ მეორე მოკრივეს ქვიებია ასე – ფლოიდი.

(ჩანთიდან ამოღებული პირსახოცით იმშრალებს სახეს, მერე პირსახოცსაც ფანჯარაში ისვრის და ახლა მაისურს ეძებს ჩანთაში)

ესმერალდა: როგორი ამბავია?

ბუჩი: *(მაისურს ჩამოიცვამს)* რა ამბავი?

ესმერალდა: აი, კაცი რო შემოგაკვდება. საკუთარი ხელით რო მიასიკვდილებ...

ბუჩი: მეკაიფები?

ესმ.: არა, მართლა მეინტერესება – როგორია?

ბუჩი: მოდი ასე შევთანხმდეთ – შენ სიგარეტს მიკიდებ, მე – ამბავს გიამობ...

ესმ.: მოვიდა!

(სიგარეტს უკიდებს, მერე ბუჩს აწვდის უკან; ისიც ღრმა ნაფაზს დაარტყამს და საზურგეზე გადაწვება, ნებიერად. მერე სარკეზე მიმაგრებულ ფირფიტას ჰკიდებს თვალს)

ბუჩი: *ესმერალდა ვილალობოს...* მექსიკელი ხარ?

ესმ.: სახელი ესპანურია, ისე – კოლუმბიელი ვარ.

ბუჩი: კარგი სახელია. ჟღერს.

ესმ.: იცი რას ნიშნავს? "ზურმუხტი მგლების ტომიდან"!

ბუჩი: ასწორებს. მაგარია.

ესმ.: ეგრეა. შენ რაღა?

ბუჩი: ბუჩს მეძახიან.

ესმ.: ნიშნავს რამეს?

ბუჩი: მე ამერიკელი ვარ, ჩვენში კი სახელები არაფერსაც არ ნიშნავს...[27]

ესმ.: იმას გეკითხებოდით – როგორია, კაცი რომ შემოგაკვდება-მეთქი...

---

[27] ე-ე!. ნიშნავს და ეგრე?! თან საინტერესო მინიშნებაცაა: Butch — მაგარი ბიჭი (ნაწარმოებია სიტყვიდან butcher — ყასაბი) ოღონდ შიგადაშიგ (დაცინვის ამბავში) მეტრაკეზეც იტყვიან ხოლმე...

ბუჩი: აბა მე რა ვიცი! სიკვდილამდე 15 წუთით ადრე ცოცხალი იყო... შენგან გავიგე, მომკვდარაო.

ესმ.: მერე?! ახლა რასა გრძნობ?..

ბუჩი: არც არაფერს. ყოველ შემთხვევაში, არაფერს განსაკუთრებულს. იმიტო რო მოკრივე ვარ. ეს კი ერთ რამეს ნიშნავს ჩემთვის. აი, იმისთვის კი არაფერს არ ნიშნავდა – უბრალოდ, მუშტებს იქნევდა რინგზე. ამიტომაც დაისაჯა. ახლა კი მკვდარია და მკვდარი... ახია. ენდე!

38. ტელეფონის ჯიხური. შიდახედი.

ბუჩი ტელეფონზე ბაზრობს.

ბუჩი: გითხარი, ხმა რო გავარდება, – ჩაწყობილიაო, ატყდება-მეთქი ყალილა... დაიცა, ის ჩემისა ჩხუბის აზრზე რო ყოფილიყო, ახლაც ცოცხალი იქნებოდა. ცოტა მაინც რო გაენძრია ტვინი და მიმხვდარიყო – რინგზე ჩემი ადგილი არ არი, შევეშვა ჯობიაო – ცოცხალი იქნებოდა. მოკლედ, ახლა შენ ის მითხარი ჩემი ძმა, რამდენ ბუკმეკერთან ჩამოხვედი? რვასთან? და რა დრო გჭირდება, მაყუთი რო შეაქუჩო? კარგი ხარ, ეგრე ვქნათ. მე და ფაბიანა ხვალ ავუდებთ. ადრიანად. ორიოდ დღეში ნოქსვილს მივადგებით. ტენესი მაინც სულ სხვაა...

(ყურმილს კიდებს. მის მომლოდინე ტაქსს მიაშტერდება).

ბუჩი: *(თავისთვის, რატომღაც ფრანგულად) O, idéal de ma vie!**

39. მოტელი. გარეხედი. ღამეა.

ესმერალდას ტაქსი მოტელის პარკინგზე ჩერდება. წვიმამ გადაიღო, ოღონდ ნესტი მაინც იგრძნობა. ბუჩი მანქანიდან გადმოდის, ახლა მაისური, ჯინსები და ქურთუკი აცვია. მძღოლის ფანჯარასთან დაიხრება.

---

* ჩემი ცხოვრების ნატვრა! (ფრ.)

ესმერალდა: შენგან სუფთად $45 მერგება.

ბუჩი: *(ფულს უწვდის)* მადლობა... და ესეც კიდევ, დავესკად.

(ასდოლარიანს უჩვენებს, ოღონდ ჯერ ისევ თითებში ატრიალებს. ესმერალდა თვალებს მოწკურავს)

ბუჩი: ვინმემ თუ გკითხა, ამ ღამით ვის დაატარებდიო, რას ეტყვი?

ესმ.: მე ვიტყვი სიმართლეს! სამი კარგად ჩაცმული, ტეკილის სუნით გაჟღენთილი ჩიკანო...

ბუჩი: *(ბანკნოტს ჯიბეში უჩურთავს)* Bon suar, ესმერალდა!

ესმ.: ბუენას ნოჩეს, *ბუჩაჩო*!

ბუჩი ლოყაზე უთათუნებს ხელს, ესმერალდას ეშმაკურად ეღიმება.

40. მოტელი. ოთახი #6. შიდახედი. ღამეა.

ბუჩი ოთახში შედის და სინათლეს ანთებს. ლოგინზე, ტანზეგაუხდელად, ლამის ოთხად მოკეცილი, ფრანგი გოგონა – **ფაბიანა** წევს.

ფაბიანა: მ-მ-მ... ჩააქრე!..

(ბუჩი ჩამრთველს გააჩხაკუნებს და ოთახში ისევ სიბნელეა)

ბუჩი: კარგად ხარ?

ფაბიანა: Oui... სამუშაო ბევრი გქონდა?

ბუჩი: ოხრად. გავიქაფე.

ფაბიანა: საცოდავი. მოდი, ჩამეხუტე.

(ბუჩი გვერდით მიუწვება და აწი მათი საუბარი რაღაც ბავშვურ ტიტინს მოგაგონებთ თითქოს)

ბუჩი: ყველაფერი წამოიღე, ფისო?

ფაბიანა: მა რა...

ბუჩი: მაგარი ხარ.

ფაბიანა: რა პრობლემაა?

ბუჩი: შენ რა, რადიოს არ უსმენ?

ფაბიანა: არასოდეს, თუკი შენა ხარ რინგზე.

ბუჩი: ა-ა... გასაგებია.

ფაბიანა: ხო არ გადაიფიქრე? ხო მართლა მიდიხარ რინგიდან?

ბუჩი: აბა რა, ჩემი გოგო.

ფაბიანა: და ისა – ის მეორე?

ბუჩი: ფლოიდმაც დაახვია.

ფაბიანა: *(გახარებული)* მართლა?! და აღარც ის იჩხუბებს?

ბუჩი: შანსი არაა. აღარასოდეს და აღარაფრისთვის.

ფაბიანა: მაშ, მორჩა ყველაფერი?

ბუჩი: არაფერიც არ მორჩენილა საყვარელო, ახლა იწყება თავ-დავიწყება...

(ფაბიანა გადმოუტრიალდება, ბუჩი ზემოდან აწვება მის სხეულს, კოცნის)

ფაბიანა: მოკლედ და კონკრეტულად – ცუდადაა საქმე, ხომ?

(ბუჩი თავს უქნევს)

ფაბიანა: თუ ჩაგვავლეს, ორივეს დაგვხოცავენ?

(ბუჩი თავს უქნევს)

ფაბიანა: მაგრამ ვერ გვიპოვიან, ხო?

(ბუჩი თავს უქნევს)

ფაბიანა: და მაინც გინდა რო თან წამიყვანო?

(ბუჩი ისევ თავს უქნევს, დაქოქილივით)

ფაბიანა: არ მინდა, ზედმეტ თვირთად დაგაწვე კისერზე...

ბუჩი: *(როგორც იქნა, ხმას ამოიღებს)* ნუ სულელობ. სულ ჩემთან იქნები.

ფაბიანა: სულ-სულ?

ბუჩი: ეგრეა.

ფაბიანა: გინდა მითხრა, მიყვარხარო?

ბუჩი: Oui.

ფაბიანა: ბუჩ? ფრანგული სიყვარული მინდა...

(ბუჩი კოცნის, მერე მისი თავი ქვემოთ-ქვემოთ იწევს, კადრიდან ქრება. ახლა მარტო ფაბიანას სახეს ვხედავთ)

ფაბიანა: O, idéal de ma vie!

41. გაგრძელება. გვიანი ღამეა.

იგივე ოთახი. საშხაპედან წყლის ხმა გვესმის. ფაბიანაც იქვე სააბაზანოშია, თმებს იმშრალებს. კაბინის მქრქალი შუშის მიღმა ბუჩის დაკუნთული ტანის კონტურები მოჩანს. მერე წყლის ხმა წყდება და კარის ღრიჭოში მისი თავი ჩნდება.

ბუჩი: მგონია, ნეკნი მაქ გაბზარული...

ფაბიანა: *(გაკვირვებით)* რა, ფრანგულმა სიყვარულმა გიქნა?!

ბუჩი: არა, ცალტვინა შენა – რინგზე...

ფაბიანა: მასე ნუ მეძახი ხოლმე!

ბუჩი: კარგი, ხო! ჩემი ია ხარ. გაწყობს?

ფაბიანა: კი. მიყვარს იები.

(პირსხოცს აწვდის)

ბუჩი: მეღსი დიდად.

ფაბიანა: ბუჩ?..

ბუჩი: რაო, გვირილავ ჩემო?

ფაბიანა: სად უნდა წავიდეთ?

ბუჩი: ჯერ არ ვიცი. საცა გინდა. ახლა ოხრად ფული გვაქ. არა, არც მთლად იმდენი, მთელი ცხოვრება შეიხებივით გავატაროთ, მარა სადმე კუნულებზე – თავისუფლად გვეყოფა...

ფაბიანა: ბორა-ბორაზე წავალთ?!

ბუჩი: წავალთ რა, რატომაც არა. მერე ტაიტიზე ან სულაც მექსიკაში ავუდოთ.

ფაბიანა: ესპანური რო არ ვიცი...

ბუჩი: არც ბორა-ბორული იცი, რა მერე? თან მექსიკური ძაან ადვილი ენაა – Donde esta el zapataria?

ფაბიანა: და მაგით რაო, რა მინდაო?

ბუჩი: *სადაა აქ ფეხსაცმლის მაღაზია?*

ფაბიანა: *(იმეორებს, თუთიყუშივით)* Donde esta el zapataria?

ბუჩი: *(ძაან სერიოზული სახით)* საუცხოო გამოთქმა გქონია.

(ბუჩი ოთახში გადის, ფაბიანა კბილებს იხეხავს)

ბუჩი: *(მხოლოდ ხმა გვესმის მისი)* Que nora es?

ფაბიანა: Que nora es?

ბუჩი: რომელი საათია?

ფაბიანა: რომელი საათია?

ბუჩი: ძილის საათია, ჩემო სიყვარულო. თიშის საათია.

(ფაბიანა ჯერ ისევ კბილებს იხეხავს. უცებ რაღაცა ახსენდება)

ფაბიანა: ბუჩ...

(აბაზანიდან გამოდის, რომ ჰკითხოს და ხედავს, ბუჩი ძილ-ღვიძილშია უკვე)

ფაბიანა: *(ერთხანს დაყურებს)* კარგი, დაივიწყე.

(კადრიდან გადის, სააბაზანოში ბრუნდება. ბუჩს ღრმა ძილით ძინავს)

<u>ეკრანი ქრება.</u>

42. იგივე ოთახი. დილაა.

ბუჩს ჯერ ისევ ძინავს. ფაბიანა ისევ კბილებს იხეხავს, წარამარა გამოიჭყიტება ხოლმე სააბაზანოდან – რაღაც სერიალს ადევნებს თვალს ტელევიზორში. იგივე ხალათი აცვია. უცებ ბუჩი დაფეთებული სახით წამოჯდება ლოგინზე და ფაბიანას გულს უხეთქავს.

ფაბიანა: Merde! რა ბზიკმა გიკბინა? დაგესიზმრა რამე?

ბუჩი: *(ქუთუთოებს ისრესს, ნამძინარევი)* ხო, რა... დაიცა, შენ კიდე კბილების წმენდაში ხარ?!

ფაბიანა: აბა, ეგრე არა ვარ სულ? მთელი ღამე კბილებს ვიხეხავდი, პასტით... შენა გგონია, ეს არანორმალურია?

(ფაბიანას სარკაზმი ჯერაც გამოუფხიზლებელი ბუჩის გონების ჭაობში იძირება; გაშტერებული შესცქერის ტელევიზორის ეკრანს)

ბუჩი: ეს რას უყურებ?

ფაბიანა: სერიალია რაღაც. არც ვიცი, რა ქვია. გამოვთიშო?

ბუჩი: ოღონდ ეგ სიკეთე ქენი და...

ფაბიანა: *(ტელევიზორს გამორთავს)* მაინც რა იყო ასეთი?

ბუჩი: მე რა ვი, შენ არ უყურებდი?!

ფაბიანა: *(იცინის)* არა, შე ხისთავა შენა – სიზმარზე გეკითხები!

ბუჩი: ა-ა... არ მახსოვს. არასოდეს მამახსოვრდება ხოლმე.

ფაბიანა: გადამრევს ეს კაცი! საკუთარი სიზმარი როგორ არ გახსოვს? მაგან არ გამოგაღვიძა?.

ბუჩი: არც ჩემი და არც სხვისი... შემეშვი რა!

ფაბიანა: *(კოცნის)* ჯერ არ ამდგარა და უკვე ჯუჯღუნებს...

ბუჩი ლოგინიდან გადმოდის და ფაბიანას მოტანილ ჩემოდანში იქექება.

ბუჩი: საათის რომელია?

ფაბიანა: 9 იქნება. ჩვენი მატარებელი რომელზეა?

ბუჩი: 11-ზე. *(იცვამს).*

ფაბიანა: იმ კაფეში ვისაუზმოთ რა – მაშინ რო ვიყავით... მაგარი იყო. დახურა.

ბუჩი: როგორც შენ იტყვი...

ფაბიანა: სიროპში ამოვლებულ გახუხულ ბლითებს ავიღებ – ერთ დიდ თეფშს და კიდე ორ კვერცხს და კიდე ხუთ იმ პაწია გერმანულ ძეხვს და კიდე...

ბუჩი: არ მიიკლო არაფერი... და რას დალევ? *(მორჩება ჩაცმას)*

ფაბიანა: მშვენივრად გამოიყურები... დიდი ჭიქა ფორთოხლის წვენი და შავი ყავა. და მერე კიდე ერთიც ჟოლოიანი ნამცხვარი.

ბუჩი: *(ისევ ჩემოდანში იქექება)* გაამოს! საათი სადაა?

ფაბიანა: მანდა.

ბუჩი: არაა. აქ – არაა!

ფაბიანა: კარგად ნახე?

ბუჩი: *(აშკარად ნერვიულობს)* ვნახე, როგორ არ ვნახე!

(ჩემოდანს გადმოატრიალებს და გადმობერტყავს. ახლა ტანსაცმლის გროვაში იქექება)

ბუჩი: ნაღდად გახსოვს რო წამოიღე?!

ფაბიანა: *(გაოგნებულია – ასეთი არასოდეს უნახავს)* კი... მაგიდაზე იდო...

ბუჩი: მერე, თუ წამოიღე?!

ფაბიანა: *(ცრემლები ადგება თვალებზე)* კი...

ბუჩი: *(ჩუმი ხმით, ოღონდ ამით მისი ტონი უფრო დამშაფრავი ხდება)*

... მისმინე ცალტვინ – ის კი არაა საქმე რო ოქროსია – ეგ საათი მამაჩემისა იყო, გაიგე? იცი რეების გადატანა მოუხდა ეგ რო შეენახა ჩემთვის?! ეს შენი ძონძები სუ ქინძზე მკიდია – მე ერთი რამე გთხოვე, საათი არ დაგავიწყდეს-მეთქი! ახლა დაფიქრდი და ისე თქვი – წამოიღე?

ფაბიანა: მგონი, კი...

ბუჩი: *მგონიო?!* ეგ რაღაა? ან აიღე, ან – არა! ეგრეა?

ფაბიანა: თუ ეგრეა, ავიღე...

ბუჩი: ნაღდად?

ფაბიანა: არ მახსოვს...

ბუჩი ჭკუაზე აღარაა, ტელევიზორს ეცემა და კედელს შეანარცხებს. ფაბიანას ტირილი აუტყდება. ბუჩი ერთს შეხედავს და უცბად მოდის გონზე.

ბუჩი: კარგი, ხო... რა შენი ბრალია...

(მივა, თმაზე გადაუსვამს ხელს)

... იმდენი რამე გქონდა ჩასალაგებელი, დაგავიწყდებოდა, მა რა... კი გითხარი, არ დაგავიწყდეს-მეთქი, ოღონდ

ხო არ მითქვამს – რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის ეს სახსოვარი... გულში ხომ არ მეჯექი...

(კოცნის, მერე კარადასთან მიდის, ქურთუკს გადმოიღებს)

ფაბიანა: მაპატიე რა...

ბუჩი: *(ქურთუკს იცვამს)* რა უნდა გაპატიო რა... ოღონდ ახლა მარტო მოგიწევს საუზმობა.

ფაბიანა: რას აპირებ?..

ბუჩი: ბინაში უნდა დავბრუნდე და საათი ავიღო.

ფაბიანა: მერე, იქ რო ის განგსტერები ისხდნენ?!

ბუჩი: მეც მაგის გასარკვევად მივდივარ. თუ იქ იქნებიან და თანაც ოხრად, წამში დავახვევ იქიდან.

ფაბიანა: სულ არ მინდა, რაღაცა საათისათვის გაგასაღონ!

ბუჩი: ჯერ ეს ერთი, არაფერი რაღაცა საათი ეს არ არი, ხო გითხარი უკვე. მერე, სულაც არ მინდა რო მომკლან – და შენც ნუ ხარ ფახისტი – არაფერიც არ მომივა, სულ ერთად ვიქნები-ი-თ...

(მოეხვევა და მის ლოყებს მოიგდებს ხელისგულებში)

კარგი, გეყო. აღარ ვბრაზობ.

(საფულედან რამდენიმე ცალ ქაღალდის ფულს ამოიღებს)

აჰა, ბოლოში ნამცხვარი მაინც არ დაგავიწყდეს.

ფაბიანა: არ წახვიდე, რა!

ბუჩი: მანამ მოვბრუნდები სანამ *"ჟოლოს ნამცხვარიო"* – იტყვი...

ფაბიანა: *ჟოლოს ნამცხვარი...*

ბუჩი: კარგი ახლა, არც ასე სწრაფად... ოღონდ მაინც მალე მოვალ.

ფაბიანა: კარგი.

ბუჩი: *(კიდე კოცნის და მერე კარისაკენ გატრიალდება)*

შენს *ჰონდას* უნდა დაგესესხო.

ფაბიანა: კარგი.

ბუჩი: აბა, მეყოლე ვარდივით.

(გადის, კარს გაიხურავს. ფაბიანა ხელში მოჭმუჭნულ ფულს დაყურებს)

43. *ჰონდა ქალაქის ქუჩებში. დღეა.*

ბუჩი მოტოციკლზე ზის და თან თავისთვის ბურდღუნებს.

ბუჩი: ხო ყველაფერი შეიძლებოდა დავიწყნოდა – არა, მაინცადამაინც საათი დარჩა!

(მოციცქნული ჰონდა ქუჩაში მიქრის – ბუჩი მაქსიმუმს "წველის" ძრავიდან).

ბუჩი: რაებს ვშვები?! ეტყობა მართლა ბევრი მიბრახუნეს თავში... გრამი ტვინი აღარ შემრჩა. გააჩერე, ბრიყვო! *(აგრძელებს გზას)* გააჩერე-მეთქი, სირო! *(გაზს უმატებს).*

არა, არც ეგრეა საქმე... მარტო საათის ამბავი არაა – ეს *ჩემი* ომია. მარსელას უოლესისაგან რო ავიღე ფული – ეს უკვე ომის დაწყებას ნიშნავდა... ხო ვიცოდი რო არ დავუბრუნებდი. ეს ჩემი II მსოფლიო ომია, და პირველიც.... ის ჩემი ბინაც – ჩემი საკუთარი კუნძული უეიკია. თუ ეს ზეგარდმო ნიშანი არაა, რაღა მაინცადამაინც ეს საათი დავიწყდა... ეგრეა, ნაღდად. და მაშინ არაფერი სისულელე ეს არ არი...

44. **რომელიღაც სახლის კუთხე. იგივე დროა.**

ბუჩი ფრთხილობს – ჯერ მიმოიხედავს, ქუჩის პირას დაყენებულ მანქანებსაც შეათვალიერებს, მერე მოტოციკლს ნაცნობ უბნელ ბიჭუნას მიაბარებს *(მომსახურებისთვის – დოლარიანი)* და მოზომილი ნაბიჯით შევა სადარბაზოში.

მიმოიხედავს: სამრეცხაო, საცურაო აუზი, კიბე... თავისი ბინის კარს[28] მიადგება, 12 ნომერს.

ბუჩი: საკეტი ნაწვალები არაა... ისე, რა ეშმაკად უნდა ჩამსაფრებოდნენ, ჩემისთანა იდიოტის მეტი მობრუნდებოდა აქ ვინმე?

(დააყურადებს, ჩამი-ჩუმი არ ისმის... ნელა, ძალიან ნელა შეასრიალებს გასაღებს, გადაატრიალებს და შედის შინ)

45. ბუჩის ბინა. იგივე დროა.

ბინაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი თავის ადგილზეა. ბუჩი მაინც ფეხაკრეფით შედის, მიმოიხედავს – არავინაა. საწოლ ოთახშიც შეიხედავს, მერე – სასტუმროში. აქ საყურადღებო მხოლოდ ვერცხლის ოლიმპიური მედალია კედელზე და იქვე – ჩარჩოში ჩასმული ჟურნალ "რინგის" გარეკანი, ზედ ბუჩის ფოტოთი. და კიდევ – ჯერი ქუორისა[29] და ჯორჯ ჩუვალოს[30] პოსტერები. საათიც თავის ადგილზე დევს. ბუჩი აიღებს, მერე სამზარეულოში გადის, მაცივარს გამოაღებს და ორ ცალ პოპ-ტარტს[31] დებს ტოსტერში. მერე მზერა ეყინება: სკამზე ჩეხური წარმოების M61 – კომპაქტური ავტომატი დევს, ლულაზე მახშობი აქ ჩამოცმული.

ბუჩი: *(თავისთვის)* ღმერთო დიდებულო!

იარაღს ხელში იღებს და შეათვალიერებს. ამ დროს ტუალეტში წყლის ჩაშვების ხმა ისმის. ბუჩი ტუალეტის კარს მიშტერებია – ნაღდად ვიღაცაა იქ. კარი იღება და ვინსენტ ვეგა გამოდის, ცალი ხელით ქამარს იკრავს, მეორე ხელში რბილყდიანი წიგნი უჭირავს – იენ ფლემინგის "კაცი ოქროსვარაყიანი იარაღით".

ვინსისა და ბუჩის მზერა ერთმანეთს ხვდება. ვინსი ადგილზე შეშდება. არც ბუჩი იღებს ხმას, ოღონდ იარაღს კი მიმართავს მისკენ.

უცებ... ტოსტერი ტკაცანით ამოისვრის პოპ-ტარტებს. ეს საკმარისია, რომ ბუჩმა სასხლეტს გამოკრას თითი. დააჭერს და აღარც უშვებს. ოცტყვიანი

---

[28] არავითარი წინააღმდეგობა აქ არაა – ეტყობა, ბუჩი ე.წ. თაუნჰაუსში სახლობს, სადაც ერთ შენობაში რამდენიმე ბინაა განლაგებული.

[29] მეტსახელად "ირლანდიელი", 1964წ. მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში.

[30] კანადელი მძიმეწონოსანი; სახელი იმით გაითქვა, რომ 97 ბრძოლაში ნოკაუტი რაა, ნოკდაუნიც კი არ აუკიდია.

[31] ნამცხვარია ერთგვარი, შიგთავსის გამო მაცივარში ინახავენ და ჩვეულებრივ, ტოსტერში ხუხავენ ხოლმე.

ჯერით დაცხრილული ვინსის ტანი უკუიქცევა, კარს მიეჯახება, თხელ ფიცარს შელეწავს და უნიტაზზე გადაიშხლართება.

ბუჩი ტყუილად აჩხაკუნებს იარაღს, მჭიდე დაცლილია, ვინსი – მკვდარი. მერე აზრზე მოდის, ვითომც აქ არაფერიო – ავტომატს მაგიდაზე დებს და გადის.

46. ქუჩა. შუადღეა.

ბუჩი თავის მოტოციკლთან მიდის, მოაჯდება, ბიჭს თავს დაუქნევს, უსიტყვოდ და ადგილიდან წყდება. ოღონდ გზად ისევ თავის სახლს ჩაუვლის, ახლა უკვე თავისი ყოფილი ბინის ფანჯრებს შეავლებს თვალს და მოულოდნელად... ეცინება.

ბუჩი: ასე ძმაო, შენ მაგათ ომსაც მოუგებ...

შუქნიშანთან ჩერდება და ვხედავთ, რომ თავად ბოსთა ბოსი, დიდი მარსელასი გამოდის მაღაზიიდან, ხელში რაღაც სასუსნავით სავსე ყუთი უჭირავს. ტროტუარიდან ჩადის, ქუჩას ჭრის, მარცხნივ გაიხედავს და... ჩერდება. მის სახეს პირველად ვხედავთ, და სახეზე ლამის აწერია: "არა-ა... მეჩვენება..."

ბუჩი არ აპირებს, მის გონზე მოსვლას დაელოდოს – გაზს ბოლომდე აძლევს და ჰონდა შავ გიგანტს შეასკდება...

ორივენი აქეთ-იქით გადავარდებიან. ბუჩი მალე წამოდგება, ცხვირიდან ცოტა სისხლი სდის, მაგრამ ეს არაფერი – სხვა მხრივ საღადაა. მოტოციკლეტს კი ბორბალი მოსძრობია. ვიღაც იდიოტი ეკითხება: "ცოცხალი ხართ?"

ბუჩი: მგონი, კი.

ამ დროს მარსელასსაც წამოაყენებენ. ცალ ფეხზე კოჭლობს და *გროვის* მდგომარეობაშია. მეორე იდიოტი ახლა იმას მივარდება და მოწმედ დადგომას სთავაზობს – ყველაფერი კარგად დავინახეო.

მარსელასი: რა დაინახე...

მოწმე: რა და – რო შემოგასკდათ, ზედ გადასასვლელზე!

მარსელასი: ვინ შემომასკდა...

მოწმე: აის ქლიავი – დგას ეგერ და აფახულებს თვალებს!

(ბუჩზე მიათითებს)

მარსელასი ქვეშეცნეულად მის თითს გააყოლებს თვალს, ბუჩს დალანდავს.

მარსელასი: ბოიშვილი ვიყო!

45 ყალიბის პისტოლეტს დააძრობს ჯიბიდან და ცდილობს, ბუჩი მიზანში ამოიღოს. არაფერი გამოსდის, მერე მისკენ გაიწევს.

ბუჩი კოჭლა-კოჭლაობით მომავალ მაიმახს ხედავს, ოღონდ ადგილიდან ვერ იძვრის, მონუსხულივით.

მარსელასი ესვრის, ააცილებს. სროლის ხმა გამოაფხიზლებს ბუჩს, გარბის. მარსელასი დაედევნება. ბუჩი რომელიღაც მაღაზიაში შევარდება. წარწერა: **"მეინარდი. ნივთების შესყიდვა/დაგირავება".**

47. ლომბარდში.

მეინარდი – ერთის ვინმე უბრალო შესახედაობის ყმაწვილი, დახლთან დგას, როცა ლომბარდში ბუჩი შემოჯლიგინდება.

მეინარდი: *(დაყენებული ხმით)* რით შემიძლია გემსახუროთ?

ბუჩი: მოკეტე! *(უცბად დათირავს იქაურობას და კართან აიტუზება)*

მეინარდი: შენ ეი!..

(ოღონდ სანამ სიტყვას დაამთავრებდეს, კარს ახლა მარსელასი შემოაღებს, შემოდის და იქვე ბუჩის მუშტი ხვდება მზისწნულში. ოყლაყს ფეხები მოეკეცება და ნელა ჩაცურდება კედლის გასწვრივ. ბუჩი ახლა ყბაში მოსდებს, მერე მის იარაღს დაავლებს ხელს, შუბლზე აბჯენს და უყვირის):

ახლა რაო?. მოგწონს არა, იარაღით ხელში ხალხის დევნა!... ჰა, როგორია?!

მეინარდი: *(კადრს მიღმა)* იარაღი დააგდე, შენი!..

ბუჩი მოუტრიალდება და ხედავს, იმას პოლიციის კარაბინი უჭირავს და მიზანში ყავს ამოღებული.

ბუჩი: მორჩი რა! არაა ეს cosa vostra...[32]

მეინარდი: ახლა უკვე ჩემია... დააგდე-მეთქი!

(ბუჩი ძირს აგდებს იარაღს).

მეინარდი: აქ მო!

ბუჩი უახლოვდება და მეინარდი უცებ კარგი დაყენებული მოძრაობით კონდახს გლიჯავს სახეში. ბუჩი იატაკზე გაიშხლართება. მეინარდი მშვიდად დებს კარაბინს დახლზე და ტელეფონის ყურმილს იღებს.

მეინარდი: ზედ, შენა ხარ? აქ ორი დიდი ღლავი ერთად გაება მახეში...

48. ლომბარდში (უკანა ოთახი). ჯერ ისევ დღეა.

ბუჩიცა და მარსელასიც თავ-თავიანთ სკამებზე არიან ხელ-ფეხ დაბმულნი; ორივესთვის პირში "გეგი" ჩაუჩრიათ – ერთგვარი ალიკაპია, თავზე ქამრებით მაგრდება და პირში წითელ ბურთს გიკვეხებენ – სადომაზოხისტურ გართობათა უცილობელი ატრიბუტია.

მათ წინ მეინარდი უდგათ, ცალ ხელში კარაბინი უჭირავს, მეორეში – მარსელასის პისტოლეტი. ძაან კმაყოფილია საკუთარი თავით.

ბუჩი და მარსელასი შეძრწუნებული სახეებით მიაშტერდებიან ერთმანეთს. ურთიერთმტრობა სადღაც გაქრა – ახლა სულ სხვა რამ აქვთ სადარდებელი...

(შემოდის **ზედი***)*

[32] თქვენი საქმე (იტალ).

მეინარდი: აი, ძამიკო ზედიც მოსულაა...

(ზედი ტყვეებს მიუახლოვდება, ყურადღებით აათვალ-ჩაათვალიერებს)

ზედი: აკი დაგიცდიო?

მეინარდი: აბა რას ვშვებოდი?! მე მარტო დავაბი ორივე...

ზედი: აბა, ვინ ცემა?

მეინარდი: არ დაიჯერებ – ერთმანეთს დაერივნენ! ამას იმის მოკვლაც კი უნდოდა. მე არ დავანებე.

ზედი: დაიცა, დღეს რა დღეა?

მეინარდი: ოთხშაბათი.

ზედი: ე.ი. ჩემს ***გრეისს*** გარეთ რამე პრობლემა არ ექნება?

მეინარდი: არავითარი.

ზედი: მაშინ ფრანკენშტეინას დაუძახე.

მეინარდი: ძინავს ჯერ.

ზედი: მაშინ გაღვიძება მოგიწევს.

(მეინარდი იატაკში ჩატანებულ ხუფს ახდის თავს)

მეინარდი: ეი, ფრენკი – გაიღვიძე! გაიღვიძე-მეთქი!

(ჩაყოფს ხელს და ვიღაცას ექაჩება ჯაჭვით)

დარანიდან ფრანკენშტეინა გამობობდება – თხემით ტერფამდე სადომაზოხ-ისტური სამოსი მოსავს – დაკერებულ-გადაკერებული ტყავი, ქამრები, ზიპები, ბალთები და ლითონის ნატყეპები... თავზეც ტყავის ნიღაბ-მუზარადი ჩამოუცვამს. მოკლედ, მაგარი შესახედია. გაბარიტებიც შეესაბამება და ისე მოძრაობს, თითქოს შენელებულ კადრში გვიჩვენებდნენ. ყელზე ჯაჭვის საბელი აქ გამობმული.

(ზედი იღებს სკამს, ტყვეების წინ დგამს და ზურგუკუღმა შემოაჯდება. მეინარდი ჯაჭვის ბოლოს აჩეჩებს ხელში, თვითონ განზე დგება).

ზედი: *(ფრენკის)* მუხლებზე!

(ფრენკი მუხლებზე დაეშვება, ხვნეშით. ზედი ტყვეებს მიშტერებია)

მეინარდი: აბა, ვინაა პირველი?

ზედი: ჯერ არ ვიცი.

(თითს მიუშვერს და იწყებს: 'ენკი-ბენკი სიკლისა...' მარსელასი და ბუჩი ჭკუაზე აღარ არიან, თვალებში ეტყობათ. გათვლა მარსელასზე თავდება. ზედი წამოდგება)

მეინარდი: აქა?

ზედი: იქითა ოთახში არა ჯობია?

(მეინარდი მარსელასის სკამის საზურგეს ჩაავლებს ორივე ხელს და უკუსვლით მიათრევს მეორე ოთახში. მარსელასის გაყინული მზერა ბუჩზეა დაფიქსირებული)

ზედი: *(ფრენკის)* ადე!

(ფრენკი წამოდგება, ზლაზვნით. ზედი ჯაჭვს ჭერში გარჭობილ კაუჭზე ჩამოაცმევს)

ზედი: უდარაჯე!

(ფრანკენშტეინაც თავს უქნევს, გავიგეო. მეინარდი გადის. ეტყობა, მაგნიტოფონს რთავენ – ჯაგი-ჯუგი მუსიკა მოისმის. ბუჩი ფრენკის შეყურებს, ის კიდე ხითხითებს, ჭკუანაკლული)

მეინარდის ხმა: ჯანიანია, შობელძაღლი!

(გვესმის შეხლა-შემოხლის ხმა)

ზედის ხმა: ა-ა, ცემის კაიფი გიჭირავს?! რო მოგდებ მაგ ჟანგიან ყბაში... აჰა! ეს გინდოდა? ა შენ კიდე!

(ბუჩი ჯერ აყურადებს, დაფეთებული, მერე გამწარებული ცდილობს თოკიდან დაიძვრინოს თავი; ფრენკი ხითხითებს.)

მეინარდის ხმა: აი ასე... ასე კარგია! რას გაინაბე, მე შენი!. ასე მოგწონს?. *(უცბად ისევ იყვირებს)* დაიცა, გაჩერდი! გაჩერდი, შენი დედაც, მამაც და ყველა კეთილებიც!!!

ზედის ხმა: მაიცა, აქედანაც დავაბამ და...

(ბუჩი თოკს თავს ანებებს, წამოიწევს და ჯახანით შეასკდება კედელს; სკამი იმტვრევა, ბუჩი ხელ-ფეხს ითავისუფლებს.

ფრენკის თვალები უფართოვდება, ცდილობს საბელის ბოლო ჩამოხსნას კაუჭიდან, ვერ ასწრებს – ბუჩი ჯერ ერთ ჰუკს მოსდებს მარცხნიდან ფერდში და მერე მარჯვენით ქვემოდან წამოაგებს აპერკოტზე. ფრენკი უცბად მოიმ-ჩვარება და უღონოდ დაეკიდება, სარეცხივით. ბუჩი გეგს გადაიძრობს თავზე და ოთახიდან გადის).

49. ლომბარდი. წინა ოთახი. დღეა.

ბუჩი გასასვლელი კარისაკენ მიემართება. დახლზე **Z**-ს მოყვანილობის ასაცმელზე გასაღებების მთელ ასხმულას შეამჩნევს, დაავლებს ხელს და ის არი, გარეთ უნდა გავიდეს რომ უცებ შეჩერდება, დააყურადებს, წარმოიდგენს რას უშვებიან ის ფსიქოპატები მარსელასს და აშკარად რაღაც გადაწყვეტილებას იღებს. მერე იქაურობას მოავლებს თვალს, ჯერ მოკლე-ტარიან ურიოს აწონ-დაწონის ხელში, ელექტროხერხსაც მოიმარჯვებს, მა-გრამ ბოლოს ისეთ რამეს ჰკიდებს თვალს, სხვა აღარაფერი უნდა.

ესაა ხის სადა ქარქაშში ჩამალული სამურაის ხმალი, სულ ოდნავ გარკალული; ტარი და ქარქაშის ტუჩი ისეა ერთმანეთს მორგებული, ერთი მთლიანი ხის ნაკეთობა გეგონებათ. ბუჩი ეჭვიანად შემოაჭდობს თითებს ვადაზე და პირს ამოუწევს – ამოწმებს, მართლა ძველი იარაღია თუ სატურ-ისტო იმიტაცია. ნაწრთობი ფოლადი ისე გაიელვებს ჰაერში, ყოველგვარი ეჭვი უქრება და ახლა ასე – ცალ ხელში მკვრივი ხის ქარქაშითა და მეორეში – როგორც ეს სამურაებზე ფილმებშია ხოლმე – წვერით ძირს მიმართული მახვილით, ბრუნდება უკან...

50. ლომბარდის უკანა ოთახი. იგივე დროა.

ბუჩი ნელა შეიპარება ოთახში, თუმცა მის შესვლას მაინც ვერავინ გაიგებდა – იქ ერთი გნიასი და ტაშ-ფანდურაა გამართული...

კადრში ახლა მეინარდის დაკრეჭილი სიფათი მოჩანს, მის უკან – ბუჩის ხელი, მახვილი რომ ჩაუბღუჯავს... გვერდით, კუთხეში, ხარიხებზე გაკრულ მარსელასს ზედი გადაჯდომია და ქინძავს, ანუ – უქაქუნებს.

ბუჩი: ე, ვირო!

(მეინარდი შემოუტრიალდება და ბუჩის დანახვაზე თვალები უფართოვდება; ის კი ერთს დაიჭყივლებს და ყელში გამოუსვამს ხმლის პირს. მეინარდს თავი უცნაურად გადაუვარდება გვერდზე, პირღია ჭრილობიდან სისხლი თქრიალით მოსდის... მერე ხელებს იწვდის წინ, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, მაგრამ მუხლები მოეკეცება და ახლა იატაკზე ფართხალებს, სულ უფრო ნელა და ნელა...)

ზედი აზრზეა, რაღაც ცუდი ხდება მის ზურგს უკან, მარსელასს შეეშვება და იქვე, მაგიდაზე დაგდებულ იარაღისაკენ მიიწევს. ბუჩი მხოლოდ ერთ ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ ესეც საკმარისია – ზედი ადგილზევე შეშდება, შარვალჩახდილი.

ბუჩი: რა, ხელები გექავება? მიდი, მიდი... *(ხმალს შემართავს)*

მარსელასი: *(კადრს მიღმა)* მიმიშვი, ბუჩ!

ბუჩი გაიწევა, ვხედავთ თვალებჩასისხლიანებულ მარსელასს, ხელში ის მოკლეტარიანი კარაბინი უჭირავს.

ბაბახ!!!

მარსელასი ზედ მუცელსქვემოთ დაახლის, ზედი განწირულის ხმით ყვირის, მერე ისიც იატაკზე ეცემა, მოკუნტული. მარსელასი აუტანელი ტკივილისაგან სახედაღმეჭილ სადისტ-მოძალადეს ზემოდან დაყურებს, მთასავით; მერე ცარიელ ვაზნას გამოაგდებს, ისიც ჭახანით ვარდება იატაკზე.

ბუჩი ხმალს დაუშვებს. ერთხანს იყუჩებს, მერე ეკითხება:

ბუჩი: ჰა, როგორა ხარ?.

მარსელასი: მე როგორა ვარ?.. გეტყვი როგორცა ვარ – ცუდად, ძა-ა-ან ცუდად...

(პაუზა)

ბუჩი: ახლა რაღა?

მარსელასი: რა და – ერთ-ორ გიჟს გამოვიძახებ, გაზის აპარატით, და მერე ამ... ეი, გესმის შენ? მორჩი ღნავილს! სატირლად აწი გაგიხდება საქმე, ჯერ სადა ხარ...

ბუჩი: ჩვენს შორის როგორ იქნება საქმე-მეთქი...

მარსელასი: რა საქმე, რის... ა-ა – შენ იმაზე ამბობ... არაფერი. არაფერიც არ იქნება. მორჩა.

ბუჩი: მოკლედ, ბარი-ბარში ვართ?

მარსელასი: ეგრეა. ოღონდ ორ რამესა გთხოვ: ჯერ ეს ერთი რო აქ არ ყოფილხარ და ეს საცოდავი... *(ფეხსაცმლის ჭვინტს ჩააზელს ზედს ფერდში)* თვალით არასოდეს გინახავს – არც ცოცხალი, არც ცოცხალ-მკვდარი! მოკლედ, არანაირი არ გინახავს – გესმის შენ?

ბუჩი: მეორე?

მარსელასი: გაქრი აქედან. ამ ქალაქიდან. ახლა. ახლავე. ელ-ეი[33] შენთვის თეთრი ლაქაა რუკაზე. მოვრიგდით?

ბუჩი: როგორც შენ იტყვი.

(ხელს კაცურად ჩამოართმევენ ერთმანეთს, მერე ბუჩი გადის).

მარსელასი იქვე ტელეფონს დაინახავს კედელზე, მიდის და ყურმილს იღებს. მერე ნომერსაც კრიფავს.

მარსელასი: ბატონი ვოლფი... დიახ, მარსელასი ვარ. პატარა გაუგებრობაში მოვყევი და თქვენ თუ...

[33] L.A. = ლოს-ანჯელესი

51. ლომბარდის წინ. შუადღეა.

ბუჩი ლომბარდიდან გამოდის, აქეთ-იქით იხედება. იქვე ზედის კუთვნილ, ნიკელებით გაწყობილ ჩოპერს[34] დაადგამს თვალს. იმით ხვდება ვისიიცაა, რომ ბენზინის ავზზე ოქროსფრად, სტილიზირებული ასოებითაა გამოყვანილი: *Grace*. მოაჯდება, **Z**-იან გასაღებების ასხმულას დააძრობს ჯიბიდან, ძრავას აღმუვლებს და წყვიტავს ადგილიდან...

52. ოთახი მოტელში. იგივე დროა.

ფაბიანა სარკის წინ თავს იკოხტავებს. მაისურის ზურგზე წარწერა: CAN'T COPE, I'M SORRIER THAN U ARE.[35] პატარა მაგნიტოფონიდან ბობ დილანი ბოლო ჭიქა ყავას თხოულობს.[36]

53. ქუჩა. ჩოპერი მიქრის.

ბუჩი ქუჩაში მიაქროლებს ჩოპერს. მამისეულ საათზე იყურება – 10.30.

54. მოტელის გარეხედი. იგივე დრო.

ბუჩი ზედ კართან მიაყენებს ჩოპერს, ძრავას არც თიშავს, ოთახში შევარდება და მისი ხმა გვესმის:

ბუჩი: აბა ჩემი გოგო – ეგ ყუთი ხელში და დავგაზეთ!

ფაბიანა: ბუჩ! ისე ვნერვიულობდი... დაიცა, ჩანთას მაინც... მოგვდევს ვინმე?..

ბუჩი: არავინაც არ მოგვდევს! შეიძლება ითქვას, პირიქით... *per dolce fare niente*...[37] ამიტომაც უნდა ვიჩქაროთ, *mon amour*. გარეთ გიცდი.

---

[34] Chopper (აქ): Raleigh Industries ფირმის მაღალსაჭიანი მოტოციკლი.
[35] წერაობის შანსი არაა. შენზე მეტად მე მწყინს.
[36] დილანის ერთი შედევრთაგანი – 'One more cup of coffee a'fore I go...'
[37] ნეტარ უსაქმურობას (იტალ.)

(ბუჩი გარეთ გამორბის და ისევ მოახტება ჩოპერს. ფაბიანას ცალ ხელში მაგნიტოფონი უჭირავს, მეორეთი – ჩანთას მოათრევს. დაინახავს "რკინის რაშზე" შემომჯდარ ბუჩს და ადგილზე შეშდება)

ფაბიანა: ბუჩ... ეს... საიდან?!

ბუჩი: იქიდან... დაჯე, სწრაფად!

(ფაბიანას ცრემლები მოადგება თვალებზე)

ფაბიანა: ჩემი პაწაწო სადაა?

ბუჩი: მივამტვრიე... კარგი რა, მაპატიე, მაინც ეს არ ჯობია?

ფაბიანა: *(ტირის)* რომ აღარ მოხვედი, იმდენი რამე ვიფიქრე... დაიმტვერი?

ბუჩი: *(ხვდება, ასე მთლად ასე იოლადაც არ გაუვა ყველაფერი)*

დიდი არაფერი, ცხვირი გავიტეხე პატარაზე... საუზმემ როგორ ჩაიარა?

ფაბიანა: *(სახე გამოუდარებს)* მარტო არაჟნით იყო, მაგრამ გემრიელი...

ბუჩი: ხოდა ძალანაც კარგი! დაჯე ახლა და გზად მოგიყვები ყველაფერს – წვრილად, შენ რომ გიყვარს, ისე...

(ფაბიანა უკან მოუჯდება, ბუჩი ჩოპერს ქოქავს და ამჯერად დინჯად ძრავს ადგილიდან)

<u>ეკრანი ქრება.</u>

<u>ჩნდება წარწერა:</u> ***ჯულზი, ვინსი, ჯიმი და ვოლფი.***

<u>წარწერა ქრება.</u>

სიბნელეში მოისმის **ჯულზის ხმა:** *"ოდესმე ბიბლია თუ გადაგიკითხავს, ბრუტ?"*

ბრუტის ხმა: *(დაზაფრულია, აშკარად)* *კი...*

ჯულზის ხმა: იქ ერთი ეგეთი ადგილია, კარგად მახსოვს – სწორედ ზედგამოჭრილია თქვენთვის – *ეზეკიელი, თავი 25, მუხლი 17:*

"... გზაი კაცისა მართლისა მრუდდება ცოდვილთა უკეთურებითა და უკანონობითა ბოროტთა..."

55. სააბაზანო. კარს უკან. დრო იგივეა.

სააბაზანოში ***მეოთხე ბიჭი*** მიყუჟულა; ხელში თავისი გაბარიტებისათვის სრულიად შეუსაბამო, უზარმაზარი, გრძელლულიანი ***მაგნუმ .357*** ჩაუბღუჯავს. აყურადებს.

ვინსის ხმა: ესეც ამათი ბრიაჟკიდანაა?

ჯულზის ხმა: *ეგრეა, კი. მარვინ, ეს ვინსენტია, იცნობდეთ.*

(**მეოთხე ბიჭი** გრძნობს, რომ მოცდას აზრი აღარა აქ, ჯობია თავად გამოხტეს და ეგენი მიასიკვდილოს, სანამ რამეს იყნოსავდნენ...)

56. ბინა. დრო იგივეა.

სააბაზანოს კარი უეცრად ჯახანით იღება და **მეოთხე ბიჭი** გამოვარდება იქიდან; ნერვიულობისაგან ვერცხლისფერი რევოლვერი ხელში უთამაშებს.

IV ბიჭი: მოკვდით თქვენი!!! მოკვდით... მოკვდით... მოკვდით... მოკვდით...მოკვდით... მოკვდით!..

(ექვსივე ტყვიას გამოუშვებს ამ თავისი ჯიბის ზარბაზნიდან, თან აღტკინებული ყვირის, მართალი შურისგების ჟინით შეპყრობილი – ვერც გრძნობს, მჯიდე რომ დაიცალა და რამდენჯერმე ფუჭად გამოკრავს სასხლეტს... მერე ნელ-ნელა სახე ეცვლება)

ჯულზი და ვინსენტი დგანან გვერდი-გვერდ, **არც ერთი ტყვია არ შეხებიათ,** ისევე გაოგნებულები ჩანან, როგორც ის ვაი-მსროლელი. მერე ჯერ ერთმანეთს შეათვა-ლიერებენ, ვიდრე **მეოთხე ბიჭზე** არ გადაიტანენ მზერას...

IV ბიჭი: *რა...*

(და აქ ის სამუდამოდ ტოვებს სცენას, ჯულზისა და ვინსის ტყვიებით დაცხრილული)

მომხდურები კი იარაღიან ხელებს დაუშვებენ; მერე ჯულზი სკამის კიდეზე ჩამო-ჯდება, გაოგნებულია. ვინსი ჯერ თითქოს ცდილობს გაიაზროს მომხდარი, მერე მხრებს აიჩეჩავს მხოლოდ. ორივენი ახლა მარვინს მოუტრიალდებიან.

ვინსი: უხ შენი! ვერა თქვი, იქ თუ ვინმე იმალებოდა?!

ჯულზი: ბოიშვილი ვიყო.....ფაიზაღად მკვდრები უნდა ვყოფილიყავით, ორივენი... ვინს, ნახე რა ეჭირა?..

ვინსი: კი... ***357.***

ჯულზი: არა, გესმის მაინც, ტრუპები რო უნდა ვიყოთ უკვე?.

ვინსი: გაგვიმართლა.

ჯულზი: *(წამოდგება, მძიმედ, ვინსენტს უახლოვდება)* არა ძმაო, მთლად ეგრეც არაა... სხვა რაღაც ამბავია ჩვენს თავს!

ვინსი: *(წასვლას ეპირება)* ხო, რა ვიცი – იქნებ ეგრეცაა.

ჯულზი: იცი, როგორ არ იცი... ღვთის ხელი იყო ეს... ვერა ხვდები?

ვინსი: აბა, კი... გარდამოსვლა იყო და ღმერთმა ტყვიები აორთქლა. ნამდვილად.

ჯულზი: დიახაც რომ ეგრე...

ვინსი: *(აწყვეტინებს)* წავედით, რა.

ჯულზი: დაიცა, ეგრე არ გამოვა... დაიცა – არ გაახურო ეხლა შენებურად! არ მითხრა ეხლა, არაფერიც არ იყოო...

ვინსი: კარგი რა – ეგეთები ხდება?.

ჯულზი: არა, არ ხდება! სწორედაც რომ არ ხდება ეგეთი არაფერი... და არც შეიძლება მოხდეს, მე მაგის!

ვინსი: წამო რა, თეოლოგია მანქანაში გაახურე... საცაა კოპები გაიჩითებიან. გინდა იმათ ებაზრო?

ჯულზი: მე მარტო ის მინდა, არ გაახურო ეხლა და აღიარო – საოცრების მომსწრენი შევიქენით – მეც და შენც, შენი ურწმუნო თომა ტვინი ვანთხიე მე შენი!

ვინსი: მოსულა. ეხლა წავედით?

57. ჯულზის შევროლე. შიდახედი. დილაა.

ჯულზი საჭეს უზის, ვინსენტი – გვერდით, მარვინი უკან მოკალათებულა.

ვინსი: ...შენც ერთი, რა! აი ის თოქ-შოუ არ გინახავს – *"პოლისმასტერები"* ქვია, იქ ერთი კოპი ბლატაობდა რო ერთხელაც დერეფანში ესროდნენ თურმე ერთმანეთს ეგა და კიდე ვიღაც შავი მასტი... მოკლედ, რაც ქონდათ, სულ დაახალეს ერთმანეთს, იმ ვიწრო დერეფანში, და ერთიც არ მოხვედრია არც ერთს! ხდება ხოლმე, გეუბნები...

ჯულზი: თუ გინდა იძახო, ბრმა ვარო – წადი და ერთი ნაგაზი მაინც იყიდე, მოგიხდება... მე კიდე თვალები გახელილი მაქ, და *ვისაცა ასხმენ თვალნი ხედვად...*[38]

[38] სახარებისეული პარაფრაზი: რომელთა ასხმენ ყურნი სმენად, ისმინენ! (მარკოზი, 7,16)

ვინსი: და რაო მერე მაგით, რა მინდაო?

ჯულზი: რა და ის... მივდივარ.

ვინსი: მერე, სად ჯანდაბაში მიდიხარ? რაღაც ვერ ვამუღამებ, რას ბაზრობ...

ჯულზი: საქმიდან გავდივარ, მორჩა.

ვინსი: ღმერთო შენ მიშველე!

ჯულზი: ნუ მკრეხელობ!

ვინსი: სულ გარეკე?!

ჯულზი: აგერ ნახავ. დღესვე ვეტყვი მარსელასს, გავსწორედეთ-მეთქი.

ვინსი: გაგისწორდება, კი. ან ფანჯრიდან გადაგიშვებს, ან იქვე ჩაბჟირდება სიცილით...

ჯულზი: არაა აქ არაფერი სასაცილო.

(ვინსი მარვინს მიუტრიალდება, პისტოლეტი ჯერ ისევ ხელში აქვს)

ვინსი: რას იტყვი, მარვინ ჩემო? გაუვა ეგეთები მარსელასთან?

მარვინი: რა ვი, აბა... აზრზე არა ვარ.

ვინსი: მორჩი რა, ეგეთ ბაზარს! შენ რას იტყვი – მართლა ჩამოვიდა ღმერთი თავისი ფეხით და ტყვიებს დაუქშია?.

(უცებ, "შარო საიდან მოდიხარო" და ვინსს იარაღი გაუვარდება – ტყვია მარვინს ყელში გაუვლის, თავი უკან გადაუვარდება და ხროტინს იწყებს)

ჯულზი: რაებს მიქარავ, ვინს?!

ვინსი: შემთხვევით მომივიდა, ღმერთმანი!

ჯულზი: რა ეშმაკები მოგივიდა შემთხვევით?..

ვინსი: რაღაცას რო გადაუარე, შევქანდი და სასხლეტს გამოვკარი შემთხვევით...

ჯულზი: მართლა შექანებული ხარ, შეჩემა – როდის რას გადავუარე?!

ვინსი: კარგი რა, ბოლო-ბოლო, რა მნიშვნელობა აქ! კვდება ბიჭი – არ მივეხმარო?

ჯულზი: *(ჭკუაზე აღარ არი)* რა არ უნდა ქნა?!.

ვინსი: ძაან ტკივა... ის ფილმი არ გახსოვს – "ქანცგაწყვეტილ ცხენებს..."

ჯულზი: *(აწყვეტინებს)* ფილმი არა, იხვი! ჯერ კაცი დაჭერი და ახლა უნდა მოკლა?

ვინსი: რაღაცა ხო უნდა ვქნათ?

(უკან მიუტრიალდება მარვინს, შუბლზე თავის 45-იანს დაადებს; მარვინს თვალები უფართოვდება, რაღაცის თქმა უნდა, არაფერი გამოსდის, მხოლოდ ბუყბუყებს თითქოს)

ჯულზი: მარვინ, რამე რო იყოს, მე ამაში უბრალო ვარ ძმაო – ნაღდად რო თავშიც არ გამივლია...

ვინსი: შენ იყო პილატე პონტოელი... მოკლედ, სამ თვლაზე დააპიპინებ! *ერთი..... ორი!..*

<u>ბლოუ-აპი საჭის სიგნალზე</u>

...სამი!

(ჯულზი გამწარებული აჭერს საყვირს; ისმის გასროლის ხმა)

როცა კადრში ისევ გამოჩნდებიან, მანქანის მთელი სალონი სისხლშია მოთხვრილი – სალონიცა და ჩვენი გმირებიც.....

ჯულზი: ღმერთო დიდებულო!

ვინსი: ი-იო-ობ...

ჯულზი: დღისით, მზისით, შუა ქუჩაში!!

ვინსი: აი ეს შხეფები ვეღარ ვიაზრე...

ჯულზი: აჰა-ა, ახლა ხო მაგრა გაიაზრე! დაიცა, სადმე უნდა გადავუხვიოთ, თორე ვიღაც-ვიღაცეებს მაგრა არ ევასებათ, შუა პროსპექტზე სისხლში გათხვრილი მანქანა რო გაეჩხირებათ ხოლმე თვალებში!

ვინსი: კარგი რა, ჯულზ, ნუ შემჭამე! მოიფიქრე რამე...

(ჯულზი მობილურს აძრობს ჯიბიდან და ნომერს კრიფავს)

ვინსი: სად რეკავ?.

ჯულზი: ერთ ჩემ ძმაკაცთან, ტოლუკა-ლეიკში.

ვინსი: ეგ სადა?

ჯულზი: აქვეა, გორაკს იქით. ეგ თუ ახლა სახლში არაა და დაგვენძრა. აქეთ მხარეში მეტს არავის ვიცნობ... *(ტელეფონში ჩასძახის)* ჯიმი! როგორ ხარ, ბრატ! კი, მე ვარ... მისმინე ახლა, აქ ეგეთი ამბავია, რაღაც ცუდ საქმეში გავეჩხირე ხო იცი... ხო, მანქანით ვარ. შენი გარაჟი მჭირდება, სულ რაღაც ორი საათით... (პაუზა) არა, ეგ ახლა სატელეფონო ბაზარი არაა, ოღონდ ცოტა დრო მინდა, სანამ ჩვენები ატმაზს მომცემენ... *(პაუზა)* მესმის, ჯიმი-ბიჭი, ოღონდ სხვა გზა არაა... მესმის, მაგ დროს ჩვენი დუხი აღარ იქნება მანდ. კი, გპირდები. ჯიმი, ყველაფერი მესმის, არ დაგაღალატებ. *(პაუზა)* არა, ვერ-აფერს ისქესებს, შანსი არაა. ხუთ წუთში მანდა ვარ. აბა შენ იცი.

(ტელეფონს ჩაკეცავს, ვინსენტს მიუტრიალდება)

ჯულზი: მოვრიგდით. ოღონდ საათნახევარში მისი ცოლს უთავდება მორიგეობა, იქამდე უნდა მოვასწროთ ყველაფერი.

58. ჯიმის სახლი. გარეხედი. დილაა.

შევროლე მომცრო სახლის გარაჟში შეიმალება.

59. სააბაზანო ჯიმის სახლში. იგივე დროა.

ჯულზი პირსაბანზე გადახრილა, ხელებიდან და კისრიდან სისხლს იბანს. უკან ვინსენტი უდგას.

ჯულზი: ჯიმი მაგრა გაიჭედა. ჩვენი ბრალია. ფრთხილად იყავი, ისეთი არაფერი დაგცდეს, თორე გაგვყრის აქედან.

ვინსი: და რა მერე – რა უნდა ვქნათ?

ჯულზი: ვერაფერსაც ვერ ვიზამთ. მართლა ხო ვერ წავალთ... ოღონდ არ ვარგა ასე რო შეუვარდები შენს ძმაკაცს და...

(ჯულზი წელში გასწორდება და პირსახოცს იღებს. ახლა ვინსი იკავებს მის ადგილს)

ვინსი: ერთი ეგ უთხარი, ბევრს ნუ იჭიფხება და არ იქნება არავითარი პრობლემა. მარვინი რო დაინახა, გარეკა კინაღამ.

ჯულზი: კარგი რა, ერთი შენ წამოგაგდონ დილაუთენია და საკუთარ გარაჟში ეგეთი რამე დაგახვედრონ...

(ვინსენტიც გადაიბანს ხელებს და ახლა ისიც დასწვდება პირსახოცს)

ვინსი: კარგი რა, აბა რას ელოდა – ვაშლებს?

(ხელებს გაიმშრალებს და მთელი პირსახოცი წითლადაა აფორაჯებული)

ჯულზი: ეგაა შენი დაბანილი ხელები?! რა უქენი პირსახოცს?.

ვინსი: ნუ ხარ რა, შარზე. საპონი არ უვარგა...

ჯულზი: მეც რა, იგივე საპნით არ დავიბნე?! ნახავს ახლა მისი ცოლი ამას და გადავა ჭკუაზე, აბა რა მოუვა! მოკლედ, ფრთხილად იყავი რა, თავი დაიჭირე-მეთქი, სხვას ხო არაფერს გთხოვ.

ვინსი: ჯულზი, რათ გინდა ეგეთები – მთხოვე ერთხელ და მორჩა, მე ხმას აღარ ვიღებ. შენი ძმაკაცია და შენვე ებაზრე. ოღონდ ისტერიკებს ნუ მომიწყობს აქ. ჩემი არ მეყოფა?.

60. საშხარეულო ჯიმის სახლში. დილაა.

სამნი დგანან, ყავის ჭიქებით ხელში. ჯიმის კიმონო შემოუსხამს. ასე, ოცდაათიოდე წლის იქნება (ჯიმი, რა თქმა უნდა, არა კიმონო).

ჯულზი: ჯიმი შე ძველო, მართლა მაგარი ყავაა! ჩვენისთანებს უბრალოც გვეყოფოდა, შენ კი რას გვახარჯავ... ცოლი არაფერს გეტყვის?

ჯიმი: მორჩი ახლა... ჩემი ცოლი ათას ნაგავს ყიდულობს იაფად, მე კი გემო მინდა ვიგრძნო. ოღონდ ახლა მაგ ყავის დარდი არა მაქ, ის მკვდარი ზანგი უფრო მედარდება ჩემ გარაჟში...

ჯულზი: ე-ე...

ჯიმი: ნუ ყმუი. და ნურც მაწყვეტინებ... მარტო ეს მითხარი: აქ რო მოდიოდი, ნახე სადმე წარწერა – *მკვდარი ზანგების შესანახი?*

ჯულზი: კარგი რა, ჯიმი...

ჯიმი: არა, თუ ნახე სადმე? იქნება ნახე და მიმალავ! ეგრეა?.

ჯულზი: *(ამოიხვნეშებს)* არა ჯიმი, არ მინახავს.

ჯიმი: მერადა იცი რატო არ გინახავს? იმიტო რო ეგ

ჩემი ბიზნესი არაა – მკვდარი ზანგები ვაგროვო და მერე მეგობრებს ვუწყო გარაჟში შტაბელებად...

ჯულზი: დაიცა რა, ჯიმი...

ჯიმი: აზრზე მოდი – ცოლმა რო ნახოს, გაყრა ზედა მაქ! ცოლსაც ვკარგავ და სახლის ნახევარსაც... მანქანა თუ დამიტოვა, მადლობელი უნდა ვიყო. თუ საერთოდ ციხეში არ მიკრეს თავი ლეშის შენახვისათვის! გესმის შენა?! ხალხს რა ვუთხრა – დასაკონსერვებლად მინდოდა-მეთქი?!

ჯულზი: ჯიმი...

ჯიმი: რა *ჯიმი-ჯიმი* აგიტყდა... ოცდათი წელია უკვე ჯიმი ვარ, რა მერე? ერთ საათ-ნახევარში ჩემი ბეტსი მოვა – რა ვუთხრა? რით გავახარო? ნახე, გარაჟში რა ცინცხალი მკვდარი ზანგი და გახვედრე-მეთქი?! მოკლედ, დროზე გამოიძახე ვინც საჭიროა და აუდეთ აქედან! მე შუაში არა ვარ!

ჯულზი: აბა მე რას გეუბნები, ჯიმი? მეტი არც გვინდა – ერთ საათში ჩვენი კვალი არ იქნება აქ! ძმობას გეფიცები! შენ ოღონდ ნერვებს გაუფრთხილდი... მე გავალ, ერთს კიდე გადავრეკავ...

ჯიმი: *(რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ უცებ ვინსის მზერას წააწყდება)*

არა, შენ მაინც ვინ ჩემის შიბლა ხარ?.

ვინსი: ვინსენტი მქვია. და რამე იყოს, მადლობა მინდა გითხრა.. ისე, ნერვები საუფროსო გქონია.

ჯიმი: ა-ა... მოგცლია ერთი! *(იცინიან)*

61. ჯიმის სახლის ჰოლში. იგივე დროა.

ჯულზი იქით-აქეთ დადის, ტელეფონით ხელში.

ჯულზი: გამიგე რა – ძაან ცუდი სიტუაციაა, მარსელას... მაგის ცოლი თუ დაბრუნდა და... კაცმა არ იცის, რა მოხდება!

მარსელასი: სხვა გამოსავალი არი რამე? აი ისეთი, ტელეფონით რომ არ...

ჯულზი: მარსელას, ჭკუაზე თუ ხარ?! ეს ჩემი ძმაკაცია და აქეთ შეგვიფარა და ახლა მეუბნები...

მარსელასი: დაიცა ხო, ყველაფერიც მესმის. უბრალოდ, ასე ვთქვათ, ვარიანტებს...

ჯულზი: რა ვარიანტებს, ვარიანტი არაა – იძახებ შენს ძაღლებს და გაგყევართ აქედან!

მარსელასი: ვოლფი უკვე გამოძახებულია. დაელოდეთ.

ჯულზი: ვინ... შენ რა, ვოლფი გამოაგზავნე?!.

მარსელასი: მოგეშვა ცოტათი?

ჯულზი: ეგრეა. მადლობელი, ძმაო.

მარსელასი: გაიხარე.

62. სასტუმროს ნომერში. დილაა.

ლოგინზე, სმოკინგში გამოწყობილი, ზურგით ჩვენკენ ზის ***უინსტონ ვოლფი,*** ანუ უბრალოდ, ვოლფი. ცალ ხელში ტელეფონის ყურმილი უჭირავს, მეორეთი – რაღაცას ინიშნავს უბის წიგნაკში.

ვოლფი: ...ასე ვთქვათ, ცოტათი ისტერიული ტიპია? *(პაუზა)* გასაგებია. როდის ბრუნდებაო? *(რაღაცას იწერს)* მოქმედ პირთა სახელებიც შემახსენეთ... *(იწერს)* ასე, ჯულზი...

(მისი წიგნაკის გვერდს ვხედავთ, ზედ წერია: **"1256 რივერსაიდ-დრაივ, ტოლუკა; 1 სხეული (უთავოდ), სისხლით მოთხვრილი სალონი. ჯულზი,ზანგია..."***)*

ვოლფი: ერთ საათში გადმოგირეკავთ. იქამდე ნახევარი საათის საკალია. დარდი გაუშვით, ათ წუთში იქა ვარ.

(კიდებს ყურმილს)

<u>კადრი იცვლება:</u>

<u>ჩნდება წარწერა:</u> ***"9 წუთისა და 37 წამის შემდეგ".***

<u>კადრი ისევ იცვლება:</u>

63. ქუჩა ჯიმის სახლის წინ. დილაა.

ვერცხლისფერი *პორში* ქუჩაზე გამოსრიალდება, არანორმალური სისწრაფით და მისთვის ნორმალურად,. ადგილზევე იყინება ზედ სახლის პარმაღთან.

თვალბეჭდიანი თითი შემოსასვლელ კარზე ზარის ღილაკს აჭერს, მოზომილად. *დინ-დონ!*

კარს ჯიმი უღებს. ზღურბლზე სმოკინგიანი მასტი დგას, ჯერ ჯიმის აათვალჩაათვალიერებს და მერე წიგნაკში იხედება.

ვოლფი: ჯიმი ხართ, არა? ეს თქვენი სახლია – არ მეშლება?

ჯიმი: კი... უფრო სწორად, არა – არ გეშლებათ...

ვოლფი: *(ხელს უწვდის)* უინსტონ ვოლფი. ჩემი საქმიანობა – პრობლემების გადაჭრაა.

ჯიმი: აგაშენათ ღმერთმა! აქ ერთი ისეთი პრობლემა...

ვოლფი: ვიცი. მოვიდა სიგნალი. შეიძლება?..

ჯიმი: მობრძანდით, აქეთ... *(სასტუმრო ოთახში შეყავს)*

ვოლფი: დავალებული მაქვს გადმოქცეთ, რომ ბ-ნი მარსელასი მეტად მადლობელია თქვენი – ამ საჩოთირო საქმეში დახმარებისათვის. ბ-ნი მარსელასის მადლობა კი ერთ რამედ ღირს, დამიჯერეთ.

(სასტუმრო ოთახი; ჯულზი და ვინსი ფეხზე წამოდგებიან)

ვოლფი: თქვენ, ჩემი გაგებით, ჯულზი უნდა იყოთ – რაც

იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ – ვინსი იქნებით... მაშ ასე, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, ბატონებო – როგორც ვიცი, დრო არ ითმენს?

ჯიმი: ასეა, ნამდვილად.

ვოლფი: თქვენი მეუღლე, ე-ე... *(წიგნაკში იხედება)* 9.30-ზე ბრუნდება შინ და ვერ ვიტყვით, სტუმრების ნახვით დიდად გაიხარებსო, ასეა?

ჯიმი: არა – *საერთოდ* არ გაიხარებს!

ვოლფი: ასე და ამგვარად, ბატონებო, ჩვენ 40 წუთი გაგვაჩნია, რათა ყველაფერს მოვრჩეთ და აქედან მოვუსვათ! ეს კი სავსებით საკმაო დროა, თუ ყველაფერს ისე იზამთ, როგორც მე გეტყვით და უაზრო კითხვა-პასუხებზე არ დავიხარჯებით! როგორც მომახსენეს, გვამი მანქანაშია, მანქანა კიდე – გარაჟში... აქ რაღას ვუდგევართ?

64. ჯიმის გარაჟში. იგივე დრო.

ვოლფი მანქანას ათვალიერებს – გარშემო უვლის, კარს გამოუღებს, სალონში შეიხედავს... დანარჩენები მას მისჩერებიან.

ვოლფი: ჯიმი?

ჯიმი: გისმენთ...

ვოლფი: თუ ყნოსვა არ მღალატობს, რომ შემოვედი, თქვენს ბინაში კარგი ყავის არომა იდგა... არ გამიმასპინძლდებით?

ჯიმი: როგორი გნებავთ?

ვოლფი: ნაღებითა და შაქრით, თუ ძაან არ შეწუხდებით.

ჯიმი: რაზეა ბაზარი... *(გადის)*

ვოლფი: მანქანას რაც შეეხება – რაიმე ფარული ნაკლი ხომ არაფერი აქვს? ან ბოლავს, ან ქრება, ან რაიმე ეგეთი...

ჯულზი: უმაღლესია თავის ფასში.

ვოლფი: ან იქნებ საწვავი უთავდება?

ჯულზი: ამ დილით ჩავუსხით.

ვოლფი: მაშ, სრულიად არაფერი? იცით, არავითარი სურვილი არ მაქვს, რამე სისულელის გამო გამაჩერონ და შარი მომდონ...

ჯულზი: შანსი არაა.

ვოლფი: კეთილი. სახლში შევიდეთ, ბატონებო.

65. საშხარეულო. იგივე დროა.

ჯიმი ფინჯან ყავას მოართმევს ვოლფს.

ვოლფი: მადლობა, ჯიმი.

(მოწრუპავს და ბოლთის ცემას იწყებს)

მაშ ასე, ბატონებო – თქვენ ორნი *(ჯულზსა და ვინსს მიათითებს)* ცხედარს საბარგულში მოათავსებთ. ახლა თქვენ, ჯიმი: როგორც ვატყობ, თქვენი მეუღლე დიდად მეოჯახე ქალია, ე.ი. სადღაც საკუჭნაო უნდა გქონდეთ – სარეცხი პასტები, ფხვნილები, ჯაგრისები... მიმიხვდით?

ჯიმი: სააბაზანოშია, ოხრად.

ვოლფი: ძალიან კარგი. ბატონებო, თქვენ ახლა ამ სარეცხ საშუალებებს აიღებთ და მანქანის სალონს გამოასუფთავებთ, თანაც სწრაფად, სწრაფად, სწრაფად... უკანა სავარძლებს ტვინის ნაშხეფები და ქალის ძვლის ნაფჩხვენები არსად შერჩეს, იცოდეთ. ფანჯრების დაკრიალება სულაც არაა საჭირო – ოღონდ წითელი ფერის ნადღაბნი არ დავინახო სადმე. მოკლედ, მთავარია საგზაო პოლიციას არ მივცეთ საბაბი... აბა, მკვირცხლად, ბიჭებო! ჯიმი – გამოიტანე, რაც კი გაქ!.

(ჯიმი სააბაზანოსკენ გავარდება, ჯულზი – გარაჟისკენ, მარტო ვინსი ითრევს ფეხს)

ვინსი: რა, ჯარში ვართ?.

ვოლფი: რა ბრძანე, ჩემი ბიჭი?

ვინსი: ვერ ვიტან, ვიღაცა რო ბრძანებებს იძლევა, სერჟანტივით.

ვოლფი: მე აქ იმის გასარკვევად არ გამომიძახეს, თქვენ რას იტანთ და რას ვერა – თუ არ გჭირდებით, მეყოლეთ ვარდივით.

ვინსი: თქვენი წყენინება არც მიფიქრია, უბრალოდ, ჯარში ყოფნა არ მინდა.

ვოლფი: ვის უნდა? მაგრამ არც ციხე გვხიბლავს, ხომ ასეა? მე თუ მოკლე-მოკლედ ვლაპარაკობ, ეს იმიტო რომ დრო ცოტა გვაქვს. უფრო სწორად, საერთოდ არა გვაქვს ზედმეტი დრო. და მე მჭირდება რომ აკეთოთ ის, რასაც მე გეტყვით, და აკეთოთ სწრაფად. ახლა კი – *გემუდარებით,* თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მანქანა გააკრიალეთ-მეთქი!

66. ჯიმის სამზარეულო. დილაა.

ვოლფი ტელეფონზე ლაპარაკობს.

ვოლფი: ... კი, 1974 წლის გამოშვება. თეთრი. არა, მხოლოდ შიგნიდან. *(პაუზა)* ასე, ოც წუთში. *(პაუზა)* მაგარი ხარ, ჯოლი. გნახავ. *(მობილურს ჯიბეში იდებს)*

ჯიმი: მისტერ ვოლფ, კარგად გამიგეთ...

ვოლფი: უინსტონი, ჯიმი – უინსტონი დამიძახე.

ჯიმი: ცუდად არ გამიგოთ, უინსტონ... როგორც შემიძლია გეხმარებით და რამე ეგეთი, ოღონდ... რამე რო იყოს...

ვოლფი: ნება მომეცით დაგეკითხოთ, ჯიმი – ე-ე... საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

ჯიმი: არა, რაზეა ბაზარი, ოღონდ ჩემმა ცოლმა რომ...

ვოლფი: ჯიმი, პირდაპირ მითხარი – შენ რა, მილიონერი ხარ?

ჯიმი: მეტყობა რამე?!

ვოლფი: ან ბიძა გყავს ეგეთი, ან ვინმე?

ჯიმი: კარგით რა...

ვოლფი: არა ჯიმი, დღეიდან გყავს – შენი ბიძია მარსელასი მართლა მილიონერია და ერთი პატარა საქორწილო საჩუქრის გადმოცემა დამავალა შენთვის, უფრო სწორად – შენი ცოლ ისთვის... *(ბანკნოტების შეკვრას დააძრობს ჯიბიდან)* სიმართლე გითხრა, მე პირადად მუხის ავეჯი მირჩევნია – შენს ცოლს უყვარს მუხა?

ჯიმი: მაგრა.

67. ისევ გარაჟში. იგივე დროა.

ჯულზი და ვინსენტი, ორივე ისევ სისხლში მოთხვილი, *შევროლეს* ასუფთავებენ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ოღონდ რაც ადრე ყასბის საკუჭნაოს გავდა, ახლა ჩვეულებრივ სალონად გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, გარედან მაინც.

ვოლფი შემოდის და მანქანას წრეს ურტყავს.

ვოლფი: კარგად გიმუშავიათ, ბატონებო! არ ველოდი. მგონი, გამოვძვრებით... ახლა – ფაზა #2: *თქვენი* გარეცხვა.

68. ჯიმის სახლის უკანა ეზო. დილაა.

ჯულზი და ვინსი გვერდი-გვერდ დგანან, სისხლით მოთხვრილ შავ-შავ კოსტუმებში გამოწყობილნი; ჯიმის ცელოფანის დიდი პარკი უჭირავს, ვოლფს – ეზოს სარწყავი შლანგი.

ვოლფი: სამოსელი განიძარცვეთ, ბატონებო!

ვინსი: რა მინდაო?

ჯულზი: სულ?.

ვოლფი: სიშიშვლემდე. ჩათვლით. დაუჩქარეთ ბატონებო, დაუჩქარეთ, დრო არ ითმენს...

ვინსი: ცივა, ეს ოხერი... აუცილებელია?

ვოლფი: აზრზე თუ ხართ, როგორ გამოიყურებით? ზუსტად იმ ორი ვირგლასავით, ეს-ესაა რომ 45-იანით თავი წააცალეს ვიღაცას... ტანსაცმელზე მაინც დაიხედეთ! მოკლედ, სამოსი – პარკში, თქვენ – საპონი, ჯიმი კი ციხის ზედამხედველის როლს გაითამაშებს.

(იხდიან. ჯიმი პარკში ტენის შმოტკებს, მერე შლანგს დაავლებს ხელს, სარქველს მოხდის და ჭავლს მიუშვებს)

ვინსი: ცივა, შენი!

ვოლფი: ცოტაც გაუძელით, ბატონებო – საქმე ითხოვს!

(მალე წყლის ჭავლი წყდება, ჯიმი შლანგს ძირს აგდებს)

ვოლფი: თითო პირსახოციც, ჯიმი.

(კანის დაწითლებამდე იმშრალებენ. ჯიმი ახალ ტანსაცმელს ურიგებს)

ჯიმი: რა ვქნა, ძმებო – ესაა სულ რაც კი თქვენი სარგო გამოვნახე: ორი საცურაო ტრუსი და ორიც ეს მაისური... ერთს არაფერი არ აწერია, მეორეს – **O.M.K.**[39] აირჩიეთ...

ჯულზი: ეგ მე!

<u>კადრი იცვლება:</u>

---

[39] იესო მაცხოვარი კაცთა.

69. ჯულზი და ვინსენტი

ამ ახალ სამოსში ჯულზი და ვინსენტი ნაღდად რომ აღარაფრით გვანან იმ ჩაშავკოსტუმებულ "მაგარ ბიჭებს", ადრე რომ ვიხილეთ.

ვოლფი: შესანიშნავია ბატონებო, შესანიშნავი! ისე გამოიყურებით, როგორც – ე-ე... მაინც როგორ გამოიყურებიან, ჯიმი?

ჯიმი: *(ქირქილებს)* წყვილი პიდორივით!

(ვინსი ჯიმიზე გაიწევს, ჯულზი აკავებს)

ვოლფი: კარგით, ბატონებო – გართობა მერე! ჯერ ფონს არ გავსულვართ!

(ყველანი გარაჟისკენ მიემართებიან)

70. ჯიმის გარაჟში. იგივე დრო.

დალაქავებულტანსაცმლიანი ცელოფანი მარვინის გვამს ზემოდან ეცემა. ვოლფი საბარგულის დახურავს.

ვოლფი: მაშ ასე, ბატონებო – ახლა ჩვენ ერთ ალაგას გავემართებით – "მოზვერა ჯოლის მანქანების საყრელი" – ასე ეძახიან და ძაანაც ნუ გაიკვირვებთ... მთავარია რომ ჯო სრულად შევიდა ჩვენს მდგომარეობაში და მზადაა, დაგვეხმაროს. ოღონდ საქმეც ეგაა, გზის დიდი ნაწილის გავლა ჰოლივუდის ჰაივეით გვიწევს — კატაფალკს მე წავიყვან, ჯულზი გვერდით მეჯდება, ვინსი კი ჩემი *პორშით* – კვალში. თუ, ღმერთმა დაგვიფაროს და პატრულმა გაგვაჩერა, თითსაც არავინ გაანძრევს, სანამ მე არ დავალაგებ სიტუაციას! ჯულზ, გაიმეორეთ – დამდეთ პატივი...

ჯულზი: თითიც არ გავანძრიოთ, სანამ...

ვოლფი: სანამ რა?

ვინსი: სანამ თქვენ არ მოაყომარებთ ყველაფერს.

ვოლფი: აგაშენა ღმერთმა! მაშ, თქვენი იმედი ვიქონიო, *დინამიტო?* [40]

ვინსი: *(განაწყენებული გამომეტყველებით)*

კარგით რა, მისტერ ვოლფ. ერთხელ იარაღი თავისითაც გაისვრის ხოლმე... მართლა ასე მოხდა, მე არაფერ შუაში ვარ, ღმერთმანი.

ვოლფი: კეთილი. *(გასაღებს გადაუგდებს)* სწრაფი ტარება მიყვარს, არ ჩამომრჩეთ. და ერთიც კიდევ: ჩემ მანქანას რამე რომ დაემართოს, მოზვერა ჯოს ერთის მაგივრად ორი გვამის გაქრობა მოუწევს, იცოდეთ...

(კარში ჯიმი გამოჩნდება, ფოტოაპარატით ხელში)

ჯიმი: ერთი არ ჩავფოტოვდეთ სამახსოვროდ?

ჯულზი: ისედაც ვაგვიანებთ...

ჯიმი: კარგი რა, სულ ერთი წკაპი და...

(ჯულზი და ვინსი გვერდი-გვერდ დგებიან)

ჯიმი: თქვენც, უინსტონ!

ვოლფი: არ მიყვარს პოზიორობა...

ჯულზი: უარს ნუ გვეტყვით, მისტერ ვოლფ – კარგი მოსაგონარი იქნება.

ვოლფი: ეს ხათრიანობა დამღუპავს...

(გვერდით დაუდგება ამ ანეკდოტურად გამოწყობილ წყვილს – საოცარი კონტრასტია. ჯიმი აპარატს მომართავს და მერე ისიც მათთან მოირბენს)

ეულ კადრში მოჩანს ფოტოაპარატის ლინზა; რაღაც გაიჩხაკუნებს და ეკრანი მჭახედ თეთრდება. ამ სითეთრიდან ნელი-ნელ იკვეთება ფოტო: ჯულზი და ვინსენტი ერთად დგანან, ხელიხელგადახვეულები; მათ გვერდით ჯიმის უინსტონისთვის მოუხვევია ხელი და ძაან კმაყოფილი სახით იკრიჭება. სერიოზულ გამომეტყველებას მხოლოდ ბ-ნი ვოლფი ინარჩუნებს.

---

[40] მსახიობ ჯიმი უოლკერის მეტსახელი; საინტერესო დამთხვევაა, რომ სწორედ მან შეასრულა ერთ-ერთი როლი პაროდიულ ფილმში "წყალწყალა საკითხავი" (Plump Fiction).

71. მოზვერა ჯოლის მანქანების საყრელი. ჯერ ისევ დილაა.

ასეთი დაწესებულება მსოფლიოში ყველა ერთმანეთს გავს; უინსტონ ვოლფი სამიათას დოლარს ჩაუთვლის ხელში ჯოლის – ერთ კაფანდარა, გაზინზლულ კომბინეზონში გამოწყობილ ტიპს.

ვოლფი: რამე იყოს, პატარა ფასდაკლება არ მერგება?.

ჯოლი: *(მაყუთს ითვლის)* შემიძლია სხეულის რომელიმე ნაწილი უფასოდ გავაქრო. ისიც მხოლოდ შენი ხათრით...

ვოლფი: მოდი ასე: მთელ სხეულს გააქრობ ერთი რომელიმე ნაწილის ფასად – მოსულა?

ჯოლი: ჩემ ბუღალტერს უნდა მოვეთათბირო.

(იცინიან)

ვოლფი: შენი პრინცესა სადაა?

ჯოლი: ქუჩაში იქნება, სხვა სად. პრინცს დაეძებს...

72. იგივე ადგილი, იგივე დრო.

უინსტონს ჯოლის ქალიშვილი, სამბო[41] ***რაქელი*** უახლოვდება. დიდი ხნის უნახავებივით გადაეფსკვნებიან ერთმანეთს.

რაქელი: კაი ბიჭს გაუმარჯოს! მომნატრებიხარ, ხო იცი...

ვოლფი: რა ხანია ვეუბნები მამაშენს – აქაურობას აბრა შეუცვალე, "ურჩხული და ლამაზმანი" უნდა ერქვას-მეთქი!

რაქელი: იმდენი შენ რა გითხარი! ახლა რას აპირებ?

ვოლფი: ძილს.

---

[41] მულატისა და სხვა რომელიმე რასის ნარევი.

რაქელი: არაფერი გამოგივათ, მისტერ ვოლფ!

ვოლფი: აბა, რას ვაპირებთ?

რაქელი: რესტორანი, ცეკვა, ლოგინი.

ვოლფი: ამ დილაუთენია?! შემიბრალე! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს – რა ხნისა გგონია ჩემი თავი?

რაქელი: არ ვიცი, არ ვიცი... მე მარტო ის ვიცი რომ განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას...

(გარეთ გადიან. ჯულზი და ვინსი 'პორშთან' ელოდებიან)

ჯულზი: როგორაა საქმე?

ვოლფი: ვითომ არც ყოფილა.

(ჯულზი და ვინსი ერთმანეთს ხელებს უტყაპუნებენ ბეჭებზე)

ვოლფი: მე და ეს ქალბატონი სასაუზმოდ მივდივართ – დაგიმგზავროთ?

ჯულზი: მადლობა, მაგრამ მე რედონდო-ბიჩში მინდა, ამას – ინგლვუდში... არაფერი გამოვა.

ვოლფი, თითქოს ტრანსშიაო, ჯულზის ხელს თავის ხელისგულებში მოაქცევს და "მკვდარი ზონის"[42] წინასწარმეტყველივით მოყვება ბურტყუნს:

ვოლფი: თქვენს მომავალსა ვჭვრეტ... ვხედავ, ვხედავ – ტაქსით მგზავრობის უცილობლობას! *(ისევე უცებ მოსხეპს მასხრობას, როგორ მოულოდნელადაც წამოიწყო)* ჩვენი გზები აქ იყრება, ბატონებო – მშვიდობით.

(რაქელს წელკავს გაუყრის და გატრიალდება)

ჯულზი: მისტერ ვოლფ!

(ვოლფი მოუტრიალდება)

---

[42] სტივენ კინგის რომანის ეკრანიზაცია (1983წ.); ავტოკატასტროფაში მოხვედრის მერე მთავარ გმირს წინასწარმეტყველების ნიჭი ეხსნება. მთავარ როლში — კრისტოფერ უოკენი.

ვოლფი: გისმენთ, ჯულზ.

ჯულზი: ერთი სიამოვნება იყო თქვენი მუშაობის სტილის გაცნობა, მისტერ ვოლფ.

(ვოლფს ეღიმება)

ვოლფი: უინსტონი დამიძახეთ ხოლმე...

(ისევ გატრიალდება და თავისი მანქანისკენ მიდის; ჯერ რაქელს ჩასვამს, მერე თავად ჯდება შიგ)

ვოლფი: გაიგონე, ჩემო? აი, ესაა მთავარი – პატივისცემა. უფროსი თაობისადმი გამოჩენილი მოწიწება კარგი აღზრდის უპირველესი ნიშანია. ნამდვილად.

რაქელი: გინდა თქვა, გაუზრდელი ვარ?

ვოლფი: ბევრი ჭკუის დარიგება და კარგად აღზრდა – არაერთგვაროვანი ცნებებია...

(*პორში* ადგილიდან წყდება და ტრასაზე მიქრის)

ჯულზი: ერთად წავიდეთ?

ვინსი: იცი რას გეტყვი – ჯერ ერთი კარგი ჭამა არ გვაწყენდა.

ჯულზი: ხანდახან შენც იტყვი ხოლმე სიმართლეს.

73. კაფეში. ჯერ ისევ დილაა.

ჯულზი და ვინსი მაგიდას უსხედან, კუთხეში. ვინსს სოსისები მოუთხოვია, მდოგვით და გემრიელად ათოხლავებს, ჯულზი პირიქით – ერთი ფინჯანი ყავისა და რაღაც ბისკვიტის ხარჯზეა; ფიქრითაც შორსაა აქედან.

ვინსი: რა ამბავი ხალხია ამ დილაადრიან... არ დამეწვევი?

ჯულზი: *(გამოერკვევა)* რა?. არა, გმადლობთ. ღორის ხორცს პირში ვერ ჩავიდებ.

ვინსი: ებრაელობაზე დებ თავს?

ჯულზი: აბა, კი. უბრალოდ, ღორს ვერ ვიტან.

ვინსი: დაგიშავა რამე?

ჯულზი: უწმინდური ცხოველია.

ვინსი: იცი რა გემრიელია? თითებს ჩაიკვნეტ.

ჯულზი: გემოთი იქნება ვირთხაც გემრიელია, მაგას მე ვერასოდეს გავიგებ – იმ საზიზღრობას არც გავეკარები! ღორები კიდე ბინძურები არიან – იქვე ჭამენ, სადაც ჩაისვრიან... რანაირად ვჭამო იმ ცხოველის ხორცი, საკუთარი ყაყები რო არ ეზარება!

ვინსი: ძაღლებიც ხო ჭამენ ხოლმე საკუთარ...

ჯულზი: მერე მე ვჭამ ძაღლებს?!

ვინსი: მარა ხო არც – რა ქვია იმას – *უწმინდურ* ცხოველად არ თვლი?

ჯულზი: ეგ არაა მთავარი. ყველა ძაღლს თავისი ხასიათი აქ, ჩამოყალიბებული ხასიათი. ეგ კი ერთ რამეს ნიშნავს.

ვინსი: მოკლედ, ვინმე რღუტუნას რო საკუთარი, ჩამოყალიბებული ხასიათი ქონდეს, ღორი აღარ ერქმეოდა? ეგრეა?

ჯულზი: არა, არც მთლად ეგრეა საქმე... ეგ უკვე მაგარი ღორი იქნებოდა – ასე ვთქვათ, ღრუტუნების კერი გრანტი.[43]

(ეცინებათ)

[43] ცნობილი მსახიობი, ერთ დროს მამაკაცურობის ეტალონადაც კი ითვლებოდა, და არა მარტო ჰოლივუდში.

ვინსი: მადლობა ღმერთს, თორე ზიხარ აქ ყუმივით...

ჯულზი: ვფიქრობ.

ვინსი: *(პირგამოტენილი)* მაინც რაზე?

ჯულზი: იმ სასწაულზე, რისი მოწმენიც შევიქენით.

ვინსი: არა-ა, სასწაულის მოწმედ შენ დადექი, მე მხოლოდ უცნაურ ამბავს შევესწარი...

ჯულზი: მერე იცი, სასწაული რა არი?

ვინსი: ვიცი. ხვთის ხელი.

ჯულზი: ეგ "ხვთის ხელი" რაღაა?

ვინსი: როცა ღმერთი შეუძლებელს შესაძლებლად ხდის. მე კი ასე მგონია, ჯულზი ჩემო, რო რაღაც მაგრა გეშლება და ამდილანდელი ამბავი სულაც არ...

ჯულზი: დაიცა, ნუ გარეკე. მე სულ სხვა რამეს ვაწვები: ღმერთს შეუძლია ტყვიას გზა შეუცვალოს, კოკა-კოლა პეპსი-კოლად აქციოს, მანქანის დაკარგული გასაღები მაპოვნინოს ხოლმე... ეგ არაა მთავარი. ეგეთ რამეს თავისი მნიშვნელობის ამბავში კი არ უნდა აფასებდე... რა მნიშვნელობა აქ – მართლა სრული და სერტიფიცირებული სასწაული იყო თუ არც მთლად... საქმე ისაა, *მე* ვიგრძენი ღვთის იქ ყოფნა, ეგაა მთავარი.

ვინსი: მოკლედ, არ იშლი შენსას, მიდიხარ?

ჯულზი: ეგრეა.

(ერთხანობა ვინსი ჩუმად ილუკმება თავისთვის. ჯულზი ყავას მოსვამს. ამ დროს გვესმის და ჩანს კიდეც, სიღრმეში როგორ უძახის ვიღაც მომტან გოგოს: ***გაღ-ღსონ! ერთი ყავაც!*** და ვხვდებით, რომ ეს სწორედ ის *კვატა* და *პუსკუნა* არიან, პირველ სცენაში რომ ვიხილეთ...)

ვინსი: კარგი და პატიოსანი, ვთქვათ – წახვედი. რა მერე? სად რა უნდა აკეთო?

ჯულზი: ახლა სწორედ მაგაზე ვფიქრობდი. ჯერ

მარსელასს ამ თავის კეისს მივაშავებ, მერე გზას დავადგები.

ვინსი: რა გზას დაადგები?

ჯულზი: უბრალოდ, გზას დავადგები. როგორც ის ჩემისა კეინი[44] "კუნ-ფუს" სერიალში... ქალაქებს ვნახავ, ხალხს შევხვდები... სავსე სიცოცხლით ვიცხოვრებ.

ვინსი: და რამდენ ხანს აპირებ ასე ბოდიალს?

ჯულზი: სანამ ღმერთი არ მიმიყვანს იქ, სადაც უნდა ვიყო...

ვინსი: ესე იგი, თუ კარგად გაგიგე, უსახლკარო მაწანწალად გინდა იქცე? *ჰობო*[45] უნდა გახდე?

ჯულზი: ვერაფერიც ვერ გამიგე...

ვინსი: რაც მოხდა, მართლა უცნაური იყო, მაგრამ წყლის ღვინოდ ქცევასთან რა მოსატანია?

ჯულზი: არა, ვინსი – განსხვავება აქ რაოდენობრივია და არა თვისობრივი.

ვინსი: დაიცა, აი ეგ კი სულ ველარ...

ჯულზი: მოკლედ, ის დამემართა, რასაც ლოთები "აზრის გამონათებას" ეძახიან.

ვინსი: ახლა ვითომ გავიგე. მაგარია. გავალ ერთი, აზრს გამოვინათებ ტუალეტში...

(გადის. ვინსი ყავას ხვრიპავს. უცებ... კვატა და პუსკუნა პისტოლეტებს დააძრობენ და წამოხტებიან ფეხზე)

კვატა: ყურადღება! ყველანი ადგილებზე ვრჩებით! ერთი პატარა ლოკალური ძარცვა, სხვა არაფერი!

პუსკუნა: არ გაინძრეთ-მეთქი!! გატოკდება ვინმე და – მიგახვრეტთ სუყველას!

---

[44] ტელეფილმების სერია შუასაუკუნეებისდროინდელი ჩინელი ბერის, კუნ-ფუს ოსტატის მოგზაურობებზე. კეინის როლს დეივიდ კარადაინი ასრულებდა.

[45] იგივეა რაც "ბომჟი" – (Без Определенного Места Жительства)

(ჯულზს მზერა გაუშტერდება. ვერ წარმოუდგენია, რომ ეს მართლა მის თავს ხდება ყველაფერი. მაგიდის ქვეშ მისი ხელი 45-იან ავტომატურს შეაყენებს ჩახმახზე და მუხლზე დაიდებს, ფრთხილად.)

კვატა: ყველანი ადგილებზე! ოფიციანტები – იატაკზე!

პუსკუნა: ახლავე, თქვენი!.. დაგხოცავთ სუყველას!

კვატა: ეი, მანდ! ვინც კი სამზარეულოშია – ყველანი აქეთ!

(სამი მზარეული და ორიც დამლაგებელი გამოდიან კარიდან)

კვატა: იატაკზე! ხელები – კეფაზე!

სქელუა მენეჯერი: გემუდარებით, რა საჭიროა... არ არი საჭირო...

(კვატა ლულას დაადებს საფეთქელზე)

კვატა: უთხარი ყველას, წესიერად მოიქცენ და არც არაფერი არ მოხდება!

სქ. მენეჯერი: გთხოვთ, შეინარჩუნეთ სიმშვიდე! გააკეთეთ რასაც გეტყვიან და ყველაფერი მალე მორჩება!

კვატა: აი ეგრე. კაი ბიჭი ხარ შენ... ახლა იატაკზე, სწრაფად!

74. ტუალეტში. იგივე დროა.

ვინსი უნიტაზზე ზის, რაღაც პრიალაყდიან ჟურნალს ათვალიერებს. აზრზეც არაა, რა ხდება დარბაზში.

75. კაფეში. დრო იგივეა.

კვატა სალაროს ამოასუფთავებს და ფულს ჯიბეებში იტენის. მერე, ცელოფნის პაკეტით ხელში, ხალხს დაუვლის. პაკეტი სწრაფად ივსება საფულეებით. ნელ-ნელა უახლოვდება ჯულზს. ხედავს, მას ცალ ხელში საფულე გაუმზადებია, მაგიდაზე კი კეისი დევს.

კვატა: მაიტა.

(ჯულზი საფულეს უგდებს გამოწვდილ პაკეტში. კვატა ახლა კეისზე ანიშნებს – გააღეო)

ჯულზი: მანდ ჩემი ბოსის პერანგებია... გასარეცხად მიმაქ.

კვატა: მაგარ საქმეში ხარ, გეტყობა.

ჯულზი: რას იზამ, საქმე საქმეა.

კვატა: გააღე.

ჯულზი: შანსი არაა.

(კვატა გაკვირვებული შესცქერის, მერე იარაღს ჯულზის შუბლს მიაშვერს)

კვატა: რაღაც ვერ გავიგე...

ჯულზი: მორჩი ბაზარს, ყველაფერიც კარგად გაიგე.

(ხმას არცერთი არ უწევს, ოღონდ კვატა უკვე ხვდება – რაღაც ვერ არი ისე, როგორც უნდა იყოს)

პუსკუნა: რაო მაგ ჩემისამ – რა მინდაო?

კვატა: მგონია, ჩხუბი უნდა!

პუსკუნა: მერე, შუბლში ტყვია და მორჩება ბლატავს!

ჯულზი: მაგას გონია, პირველად მიმიზნებენ იარაღს...

კვატა: თუ არ გააღებ, ბოლო იქნება.

სქ. მენეჯერი: ნუ ანერვიულებთ, თქვენს გამო უბედურება დატრიალდება, გეუბნებით... მიეცით რასაც გთხოვთ!

ჯულზი: მოკეტე, სქელო!

კვატა: სამამდე ვითვლი, გაიგე? ერთი!..

(ჯულზი თვალებს ხუჭავს)

კვატა: ორი!..

... ჯულზი ორჯერ გაისვრის პირდაპირ მაგიდის ქვემოდან, კვატა ეცემა. ჯულზი წამსვე ტრიალდება და გაოგნებულ პუსკუნას დაასწრებს – ზედიზედ სამ ტყვიას დააჭედებს მკერდში... პუსკუნა ერთს დაიკივლებს და იატაკზე გადაიშხლართება. წამოხდილი კაბიდან გრძელი, კნაჭა ფეხები მოუჩანს. ჯულზი ახლა ლულას კვატას გასისხლიანებულ სახეს დააღირებს, ის კიდე ქვემოდან შემოყურებს, თვალებგაფართოებული.

ჯულზი: **გითხარი, არ გინდა-მეთქი!**

(შიგ ობიექტივის თვალში ისვრის, ეკრანი ქრება...)

ჯულზი თვალებს ახელს.

კვატა: სამი!..

(ჯულზი ამოიოხრებს, კეისს თავსახურს ახდის. კვატა გაშტერებული დგას, ჩვენ კი ისევ მხოლოდ რაღაც ნათებას ვხედავთ)

კვატა: *(ჩუმად)* ნაღდია თუ...

(ჯულზი თავს უქნევს, მძიმედ).

პუსკუნა: რა ხდება მანდ, აღარ იტყვი?!.

(ჯულზი კეისს კეტავს და საზურგეზე გადაწვება, თითქოს კვატას სთავაზობს – აიღეო; ისიც ხელს იწვდის, გაღიმებული...

... ჯულზის მარცხენა შავი კობრასავით წვდება მაჯაში და მაგიდის კიდეზე არტყმევინებს; მარჯვენათი კი პისტოლეტს დააძრობს და ყელზე მიაბჯენს კვატას)

პუსკუნა: *(კივის)* შეეშვი, ძაღლიშვილო! სკალპს აგაძრობ!

ტვინს გაგასხმევინებ, ნაბიჭვარო!

ჯულზი: უთხარი, მოკეტოს!

კვატა: დაიცა რა, პუსკუნ! დაიცა რა, ნუ ნერვიულობ...

პუსკუნა: *(ისევ კივის)* ხელი უშვი-მეთქი, გითხარი!

ჯულზი: *(წყნარად)* მაგ შენს გოგოს რა ქვია?

კვატა: იოლანტა...

ჯულზი: *(იოლანტას ეუბნება, ოღონდ თავს არ აბრუნებს – კვატას ჩასჩერებია თვალებში)*

მისმინე იო! ჩვენ ახლა სამი თოვლის ბაბუასავითა ვართ – იცი, როგორია თოვლის ბაბუ, ხელს თუ გადაუსვამ?

იო: *(სლუკუნებს)* ცივი...

ჯულზი: კარგია, ჩემი გოგო... *(კვატას)* – ახლა ჩვენც ასე ცივსისხლიანად გავარკვევთ ყველაფერს და დავიშლებით – ჩვენ-ჩვენი გზით... ეგრეა?

კვატა: კი...

ჯულზი: შენ კიდე დადებ ახლა მაგ შიბლას მაგიდაზე – წყნარად და ნელა, ასე ვთქვათ, ექსცესების გარეშე... გასაგებია?

კვატა: რა ექს...

ჯულზი: მოკლედ, სამამდე ვითვლი და მანამადე ხელები დაიცალო, ჯობია!

(კვატა გაშტერებული უყურებს).

ჯულზი: ერთი... ორი...

(კვატა ფრთხილად დებს იარაღს).

იო: გითხარი, ახლა გაუშვი-მეთქი, ბოზო!

ჯულზი: ხომ შევთანხმდით, ცივი გონებით-თქო, ეგრე არ იყო?. *(იოს გასძახის)* – რო კივიხარ მანდ, მაგრა ვნერვიულობ და შეი ძლება თითი გამომეკრას უნებურად... მერე რას შვები?

იო: მოგკლავ, ძაღლივით ზედ დაგაკლავ!.

ჯულზი: *(მშვიდად)* ვერა, ვერ მოასწრებ. ხელი გიკანკალებს, მე კი – არა. ერთს დამაცილებ და – მორჩა.

იო: მაგას რო რამე მოუვიდეს...

ჯულზი: არაფერი მოუვა. არც მე მინდა ეს და არც შენ და არც ამას. სიტყვას გაძლევ. სხვა დროს უკვე დიდი ხნის მკვდრები იქნებოდით ორივე, ოღონდ მე ახლა, ასე ვთქვათ, გარდამავალი პერიოდი მაქ – არავის მოკვლა მე არ მინდა. ოღონდ კეისს კი ვერ დაგითმობთ – მართლა სხვისია...

ვინსის ხმა: რა ხდება აქ უჩემოდ?.

*(**იო** წამსვე მას მიაშვერს იარაღს, ვინსი კი დგას და ეტყობა, უკვე კარგა ხანია მიზანში ყავს ამოღებული)*

ჯულზი: დაიცა ვინს, არ გინდა! მე ვიცი ჩემი საქმე! *(კვატას)* შენს გოგოს უთხარი, ჩაიფუშოს თორე ახლა იმ ჩემისასაც თუ უმტყუნა ნერვებმა...

კვატა: წყნარად, პუსკუნა, წყნარად... ყველაფერი კარგადაა... ყველაფერიც კარგად იქნება...

ვინსი: რა ხდება აქ, ბოლო-ბოლო?!

ჯულზი: ყველაფერი კარგი ვინს, ყველაფერი კარგი... ეგ შეინახე, არ გინდა ახლა აქ... დამიჯერე.

ვინსი: *(მხრებს იჩეჩავს)* შენი შენ იცი. *(იარაღს ინახავს)*

იო: ფისი-ფისი მინდა!..

ჯულზი: ძალიანაც კარგი! სავსებით ნორმალური რეაქციაა... ერთი წუთიც და ყველანი სახლებში წავალთ. *(კვატას):* ახლა კი მაგ პარკში ჩაყავი ცხვირი და ჩემი საფულე დამიბრუნე!

კვატა: მერე, ეგა რომელია?

ჯულზი: ზედ აწერია – ბასპ...[46]

კვატა: *(საფულეს უწვდის)* აჰა!

ჯულზი: დაიცა, ეგრე არ გამოვა... მანდ ორიათასამდეა – მაყუთი შენთვის დაიტოვე. დანარჩენებთან ერთად – კაი მოხეული გამოვა, ეგრეა?

ვინსი: ჯულზი, შენ რო ამას ეხლა ეგ ორიათასი დაუადო, ჩემი ხელით მივასიკვდილებ – პრინციპის ამბავია!

ჯულზი: არაფერსაც არ იზამ, თითსაც არ გაანძრევ! წარბსაც კი არ გაატოკებ – გესმის? არავის არაფერს მე არ ვუადებ – აქეთ ვყიდულობ... *(კვატას)* გესმის შენ?

კვატა: არა...

ჯულზი: შენი სული მსურს – არ გითამაშია? არასოდეს?

კვატა: არა...

ჯულზი: ვაი შენს პატრონს და მე შენს ხელში... ფულს გაძლევ, რო არ მოგკლა – გაიგე?

კვატა: *(ჭკუაზე აღარ არი)* ვერა...

ჯულზი: წმინდა წიგნს თუ კითხულობ ხოლმე?

კვატა: ისე რა, შიგადაშიგ...

---

[46] BASP — საკარაუდოდ, Big American Super Prick; დათამაშებული უნდა იყოს WASP – White Anglo Saxon Protestant.

ჯულზი: იქ ერთი ეგეთი ადგილია, ზეპირად მახსოვს — *ეზეკიელი, თავი 25, მუხლი 17:*

"... გზაი კაცისა მართლისა მრუდდება ცოდვილთა უკეთურებითა და უკანონობითა ბოროტთა; კურთხეულ არს, ვინაც სუსტნი გადაატაროს ველსა ბნელეთისა, და საბიჯგელად შეუდგეს ძმათა თვისთა; აღვმართავ მარჯვენას ჩემსას მათზე, წინააღდგომად ბოროტისა, და მოვსრავ მრავალთა მხილებითა გულისწყრომითა, და სცნან მათ ღმერთი მოშურნე, მომცემი შურისგებისა ჩემისა მათთა ზედა!"

... აი ამ ქლიავობას ჯერი-ჯერზე გავიძახი ხოლმე, როცა ვინმეს გასტუმრება მიწევს მოუსავლეთში... არასოდეს დავფიქრებულვარ, რა ჩემის სირობა იგულისხმება აქ – ვიძახდი და მორჩა, მაგრამ დღეს რო ვთქვი – ისეთი ამბავი მოხდა, ტვინი გადამიტრიალდა და აწი შვიდჯერ დავუმიზნებ, სანამ ერთხელ გავისროდე... და ვფიქრობ ახლა, რომ სწორედ შენა ხარ სუსტი ესე, ხოლო მე – წინააღმდგომი ბოროტისა, და ჩემი .45 საბიჯგელია ძმათა ჩემთათვის, ანუ პირუკუ – შენ ხარ ვენახი, მე კიდე საბიჯგელი, ნუ უკუე რქა შენი, ხოლო ქუეყანა ესე – ველი ბნელეთისა... ეს უფრო კარგი იქნებოდა, სწორი... გარნა სისწორე ყველას ქინძზე კიდია, მართალი კი ისაა რომ შენ სუსტი ხარ, მე კიდე – უკანონობა ბოროტთა... ოღონდაც ვცდილობ – მთელი ჩემის ძალისხმევით ვცდილობ, ვცნა ღმერთი ჩემი მოშურნე...

(იარაღს დაუშვებს, მერე მაგიდაზე დებს. კვატა პირდაღებული შესცქერის, ფული ხელში აქ მობღუჯული. მერე იოს გახედავს, იმას კიდე კნაჭა ფეხები უკანკალებს...

კვატა ცელოფნის პაკეტს ჩაბღუჯავს, გაიქცევა, იოს წელზე წამოავლებს ხელს და ორივენი გარეთ გარბიან.

ჯულზი, მთელი ამ ხნის განმავლობაში სკამიდან რომ არც კი წამოწეულა, ახლა ყავას წრუპავს)

ჯულზი: *(თავისთვის)* მორჩა... Finita la comedia...

(ფინჯანს დააწკარუნებს, უნებლიედ...)

ვინსი: *(მიუახლოვდება)* მგონია გეყო ახლა, ავუდეთ.

ჯულზი: სწორე ხარ... თუ მართალი?

(ვინსი რაღაც ფულს ყრის მაგიდაზე, ჯულზი კეისს წამოავლებს ხელს).

მერე, მთელი ჯამაათის – მომსვლელთა, მიმტან-ოფიციანტთა, მზარეულთა, დამლაგებელთა და თავად სქელუა მენეჯერის გასაკვირად – ტრუსებში, მაისურებსა და წკაპუნებში დაზმანული ორი ძალიან ძველი ბიჭი, ხელში წყვილი .45 პისტოლეტითა და ცალი კეისით, მშვიდად ტოვებენ იქაურობას, უსიტყვოდ...

და რა მერე – ეგეთები ხდება?!.

თარგმანი: ეია ჯყმბყოიძე

საჩვენო ზღაპრები

ნაღდი სამი გოჭის ამბავი

&

წითელქუდას ახალი თავგადასავალი


WOLF
PROOF
CEMENT
WOLF
PROOF
CEMENT
WOLF
PROOF
PAINT

ნაღდი სამი გოჭის ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო სამი გოჭი: სამი ძმა, სამივე ერთმანეთზე უკეთესი სანახავი – პუტკუნა, დრუნჩა და კუდაპრეხილი. უფროსს ერქვა ღრუტუნა, შუათანას – ღუტუნა და უმცროსს კიდე – ღუტა.

ცხოვრობდნენ გოჭები საღორიას ტყეში, ქალაქგარეთ. ზაფხულობით სამივე მაგარ დროს ატარებდა: მუხნარში რკოს მიირთმევდნენ, ხასხასა მწვანე ბალახზე ნებიერად კოტრიალობდნენ და შიგადაშიგ გრილ ტყლაპოშიც გემოზე ამოიგლაგნებოდნენ ხოლმე. ოღონდ შაბათ-კვირას, საგარეოდ დაზმანულები, სველი ჯაგრისით კოხტად გადავარცხნილები, ქალაქს მიეშურებოდნენ და მარწყვის ნაყინით იტკბარუნებდნენ პირს.

მაგრამ წავიდა ზაფხული, მოვიდა შემოდგომა – მზე მიინავლა, ტყე გადაყვითლდა, ერთი-ორჯერ კარგადაც წამოუბერა... ხოდა, ჭკვიანმა ღრუტუნამ უთხრა უმცროს ძმებს:

– შემოდგომას ზამთარი მოსდევს, მოთოვს, კიდევ უფრო აცივდება. მოდით, ერთი დიდი სახლი ავაშენოთ, დავსხდეთ ბუხართან, ვუყუროთ მულტფილმებს და ვიცხოვროთ თბილად და ტკბილადო.

ოღონდ ღრუტუნა და ღუტა, ცოტა არ იყოს, წაიზარმაცებდნენ – მუშაობას მაინც გართობა ერჩივნათ.

– ჯერ რა დროის ზამთარია, ნაყინი იყიდებაო, – ჩაიბუზღუნა ღუტუნამ.

– სახლის შენებას რა უნდა, თუ შემცივდა, ხუთ წუთში ავაშენებო, – წაიტრაბახა ღუტიკომ.

– ე-ეჰ, ამათ მტერი ელაპარაკაო, – ჩაიქნია ხელი ღრუტუნამ. მერე მოზიდა აგური, სილა, იშოვა ცემენტი, დახერხა ფიცრები და შეუდგა საქმეს.

ღრუტუნას და ღუტას სიცივე ჯერ მაინცადამაინც არ აწუხებდათ. მართალია, "თოლიას" ნაყინზე ისე უკვე აღარ მისდიოდათ სული, მაგრამ ტყეში ნუგბარს რა გამოლევდა – აი, მაგალითად, ნაწვიმარზე ახლადამოსულ სოკოს სულ სხვა გემო ჰქონდა...

შემოდგომაც მიიწურა, ტყეში ხეს ფოთოლი აღარ შერჩა, სხვათა შორის, სოკოც მოილია, მაგრამ ძმები მაინც ფეხს ითრევდნენ – რაღა დღეს ვაკეთოთ ის, რაც შეიძლება ხვალისთვის გადავდოთო, – გულს უკეთებდნენ ერთმანეთს.

მოკლედ, სანამ ყინვამ ამ მედღე-მეხვალიებს კუდები არ აუწვა, თავის შეწუხება არ იკადრეს.

ღუტამ სიტყვა მაინც არ გატეხა: ერთი გაიშლიგინა მეზობლის ყანაში, მოაგროვა ჩალა და მართლა ხუთ წუთში წამოჭიმა ჩალის სახლი, თანაც დაამღერა:

ჩალის სახლი, ჩალის სახლი
ავაშენე მყარი,
რას დამაკლებს მე ავდარი –
ქარი, ქარი, ქარი!...

ღრუტუნა ცოტა უფრო სერიოზულად მოეკიდა საქმეს – აქაოდა, ზამთარში თოვლი იცისო, დათალა სარები, მიწაში ჩაარჭო, ჩააგრიხა ბლომად წნელები და ფაცხა ყავარით გადახურა.

თვალი რომ შეავლო ნახელავს, კმაყოფილი დარჩა. რამდენჯერმე შემოუარა გარშემო და რახან სმენით მაინცა და მაინც ვერ დაიკვეხნიდა, ლექსად თქვა:

დარია თუ ავდარია
ჩემი ფაცხა მაგარია!
ერთი ჩემ ძმებს შეახედათ –
ნეტა ახლა სად არიან?..

ამის თქმა და ბუჩქებიდან სახაგაბადრული ღუტიკოს გამოჩენა ერთი იყო.

– ყოჩაღ, ძმაო! შენც კარგად გიმუშავია. ზოგ-ზოგები კიდე იტყვიან – ესაო, ისაო, ზარმაცები არიანო... მოდი, ამ გახსენებაზე ის ჩვენი დაკარგული ღრუტუნა მოვინახულოთ, რა ხანია არ გამოჩენილა, წელში გაწყდებოდა აგურების თრევით...

ამ დროს ღრუტუნას ქვის სახლის შენება მოემთავრებინა და ახლა რკინის კარების ანჯამებს ზეთავდა.

– რა იყო ძმაო, გივარდება ვინმე სახლში?! – გაიკვირვეს ღრუტუნამ და ღუტამ.

– ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს გოჭი! – მშვიდად მიუგო საქმით გართულმა ღრუტუნამ. – სიფრთხილეს თავი არ სტკივა.
– რამ შეგაშინა, აქ არა ვართ? – თვალი ჩაუკრა ღუტამ ღუტუნას.

– თქვენმა მზემ, თქვენ დამიცავთ მგლისაგან... – ჩაიბურტყუნა უფროსმა ძმამ.

ამის გაგონებაზე გოჭებს სიცილი წასკდათ.

– მგელიო?! მგელს ტყეში რა უნდა! – ჩაბჟირდა ღუტა.

– მგელი ზოოპარკში გამიგია მე, – კვერი დაუკრა ღუტუნამ.

ცოტა ხანს კიდე ილაზღანდარეს, მერე დარწმუნდნენ, ამას ჩვენ ლა-პარაკში ვერ ავიყოლიებთო, ერთმანეთს ხელი გადახვიეს და სიმღერ-სიმღერით გაუდგნენ გზას:

საღორია გადამწვარა, რე-რო-ო!
თავის მუხებიანადო, რე-რო-ო!
უსახლკაროდ დარჩენილო მგელო –
ჩვენო კარგო, ჩვენო მშვენიერო-ო!..

ასე სიმღერ-სიმღერით, ვერც შეამჩნიეს, ისე მიადგნენ უღრანს, სადაც წუხანდელი ნაქეიფარი მგელი წყაროს წყლით იგრილებდა შუბლს. ნაცნობმა, თუმცა ცოტათი მაინც შელახულმა ჰანგმა ისედაც უჟმურ გუნებაზე მყოფს მთლად აუშალა ნერვები – ვინაა რო ჭყივის მანდ დასაკლავი გოჭივით, ან ხმა მაინც ჰქონდეს ან სმენა მაგ უპატრონოსო! გაბრაზდა მარა რა გაბრაზდა – იშვირა ფეხი და გამოვარდა ბუჩქებიდან.

თვალებჩასისხლიანებული, ეშვებდაკრეჭილი და ბანჯგვლებაჩეჩილი მგელი მართლა ისეთი საზარელი სანახავი იყო, გოჭებს შიშისაგან ენა მუცელი ჩაუვარდათ.

– გემღერებათ, არა?! ვინაა აქ თქვენი მასხრად ასაგდები!!!

რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათო, – კი უნდოდათ გოჭებს თავის მართლება, მაგრამ ხმის ამოღება ვერც ერთმა ვეღარ მოახერხა; ის კი არა, ზრდილობაც დაავიწყდათ, უფროს-უმცროსობაც, მგელს ზურგი აქციეს და მოუსვეს შინისაკენ.

მგელი, მართალია, ჯერ ნასაუზმევიც არ იყო, მაგრამ გოჭების დანახვამ იმდენად მადა არ გაუღვიძა, რამდენადაც მათმა საქციელმა გადარია – ეს ამხელა მგელი ძაღლადაც არ ჩამაგდეს ამ ლაწირაკებმაო... ერთი ამოიქშინა და გაქცეულ ძმებს გამოუდგა უკან.

პირველი ღუტიკო შევარდა თავის ჩალის სახლში, კუთხეში მიიყუჟა და

ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა; თან რატომღაც ეს ერთი სიტყვა აეკვიატა: “მყარი, მყარი, მყარი...”

– რასაა რო ლუღლუღებ? – ჩახრინწული ხმით შეუძახა მგელმა, – თვითონ გამოხვალ მანდედან თუ მე გამოგათრიოო. ამაზეც რომ ვერ ეღირსა პასუხს, მთლად გაცოფდა, ოღონდ ხუხულის დასანგრევად თათის გასვრაც არ იკადრა – ერთი ღრმად ჩაისუნთქა, სული შეუბერა და ღუტიკოს ნაოსტატარი სულ ღერაღერა გაატანა ქარს.

საბრალო ღუტიკოს ეგონა, გრიგალი ამოვარდაო, დაკრა ფეხი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღუტუნას ფაცხისაკენ გაქანდა.

– ხო იცი რო მაინც დაგიჭერ, ნეტა რას მარბენინებო, – გაიფიქრა მგელმა და ძუნძულით ჩაუდგა კვალში.

ღუტუნა ისე იყო დაფეთებული, უმცროს ძმას კარგა ხანს კარსაც არ უღებდა; ძლივს დაარწმუნა საბრალო ღუტიკომ – მე ვარ, ღუტა ვარ, შემომიშვი თვარა შემჭამა მგელმაო!

მადლობა ღმერთს, ზედ ცხვირწინ მიუკეტეს მგელს კარი.

– გააღეთ, თქვე მართლა ღორისშვილებო, იქნება და რა საქმეზე ვარ მოსულიო, – ჭკუაში მოტყუება დაუპირა მგელმა. ნარბენ-ნაძუნძულევზე ახლა ფაცხის ნგრევა ნამდვილად არ ეხალისებოდა.

– თუ საქმე გაქვს, თვითონ შემოდიო, – გული გაიმამაცეს საწოლის ქვეშ შემალულმა გოჭუნებმა.

– მართლა შემომეჭმებიან ამისთანა უზრდელები, აბა რა იქნებაო, – გაიფიქრა მგელმა. – მერე კიდე ჩემზე იტყვიან, მტაცებელიაო...

დაიკაპიწა მკლავები, გაიხსენა ახალგაზრდობა, გამოექანა, ახტა და ტყუპი წიხლი ისე დაუნიავა კედელს, ღუტუნას ფაცხა თვალის დახამხამებაში ფიჩხის გროვად აქცია.

– დედა, ამას ვის გადავეყარეთო, – ამოიჭყვიტინეს გოჭებმა და ფართხაფურთხით მოუსვეს ღრუტუნას სახლისაკენ.

უფროსი ძმა ამ დროს აბაზანაში ნებივრობდა, მაგრამ უმცროსების ყვირილზე მიხვდა, რაღაც ცუდი ამბავია მაგათ თავსო, შიშისაგან აკანკალებული ძმები სახლში შემოუშვა და კარი ყველა ურდულზე გადარაზა.

– ხომ გეუბნებოდით, ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს გოჭი-მეთქი! არც ახლა დაუგდებთ ყურს უფროსის სიტყვას? – გაწყრა ღრუტუნა.

– ე-ეჰ, რაც იყო, იყო, შენ ის გვითხარი ახლა რაღა ვქნათ! ისეა გაგიჟებული, ერთ ლუკმად არ ვეყოფით სამივე... – ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს ღუტუნა და ღუტა.

– ნუ გეშინიათ, ეგ აქ შემომსვლელი მაინც არაა! წადით ახლა, ხელ-პირი დაიბანეთ, მერე დავსხდეთ და ჩაი დავლიოთ, მურაბით. მგელმა იკითხოს, თორემ მე შეშაც ბლომად მაქვს, საჭმელ-სასმელიც, სიცივე არ შეგვაწუხებს და შიმშილი. ის კი იყოს გარეთ და გვირბინოს სახლის გარშემო. ბოლო-ბოლო ან მონადირე დაახლის ტყვიას, ან ქოფაკები დაგლეჯენ... რა პირდაღებულები მიყურებთ, წადით, დაიბანეთ-მეთქი!

ამასობაში მგელიც მოძუნძულდა. ხან აქედან შეხედა ღრუტუნას სახლს, ხან იქედან, წუნი ვერაფერი უპოვა და თავისი ჩაბინძურებული ბუნაგის გახსენებაზე, ასეთი ბინა არც მე მაწყენდაო, – გაიფიქრა. წარმოიდგინა როგორ წამოწვებოდა მხარ-თეძოზე სითბოში, აგიზგიზებულ ბუხართან და საუზმე-სადილ-ვახშმადაც შამფურზე შებრაწულ თითო გოჭს შეახრამუნებდა... ოცნება იცოცხლეთ, კარგი იყო, მაგრამ ჯერ საქმე უნდა მიეყვანა ბოლომდე.

– იცით რას გეტყვით? – დაიწყო შორიდან, – თქვენ, ძმები, კაი მშენებლები ჩანხართ. კიდე ერთი ამისთანა სახლის წამოჭიმვაც არ გაგიჭირდებათ, სამნი ხართ, ბოლო-ბოლო. მე კი მარტოკა ვარ, ობოლი... მოკლედ, ადგილი აირჩიეთ, სადაც გაგეხარდებათ, ეგ სახლი კი მე დამითმეთ – ვიმეზობლოთ, ვიმეგობროთ, რა გვაქ გასაყოფი? მეც საჭირო კაცი ვარ – უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემთ უბანში...

ღრუტუნამ და ღუტამ ყურები ცქვიტეს – რას ერჩი, კაი სიტყვას გვეუბნებაო, მაგრამ კოპებშეკრულ ღრუტუნას რომ შეხედეს, ჭკუა ეყოთ და კრინტი აღარ დაუძრავთ.

– შენ ჩვენ ბატები ხომ არა გგონივართ?! – გასძახა ღრუტუნამ უკმეხად, – წადი რა, სანამ მონკავშირში* დამირეკია!

მგელი მიხვდა, ამათთან ტკბილი სიტყვა არ გადისო, შევარდა ტყეში, ერთი დიდი მორი დაიიღლიავა, გამოქანდა და ზედ რკინის კარს დააძგერა. იმდენი უხათქუნა, სანამ თათისგულები არ გადაიღლიტა, მაგრამ სულ ამაოდ – კარს, ორიოდ ნაჩხაპნის გარდა, არაფერი დატყობია.

სიმწრის ცრემლები წამოსცვივდა მგელს თვალებიდან, მორი მოისროლა და ახლა ოთხივე თათი დაუშინა, ოფლად გაიღვარა, ბრჭყალებიც ხომ სულ

---

* **მონკავშირი** — მონადირეთა კავშირი, დაწესებულება, სადაც მონადირეები იკრიბებიან ხოლმე (*რედ. შენიშვნა*).

დაიმტვრია, ოღონდ შენც არ მომიკვდე, ღრუტუნას ნახელავს მაინც ვერაფერი დააკლო!

ბოლოს სულ დაკარგა ჭკუა – გამოექანა, თავით შეასკდა აგურის კედელს და დარეტიანებული, მიწაზე გაიშხლართა.

– რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! – გადმოსძახეს გამხიარულებულმა გოჭებმა.

მგელს ხმა აღარ გაუღია, ძლივს აითრია წელი და კუდამოძუებული, სულ ვაი-დედას კრუსუნით გაიძურწა შინისაკენ.

ტყეში კი შებინდებამდე ისმოდა სამი გოჭის მხიარული სიმღერა:

მგელის კვალიც არ მოჩანს,
არ მოჩანს, არ მოჩანს!
მგელი ფეხებს ვერ მოგვჭამს
ვერ მოგვჭამს, ვერ...

მ ო რ ჩ ა !

წითელქუდას ახალი თავგადასავალი

თავი I

იყო და არა იყო რა – იყო ერთი ბებია და ყავდა ერთი შვილიშვილი. ჩვეულებრივი ბებია იყო, არაფერი განსაკუთრებული – ასეთი ბებოები ალბათ ყველას გინახავთ საბავშვო ბაღთან ან სკოლასთან – სხედან და ყიდიან კვებსა თუ მზესუმზირას...

თუმცა ძველ კარგ დროს ბებია 1001-ე საშ. სკოლაში პედაგოგობდა – სიმღერას ასწავლიდა ბავშვებს. მომღერალთა ისეთი გუნდი ჩამოაყალიბა, კონცერტს კონცერტზე მართავდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და ყველა ქალაქიდან საყვარელი შვილიშვილისთვის ათასნაირი საჩუქარი ჩამოჰქონდა. ერთხელაც წითელი ბერეტი ჩამოუტანა. გოგოს ისე მოეწონა, დღედაღამ არ იშორებდა და მეტსახელად *წითელქუდა* შეარქვეს.

მერე დროება შეიცვალა, ძია კახა ლომაიამ ძველი პედაგოგ-მასწავლებლები სკოლებიდან გამოისტუმრა და წითელქუდას ბებიასაც მცირე ბიზნესით მოუწია თავის რჩენა. ერთი პირობა საქმე კარგადაც წაუვიდა – კვიღეჭიასა და მზესუმზირაკვნეტია ბავშვებს რა გამოლევს თბილისში! მაგრამ ნათქვამია, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო – საგადასახადომ[1] ყველა ხელზე მოვაჭრე ბებოს სალაროს აპარატების დადგმა მოსთხოვა – კორუფციის მოსასპობად ყოველი გაყიდული ჭიქა მსეზუმზირა ზუსტად უნდა დავითვალოთო!

მოკლედ, ჩვენს ბებოს ბედის ჩარხი უკუღმა დაუტრიალდა: ჯარიმა-გადასახადებს ვეღარ აუდიოდა, იმდენი დაუგროვდა, ნერვიულობის ნიადაგზე წნევამ აუწია, ყველაფერს თავი ანება, შარს გაერიდა – ეს ჭაღარა ქალი არ დამიჭირონო და საგურამოს მხარეში გადაიხვეწა – დამსახურებულ პედაგოგს, იქ ერთი პაწია საკარმიდამო ნაკვეთი და ჩაფეხვილი ფინური სახლი შემორჩენოდა ძველი დროიდან.

ე-ეჰ, იქნება და კიდეც გაეხერხებინა რამე, მერიაში ვინმე ნათესავ-მოკეთე მოეძია, ან ამ სიბერეში მმართველ პარტიაში გაწევრიანება მაინც ეცადა, მაგრამ საქმე ის გახლდათ, ჩვენს ბებოს ადრე ერთი ისეთი უბედურის ვინმე მოწაფე ჰყოლია კლასში, სულ 2-იანებს უწერდა და ხშირხშირად თავშიც წაუთაქებდა ხოლმე – შენგან კაცი არ გამოვაო. კაცად გამოსვლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამგელდა კია და სკოლის დამთავრებისთანავე საგადასახადო ინსპექციაში დაირტყა თანამდებობა: ძველი ანგარიშების გამო გადაეწყვიტა – ახლა გიჩვენებთ ყველას, გამოვა ჩემგან კაცი თუ არაო!

---

[1] აქ: *ცუდიანები.*

თანაც, *ავსა კაცსა ხომ ავი საქმე ურჩევნია სულსა, გულსა*[2] – ამ სალარო-აპარატების გამო ყველას მამასისხლად გადაეკიდა, მაგალითად კი ბოლო დროს ქალაქში სასწაულად მომრავლებულ ჩინელებს[3] ასახელებდა – ერთ აპარატს მოთხოვ და ორს იდგამენ, ოღონდაც ამ მადლიან მიწაზე, ბიზნესისათვის ეგრერიგად მომხიბლავ გარემოში ფეხი მოგვაკიდინეთო... მოკლედ, ისე გაიფუჭა სახელი, ზურგსუკან ყველა "მგელოს" ეძახდა.

ქალაქში ობლად და მიუსაფრად დარჩენილმა თინეიჯერმა წითელქუდამ ტოპ-მოდელობა და პოდიუმზე გასვლა გადაწყვიტა – ახლა სხვა დროა, ცხოვრებაში გზა ჩემით უნდა გავიკვლიოო. იმის ბედად თუ ნავსად, სწორედ მაშინ იყო, ზემო ქართლის გამგებელმა საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სილამაზის კონკურსის მოწყობა რომ ითავა და ჩვენი წითელქუდაც გოგოცუნა-მოდელების მარაქაში გაერია. მაგრამ რომ ეგონა, ბებოს ჩამოტანილ ამ ჩემს "ფირმა" ქუდს ცქვიტინიძის ახალ შედევრად გავასაღებ და შურით ყველას თვალს დავუყენებო, მწარედ მოტყუვდა: ავტორიტეტული ჟიურის მომხიბლავმა, მაგრამ მკაცრმა თავმჯდომარემ შესარჩევ ტურშივე დაიწუნა და პოდიუმიდან თვალცრემლიანი გამოისტუმრა.

რა გზა ქონდა საბრალო წითელქუდას – სხვა მრავალივით, დეპრესიაში ჩავარდა და ტელევიზორში სერიალების გარდა ვეღარაფერს უყურებდა – ისიც იმიტომ, ბებიას რომ ჩააკითხავდა ხოლმე, ხუთი სერიის გულისგამგმირავი ამბები ერთიანად მოეყოლა – აგარაკზე ხომ დენი კარგა ხნის გათიშული ჰქონდათ და ბებო ჭრაქსაც[4] კი ხელისკანკალით ანთებდა – იმ ჩემი ცოდვით სავსე საგადასახადომ აქაც არ მომაგნოსო...

ერთხელაც, ორშაბათი დღე იდგა, ზის წითელქუდა ფანჯარათან და ხედავს, ვიღაც კრიჭაშეკრული ტიპი სახლის წინ მიდი-მოდის. მაგარი ზმანი ვინმე იყო: ფეხზე – ინსპექტორები, ყელზე – წითელ-მწვანე ჰალსტუხი, კისერზე – თეთრი კაშნე და "გუჩის" შავი სათვალე: თმა მხრებამდე სცემდა და სულ ჟელე-მუსით ჰქონდა გაპოხილი. "ნაღდად ესეც მარიო ჩიმაროს თბილისელი ორეულია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, იქნებ მაგას მაინც გაუმართლოს კონკურსში და პრიზად კუბის საგზურიც გაირტყასო," – გაიფიქრა გულკეთილმა წითელქუდამ.

მერე ერთი ისეთი ამოიოხრა, ლამის ის კეთილი გულიც ამოაყოლა, 50 თეთრიანი ფენოვანი ხაჭაპურები ცელოფანის პარკში გამოხვია და საგურამოს გზას დაადგა: ამ დახუთულ, მშენებლობების მტვრით გაბუღულ ქალაქში უაზროდ ჯდომას, ისევ ბებოს მონახულება ჯობია, ახალს თუ ვერაფერს ვუამბობ, ხელს მაინც წავაშველებ რამეშიო.

---

[2] შდრ: "ვეფხისტყაოსანი", 30, 4.

[3] აქ: *კარგიანები.*

[4] ძველებური, ნავთის სანათი.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთი გაზიზინებული, ჩამუქებულფანჯრებიანი, ხასხასა წითელი Nissan-Terrano წამოეწია და რას ხედავს – სწორედ ის "თბილისელი მარიო" არ გამოჭიმულა საჭესთან?

– ქალიშვილო, ამ უღრან-უსიერში მგელი იცის, მარტოკა ვინ გამოგიშვათ, სახლში თუ იციანო? – ეკითხება კოპებშეკრული.

წითელქუდამ გრძელი წამწამები დააფახულა, თავი ჩაქინდრა და მორცხვად ჩაილაპარაკა:

– მარტო ვცხოვრობ, მშობლები ბოლო ათი წელია სულ გასტროლებზე არიან, ანსამბლთან ერთად... ახლაც საფრანგეთის ალპებში ცეკვავენ ლეკურს. ბებო კი აგარაკზე გავუშვი, ცოტა დაისვენოს საბრალომ, იმდენი ინერვიულა! ახლა იქ მივდივარ სწორედ, მოვინახულო მინდა...

– შვილიშვილი მომესწროო, ბებიაშენმა თქვას! გზას თუ მიმასწავლი, კარებამდე მიგიყვან... ბებოს თუ არ ჩავაბარე შენი თავი, რა გულით ვუყურო ამაღამ ფეხბურთს! – უცებ გახსნა შუბლი მგელომ.

წითელქუდას ბევრი თავპატიჟი აღარ გაუდვია, ციმციმ წინა სავარძელზე მოიკალათა და კაი გამოსული ფოტომოდელივით ფეხი-ფეხზე გადაიდო. სულ ამოუვარდა თავიდან ბებოს დარიგება – *წესიერ გოგოს წითელი ტაქსი სხვა წითელ ავტოებში არ უნდა აერიოსო...*

– სალარო კი არადა, *საღამო მშვიდობისა*, კეთილი იყოს შენი ფეხები ჩემს პიპიაშიო, – მიეხმატკბილა მგელო, ძრავა დააღმუვლა და როგორც რომ თავმომწონე ქალაქელ მძღოლთა წესია, ეს ტანკივით მანქანა ადგილიდან წყვიტა.

თავი II

მანქანა დაიძრა და წითელქუდაც დაიქოქა:

– ესე რატო გაზავ? გეჩქარება სადმე? აქეთ ახალი გზები ჯერ არ დაუგიათ...

– მეჩქარება და ეგერე?! ერთი სული მაქ, ბებიაშენი ვნახო...

– უიმე, იმასაც როგორ გაუხარდება! ადრე პედაგოგი იყო და წესიერად ჩაცმულ-დახურულ ახალგაზრდებს მონატრებულია... აი, ჰალსტუხი მართლა ძაან ლამაზი გიკეთია, ოღონდ ამხელა ნასკვი მოდაში აღარაა – საწყენად არ გეუბნები... – ენად გაიკრიფა წითელქუდა.

– ე-ეჰ, მოდა არ ვიცი და ისეთი სამსახური მაქ, ურჩი გადამხდელების გასკვანჩაში მაგრა მეხმარება...

– ამხელა სათვალე რაღად გინდა? – ისევ ჩაეკითხა წითელქუდა.

– უბრალო Gucci არ გეგონოს, დაიკო – ეს ისეთი რამეა, როცა მიკეთია, ჩემს თვალს არაფერი გამოეპარებაო, – ამაყად უპასუხა მგელომ.

ის-ის იყო, ბებოს ფინურ ქოხმახსაც მიადგნენ, რომ იქიდან კაი შეწყობილი, სამხმიანი გურული სიმღერა მოესმათ.

– კარგ დროს მოვსულვართ, ბებო ჩინელ მეტყევეებს ქართულ სიმღერებს ასწავლისო – წამოიძახა წითელქუდამ.

– აჰა, სკოლიდან ხო გამოაბუნძულეს, ახლა ამ უღრანში დაუწყია რეპეტიტორობაო, – ღვარძლიანად გაიფიქრა მგელომ.

ბებოს მეზობლად ვინმე ჩინელებს ტყის კარგა მოზრდილი ნაკვეთი მართლაც ჰქონდათ იჯარით აღებული, მზის ამოსვლიდან დაღამებამდე ჭიან-ჭველებივით შრომობდნენ და დაატყვეს კიდევაც იქაურობას ხელი, ოღონდ კარგ შრომას ხომ კარგი სიმღერა უხდება, და როცა გაიგეს, ჩვენს მეზობლად გამოცდილი ლოტბარი სახლობსო, ში-ფუდ[5] დაისვეს და ყოველ საღამოს, ჭრაქის მბჟუტავ შუქზე, მრავალხმიანობაში იწაფებოდნენ.

– სამღერლადა აქ ხომ ბებიაშენს საქმე, ახლა ვამღერებ ნოტებზე! – დაიქადნა მგელო, ჯერ წითელქუდა დააიღლიავა, მერე წიხლით შეაღო კარი და... როგორც მგელი ფარეხში, ისე შეუვარდა საბრალო ბებოს სახლში.

ამ ჩვენს მგელოს, როგორც ადრე მოგახსენეთ, ჩინელების მტრობა არ ედო გულში, პირიქით, მაგრამ ბებოზე აღრენილმა, ამათაც გადაუბრიალა თვალები – ემანდ თქვენი ლიცენზიაც[6] მაჩვენეთო.

– გადაირიე, შე მხეცო – ბავშვი არ დამიზაფროო! – მუხლი მოეკვეთა ბებიას.

– ბავშვი არა, იხვი – პოდიუმს ეს არ იკლებს და ტყე-ღრეში მარტოკა დაწანწალებს... შენ ის მითხარი, არ გეყო, საგადასახადოს რო ეურჩებოდი, ახლა კერძო მოწაფეებიც აგიყვანია?! თანაც ვინ – ამ თვალებმოჭუტულებს საბუთები მაინც თუ აქვთ წესრიგში? – იღრიალა მგელომ.

---

[5] აქ: მოძღვარი, მწვრთნელი,. მასწავლებელი (ჩინ.).
[6] აქ: შესაბამის ადგილებში ხე-ტყის ჭრის ნებართვა.

– დამღუპე შვილო?! ეს ვინ მოგიყვანიაო... – შეიცხადა ბებომ და შვილიშვილი გულში ჩაიკრა. – არ გასვენებს ხომ გამჩენი, მურმან ჩემო! რაც გინდა მთხოვე, ოღონდ...

"უყურე შენ! კლასში სულ *მურვანია-ყრუს* დამძახოდა და კარგად კი დაუმახსოვრებია ჩემი ნათლობის სახელიო!" – აიმღვრა მგელო. – ქალბატონო ბებია, აქ ჯდომას და ამ მშრომელი და პატიოსანი ხალხის "ქუჩის ბიჭებად" გადაკეთებას, შვილიშვილს მიხედოთ, ის გირჩევნიათ – სადღაც ტყე-ღრეში რომ დაიარება და უცხოებს რომ უჯდება მანქანაში! გახდება ესეც ტრეფიქინგის[7] მსხვერპლი და ეღრიჭინეთ მერე ინტერპოლს..![8] – კბილები გააკრაჭუნა მგელომ.

შეშინებული ჩინელები კუთხეში მიიყუჟნენ და ისე დაიბნენ, დიქტოფონის[9] გამორთვაც კი დაავიწყდათ...

– ახლა, როგორ იქნება ჩვენი საქმე – ამ ბოლო დროს იმდენი ვალი დაგიგროვდათ, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ხომ არ აგცდებათ, მერე სახლ-კარიც გასაყიდი გაგიხდებათ და დაგრჩებათ ეს გოგო ქუჩაში... ისე, ჩვენში რო ვთქვათ, არა ვარ მე მაგის კაცი – ცხოვრებაში ქრთამი არ ამიღია, მაგრამ ძველი ნაცნობობით და თქვენი ჭაღარის პატივისცემით, მივხედავ და მოვაგვარებ ამ საქმეს! თუ თქვენის მხრივაც გაგება იქნა, რასაკვირველია...

– ეგ რამ მოგაფიქრა, შე მართლა მგელო შენა! – ხელები გაასავსავა ბებომ, – ან მაგას როგორ მკადრებ, ან საერთოდ რა მაბადია – სამსახური აღარა მაქ მე საცოდავს და საკუთარ ნაკვეთზე მოწეული მზესუმზირის გაყიდვაც არ შემარჩინეთ...

– კაი ახლა, არ ამატირო – ეგ შენი მოცეკვავე სიძე-შვილი სულ თითის წვერებზე რო უვლიან მსოფლიოს, დავიჯერო არაფერი ექნებათ შავი დღისთვის გადადებული?! გაიკრან ჯიბეზე ხელი – მოხსნან ფული ანგარიშიდან და ნუ გაგიშვებენ ამ ჭაღარა ქალს ციხეში... მეც კაცი ვარ, სახლში ევრორემონტი მაქ მოსამთავრებელი, ათასი ხარჯია... მართლა მგელი კი არა ვარ და შეჭმა კი არ მინდა შენი... – დაალაგა ვითარება მგელომ. მერე ბებოს სავარძელში გაიშხლართა, *ინსპექტორებიანი* ფეხები მაგიდაზე შემოაწყო, შავი სათვალე და ოქროსფერი Nokia დაუდევრად იქვე მიყარა და წითელქუდას გასძახა – ცუნცულ, ერთი ჭიქა ცივი წყალი მომირბენინეო.

"მარიო მეგონა და მგელიკა არ შემრჩა ბოლოს ხელშიო, – გაიფიქრა წითელქუდამ. – მაშინვე უნდა მივმხვდარიყავი, '*სალარო მშვიდობისა*' რომ

---

[7] აქ: ბავშვების გატაცება მათი უცხოეთში დასაქმების მიზნით.
[8] პოლიცია, რომელიც *ცუდიანებს* ყველგან იჭერს.
[9] ხმის ჩამწერი პაწია აპარატი.

წამოცდაო...” მერე იაზრა, ცუდადაა ჩვენი საქმე, ახლა პატრული თუღა გვიშველისო – საუბარში გართულ, საკუთარი თავით ძაან-ძაან კმაყოფილ მგელს ჯერ ცივ-ცივი წყალი მიართვა, თან უჩუმრად მობილური აწაპნა და ბნელ კუთხეში ატუზულ “ჩინურ ტრიოს” ამოფარებულმა, 002-ზე SMS-ი აფრინა – არიქა, გამზრდელ ბებოს მიყაჩაღებენო...

სად იყო, სად არა, *სოდ*-ის[10] ბრიგადაც იქვე გაჩნდა: როცა ვითარებაში გაერკვნენ და, ჩინელების დაჟინებული მოთხოვნით, დიქტოფონზე ჩანაწერიც მოისმინეს, ეს ჩვენი გაბღენძილი მგელო წამში გაბაწრეს და გისოსებიან მანქანაში უკრეს თავი. ჩინელებსა და წითელქუდას თანამშრომლობისათვის მადლობა გადაუხადეს, ბებოს კი უსაყვედურეს – როგორ გეკადრებათ ქალბატონო, "იმედის" ეთერს არ ადევნებთ თვალს – ოპოზიციამ თავისას მიაღწია, პრეზიდენტმა პირადად გააუქმა ბრძანებულება და სალაროების დადგმა, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია, ხელზე მოვაჭრეებს აღარ მოეთხოვებათო...

გახარებულმა ბებომ განჯინაში გადანახული, ლიტრიანი ბოთლი თაფლის არაყი და ჯანჯუხები გამოალაგა, სახელდახელო სუფრა გააწყო და მისი ფინური ქოხიდან დილამდე მოისმოდა ბებია-შვილიშვილის შეწყობილი დუეტი და სამი ჩინელის მოგუდული ბანი:

მგელო, მგელო – პირდაუბანელო
ქრთამი ისე აგიღია, ხელიც არ დაგიბანია!
ლალე-ლალე დივლიდალალალე
სალაროებს ვინც აუქმებს, იმას ვენაცვალე!

მ ო რ ჩ ა !

[10] პოლიცია, რომელიც *ცუდიანებს* ჩქარა იჭერს.

კბილის გასაკრავი

(რეცენზია, გამოხმაურება, მკვახე შეძახილი...)

'მოთარგმანების ამაო გარჯა...'

მოთარგმანების ამაო გარჯა

"არცოდნა — არცოდვაა, მცირე ცოდნა კი — უბედურება..."
მე, *გამოუქვეყნებელი ნაწერები*, ტ. I.

ღმერთი-რჯული, 50-ს გადავაბიჯე და ეპითეთი "ღვარძლიანი" ჯერ ჩემთვის არ-ავის მიუკერებია; ეტყობა, ვბერდები, ან უკვე ნერვები მღალატობს, ანდა, სულაც, ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი ზღვარი... კაცი ვერ დამარწმუნებს, V კორ-პუსში ნასწავლი ინგლისურით და მშობლიური ლიტერატურის სიტყვაკაზმული კლიშეებით შეიარაღებულმა, თურმე მთლად *"დედამიწის შემარყეველი რომანი"* (verbatim! - იხ. წინათქმა) ისე თარგმნოს ვინმემ, თანაც ბევრი ტვინის ჭყლეტისა და დროის, ოფლისა თუ ნერვების ჩაუნთხევლად, რომ მთელ დედამიწას შევეშვათ, ვაკის უბანში მაინც წაიკითხოს ვინმემ სიამოვნებით.

თარგმანი ხელობაა, ვუნდერკინდების გაჩენა აქ შეუძლებელია – ჯერ შეგირდი ხდები, მერე ხელოსანი და ბოლოს, თუ სმენაც მოგდევს, შესაძლოა დაოსტატდე კიდეც (კი, სწორედ *შინაგანი სმენაა* საჭირო, რომ ყური მოგჭრას საკუთარმა ფრაზამ – "უეცრად კონიმ უხერხულობა იგრძნო"); *საკუთარმა*-მეთქი, ვიმეორებ, თორემ ცხონებულ **დ.ჰ. ლორენსს**[1] ბრაზილიურ/მექსიკური სერიალებისათვის სცენარები არასოდეს უწერია...

ეგაა, რომ თარგმნა ჩვენში მეორად, "გაჭირვების საქმედ" ითვლებოდა მუდამ: როცა ერთი ყოვლად იდიოტური ტერმინის შემოღება სცადეს – *პოეტი-მთარგმ-ნელი,* მთელი ამქარი ფეხზე დადგა – ვინაა თქვენი მთარგმნელი, ყველანი ნაღდი პოეტები ვართო (ვახუშტი კოტეტიშვილი, უბრალოდ, სწორედ ის გამონაკლისია, წესს რომ მიდასტურებს). პროზაშიც რა, იგივე იყო: ჩვენში დეტექტივის თარგმნა ისეთ "გლახა საქმედ" ითვლებოდა, *უფულობას რა ვუთხარი, თვარა მაგას რავა მოვკიდებდი ხელსო* – ჩვეულ თავისმართლებად გაისმოდა ხოლმე. მე თუ მკითხ-

[1] დიახ, სწორედ ასე; იხ. ნ. ყიასაშვილი, შექსპირის პერსონაჟთა სახელების ქართული დაწერ-ილობა (ქართ. შექსპირიანა, თ.3). ისე, თუკი ლორენს სტერნია, დ. ლოურენსი რომ მხოლოდ რუსული კალკია, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა?

ავთ, სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული – ჩვენებური ინტელექტუალისათვის დეტექტივი მდარე საკითხავია, უკეთეს შემთხვევაში, უძილობის წამალი, მთარგმნელისათვის კი – საჯილდაო ქვა: ნებისმიერი ნოველა-დეტექტივის თარგმნა, ანუ იმგვარი დაწურული პროზის, სადაც კაზმულსიტყვაობა, ამაღლებულ-გაფუყული მეტყველება და ზედსართავების ცვენა, უბრალოდ, უადგილოა — გადაულახავ პრობლემად ქცეულა ჩვენი ლიტ/შემოქმედებითი ელიტისათვის.

აქედან გამომდინარე, კრიტერიუმები ისეა აღრეული, ტ.ს. ელიოტს თუ თარგმნის კაცი, აზრად არ მოსდის, სიტყვაზე, ბესიკ ბარკალაიას ლექსების გვერდიგვერდ თუ აღმოჩნდა ჟურნალში დაბეჭდილი, სხვაობა, რბილად რომ ვთქვათ, თვალშისაცემი და ყურსმოსახვედრი უნდა იყოს... (Hence – ამ უკანასკნელის მიერ შეცბუნებული კილოთი თქმული: *ა, მე და ა, ელიოტი – მე არაფერს ვიტყვი ძმაო, თავად ნახე!..)* და როგორაც ითარგმნებოდა, ახლაც ასევე ითარგმნება და ისტამბება იმგვარი ground-shaking (ანუ ***ტრადიციების***, და არა "**დედამიწის შემარყეველ**" – იხ. სარეცენზიო თარგმანის წინათქმა) ნაწარმოებები, როგორიცაა ორუელის "ცხოველების ფერმა", ნაბოკოვის "ლოლიტა", ან თუნდაც, წინამდებარე "*კნეინა ჩეტერლის მუსუსი*"... სია გვარიანად შეიძლება გაგვიგრძელდეს, ოღონდ აქ, ვთქვათ, ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა" (ბ-ნ კიკილაშვილის მიერ გადმოქართულებული) რა მოსატანია – იქ, თავის დროზე, უბრალოდ მისამართი შეეშალათ, თორემ "ნიანგში" უნდა დაებეჭდათ, რუბრიკით "ჭიპზე რომ გასკდე, ვერ მოიფიქრებ!" (ესეც რუსულიდან გახლავთ უნიათოდ გადმოღებული: "*ნაროჩნო ნე პრიდუმაეშ!")*

ჰოდა, შედეგად რას მოვიმკით? იყიდიან, წაიკითხავენ, მაგრა გაუსწორდებათ და მიხვდებიან, რა განსხვავებაა ლიტერატურასა და "ფართო იდეოლოგიურ ტილოს" შორის? როგორც რომ იტყოდა აკად. ა. გაწერელია: *სომნევაიუს ფრიად!* (მაგალითისთვის "დიდოსტატის მარჯვენა" ავიღოთ: სულ მაინტერესებდა, რატომ თარგმნიან, ყიდულობენ, კითხულობენ მორის დრიუონის "რკინის მეფეს" და სულ ქვედა კიდურებზეც ჰკიდიათ ჩვენი დიდი კონსტანტინე. რა, დასავლეთში გამომცემლებს ფულის კეთება აღარ უნდათ? გადი-გამოდი, ერთი ჟანრისა და მსგავსი ფაბულის რომანებია, ოღონდ საქმეც ისაა, ერთი კარგად წერს, ხოლო მეორე – რაც არ უნდა კარგად თარგმნო – რაც არის, ის შეგრჩება ხელში).

ოღონდ ზემოხსენებულ "მაღალ შტილში" მოთარგმანებით კი დ.ჰ. ლორენსიდან გურამ ფანჯიკიძის "სპირალს" მიიღებ, უმბერტო ეკოდან (იხ. *არილი*, 2001) ლევან ღვინჯილიას ესეს, ხოლო უისტან ჰ. ოდენის "ჰეროდე" (იხ. *ინგლისურ/ამერიკული პოეზიის ანთოლოგია*) სულაც რეზო ამაშუკელის ნაცოდვილარად მოგეჩვენება და ა.შ. და ა.შ. ეს უკვე *ტენდენციაა*, სწორედ რომ *ტრადიციაში* გადასული, და სანამ თავად თარგმანის <u>კრიტერიუმები</u> არ შეიცვლება (ანუ, ვკითხულობ ამა თუ იმ მწერლის *ნაწარმოებს*, და არა ამისა თუ იმის *თარგმანს*), ამ საქმეს არაფერი ეშველება!

ABC: **თარგმანი სრულად ადექვატური უნდა იყოს დედნის – როგორც მოცულობით** (ეს ქართული შრიფტი იკავებს 20%-ით მეტ ფართს, თორემ მთარგმნელი ჯამში ერთი-ერთზე უნდა აჯენდეს გვერდების რაოდენობას – ტექნიკის საქმეა ეს და არა ენებს შორის არსებული განსხვავების გამო შეუძლებლის მოთხოვნა!) **ისე მკითხველის მიერ მისი <u>აღქმის</u> მხრივ**. გაუგებარს ვამბობ რამეს? ნამეტანს ვითხოვ?

როცა შესავალში ვკითხულობ – დიდი ინგლისელი /ამერიკელი/ფრანგი/გერმანელი...[2] მწერლის წიგნი გიჭირავთ ხელშიო, როგორც მინიმუმი, სრულიად საქ. მწერალთა კავშირის <u>ნებისმიერი</u> ყოფილი თუ ახლანდელი წევრის ნაწერს პირველსავე გვერდიდან უნდა აღემატებოდეს! ვითომ, ძაან-ძაან ზედმეტი მომდის? არა მგონია. ძნელია? ადვილი ფაფის ჭამააო, გამიგია.

ასე და ამგვარად, ყველაფერი თავიდან იწყება და მეც ჯერ მხოლოდ შესავლის პირველ გვერდს მივყვები – მაინტერესებს, რამდენად მზადაა მთარგმნელი ნეტარხსენებული დ.ჰ. ლორენსის შემოქმედება გამაცნოს. იმთავითვე გავაცხადოთ: მე მომავალი მკითხველი ვარ, ამა წიგნის პოტენციური მყიდველი და მაინტერესებს, ღირს თუ არა მასზედ საკუთარი (აბა გამომცემლობის საქმეები მე რაში მანაღვლებს) დროისა და ფულის ხარჯვა.

---

[2] დიახ, გერმანელიც – ეს ჩვენთვისაა გერმანული მწერლობა "მძიმე", თორემ გერმანულენოვან მკითხველთაგან ჯერ ამაზე არავის დაუჩივლია; და თუ ისევ ამ ყოვლად იდიოტურ კლიშეს მოგებებთ – ქართულად "არ ითარგმნება", *მძიმედ* გამოდის, ბატონოო — იხ. მაგ. ჰერმან ჰესე, "დ-რ ქნოლგეს აღსასრული" კრებულში *დეტექტივი/ფანტასმაგორია*; ან რობერტ მუზილი, "პორტუგალიელი ქალი", ანდა სულაც — პატრიკ ზიუსკინდი, "ნელსურნელება" (ჩვენსავე ალმანახში).

1. ავტორის გვარის დაწერილობაზე უკვე მოგახსენეთ, მაგრამ არც მისი გულის მურაზის სახელია მართებულად გადმოტანილი: უნდა იყოს ფონ და არა ვონ (მაგ: ფონ კარაიანი, ფოლკსვაგენი...), ასევე, რისტჰოფენი: თითქოს არაფერი, მაგრამ ვთქვათ, მე რომ ჭუმჰურიძედ ჩამწეროს ვინმემ, ანდა თავად მთარგმნელს *თხ-ავლიაშვილად* გადაუკეთონ გვარი, რომელს გვეამება?.

2. ... ბობოქარი (sic!) ქორწინების შედეგად, ლოურენსმა გამოსცა ლექსების კრებული სათაურით "მოგვისმინეთ, ჩვენ მივაღწიეთ!" {ვაგა, ვაგა, ჩქიმი ცოდვა!!! – **გჭ.**}

რას გეტყვით, იცით? ქორწინების შედეგად, საზოგადოდ, ბევრი რამ სავალალოც ხდება კაცის ცხოვრებაში, ოღონდ დიდ მწერალს რომ ბობოქრობის შედეგად ამისთანა უნიათო სათაური მოეფიქრებინოს, გამორიცხულია! დედანშია: "Look, We Have Come Trough!" თუ სხვაობას ვერ პოულობთ, ხელებიც დამიბანია...

3. "ბობოქრობა" საერთოდ და დ.ჰ. ლორენსის მიმართ კონკრეტულად, ვატყობ, მთარგმნელის უსაყვარლესი ეპითეტია: "*უხეში მამისა და პატივმოყვარე დედის ბობოქარმა ურთიერთობამ მოგვიანებით მწერლის შემოქმედებაში თავისებური ასახვა ჰპოვა...*"

ტყვილი, ტყვილი და პირში პაპიროსი! ჯერ ეს ერთი, მშობლების ურთიერთობა საერთოდ არაფერ შუაშია, ხოლო დედამისი უბრალოდ 'პატივმოყვარე' (რაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აღიქმება) ნამდვილად არ იყო – მთარგმნელს სრულიად გამორჩა მხედველობიდან სიტყვათშეხამება 'socially ambitious' რაც, თუ ასევე გამორჩენილ ეპითეტ "დახვეწილსაც" (refined) დავუმატებთ, ამ ქალბატონის წარმოსახვით პორტრეტს, დამეთანხმებით, ძირეულად ცვლის; და დედნის მიხედვით, არც ბ-ნი დეივიდი წარმოგვიდგება ისეთ ინფანტილურ არსებად, მშობლების თუნდაც ბობოქარ ურთიერთობას რომ მძიმე დაღი დაესვა მის შემოქმედებაზე. ძალიან პირუკუ: "The tempestious relationship with his violent father and (მიაქციეთ ყურადღება!) passionate bonding with his refined, socially ambitious mother..."

4. თუკი "*გერმანია იმავე წლის მაისში დატოვეს*" და, წინა აბზაცის მიხედვით, ახლა **ინგლისში** იმყოფებიან, "*გერმანიასა და იტალიაში*" როგორღა იმოგზაურეს?! სულ უბრალოდ, უოთსონ ჩემო – სულ უბრალოდ! for Germany ზუსტად იმის საწინააღმდეგოს ნიშნავს, რაც from Germany – ე.ი. ადიულტერის ჩამდენიცა და მისი შემაცდენელიც ინგლისიდან გერმანიაში გაქცეულან...

ეს ყველაფერი და კიდევ ერთი ამდენი შეუსაბამობა ამ 2-გვერდიანი შესავლის პირველსავე გვერდზე გეჩხირებათ თვალში; გადაფურცლავთ და – ლაფსუსები იქაც არანაკლებია, ოღონდ – სრულიად უინტერესო. მოდით, ახლა თავად რომანის რამდენიმე გვერდსაც გადავავლოთ თვალი.

საცა წესია, აქაც თავიდან უნდა დავიწყოთ, ანუ სათაურიდან: Chatterley იკითხება როგორც <u>ჩეთერლი</u> (იხ. D. Jones, English Pronouncing Dictionary) მაგრამ ასეთი წვრილმანებისთვის ვისა სცხელა შემოქმედებითი წვა-დაგვის ჟამს?! რედაქტორი რისთვისაა? მაგრამა, რა ჰქნას კარგმა რედაქტორმა, ამისთანა რამეს რომ ამოიკითხავს: "კონის თაყვანისმცემელი მუსიკოსი გახლდათ, ჰოლისი კი <u>ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენელი...</u>" ჰა? რავარია? ღმერთმანი, *გისურვებთ პროგრესულ წინსვლასო* – მახსენდება.

და სწორედ აქ მივადექით მთავარ უბედურებას: მთარგმნელს არათუ არ ძალუძს დედნის ადექვატურად გააწყოს ქართული ტექსტი, უბრალოდ, ვერც ხვდება რას კითხულობს და შესაბამისად, რა მოეთხოვება. მაგალითისთვის (ღმერთი-რჯული, არჩევანი სრულიად შემთხვევითია და თავს ვდებ, რომელი გვერდიც არ უნდა გადაშალოთ, ეფექტი იგივე იქნება) ავიღოთ გვ. 9 / p.8:

So the girls were 'free', and went back to Dresden, and their music, and the university and the young men. They loved their respective young men, and their respective young men loved them with all the passion of mental attraction. All the wonderful things the young men thought and expressed and wrote, they thought and expressed and wrote for the young women... They simply lived for their young women. In their minds and their mental excitements, that is. Somewhere else they were a little rebuffed, though they did not know it.

აქ ლექსიკური ერთეულებისა და რიტმული გამეორებების შედეგად მიღწეული მსუბუქი ირონია თარგმანში არათუ გამქრალია, მთელი პასაჟი პირდაპირ (შექსპირს დავესესხები) 'წრეგადასული გულმოდგინებითაა' ვინმე სილოვან ნარიმანიძის პროზას მიმსგავსებული. არა გჯერათ? ა, მე და ა, თარგმანი, no comment: "*ასე რომ, გოგონები თავისუფლები იყვნენ და მუსიკის შესასწავლად დრეზდენის უნივერსიტეტში დაბრუნდნენ. დაუბრუნდნენ თავიანთ ახალგაზრდა თაყვანისმცემლებს. ქალიშვილებს უყვარდათ თავიანთი კეთილშობილი ყმაწვილები და ამ განათლებულ ახალგაზრდებსაც მთელი ვნებით და გონებით უყვარდათ ისინი. ყველაფერი შესანიშნავი, რასაც ეს ყმაწვილები ქმნიდნენ: წერდნენ, ფიქრობდნენ თუ გამოხატავდნენ, ამ ყმაწვილქალებისათვის იქმნებოდა. ამ უკანასკნელთ მთელი თავიანთი გონებით და დიდი მღელვარებით უყვარდათ <u>თავიანთი ქალიშვილები</u>* (?!). *აი, ეს იყო მხოლოდ. სხვაგვარად ცოტათი თავმოყვარეობა შეელახებოდათ, თუმცა ეს თვითონაც არ იცოდნენ*" (sic!).

ანდა, ვთქვათ, ასეთ რამეს რა კომენტარი შეიძლება დაურთო კაცმა: "*ზაფხულის არდადეგებზე გოგონები შინ დაბრუნდნენ. მამამისმა თვალნათლივ დაინახა, რომ მათ სიყვარული უკვე ნაგემი ჰქონდათ...*" ან კიდევ: "*რაც შეეხება დედას, თავისი სიცოცხლის ბოლო თვეებში იგი ნერვიული ინვალიდი გახდა...*"

ამ ორ 'მარგალიტს' შუა ჩარჩენილ მშვენიერ ფრანგულ გამოთქმასაც ჩაილურის წყალი დაალევინა მთარგმნელმა – იფიქრა ალბათ, მე ინგლისურის სპეციალისტი გახლავართ და ამგვარი უცხო რამ ჩანართები არ მეხებაო (ისე სწორია, ხომ იცი შენ – ინგლისური ენის სიწმინდე კუნძულელებმაც რომ დაიცვან, არ აწყენთ, ეს ფრანგული კოკობზიკობა რაღა საჭიროა!)

კარგით, შევეშვათ ამ ერთ გვერდს და ახლა ის ვნახოთ, დიალოგების გამართვაში თუა მთარგმნელი მეტ-ნაკლებად მაინც გაწაფული. ჩემის ღრმა რწმენით, ესაა მთავარი – აქ რიტმს, ტექსტურას, ინტონაციას თუ ვერ შეარჩევ, პლატონიც უგერგილო პროვინციულ პროზად გამოგიჩნდებათ და ვეღარც რედაქტორს მოთხოვ რამეს. დავადოთ თითი პირველივეს, რომელსაც კი გადაფურცვლის შედეგად წავაწყდებით: (გვ. 80)

— მე მოგწონვართ?

— ძალიან! მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენს შორის კოცნის საკითხი არ წამოჭრილა. ხომ მართალია?

— სრულებითაც არა! – მიუგო კონიმ, - აუცილებლად უნდა წამოჭრილიყო?

ახლა, ეს ნაწყვეტი რომ სადმე, ვთქვათ, "ძველი ვოდევილების" დადგმაში ჩაგვერთო, ვერ ივარგებდა? ეგ კი არადა, ზედმიწევნითაც 'ჩაჯდებოდა' ცხონებულ ვასო გოძიაშვილისა და ლენა ყიფშიძის დუეტში...

მდა-ა!.. დამძიმდა სურათი... საქმე საქმეზე თუ მიდგა, სამ გვერდზე გადაჭიმულ ამ დიალოგში (გვ. 79/81) თუკი ერთ (1) ფრაზას მაინც იპოვით, რომელიც გაგრძნობინებთ, რომ სერიალების გადმოქართულებული ტექსტი კი არა, "დედამიწის შემარყეველი" ინგლისელი მწერლის გახმაურებული რომანი გიდევთ წინ, თქვენი დანა და ჩემი კისერი. ოღონდ ეგაა, ღამე არ დამეძინება, ერთი აბზაცი მაინც რომ არ დავიმოწმო სრულად:

— ეჭვგარეშეა, რომ წყალი ასეთი სველი არ უნდა იყოს, ეს მის სისველეს აღემატება, მაგრამ ასეა! მე მომწონს ქალები და მათთან ვსაუბრობ, ამიტ-ომაც მე არ მიყვარს ისინი და არც მათი სურვილი მწვავს. ერთდროულად ეს ორი რამ შეუთავსებელია ჩემში...

და ა.შ. და ა.შ. - ამ 415 გვერდიდან, რომელსაც კი არ დაადებ თითს, ყველგან რაღაცას იპოვი სამაგალითოს... ჩემი 33 წლიანი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, მხოლოდ ნეტარხსენებული გენრიხ ნეიგაუზის, ლეგენდარული პი-ანისტისა და პედაგოგის სიტყვებიღა შემიძლია მოვიშველიო: *ზამუჟ ვამ ნადო დეტკა, ზამუჟ!..*

ეია ჯაყმაჩყორიძე

ეს ერთი და...

პ. შუმილი — ***'ოინბაზი'.***

თ. თოფურია — ***'დაგვიანებული წერილი...'***

ლადო მალაზონია ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა, თინათინ თოფურია — ოცდაერთის; ერთის ინტერესის სფერო "მოთარგმანებაა", მეორისა კი — ვიღაცისთვის საკუთარი სათქმელის გაზიარება.

რუბრიკის დასახელებიდან გამომდინარე, იმედია — ორივე ახალგაზრდის ეს პირველი ლიტერატურული მცდელობა ფეხბედნიერი აღმოჩნდება და გვინდა გვჯეროდეს, სამომავლოდ მათ წინ საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებაც ელით...

ოინბაზი

– ლა-ა-რსო-ო-ნ!!!

ვიღაცას მეგაფონი მიუცია ჯეკისთვის. მოსაკლავია ეგ ვიღაცა... ვაგონიდან გამოვდივარ.

– ლარსონ! შენი ჯერია!

– მერე, რა გაყვირებს?

რაღაცეებს მიხსნიან, უმარტივესია. ხალათს ვიხდი, იაგუარში მსახიობის გვერდით ვჯდები და...

– ლარსონ, მოიძრე ეგ საათი! – ყვირის კამერას ამოფარებული ოპერატორი.

ჩართეს კამერა, მანქანაც დაიძრა. ავტობუსს ვუახლოვდებით. მსახიობი გატეხილი ფანჯრიდან სალონში უნდა გადაძვრეს. საჭეს თავს ანებებს და მარჯვენა ფეხიც უკვე გარეთ აქვს. მის ადგილზე გადავდივარ. იაგუარს ავტობუსს ვუსწორებ და იმასაც მეტი რაღა უნდა – ერთი გადაბიჯება და შიგნითაა!

მორჩა, გადაღებულია... ეკრანზე მარტო ის გამოჩნდება, მძღოლმა როგორ უშვა საჭეს ხელი.

ხალათს ვიცვამ, საკუთარ ვაგონში ვბრუნდები. შეზლონგზე ვწვები, ფეხებს მაგიდაზე ვაწყობ.

– ჰა შენ ლანჩი და დამცავი კრემი! – სარა მეუბნება, ჩემი ადვოკატი, პრომოუტერი, მდივანი, ვიზაჟისტი, მასაჟისტი – მოკლედ, უბრალოდ ერთი კარგი და რაც მთავარია, უკომპლექსო გოგო...

– კრემი არა ისა...

კეტჩუპის ბოთლს ვართმევ, თავსახურს ვაძრობ და გემოზე ვყლურწავ – ცხარეა!

– ლა-აარსონ!!!
ისევ მეძახიან. სარა იჯღანება. თმას ვუჩეჩავ და ვაგონიდან გამოვდივარ.

ახლა რაღაც კომედიურ სცენას ვიღებთ. ბოთე მექანიკოსს ინსტრუმენტები ძირს ეყრება, დომკრატი ეშვება და მერე გაგორებულ ბორბალს მისდევს. ამ ამბავში ვეხმარები – ბორბალს მანქანის გარშემო ვაგორავებ. უადვილესი სცენაა, მაგრამ რეჟისორს რაღაც არ მოსწონს – უკვე მესამე დუბლი მიდის.

– გადაღებულია! მაგრები ხართ, ძაღლიშვილებო! ლარსონ, შენ კიდე სუფთა მამაძაღლი ხარ!

ესეც კომპლიმენტია, რაღა... სარა ხალათს მაწოდებს. ვაგონში შევდივართ.

– გარეთ მეტი აღარ ვმუშაობთ, მარტო პავილიონის სცენა დაგვრჩა, – სარა მეუბნება.

იღბლიანი დღეა. სულ 5 ეპიზოდი. თუ ბოლომდე ასე წავიდა, ოთხამდე მოვრჩებით.

ახლა შავი იუმორის და საშინელებების ჯერი დგება.

– შუქი მოაშორეთ! – ყვირის რეჟისორი. ოთახში დავდივარ და სანთლებს ვაქრობ.

– ახლა წითელი ჩართეთ... მეტი წითელი მინდა! წავიდა – თეფში!..

ვემორჩილები. თეფშს მაგიდიდან ვიღებ.

– კლაუდია *შეშინებულია*! შეშინებული-მეთქი, გაკვირვებული კი არა! შე-ში-ნე-ბუ-ლი!!! – ღრიალებს რეჟისორი.

ცოტა ვიძაბები, მინდა კლაუდიას თვალებში ჩავხედო, შუბლზე ვეხები, ვუღიმი. კლაუდიას თვალები უფართოვდება და კივის. მართალია სცენარში ასე არ წერია, მაგრამ ბუნებრივად კი გამოსდის.

* * *

შემდეგ ეპიზოდში პატარა ბავშვის სიზმარს ვიღებთ. ბიჭუნა ძილში მთელი სახლის გარშემო დაფრინავს. ბავშვს ხელში ვიჭერ და კამერის წინ ნელა, კატასავით ვმოძრაობ. ოპერატორის თანაშემწე კიდე, ბავშვის გასაცინებლად, სიფათებს კერავს. ა, ნაღდი საჰოლივუდე კაცი! და ამისთანას არ იყვანენ...

– გადაღებულია!

ბავშვს თავს ვანებებ. ხალათს მაწვდიან. სარა ბლოკნოტში იჭყიტება, მეუბნება ბოლო სცენა სად გვექნება. ეგეც იოლია – უბრალოდ, ქვიშაზე უნდა

გავიარო და ნაკვალევი დავტოვო. როცა ფირს დაამონტაჟებენ, ყველას ეგონება, კვალი თავისით ჩნდებაო... ჩვენ, ვამპირებს, კამერა ვერ გვაფიქსირებს. სარკეშიც კი არ ვჩანვართ... კინოში – საერთოდ უჩინარი ვარ. ხელში რო მეჭირა, ის ბავშვი ჰაერში იფრენს, თეფში კი ცაში იქნება გაშეშებული. თითო სცენაში კინოსტუდიას გვარიან ფულს ვუზოგავ. მეც კარგად მრჩება.

მარტო ერთი ეს მწყინს: ნებისმიერ სცენაში და ნებისმიერ ამინდში, ზამთარ-ზაფხულ, შიშველმა უნდა ვიმუშაო – გესმით თქვენ? მთლად დედიშობილამ...

თარგმანი: ლადო ქალაზონია

დაგვიანებული წერილი

I
სანამ აყვავდება იასამანი

წამით რომ შეგეშვირა სახე ნიავისთვის, თვალები დაგეხუჭა და ფიქრი გაგეშვა საძოვარზე... ეგაა! — მატარებლის ვაგონებივით ჩაიქროლებდა თვალწინ ალგეთის გადატკეპნილი მინდვრები, წითურთმიანი სოფო, გზას მიჩერებული სანდრო, ამტვერებული შარაგზა... ხომ არის რაღაც, უბრალოდ ყოველთვის რომ გემახსოვრება, ჩაიბეჭდება მეხსიერებაში და მორჩა: თბილისიდან ახლადჩამოსული დედა, სანდროს შეძახილი — *გოგლი-მოგლი!*. წითური სოფო ტოტებგაფარჩხულ ბუჩქთან და სრულიად ბუნებრივი შეკითხვა – რატომ არ ყვავის ჩვენი იასამანი? უცნაურია, სახლის ეზოში, სადაც მხოლოდ ზაფხულში ჩადიოდნენ, იასამანი იყო დარგული: ყვავილი, რომელიც ამ დროს არ ყვავის. თუმცა, ეს არაავის ადარდებდა, სანამ ერთხელ სანდრომ არ იკითხა... მაშინ წრეში ისხდნენ ალგეთის პატარები, ხელისგულები ერთმანეთისათვის მიედოთ. მთელი ზაფხული ამ თამაშს თამაშობდნენ:

— წეროები!
— მიფრინავენ!
— სად?
— შორს!
— რამდენი?
— ოთხი. . . ერთი, ორი, სამი, ოთხი. . .

მოიქნევდა სოფო პატარა ხელს, ცდილობდა გიოსი გამოეჭირა. სწრაფი იყო გიო. ხელს უმალ გამოაცლიდა გოგოს და დატოვებდა გაწბილებულს. *ოთხი წერო!* — წარმოიდგენდა გიო. საით მიფრინავდნენ? რატომ მიფრინავდნენ? სულელური თამაში იყო ნამდვილად და მაინც... ასე იკითხა მაშინ სანდრომ — რატომ არ ყვავის ჩვენი იასამანიო. პატარები იყვნენ ძალიან. გიომ და სანდრომ ცამეტი ზაფხული გაატარეს იმ სახლში, გაშლილ იასამანს კი ვერადა ვერ შეესწრენ... მარტო მწვანე ფოთლები და წვრილი ღეროები... სოფოს ქვიშის პასკები და სანდროს მშვილდისრები, თქეში წვიმა და კიდევ ათას რამეს გაიხსენებდა, ნიავისათვის წამით რომ შეეშვირა სახე... გიო ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ კომპიუტერთან იჯდა და ახლად მოსულ წერილებს უკირკიტებდა საიას მომლოდინე. ბიბლიოთეკის კარს მარაოსავით აფრიალებდნენ სწავლას მოწყურებული *ფაატის* სტუდენტები — წინ-უკან, წინ-უკან... შეიძლება ყველა შე-

მომსვლელისათვის თვალი ვერც მოგეკრა, საიას კი აუცილებლად დაინახავდი. გრძელი შავი თმა ჰქონდა საიას. გრძელი შავი თმა... დიდი ხომ არაფერი, ვის არ ჰქონიაო, იფიქრებ, არადა იყო მაინც რაღაც განსაკუთრებული ამ გოგოში. ხომ არიან ადამიანები, ნებისმიერ კითხვაზე პასუხს რომ დაატარებენ. ერთს შეხედავ და მაშინვე ამოიცნობ იმ რაღაც მნიშველოვანს... ასე იყო გიოს შემთხვევაშიც, გასაოცარი მოვლენები რომ წაეწყობა და შენც ფეხს ააყოლებ, არიქა არ ჩამოვრჩეო. ფიქრს მხოლოდ მერე იწყებ, უცხო ქვეყნის აეროპორტში მოხვედრილი. *იქნებ შემთხვევით?* – გაგირბენს თავში ეჭვიანი ფიქრი, *იქნებ შემთხვევით ჩავბარე ამ უნივერსიტეტში?* – მოჰყვება მეორე და ასე იქამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს, საია სწრაფი ნაბიჯით არ ჩაივლის აუდიტორიის გამოღებულ კარებთან და შენთან შეჯახებულს, ოც თაბახად დაბეჭდილი რეფერატი სულ ჰაერში აუფრიალდება. როგორც კინოფილმებშია — გოგო ბიჭს შეეჯახება და რახან გოგოც ისეთია, როგორც კინოფილმებში, ალბათ ყველაფერი მთლად შემთხვევითაც არ მომხდარაო, დაასკვნი. ესეც შენი პასუხი ყველა კითხვაზე. მერე რა სასაცილოდ ეჭირა წიგნები საიას, თითქოს თვითონ წიგნებს ეჭირათ პატრონი, გაფრენას არ აცლიდნენ... გიომ თურქული ჯერ არ იცოდა, ინგლისურად გაეცნო გოგოს. ეს ორივესთვის პირველი წელი იყო *ფაატში*. ფართე, შავი თვალები ჰქონდა საიას.

მას მერე, აგერ უკვე მთელი ზაფხულის სემესტრი გასულიყო, გიო ყოველ დღე მოდიოდა ბიბლიოთეკაში, საიას შემოსვლას ელოდებოდა. გოგო, როგორც ყოველთვის, უხერხულად თუ შეაყენებდა მანქანას უნივერსიტეტის ერთ-ერთ კამპუსთან — ესაო და გიოს მოულოდნელად წავადგე თავზეო, სირბილ-სირბილით ამოვიდოდა ბიბლიოთეკამდე და კარს ისე შემოაღებდა, შეუძლებელი იყო ვერ შეგენიშნა. მოკლედ, იმ დღეს წაიკითხა ბოლო წერილი გიომ. კუს ტბაზე დავიწყეთ ბიჭებმა ვარჯიშიო — იწერებოდა სანდრო. ზღვიდან ახალი ჩამოსული, დღეში ხუთ-ხუთი საათი ცურვის შემდეგ, ახლა სახლში ვეღარ ჩერდებოდა. სხვებიც აიყოლია, დილაობით ადიოდნენ თურმე. ისე, ადრე სანდროს არასდროს უყვარდა ზედმეტი თავის შეწუხება. უცბად გაიზარდა სანდრო. ძველად გიოს გარეშე არსად წავიდოდა და არც ბიჭები დაუძახებდნენ. ყოველთვის გიოს ეძახდნენ და სანდროც გიოსთან ერთად იგულისხმებოდა. ახლა კი ძმის გარეშე ვითომც არაფერიო. წერილი გრძელი იყო და ესეც გაუხარდა გიოს — მოკლე წერილებში ხომ ფაქტიურად "რას შვების" მეტი არაფერი წერია. ჯერ ბოლო წინადადება წაიკითხა: „უბანს გავარტყი, მთავარია ჩვენ ეზოს ხელს არ ახლებენ!". მერე სულ თავიდან დაიწყო. ამასობაში საიაც შემოვიდა ბიბლიოთეკაში, პირდაპირ გიოსკენ გამოემართა. გოგოს დანახვა გაუხარდა გიოს და მაინც, ერჩია ორი წუთი კიდევ ყოფილიყო მარტო, წერილი ჩაემთავრებინა. საიამ ქართული არ იცოდა, სამაგიეროდ მეილში ინგლისურ ასოებს კითხულობდა და ქართული სიტყვების უცნაურ გამოთქმას დასცინოდა ხოლმე. ისე, გიოსაც რამდენჯერ გამოუთქვამს თუნდაც სიტყვა – ა მ ა ს ო ბ ა შ ი და არც უფიქრია რომ *რაღაცნაირად* გამოითქმოდა. გოგოში ეს სიტყვა დიდი შენობის ასოციაციას იწვევდა. ბევრს იცინოდნენ ერთად. მშვიდი სიცილი ჰქონდა საიას.

სახლების ამბავმა ძალიან დააინტერესა გიო: სანდრო იწერებოდა, რომელიღაც ფირმას უყიდია თურმე მთელი ქვედა უბანი. ჩვენ ქუჩაზეც მიანგრმოანგრევენ ძველ სახლებს, კორპუსები უნდა ჩადგანო. სანდრო საშინლად

ბრაზობდა. გიოც გაბრაზდა თავიდან, ეს რომ წაიკითხა. მერე დაფიქრდა და — მოსახდენი მაინც მოხდებაო, დაასკვნა. ადრე თუ გვიან ხომ მაინც ყველაფერი უნდა შეცვლილიყო... საინტერესოა, ახლა სადღა შეიკრიბებიან უბნის ბიჭები, თუ ვანიკოს ეზოდან იმ "მოჩვენებების" სახლებს აიღებენ? ვეღარც ვახოს აივნიდან შეძლებდნენ შიშველი ნატას და ანუშკას ყურებას! (საღამოს ასე იცოდნენ ხოლმე ბიჭებმა — ვახოსთან ადიოდნენ ,,საქეიფოდ", როგორც თვითონ იძახდნენ და ცალი თვალი კი სულ ეზოს იქითა სახლის ფანჯრებისკენ გაურბოდათ: იქ დები ცხოვრობდნენ — ნატა და ანუშკა. საძინებელი ოთახი ფართე ფანჯრებით გამოდიოდა ეზოში. შუქის ჩაქრობით ეგენი თავს არ იწუხებდნენ და ფარდები კი ისეთი თხელი ჩამოეკიდათ, მხოლოდ გზააბნეულ კოღოს თუ შეაკავებდა, მეტს ვერაფერს.) სულ ცოტა ხანი იყო გასული, რაც გიო თბილისიდან წამოვიდა, შეგრძნება კი ისეთი ჰქონდა, გეგონება საუკუნე გასულიყო. თითქოს სულ ასე იყო რომ *ფაატის* საერთო საცხოვრებელში იღვიძებდა დილით, თითქოს სულ ასე იყო რომ ერთ ბეწო სააბაზანოში იბანდა პირს და მერე ეს ახალგაღვიძებული ფაატელი ბიჭების ზუზუნი... ძალიან პატარა ოთახი ჰქონდა გიოს: სულ ორი ლოგინი, ერთი მაგიდა, სკამიც ერთი, თარო — ერთნახევარი. წოღოსთან შეთანხმებული იყო, რომ ერთი თარო გიოსი იქნებოდა და ნახევარიც — წოღოსი. შეთანხმებული რა, უბრალოდ შეაწყო გიომ თავისი წიგნები და რაღას ეტყოდა წოღო, გამხურებელი კაცი ნამდვილად არ ეთქმოდა. საერთოდ, რა უნდოდა წოღოსთან ერთად ცხოვრებას — არ ხვრინავდა, მავნე ჩვევებიც არ ჰქონდა — მოკლედ, *უპრობლემო!* — როგორც იტყოდა ხოლმე საია და მერე გიოს მიუბრუნდებოდა – man, you are so-o-o lucky! ახლა ეძინა წოღოს. სასაცილო ძილი იცოდა — მოიკუნტებოდა ერთ მუჭად — მუხლები ნიკაპთან — და ასე იწვა დილამდე, გაუნძრევლად. შეგეცოდებოდა გაღვიძება, არადა არ ასცდებოდა მაინც. წოღოს ლოგინიდან გამოყრილ, გაჩხინკულ, იატაკის ჯოხივით გრძელ ფეხებს ახლა ნელ-ნელა აცოცდებოდა მზის სხივები — ნელინელ, თვალებამდე და ეგაა — ან მზე გამოაღვიძებდა, ან საიას ძახილი ქვემოდან: *Gioo, George! hurry up! we're late!*

* * *

სად იყო ამდენ ხანს საია? როგორც ყოველთვის, ალბათ ისევ გონებადაფანტული მოაქროლებდა თავის წითელ, "სათამაშო'' მანქანას. უკვე უახლოვდებოდა ალბათ ბიჭების საერთო საცხოვრებელს. ბევრ რამეზე ფიქრი არ სჭირდებოდა გიოს: შარვალი ყველა დასვრილი ჰქონდა, ჯინსის გარდა, წიგნებზე კი საია ზრუნავდა, როგორც ყოველთვის... ერთი კბილების გახეხვა და თმაც... თმა სჯობდა მარცხნივ გადაევარცხნა, ასე უფრო დიდს ჰგავდა, თან წვერიც ახლად ამოსული, ოდნავ, მეჩხერად... ერთხელ საიამ ისიც კი უთხრა, თმააჩეჩილიც მიყვარხარო. სწორედ ასე უთხრა. გიო ჯერ დაიბნა — ეს სიტყვები ხომ არც ისე ადვილი სათქმელია და გაუკვირდა, ეს რა თამამი ვინმე ყოფილაო... მაშინ გიო ახალი ჩამოსული იყო სტამბულში. საიაც ახალი გაცნობილი ჰყავდა. გემით გადადიოდნენ ევროპიდან აზიაში. გოგოს *ქადიქოის* დათვალიერება უნდოდა. ამბობდნენ, სავაჭრო ცენტრებით არი საკვსეო. საყიდლებზე სიარული კი საიას საყვარელი საქმიანობა იყო. ასე დაატარებდა მაღაზიიდან-მაღაზიაში ბიჭს და მოდის ახალ საოცრებებს აზიარებდა ხოლმე, არადა გიო ქართველი

მამაკაცების იმ ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს მიეკუთვნებოდა, რომლის აზრითაც მოდაში მხოლოდ ქალები და "ცისფერები" ერკვევიან. მაშინ უყიდა გიომ სანდროს ის ყავისფერი ქუდიც. კარგი ქუდი იყო ნამდვილად, თვითონაც სიმოვნებით დაიხურავდა. ასე ედო კაიხანს თავის ოთახში, გლობუსს ჩამოფხატებული, სანამ ერთ მშვენიერ დილას საბოლოოდ თავზე არ დაიკოსა და ემრესთან არ გადავიდა მთავარ კორპუსში. ემრეს საქმე ის იყო, სტუდენტებისთვის სტუდქალაქის ზედმეტად დატოვების საჭიროება აეცილებინა თავიდან. ამანათების გაგზავნის საქმესაც ის აგვარებდა, მხოლოდ ფული უნდა მიგეცა, მისამართი და საქმეც გაკეთებული იყო. გიომ საბოლოოდ ვერც დაადგინა, მიიღო თუ არა სანდრომ გაგზავნილი ქუდი. არც სანდროს მოუწერია — მოეწონა თუ არა, გიოსაც აღარ უკითხავს ზედმეტად. ასეთი ყავისფერი ქუდი მამასაც ჰქონდა — ძველი, მაგრამ კარგად შენახული, ოთახში თუ დაიხურავდა სანდრო ცოტა ხნით, მერე ისევ თავის ადგილზე აბრუნებდა. საერთოდ, მამას ნივთებს ხელს არავინ კიდებდა სახლში. ცალკე ჰქონდათ მამას კარადა, კარადაში კი კოსტუმები... ზოგიერთი საერთოდ ჩაუცმელი. მამას საფერფლე, მამას წიგნები, მამას საათი — მამისავე მაგიდაზე იდო, მამას კაბინეტში. იქ გიო და სანდრო ბავშვობაში ჩუმად თუ შეიპარებოდნენ, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მამას მაგიდის უჯრა სავსე იყო ქაღალდებით, ზედ რაღაც ციფრები ეწერა. მამის საქმეებში მის მეტი ვერავინ ერკვეოდა. ისე, ერთხელ კი სცადა უკვე წამოზრდილმა გიომ, გამოერკვია მაინც, რა ციფრები ეწერა იმ ფურცლებზე. არაფერი გამოუვიდა. თამილასგან იცოდა, მამას ერთ დროს რესტორანი ჰქონდა გახსნილი და იმ რესტორანში თურმე საუკეთესო ხინკალს ახვევდნენ. ასე იძახდნენ — საუკეთესო რესტორანიაო. გიო მაშინ ისეთი პატარა იყო, სულ არ ახსოვდა არანაირი რესტორანი. გიოს არც მამა ახსოვდა, მხოლოდ ფოტოებიდან და სიზმრებიდან.

* * *

სიზმრებიდან ახლად გამორკვეულმა წოღომ თვალები მოიფშნიტა. ზმორებით წამოიცვა მზისგან გახურებულ ფეხებზე ფლოსტები და სააბაზანოში გასძახა გიოს: *გიო, ათია უკვე, დააგვიანე!*

გიო ოთახში გამოვარდა, საათს გახედა.

— ლექცია დაიწყო! – წამოიყვირა უკმაყოფილოდ და მიხვდა, ამ ამბავს ვეღარაფერს უშველიდა. ლექცია რომ გააცდინა ეგ არაფერი, საია სად იყო ამდენ ხანს?! იქნებ ეძახდა და გიომ ვერ გაიგო. მაშინ რატომ არ ამოვიდა, არ დააკაკუნა... არა კაკუნი ნამდვილად გააღვიძებდა. საერთოდ ფხიზელი ძილი იცოდა გიომ, იქნებ სულაც დაავიწყდა საიას, დღეს რომ ერთად მიდიოდნენ ლექციაზე. ენდე ახლა ქალს! არა და, საია არ იყო ასეთი. ისე, უბრალოდ არასდროს იტყოდა რამეს... გაუგებარია!

ლექტორმა — საია დღეს დილით ავარიაში მოყვა და საავადმყოფოდან დაგვირეკაო. არაფერი სერიოზული, მსუბუქი ტვინის შერყევა. საპატიო გაცდენა ჩაუწერიათ გოგოსთვის.

— საპატიო გაცდენა! — გაეცინა გიოს. ლექტორმა გაკვირვებით შეხედა. ნეტა რას იღრიჭება ეს ბიჭიო და მოღუშული გავიდა აუდიტორიიდან.

— საპატიო გაცდენა! – გაიმეორა თავისთვის გიომ. – დილით რომ

ჩასძინებოდა ეს საპატიო არ იქნებოდა, ავარიაში რომ მოყვა — ეგ საპატიოა, ხომ! რას ჰქვია საპატიო? მაგას ვაჩვენებ როგორი საპატიოცაა! სულ ვეუბნებოდი, მანქანის ტარება არ იცი-მეთქი. არ იცის და მაინც ატარებს, თან რა სიჩქარით ატარებს! — გაბრაზებული გიო უნივერსიტეტიდან პირდაპირ უმრანიეს საავადმყოფოსკენ გაემართა. ისე ბრაზობდა, თვითონ უკვირდა, ასე რატო ამაღელვა ამ ამბავმაო. არცერთი გოგოს გამო არ უღელვია არასდროს. არა, საია გამორჩეული კი იყო სხვებისგან, მაგრამ — ასე?

გიომ საავადმყოფოს მისამართი ზუსტად არ იცოდა. ქუჩა სავსე იყო ხალხით, მაგრამ ისე ჩქარა მიმოდიოდნენ ვერავის კითხავდი რამეს. იქვე შორიახლოს, პატარა სკვერში, ბავშვები წუწაობდნენ შადრევანთან. გიომ ქუჩა გადაჭრა და შადრევნის გვერდით, სკამზე ჩამოჯდა. ძალიან ცხელოდა. მზე ისე დასწოლოდა ჰაერს, როგორც აკვიატებული მელოდია სმენას. ჯერ იფიქრა, წყალს ვიყიდიო. წყლის გამყიდველები არსად ჩანდნენ, არადა ბუზებივით ირევიან ხოლმე ზაფხულში. უცნაურია. წყლის გამყიდველები... თავიდან რომ ჩამოვიდა, გაუკვირდა — ყველა თურქი წყალს ყიდულობდა. გადასახადებიც იყო, როგორც დენზე და გაზზე... საერთოდ, ბევრი რამე აოცებდა ახალჩამოსულ გიოს. ზოგჯერ გაკვირვება გაბრაზებაშიც გადასდიოდა ხოლმე. ხან კი პირიქით.

— საქართველოში გააქვთ ზღვა? – გულწრფელი უვიცობით შეეკითხა გიოს სააბითი. ძალიან გააკვირვა ამ კითხვამ. ალბათ ხუმრობსო, იფიქრა და თვალებში ჩახედა. სააბითს თვალები შავი ჰქონდა, ოღონდ უძირო ჭასავით შავი კი არა, ფურცელზე უმიზნოდ დაღვრილი საღებავივით შავი. გიომ ვერანაირი ქვენა აზრი მათში ვერ ამოიკითხა.

— საქართველოში ზღვა... რა თქმა უნდა... წარმოიდგინე ლურჯი ზღვა, წყნარი. სანაპირო სუფთა, ირგვლივ მთებია მწვანე და ყველგან უფასო წყალი, ანკარა.

— უფასო? – გაოცდა სააბითი.

— უფასო და გემრიელი. საქართველოში ისეთი ბუნებაა ... – წამოენთო გიო *და ეს რა პატრიოტი ვყოფილვარო* – გაიფიქრა.

მაშინ ზღვისპირას ჭყუმპალაობდნენ, იალოვაში. სააბითმა ცურვა არ იცოდა. წყალში ისე უსუსურად ფართხალებდა, როგორც თევზი მეთევზის სათლში. დიდი არაფერი დრო ატარა გიომ იმ იალოვაში, თუმცა ახლა მაინც კარგად ახსენდებოდა ზღვა და ყველაფერი, შეიძლება ასე რომ ცხელოდა, იმიტომ და წყლის გამყიდველებიც კვლავ არსად ჩანდნენ... *ტვინის შერყევა მსუბუქი ფორმითო!* – ეგ არაფერი. ერთი-ორ კვირაში კარგად იქნება. მთავარია თავი არ აქნიოს ბევრი!...

ასეა, რას წარმოიდგენ, რამ შეიძლება აგაღელვოს ზაფხულის მშვენიერ დილას: გაიღვიძებ, გაისეირნებ ქუჩებში, ჩამოჯდები შადრევანთან, ბავშვები წუწაობენ ირგვლივ... თითქოს ყველაფერი კარგადაა და ეს სასაცილო ფიქრი მაინც არ გასვენებს... – "ძლიერად თუ დაარტყა, თავი არ ეტკინებოდა?!" მეტი რა არის — აი, უაღრესად ამაღლებული ტონით რომ იტყვიან ხოლმე: "*სიყვარული*", და მერე განმარტავენ: "ერთგულება", "თავგანწირვა", "მსხვერპლის გაღება"... ავარიაში მოყვება საია, გიო კი ზის შადრევანთან და უკვირს, ასე როგორ ამაღელვა ამ ამბავმაო. ესეც ასე, ამას მეტი რაღა განმარტება უნდა?

როგორც ახსოვდა გიოს, პირველად სანდროს შეუყვარდა გოგო — რა ერქვა

— ხო, ანი... თითქმის ერთი წლის წინ, ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა მაშინ. სანდრო პირველი იყო გიოს მთელ სამეგობროში, მთელ ნაცნობ ბიჭებში, ვინც გოგოს გულისთვის ფეხბურთის თამაშზე თქვა უარი, ერთ კვირა დღეს; ვინც გოგოს გულისთვის თმა შეიჭრა და საშემოდგომო ბრიჯების ნაცვლად შარვლის ტარება დაიწყო. არადა, თბილოდა ჯერ, ყოველ შემთხვევაში, არ ციოდა. თავიდან გიო ვერც ხვდებოდა რაში იყო საქმე, უბრალოდ დაინახა, სანდრო უცბად შეიცვალა და ძალიან არ მოეწონა ეს ამბავი. ერთხელაც, უკან დადევნებულმა, სანდრო ყვავილების გამყიდველთან დაინახა ქუჩაში. მაშინვე მიხვდა ყველაფერს. მერე ბევრი ეცადა გიო, რაიმენაირად გამოეტეხა ძმა. იქიდან უარა, აქედან უარა, მაინც ვერაფერი ათქმევინა, იმის გარდა, რომ გოგოს ერქვა ანი.

II

ჩემი ეზო, შენი ეზო, სხვისი ეზო —
ჩემი სახლი, შენი სახლი, სხვისი მანქანა...

დილაადრიან, ჯერ კიდევ სანამ მარტოობით გათამამებული ძაღლი ქუჩებში დაძრწოდა და ყველაფრის ბატონ-პატრონი ეგონა თავი — პატარა, კულულა-თმიანი თეა თითის წვერებზე აიწია, კარის სახელურს მთელი ძალით ჩამოაწვა და აივანზე გავიდა. ოქტომბერი იწურებოდა. უკვე ჰაერშიც იგრძნობოდა ზამთრის მოახლოება. მუქარას ჩახვდნენ ჩიტები, სწრაფად ამოშალეს ფრთები, თითქოს ბუმერანგები ისროლესო გვერდებიდან, ერთად გადაუფრინეს წითელ სახურავებს.

— ანი! ანი! გაიღვიძე, ნახე — ჩიტები! თან რამდენი! ნახე, ნახე, ანი-ი!

ოთახის ბოლოს, ლოგინში ანი იწვა. თავი წამოწია, გაახსენდა, რომ დღეს დილით ბალეტი ჰქონდა და გაეღიმა.

პატარა თეამ ანის უჯრიდან თეთრი თაბახის ფურცელი ამოიღო, ფანქრებიც ამოყარა და ჩიტების ხატვა დაიწყო, ოთახის ფანჯრებს რომ გადაუფრინეს და კარგა ხნით მიატოვეს აქაური უფერული ეზოები — ეზოები, ფრთების გარეშე რომ ვერაფრით დააღწევდით თავს — ჯერ თოკებზე გაფენილი სარეცხის გაჩოჩება მოგიწევდათ, მერე პატივისცემით უნდა აგვევლოთ გვერდი ეზოში ოდესღაც ერთადერთი წყლის ონკანისთვის, გვერდით მიწყობილი ქვაბებისთვის, ჯამებისთვის, ტაშტებისთვის და რა ვიცი...

მოკლედ, ამ ყველაფერს ერთად იტალიურ ეზოებს უძახდნენ ადამიანები და თუ ამ ადამიანებს ბრმად ვენდობით, იტალიელები ნამდვილად დიდი უამბიციო ერი ყოფილა. ციოდა, მზეც სითბოდაკარგული სხივებით ამოსულიყო უკვე — მხოლოდ ვალს იხდიდა. ეს იმას ჰგავდა, ღამით, გაყინული ფეხების გათბობას რომ ცდილობ და არაფერი გამოგდის, რადგან საბანიც ცივია... გიო აღშფოთებული წამოხტა ლოგინიდან. სიზმრიდან გამორკვეულმა, ოთახის მეორე კუთხეში თმააჩეჩილ, მძინარე სანდროს გადახედა და დაამთქნარა. სანდროს საბანი სადაცაა ძირს ჩამოვარდებოდა, მერე დედა შემოვიდოდა ოთახში და დაიწყებდა ჩხუბს — რატომ ეგდო სუფთა საბანი ძირს, რატომ ეყარა წინდები იატაკზე და ყოველდღე რატომ აგვიანდებოდათ სკოლაში... გიომ სავარძელზე დაყრილი, ახლადგარეცხილი ტანსაცმელი გადაქექ-გადმოქექა და სანდროს ერთ-ერთ შარვალში მძიმე, ვერცხლისფერი სანთებელა ჩააცურა. სანდროს ეძინა,

ესიზმრებოდა ალგეთი და ზაფხულის ცხელი დღე... სოფოს გაშლილი წითური თმა, თივის ზვინებზე გაწოლილი, მზეზე გარუჯული ბავშვები ჯერ კიდევ მკვახე ვაშლებით ხელში და ეს გემრიელი ხრაშუნი... *ანტონოვკაა* – სიამაყით რომ იტყოდა დედა. მცხუნვარე მზე, ოფლით დაცვარული სხეული და – *მოდი დაჯერობანა!* — წამოიძახებს რომელიმე, ისმის ალგეთის ჩუხჩუხი, ხეების შრიალი, გვერდზე მიყრილი ბადმინტონის ჩოგნები და ეს ძახილი შორიდან – *წეროები, სანდრო!* – გიოს ძახილი, თითქოს მინდვრის იქიდან — *მიფრინავენ სანდრო-ო! ცხრა წერო! სანდროოო...*

სანდრომ თვალები გაახილა და უკმაყოფილოდ გამოხედა გიოს. – რა, მართლა ცხრაა უკვე?

— კი, ადე დროზე.

"ისევ სკოლა" გაიფიქრა სანდრომ და — ისევ სკოლაო! – წაიბურტყუნა.

ყველაზე ძნელი პირველი გაფართხალება იყო, ადგომის წინ: საბანს რომ ოდნავ გადაწევ, ფეხს გადმოყოფ ლოგინიდან, თავი ასე, დამძიმებული, მიჯაჭვულივით გრჩება ბალიშზე, ყველა მხრიდან ხის რიკულებიანი აივნის ჭრიალი ისმის, გარს რომ ახვევია სახლს, და დილის ჟრიამული თამრიკოს სამზარეულოში, შორენას დაუვიწყარი მცენარეები, ახლადგაღვიძებული, სიომონაბერი ხე-ქალბატონი ოჯიში... ყველაზე საინტერესო სახლი, ყველაზე-ყველაზე საინტერესო ეზოში, მთელს ქალაქში ყველაზე საინტერესო ბინადრებით – ასე გეტყოდათ, რომ გეკითხათ სანდროსთვის და მარტო მიშა ბრეგაძის სასტუმრო ოთახში ეს რეიდები რად ღირდა! და საერთოდ, რა ადვილი იყო ამ სახლის ნებისმიერ ფანჯარაში შეძრომა! მიშა მათემატიკას ასწავლიდა ბიჭებს სკოლაში. გიო და სანდრო ბრეგაძის ერთ-ერთ ოთახში შეიპარებოდნენ ხოლმე, იქიდან დიდრონ, უკვე ანტიკვარიატად ქცეულ რადიოს გამოიტანდნენ და ეზოს შუაგულში, ონკანის გვერდით დადებდნენ; ბატონი მიშა საუზმეს მორჩებოდა, გარეთ გამოვიდოდა, კარს საგულდაგულოდ ჩარაზავდა და მაშინღა შეამჩნევდა, ვიღაცას ჩემი რადიო ეზოში გამოუტანიაო. მიშა გაცხარდებოდა, მაგრამ ამით რაღას უშველიდა საქმეს... ასე ერთობოდნენ სანდრო და გიო — კვირაში ერთხელ მაინც ხან რადიოს, ხან სკამს, ხან სხვა კიდევ რამეს გამოათრევდნენ გარეთ, ხუთი წუთით მაინც აფერხებდნენ გაკვეთილის დაწყებას... ამას უფრო ფორმალური სახე ჰქონდა თორემ, ხუთით კი არა, წუთითაც არ შედიოდა არცერთი გაკვეთილზე. გიო მეთერთმეტე კლასში იყო, სანდრო — მეცხრეში. თითქოს დიდი არაფერი განსხვავება ასაკში, ორი წელი, არადა სულ არ გავდნენ ერთმანეთს! სანდროს კითხვა უყვარდა — ისტორია, ფილოსოფია... გიო დეტექტივებს თუ წაიკითხავდა, სამაგიეროდ მათემატიკაში იყო ძლიერი გიო. ძალიან ძლიერი. სანდროს ნივთების შეგროვება უყვარდა: მონეტები, მარკები.. გიოს ნივთები არასდროს ადარდებდა, ოთახშიც მიყრილ-მოყრილი ჰქონდა ყოველთვის ყველაფერი. სკოლის მერე, საღამოს, სანდრო ცურვაზე დადიოდა, გიო — ჩოგბურთზე: წყლისკენ გული დიდად არ უწევდა. სანდროს არასდროს ესმოდა, როგორ შეიძლება წყალი არ გყვარებოდა. ჯერ კიდევ ხუთის იყო თუ ექვსის, ალგეთის ბავშვებთან ერთად რომ ჩაირბენდა ხეხილით გადავსებულ ბაღებს, მძიმე-მძიმე ქვებს მიათრევდნენ მდინარისკენ და მერე რა სიამოვნებით ცურაობდნენ ერთი ბეწოზე შეგუბებულ ალგეთში! — სანდროო! — გამოსძახებდნენ სოფლელი ბიჭები, შუადღის თაკარა მზეში ამტვერებული

შარაგზის პირას ჩამოსხდებოდნენ, ელოდებოდნენ. თბილი იყო მდინარე ნაშუადღევს, ქვები კიდე — ისეთი გახურებული, ისეთი გახურებული! გიოსთვის რომ გეკითხა – *ასიანი, მზის დარტყმა ზედა გვაქო!* – გეტყოდა. თვითონ ქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსულ ბავშვებთან ერთად ატარებდა მთელ დროს სახლში, ან ეზოში. ჯოკერში მოიგებდა, ჭადრაკში წააგებდა და ასე, დაღამებამდე...

* * *

უკვე ღამე იყო, სანდრო რომ საცურაო აუზიდან გამოვიდა. ცხელი შხაპის მერე ჰაერი ისეთი შემსუბუქებული ეჩვენა... გრილი ნიავი სახეში სცემდა და შარვლის ტოტები ფეხებზე ეტმასნებოდა. მხოლოდ ახლა შენიშნა სანდრომ, ჯიბეში სდებია თურმე საყვარელი, ვერცხლისფერი სანთებელა. ,,გიოს ტყუილა ვეჩხუბე, მართლა არ აუღია'' — გაიფიქრა და გაეღიმა. ქუჩა ბნელი იყო, ვიწრო და დაჩუმებული. ლამპიონები აქა-იქ ბჟუტავდა მხოლოდ. ქუჩის იქითა მხარეს ვიღაც რკინის კანისტრას დაახრიგინებდა. ხან მანქანის ფარები გაანათებდნენ ქუჩას, ხანაც ღამე დაამთქნარებდა, ქარს ამოუშვებდა და მიახეთქებდა აგურის შენობებს.

— ბოდიში, ერთი ეს დამიჭირე... ოღონდ ძირს არ დადო საღებავი, გადმოვა... — ის ბიჭი, რკინის კანისტრით რომ დარბოდა, ახლა სანდროს წინ დაყუდულიყო. სანდრომ კანისტრა გამოართვა, იგრძნო, ხელისგულები საღებავით დაეთხვარა.

— ვაჰ, ეს რას წერ? – იკითხა სანდრომ და ასფალტზე გამოყვანილ ასოებს დახედა.

— ჩუმად! გაიგებენ! — თქვა უცნაურმა ბიჭმა და სახლის ფანჯრებს ახედა.

სანდრომ ქუჩა მოათვალიერა — არავინ ჩანდა.

— აი, ცოტაც დამრჩა — მომეხმარე! – ისევ ჩაისისინა უცნობმა.

კანისტრის ტუჩიდან საღებავი გადმოღვარა და ასფალტზე დაიწერა "ხარ''... მერე სანდრომ სხვა ასოებიც გაარჩია: *ანი მიყვარხარ!!!*

"ამ სახლში ცხოვრობს ანი. ანი ალბათ მხიარული გოგოა, ალბათ ლამაზი გოგოა ანი...'' – გაიფიქრა სანდრომ.

ქარიანი ღამე იყო, ჯერ კიდევ თბილი და მაინც ქარიანი. გიო შინ იჯდა და ხელები ექავებოდა, რამე მაინც "დაელაგებინა". საერთოდ გიოსთვის რომ გეკითხა, სჯობდა ყველა საქმე "დროზე ადრე" გაკეთებულიყო — უნდა ეჭამა, სანამ მოშივდებოდა, უნდა დაწოლილიყო, სანამ მოსწყდებოდა კისერი, უნდა ამოეყარა ზამთრის ტანსაცმელი, სანამ დაიბუდებდა ქალაქში ნამდვილი სიცივე. მთავარი შარვლების გადარჩევა და ლოგინზე დაყრა იყო, დანარჩენს დედა გააკეთებდა: ოთახში შემოვიდოდა, კარადას გამოაღებდა, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა... ერთ საზაფხულო შარვლის ჯიბეში ოცლარიანი ჩაცურა გიომ — მომავალ წელს რომ ჩავიცვამ და ფულს ვიპოვი, გულს გაუხარდებაო... მერე ყველაფერი ცელოფანის პარკში ჩაყარა, კარგად მოუკრა თავი და ფუთა კარადის სულ ზედა თაროზე შეაგდო. *ესეც ასე, ახლა ყველაფერი რიგზეა...* – ჩაილაპარაკა თავისთვის და ეს უსაშველო ფორიაქი თითქოს ოდნავ დაიცხრო.

ასე იცოდა გიომ, ერთ საქმეს თუ არევდა, მეორეს დაალაგებდა, თანაბრობის აღსადგენად. საფოფინო ოქროს შუალედი!! არევდა რა, თვითონ კი არაფერ შუაში იყო — უბრალოდ, როგორც იტყვიან, ცუდ დროს, ცუდ ადგილას მოხვდა — ეგ იყო და ეგ. პატარა გაუგებრობა. ჭიღოლების მანქანასთან იდგნენ გივი, ვახო და გიო. ვახო თავისებურად უკბილოდ ხუმრობდა... ახლა მაგას რა მნიშვნელობა აქვს და გივის გულზე უშნოდ მოხვდა ვახოს ხუმრობა. ერთი პატარა რამე და წყობიდან გამოდიოდა ეს კაცი, მაგიტომაც არ ენდობოდა გიო. გიო იდგა იქვე, უბრალოდ უსმენდა, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს დგახარ, ზიხარ თუ ქვას იღებ ხელში და მანქანას ფანჯარას უმსხვრევ, არანაირი... იქ ხომ იყავი? მორჩა. სწრაფად კი აორთქლდნენ, მანქანის სიგნალიზაცია რომ ჩაირთო, და ახლომახლოშიც არავინ იდგა, არც არავის დაუნახავს თითქოს და მაინც, გიო მოელოდა რომ ამოვიდოდა ამ საღამოს ვახო, სკამზე ჩამოუჯდებოდა სერიოზული სახით და გააბამდა თავისას:

— გიო, მააგარ შარში ვართ! ეზოში ჭიღოლები მოლაგდნენ. მანქანა სერიოზულად ცუდ დღეშია — აზრზე მოდი, სკამებიც წაუღიათ! ჩვენ კიდე ვიღაცამ მოგვწვა ეტყობა. გივიც რო მოტყდა...

— სიგნალიზაცია რა, ვერ გაიგონეს? მაინც ვინ იქნებოდა — გამწარებული ყავდათ ვინმე?

— გათიშული მთვრალი ყოფილა ის თავგასიებული... რავიცი მე, არ ევასებოდათ ეგ კაცი და იმიტომ გაუკეთეს ალბათ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, იმაზე ამოვედი, სახლში იჯდე ჯობია ცოტა ხანს. ახლა ქვევით არიან და არი ერთი ამბავი. მოკლედ, მობეზრდებათ დგომა და წავლენ. ამ დღეებში უბრალოდ ფრთხილად იყავი, გესმის? და სანდროსაც ყურადღება მიაქციე. ისე, სადაა შენი ძმა?

— ცურვაზეა, მალე მოვა. – და გიომ საათს გახედა — "სადაა ამდენ ხანს" – გაიფიქრა.

სანდრომ და უცნობმა ბიჭმა, საქმე რომ მოამთავრეს, ერთად გააგრძელეს გზა. ხელები სანდროსაც გვარიანად დათხვროდა საღებავით. გზაში გამოირკვა, ბიჭს ზურა ერქვა, თექვსმეტი წლის იყო და ამავე ქუჩაზე ცხოვრობდა, მეზობელ კორპუსში. სანდრო ზურას სახლში აჰყვა, ხელები დაიბანა, უკვე წამოსვლას აპირებდა, რომ უცბად გაახსენდა...

— ანის დიდი ხანია იცნობ? საერთოდ იცნობ? — გულსგარეთ იკითხა და გაიფიქრა: "დღეს ცურვაზე რომ არ წამოვსულიყავი, არც მეცოდინებოდა, რომ ამ ქუჩაზე ცხოვრობს ანი."

— ბავშვობიდან. — მოკლედ უპასუხა ზურამ, ფანჯრიდან ქუჩას გადახედა და რაღაც ეჭვის ჭია გაუჩნდაო თითქოს: "ნეტა თუ მიხვდება, მე რომ დავწერე, სხვა რომ ეგონოს?" — გაურბინა თავში.

— კლასელი თუ...? — ისევ იკითხა სანდრომ და გაიფიქრა: "ანი ალბათ მაღალია და გამხდარი... ნეტა როგორია ანი?!"

— არა, ეზოელი... შენ თვითონ სად ცხოვრობ? — ეჭვის ჭიამ მეტად და მეტად შეაწუხა ზურა: "მერე ის რომ ეგონოს, რა ერქვა — სერგო! საერთოდ ვინ ოხერია ეს სერგო?!"

— აქვე, სტადიონის უკან. – უპასუხა სანდრომ და გაიფიქრა: "ეზოდან... ეზოში იქნებ სხვა ბიჭებსაც უყვართ ანი... ანი ალბათ მაღალია და..."

— მანდ კიჭას იცნობ? – ისევ იკითხა ზურამ. ჭია მთლად დაიკლაკნა და ჩაეხვა: ”არ მოეშვება ეგ ბიჭი ღლაბუცს და ერთი კარგად შემომელახება!”

— კიჭა გვერდით ეზოშია, კარგად არ ვიცნობ. – უპასუხა სანდრომ და გაიფიქრა: “ანის ალბათ გრძელი, წაბლისფერი თმა აქვს და თვალები... თვალები...”

— მანდ ტყეებოს იცნობ? – უკვე სასხვათაშორისოდ იკითხა ზურამ, კართან მივიდა და გამოაღო.

— არა. ტყეებოს არ ვიცნობ – სასხვათაშორისოდვე უპასუხა სანდრომ, ქურთუკს ხელი დაავლო და კარში გავიდა.

— აბა მაგრად! – მიაძახა ახალგაცნობილს — “თვალები ალბათ მწვანე აქვს, ნამდვილად მწვანე უნდა ჰქონდეს...”

— მაგრად! – გამოსძახა იმანაც – “აი დარდი, სერგო ეგონება და დედას ვუტირებ მაგ სერგოს... ეგრე იქნება.”

* * *

— დედას ვუტირებ მაგ ნაბიჭვრებს! – ვერ აშოშმინებდნენ იკას. ჭიშკართან იდგნენ ბიჭები. ჭიღოლაშვილები და კიდევ ერთი, გამხდარი.

— არ ღირს იკა, მაგათი გაკეთებული არ იქნება... სულ ტყუილა გაებნენ ეგ ბაჭაჭყანები. ახლა ჩვენ სამნი აქ ვერაფერს ვიზამთ, თვითონაც იცი. – თავისი მანქანისკენ დაიძრა ტყეებო – წავიდეთ, ჩასხედით, ამ ამბავს სხვანაირად მოევლება.

ოთარი იქვე იდგა ჩუმად, ძმას უყურებდა, გაძარცვულ მანქანას და რატომღაც რუმბო ახსენდებოდა – პატარა ლეკვი, ბავშვობაში რომ ჰყავდა – ერთ დღესაც გაიქცა რუმბო და მას მერე აღარც უნახავს.

— ვინმე წაიყვანდა, სუფთა ჯიშის იყო. — უთხრა მაშინ მამამ, თავზე ხელი გადაუსვა. იკა ჯერ სულ პატარა იყო. მთელი ორი დღე ვერ გააჩერეს, ტიროდა.

„რამ გამახსენა რუმბო მაინცდამაინც ახლა?“ — საკუთარ თავზე ბრაზობდა ოთარი.

— ეგრე როგორ წავალ ტყეებო! ერთი ეგ დამპლები მანახეთ! ისე როგორ წავიდე?!

— იკა, სამნი ვართ... ახლა არაფერი გამოვა. მაგას სხვანაირად უნდა მოვლა! – აშოშმინებდა ტყეებო.

იკა ოცი წლის იყო და თან ძალიან ფიცხი, ხელები ექავებოდა, არადა ამ ეზოში უკვე გადამტერებული ჰყავდა ვიღაც-ვიღაცეები... მოუწია თავის შეკავება.

— აწი დაღამდა კიდეც... ესე იგი ვახო, გიო და გივი — ეგრეა? – დააზუსტა ოთომ.

უკვე გამოცდენოდნენ სტადიონს, ბნელი ქუჩისაკენ ჩაეხვიათ, რომ გამხდარმა უცბად დაამუხრუჭა და სადარბაზოსაკენ იშვირა ხელი — *ე, ეს ის არაა, გიოს ძმა?.* ოთარი მანქანიდან გადმოვიდა და ზურას კორპუსიდან გამოსულ სანდროს დაუძახა:

— ბიჭო, შენ სანდრო არ ხარ, გიოს ძმა?

— კი. – შეცბა სანდრო.

III
ზევით, ქვევით, ან — უფსკრულში...

დიდხანს იწვა ასფალტზე, მაწანწალა კატების უკმაყოფილო კრუტუნს უსმენდა. კატები ქუჩის გადაღმა ბუნკერში დაძვრებოდნენ და კონსერვის ქილებს დაეძებდნენ. "ეს ადამიანები დიდი უცნაური ხალხია, ნაგავსაც კი ცელოფნის თხუტმეტ პარკში ახვევენ, თავს მაგრად უკრავენ და რკინის კონტეინერებში ათავსებენ, რომ მერე რომელიღაც ბუნკერში, რომელიღაც კატამ, მათ რომელიღაც გახსნილ კონსერვს შემთხვევით არ მიაგნოს და არ გატლიკოს... რას გავს ახლა ეს?" – ფიქრობდა ასფალტზე გაშოტილი სანდრო.

სულ ერთი ფრაზა კმაროდა... ხელ-ფეხს აიკრეფდა სანდრო, როგორმე სახლამდე მიაღწევდა, გამოაღებდა გიო კარებს და მერე აი, სულ ერთი ფრაზა — *აბა კარგად შემომხედე*, ან... ფიქრობდა სანდრო როგორ დაენამუსებინა ძმა. იქნებ ერთი მკაცრი მზერაც საკმარისი ყოფილიყო, ბრძოლიდან დაბრუნებული რაინდი შინ დარჩენილ ლაჩარს რომ დახედავს ისე, ან კაცი რომ ვალს გაუსტუმრებს გულისგამწყალებელ მევალეს — უხმოდ, ამაყად... იქნებ მისულიყო შინ და — *მეტს ვეღარ დამჩაგრავ გიორ!* — პირდაპირ პირში მიეხალა?! ამ ბოლო ფრაზაზე სულ მთლად აუჩუყდა გული სანდროს. ხომ მხოლოდ ორი წლით იყო დიდი გიო, მაინც ისე ადვილად ასულელებდა ყოველთვის!

— სანდრო! – დიდი ენთუზიაზმით მიუბრუნდებოდა ტახტზე წამოწოლილი გიო სანდროს. – მოდი ნიძლავი, რომ სამ წამში დერეფნამდე მირბენას და უკან მობრუნებას ვერ მოასწრებ!

— რატომ ვერა ვითომ?!. — აენთებოდა სანდრო. — შენ დაითვალე! – და გაქანდებოდა დერეფნისაკენ.

— ერთი! ორი! სამი წერო! ეჰ, ეგ რა არი, ბოლომდე არ მისულხარ! მიდი თავიდან და თუ ბოლომდე გახვალ, აგე ის პულტი წამოიღე. არ წამოიღებ — არ გასულხარ...

სანდრო გავარდებოდა, პულტს ხელს დაავლებდა და გამალებული ცდილობდა, მართლა სამ წამში მოერბინა უკან.

— ყოჩაღ შენ! მოასწარი, ხომ იცი! — ეტყოდა გიო, პულტს გამოართმევდა და ტელევიზორს ჩართავდა. ახლა კი ხვდებოდა სანდრო, რომ გააცურეს, მაგრამ რაღას იზამდა?

მოკლედ, ასეთ უამრავ რამეს იხსენებდა სანდრო და სიბრაზეც სულ უფრო მაღლა და მაღლა, ობობასავით აცოცდებოდა სხეულზე, სანამ საბოლოოდ ყელს არ მიადგა: "მივალ გიოსთან და ვეტყვი — *მორჩა!* "— ეს ბოლო სიტყვა ძალიან ხმამაღლა წამოიძახა სანდრომ. ქართან მებრძოლმა ხეებმაც იმწუთშივე აიტაცეს:

— მორჩა, მორჩრჩა, მოჩრჩრჩა, მოჩრჩრჩრჩა... სადღაც ქუჩაში ბატონ მიშას შეფეთებულმა კატამაც ერთი წამოიკნავლა და სანდროსთვის ეს საკმარისი იყო, ბუნების სრული მხარდაჭერის მძაფრად განსაცდელად... არყისაგან გაბრუებულმა მიშამ თავიდან ვერც კი შენიშნა ასფალტზე გაწოლილი სანდრო, მერე შემობრუნდა, თვალები ამოატრიალა და ამღვრეული ხმით დააძახა:

— შე მაიმუნო! დღეს რომ არ მოხვედი გაკვეთილზე, თუ გგონია გადამირჩები! სად იმალები ბიჭო რომ იმალები, ჩემ ეზოში მაინც არ

ცხოვრობდე... ერთი დამინახავს კიდე გადმომძვრალხართ შენ და შენი ძმა და...

— ჩვენ?! ჩვენ არასდროს...

— ეჰ სანდრო, სანდრო... არ ვიცი შენ რა გამოგასწორებს! აი შენი ძმა ნამდვილი კაცივით გამომიტყდა დღეს და შემპირდა, მეტს აღარ ვიზამო... შენ კიდევ ისევ მატყუებ.

— აქაც გამომძვრალა! — აენთო სანდრო. — არც ისეთი ანგელოზია, თქვენ რომ გგონიათ — აი, ასეთი ნაცემიც მაგის გამო ვარ, ხედავთ?

მიშა დაიხარა. — ვინ გცემა, ბიჭო?

— გიო წაეჩხუბა ალბათ ვინმეს. აბა რა ვიცი, ჩემგან რა უნდოდათ!

— მაგის წამალი მე მკითხე! — წამოიძახა მიშამ და დაბეჟილი სანდრო უცბად წამოაყენა ფეხზე. – აბა, წამოდი ახლა და მე და შენ ნამდვილი კაცებივით ჩავუჯდეთ სადმე. რას იტყვი?

სანდროს ახლა ყველაზე მეტად შინ მისვლა და თავისი გამზადებული სიტყვის გიოსთვის თქმა უნდოდა, მაგრამ ადვილად თავიდან მოსაშორებელი კაცი არ გახლდათ ბატონი ბრეგაძე...

– რას იტყვი, წავედით?

– წავედით! — მხრები აიჩეჩა სანდრომ... "ანის ალბათ ახლა სძინავს. რომ ვჩხუბობდით, იქნებ გადმოიხედა. დამინახვედა. ერთი-ორჯერ მეც ხომ მოვუქნიე მუშტი. სამნი ერთზე იყვნენ თორემ..." — ფიქრობდა სანდრო და თან წამდაუწუმ ფანჯრებისაკენ იხედებოდა. ფანჯრები დიდი ფაიფურის ქოთნებივით იყო — რომ ჩახედავ და სიბნელის მეტს ვერაფერს დაინახავ, მერე ხელს ჩაყოფ და გადამალულ ძვირფას სამკაულებს წააწყდები, ან იქნებ კარადის რომელიღაც დავიწყებული უჯრის გასაღებს...

— ესე იგი არ იცი, არა?

— აბა რა ვიცი, გიო სულ ვიღაცას ერჩის, ოღონდ საბოლოოდ მე მხვდება და კიდევ იცით რა — რომ იცოდეთ როგორია გიო! აი, მთელი ცხოვრებაა იდეებს მტაცებს და საერთოდ... არა, ეს ჩემი ძმა... შებერტყილია ნამდვილი! რასაც უნდა ყოველთვის აღწევს და იცით როგორ? — სანდრო უცბად ძალიან გაბრაზდა. — და კიდევ ისე ეხერხება გრძნობებზე თამაში...

რატომ ვერ ივიწყებდა ამ ამბავს სანდრო... ერთი წლის წინ არ იყო, თეას დედა თურქულს რომ ასწავლიდა სკოლაში. კარგი გოგო იყო თეა. გრძელთითება და გაზაფხულის სურნელით... მერე როგორი სურნელით — გოგო კი არა, თვითონ ჰაერი ისუნთქავდა თეას, კარგახნით იგუბებდა თავისთან მის სურნელს, როგორც ერთადერთ სამკაულს, რომლის ტარებაც ჰაერს შეუძლია... მოკლედ, თეა მოსწონდა ერთ დროს სანდროს... მერე გიოს გააცნო. იმან კი ადვილად მოხიბლა. სიტყვების ზუსტად შერჩევა იცოდა გიომ. ასე ეტყოდა გოგოს – ლამაზი თითები გაქვსო, სწორედ ეგეთები მიყვარსო.მერე ეტყოდა, ერთ გოგოს მაგონებო, ძველად მიყვარდაო, ანგელოზს ჰგავდაო. მერე ეტყოდა – ერთი საიდუმლო ადგილიც გვქონდაო, ულამაზესიო. მერე იმ საიდუმლო ადგილას წაიყვანდა... მერე გიომ სულ ხუთიანები მიიღო თურქულში, წლის ბოლოს თურქეთში შესაძლო გასაგზავნთა სიაშიც მოხვდა. სკოლა გზავნიდა ხოლმე საუკეთესოებს. ისე მოხვდა იქ, თურქულის ანაბანაც არ იცოდა. მერე კი, გიომ ლამაზი თითები გაქვსო — სულ სხვა გოგოს უთხრა...

სანდრომ მესამეს მეოთხე ჭიქაც მიაყოლა.

ქარიანი ღამე იყო, ბნელი. აქა-იქ კი ანთებულიყვნენ უკვე ლამპიონები, მბჟუტავი სინათლით შეეფაკლათ ქუჩა, დავარდნილი, უგემური სახლები და მაღალი ხეები... ხეები ხანჯლებივით უღერებდნენ ტოტებს ქარს და ჩიტების ბუდეებს იცავდნენ...

— ეჰ სანდრო, სანდრო! გინდა, ახლა ერთ რამეს გეტყვი და შენ მერე შენით იფიქრე... – სანდრო გამოერკვა, მიშამ კი ჩანთიდან კიდევ ერთი ბოთლი ამოაძვრინა. — ვთქვათ სანდრო, წარმოიდგინე ბრბო და შენ ამ ბრბოში ხარ მომწყვდეული ისე, რომ ვერ ინძრევი. ეს ბრბო, ახლა წარმოიდგინე, რომ უფსკრულისკენ მიექანება — წარმოიდგინე? ახლა არჩევანი გაქვს: ან ამ ბრბოსთან ერთად გადაიჩეხები უფსკრულში, ან უნდა დაიჩოქო, ფეხებს შორის გაძვრე-გამოძვრე და ასე გააღწიო რამენაირად... თუმცა ისიც უნდა გახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ფეხებით თავზე გადაგიარონ, დაგწიხლონ და გაგიმეტონ, გესმის?. სხვა გზაც არსებობს სანდრო — შეგიძლია ხალხს მკლავებზე დაეყრდნო, იქიდან თავებზე ააცოცდე და ისე გახვიდე ფონს... მაშინ უნდა იცოდე, იმათ თავებზე მოგიწევს გადარბენა, ბევრს ატკენ და აწყენინებ... სანდრო, გულწრფელად მითხარი, აქედან რომელ გზას აირჩევდი?.

სანდრო დაიბნა.

— ასე ხდება ჩემო სანდრო, ყოველთვის... ზევით, ქვევით, ან — უფსკრული. იოლი გზა არ არსებობს...

სანდრომ ქუჩისკენ გააპარა თვალი. აბობოქრებული ტალღების ხმა ჩაესმა თითქოს. ნასვამი იყო სანდრო, მაგრამ ისეც არა, ეს ხმა ვერ გაერჩია – ზღვის ნაპირას მდგარი გიოს შეძახილი: *მიდი, რაღას უცდი! ისროლე, ზღვაში ისროლე!* სანდრო შუშის ბოთლს იღებს, ქაღალდზე წაწერილ ნატვრას ჩრის შიგნით, თავს უცობს მაგრად, მჭიდროდ. ისევ შეძახილი – *რას უცდი სანდრო!* და ტალღების გრუხუნი, კენჭები, ქარი... ისვრის სანდრო ბოთლს, შორს, შორს გადაუძახებს ზღვაში, და უცებ გიოც შეცურავს კვალდაკვალ...

— გიოო! – მთელ სანაპიროს დაირბენს სანდრო. აღარც ძმა, აღარც ნატვრა... ასეთი იყო გიო, იქნებ ის ბოთლიც მოეხელთა, ჩაებღუჯა, იქნებ ცურვა-ცურვით გაეტანა მეორე მხარეს... ვერც გაამტყუნებდი.

— იოლი გზა არ არსებობს... – სანდრო უცებ მიხვდა, რა მთვრალებიც იყვნენ.

— ქვევით, ზევით, ან — უფსკრული?

IV
ნუ ღელავ, გიო!

უმრანიეს ახლადმორეცხილ გზებზე ნახევარსაათიანი ბორიალის შემდეგ, გიომ როგორც იქნა მიაგნო საავადმყოფოს. სასაცილო შენობა იყო ძალიან. სულ არ გავდა ადგილს, სადაც ავადმყოფები მკურნალობდნენ. ყვითლად შეეღილი კედლები მთელ სიგრძეზე წითელი, დიდი რგოლებით მოეხატათ. საბავშვო ბაღს უფრო ჰგავდა გარედან. “აბა სხვაგან სად მოხვდებოდა საია? “ – გაიფიქრა გიომ და შენობაში შევიდა. შიგნით გრილოდა. ტემპერატურებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავება პირველად თურქეთში იგრძნო გიომ. თბილისში თუ ცხელოდა,

ყველგან ცხელოდა: სკვერშიც, ქუჩაშიც, ტყეშიც, შინაც და გარეთაც. აქ კი შეიძლება ქუჩაში მაისურით გევლო, შენობაში კი შეგციებოდა, ან პირიქით. თბილისში ერთი ადგილი იცოდა გიომ, ყოველთვის რომ გრილოდა, ისეთი... ბიჭები ჩამოიტანდნენ ხოლმე ხანდახან სასმელს, ბუტერბროდებს და გემრიელად ილუკმებოდნენ დიდი ჭადრის ქვეშ. ნიავიანი ადგილი იყო რაღაცნაირი და მერე ეს სქელი, მსუყე ფოთლები... ამასწინ სანდრომ მოსწერა – ჩვენი ეზოს ჭადარი მოჭრესო. ერთი მაგათიც...

საიას კისკისი ჯერ კიდევ დერეფნიდან გაიგონა გიომ. ვიღაც ექთანი გვერდით მოსჯდომოდა საიას და მთელი მონდომებით ართობდა.

— გიო! – წამოიძახა მის დანახვაზე. – საიდან გაიგე? გამოტყდი, ხომ განერვიულე!

— უნივერსიტეტში მითხრეს. რატომ არ დამირეკე? მე რატომ არ დამირეკე? — გიო ლოგინთან ჩამოუჯდა საიას. — აბა მომიყევი ერთი, როგორ მოხდა ყველაფერი! – ექთანი ოთახიდან გავიდა, კარი გაიხურა.

— რა როგორ მოხდა? – საიამ თვალები კედელს გაუშტერა.

— ავარიაზე გეუბნები!.

— არაფერი სერიოზული. ახლა ჩავიცვამ და ჩემთან წამიყვანე. — საია უცბად წამოიწია, თითქოს არც არაფერიაო, ჯინსები ამოიცვა, ლურჯი ხალათი სკამზე მიაგდო და ორ წამში გაემზადა წასასვლელად.

— დაიცა! ე-ე — ექიმმა რა თქვა? ასე უბრალოდ, შეგიძლია ადგე და წახვიდე?!

— ნუ დარდობ. რამდენიმე დღე თავი არ უნდა გადავიტვირთო და ეგაა სულ.

გიო ვერაფერს მიხვდა. ან ეს "თავის გადატვირთვა" რას ნიშნავდა? ან წამალი არ უნდოდა და საერთოდ, ყველაფერი რაღაც ზედმეტად იოლად ეჩვენებოდა.

— კი მაგრამ, აკი ტვინის შერყევაო? ახლა ერთი კვირა მაინც თუ არ იწვები გაუნძრევლად, მერე თავის ტკივილები დაგჩემდება... ასე იცის! – გიომ გოგოს ხელი დაავლო, შემოატრიალა. უცნაურად იქცეოდა საია. ერთი სული ჰქონდა საავადმყოფოდან გაეღწია — თითქოს ეშინოდა, ქურდობაზე არ წამასწრონო.

— დაწყნარდი გიო, ნუ ღელავ. ასე რომ არ იყოს, აქედან ვინ გამიშვებდა? – საიას გაეღიმა, გიოს კისერზე მოხვია ხელი და — *წავიდეთ აქედანო* — ჩაილაპარაკა. ასე გადახვეულები გამოვიდნენ დერეფანში. გიომ შენიშნა, ირგვლივ მხოლოდ პაციენტი ქალები ირეოდნენ. ზოგი ფეხმძიმედაც იყო. ყველას ლურჯი ხალათი ეცვა, როგორც წეღან საიას.

— ნახვამდის! – თურქულად მიაძახა გიომ საიას ექთანს. იმანაც გაუღიმა და სულ ასე ღიმილ-ღიმილით მიაცილა კარებამდე. მერე საიას უთხრა – ჭკუით იყავით და ყველაფერი კარგიო...

გოგოს მანქანა პირდაპირ კიბეებთან დაეტოვებინა. გიომ ვერც კი შენიშნა თავიდან, შენობაში რომ შემოდიოდა. დარტყმის კვალი არსაიდან აჩნდა, საღებავიც კი არ ქონდა გადაცლილი არსად. ყველა მხრიდან შემოუარა გიომ.

"არანაირი ავარია არ ყოფილა! ახლავე მითხარი, რაც მოხდა!" – ის იყო, უნდა ეთქვა წარბებშეკრულ გიოს, რომ უცბად საავადმყოფოდან ექიმები

გამოცვივდნენ, სასწრაფო დახმარების მანქანიდან მშობიარობადაწყებული ქალი საკაცეზე გადმოაწვინეს და მიმღებში გააქანეს. აღელვებული მეუღლე უკან მიდევდა საკაცეს და იმას თუ ფიქრობდა უკვე, ბიჭი იქნება თუ გოგო.

— კიდევ ერთი ფეხმძიმე! – თავისთვის ჩაილაპარაკა გიომ. საია უკვე მანქანაში იჯდა, ელოდებოდა. გიოს სიტყვაც აღარ დაუძრავს, უხმოდ მიუჯდა საჭეს და გოგო უმრანიეს ახლადმორეცხილი ქუჩებით საერთო საცხოვრებლისაკენ წამოიყვანა. ახლა ყველაფერი ნათელი იყო უკვე.

ასეთი რამ პირველად გადახდა გიოს თავს. მზად კი იყო დახმარებოდა. მხოლოდ ეთქვა, უარს არაფერზე ეტყოდა. რა მამაცი იყო მაინც ეს ერთი ბეწო გოგო — თავად მოაგვარა ყველაფერი, ახლა კი ასე, მშვიდად იჯდა მანქანაში, გატრუნული, თავი უკან გადაეგდო, იქნებ ეძინა კიდეც, ვერაფერს შეატყობდი.

— მისმინე! ბიჭებმა კვირას ზღვაზე წასვლა გადავწყვიტეთ. გამოცდას როგორც კი ჩავაბარებთ, ერთად წავიდეთ. კარგ დროს გავატარებთ. რას იტყვი?

საიას გაელიმა. – რატომაც არა.

გიოს არ ეყო საიას პასუხი, მაინც რაღაცა რჩებოდა გულში ხინჯად.

— კარგი, მაშინ იქნებ ლენაც წამოიყვანო. იცი, ლენა ჩემ წოღოს მოსწონს. მთხოვა — საიას უთხარი, წამოიყვანოსო. რას იტყვი, წამოვა?

— რატომაც არა.

გიოს არც ეს პასუხი ეყო.

— თუ გინდა, მარტო მე და შენ წავიდეთ.... იალოვაში წავიდეთ. მანდ ნამყოფი ვარ ერთხელ. მაგარი ადგილია. მოგეწონება! წარმოიდგინე – მე, შენ და მზის ჩასვლა. ჰა, რას იტყვი?

— რატომაც არა.

გიო მაინც ვერ დამშვიდდა.

— თუ გინდა, ზღვაზე ნუ წავალთ და სადმე სხვაგან წავიდეთ. სადაც შენ იტყვი...

საიას გაელიმა. უცბად გადაიხარა, ბიჭს კნუტივით აეკრა და მხარზე ჩამოადო თავი.

— ნუ ღელავ გიო, არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ისევეა, ძველებურად.

და გიოც დამშვიდდა.

V

"ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო..."

— დედა დამშვიდდი! არაფერი მჭირს — უბრალო ნაკაწრია! — სანდრო ამაოდ ცდილობდა თავი დაეღწია თამილას მოტანილი, შუბლზე დასადები ყინულებისთვის. ჯერ ამტკიცებდა — კარგად ვარ, არაფერი მჭირსო, მერე კი თვითონაც შეატყო, მარცხენა თვალი რომ ჩაულურჯდა. ლურჯს მალე მელნისფერი შეერია, მელნისფერს — შავი, შავს — წითელი და უშნო ცისარტყელაც მეტი კი არაფერია...

— ეს რა უბედურებაა! ეს რა უბანია! — გაიძახოდა გამწარებული თამილა. სანდრო დედას ყვირილს ყურადღებას არ აქცევდა — ისღა უნდოდა, ახლა ერთი გიოს დალაპარაკებოდა, ის მაინც გაერკვია, რისთვის ცემეს. გიო დამნაშავედ

გრძნობდა თავს, ხმას არ იღებდა, ოთახის მეორე ბოლოში იჯდა და სანდროს მიჩერებოდა, უხმოდ. ლამაზი სახე ჰქონდა სანდროს, თუმცა ახლა ცოტათი შესიებული, თმა — ღია წაბლისფერი, შუბლზე ჩამოყრილი, თვალები — ფართო, მომწვანო და წყლიანი. გიოს ყველაზე მეტად რაც მოსწონდა, ფოსო იყო სანდროს ნიკაპზე — ეს პატარა ზოლი ნიკაპს შუაზე უყოფდა. ისე კუშტად იჯდა ახლა სანდრო, დიდს ჰგავდა. ყველა კუნთი დაძაბვოდა. თამილა კი სველ ტილოს ადებდა ლოყაზე. იჯდა გიო, სანდროს უყურებდა და უცნაური ჟრუანტელი დასდიოდა სხეულში. თვითონაც ვერ ხვდებოდა რატომ. ასე იყო ხოლმე ხანდახან, სახლი ციხე-სიმაგრედ იქცეოდა თითქოს — თუ სამივენი შინ იყვნენ, თუ გარეთ თოვდა ან ქარი ქროდა, თუ თავსხმა წვიმა მოდიოდა, თითქოს სახლის კედლებიც სხვანაირ სიმტკიცეს იძენდა მაშინ, ყოველდღიურად რომ ვერ შეიგრძნობ, ისეთს. მაშინ შინ ყოფნასაც სხვა გემო ჰქონდა. ჩამოჯდებოდა გიო ფართორაფიან ფანჯარასთან, თოვლში მოჭყაპუნე გამვლელებს გახედავდა, მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი დაურბენდა — თვითონ რომ შინ იყო, სამივენი რომ შინ იყვნენ...

— აბა თქვი ერთი, ჭიღოლებს რა უნდოდათ... — ხმადაბლა იკითხა სანდრომ, როცა თამილა ერთხელაც გავიდა სამზარეულოში ყინულის მოსატანად.

— მე რა ვიცი? — არ გატყდა გიო. — რამე ხო არ დაგცდა მაგათზე ისეთი? ესე იგი, ჭიღოლებმა? რამდენნი იყვნენ? — გიომ თავი გააქნია — მაგათ არ შევარჩენთ, აი ნახავ ... შენ როცა იტყვი, მაშინ ავუღებთ აბაროტს. — სანდრო ძმის გაუტეხელობაზე უფრო მეტად გაღიზიანდა.

— მაგათ ვუჩვენებთ, ვის ძმას ახლეს ხელი... — აგრძელებდა გიო. გიოს ხანდახან სიტყვა ,,ძმობის“ გამოყენება ძალიან კარგად შეეძლო. საჭირო დროს, ამ ერთ სიტყვას მთელ მონოლოგად აქცევდა. სანდრომ შეატყო, საუბარი საითაც მიდიოდა და სწრაფად წამოდგა თავისი წინასწარგამზადებული ტექსტის შესაგებებლად. უნდა ეთქვა — მორჩა გიოო, ან — მომბეზრდა უკვეო... სათქმელი ბევრი იყო, ბევრი დაუგროვდა... მაგრამ ვინ აცალა?

— შენ, ჩემ ძმას, როგორ გაგიბედეს? ეგ იცი რას ნიშნავს? ეგ ნიშნავს რომ მეც გამიბედეს, ხომ ხვდები? ჩემი ძმა თუ გცემეს, ესე იგი მე მცემეს! — უფრო და უფრო ომახიანად აგრძელებდა გიო, სანდროს სიტყვას აღარ აგდებინებდა. – ხომ იცი სანდრო, როგორ მიყვარხარ! სულ რომ არაფერი ერთ გვარს ვატარებთ, ერთი სისხლი გვაქვს, — გაეღიმა — და ერთმანეთს ჩვენ თუ არ დავუდექით კედლად, სხვა ვინ შეიწუხებს თავს ერთი მითხარი! გახსოვს რა დღე ვწიეთ იმ პატარა ნაბიჭვრებს, შენ რომ დაგცინოდნენ სკოლაში?! გახსოვს რა ვუთხარი? ეს ბიჭი ჩემი ძმა არი-მეთქი. ვინც მაგას დასცინებს, მე დამცინებს-მეთქი. გახსოვს? ხო და ასე იყო ყოველთვის და მერეც ასე იქნება. აბა შემომხედე! – სანდროს უკვე დავიწყებოდა რა ჰქონდა სათქმელი. გაბრუებული იდგა.

– აბა კარგად შემომხედე! – გაიმეორა გიომ. – არ შევარჩენთ!

* * *

საერთოდ, მამას კაბინეტში არ შედიოდნენ ხოლმე სანდრო და გიო. სანდრო ჩუმად თუ შეიპარებოდა, კარადას გამოაღებდა და კოსტუმებს იზომებდა. დიდი ჰქონდა ყველა, არადა უკვე ფიქრობდა — ზრდასრული ვარო... ყველაზე მეტად მაინც მამის ქუდები მოსწონდა, ძველებური. ოთახში თუ დაიხურავდა ცოტა ხნით,

მერე ისევ კარადაში შედებდა. მოკლედ, ამ დილით რაღაცნაირად ნასიამოვნებიც კი იყო სანდრო, მამის ნივთებში გაქექვის საბაბი რომ მიეცა. დილით ყველაზე ადრე გაღვიძებული, მამის ოთახში შეძვრა, მაგიდის უჯრიდან დიდი, მზის სათვალე ამოიღო და დალურჯებულ თვალზე აიფარა. გიოს ჯერ ისევ ეძინა. სრული სიჩუმე სუფევდა ბინაში, მხოლოდ ონკანი თუ წვეთავდა სადღაც და ახლად აშარიშურებული ეზოს ხმა თუ შემოდიოდა გარედან... როგორ უყვარდა სანდროს გიოზე ადრე გაღვიძება! რაღაც უპირატესობას გრძნობდა მაშინ. ასე დაადგებოდა მძინარეს თავზე, მის ხელში აღმოჩნდებოდა გიოს სიზმრების ბედი — უნდოდა გააღვიძებდა, უნდოდა — არა. ხანდახან გაიტრუნებოდა ასე მძინარესთან და ფიქრობდა, რა ძნელი იყო გიოს ძმობა. იცოდა, როგორც კი გაიღვიძებდა გიო, მაშინვე გაუქრებოდა სახეზე ეს რაღაცნაირი სიმშვიდე. გიოს უცბად მოვარდნილი ენერგიის, ამბიციების და პატარა თუ დიდი თავგადასავლების კორიანტელში სანდროსაც ერთი კენჭივით მოუწევდა ტრიალი. სანდროს, თამილას, ირგვლივ ყველას ცხოვრება — გიოს ერთი დიდი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი იყო თითქოს. ასე წარმოედგინა ხანდახან სანდროს და ამ დროს რაც შეიძლება გვიან აღვიძებდა ხოლმე ძმას, ცოტა ხნით მაინც რომ შეენარჩუნებინა ეს უსუსური ძალაუფლება...

— წეროები მიფრინავენ გიო! — ჩასძახებდა სანდრო მძინარე ძმას.

— რამდენია? — გაიზმორებოდა გიო, ბოლომდე ფეხს ითრევდა, ადგომა ეზარებოდა.

— ცხრა, გიო! ხუთი უკლია!

სუსხი შერეოდა დილას. ხუთი წუთიც და ოთახში თამილა შემოვარდებოდა ყვირილით — ისევ აგვიანებთო. ორივე ბიჭი უკიდურესად შეწუხებულ სახეს მიიღებდა და ერთადერთი, რაც დედის ჯავრს დააცხრობდა, ისევ ეს იქნებოდა – მშია-ა!

თამილა ძალიან ცდილობდა ბიჭებისთვის კარგი განათლება მიეცა. ჯერ კიდევ პატარებს ათას სხვადასხვა წრეებზე დაარბენინებდა; მერე რომ გაიგო, ახალი ინგლისურენოვანი კოლეჯი გახსნესო, ორივეს იქ ჩააბარებინა. თავი დამშვიდებულად იგრძნო, რომ ბიჭები ათი თავით სჯობდნენ თავის ეზოელ მეგობრებს. დაუჯდებოდა თამილა ღამე ძმებს, დაბალი ხმით ეტყოდა — მთელი ცხოვრება წინ გაქვთ და აბა თქვენ იციოთ... ყველა, ახლა ვისთანაც მეგობრობთ, ყველა ვინც ახლა გარს გახვევიათ, ესენი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ერთი ჩვეულებრივი ცხოვრებით, ამ ეზოში დაიბადნენ, აქ გაიზარდნენ და აქ მოკვდებიან, მაგრამ თქვენ... – და თამილა უზომო სიამაყით გადახედავდა ბიჭებს, — თქვენ სხვა ცხოვრებისთვის გაგზარდეთ. მე რაც შემეძლო მოგეცით და აწი თქვენზეა, როგორ გამოიყენებთო. ხშირად არა, მაგრამ თუ წამოიწყებდა, იმდენს იზამდა, სანამ ორივეს ბედთან ბრძოლას და ხანჯლების ქნევას მთელი გულით არ მოანდომებდა. თვალებს დახუჭავდნენ ღამე ძმები, სულ იმას ფიქრობდნენ, რაღაც უნდა მოესწროთ ცხოვრებაში ისეთი, მნიშვნელოვანი. ისე არ უნდა წასულიყვნენ, რამე არ დაეტოვებინათ სამახსოვროდ. მოიხედავდნენ მერე უკან და — რაც შემეძლო გავაკეთეო — იტყოდნენ...

რვაას დოლარს იხდიდა თამილა თითოეულის კოლეჯში სწავლისთვის. თვითონაც ვერ ხვდებოდა, ამას როგორ ახერხებდა, ცოტა მაღაზიიდან, ცოტა ლექციებით და რაღაცნაირად აგროვებდა ფულს წლის ბოლოსთვის. ძალიან

გული დასწყდებოდა, რომ გაეგო როგორ არაფრად აგდებდნენ ბიჭები გაკვეთილებს: ბოლო წელი, ფაქტიურად, არც დადიოდნენ სკოლაში.

დილით ადრე გამოვიდოდნენ სახლიდან, კოლეჯის დაცვას გვერდს აუქცევდნენ, უკანა ეზოში კიბეებზე ჩამოსხდებოდნენ, ბიჭებს ელოდებოდნენ. ამ ეზოში იცოდნენ ხოლმე შეკრება. მალე მოვიდოდა წოღო, ვახო, ვანო, სხვებიც და რა ვაკეთოთო — იმაზე იწყებდნენ ფიქრს. მარტო მათემატიკის გაკვეთილებს არ აცდენდა გიო. დანარჩენზე თავს არ იწუხებდა, თან ესაო და ინგლისური უბანში ყველაზე კარგად ვიციო, თავში აუვარდა. სანრომ თურქულიც იცოდა ცოტა. კოლეჯში მეორე ენად თურქულსაც ასწავლიდნენ. შეივლიდა ხოლმე ხანდახან, თურქი ყავდათ მასწავლებელი, მიესალმებოდა და ჩამოჯდებოდა კლასში მხოლოდ იმის მომლოდინე, როდის შემოუკაკუნებდა კარებზე გიო: *სანდრიკ, წავედით!*

ერთი ადარდებდა მხოლოდ სანდროს, გიო სკოლას ამთავრებდა წელს და მერე დაჰკრავდა ფეხს, იქნებ უცხოეთშიც ჩაებარებინა სადმე. დარჩებოდა სანდრო მარტო. სანდრო შეეჩვია, რომ გიო მისი ცხოვრების ნაწილი იყო; ხანდახან კი ეჩვენებოდა, თითქოს თვითონ იყო გიოს ცხოვრების ნაწილი, უგიოობას ისევ ასე ერჩია. გიო საერთოდ არ ფიქრობდა ამაზე, ან შეიძლება ფიქრობდა კიდეც, ძალიან ზერელედ. სკოლის დამთავრება კი უზომოდ უხაროდა. ასე ამბობდა — ეს წელიც და მერე მე ვიციო.

ამ დილასაც სკოლის უკანა ეზოში შეიკრიბენ ბიჭები. პირველი გივი მიხვდა, სანდროს ამბავს. ისე, ადვილი მისახვედრიც არ იყო. სანდროს მამის სათვალე ეკეთა და დიდად თუ არ დააკვირდებოდი, ვერც ვერაფერს შეამჩნევდი. საფეხურზე იჯდა დაღვრემილი სახით. ლამაზი სახე ქონდა სანდროს და სათვალეც უხდებოდა.

— შენგან რაღა უნდოდათ! — გაეცინა გივის.

— რა გაცინებს? — დაუბღვირა სანდრომ.

გივი გაჩუმდა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი მაინც მისი ბრალი იყო, ამიტომ დღეს დილით დიდად ხმას არ იღებდა.

— გიო, რახან ეს ცემეს, ესეიგი ვიღაცამ ნამდვილად დაგვინახა! — ვახომ გივის გახედა იქნებ დანამუსდესო. დიდი იყო ტანით ვახო, ყველაზე მეტად მაინც მას ეჯავრებოდა ასეთი შეხლა-შემოხლები. არც ვინმეს დაჩაგრავდა და არც მაინცდამაინც თავს დაგაჩაგვრინებდა. ზედმეტს რომ არაფერს დააშავებს, ისეთი იყო.

— მაინც იქნებ მოყვეთ რა ქენით, თორემ ჩემი ძმა ისე შევაშინე გუშინ, სულ დაავიწყდა სიმართლე ეთქვა. — გაბრაზებული ალაპარაკდა სანდრო. გიოსთვის არც შეუხედავს. როცა ბრაზობდა, ტუჩზე იკბენდა ხოლმე სანდრო და თუ იტყუებოდა, მაშინაც ასე იცოდა. ტუჩებს აწვალებდა. გიო ამიტომაც მაშინვე ხვდებოდა ძმის ტყუილსაც და გაბრაზებასაც. ახლა ბრაზობდა ნამდვილად. გიომ — გამომყევიო, — გადაულაპარაკა წოღოს და იქაურობას გაეცალა. სანდროსთვის არ მოუხმია — იცოდა, მაინც არ გაყვებოდა. სულ სხვა მიმართულებით მიეჩქარებოდა სანდროს. მალე წავიდა კიდეც. მოიმიზეზა — თავი მტკივაო და ტუჩზე იკბინა კიდევ ერთხელ. ეგ იყო და ეგ.

* * *

— გამარჯობათ ლალი დეიდა, პატარა როგორა გყავთ?

ქალი მობრუნდა — ზუსტად ისე როგორც ჩვევოდა, თითქოს ძალიან გაუკვირდა სანდროს დანახვა.

— რა ვიცი აბა, არ არი კარგად, ცოტა ახველებს.

— წამლებს ხომ ასმევთ? პატარებს ადვილად ერევა გრიპი... — სვლას ანელებს სანდრო. ალბათ უკვე დახედავდა ასფალტს ანი. გაუხარდებოდა ალბათო — ფიქრობს.

— ვასმევ, მაგრამ ბევრიც არ მინდა მივცე... რა ვიცი, არ ვენდობი წამლებს... — შეწუხებული პასუხობს ლალი. საბავშვო ეტლში საბანს უსწორებს ბავშვს.

— დიახ, რა თქმა უნდა. — სანდრო კიდევ უფრო ანელებს სვლას. შორი იყო ჯერ ანის სახლამდე. — დარწმუნებული ვარ, მალე მომჯობინდება.

— მადლობა შვილო, — იღიმის ლალი და სანდროც ნაბიჯს უჩქარებს. ლალის პირველად დაახლოებით სამი წლის წინ შეხვდა სანდრო ამ ბაღში. საათი ჰკითხა და მას მერე თითქმის ყოველ დღე ხვდებოდა სკოლისკენ მიმავალი. ერთხელაც მიესალმა და მერე ერთი კვირა ესალმებოდა. ერთხელაც ჰკითხა — როგორ ბრძანდებითო და მერე ერთი თვე ეკითხებოდა. ერთხელაც ჰკითხა — პატარა როგორ არისო და მერე კარგა ხანს ესალმებოდა და ეკითხებოდა — როგორ არისო. ერთხელაც უპასუხა — ცუდადო და დაამწუხრა. ერთხელაც უპასუხა — კარგადო და დაამშვიდა. ერთხელაც სანდრო ეჭვმა შეიპყრო — რატო არ იზდებოდა ამდენ ხანს ბავშვი? და მერე თავისი ეჭვი გიოს გაანდო, იმან მაგრად იცინა. ეგ ქალი გიჟიაო — ასე უთხრა. ბავშვს კი არა, თოჯინას ასეირნებს ყოველ დღე ბაღშიო. სანდრო ვერაფერს მიხვდა, სანამ ერთხელ დედამ თავისი ჭრელი კაბა არ ჩაიცვა და მეზობელ შორენასთან არ გადავიდა ყავის დასალევად. შორენას მცენარეები უყვარდა — არავინ ყავდა, არც რამე ცხოველი სახლში, მხოლოდ მცენარეები. ბევრი მცენარე. თამილა გაოცებული დაბრუნდა იმ დღეს, სანდროს უთხრა — არ დაიჯერებ — ჩვენი მეზობელი დღეს კაქტუსებს იავნანას უმღეროდაო! მერე დედა საშზარეულოში გავიდა და მხოლოდ შორიდან გაიგონა სანდრომ — რას არ მოიფიქრებენ ადამიანები, საჭიროდ რომ იგრძნონ თავი! – სწორედ ასე ჩაილაპარაკა თამილამ. *რას არ მოიფიქრებენ ადამიანები საჭიროდ რომ იგრძნონ თავი!* — გაიმეორა თავისთვის სანდრომ და საბავშვო ეტლით მოსეირნე ლალი გაახსენდა იმწუთას. მაშინღა მიხვდა ყველაფერს.

მაინც უცნაური ამბავი იყო შორენას და მის მოლაპარაკე მცენარეების თავს. ყოველ შემთხვევაში უცნაურად კი გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. გაიღვიძებდა, ადგებოდა შორენა, ხოსე-იგნასიოს მიუბრუნდებოდა — როგორ გეძინაო. კაქტუსს ერქვა ასე. იმჟამად ერთ სერიალს უყურებდა შორენა და კაქტუსს როგორც კი თვალი შეავლო, მიხვდა — ხოსე-იგნასიო იდგა მის წინ ნამდვილად! იყიდა კიდეც მაშინვე. ხოსე-იგნასიო მსუქანი კაქტუსი გახლდათ, ძალიან ეკლიანი. *შე უკარებაო* — ასე ეტყოდა ხოლმე შორენა, როცა გაბრაზდებოდა რამეზე. ისე კი იდილია სუფევდა ძირითადად სახლში. დაბალ ხმაზე თითქმის მუდმივად უკრავდა შოპენის ან ჰაიდნის ფირფიტა, თავდახრილებს ეძინათ შორიდან ჩამოტანილ ვითომ ეგზოტიკურ მცენარეებს და როგორც ყოველთვის, საკუთარ სილამაზეში ნებივრობდა ჯუჯა ხე-ქალბატონი “ოჯიში” — შორენას

სასტუმრო ოთახის სიამაყე. აგერ უკვე რამდენი ხანი გასულიყო მას მერე და სანდროს ისევ და ისევ ახსენდებოდა დედას სიტყვები — ყოველ ჯერზე, როცა შორენას ფანჯარას ჩაუვლიდა.

და მართლაც, რას არ მოიფიქრებენ!

ანის ფანჯრებზე ფარდები ქონდა ჩამოფარებული. ალბათ არც იყო შინ. სანდრო ტროტუარის ნაპირზე ჩამოჯდა, უაზროდ მიაშტერდა სადარბაზოს. თბილოდა ქუჩაში... დღის ამ დროს თბილოდა, ოღონდ როგორც კი მზე ოდნავ მიეფარებოდა კორპუსებს, ზამთარი მოდისო, იფიქრებდი მაშინვე.

— სანდროს გაუმარჯოს!

სანდროს ხმა არ ეცნო რაღაც, თავი ასწია და ზურა დაინახა, გუშინ-გაცნობილი.

— აქ რას აკეთებ? — გაეცინა ზურას. ალბათ სანდრო გამოიყურებოდა ცოტა სასაცილოდ, იქნებ დაბნეულად.

— მე? — ვერაფერი მოიფიქრა სანდრომ. — არც არაფერს. ქვა გავათბე! — თვითონაც მიხვდა რომ უაზრობა თქვა, არ შეიმჩნია და სათვალე შეისწორა მხოლოდ. სანდრომ ასე იცოდა, რომ დაიბნეოდა, სასაცილო რამეებს იტყოდა ხოლმე.

— ესეიგი ქვა გაათბე არა! — გაეცინა ზურას. — ეგეც საქმეა. პრინციპში, გცალია? თუ გცალია წამოდი, მაგარ რამეს გაჩვენებ, გცალია? — მაინც უცნაური ბიჭი იყო ეს ზურა. გამხდარი და რაღაცნაირად თითქოს ძალიან ღონიერი. ხმაც ბოხი ჰქონდა. იშვიათად ასეთი ხმა. სანდრო შეეჭვდა, ღირდა თუ არა გაყოლა, მაგრამ აქ ჯდომასაც აზრი არ ჰქონდა და ბევრი აღარ უფიქრია, ისე წამოდგა.

— ესე იგი შენ ხარ ის სანდრო, ჭიღოლებმა რომ გცემეს გუშინ.

სანდრო გაშრა. — შენ რა იცი, მე რომელი სანდრო ვარ!

— სახეზე გეტყობა! — გაეცინა ზურას. — ახლა დამირეკა კიჭამ, საღამოს ვიკრიბებით, გიოს ძმა სცემესო. რატომ არ მითხარი გუშინ, გიოს ძმა თუ იყავი?

— დიდი რამე, გიოს ძმა თუ ვარ! — საერთოდ აიჭრა სანდრო.

— შენი ძმა, ჩემი ძმაა! — უცბად ხელი გადახვია ზურამ. სანდროს კი არ უყვარდა ასეთი რამეები. მაინც რატო ეგონა ყველას, თუ გიოს იცნობდნენ, ეს სანდროსთვის რამეს ნიშნავდა?

— ნუ ღელავ, მაგათ მალე ავუღებთ აბარიტს! — რაღაცნაირი სიამაყით წარმოთქვა ზურამ. — სანდრო გაოცებული იდგა. არა, სანდრომ კი იცოდა რომ ასე ხდება, იცოდა ადვილად არ დამთავრდებოდა ეს ამბავი და მაინც, ყველაზე უცნაური ის იყო, როგორ წყდებოდა ყველაფერი მის გარეშე. შურს იძიებდნენ, არ იძიებდნენ — სანდროს არავინ ეკითხებოდა. ეს გართობა უფრო იყო ყველასთვის, შეკრების მიზეზი. სინამდვილეში არავის აინტერესებდა — ვინ, ვის, რატომ — უბრალოდ, საბაბი იყო ცოტა ომობანა ეთამაშათ ისევ. ამას ფიქრობდა სანდრო, როცა ზურამ რკინის კარი გააღო და გარაჟში შევიდა: — შემოდი, სანდრო!

— შენი მანქანაა? — წითელი "ჟიგული" შეათვალიერა სანდრომ.

— მანქანა კი არა, შენ ამას შეხედე! — ზურამ საშინლად ჭუჭყიანი ბრეზენტის ნაჭერი გადაწია და კომბალივით რაღაცას დააკლო ხელი.

— ეგ რაა?! — გაეცინა სანდროს — კომბლებიღა გაკლდათ!

— მამაჩემი ცეხში მუშაობს, იქიდანაა... კიჭას ვუთხარი, თუ საქმეზე წავალთ, მხოლოდ დანების გარეშე-მეთქი! დანების ტრიალი არ მიყვარს. ასე

რომ, გამოგვადგება. რას იტყვი?

სანდრომ არ იცოდა რა ეთქვა. მხოლოდ გაიღიმა ისევ და მხრები აიჩეჩა.

VI
იალოვა

— სულ ესაა? მხოლოდ სამი ჩემოდანი? — გაოცებული შემობრუნდა წოღო — თვალებს ვერ ვუჯერებ! გიო, შემახსენე ერთი, რამდენი დღით მივდივართ?

— ორით! — გაეცინა გიოს, — გოგოები! ხომ იცი...

— ვიცი კი, მაგრამ ამდენი ბარგი-ბარხანა მაინც ვერ წარმომედგინა! მთელი სამი ჩემოდანი! ჰკითხე ერთი, პირსახოცები თუ მოაქვთ?

— რა პირსახოცები?

— რა და ჩვეულებრივი! როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი რჩებათ ხოლმე! — გიო ოთახში შებრუნდა. თმებს ივარცხნიდა საია.

— პირსახოცები მოგაქვთ? — ყოველი შემთხვევისათვის დაეკითხა.

— ლენას მოაქვს! – გაუღიმა საიამ. გრძელი შავი თმა თითქოს დღითიდღე უფრო და უფრო ეზრდებოდა. თმის სილამაზეზე ფიქრი გიომ მხოლოდ მას მერე დაიწყო, რაც საია გაიცნო. შეეძლო გაუწყვეტლად ეყურებინა ამ გოგოსთვის. თვალების მშვიდი ჭრილი, თეთრი, ბავშვივით რბილი კანი და შავი, უსაზღვროდ გრძელი თმა. აი, როგორ არი? "თმის მთელი ოკეანე"...

ბიჭებმა სამივე ჩემოდანი გოგოების საერთო საცხოვრებლიდან საიას მანქანაში გადაზიდეს. ახლა მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, გზას გადგომოდნენ. მთელი შაბათ-კვირა წინ ედოთ.

— მთელი შაბათ-კვირა! — დიდი ენთუზიაზმით იმეორებდა წოღო, უკვე საჭესთან მიმჯდარი. გიო მაინცადამაინც აღტაცებული არ ჩანდა, ტრასას გაჰყურებდა, ალგეთზე ფიქრობდა. გამომშრალი მტვრიანი გზა და ხანგრძლივი ლაშქრობები ტბისკენ.... წამოცვივდებოდნენ დილაუთენია მთელი მეზობლის ბავშვები, ჩანთებს ხაჭაპურებით გამოტენიდა გრძელთითება თამილა, თავზე ქუდებს დაიფარებდნენ — მზეს რომ არ დაეკრა, გადაჭრიდნენ ეზოს და ჰერიო! იმდენი ლაშქრობა ახსოვდა გიოს... გასვლის მოლოდინში, ცხრაჯერ მაინც გააღებდა კარს, საგულდაგულოდ გადაითვლიდა ჩანთებს, შეამოწმებდა წყალი ხომ არ დავიწყნოდათ, საკმარისი ხილი თუ მოჰქონდა დედას... ბევრი დრო კი არ გავიდა მას მერე... ერთხელაც ჩავიდა ალგეთში, რაღაც შეიცვალა, მიხვდა. დილით ადრე წამომდგარს ცხრაჯერ აღარ გამოუღია კარი, ჩანთებიც აღარ გადაუთვლია მოლოდინით თვალებგაფართოებულს. ერთხელაც სექტემბერში, სკოლაში დაბრუნებულმა, მასწავლებლებს შეხედა და ჩვეულებრივი ადამიანები დაინახა. ადრე ისე უსაზღვროდ დიდები და უნაკლოები იყვნენ... უყვარდა ყველა, ახლაც უყვარდა, უბრალოდ, რაღაც შეიცვალა და შეიკუმშა, კი არ დამცირდა და მაინც, შემცირდა.

— ალბათ, როცა ყველაფერი უფრო პატარად მოგეჩვენება, შეგიძლია თქვა, რომ გაიზარდე. — მიუტრიალდა გიო წოღოს. წოღო ვერაფერს მიხვდა, გაეცინა მხოლოდ და მანქანა დაქოქა.

იალოვაში ერთხელ უკვე ნამყოფი იყო გიო. ადრე, ჯერ ივნისი იდგა და ცოტა ციოდა კიდეც. ზღვაზე წავიდეთო – დაიჟინა სააბითმა. ადგნენ და წავიდნენ. ერთ ხალიჩას შემოსხდომოდა ათიოდე კაცი. ქალები მოშორებით ისხდნენ, ღმერთმა უწყის რაზე საუბრობდნენ. სააბითი ხარბად მიირთმევდა რაღაც ალბათ გემრიელს. გიოს არ გაუსინჯავს. დიდად არ მოსწონდა აქაური კერძები. ამოხედა მაშინ და — მოდი ზღვაზე წავიდეთო. ასე უბრალოდ ჩალაგდნენ, ორ საათში იალოვაში იყვნენ უკვე, სანაპიროზე გაშოტილები. ქალები სადღაც კლდეებს იქით გაიძურწნენ. იქით ბანაობდნენ, კაცებისგან მოშორებით. ერთხელ თავში კი გაუელვა, მოდი იქით გავივლი, ავაფორიაქებ მაგ დედაკაცებსო, მაგრამ გადაიფიქრა. ლამაზი ქალები არ ყავდათ ამათ ოჯახში და ჩალიჩად არ ღირდა. ორი დღე გაჩერდნენ მაშინ იმ ადგილას და პლიაჟზე ქალებიც მხოლოდ ერთხელ იხილა გიომ. საღამოს კი აივნიდან დაინახა, აჩრდილებივით ჩაუარეს ლამპიონებს, ზედ ზღვისპირას ჩამოსხდნენ, მზის ჩასვლის სანახავად...

მზე რომ ოდნავ ქვევით ჩამოიწია, სულ სხვა ფერი დაედო იქაურობას. საიას თეთრი კანი ახლა ხორბლისფერი ჩანდა, ტუჩები — ღვინომუქი, თმა... და თმა ახლა ასე გაშლილი, თითქმის გაშლილი, ერთი წვრილი ჩხირით შემაგრებული...

— რა ლამაზი ხარ, საია! — ჩაილაპარაკა გიომ. გოგომ ქართული არ იცოდა, მხოლოდ სახელი გაიგონა თავისი, გაუღიმა და წადით, სასმელი მოიტანეთო, მოაძახა. მოსაღამოვებულიყო უკვე. გიო ზღვისკენ გადაბრუნდა. ასე უძრავად იწვა ცოტა ხანს. ზღვისგან მობერილი სიო შუბლზე თმას უჩეჩავდა, თითქოს მანქანაში ზის და დიდი სიჩქარით მიაქროლებსო.... გიომ პირველად რომ დაინახა ზღვა, აი, ნამდვილად რომ დაინახა, უკვე წამოზრდილი იყო — ასე, თორმეტი წლისა. მანამდე სულ ეგონა, რამე მნიშვნელოვანი მოხდებოდა, პირველად რომ ნახავდა ტალღებს. დიდი არაფერი, უბრალოდ შეტოპა ზღვაში და გამოტოპა უკან. სანდრო კი ძალიან ბედნიერი იყო იმ დღეს. ქვიშაში ბურჯგნაობდა, სილაში სახლებს აშენებდა... უყვარდა ქალაქების შენება სანდროს. ჯერ სულ ვედროთი მორწყავდა ხოლმე ალგეთის ქვიშიან ნაპირს, მერე ქვებს, კენჭებს მოიმარაგებდა, აწყობდა "აგურ-აგურ". პატარა სახლებს გამოძერწავდა ჯერ, პატარა ეზოებით, ვიწრო, ქვით მოკირწყლული ქუჩებით, მერე მიყვებოდა სასახლეებს — პირველი გალავანი, მეორე გალავანი... მთელი დღე გავიდოდა და სანდროც მთელ ქალაქს ააშენებდა. ათასი რამის მოგონება შეიძლებოდა მერე. ვინ სად ჩაივლიდა, ვინ ვინ იქნებოდა. რამდენჯერ გაუფიქრია გიოს, რა სიამოვნებით იცხოვრებდა სანდროს აშენებულ ქალაქში. სიამოვნებით გამოაღებდა იმ, კარად ჩადებულ ხის ნაფოტს, სიამოვნებით ჩაივლიდა კენჭებით მოკირწყლულ ვიწრო ქუჩებზე, როგორ მოზიდავდა შეშას საღამოს, ბუხრის ცეცხლით გაითბობდა თავის კერას... რას არ იზამდა, ასეთი ქალაქი რომ ჰქონოდა გიოს!

— რა იყო, რამე უფრო მეტს მოელოდი? – შიგ კაკალ გულში მოარტყა მაშინ სანდრომ, პირველად რომ ზღვიდან ამოვიდა გიო. სანდრო თავიდან ფეხებამდე ქვიშაში იყო ამოგანგლული. თმა ჩალასავით ეყარა შუბლზე. ხანდახან ისე ზუსტად მოარტყამდა ხოლმე...

— უბრალოდ წარმოიდგინე ახლა, ტელევიზორში რომ ნანახი არ გვქონოდა და ისე ჩამოვსულიყავით, მაშინ რას ვიფიქრებდით!.

— ხო, მეც ეგ ვიფიქრე. — თვალები მოჭუტა სანდრომ – აი, აქ ვართ და

არც არაფერი, ეგრეა?

— კი, ეგრეა. — გაეღიმა გიოს. მერე ჰკითხა — ეგ რა იქნება, რამე დიდს აშენებ? — გიოს უყვარდა, სანდრო რომ დიდს აშენებდა რამეს. სანდროს პირიქით, პატარა სახლები უფრო მოსწონდა, პატარა ეზოებით და პატარა ქუჩებით.

— მერე რას გავს, რა არის ეგ! პირამიდას გავს — გაეცინა გიოს. სულ ასე იცოდა, ჯერ გააბრაზებდა, მერე შენებაში მიეხმარებოდა.

მზის ჩასვლამდე აშენებდნენ იმ დღეს. თამილა თავისთვის იჯდა, კროსვორდებს ავსებდა. ისეთი სიჩუმე იყო ირგვლივ, ტალღების ხმა...

— გიო! გიო! გიიიოოოო! სასმელზე წამო, მერე არ დაიკეტოს მაღაზიები. დავრჩებით ისე! – ფიქრებიდან გამოიყვანა გიო წოღოს ძახილმა. ზმორებით წამოდგა ფეხზე და პატარა საკურორტო ქალაქის ცენტრისაკენ დაგაზეს.

ალკოჰოლი ძნელი საშოვნელი იყო თურქეთში. ათიდან ერთ მაღაზიაში თუ იქნებოდა რამე. დიდ არჩევანზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მაღაზიიდან მაღაზიაში დადიოდნენ ბიჭები. გიო ჩუმად მიაბიჯებდა, თავის ფიქრებში წასული. წოღოც უხმოდ მიჰყვებოდა გვერდზე. უჩვეულოდ ჩუმი იყო გიო. წოღო ვერ ითმენდა, გამოერკვია რა ხდებოდა, არ იცოდა საიდან მოევლო:

— ორი ბოთლი გვეყოფა? როგორ გგონია? თუ ზაპასში ვიყიდოთ კიდე, ჰა? გიოო, გიო! — გიო არ უსმენდა ისევ.

— ჰეი გიო! რა გემართება დღეს?. მაგარი გათიშული ხარ! ეი, გიო — მისმენ?

— ჩემთან რატო მეგობრობ, წოღო? — ძალიან სერიოზულად იკითხა უცბად გიომ, თითქოს მთელი ეს ხანი ამაზე ფიქრობდა. წოღოს ჯერ პირი ჩამოეწელა, მერე სიცილი წასკდა.

— რაა? რა მკითხე-ე?

— რატო მეგობრობ-მეთქი ჩემთან. მთელი ბავშვობა გაწვალებდი, არ ვიყავი შენთან კაი როჟა, ხო ეგრეა? რატო მეგობრობ?

— შენ რა, ამიხიპიშდე გინდა? — ცოტა დასერიოზულდა წოღო. მიხვდა, რაღაც ვერ იყო გიო ხასიათზე. – წამო, გოგოები გველოდებიან.

ბევრი სვეს იმ საღამოს. სანაპიროზე ისხდნენ, მზის ჩასვლას ელოდებოდნენ, აღარ დაადგა საშველი. მზემ წითელი ფერი კი დაიდო, წითელ-ყვითელი ხალიჩაც დააგორა ზღვის ტალღებზე, და კიდევ მაინც დიდხანს მოუწიათ ლოდინი. მეორეს მესამე ჭიქა მიაყოლეს, მესამეს — მეოთხე, სადღაც მეოთხესა და მეხუთეს შორის მზეც ჩავიდა, ოღონდ ვიღას ახსოვდა მზე? საია ისე ლამაზად კისკისებდა, ლენას ეჩურჩულებოდა რაღაცას... გოგოების ჩურჩული კარგი დასაკვირვებელი რამეა. რამდენიმე სიტყვას მაინც იტყვიან ცოტა ხმამაღლა, ყველას გასაგონად. ამით ინტერესი ჩნდება ძალაუნებურად. აკეთებ შენ საქმეს, არ აქცევ ყურადღებას და ყურები მაინც დაცქვეტილი გაქვს, ესაო და რამე გავიგონოო. მეხუთეს რომ მეექვსე მიაყოლეს, წოღო უკვე ბარბაცებდა. ჯერ ქვიშაზე გაწვა — დამმარხეთო; არადა, იმსიგრძეს რა დამარხავდა? მთელი სანაპიროს სილა არ ეყოფოდა. სილა კი სასიამოვნოდ თბილი იყო, ოდნავ თუ გადაქექდი, სველ კენჭებს წააწყდებოდი სიღრმეში. ისეთი ლამაზები იყვნენ, სანამ გაშრებოდნენ, მერე კი დიდი არაფერი. სანდრომ იცოდა თბილისში ქვების ჩამოტანა. რამდენიმეს მაინც ჩამოიტანდა ხოლმე. ერთ ქისაში ეყარა მერე ყველა, აგროვებდა. საერთოდ ყველაფერს

აგროვებდა სანდრო. ვერ აერჩია რისი კოლექციონერი ყოფილიყო. ან რა იყო ეს კოლექციონერობა? ვთქვათ და შეაგროვე, მერე? "კოლექციონერს" ეძახდა ძმას გიო. ეზოში ერთი ლუკა ჰყავდათ, წრიპა, სამი წლის, — კოეციონერი! კოეციონერი! — დასდევდა ხოლმე სანდროს. რამხელა იქნებოდა ახლა ლუკა, რვა-ცხრა წლის? არადა წელამდე ვერ სწვდებოდა მაშინ და წოღოს ხომ საერთოდ, მუხლებამდე ალბათ. ერთ დღესაც დაჰკრა ფეხი დედამისმა, სხვა უბანში გადავიდა საცხოვრებლად. აღარც უნახავს მას მერე. ახლა ძლივს იხსენებდა ლუკას სახეს გიო. შავი თმა რომ ჰქონდა ეგ კი ახსოვდა. და ფეხსაცმლის ზონარი ყოველთვის შეხსნილი. როცა კი მოიხელთებდა დროს, ფეხს მაშინვე გაიშიშვლებდა. ფეხშიშველი დარბოდა. მაგარი მასტი იყო. მაგის და კიდე, მუდმივად აჩეჩილი თმით — რა ერქვა? ქეთინო... რამდენის იქნებოდა მაშინ, ათი-თერთმეტი წლის. გაღიმა გიოს, გაბრუებული იყო სასმელით და მაინც, ისე ნათლად ხედავდა ახლა როგორ მიბარბაცებდა წოღო ტალღებისკენ — ზღვაში შევცუროთო — იძახდა.

ერთხელ ასე ისხდნენ პატარები აივნიდან ფეხებგადმოყრილები, ნაყინს მიირთმევდნენ. ცხელოდა. ბევრნი იყვნენ — ეზოს ბავშვები, წოღოც იქნებოდა ალბათ. საუბრობდნენ ვინ რას აპირებდა მომავალში, ვინ რა გამოვიდოდა. გიოს ეჭვი არასდროს შეპარვია, რომ წარმატებული იქნებოდა — ოღონდ ზუსტად ვერ ხვდებოდა — რაში. რაღაცას კი გაახერხებდა, ეგ დანამდვილებით იცოდა. ვთქვათ, ის და სანდრო წარმატებული ბიზნესმენები იქნებოდნენ. ივლიდნენ მანქანებით, კოსტუმებში გამოწყობილები. თამილასაც აღარ დაჭირდებოდა ლექციების კითხვა. მხოლოდ მაღაზიებში თუ ივლიდა — როგორც ყოველთვის, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, ლამაზ კაბებში გამოწყობილი. სანდრომ უთხრა ერთხელ... უკვე წამოზრდილები, სამარშუტო ტაქსით მიდიოდნენ სახლისკენ. თამილა ადრე ჩავიდა, ლექცია უნდა წაეკითხა მეორე ცვლის ბავშვებისათვის. ფანჯრიდან უყურებდნენ, როგორ მიიჩქაროდა უნივერსიტეტისკენ ეს მაღალი და ძალიან გამხდარი ქალი. თითები — თხელი, ხელები — სუსტი და დაღლილი... გიოს არ უყვარდა დედა რომ ეწეოდა, სულ უბღვერდა ხოლმე. არადა, ხელში სიგარეტს რომ დაუნახავდა... უხდებოდა ძალიან. თხელი, ლამაზი თითები ჰქონდა დედას და იმიტომ. როდის იქნება, რომ ფულს ვიშოვით და მოვუვლითო — ასე ჩასჩურჩულა მაშინ სანდრომ. გიოს თვალი არ მოუშორებია ფანჯრისათვის, მხოლოდ სახე დამანჭა და ჩაიცინა.

— ღამე გიცურავია ზღვაში, გიო? აუ, რას ასწორებს იცი! წამოდით, შეეედით გოგოებო, დავაი, ადექით გავცურეთ! – სასაცილოდ დაბარბაცებდა აქეთ-იქით წოღოს სილუეტი.

გიომ წამით კი იფიქრა რატომაც არაო, თუმცა მერე გადაიფიქრა. წოღო მაგარი ნასვამი იყო, მაგის გადარჩენის თავი სად ჰქონდა ახლა? სულ ცეკვა-ცეკვით მიიყვანეს წოღო სასტუმროს ნომრამდე, ოთახშიღა შეჩერდა ერთ წამს.

— კი, ყოველთვის ვირი იყავი, მარა შენს გვერდით როცა ვარ, ვირობას მარტო შენგან მოველი და ეგ უკვე კარგიაო, — ასე თქვა, ერთი დაბზრიალდა, ძაფივით მიიკლაკნა ლოგინზე.

გიოც, კაი ნასვამი, ცოტა ხანს გაკვირვებული იდგა კარებთან, გონს მოსული მთვლემარე საიასთან მიბარბაცდა, იმის ბალიშზე ჩამოდო თავი და სიზმრებიც გაინაწილა. რა ლამაზი სიზმრები ექნებოდა საიას!

ღამე ზღვაში როგორ არ უცურავია გიოს. ცურვა დიდად არ უყვარდა, მაგრამ ღამე... როცა სანაპიროზე არავინაა, მხოლოდ რამდენიმე კაცი. წყალი გრილია და ბნელი. ტალღებიც არ ჩანს, თითქოს არც არისო. შორს უნდა შეცურო, ღრმად, მერე ზურგზე დაწვე და წყალს მიუგდო ყური. შორიდან თუ მუსიკის ხმაც ისმის, ხომ საერთოდ... და სანაპიროზე ჩამწკვრივებული სხვადასხვაფრად განათებული ბუნგალოები... ახლა ადგებოდა გიო, გაცურავდა სიამოვნებით, ადგომის თავი რომ ჰქონოდა. ფეხები ისე მძიმედ ელაგა საბნის ქვეშ, თითქოს ორმოცი წელი უდაბნოში ევლოს და ამ ლოგინისთვის მოეგნოს ბოლოს. ძალით ვერ ააყენებდი. დაღლის სამ დონეზე ფიქრობდა ახლა გიო. ერთი — წამოწვები და რომ ადგები, ფეხის ტერფები გტკივა, მეორე — წამოწვები და რომ ადგები, მთელ კუნთებში დაგივლის ტკივილი. მესამე, წამოწვები და დარჩები კიდეც წამოწოლილი. ადგომა აღარ მოგინდება. აი, ასე იყო ახლა. ძალაგამოცლილი. რატომღაც, უამრავი ფიქრი თავში და ზღვის სუნი ნესტოებში — ვერ გაარკვევდი თევზის, წყლის თუ მარილის, ანდა — ყველაფერი ერთად. ოთახში სიბნელე და მხოლოდ სუნთქვის ხმა. ეძინა საიას. შესუნთქვა, ამოსუნთქვა, შესუნთქვა, ამოსუნთქვა...

VII
გრძელი ფეხები, მოკლე ფეხები

— გძინავს?

— არა, რა დამაძინებს!

— ხო ხვდები, რატომაც არ გითხარი...

— ვერა, ვერ ვხვდები.

— მე იქ არაფერ შუაში ვიყავი, ყველაფერს გეფიცები რა, უბრალოდ იქ ვიყავი და ეგ იყო. აუ, თუ გავიგე ვინ უთხრა ჩვენზე... აუ-უ რას ვუზამ!

— მაგას მაინც ვერ გაიგებ, ტყუილა ფიქრობ ახლა. ეგ არ მაინტერესებს... მე ის არ მომეწონა, რომ არ მითხარი რა. ეგრე არ უნდა ვიგებდე მე, რა როგორ იყო. და მეორე, იქ რაღაც ამბებს რომ აპირებენ ეგენი, მთელი ეზო ფეხზეა და რა აბლატავებთ, რა უნდათ საერთოდ. მე არ მითხოვია ეგეთი რამეები. ზურა არი ერთი, საერთოდ გუშინ გავიცანი რა. გამეძრო დღეს, ჯოხები გადმომიღო, გამოგვადგებაო!

გაეცინა გიოს. — ვინ ზურა ბიჭო, ეგ ვინაა?

— ერთია რა, შენ გიცნობს ისე. კიჭას ვიღაცაა.

— კი, მგონი ვიცი. სტადიონის იქით ცხოვრობს, არა? მაღალი, გამხდარი... მერე რაო, ჯოხებითო? — კიდე უფრო ხმამაღლა გაეცინა გიოს.

— თამილა გაიგებს, ჩუმად!

— ახლა რაღაცას რომ დააპირებენ, ფაქტია. შენ რა შუაში ხარ, ეგ მიზეზია უბრალოდ, არ ეკასებათ რა, გრძელი ამბავია მანდ. სიგარეტი გინდა?

სანდროს გაუკვირდა. ისე ხმამაღლა ჰკითხა გიომ, ეტყობა არც უფიქრია, თამილა გაიგებსო.

— დედამ იცის, ნუ გეშინია... — მშვიდად თქვა გიომ, თითქოს სულ ასე

იყო, თითქოს ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, სადარბაზოში არ იმალებოდნენ, მოსაწევად. სულ ასე იცოდა ამან. თუ მოხდებოდა რამე ახალი, თავს ისე დაიჭერდა, ვითომც არაფერიაო. ტანსაცმელზეც ასე იცოდა, თუ მოუწონებდნენ ახალს რამეს, ძველიაო იტყოდა.

— როდიდან იცის? რა, შენ უთხარი?

— რა დასამალი ეგაა... – სერიოზული კაცის სახე მიიღო გიომ. არადა, სანდროს ეგრე ადვილად მაინც ვერ დააჯერებდა.

— დაგინახა არა? – კითხა ღიმილით.

— აბა ბიჭო! ვსხედვართ იმ დღეს ბირჟაზე, ვეწევით და ზედ არ წამომადგა!

— მერე? – წამოიწია სანდრო. ისე სიბნელეში კი არ ჩანდა კარგად, უბრალოდ სილუეტი წაგრძელდა აშკარად.

— მერე არაფერი. არაფერი არ მითხრა. სახლში ამოვიდა და მეც აღარ დავმალე... რომ მოვედი, სიგარეტი მაგიდაზე დავაგდე.

— და ხმა არ ამოუღია?! – კიდევ უფრო წამოიწია სანდრო.

— ვისი ფულით ყიდულობ მაგ ნაგავს, ერთი ეგ მაინტერესებსო.

— მერე შენ რა უთხარი? – გაეცინა სანდროს. წარმოიდგინა, რა სახე ექნებოდა დედას. გამეხებული. ასე იცოდა, ბევრს არ გეტყოდა, მაგრამ ისე გეტყოდა, ისეთი სახით!

— რა უნდა მეთქვა? – გაეღიმა გიოსაც – დროა მუშაობა დავიწყოთ უკვე. აგერ კიჭას პონტში, რამე უნდა ვიჩალიჩოთ. ვუთხარი უკვე ყველას. რამე გაიკითხეთ-მეთქი. დიდიხანია ვაპირებ. მოსამზადებელი არ უნდა გავმაზო. უნდა ვიარო და მაგის მერე სადმე ვიმუშაო, ოღონდ ლაით პონტში. ჯიბის ფული და რამე. რას იტყვი?

გიომ სიგარეტს მოუკიდა. მართლა დიდს ჰგავდა ახლა გიო! სანდრო უყურებდა და ფიქრობდა, მაგრად ჩამოვრჩიო. როგორ გამასწროო – გაურბინა ფიქრში.

ერთ ზაფხულს, მაშინ ცხრა წლის იყო, რაღაც უცბად გაიზარდა გიო. თბილისში ჩამოვიდნენ და სკოლაში დაცინვაც კი დაუწყეს — არათანაბრად გაიზარდა და იმიტომ. ტანი გაეზარდა, თავი, ცხვირი, ყურები და ყბა კი იგივე დარჩა, ვერ დაეწია დანარჩენს. ტემპში ვერ აყვა ეტყობა. კაი ხანს ამის გამო პირსაც ვერ აღებდა დიდზე. ხოდა, იმ ზაფხულს იყო, სანდროსაც რომ გაუჭირდა გიოს გვერდით სიარული. სიარული ისედაც უჩვეულოდ ჩქარი იცოდა გიომ და ახლა კიდე ეს გრძელი ფეხები... — ერთი-ორი, ერთი-ორი...ტემპში! — სიარულს ასწავლიდა გიო სანდროს, როცა ბრაზდებოდა, როცა სანდრო ძალიან ჩამორჩებოდა ხოლმე. ძაან სასაცილო საყურებლები იყვნენ. ახლაც, ანის გვერდით მობაჯბაჯე თეოს რომ დაინახავდა, სულ ის დრო ახსენდებოდა სანდროს. ქუჩის იქიდან უყურებდა ხოლმე დილაობით. ჩამოჯდებოდა ბეტონის მოაჯირზე და სადარბაზოს მიაჩერდებოდა. ჯერ თეომ იცოდა გამობაჯბაჯება. უყვარდა დას რომ ასწრებდა სახლიდან გამოსვლას. ანის გაკვეთილები ადრე ეწყებოდა, გზად პატარას ტოვებდა ხოლმე ბაღში. ნარინჯისფერი კულულები ჰქონდა თეოს. თეთრი, ბუთქუნა სახე... ჯერ რამდენიმე ნაბიჯს გაირბენდა, გაუსწრებდა კიდეც დას, მერე ერთ ნაბიჯს ნელა, ღირსეულად გადადგამდა. ანის წელგამართულს უყვარდა სიარული. წამითაც არ ავიწყდებოდა ლამაზი რომ იყო, გრძელი, ხვეული თმა რომ ჰქონდა, ლურჯი ფერი რომ უხდებოდა თვალებს...

— ანი! – ამოსძახებდა ხოლმე თეო, ხელის გულებს მიუშვერდა, თითებს მოხრიდა რამდენჯერმე. ნიშანი იყო ასეთი. ანიც აიყვანდა ხელში, სხვა რა გზა ჰქონდა?! ხან კი მართლა იღლებოდა პატარა, ხანაც ისე, – იპრანჭებოდა, უხაროდა სამყაროს ზემოდან ყურება. ანი რომ ხელში აიყვანდა, თეო თმაში შეუცურებდა კოტიტა თითებს, მერე კი მხარსზემოდან თავის წითელ სანდლებს დახედავდა, თითქოს ასფალტზე რომ მოსრიალებდნენ. თეოს გაჩენისას ანი თითქმის ცამეტის იყო უკვე. კარგად ახსოვდა ის დღე... ბალეტიდან დაბრუნებული, პირდაპირ საავადმყოფოში გააგზავნეს, იქ კი თეო დახვდა, ძალიან პატარა და ძალიან წითელი. თავიდან ძნელი იყო... სულ ტიროდა თეო. დედა კი აჩუმებდა ღამე, მაგრამ ანის მაინც ეღვიძებოდა. რამდენჯერ უფიქრია – ახლა შევიშლები, სადმე გააქრეთ, გადამალეთ ეგ ბავშვიო, არადა როგორ უხაროდა ასე რომ ჩაეხუტებოდა, ან გაუცინებდა ხოლმე თეო. ლოყაზე პატარა ფოსო უჩნდებოდა და წინა ორი კბილიც კურდღელივით ჰქონდა წამოწეული. მერე, როცა ენა აიდგა და სასაცილო სიტყვების სროლა დაიწყო, საერთოდ აღარ იშორებდა გვერდიდან, თოჯინასავით დაატარებდა ყველგან თავის დაიკოს. პირველი პოზიცია! მეორე პოზიცია! – დააყენებდა ხოლმე ანი პატარას, ბალეტის გაკვეთილებს უტარებდა. ისიც მოსწონდა ანის, რაც გინდა გეთქვა თეოსთვის, ყველაფერზე ხალისით გეთანხმდებოდა. ეტყოდი, ბალეტი ვიცეკვეთო — იცეკვებდა. ეტყოდი, სახლი დავალაგოთო — დაგალაგებინებდა. ეტყოდი, მთელი საღამო ერთმანეთს ხმა არ გავცეთო – ერთს არ შეგეხმიანებოდა. მთავარი იყო, თამაშად ჩაეთვალა ყველაფერი. აუხსნიდი, ვითომ ასეთი თამაშიაო, და თეოსაც აენთებოდა თვალები. როდესაც სამეცადინო ქონდა ანის მაშინ, “ჩუმობანას” თამაშობდნენ. თეო ჩუმად დაძვრებოდა აქეთ-იქით, ცდილობდა ზედმეტი ხმა არ გაეღო. – თეო! – გამოსძახებდა ხოლმე ანი ბაღის ჭიშკრიდან. – თეო, სახლში მივდივართ! – კი ერთობოდა თეო ბაღში, ბევრი მეგობარი ჰყავდა, თაყვანისმცემლებიც კი ერთი-ორი, მაგრამ ანის ეს დაძახება მაინც ძალიან უყვარდა. საყვარლად დაიხრებოდა, შარვლიდან ქვიშას ჩამოიბერტყავდა, ასე ასწავლეს, ყვითელ ვედროს ხელს დაავლებდა და მორბოდა ანისკენ.

ახლაც ანის სადარბაზოს წინ ჩამომჯდარიყო სანდრო, გამვლელ-გამომვლეს აყოლებდა თვალს და ღიღინებდა თავისთვის რაღაც გაურკვეველს... ამ დროს პატარა, ნარინჯისფერკულულებიანმა თეომ სადარბაზოდან გამოიჭყიტა:

— ანი, პიერო მოვიდა! ანი!

— ჩუჩუჩუ! – პირზე ხელი ააფარა ანიმ დას – ნამდვილად, თეო? ისევ ის პიეროა? კარგად დააკვირდი. – თვალები აუციმციმდა ანის.

— პიეროა ანი. აქ დაგიცადო? – თეოს სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, არ უყვარდა ანის თუ სადმე არ მიყავდა. ამასწინაც ასე იყო. აქ დამელოდეო უთხრა, მარტო გავიდა და რაღაცეები ელაპარაკა პიეროს.

— სულ ცოტა ხანი, კარგი თეო? – თეო ჯერ გაიპრანჭა, ბაჩის წვერით სადარბაზოს ფილებს დაუწყო გაპრიალება, ასე იცოდა სულ. მაშინ ანი დაიხარა – ससससससस! – ისე თქვა, რაიმე გემრიელს რომ დაინახავს კაცი, თვალები აბრიალა და დიდი ენთუზიაზმით წამოიძახა – თეო! მოდი სანამ ბაღში წავალთ, გავიაროთ, დი-ი-დი შოკოლადის ნაყინები ვიყიდოთ! თეო, ჰა, რას იტყვი, დამიცდი?

თეო დაფიქრდა, ყველაფერი აწონ-დაწონა და თანხმობის ნიშნად, ძალიან სერიოზული სახით, თავი დააქნია.

— შევთანხმდით! — გაეღიმა ანის. ეს ხერხი ყოველთვის ჭრიდა.

— პიერო? – გაეცინა სანდროს, ანი რომ მიუახლოვდა.

— გაიგონე არა! თეო გეძახის რატომღაც ასე, მე არაფერ შუაში ვარ — გაეცინა ანისაც. – აქ რას აკეთებ სანდრო? კიდევ გიცდება გაკვეთილები? –თავმომწონედ იკითხა ანიმ, რაც სინამდვილეში ამას ნიშნავდა: *ვიცი არაფერი გიცდება, აქ ჩემს სანახავად მოხვედი, მოიმიზეზე ახლა სხვა რამე და ყველაფერიც კარგად იქნებაო.* სანდროც აღარ დაბნეულა — *საქმე მქონდა, არ წავედიო და...* მორჩა, ანი მაინც არ ჩაეძიებოდა ზედმეტად. საერთოდ ადვილი იყო ამ გოგოსთან — ჰკითხავდი როგორ ხარო — კარგადო, ჰკითხავდი გცალიაო – მცალიაო, მოკლედ და მარტივად. მარტივად დაიწყო, მარტივად გრძელდებოდა. ასე იჯდა ერთ დღეს სანდრო ანის სადარბაზოსთან — თავისთვის რა... გამოვიდა ანი, გამოემართა პირდაპირ სანდროსკენ. სანდრო ისე დაიბნა, არ იცოდა რა ექნა. ის იყო ფეხზე წამოდგა, რომ *რა გქვიაო* — დაეკითხა ანი.

— სანდრო... – შეცბა სანდრო.

— სასიამოვნოა, მე ანი მქვია, აქ ვცხოვრობ.

— სასიამოვნოა – კიდევ უფრო დაიბნა სანდრო.

— ამ დღეებში სულ აქ დგახარ, ხშირად გხედავ, ეტყობა ახლა გადმოხვედი. ამ ეზოში ყველას ვიცნობ და იმიტომ გეუბნები. ნამდვილად არ იყავი აქაური. მოკლედ, ვიმეგობროთ!

— ვიმეგობროთ. – გაუხარდა თუ გაუკვირდა სანდროს. – მე სანდრო მქვია.

— ვიცი, უკვე მითხარი.

— სასიამოვნოა...

— ეგეც მითხარი უკვე. – გაეცინა ანის.

— ესე იგი ყველაფერი მითქვამს...

"არა, ჯობია გავჩუმდე" — გაიფიქრა მერე — "და რა იყო ამასწინ რომ გავიარეთ? *დუმილი ოქროი ქებული...*"

VIII

ჩემი საიდუმლო, შენი საიდუმლო, ვერას საიდუმლო და კიდევ ის, რომ თუ დაგჭირდა, ვანო სულ აქაა

მხოლოდ თოლიების ხმა, წყნარი ზღვა, ნელი სიო და იალოვა... სულ ახალი დილა სანაპიროზე.

კარგი იყო საიას გვერდით გაღვიძება — ჩახუტება და ისე ძილი არ იცოდნენ: ჯერ ერთი, ცხელოდა საშინლად და მეორე, ორივე ბევრს წრიალებდა ღამე. ერთხელ გიომ, ოღონდ ძველად, გაიღვიძა და აღმოაჩინა, სამზარეულოში იწვა. ეგეთი უცნაური რამე პირველად და უკანასკელად დაემართა. ღამე თვალდახუჭული ბორიალი და კედლებზე გასვლა არ ჩვეოდა, ერთხელ მოხდა სულ.

მოკლედ, საია რომ გაიღვიძებდა, აუცილებლად უნდა მოჩოჩებულიყო გიოსთან, მკერდზე ჩამოედო თავი. თმა კიდევ იმსიგრძე-ე! თმა — ისე დამყოლი... აი,

ხომ არის რომ შეგაწუხებს! ჯერ ხომ ვერ აკოცებ გოგოს — სულ სახეს უფარავს, მერე ღამე გეხახუნება, ბალიშის ნაცვლად თმაზე გიდევს თითქოს თავი!

— როგორ ვერ გიტან, ყოველ დილით, სულ უფრო მეტად და მეტად ვერ გიტან, საი! – ეტყოდა ხოლმე ჩურჩულით.

— მეც მიყვარხარ! – პასუხობდა ისიც – მეც სულ უფრო მეტად და მეტად და მეტად...

— ყავა და სიგარეტი, თუ რძე და ნამცხვარი? – ასე იწყებოდა საიას დილა. განწყობის მიხედვით — ჯანსაღად ან არაჯანსაღად. ყავა, სიგარეტი, ჯაზი, წითელი ატლასის ხალათი, ან რძე, ნამცხვარი, სპორტული შარვალი, თმა — ჩაწნული.

— ყავა და სიგარეტი... – საყვარლად გაიზმორა საია – რა დროს რძეა!

აღარ უსმენდა გოგოს გიო, თავისას ფიქრობდა.

მშვენიერი დილა იყო: ჩიტები, პალმები... მოკლედ, კარგი დილის ყველა თავისი რამე-რუმეებით: მზე, ზღვის ჰაერი, კაფე *ღელ მარი!* რას არ მოიგონებენ ეს თურქები, ტურისტები რომ მოიზიდონ. სულ ცერებზე დგანან — ისე კი არა, ქართულ რესტორნებში რომაა — თავისთვის რომ აჯაზებენ მენეჯერი და ოფიციანტები — თუ გინდა შედი, არ შეხვალ და აი დარდი...

რაღაც ნაცნობი მელოდია ჟღერდა პატარა, ჩალით გადახურულ ბუნგალოში. საიას გაშლილი თმა, ისრებად ჩამოყრილი ... საია გიოს პირდაპირ იჯდა და ისეთი თვალებთ უღიმოდა, თან რომ რაღაცას გეკითხებიან და თან რომ გამხნევებენ.

— რამე მოხდა გიო? მითხარი, მოხდა რამე?

— არა, რატო? – გაიკვირვა გიომ.

— ფიქრობდი რაღაცაზე, გუშინაც, დღესაც. რაღაც მაინც მოხდა.

— არა, არაფერი. ეგაა, სანდრო არ იწერება არაფერს...

— რამდენი ხანია?

— ორი კვირაა თითქმის.

— ორი კვირა? – გაეცინა საიას. – ჩემებისთვის თვეზე მეტია სიტყვა არ მიმიწერია!

— ეგ შენ და მე. ეს ჩვენ ვართ ესეთები, არაფერს ვიწერებით.

— მოგწერს. გოგო გაიჩინაო, შენ არ მითხარი? ბოლოს ეგ არ მოგწერა?

— ხო... ანი... ძლივს არ ჩაიგდო ხელში! – გაეცინა გიოს – ერთი წელი დასდევდა მგონი.

— მერე, ძმებისთვის სადღა სცალიათ ხოლმე ასეთ დროს!

— ეგრეა. არადა ქუდიც გავუგზავნე... აი, ადრე რომ ვუყიდეთ. ისე, სწორი ხარ. კი, სწორი ხარ. ასეა — ხომ ხედავ, ძმებს გვირჩევნიხართ გოგოები.

— რა თქმა უნდა, – გაეღიმა საიას – ძმებს სადა აქვთ ასეთი ლამაზი ფეხები – და გოგომ ორივე ფეხი მაგიდაზე შემოაწყო.

— და მერე თმები!.. – ერთი ამოიხვნეშა გიომ, როცა საფუძვლიანად გაანალიზა ქალთა სქესის უპირატესობანი – წავედით.

ერთი ეგღა თქვა და წავიდნენ.

* * *

კაი ჩუმჩუმელა ვინმე იყო ეს სანდრო. გიოს რომ ეგონა ყველაფერი ვიციო და უცბად ისეთს აღმოაჩენდა... ახლაც ეცინებოდა გიოს, როცა იხსენებდა, როგორ აღმოაჩინა სანდროს შეყვარებულობა. გრილოდა უკვე. ბიჭები ბოლოჯერ წავიდნენ ფეხბურთის სათამაშოთ იმ კვირა დღეს. როგორც წესი, კვირაობით იცოდნენ ხოლმე სტადიონზე ასვლა. გაიძრობდნენ ქურთუკებს, ამოიცვამდნენ ბუცებს, მთელი ძალით იხარჯებოდნენ. ოფლად გაღვრილები გაწვებოდნენ მერე ბალახზე. ერთი ზაზა იყო, პატარა ბიჭი, "კოკა-კოლებს" ამოარბენინებდა ეგრევე, კაი იყო კვირაობით. მთელი ამბავი იყო. წაგებული მხარე ხინკლებს კისრულობდა. თამაშის მერე ერთად ჩადიოდნენ ბიჭები – ლუდი, ხინკალი... სანდრომ — ისევ თავი მტკივაო, და არაფრით არ წამოვიდა. გიო კი ხვდებოდა უკვე რაღაცას. ჯერ ერთი, სარკეში რომ არასდროს ჩაუხედავს სანდროს, ახლა ძალიან მოუხშირა თმის გლესვას... მერე, დილითაც ხომ ერთი სული ქონდა, როდის წავიდოდნენ სკოლაში. გაკვეთილებზე არ შედიოდა, რა თქმა უნდა — გიოს იქვე შეატოვებდა ბიჭებს, სადღაც მოტყდებოდა თვითონ. მოკლედ, დაუდარაჯდა გიო...

კაი საყურებელი ვინმეც იყო სანდრო. იმიტომ კი არა რომ აი, რაღაც განსაკუთრებული — უბრალოდ ნაკვთები ჰქონდა სხვანაირი, სასიამოვნო. არადა, დედას სულ არ ჰგავდა, მამას ჰგავდა უფრო. ფოტოებზე, სადაც მამა პროფილში იყო გადაღებული, თითქმის ვერ განასხვავებდი სანდროსგან. წარმოიდგენდა ხოლმე გიო, ალბათ ასეთი იყო მამა სანდროსხელაო. მოკლედ, საინტერესო შესახედი ვინმე იყო. თანაც, მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს და ამ ბიჭს მაინც რაღაც თავისი სამყარო ჰქონდა, გიოსგან განსხვავებული. თავისთვის ფიქრი უყვარდა, საერთოდ თავისთვის იყო... პირველად, სანდრო რომ მამას ოთახში შეძვრა, პატარები იყვნენ ჯერ. მამას კოსტუმების მოზომვა დაიწყო. როგორ ეწყინა გიოს! შევიდა ოთახში და სანდრო დაინახა მამის ნაცრიფერი ქუდით. ისე, რაღაცნაირად ეხურა, ფილმებში რომ ადევთ თავზე განგსტერებს. ყველაზე მეტად კი ის მოხვდა გიოს გულზე, რომ ეს ყველაფერი ძალიან უხდებოდა სანდროს. მამას პიჯაკი – ყავისფერი, თუმცა ისეთი დიდი ჰქონდა, ხელები სულ არ უჩანდა, მერე ის რომბებიანი წინდები... გიოს დანახვაზე სანდრო შეცბა, რას ეტყოდა, იდგა ასე, გატრუნული.

გიო მაშინ მიხვდა, რომ ჯობდა რაღაც-რაღაცეების კეთება ეცლია სანდროსთვის, არ ჩარეულიყო. თვითონ გიო თუ რამეს აკეთებდა, იმდენად პირადულიც არაფერი იყო, მაინცდამაინც მარტო დარჩენა მოსდომებოდა. სანდროს კიდევ თავისი სამყარო ჰქონდა... ახლაც კარებს იქიდან უყურებდა გიო, როგორ წრიალებდა სანდრო მამას კარადასთან. ხან ერთ ქუდს მოიზმანებდა, ხან მეორეს. კარს უკან, გატრუნული იდგა გიო. მხოლოდ უყურებდა... და მაინც, ბრაზობდა. ახლაც ბრაზობდა.

სანდრომ სკვერი რომ გადაკვეთა, სადღაც მაგ ადგილას წამოეწია ძმას. ბიჭებს უთხრა, საქმე მაქვსო. ფეხბურთის თამაშზე მეტად სანდროს ამბები აინტერესებდა. უკან გამოედევნა და რას ნახავდა ისეთს: ჯერ ყვავილები იყიდა სანდრომ, მერე ანისთან სადარბაზოში შევიდა, ყვავილების გარეშე გამოვიდა, მერე ანიც გამოვიდა ყვავილებით, ისაუბრეს, გაიარ-გამოიარეს... გიო დაიღალა ბოლოს უკან-უკან დევნით და სახლში დაბრუნდა. – უმცროსი ძმა ეძახე შენ და რა დღეში ყოფილა! – ფიქრობდა და კიდევ ათას რამეზე ფიქრობდა, ოღონდ ახლა აღარ

ახსენდებოდა, რაზე. ახლა, როცა მზე უწვავდა ტანს და გვერდზე საიაც ირუჯებოდა, გიოს ფიქრების მოკრება უჭირდა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, დაისვა იმ საღამოს სანდრო და ეუბნება:

— სანდრო, როდისმე რამე დამიმალია შენთვის? – სანდრო ხომ გაოგნებული შესცქეროდა, მაგრამ ეგ არაფერი, ჯერ სად იყო! — როგორ გგონია, მააქვს მე შენგან რაიმე საიდუმლო?

სანდრო დაფიქრდა:

— შენ და წოღო ეწევით ხოლმე იმას, მწვანეს. წოღო კიჭასგან შოულობს, კიჭა დიდებისგან. – ამას კი აღარ მოელოდა გიო, მაინც ყოფილა რაღაც! შერცხვა ცოტათი.

— შენც გეტყოდი, ბაზარი არაა, უბრალოდ ცუდი რამეა ხო იცი და თან ეგ სულ ერთხელ-ორჯერ იყო და მორჩა!

— ერთხელ არა... – თავი ჩაღუნა სანდრომ.

გაეცინა გიოს:

— საიდან იცი?

— უკან დაგყვებოდით...

ისევ გაეცინა გიოს:

— მეც გამოგყევი დღეს!

აბა რას ეტყოდა სანდრო? ერთი გოგო არისო, მომწონსო... რაღაცნაირი, კარგი გრძნობა დაეუფლა მაშინ გიოს. პირველად ივჯდა სანდრო ასე და უყვებოდა რაღაც თავისთვის მნიშვნელოვანს. დიდი მაინც კი ვერაფერი გაიგო. ერთი, რომ სანდროს უცნაური გრძნობა გასჩენოდა სადღაც, კუჭის სიახლოვეს და მეორე, რომ გოგოს ერქვა ანი. პრინციპში, თვითონ სანდრომაც არ იცოდა ამაზე ბევრად მეტი. რაც იყო ეგ იყო. გოგოს ნამდვილად ანი ერქვა.

* * *

— ანი, ჩუსტები! ანი, კაბა! ანი, თმის სამაგრი! გოჩა!

— რომელი თმისსამაგრები – ვითომ უდარდელად იკითხავდა გოჩა.

— რომელი და ის! — უფრო და უფრო ბრაზობდა ციცო, ნერვიულად ჩაიფუსფუს-ჩამოიფუსფუსებდა ოთახში, ააგროვებდა ანის ტანსაცმელს, კონცერტის მერე გამოსაცვლელად...

— ანი "აბადოკი" გაიკეთე, თმები დაგეშლება!

ანი ფეხს გამოყოფდა კარადიდან. ასე იცოდა, თუ რამეს ეძებდა, თავიდან ბოლომდე კარადაში იყო შემძვრალი. უზარმაზარი კარადა იყო, მართლა უზარმაზარი. აი თეო, დამალობანას რომ თამაშობდა, კარადაში შესული, უკან გზას ძლივს აგნებდა ხოლმე. პატარა თეო... ერთხელაც იყო, მართლა დაიკარგა კარადაში! შეძვრა, ვითომ ანის დაემალა. მერე, ეს ჩამოკიდული ტანსაცმელი... იმდენი ქურთუკი, პიჯაკი... თან ხომ ბნელოდა შიგნით, მერე დაცხა კიდეც, ანერვიულდა. დაბობღავდა აქეთ-იქით, სულ აერია თავგზა. აკანკალებული გამოიყვანეს გარეთ. ანის გადავიწყებულიც ჰყავდა, სანამ დედამ არ იკითხა — თეო სად არისო. მართლაც სად არისო და კარადაში იქნებაო. სულელი, პატარა თეო, არ დააფეთა ყველა!

— აი ესენი? – უხალისოდ იკითხავდა გოჩა, თითქოს სულ არ უძებნია.

— კი ეგაა! ანი, თმის სამაგრები ვიპოვეთ! ჩქარა ჩანთა, თეო — მამასთან მიდი, წავედით!

შემოტრიალდებოდა ციცო, ყველას გარეთ გამოუძღვებოდა, ანის ჩანთებს დაავლებდა ხელს — ბაფთები, გვირგვინი, მოსასხამი... გავარდებოდა თვითონაც.

რა ლამაზად ცეკვავდა ანი! თეოსხელა იყო თითქმის, ცეკვაზე რომ შეიყვანეს. წონასწორობას ცალ ფეხზე კი არა, ორზეც ძლივს ინარჩუნებდა. სამაგიეროდ, სულ ასე ცეკვა-ცეკვაში გაიზარდა. ციცოს კი ეუბნებოდნენ, არ გინდა ბავშვის ცეკვით ასე დატვირთვა, ფეხები დაეკუნთებაო. რაღას არ ამბობდნენ... გამორჩეული ყურადღებით კი სარგებლობდა ყოველთვის. კონცერტების მერე თავს როგორ იჭერდა – ამაყად. ხანდახან რომ დაუკვირდებოდა, თვითონაც ხვდებოდა — ეს ყველაფერი უბრალოდ წაქეზება იყო, მშობლების სურვილი, ბავშვებს თავი მნიშვნელოვან ადამიანებად ეგრძნოთ. სკოლის კონცერტები, გამოსვლები სხვადასხვა სასახლეებში, აკადემიებში, ეს ყველაფერი კარგი — სანამ ირგვლივ ახლობლები იყვნენ, ტაშსაც დაუკრავდნენ, შეაქებდნენ... მერე? მერე რა? ასე რომ იფიქრებდა, მოიწყენდა ხოლმე ანი. სულ აღარ უნდოდა ბალეტი. ისევ ჩაჩაჩული სპორტული შარვალი მოენატრებოდა, თბილი პულავერი, ბაბუასთან ერთად სიარული მთაში, სოკოების მოგროვება... რა კარგი იყო მარტვილში... ახალნაწვიმარზე სეირნობა, სოფლის ბიჭებთან ერთად გუბეებში ჭყაპუნი... თეო დაბადებულიც არ იყო მაშინ. არც იცოდა, თეო თუ გაჩნდებოდა. თოჯინა ჰყავდა ერთი — ჯეჯე, თან დააპორწიალებდა ყველგან. ისევე უვლიდა, როგორც ახლა თეოს. რატომ დაარქვა მაინცადამაინც ჯეჯე, ვინ იცის? მაშინ რაზეც არ ჰკითხავდი, ყველაფერი ჯეჯე იყო მისთვის. სხვები იძახდნენ — *ბუა*, ანი იძახდა – *ჯეჯე*, სხვები ტიროდნენ – დედა-ა, ანი ტიროდა – ჯეჯე-ე! სხვები იძახდნენ – *აუა*, ანი იძახდა — *ჯეჯე*... გიჟს ჰგავდა ციცო — რაღა ეს – ჯე, რამდენი ლამაზი ბგერა არსებობსო... ჰკითხავდა — რატომ "ჯეჯე", ანი? – *ჯეჯე!* – უპასუხებდა ანი.

ზაფხულში, ბაბუ რომ გარდაიცვალა, სოფელში იყო. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ანის დაუსწრებლად ხდებოდა ყოველთვის. ბოლოს ბაბუ ხეხილით სავსე ეზოში ახსოვდა, წინა ზაფხულს. თეოსთან ერთად ფანჯარასთან იჯდა საღამოს. ბაბუ ქლიავის ხეს ბერტყავდა. ძირს ცვიოდა მწიფე ქლიავი, შავი, ლურჯი, მსხვილი... დილით ისე ადრე წავიდა თბილისში, ანიმ ვერც გაიგონა. რომ ადგა, დედამ უთხრა, ბაბუ უკვე წავიდაო. ზაფხულის ბოლო იყო. თვითონაც მალე წამოვიდნენ. სახლის კარი ჩაკეტეს — მთელი წლით, საგულდაგულოდ. მორჩა, მერე აღარც უნახავთ. თბილისში დაბრუნებულებს მამა დახვდათ სულ სხვანაირი, დამწუხრებული. ჯერ კი ვერ იგრძნო დიდი ვერაფერი ანიმ. თითქოს კინოში მოხდაო, უბრალოდ ახალი ამბავი გაიგო — ინსულტი, უცბად, ახალჩამოსულსო... კარგა ერთი თვე გავიდა, რომ შინ მოსული ანი ტელევიზორს მიუჯდა, ისე, უაზროდ ჩართო რომელიღაც არხი და ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან. მოკლედ, რა დროს ეგ იყო, ძველი ამბავი... იშვიათად თუ ახსენდებოდა, მხოლოდ ასე რომ მოიწყენდა, მაშინ. სიმართლე რომ ვთქვათ, ყველაზე მეტად ახლა რაც ადარდებდა ანის ის იყო, ფანჯრის წინ წაწერილი — "ანი მიყვარხარ" — თითქმის რომ აღარ ჩანდა. ამდენმა წვიმამ სულ მოუღო ბოლო. ახლა კიდევ, თოვლი დადებდა მალე და საერთოდ... ისე, დეკემბერი კი საკმაოდ თბილი გამოდგა. უჩვეულოდ თბილი. როგორც წესი, დეკემბერში ყველა სახლს უნდა აფარებდეს თავს, ზედმეტად

გარეთ არ გამოდიან, თუ გამოვლენ და შუბლზე დაეწერებათ — "სახლი მაქვს და შინ მივიჩქარიო". თბილისში დეკემბრის ბოლო უჟმური იცის ხოლმე წესით, არადა ახლა გაიხედავდი გარეთ და — მთლად გაზაფხული იდგა...ხალხი დასეირნობდა, პარკი გადავსებულიყო ბავშვებით... ჭრელა-ჭრულად ჩაცმული პატარები მძივის გაბნეული თვლებივით — კოტრიალობდნენ, დაყიჟინებდნენ აქეთ-იქით, მშობლებიც იქვე, მუდმივ მზადყოფნაში — *საბა თითს პირში ნუ იდებ!* და ასე...

ქვიშაში ჩაფლულმა კოტიტათითუბა საბამ, ვერაფრით რომ ვერ აჯობა ნატოს კულინარული შედეგრის – ქვიშის პასკის დამზადებაში, ახლა სხვა თამაში მოიგონა — *მე აი ასეთი, დიდი, დიდი კლანჭიანი ვეფხვი ვარ!* — ამოყო ხელები ვედროდან და ქვიშა შიგ თმაში ჩააყარა გოგოს.

— რას აკეთებ! — წამოფრინდა იქვე, შორიახლოს ქალებთან ჭორაობაში გართული ვერა, – ნატო, მოდი აქ, ჩქარა!

ნატო დედის ასეთ რეაქციაზე მიხვდა, რაღაც ცუდი დამმართესო და მოთქმით გააბა ტირილი. საბაც გათამამდა — ასე ადვილად შევაშინეო, ჩაყო ორივე ხელი ვედროში, მეტი ქვიშა დაიმუჭა.

— ნახე! ნახე! დააყრის, – გაეცინა კიჭას. სკამზე ისხდნენ ბიჭები.

— მაგარი ქალია ჩვენი ვერა... მაგის ამბავი ხომ იცი?

— რა ამბავი... – ვითომ დაინტერესა.

— ერთი შვილი რომ პირველი ქმრისგან ჰყავს, მეორე — მეორე ქმრისგან და მესამეც — ჩვენი გივისგან.

— გივი? რას მეკაიფები!

— ახლა გეუბნები და დამიჯერე.

— საიდან იცი?

— რომ გეუბნები, დამიჯერე-მეთქი. – გაჩუმდა ორივე. – რომელზე მოვალთო ბიჭებმა, რამდენი იქნებიან?

— რა ვიცი, გიო რამდენსაც მოაგროვებს რა... იქით ზურა გავაფრთხილე, ეგეც ააგდებს რამდენიმეს.

ბნელდებოდა უკვე.

— მაგრა კი გაჯანჯლდა ეგ ამბავი.

— ხო, რავი — ალბათ გონიათ, შერჩენილი გვაქვსო.

— ახლა ეზოს ამბავია და რამე, გიოზე არაფერს ვამბობ, ხო გესმის... პატივს ვცემ და რამე, მარა ამდენხანს არ უნდა გაეწელათ, რა!. ქალაქში არაა — ჩაადექი, ვერ ჩაადგები — სახლი გაიტანე... სახლი არა აქვს? – მანქანა. — აქ შეჩერდა რიჟა. მანქანით არ დაიწყო ყველაფერი?! სადღა ჰყავდა იკას მანქანა?

— სადღა ჰყავს იკას მანქანა შე ჩემა, გარაჟში უგდია.

— ხო და უფრო საფუძვლიანადაც შეიძლება ეგდოს... – არ დათმო მაინც თავისი ნააზრევი რიჟამ. – მე ხო, კიჭა — აი, ძმობას გეფიცები, ოდნავ მაინც თუ რამე წილში, ან რამე ჩავდგე... აი რამე რომ იყოს ხომ, გატანის რა, აი ძმობას გეფიცები, ხომ იცი ყველაფერი მახატია ძმობის გარდა და ჩვენი ეზოს გარდა და ჩვენი კაცობის, რა! ხო მიცნობ მარა აი გეუბნები რა, მაგარი გააჯანჯლეს. თუ რამე უნდოდათ, მანამდე ექნათ ჯობდა. მე აგერ არ ვიყავი?! ხომ იცი, ჩემი იმედი... შენ ხო მიცნობ რა, მე სულ აქა ვარ. გაიკითხოს ვინმემ, მე სულ აქა ვარ. რამე საქმე თუა, მე სულ აქა ვარ! – კიჭას დამაჯერებლად ეჩვენა ეს სიტყვები. არა, თვითონაც ასე ფიქრობდა, ერთი თვე ბევრიაო. თუ საქმე გასაკეთებელია, ეგრევე

სჯობს – "ცხელ გულზე"...

— ახლა კი ახალი წლებიც მოდის, შობა და რამე. მაგარი არაკაცურიცაა რა, ჩემი აზრით – აგრძელებდა რიჟა – არა, შენ სწორად გამიგე, მე ხო იცი აქა ვარ რა... საჭიროა? – აქა ვარ, მარა ახლა კაცის ლოგინად ჩაგდება... ოჯახი ჰყავს თან იმ ნაბიჭვარს...

— მოვიდნენ ბიჭები და გადავწყვიტოთ. ეგ ახლა რო ჩამოვიდა სოფლიდან, ეგ არაფერს ნიშნავს... აწი ხო სულ აქ იქნება, კიდე გაუვარდეს პატარაც და ეგრევე გავუხსენებთ! სულ სოფელში ხო არ იქნება. ახლა ჩამოვიდა და ხო აქაა აწი.

— არა კიჭა რა, სწორად გამიგე... ხო ხვდები რა...

— არა, მეც ეგრე ვფიქრობ. – შეაწყვეტინა კიჭამ. დაეზარა კიდევ იმის მოსმენა, რომ თუ საჭიროა, დაუძახე რა და "რიჟა" ვანოც სულ აქაა...

IX
მე ასე არ მინდა...

— არ დავუძახოთ? რას შვებიან ამდენ ხანს! – გადმოტრიალდა შეწუხებული გიო. — რომელია ერთი, საათს დახედე...

საია გადაიწია, უზარმაზარი ჩანთიდან პატარა, კოხტა ოქროს საათი ამოაძვრინა.

— თორმეტი ხდება. დროა ჩვენც დავიძრათ უკვე. დავიწვებით.

— მე არა და შენ უკვე საეჭვო ფერი დაგედო.

— საეჭვო? – აფართხალდა შეშინებული საია.

თუ გინდა გოგო შეაშინო, უთხრი რომ უცნაურად გამოიყურება. ეს არც კარგს ნიშნავს, არც ცუდს და მაინც, ცუდად უფრო ესმით...

საიას თეთრი კანი ჰქონდა, აბრეშუმივით. გარუჯვა არ უხდება ასეთ კანს. ან რატომ ჰგონიათ გოგონებს რომ გარუჯვა ყველას უხდება? ეგ არაფერი კიდევ, ზღვაზე გაწვები ერთი-ორი დღე და აი, თბილისში რომ იციან — ეს სტაფილოსფერი სახეები და დაღებილი თმები... მთელი თბილისი ესევე აგურისფერი გახდა, თმები — ყვითელი. რაღაც იმის მსგავსად, მაიამი-ბიჩზე რომ გაწვებიან 100პროცენტიანი ლამაზმანები და მზის მცხუნვარე სხივებში სულ მზისფერები ხდებიან. – "საცოდავი იმიტაცია!" — დაიმანჭა გიო. ჩამოცხა.

წავედით, ადე!

საია გადმობრუნდა კიდევ ერთხელ. ამჯერად ძალიან სერიოზული სახით. გიოს ჩამოადო მკლავზე ხელი.

— გიო, გუშინ რომ მკითხე... ვიფიქრე და... წამოვალ.

— რა? – დაიბნა გიო. გუშინ რა ჰკითხა, საიდან უნდა ხსომებოდა. ჯერ ერთი, გუშინ ალბათ უამრავი რამე ჰკითხა და მეორე, ისეთი ნასვამი იყო... – რაზე ამბობ?

საია გაწითლდა – იქნებ მართლა სერიოზული იყო რამე...

— გახსოვს, მკითხე — ზამთრის არდადეგებზე საქართველოში თუ გამომყვებიო.

— კი, გკითხე. – სულ არ ახსოვდა გიოს. ეტყობა გვიან, დაღამებისას ჰკითხა, უკვე კარგად ნასვამმა, თუმცა იდეა ახლაც ძალიან მოეწონა, მითუმეტეს რომ უკვე იცოდა საიას პასუხი — ძალიან გამხიარულდა. — რა მაგარია, საი! საქართველოსაც ნახავ. იმდენ რამეს განახებ. თხილამურები იცი? არა? როგორ არა! გამოვასწორებთ. ჩემ ძმას გაგაცნობ. მაგარი მასტია. კარგია რომ გადაწყვიტე. შენები რას იტყვიან?

საიას გაეღიმა – რაღაცნაირად გაიღიმებდა ხოლმე ხანდახან, ეგრევე იგრძნობდა გიო, რამდენი რამე არ იცოდა ჯერ საიაზე. ეს ისეთი ღიმილი იყო, უცნაური, ერთადერთი გამოუცნობი კუნძული ამ გოგოში. ასე შემოხედავდა, ცოტა ირონიული სახით, ცოტა სევდით და მანძილი გაჩნდებოდა ისეთი. თითქოს სულ ასე იყო.

— რას ვსულელობ! შენები რას გაიგებენ... — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა გიომ. გასაოცარია როგორი დამოუკიდებელი იყო ეს ერთი ბეწო, შავთვალება გოგო. ოჯახს ერთ წერილს თუ მისწერდა თვეში და ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში – გილოცავთ სენას დაბადების დღეს და რაღაც მსგავსი. ძალიან მდიდარი ოჯახი ჰყავდა, მრავალრიცხოვანი, თუმცა წესით კი პირიქითაა ხოლმე — ღარიბ ოჯახებში ბევრი ბავშვია, მდიდარში — ცოტა... საიას ოთხი და ჰყავდა. ფოტოების მიხედვით — ლამაზები, პრანჭიები და მხიარულები. თუ გინდოდა გაგებრაზებინა საია, დედამისზე უნდა გეკითხა რამე. იმწამსვე ბრაზით იწყებდა საუბარს. უფრო სწორად, არსაუბარს. იტყოდა ერთი-ორ სიტყვას და მორჩა.

— გინდა, ლენა და წოღოც წავიყვანოთ! წოღო არ აპირებს ამ ზამთარს თბილისში ჩასვლას, დავითანხმებდი... – გახალისებუილი აგრძელებდა გიო.

— არა, იყოს — ჩვენ წავიდეთ. ორნი.

— სწორია, რად გვინდა სხვები! – გაეღიმა გიოს. – წოღომ კიდევ ლაპარაკი რომ იცის ხომ საერთოდ, ენას არ გააჩერებს მთელი გზა. – საიას გაეცინა.

— მართლა გეუბნები! აქეთ რომ მოვდიოდით, თბილისში ჩართო და ვეღარც გავიგე როდის მორჩა ლაპარაკს — ჩამეძინა და რომ გამეღვიძა, წოღო უკვე გვერდით მჯდომ თურქს უბურღავდა ტვინს. რაც მთავარია, იმან ქართული არ იცოდა, რა თქმა უნდა და წოღო ჯერ თურქულის გარტყმაში არ იყო! – საია საყვარლად კისკისებდა. აი, ასე ჯობია...

რა შეაწყვეტინებდა გიოს აწი ზამთრის თბილისზე ფიქრს! ახალწლებს არ ემთხვეოდა არდადეგები. რა იცოდნენ ამათ ნორმალური ახალი წელი, როგორც მთელი სამყარო აღნიშნავს... ამათ ხომ ყველაფერი თავისებური უნდა ჰქონდეთ. ეგ არაფერი... ჯერ როგორ გაიხარებს სანდრო! მერე თამილა ხომ საერთოდ გადაირევა! მერე უბანში ბიჭების რეაქცია... საიას რომ ჩაატარებდა, გააცნობდა ყველას... მართლა ლამაზი იყო საია, ეგ იქით და, თვითონ ეს სცენა ვინმემ რომ აღწეროს ისე, გვერდიდან მაცქერალმა: გიო სტამბულში წავიდა, ფაატის უნივერსიტეტში სასწავლებლად; მერე სულ ექვსი თვე არ იყო გასული და ულამაზეს გოგოსთან ერთად დაბრუნდა! გიოს ყველა ესალმება, ამბებს კითხულობენ... გიო სერიოზული სახით დადის, როგორც ეს ფაატში სტიპენდიამიღებულ ბიზნეს-ადმინისტრირების ორსემესტრდამთავრებულს შეეფერება... თან თავის მშვენიერ გოგოს თბილისს ათვალიერებინებს — დადიან ტურისტებივით...

თბილისი ძველებურად ატალახებულია თოვლჭყაპით და ყველა ირგვლივ თავს აჯერებს, ეს ტალახი თოვლიაო, გუნდაობით კი, მხოლოდ პირველკლასელები

გუნდაობენ, სახლში მიდიან გაზმურტლული ხელთათმანებითა და საყელოებით... სანდრო შემოაწყობს ფეხებს საკარძლის სახელურზე და გიოზე ათასი სისულელის გახსენებას დაიწყებს. საია იკისკისებს მთელი საღამო. ბოლოს თამილა გამოიჭერს ძმებს ერთად დიდ ოთახში, ჩამოუჯდება ისევ თავისი სიამაყეჩაგუბებული თვალებით, დააცქერდება ჯერ ერთს, მერე მეორეს, იტყვის ჩუმი ხმით: ყველაფერი ისე მიდის, როგორც უნდა მიდიოდეს! განა იმისთვის გაგზარდეთ, ამ თქვენი უბნელი ლაზღანდარებივით ოცდაოთხი საათი დანები კენწლოთ... ეგენი აქ იყვნენ, არიან და იქნებიან. თქვენ, აი თქვენ კი... აენთებოდა ისევ თამილას თვალები... დაღლილი ხელები, თხელი თითები... პირველად იგრძნო გიომ როგორ მოენატრა დედა. როდის იქნება რომ გაკიზრდებით და მოუვლითო — ასე უთხრა მაშინ სანდრომ... ნეტა თუ შეიცვალა სახეზე სანდრო? თექვსმეტწლიანებს ვერაფერს გაუგებ. დღეს ასეთია, ხვალ სხვანაირი. თვითონ გიოც შეიცვლებოდა ალბათ, საკუთარ თავს კი ვერ ატყობდა, რა თქმა უნდა. ერთი ის იყო, რომ ნელ-ნელა თმა ამოსდიოდა მკერდზე. თითქმის კისრამდე მოუვიდა. მალე პერანგის ბოლო ღილის შეუკვრელად ველარც ივლიდა. თბილისში რომ ყოფილიყო, სანდროს შეედრებოდა აუცილებლად. ყოველთვის ასე იცოდნენ, ერთმანეთს ადრიდნენ ყველა ცვლილებას. ჯერ სიმაღლეზე ხომ ერთი ამბავი ჰქონდათ. პატარა ოთახის ერთ-ერთ ნიშაში კედელზე ხაზებით ზომავდნენ — სემესტრში ერთხელ. ჯერ გიო უსწრებდა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით იმ ზაფხულის მერე, ერთი თავით რომ გაიზარდა უცბად, მერე სანდრომ დაიწყო წამოწევა. ბოლო წელს თანაბრად იყვნენ, ოდნავ გაუსწრო კიდეც სანდრომ. სანდრო კიდევ კარგად გაიზრდებოდა, აღნაგობაზე ეტყობოდა, თან მამას ჰგავდა ძალიან. თამილა ამბობდა, მამა ორ მეტრამდე იყოო. ძალიან მაღალი და ძლიერი. სანდრო სულ არ ჰგავდა გიოს. ჩალისფერი თმა ქონდა და თვალებიც ღია, ფართე და წყლიანი. საერთოდ, ყველას მოსწონდა სანდრო. ბავშვობიდან ისეთი იყო, თან ლამაზი და თან — კაცური. ნიკაპზე კიდევ ის ფოსო რომ ჰქონდა, ხომ საერთოდ. ასეთი გარეგნობა ჰქონოდა გიოს, თბილისის კაზანოვა იქნებოდა კაი ხანია, ეგ კიდე... ბოთე!

ქვიშა იწვოდა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სანაპიროს გაყოლებაზე ხის ოღროჩოღრო ფიცრები დაეყარათ, საფეხურებივით. ალაგ-ალაგ ბამბუკისგან აწყობილი კაბინები დაედგათ, საშხაპეები... ზევით კიდე, ქალაქის მხარეს, სოკოებივით ჩაელაგებინათ ბუნგალოები... ძალიან ეგზოტიკური იყო ეს ყველაფერი — საითაც ფეხს გადადგამდი, ჩვეულ ცხოვრებას არაფერი არ გახსენებდა. არადა, ასეთი კურორტების მიზანიც ხომ ეგაა: ერთიანად გაგაბრუონ და ყველაფერი დაგავიწყონ. თითქოს ასეც უნდა იყოს. საფერფლეს მოითხოვ? –ულამაზეს ნიჟარას მოგიტანენ, წვენს შეუკვეთავ? – ზედ ათას ხილს და უბედურებას დაგიხვავებენ, მერე ეს მუსიკა — ტალღებივით მშვიდი და თან ქარიანი, მარილის სუნი, კედლებზე ბადეები, ღუზები, წყალმცენარეები და ნელ-ნელა სულ აღარ ფიქრობ ინგლისური ენის საცდელ გამოცდაში ჩაიჭერი თუ არა, სახლიდან წამოსულს შუქი ჩართული ხომ არ დაგრჩა, კარი თუ გამოიკეტე... მხოლოდ სახელი გახსოვს შენი და გვარი — გკითხავენ, უპასუხებ...

— გიორგი... ჯორჯი!

— კარგი სახელია... რაც მთავარია, იშვიათი. საიდან ხარ? – ფრთხილი ხმით ეკითხება გიოს ხუჭუჭა ოფიციანტი.

— საქართველო. – უინტერესოდ პასუხობს გიო. – შენ თვითონ საიდან

ხარ... – კითხვა შეუბრუნა გოგოს. იმას კიდევ ისე გაუხარდა, რაღაც მკითხაო, გიომ მაშინვე ინანა.

— არმენია! — ამაყად იძახის გოგო. "ყველა სომეხს რო სომხობა ეამაყება, ტო!" — გაიფიქრა გიომ.

— ჯორჯ! სად იყავი აქამდე? ღამე საცეკვაოდ არ ჩამოდიხარ ხოლმე? – გოგონა ნორმალური ჩანდა, გამაღიზიანებელი კი არა, უბრალოდ ახლა ჯობდა ისევ თავისი საქმისთვის მიეხედა, გატრიალებულიყო.

— მოკლედ, ამ საღამოს თუ ჩამოხვალ, მეც აქ ვიქნები ცხრამდე. მერე შემცვლიან და შეგვიძლია ვიგრიალოთ! – აგრძელებდა კულულა ოფიციანტი. გიოს გაეღიმა. საია გამოვიდოდა სადაცაა. ერთი ამის სახე ანახა მერე! ზოგი იბნევა, იმწამსვე ტრიალდება, ზოგი კიდე, ცოტათი ისეთი, უფრო საჭირო მომენტს მოძებნის, თვალს ჩაგიკრავს, ეგ არაფერიო, გეუბნება.

ორმოცი წერო, ორმოცდაერთი, ორმოცდაორი და საიაც გამოჩნდა, არ უცდია ბევრი, საიამ ჩქარა იცოდა გამოცვლა, სულ ორმოცდაორი წეროს ამბავი იყო... ყოველთვის უხდებოდა საიას მწვანე ფერი. შემოვიდოდა, შემოანათებდა ხოლმე თვალებით, ახლაც...

ბუნგალოდან გასულებს ისევ დაეთუთქათ ფეხის ტერფები. სულ სირბილ-სირბილით გავარდნენ ფიცრებით გაწყობილ ბილიკზე... კულულა ოფიციანტს ერთიც აღარ გამოუხედავს. ზურგით იდგა, ბარმენს ესაუბრებოდა რაღაცას. არაუშავდა გოგო იყო...

* * *

— გაიღვიძე და უკვე არ იყო? როდის გაიღვიძე?

— არ ვიცი, რა ვიცი, ერთი საათის წინ ალბათ... – ლენა გაკვირვებული ახამხამებდა გრძელ წამწამებს. – ჰეი! მეგონა თქვენთან ერთად იყო! გამიტყდა კიდეც — ზღვაზე უჩემოდ მოხიეს-მეთქი.

— ჩვენ საძებრად წამოვიდა შეიძლება... – ლენას ნომრიდან გამოიხედა საიამ. გიო კარებთან იდგა. ლენა ჯერ ჩაცმული არ იყო და აღარ შესულა.

— მოიცა, სართულის მორიგეს ვკითხავ, ეგ ნახავდა! – უცბად მოაფიქრდა გიოს. საიამ გიოს წასვლით ისარგებლა, ლენასთან ოთახში შებრუნდა და ეშმაკური ღიმილით დააცქერდა გოგოს.

— გამოტყდი ახლა!

— გათიშულს მეძინა! ყველაფერს გეფიცები. მაგრა დავლიეთ... – სერიოზული სახით უპასუხა ლენამ.

— გა-ა-საგებია... – სახე დაუსერიოზულდა საიასაც. – ისე, მართლა კარგი ბიჭია. გიო რასაც ყვება მაგაზე... ბავშვობის მეგობრები არიან, ხომ იცი. კარგი ტიპია, მგონი შეეფერებით ერთმანეთს.

— თუ არც რა! – ძალიან უდარდელად გაეცინა ლენას. – ერთი თავის ტკივილს რა ვუყო და მეტი არაფერი მინდა! – საიამ ლენას ჩანთაში მოაფათურა ხელი და ბაიერის ასპირინი ამოქექა.

— დავლიოთ, მეც მტკივა.

— წოღო ღამე გასულა, მხარზე პირსახოცით! – ოთახში გაფითრებული შემოვიდა გიო. – ვიცურაოთ ზღვაშიო, ხომ იძახდა! ღამე გავიდა! რომ დაებრუნდით, მალევე გავიდა. ლენა, ვერ დაინახე?

— მეძინა უკვე... რომ დავწექით ეგრევე დამეძინა... – რატომღაც თავი დამნაშავედ იგრძნო ლენამ.

— ნასვამი, ღამე! კარგად ცურავს მაინც?

— არც ვიცი, მგონი კი. – დაბნეული პასუხობს გიო, თითქოს უკვე იქ აღარაა, სადღაც გადაინაცვლა დროში და სივრცეში... – თორმეტია და ჯერაც არ დაბრუნებულა!

შორს, შორს ზღვაში რომ შეგეცურა და გეზი მარჯვნივ აგეღო, ბათუმში ჩაცურავდი. გიოს ოფლმა დაუცვარა სხეული. თეთრი კატერები, იალქნები — დღეს ძალიან გამოცოცხლებული იყო იალოვა. ზღვა გამჭვირვალე, სანაპირო ზოლზე ნიჟარები ეყარა იმდენი, შიშველი ფეხით გავლა სახიფათოც კი იყო და მაინც, რა იყო ეს — "მე ასე არ მინდას" ამბავი! რამდენის იყო მაშინ სანდრო, რვა წლის? დედამ ახალწლებზე "როლიკები" აჩუქა შავი, ძალიან მაგარი. თვალები უბრწყინავდა სანდროს მთელი ღამე, მთელი დღე და ასე უსასრულოდ, სანამ ერთ საღამოს ბიჭებთან ერთად სტადიონისკენ "საკატაოდ" გასულს, ტროტუარზე ჩამოდებული არ დარჩა. გიოს ბრალი იყო ესეც. მოვიდა მაშინ გიო — გინდა თუ არა ფეხბურთი ვითამაშოთო. მოიხსნა ყველამ "როლიკები", ითამაშეს და დაიშალნენ. გიო და სანდრო სახლში წამოვიდნენ. გიო, ბურთი და სანდრო. "როლიკები" კი ტროტუარზე დარჩათ.

დიდხანს ეძებდნენ, მეზობლებშიც გაიკითხეს, ვინმემ ხომ არ წამოიღო, ვინმეს ხომ არ ეცნო, სანდროსი რომ იყოო. ვერ იპოვეს. სანდრო ხმას არ იღებდა საერთოდ. გატრუნული იჯდა, თამილას უყურებდა. მხოლოდ ბოლოჯერ რომ დაკიდა დედამ ყურმილი და ძებნა ამით დასრულებულად გამოცხადდა, მაშინ წასკდა ცრემლები სანდროს – *მე ასე არ მინდა! მე ასე არ მინდა!* — იმეორებდა გამწარებული. გაეცინა მაშინ თამილას. – რაო, მხოლოდ ახლა მიხვდი, რომ ყველფერი ისე არ ხდება ცხოვრებაში, როგორც შენ გინდა? – "მე ასე არ მინდა!" – ზლუქუნებდა სანდრო...

— იქნებ პოლიციაში განვაცხადოთ ან სამაშველოში? — საჭეს მართავდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა საია.

— გავიყოთ! მე ბუნგალოებს დავივლი.

— ერთად ვიაროთ ჯობია, მანქანით. შენ ფეხით როდის იქ მიხვალ, მაინც ვერ მოიგებ დროს. – საიამ გიოს გადახედა. გიო დუმდა.

იქვე, ნაპირიდან ცოტა დაშორებით, პარკის განაპირას, ოჯახს პიკნიკი მოეწყო. მხოლოდ თურქებს შეეძლოთ ასეთი იდილიური ოჯახური სიტუაციების შექმნა. ირგვლივ ბუნგალოები, წყვილები, გოგოების გაცნობა, ბიჭები, კოქტეილები, სიგარეტი, რიტმი, ტამტამი, კლუბები, ლაზღანდარობა, ცეკვა, ქაოსი... ესენი კიდე მოვიდნენ, მოძებნეს ჩრდილი, გაშალეს სუფრა, გამართეს პიკნიკი... თან მთელი ოჯახი ერთად. ბავშვები დარბიან, სილაში თამაშობენ, კაცები ჩაის სვამენ... "ჩექირდექ", "მანგალ" და თითქოს ირგვლივ სხვა არაფერია. მხოლოდ ეს ოჯახია რეალური, სხვა დანარჩენი — მხოლოდ მირაჟი.

— მაღალი, გამხდარი... ძალიან მაღალი, ძალიან გამხდარი... თმა? ყავისფერი, წაბლისფერი... საია, როგორაა თურქულად წაბლი? — შემოტრიალდა ლენა.

— კანი ძალიან თეთრი და ცხვირიც კეხიანი! – დაუმატა გიომ.

— ცურვა იცის, მაგრამ ძალიან ნასვამი იყო და თან ღამე... აგერ სასტუმ-

როდან გამოვიდა. როდის ღამე? რომ დავბრუნდით მალევეო, ესე იგი, სადღაც პირველისთვის. უკვე ვიკითხეთ...სასტუმროს მისაღებში მთელი ღამე ზის მცველი და ის ქალი... უკან არ დაბრუნებულა. არსად არაა! ბუნგალოებშიც ვიყავით... საავადმყოფოშიც და პოლიციაშიც.

სამაშველო სამსახურის უფროსი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მაგარი უფორმო ვინმე იყო. გიოს მაშველები სულ ისეთები წარმოედგინა, აი — როგორც იმ სერიალში, ყველამ რომ იცის. თან უფორმო იყო და თან ძალიან ცოტას ლაპარაკობდა.

— ჩემი საქმე ზღვაა. სანაპიროს კატერით დავუყვებით და დავათვალიერებთ. – თქვა და წავიდა.

— ცოტა ღრმადაც გადით! – ამის მიძახებაღა მოასწრო ლენამ.

— ცოტა ღრმადაც გავალთ! – არ დააყოვნა პასუხმაც.

ორი ხდებოდა, მანქანა რომ პარკთან დააყენეს, ფეხით კიდევ ერთი წრე დაარტყეს სანაპიროს. ყველას კითხეს, ხომ არ დაუნახავთ... ბოლოს შეზლონგებთან ჩამოსხდნენ, სული მოითქვეს. პატარა შავგვრემანმა ბიჭუნამ ეგრევე მოირბინა — ოთხი მილიონიო. გიოს ეყარა ჯიბეში ლირები.

თოლიები დაფრინავდნენ იქით, პორტთან ახლოს და ცოტა აქეთაც. მქრთალად მოჩანდა ღუზადაშვებული გემების ანძები, თეთრი იალქნები — შორს, შორს, თითქმის ცისკიდურზე, მიწის და ზღვის საეთო ცისკიდურზე... შეზლონგი სანახევროდ ჩაფლულიყო ქვიშაში. სიცხე, მუხლები, მკლავები, ოფლის წვეთები, სიჩუმე.

– არა, მე ასე არ მინდა! – ჩაილაპარაკა გიომ. – მე ასე არ მინდა!..

X
ნაოჭებმა გული არ გაგიტეხოს, დე!

ისე ციოდა, ცხენივით ფრუტუნს დაგაწყებინებდა. სანდრო დათოვლილი სტადიონზე იჯდა, ნახევრადგადახურულ ტრიბუნებს შეფარებული. სქლად ბარდნიდა. ფიფქები მძიმედ ცვიოდნენ, კი არ მოფარფატებნდენ, მოდიოდნენ და ზვავად გროვდებოდნენ ტოტებჩამოზნექილ ხეებზე. – ერთი წერო, ორი წერო, სამი წერო... – ითვლიდა სანდრო ტოტებს. სტადიონის მეორე ბოლოს, სამი პატარა ქურთუკი, ქუდი და სამი წყვილი ხელთათმანი გუნდაობდასავით. ეტყობა, პირველკლასელები. ცეკვის დარბაზიდან სინათლე გამოდიოდა. ფანჯრები საკმაოდ მაღლა იყო რატომღაც, ისე რომ დარბაზის ჭერის მეტი არაფერი ჩანდა და კიდევ ერთი-ორი ობობის ქსელი ალაგ-ალაგ. ბოლო გაკვეთილი მთავრდებოდა. მერე ახალი წლის არდადეგები იწყებოდა, სკოლაშიც და ცეკვის სტუდიაშიც. ყველა სახლებში გაიკრიფებოდა.

დედა და გიო შინ იქნებოდნენ უკვე. დღეს რაღაც ვერ იყო თამილა ხასიათზე. სულ ასე იცოდა, უცბად იფეთქებდა, პატარა რამეს დიდად აქცევდა, სულ პატარა რამეს. — ქუდი დაიხურე გიო! რატომ არ დაიხურე, გიო? არ დაიხურავ, გიო? როდის დაიხურავ... — სანდრო განზე იდგა, უბრალო დამკვირვებელი, ხმას არ იღებდა. რომ ამოეღო და რას იტყოდა რა — გიოს დაახურავდა ქუდს, თუ თამილას დაარწმუნებდა, უქუდოდაც შეიძლება ხანდახან სიარულიო? გიო საბო-

ლოოდ მაინც თავშიშველი გავიდა, გრძელთითება თამილამ ერთი ამოიოხრა, მუცელზე მიიდო ხელი, და – *შენ ხომ მაინც დაიხურავ ქუდსო* – მოუტრიალდა სანდროს. ამ ხელის მიდებას თავის დატვირთვა ჰქონდა, მხოლოდ ეს სამი რომ ხვდებოდა, ისეთი! გგონია გაიზარდე, შენი აზრი გაგაჩნია, ეურჩები თამილას, ის კი მუცელზე ხელს დაიდებს და მაშინვე გახსენდება საიდან მოსულხარ და ვისგან მოსულხარ. ეს უსიტყვო საუბარივით იყო. დახშული სამყარო, ჭუჭრუტანების გარეშე — გიო, სანდრო და დედა!.

ახალწელსაც ყოველთვის შინ ხვდებოდნენ, სამნი ერთად. თამილა ლამაზ კაბას იცვამდა, თმას მაღლა იწევდა და მძიმე საყურეებს იკეთებდა, ბიბილოები ქვევით ეწელებოდა ცოტათი. გიოს ათასი კომპლიმენტის მოგონება შეეძლო მერე — სახლში რომ შემოვიდოდა, უკვე იცოდა, თამილა გაპრანჭული რომ იჯდა ოთახში. პირდაპირ დედის ოთახისკენ გაეშურებოდა, მიუკაკუნებდა კარებზე და – "მშვენიერო თამარელა!"

რამდენჯერ მოსდომებია იმ დროს სანდროს, გიოს ადგილზე ყოფილიყო! თვითონ არ გამოსდიოდა ასე. რომც ეთქვა, მაინც არ გაიჟღერებდა რაღაც ისე, გიოს ნათქვამისნაირად: ახედავდა, დახედავდა და – *ქალბატონო თამილა, დღეს რადაც არ უნდა დამიჯდეს, ერთი ცეკვა მაინც უნდა ვიჩუქო! თუნდაც დუელშიც გამიწვიონ რა — ეშმაკსაც წაულია ჩემი თავი!*

თამილას თვალები გაუბრწყინდებოდა, ერთსაც გადაიკისკისებდა და...

— ეღირსებით თქვენს ცეკვას, გიო ბატონო! – ამაყად გადმოხედავდა და მერე გაინაზებოდა თავისებურად: – ეჰ, დაგიბერდათ დედა! აბა ნახე, ძლივს ჩავეტიე ამ კაბაში... მოვიმატე, არა?

არადა, ძალიან გამხდარი იყო თამილა. *ცოტა გავსუქდიო* რომ იტყოდა, ეცინებოდათ ძმებს. უფრო სწორი იქნებოდა ეთქვა – ცოტა ქუთუთოები ჩამომივიდა ქვევით, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც... აგერ სამი წვრილი ძაფიც გამიწვა თვალების კუდში, ერთი-ორიც შუბლზე და მერე ჩემი ხელები ასეთი დაღლილი, როგორი დაღლილი... ვენები ამომებურცა ოდნავ, ოდნავ კანი გამიუხეშდა, და თმა, ჩემ წაბლისფერ თმას სულ უფრო მეტი და მეტი გაერია ის, თეთრი, ყველას რომ აშინებს. ამეების ნაცვლად, ერთადერთი — წონაში მოვიმატეო, ვითომ შეიმჩნევდა ხოლმე თამილა, თხელი თითების წელზე შემოწყობით და მერე ვითომ შეწუხებული, სარკეში დაიწყებდა ყურებას. ლორთქო სიტყვებს ელოდებოდა...

ციოდა... ცეკვის დარბაზიდან ყრუდ მოისმა მუსიკის ხმა — ახლა, საღამოს, ყველაფერი რომ მიჩუმდა ირგვლივ, ალბათ მაგიტომ. ანი თუ ცეკვავდა, თავის წითელი ბოდი ეცმებოდა, ყელზე ის ძეწკვი თუ ეკეთა, სანდრომ რომ აჩუქა...

"სიგარეტი გაასწორებდა"...

ოცდათერთმეტის დილა ყოველთვის თამილას ბუზღუნით იწყებოდა:

— ბიჭებო, ნაძვისხე როდის უნდა იყიდოთ — ნაახალწლევს?

გიო ვერ იტანდა ამ ნაძვებს. არ ესმოდა, რატომ უნდა ეყიდა ყოველ წელს ახალი, გაქუცული, საცოდავი, როდესაც ამდენი ხელოვნური, ბევრად ლამაზი არსებობს. აი, თამილას კი სინთეტური არ უყვარდა... არც ისინი, ვერცხლისფერები რომაა და არც ის მწვანეები, ბუნებრივს საცოდავად მიმსგავსებული. თამილას არც ჩიჩილაკი უყვარდა. მოკლედ, სალაპარაკო არ იყო — უნდა ამდგარიყო ორივე, გასულიყვნენ ნაძვების ბაზრობაზე, შეერჩიათ რამე ნორმალური და წამოეთრიათ სახლში. სანდრო დიდხანს არჩევდა ხეებს: ეს უფრო პროპორციულია,

ამას უფრო მეტი წიწვი აქვსო, გიო კი — მე უფრო სპონტანური ვარო — პირველივეს დააკლებდა ხოლმე ხელს. ახლაც ასე:

— წავედით, სანდრო!

სანდრომ უკმაყოფილოდ გამოხედა.

— ეგ არა!

— რატომ არა?

— არა-მეთქი.

გიო ბოლთის ცემას მოჰყვა უაზროდ.

— მაშინ გადავალ და რამეს ვიყიდი, მაშხალებს... ეს შენ აარჩიე.

— რა მაშხალებს?

— ისე, უბრალოდ. ერთი გავუშვათ...

— ა-ა... ფეირვერკი და რამე?

— ხო რა...

— კარგი, ოღონდ არ მალოდინო იცოდე! – მაინც გაბრაზდასავით სანდრო. — შანსი არაა! – შეიცხადებდასავით გიო.

ნახევარი საათი მაინც აყურყუტა თავის არჩეულ ნაძვისხესთან ერთად თოვლში. რომ შეძლებოდა, ცხელ გულზე მარტოც წაიღებდა... იდგა რამდენიმე გასაყიდი ნაძვისხის გვერდით და ფიქრში წეროებს ითვლიდა ჩვეულად.

— ახალი წელიც დაგვიდგა... – ეუბნება სანდროს იქვე ჯორკოზე ჩამომჯდარი მოხუცი. – შენხელა რომ ვიყავი, მეც მიხაროდა ახალი წელი.

"წავიდა შავ ბედზე წუწუნი..." – გაიფიქრა სანდრომ.

— ახლაც მიხარია, განა დავბერდი. – აგრძელებდა თავისას მოხუცი.

"ეს უკვე სხვა საქმეა" – გულზე მოეშვა სანდროს.

— საიდუმლო გითხრა? – ეშმაკი თვალებით ამოხედა უცბად მოხუცმა. ეს კიდევ გაკვირვებული იდგა. უკვე გიოსაც აღარ ეძებდა თვალებით, უბრალოდ იდგა.

— არანაირი მნიშვნელობა არა აქვს როგორ ნაძვს მიიტან შინ. – ძალიან სერიოზული სახით დაუბეჭდა მოხუცმა. — აქ ახლა ამდენი მქონდა და ბოლოს ყველა რომ აარჩევს, ყველაზე ჯღანი რაც რჩება, ის მიმაქვს ჩემთვის. მერე რომ იმას პატარა ბაჭუჭყანები შემოესევიან, ათას რამეს მოაყრიან ზედ, ჩემი შვილები რომ სუფრას გაშლიან, ჩემ ბებრუხა ცოლს რომ ჩავეხუტები — აი, ლამაზი მაშინაა ყველაფერი. თორე ამას მაგდენი არჩევა რად უნდა. – სანდრო იდგა, არაფერს ამბობდა. – ახლა ბიჭი ხარ ასეთი, ახოვანი, კარგი, მიტომ გეუბნები, განა ყველას გავაჩერებ აქ! – "მე თვითონ შევჩერდი" – გაიფიქრა სანდრომ. — მთავარი ოჯახია, ეს დაიმახსოვრე.

— ოჯახს გააჩნია – ჩაიცინა სანდრომ – გაგიმართლათ. გარს საყვარელი ადამიანები გახვევიათ ...

— ეგ როგორ! მე შევიყვარე, თორე ხო არ იქნებოდნენ საყვარელები!

— კი, ეგრეა. – სიცილით დაეთანხმა სანდრო.

— აგე, მოდიან — ნაძვს ყიდულობენ; ზოგი დიდხანს არჩევს, ზოგი შვილებს არჩევინებს, ისე უკვირდებიან... არადა ხე — ხეა!... მთავარი ავიწყდებათ.

— მთავარი ოჯახია, ეგრეა! – ცოტათი დამცინავად კი გამოუვიდა, თვითონაც შეატყო სანდრომ და იქვე გააგრძელა – მეც ასე ვფიქრობ. უბრალოდ... უბრალოდ ხანდახან.... აჰაა, გიოც მოვიდა... როგორც იქნა. აბა, მრავალ ახალ

წელს!

— მრავალს შვილო. – არ მოელოდა კარლო ასე ჩქარა რომ გამოეცლებოდა მოსაუბრე ხელიდან. კიდევ ბევრი რამე ქონდა ეტყობა სათქმელი. სადღაც დღის პირველი საათისათვის უკვე ყველა ნაძვის ხე გაყიდული იყო. ბოლო, წვრილღერეროიანი ნაძვი ამოიღლიავა და სახლისკენ გამოუყვა გზას. ტროტუარის გაყოლებაზე სხვადასხვა სიმაღლის ჩიჩილაკები ჩაემწკვრივებინათ... ვიტრინაში გამოდებულ საქორწინო კაბებს გავდნენ შორიდან. ოცდახუთი წელი... მიდიოდა კარლო, სახლში ნაძვი მიჰქონდა. ოცდახუთი წელია, შინ მისული ჩვევისამებრ იძახდა – მოვედი! და ნელიც პასუხობდა – დიდი ვინმეც მოსულხარ! ოცდახუთი წელი... რასაც ახალგაზრდებზე ამბობენ — *საქციელი*, მოხუცებზე იტყვიან – *ჩვევა*. ჩვევა იყო უკვე, აბა რა — ყოველ დღე ამ ქალის ყურება. მერე რა ქალი იყო ნელი, მთელი ეს ოცდახუთი წელი... ცოლად რომ მოჰყავდა ისეთი იყო, აი ისეთი, ამ სულელმა კიდევ კარლო აირჩია. ასე, თითქმის ჩურჩულით ჰკითხა ერთ საღამოს – რაღა გახდა, გამომყევიო და — *კი ბატონო* — უპასუხა იმანაც. აი, მაშინ კი გაოცდა კარლო. მერე ვანო შეეძინათ... ეს ცხვირაპრეხილი ბიჭი, არც მამას ჰგავდა, არც დედას. ბებიას დააბრალეს. არც იმას ჰგავდა, მაგრამ ვინმესთვის ხომ უნდა მიემსგავსებინათ. ეტყობა მაგიტომ იყო, სადღაც ექვსი-შვიდი წლის ასაკიდან ვანომ რომ აიჩემა — ნაშვილები ვარო. თან მაშინ ნატოც ახალი დაბადებული იყო და ყურადღება შემოაკლდა ეტყობა. მერე რა სადილების კეთება იცოდა ამ ქალმა, ან ზღაპრების კითხვის ნერვები როგორღა ჰქონდა, ნატომ ხომ ისე იცოდა ჩაციება: "თავიდან! თავიდან!" ერთი და იგივე ზღაპარს ხუთჯერ წააკითხებდა. მერე ვანომ ცოლი მოიყვანა, გვარი გააგრძელა. ერთის გვარი სამ გვარად აქცია. მოესწრენ შვილები კარლოს. ნატოც გაფრინდა იმ ამერიკაში, რა ჯანდაბად უნდოდა ღმერთმა უწყის, მაგრამ ბედნიერი ვარო იწერებოდა და მთავარიც ეგაა. ისწავლიდა რამეს, ჩამოვიდოდა... მოდი ნიძლავი, ნელის უკვე დამზადებული ჰქონდა გოზინაყი. რა ოხერი ქალი იყო! ნიგოზს ერთი თვით ადრე ყიდულობდა, კარლოს უმალავდა, არ შემოგეჯამოსო. რომელი მსუნაგი კარლო ნახა! ლარნაკებიც გამოტენილი ექნებოდა უკვე კამფეტებით, პატარების მომლოდინეს...

კარლოს ზურგს უკან, ტროტუარზე, ვიღაცამ დარგული ნაძვი გაყიდა. ფული სწრაფად გამოართვა მყიდველს და მთელი სიჩქარით გაექანა მიწისქვეშისკენ. – ნაძირალა! უნამუსო! – გამოეკიდა აღელვებული ქალბატონი, მყიდველის სიახლოვეს რომ იდგა. ეგ რაღამ ააღელვა ასე? თვითონ მყიდველი გაოგნებული იდგა, ხელი ნაძვისათვის ჩაეჭიდა. მყარად იდგა ნაძვი. უკვე რამდენი წელი იყო ფესვები გაედგა ამ ქუჩაზე.

— არა, რა უნამუსო... ნახეთ რა გააკეთა?! დარგული ნაძვი გაყიდა, ასეთი რამ გაგიგიათ? – გაჰკიოდა გამწარებული ქალბატონი, სანამ მიხვდა რომ არავინ უსმენდა, თვითონ მყიდველიც აღარ უსმენდა, დამორცხვებული გასდგომოდა თავის გზას – ეს როგორ გამაცურესო. კარლოს არც მიუხედავს, ყოველ წელს ხდებოდა ასეთი რამ. ჩვეულებრივი ამბავი იყო ახალწელს, თან სახლამდეც თითქმის მისულიყო უკვე. ერთი სული ჰქონდა სითბოში შეეყო ცხვირი. ნელის უკვე თუნუქის ღუმელიც დანთებული ექნებოდა. ეს ოხერი ქალი! ყოველთვის უგებდა ნარდში! ყველაფერში უგებდა, რაც არ უნდა ეთამაშათ. ყოჩაღი იყო ისეთი...

სადარბაზო ფერადი "წვიმებით" მოერთოთ, კარებთან რბილი ხალიჩა

ეფინა, კარები ჭრიალით იღებოდა...

— მოვედი! – ხრინწიანი ხმით დაიძახა შინ მისულმა კარლომ.

— დიდი ვინმეც მოსულხარ – გამოსძახა სამზარეულოში საეჭვოდ მოფუსფუსე ნელიმ – მოდი აქ, ნახე რა განახო!

"გოზინაყი" — გაიფიქრა კარლომ, კმაყოფილმა მიიხურა სქელი, ხის კარი. კმაყოფილი შეიპარა სამზარეულოში. მაინც რა ოხერი იყო ეს ქალი, უკვე ყველაფერი მოესწრო! ყველაფერი!

* * *

"ყველაფერი მოვასწარი!" – თამილას საყვარელი სიტყვები იყო. საღამოს, გვიან რომ დაბრუნდებოდა, ბეწვის გაქუცულ ქურქს საკიდზე ჩამოკიდებდა და ბიჭებთან შეიჭრებოდა ოთახში.

— ყველაფერი მოვასწარი! – იტყოდა დაღლილი და ამაყი. — ლექციაც წავიკითხე, მერე ჩემ თემაზე წავიმუშავე ცოტა ხანს, საჩუქარზეც გავიქეცი, სანამ მაღაზიები დაიხურებოდა... ხვალ ხომ ლიზის დაბადების დღეა და დენიც გადავიხადე... საღამოს ლექციაზე მივირბინე, საღამოს ცვლა შემომტენეს ამ ოთხშაბათობით და მერე ხორციც ვიყიდე. ახლა უცბად შევწვავ და ვისადილოთ. ხომ შეჭამთ, ბიჭებო? ჰა, როგორი დედიკო გყავთ, აღიარეთ... — და სანდროსაც უბრალოდ სიტყვები არ ჰყოფნიდა. აბა რას ეტყვი ქალს, რომელიც ყველაფერს ასწრებს? მერე დგას დაღლილი — დაღლილი ხელები, თხელი თითები — თმა ცოტათი აშლილი, ჩამოყრილი და მერე ეს ორი ძაფი შუბლზე გაგდებული, ასე რომ აშინებდა დილით სარკეში ცქერისას... რას ეტყვი ქალს, რომელმაც ყველაფერი მოასწრო. ასეთი იყო დედა — ქალი, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ასწრებდა.

— დიდი ხანია მელოდები?

— არა, კი, ისე რა, არა. – აირია სანდრო. არ მოელოდა ზურგიდან თუ წაადგებოდა ანი. ამ გოგომ სულ ასე იცოდა. მოულოდნელად უნდა მოსულიყო, ეფექტურად. იღიმოდა ანი, პატარა, თხელი ტუჩები თითქმის აღარ ეხებოდნენ ერთმანეთს. თავზე ვარდისფერი, ფუმფულა ქუდი ეხურა, ხელთათმანებიც ასეთივე ფუმფულა. დღეს ვარჯიშებიდან შედარებით ადრე გამოუშვეს. მაინც, ბოლო გაკვეთილი იყო... ყველა ახალ წელზე ფიქრობდა...

— სანდრო, მე და ჩემი მეგობრები ახალ წელს ერთად ვხვდებით — წამოხვალ? შენი ძმაც წამოიყვანე თუ გინდა. მაგარი იქნება. და მეც ვიქნები... – გაიღიმა ანიმ, სანდრო დაიბნა. კი გაუხარდა, მხოლოდ გიოს ხსენება არ ესიამოვნა დიდად.

— ჩემი ძმა... ჩემ ძმას მანდ რა უნდა?. ეგ... ეგ ისეთია, ჯობია არ წამოვიდეს.

— მაინც, როგორია?

— არა, ჩვეულებრივია, უბრალოდ მაგას შენ მეგობრებთან რა უნდა? მოკლედ, მე არ დამყავს ხოლმე ჩემი ძმა ასე... – რაღაც სისულელეებს როშავდა სანდრო. არ იცოდა როგორ ეთქვა ანისთვის, რომ გიო ისეთია... აი, როგორია?

— როდისღა უნდა გამაცნო? – თავისას არ იშლიდა ანი — ჩემ ეზოში გიოს მგონი ყველა იცნობს, ჩემს გარდა. – სანდრო კიდევ უფრო აირია. უკვე წარმოედგინა ანისა და გიოს გაცნობა: "ანი ეს გიოა, გიო — ეს ანია" – იტყოდა.

— *ანი?* - ჰკითხავდა გიო გოგოს, ვითომ ვერ გაიგონა სანდროს ნათქვამი.

— *კი.* — გაიღიმებდა ანი.

მერე ივლიდა სანდრო გოგოს უკან ან გვერდით, მთელი დღე მხოლოდ მისი გრძელი თმის ყურებით დატკბებოდა. ანის სახე ხომ გიოსკენ ექნებოდა შეტრიალებული. ბოლოს ააცილებდა ანის, ამობრუნდებოდა სახლში, იქ გიო დახვდებოდა სახეგაბრწყინებული:

— ჰა, სანდრო — მართლა მაგარი გოგოა! როგორი ვიყავი? ხო მაგარი გაქე ჰა? რა ძმა ვარ, თქვი. შენზე იმდენი ვილაპარაკე, პირი დამეღალა!

— კი, ნამდვილად ბევრი ილაპარაკე. – ეტყოდა სანდრო...

— გაგაცნობ, სად წავა! თუმცა რა ვიცი, ახლა სკოლაში გამოგვიცხადეს... მოკლედ, სია ჩამოწერეს და თურქეთში შეიძლება წავიდეს, რომ დაამთავრებს. წელს ამთავრებს, ხომ იცი. მოკლედ, შეიძლება სტამბულის რომელიმე უნივერსიტეტში მოხვდეს. სკოლა გზავნის ხოლმე, ჯერ არ ვიცით, სია შემცირდება. მოკლედ...

— კარგია – შეაწყვეტინა ანიმ. — მაგარია. ესე იგი, კარგად სწავლობს!

— არა, ისე რა... კი, ნუ — სხვებთან შედარებით არაუშავს, – გაეღიმა სანდროს. — ოღონდ თურქულის გარტყმაში არაა. მე ვაწერინებ ხოლმე, თუ რამეა.

— ესეიგი შენც არა გიშავს არა? – გაეღიმა ანისაც.

— კი, მეც არა მიშავს. – სახე დაემანჭა სანდროს. თემა უნდა შეცვალოს საჩქაროდ! რამე ისეთი... აჰა, სულ დააგიწყდა რას ამბობდა ანი — ახალი წელიო! — ახალ წელს სახლში ვხვდები. ვიცი, ძველმოდურია... — გოგოს გახედა — მაგრამ ტრადიციაა, რას ვიზამ. ოჯახურ ამბავში. მერე გამოვალ, ღამე. კარგი?

— კარგი. – იოლად დაეთანხმა ანი. რა ადვილი იყო ამ გოგოსთან ყველაფერი! — შენი ძმაც შეგიძლია წამოიყვანო...

და ისევ გიო... სტადიონს მოუყვებოდნენ. ციოდა...

ახალი წლის საღამოს სამნი შემოუსხდებოდნენ ხოლმე სუფრას: გოზინაყი, ჩურჩხელა, შამპანური, შეჯიბრი — ვინ დაასწრებდა ბოთლის გახსნას – ბრახ! – ამოვარდებოდა ბოლოს საცობი და მერე თამილას კისკისი... როცა საცობს ნახევარი შამპანურიც თან გაჰყვებოდა! ტელევიზორის ყურება მალე ბეზრდებოდათ, მხოლოდ დაითვლიდნენ ყველასთან ერთად: *სამი, ორი, ერთი! ... ახალი წელი!!!! გიილოცავთ! გილოცავთ!* სანდრო მაგნიტოფონს გამოიტანდა პატარა ოთახიდან, ჩართავდა რამე საცეკვაოს და ელოდებოდა, როდის დაავლებდა გიო ხელს დედას. მერე დიალოგი:

— რა დროს ჩემი ცეკვაა ერთი! დავიღალე...

— ხომ შემპირდით, ქალბატონო! დაგავიწყდათ?

— კარკი, კარგი, ქუსლიანი ფეხსაცმელი მომიტანე მაშინ, დაბლებზე ვერ ვიცეკვებ!

— ახლავე, ქალბატონო თამილა. – თავს დახრიდა, ხელზე აკოცებდა გიო დედას.

— რა ტუტუცია ეს შენი ძმა — გაბრწყინებული თვალებით შემობრუნდებოდა თამილა და სანდროც სიტყვას არ შეარჩენდა: – რაც გაზარდე, ეგაა! ბედნიერი იყო ხოლმე თამილა ახალწლობით...

— ამხელა აყლაყუდები! სულ არ გეცოდებათ დედა! რა დროს ჩემი ცეკ-

ვაა, დაღლილი ვარ როგორი, – იცინოდა და პირზე აიფარებდა ხოლმე ხელს – რამხელები გაგზარდეთ!

ერთი-ორი ჭიქის მერე მუსიკაც თავისას შვებოდა. გიოს და დედას სულ აუღაჟღაჟდებოდათ ლოყები. კარგი საყურებლები კი იყვნენ... გიო თავით გადაეშვებოდა ხოლმე მუსიკაში "how could I dance with another..." მღეროდა მაგნიტოფონი... თამილაც სულ დაივიწყებდა შუბლზე ბოროტად გაწოლილ ძაფებს... "ooh! when I saw her standing there"... სანდრო რაფაზე ჩამოჯდებოდა პატარა ტამტამით ხელში, ან მაგნიტოფონს დაავლებდა ხელს, დაიწყებდა ისიც ცეკვას დედასა და გიოს ირგვლივ... "she was just seventeen, you know what I mean..." ნაძვისხის "წვიმას" დასწვდებოდა თამილა, შემოავლებდა ხან სანდროს, ხან გიოს... "and the way she looked was the way beyond the mare..."

სანდროს სულ აინტერესებდა, როგორი სანახავები იყვნენ ... აი, გარედან რომ შემოეხედა ვინმეს... ცეკვაში გართული გიო, "წვიმებით" მობზრიალე დედა, ტამ-ტამ-ამოჩრილი სანდრო და ნაძვისხის მოციმციმე ნათურები! ვინმეს რომ ჩაევლო აივანზე, ფანჯრისაკენ წამით გამოეპარებინა თვალი, ალბათ ჩაეღიმებოდა, შეჩერდებოდა კიდეც ალბათ ცოტა ხანს. ეს ის სამყარო იყო, სამნი რომ ქმნიდნენ თავიანთთვის, მოყუჩებული და... მერე როგორი, ბერმუნდის სამკუთხედივით რომ ჩაგითრევდა, სად ამოყოფდი თავს, საიდან საით მიმავალი...

სანდროს ყოველთვის აინტერესებდა როგორი იყო ამ ყველაფრის გარედან ცქერა: ვთქვათ არ ხარ სანდრო, სხვა ხარ — მაგალითად შორენა ან ბორია... ვთქვათ, ხარ ნონა! სად იყო, რას აკეთებდა ამ დროს ნონა?

* * *

ნონას ღრმა რწმენით, შორენასთვის ბაღჩის დათმობა ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რაც კი ოდესმე ჩაედინა ცხოვრებაში. ჯერ ხომ იმდენს რწყავდა შორენა ამ მცენარეებს, სახლს ლამის საძირკველი მოუშალა და მეორე — ზამთარში, რომ მოყინავდა, ეს ჯუჯა ხეები ლოლუებს იკიდებდნენ და შიშით სულ სირბილ-სირბილით უწევდა სახლამდე მიღწევა ნონას, თავში არ დამეცესო. სანდროს და გიოს რომ მოსწყინდებოდათ, ათას უბედურებას ესროდნენ ლოლუებს — რომელი გაარტყამდა, იმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ნონას შემოსასვლელი კი სულ ნაგვით ივსებოდა. მერე როგორ ვერ იტანდა ნონა უწესრიგობას! ჯერ თამილას აუვარდებოდა მაღლა, მერე შორენასთან გადავიდოდა საჩივრებით. ერთხელ ასე გადავიდა შორენასთან ოცდათერთმეტში საღამოს. გადავიდა, იწიკვინა ცოტა ხანს და დარჩა, ჩამოჯდა, კარგად მოკალათდა საკარძელში. შორენაც ადგა, ჩაი შესთავაზა, გოზინაყი, ნამცხვარი. რაღაცეებს სულ ამზადებდა ხოლმე, ტრადიციულად. მჭამელი კი არავინ იყო, აბა ხოსე-იგნასიოს რად უნდოდა ნამცხვარი! მერე დათვლაც დაიწყო — 3,2,1, ახალი წელი! და შორენამ შამპანურიც გახსნა, ცოტა უხერხულად კი გრძნობდა თავს, ნონაც უხერხულად იჯდა, ჩუმად. ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს...

საინტერესო ქალი იყო ნონა... სულ ხომ ძვირფასი სამოსი ეცვა და მართალია უკვე სამოცს უკაკუნებდა, კვირა არ გადიოდა თავისთვის რაღაც ახალი არ ეყიდა. ან ფულს სად შოულობდა? რომ გეკითხა, კონსერვატორიაში პედაგოგობას, ქუჩების დაგვა სჯობდა, თუნდაც ანაზღაურების გამო...

— აბა, ჩვენს მეზობლობას გაუმარჯოს!. – გაიღიმა შორენამ და გადაკრა.

აივანზე გამომავალი ფანჯრებიდან თამილას კისკისი მოისმოდა – მეტი აღარ შემიძლია ამდენი ცეკვა ბიჭებო, მეტი აღარ შემიძლია... “how could I dance with another...” — უბერავდნენ “ბიტლზის” ბიჭები... იქვე გიოს შეძახილები... სანდროს ტამტამის ბაგაბუგი...

თავისუფალ დროს დაკვრას სახლში ასწავლიდა ხოლმე ნონა მეზობლის ბავშვებს. ხანდახან ისეც მიუჯდებოდა როიალს, თავისთვის, უკრავდა რამე ისეთს... *რე* – დააწვებოდა კლავიშს ნონა, წარსულს იხსენებდა შავი როიალი, *სოლ*... მხოლოდ ერთი ნოტი, მხოლოდ *სი* — ნინის გაღიმებული სახე რუსთაველის პროსპექტზე, ლევანთან ერთად მოსეირნე... — ნაყინი არ გინდათ, გოგოებო?. მერე ისევ *დო* – როგორი ჰქონდა თითები, თითებით აფასებდნენ ბიჭებს კონსერვატორიაში. რე, მი, ფა, სოლ, მი, ფა, სოლ... – ტროლეიბუსი, წვიმაში სიარულისგან დასველებული კედები, ერთად შეტყუპებულ ფეხებს უბის წიგნაკში იხატავდა — ვინ, დათო? გივი? რა ერქვა... და *სოლ,სოლ,დო, ლა,სოლ,სი!* – რა იყო ეს შეძახილი — *ნონაა!!!* — მამამ რომ შინ მოიტანა ეს შავი, უზარმაზარი როიალი... ხანდახან უზომოდ მოიწყენდა ხოლმე ნონა — ღაჟღაჟა პომადით დათხაპნულტუჩებიანი, აგერ უკვე სამოც წელს მიტანებული ქალი, კრემისფერი ღილებით ნიკაპამდე ასულ პერანგში გამოწყობილი... ჯერ თმას გადაივარცხნიდა ლამაზად და მერე, გინდა თუ არა — თავი უნდა მოვიკლაო, დაიჩემებდა. ერთი იყო, რომ ამ საქმისთვის საკმარისად ვერა და ვერ მოწესრიგდა... ზედმეტად ამაყი გახლდათ ნონა, ისე როგორ მოკვდებოდა, საუკეთესო ფორმაში არ ყოფილიყო. თმა — მელირება, წონა — 64კგ, ფრჩხილები — დამანიკურებული, სახე — გადატკეცილი! მოკლედ, ერთი დღე ვერ ჩაიგდო ამ ყველაფრის მოსაგვარებლად, თორემ კაი ხანია ცოცხლებში არ იქნებოდა, ამაყად მობერებული, მზეთ-უნახავი და ზოგადადაც უნახავი, ქალბატონი ნონა... რაღა დასამალია რომ არ უყვარდა ნონას ეს ახალი წელი. არც ის ფანჯრიდან გამომავალი მაგნიტოფონის ხმა “well, my heart went boom as I crossed that room...”, ამას დამატებული სანდროს ტამტამი და თამილას ქუსლების პაკუნი, ზრიალს რომ ადენინებდა ეზოში ჩამოკიდულ ლოლუებს! — *გილოცავთ ახალ წე-ელს!* – ჩართული ტელევიზორიდან და ცაში კიდე — ფეიერვერკები უამრავი, უთვალავი...

აჟიტირებული იყო გიო, ცქმუტავდა რაღაც უცნაურად... ახალი წლის ღამეაო, ვინმე იტყოდა, ასეც უნდა იყოსო, მაგრამ სანდროს ვერ გააცურებდი — ნაღდად უმალავდა რაღაცას. სანდრო იჯდა და აღიზიანებდა გიოს ეს ეშმაკური ღიმილი. თამილა კი ვერაფერს ამჩნევდა...

– გიო რა არის? მოხდა რამე? – უკვე მერამდენედ დაეკითხა სანდრო. და მერამდენედ არ უპასუხა გიომ. მხოლოდ ათიდან ქვემოთ რომ ჩამოითვალეს, მიუჭახუნეს ერთმანეთს ჭიქები და მერე ცეკვავდნენ მუხლების მოკვეთამდე, მაშინ გამოტყდა გიო: — დე, ხუთ თვეში სტამბულში მივდივარ ერთი წლით... წინა კვირას კლასში დირექტორი შემოვიდა, ხუთი კაცი დაასახელა. მე, წოღო და კიდე სამი — პარალელურიდან! ზაფხულის სემესტრში მარტო ინგლისურს ვისწავლით და თურქულს. მერე ჩვეულებრივად. სწავლა ინგლისურადაა, თურქული დამატებით. თავიდან სტიპენდია მექნება. მერე ჩემ სწავლაზეა დამოკიდებული. მოკლედ დე! მაისის ბოლოს მივდივარ! დე, არ გიხარია?!

თამილა დაძაბული იჯდა სკამზე, გაშეშებული. ასე იჯდა, იჯდა და უცბად წამოფრინდა: – ჩემი ბიჭი! ოქროს ბიჭი, ჩემი...

სანდრო იცინოდა.

ანისთან ბევრნი შეკრებილიყვნენ. უკვე ყველა ნასვამი და კარგ ხასიათზე დამდგარი. სანდრო რომ მივიდა ანი ცეკვავდა, გარშემო სულ ფერადი წვიმები ეყარა და ირგვლივ ფორიაქიანი სახეები — ბევრი უცნობი, ბევრიც ნაცნობი.

— ანი, მოვედი!

— სანდრო! სანდრო! რამდენი ხანია გელოდები!

— უფრო ადრე ვერ გამოვედი, გიომ ისეთი რამე გვითხრა... – ანი თითქოს არ უსმენდა, ცეკვავდა. — რა კარგია რომ მოხვედი სანდრო! მაგარია არა? ხომ მაგარია? – ხელებს იქნევდა გოგო, თმაგაშლილი.

— კი, ასწორებს. ასე გვითხრა, თურქეთში მივდივარ ერთი წლითო, ანუ ოთხი წლით — ოღონდ ერთით ნამდვილად და დანარჩენი მერე გამოჩნდება...

— ხოო? რაა? სანდრო... რაა? ვინ გიო, შენი ძმა? — ანი ცეკვავდა და იცინოდა და ხელებს იქნევდა ლამაზად.

— ხო, გიო — ჩემი ძმა... გახსოვს, გეუბნებოდი — შეიძლება წავიდეს-მეთქი.

— რაო, რა მითხარი? სადაო?

— ანი, შენი კონცერტი როდისაა?

— შვიდში! შობას. სანდრო, ხომ მოხვალ?

— ამოვალ და ერთად წავიდეთ, კარგი?

— კი, კი... სანდრო, მოგწონს აქ? კარგია? – ცეკვავდა ანი.

— კი – ფეხი აუწყო სანდრომაც. – კარგი მუსიკაა...

XI
ერთი წამის ამბავი

ანისთან ასული სანდრო ცოტა უხერხულად გრძნობდა თავს. ეს მანამდე, სანამ სტუმრობა ჩვევად არ ექცა... ყოველი კონცერტის წინ საოცარი დაძაბულობა სახლში, და მთელი ყურადღება ანიზე... ბინა ისეთი იყო, აი — როგორიც არის ხოლმე, როცა სიტყვა "დიასახლისი" პროფესიის მნიშვნელობას იძენს: ყველაფერი დაპრიალებული, პრიალა პარკეტზე დაგდებული წყვილი ქეჩა, ეს — თუ სტუმარს ფეხის გაწმენდა დაავიწყდა... ლარნაკებში ყვავილები, ხელოვნური ხილი მაგიდაზე... შეხვიდოდი ბინაში და... დაახლოებით ასეთივე შეგრძნება ეუფლებოდა სანდროს ძველად, მუსიკის მასწავლებელთან რომ დადიოდა. ოღონდ იქ ასეთი ნათელი ფერები არ იყო. ვერ მიხვდებოდი რატომ — ან მზე არ ადგებოდა ფანჯრებს, ან ფარდები იყო ჩამოფარებული მუდმივად... თან სახლი იყო, ბინა კი არა. ორსართულიანი ქვის სახლი. აგურისა კი არა, ქვისა. აგური ხომ ნარინჯისფერია რაღაცნაირი, ეს კიდევ ნაცრისფერი იყო, ცივი. შიგნიდან კედლები თეთრად შეეღებათ და მერე ეს ჩარჩოში ჩასმული ნახატები... მთელი კედლები ნახატებით იყო გადაჭედილი... მოკლედ, სანდრო რომ ამ სახლში შევიდოდა, ხვდებოდა — სადღაც მაღლა მოხვდა, სადაც ადამიანებმა იციან რას აკეთებენ, და როგორ. მუდამ თავშეკავებულნი, ზრდილობიანნი – ტაქტიანნი... არც გამომწვევ წითელ კაბებს იცვამენ და არც ხმამაღლა იცინიან არასოდეს. უყვართ ლურჯი ფერი და ფრაზა — "ლურჯსა ფერს, ცისა ფერს", ან — "ვინ არის ეს ქალი... ასეთი ცისფერი!"

ერთხელ გაკვეთილზე მისული სანდრო, როიალთან დაჯდომამდე, აბაზანაში შევიდა, ხელის გადასაბანად, საპონს დახედა და ზედ თმა შენიშნა. კარგად ახსოვს, როგორ გაახალისა ამ ამბავმა მაშინ. ჯერ ერთი, რომ უსიამოვნო სანახავი იყო ეს თმის ღერი და მეორეც, რომ ესე იგი თმები სცვიოდათ, ამათაც სცვიოდათ! აბაზანიდან გამოსულს, ისეთი სიმშვიდე დაეუფლა, სულ ერთი წამით: *მთლად სრულყოფილები არ ყოფილხართო,* გაიფიქრა და იმიტომ.

ციცო ძალიან თავაზიანი იყო ყოველთვის. სულ რაღაცას სთავაზობდა სანდროს: ჩაი, ორცხობილა... სანდრომ ანის დაბადების დღეზე გაიცნო მთელი ოჯახი. დეკემბერში. გოგომ დედასთან მიიყვანა და რაღაცნაირი ღიმილით უთხრა – ციც, ეს ის სანდროა... ერთი იქ ყოფილიყო გიო! ერთი ენახა როგორი თავდაჭერილი იყო სანდრო, როგორი სერიოზული, რა დიდის შეხედულება ჰქონდა მაშინ. თავიდან ანი ასე ხსნიდა ხოლმე — ეს სანდროა, ჩვენთან ერთად წამოვა, ჩემი გამოსვლა უნდა რომ ნახოსო, მერე კი ყველაფერი თავისით ხდებოდა. კარს რომ გააღებდა ციცო, აღარც შეიცხადებდა — ეს ვინ მოსულაო. უბრალო ამბავი გახდა. ერთად ჩააწყობდნენ საკონცერტო კაბებს, გაუდგებოდნენ გზას.

მოსწონდა სანდროს ანის ცეკვა.... ჯერ ბოლო რიგებიდან უყურებდა, სადღაც სიბნელეში იდგა, ზოგჯერ კედელთან ატუზული. ცოტა ხანში წინ გადმოიწია, ერთხელ პირველ რიგშიც დაჯდა. კულისებიდან წინ თავგამოყოფილ ციცოს ხედავდა, ხელში რაღაც წვრილმანი ეჭირა, უცბად რომ მიხმარებოდა ანის. ანის ყურებას არაფერი სჯობდა და მაინც, ამდენ ხანს როგორ ჩერდებოდა იმ თითის წვერებზე, ასე თავისუფლად! რა სანახავი იყო — დაფრინავდა. მთელი მუღამი იმას ჰქონია, ბალეტს რომ ცეკვავ, ხალხს რაც შეიძლება მსუბუქად მოაჩვენო თავი, ასე ფოთოლივით დაქროდა აქეთ-იქით... თეთრი, თოვლივით თეთრი მოსასხამი, თავზე გვირილებისგან დაწნული გვირგვინი... დატრიალება, მკლავი ნაზად მაღლა, ქვევით, წელი წვრილი, მარჯვნივ გადადგმული ნაბიჯი, მერე უკან, მსუბუქად, კატასავით, ჩუმად და ისევ მაღლა... ასე გაფაციცებით უნდა გეყურებინა მთელი ამ მოძრაობისათვის, ბალეტი რომ ერქვა და თვალს ერთი წამით ვერ მოაშორებდი, რაღაც მნიშვნელოვანი რომ არ გამოგრჩენოდა, თორემ გაუშვებდი წამს ხელიდან და ვეღარ დააბრუნებდი მერე. ერთი წამის ამბავი იყო. იდგა სანდრო და გაფაციცებით მისჩერებოდა მოცეკვავე ანის იმ ერთი, რომელიღაც, განსაკუთრებული წამის გულისთვის...

* * *

— ჯერ შენ გადადი!

— რატო მე? წინაზეც მე არ გადავედი!

— მიდი, მიდი... პატარა ხარ, გამხდარი, ვერ დაგინახავენ.

— მოიცა რა, იცოდე გადავალ და მარტო ჩემთვის წამოვიღებ!

— მიდი გადაძვერი, დაღამდა.

თითის წვერებზე აიწია, ღობეს ხელებით ჩამოეყრდნო, ეზოში სწრაფად გადაძვრა და ალუჩის ხის ტოტები თავისკენ მოიზიდა. პატარა, ლამაზი აგურით ნაშენი სახლის შემოსასვლელში მაშინვე სინათლე აინთო. ეტყობა, მოხუცი სკოლის დარაჯი კარებთან იყო ჩასაფრებული, ლანძღვა-გინებით გამოვარდა გარეთ:

— გადმოძვერით არა, თქვე ვირიშვილებო! სახლი არა გაქვთ? წაეთრიეთ სახლში, სახლში ჭამეთ!

— არიქა ავითესეთ! — უკან გადმოძვრა პატარა ლუკა. გვანცა უკვე ქუჩის გადაღმა ელოდებოდა, შეეშინდა მეც არ დამინახონო. ლუკა ისეთი სისწრაფით ჩამობობღდა ქვევით, ხაოიან ღობეზე მუხლი გადაიტყავა. ჩამოხტა, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და თავში ხის ჯოხი მოხვდა უკნიდან, ეტკინა, გაგორდა ასფალტზე.

— გეცოდინება აწი, სად ჭამო და სად არა. – ჩაიბურტყუნა მოხუცმა დარაჯმა, შებრუნდა უკანვე.

— ძალიან-ძალიან გეტკინა? – უხერხულად იკითხა გვანცამ.

— კი, არა-ა, ისე რა... – პასუხში დარწმუნებული ვერ იყო ლუკა. არა, ისეთი მსხვილი ალუჩა იყო, კი ღირდა თავის გამოდება. ნადავლი ხელისგულით გააპრიალა და გემრიელად ჩაკბიჩა. მთელი სკოლის ეზო სავსე იყო ხეხილით. ბავშვები სკოლაში ხილის საჭმელად უფრო დადიოდნენ... სეზონის ყველა დროს, რომელიმე ხე მაინც ისხამდა ნაყოფს — რა გინდა რომ იქ არ ყოფილიყო: ვაშლიც იყო, ყურძენიც... საერთოდ, კარგი სკოლა იყო, ვერაფერს იტყვი. მხოლოდ რიცხვის დამახსოვრება უჭირდა ყველას — ასმერომელიღაცე. აგურით ნაგები, მაღალი შენობა, ბევრი სათამაშო მოედანი... ერთი იმხელა ეზო ეკრა სკოლას მარჯვნიდან, რომ სკოლის დარაჯმა — ვალიკო ჭიღოლაშვილმა თავის დროზე შიგ სახლიც ჩადგა, შემოიღობა კიდეც და საერთოდ, მაგარი ბაითი მოიწყო, ოღონდ ეგ უკვე ძველი ამბავია... ახლა მერიის რომელიღაც დეპარტამენტის, რომელიღაც ჩინოვნიკის დახვავებულ ქაღალდებში თუ არ ჩაიქექებოდი, რას მიხვდებოდი, რომ ეგ ვალიკოს მიწა არაა, ან ვინ ჩაიხედავდა, ან ვინ დაინტერესდებოდა! მოკლედ, მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სექტემბერში სწავლა დაიწყებოდა თუ არა, რომ შეესეოდნენ ბავშვები ამ ხეხილს, თვის ბოლოსკენ აღარაფერი რჩებოდა. ერთი ჭიღოლაშვილების ხეები იყო ხელუხლებელი და ეგეც რამდენად ხელუხლებელი, კიდევ ღმერთმა უწყის. ძალიან ბრაზობდა ვალიკო. ჯერ ხომ ისედაც ისეთი ჯავრი ჰქონდა ამ სკოლის ბაჭაჭყანების... გაუწამეს ცხოვრება: შატალოებიო, დაგვიანებაო, ათასი უბედურება, მერე კიდე სახლშიც ვერ ისვენებდა — მთელი დღე ამათი ყიყინი იდგა ეზოში...

— აწი შენი ჯერია. მე მეტი ეგეთებზე აღარ გადავალ. – ნაწყენი ხმით წაილუღლუღა ლუკამ. — ამის დედაც! მგონი სისხლი მომდის... აბა შეხედე! – გვანცამ უკნიდან მოუარა, თმა გადაუწია.

— აუ! ლუკაჩო, ახლავე სახლში დავწვეთ... ჩემთან ამოდი, დედა გადაგიხვევს.

— მომდის არა? – თავი შეეცოდა ლუკას. წამოდგა, ვალიკოს სახლისკენ მთელი სიჩქარით გაექნა და ჭიშკარს ამოკრა ფეხი. — დედას გიტირებთ! – ერთი მიაძახა და შიშისგან მთლად გაფითრებულ გვანცას მიუბრუნდა – არიქა, ავითესეთო.

როგორც ლუკაჩოს მორიგი დატუქსვით დაღლილი ვერა იტყოდა, — "ო-ო ეს მოზარდები!."

რა საყვარელი პატარა იყო ერთ დროს ლუკა! მთელი ეზოს საყვარელი ბავშვი... დროს რომ იხელთებდა, ფეხზე გაიძრობდა ხოლმე წინდებს, ფეხსაცმელს და ასე ფეხშიშველა დაბორიალობდა — სულერთი იყო, ქუჩაში თუ სახლში... "ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გაიარე", არა ლუკაჩ! — გამოდგებოდა ხოლმე ტაქსისტი ბორია და აივნიდან ლუკას დედას გასძახებდა – ამ პაწია პა-

ტრიოტს მიხედე, ისევ ფეხშიშველაარ...

თავისი უფროსი დაიკო უყვარდა კიდევ ლუკას სიგიჟემდე. მერე ქეთი ერთი წლით ამერიკაში წავიდა, მამასთან, იქიდან კიდევ ისეთი სხვანაირი ჩამოვიდა, მთელი ეზოს ბიჭები ხომ აეკიდენ ძაღლებივით, და ლუკაჩომ კი შეიძულა რატომღაც. ისე ვერ ჩაივლიდა ქეთი, რომ ლუკას რამე ბოროტი ხუმრობა არ ესროლა, გულს ტკენდა ხოლმე ტყუილად. ერთხელ ქეთიმ გვერდზე მოისვა — რაა ძამიკო, რატომ შემიძულე ასეო? — იმან კიდე – საერთოდ როდის მიყვარდიო? – კითხვა შეუბრუნა. ეეე ლუკაჩ!

იკა ოთახში იჯდა კომპიუტერთან. ასე რომ დაჯდებოდა, აღარაფერი ახსოვდა მერე. შეეზრდებოდა ხოლმე კომპიუტერს. დიდი ხანი არ იყო რაც იყიდა და რაღაც ჟინი ქონდა, ვერ დაეცხრო. ოთიკო გადმოვიდოდა მალე... რაც ცოლი მოიყვანა კი გააიშვიათა სახლში მოსვლა, ახლა სხვა სახლი ჰქონდა და გასაგებია. ოთიკოს ცოლი იკას მაინცადამაინც არ ეხატებოდა გულზე. ტუჩებმოკუმული იყო სულ ეგ გოგო, ბევრს წიკვინებდა კიდევ. იკას რომ დაინახავდა, ამ თავის მოკუმულ ტუჩებს კიდე უფრო შეკრავდა... მოკლედ, არ მოსწონდა რა. ოთიკოს კი ლამის ძაღლის ყელსაბამი გამოაბა, გადაგდებული ჯოხის მოტანა ასწავლა... იკა წამოდგა, სიგარეტის კოლოფს დახედა. ცარიელი იყო. მამა ქვევით იჯდა, ტელევიზორს უყურებდა.

— გავალ, სიგარეტს ვიყიდი. – გასძახა ვალიკოს.

— დღეს ოთო უნდა მოვიდეს?

— არ ვიცი, შეიძლება.

— კარგი.

— კარგი. – და სახლიდან გავიდა... ცოტათი საკუთარ თავსაც ადანაშაულებდა იკა: ეგ გოგო ძმას თვითონ გააცნო. კურსელის და იყო და საქეიფოდ იმ დღეს რომ არ წაეყვანა ოთო, იჯდებოდა ახლა სახლში ბედნიერი. კაცი იქნებოდა, ფინია კი არა. ამასწინაც, სამზარეულოში სხედან ეგ, ოთო და იკა. გოგო აშკარად რომ დაძაბულია. სულ დაძაბულია ეს გოგო. მერე ყავას ადუღებს და ეს მოკუმული ტუჩებიც... თან რაღაცნაირად კეკლუცობს — აი, როგორც გოგოებს ჩვევიათ ხოლმე ბიჭის თანდასწრებით და თან უხერხულადაა, თავს სტუმრად გრძნობს რა. აი მიხვდა, როგორც იქნა მიაგნო შესაფერის სიტყვას — ეს გოგო, იკას თანდასწრებით, თავს სულ სტუმრად გრძნობს! მერე ხომ იკა სიტყვას ვერ ჩააგდებს, იმან რომ წარბები არ აპრიხოს. რაზე მერე? რამე არასწორად ვთქვი? მოკლედ, რა ქვიათ ასეთებს? — "სწერვა"... იკა მაღაზიის ვიტრინასთან წამით შეჩერდა. დილის წვიმისგან დასველებული ვიტრინა ჯერ კიდევ ვერ შემშრალიყო. ასფალტიც სველი... აქა-იქ ლაქებად მოჩანდა წვიმის გუბეები. იკამ ჯიბე მოიქექა, საკმარისი ფული წამოვიღე თუ არაო. ამ ბოლო დროს სულ დაბნეული დადიოდა, თვითონ ვერ გაეგო რა ამბავი იყო მის თავს, ძილი თუ აკლდა. მარცხნიდან სამარშრუტო ტაქსების გაჩერებას ორი ქუსლი, ტილოს სარაფანი და თეთრი ლაბადა უახლოვდებოდა. ეს ხმა — ასფალტზე კაკ-კუკ, სადღაც ოცდათხმუთმეტს გადაცილებული ქალის ნაბიჯები. ქალის დაახლოებით ასეთის: ვიცვამ კარგად, დახვეწილად; მაქვს გემოვნება; ვარ თავშეკავებული, მოწესრიგებული, გამოვიყურები კარგად; მყავს მეუღლე: ძვირფასი, ლმობიერი და შეძლებული; გვყავს ბიჭი – გურამიკო, უკვე აბითურიენტი; ვმუშაობ ოფისში გოგოებთან ერთად; კმაყოფილი ვარ ჩემი საქმით; დიასახლისი არ ვარ, როგორ გეკადრებათ, არა, მაგრამ არც ის

ვარ, აი — "კარიერისტკა"... უფრო რაღაც საშუალო. კანი მაქვს ხორბლისფერი, სუფთა, მიყვარს როლინგები და თმები სწორი, თხელი, ოდნავ მელირებული... მიყვარს სიწყნარე, ყავა, სიგარეტი და რუსული მეორე მშობლიური ენასავით მერევა საუბარში...

მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს, იკას ხომ ერთიც არ გაუხედავს, უბრალოდ, ხმა ესმოდა — კაკ-კუკ. მოახლოვდა ქალი, იკას ზურგს უკან ჩაუარა, გაჩერებასთან დადგა და მიიხედ-მოიხედა. ხურდა გადაითვალა იკამ — ლარი და ათი, ლარი და ოცი, ოცდაათი... მაღაზიის ვიტრინაში ქალის ლაბადა ირეკლებოდა. თეთრი ლაბადა...

იკას არასდროს გაეგონა, როგორ ეცემოდნენ უსულო ადამიანები ძირს. როგორც ფქვილის ტომარა. ხმა ზუსტად ასეთია, აი — მაისურგაძრობილი მუშები პაპანაქება სიცხეში ოფლს რომ მოიწმენდენ, სატვირთო მანქანიდან ცემენტის ტომრებს გადმოუძახებენ — ორმოცდაათკილოიანს, მიწაზე ზღართანი – ბრახ! და მორჩა. რომ შემოტრიალდა იკა, ქალი უკვე აღარ ჩანდა, ხალხი შემოხვეოდა. თეთრი ლაბადა სულ გასვრილიყო ტალახით. მარშუტკის მძღოლი იქვე იდგა, სახეაჭარხლებული, ხან ჩაიკუზებოდა, ხან წამოიმართებოდა, თავში იცემდა ხელებს. რა ძალა ჰქონია მანქანას! შიგნით რომ ზიხარ, მოძრაობ, ვერ ხვდები. იმხელა ძალა აქვს რომ ერთი შეხება და გაჩერებიდან ათი მეტრის იქით იწვა ქალი, უსულო. თეთრლაბადიანი.

რა მოხდებოდა ადამიანს დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს? სულ ოდნავ, ერთი წამით. განა ისე რომ ყველაფერი შეცვალოს — უბრალოდ, ერთხელ რომ გაეხედა... ხომ მოდიოდა ქალი, ერთხელ გაეხედა. იქნებ გაეღიმა, თავი დაეკრა, ქალებს უყვართ ასეთი ყურადღება, არ იმჩნევენ და სიამოვნებთ მაინც. იქნება და უყურებდა იკას, სანამ მოდიოდა, მარცხნიდან უახლოვდებოდა, სანამ იკა ხურდებს გადაითვლიდა და იქნება შეეჩერებინა, ერთი წამით, ეთქვა — შუქნიშანს დაელოდეთ ქალბატონოო და ამასობაში გაჩერებას კი გასცდებოდა უკვე ლურჯი სამარშუტო ტაქსი... აქ კი მიხვდა იკა, რომ შეძლებოდა, ერთ წამს არ დაჯერდებოდა ნამდვილად: იმდენს შეცვლიდა, სანამ ყვალაფერს თავდაყირა არ დააყენებდა. ჯერ ერთი, სულ თავიდან დაიწყებდა — გამოაღებდა უჯრას, ამოიღებდა ფულს... ნუ — მერე როგორც იყო, უცვლელად — გამოვიდოდა გარეთ... და ან რატომ აქედან, უფრო ადრე რატომ არა, რატომ იქიდან არა — ოთოს რომ ვანოსთან მიათრევდა საქეიფოდ... დარჩი! — ეტყოდა, მეც არ ვაპირებ წასვლას, არც მე ვაპირებ წასვლას, ოთო! იქიდან რატომ არა, მანქანა რომ იმ ახვრების ეზოში დატოვა, ლითონის ჩონჩხი რომ დახვდა დილით; ან რატომ იმ ღამიდან არა, ქეთის რომ უთხრა — ცოლად გამომყევიო, მას მერე აღარ უნახავს ეგ გოგო, თუ კი — ნახა ერთხელ და იქიდან რატომ არა, რომ მივიდა და ის კიდევ ასეთი იდგა, აი ასეთი: "აუ, კიდევ ეს!" — სულ უკან რატომ არ დაბრუნდებოდა, მამამ რომ ველოსიპედი უყიდა; ან კიდევ უფრო ადრე, ძაღლს რომ კატა გამოაბეს...

იკამ ერთი გადააპურჭყა და მაღაზიაში შევიდა.

— აუ, ფული სახლში დამრჩენია... ჩემ თავს გეფიცები ვერიკო, დღესვე ჩამოგიტან რა, ერთი "მალბორო: და ერთი "ყაზბეგი" რა!.

— ბიჭო, გარეთ რა მოხდა დაინახე? ღმერთო ჩემო! – გაფითრებული იდგა ვერა.

— საშინელებაა, საშინელება! – პასუხობს იქვე ვიღაც.

“არ შეუძლიათ კომენტარის გარეშე” – გაიფიქრა იკამ.

— ერთი ლუდი და ერთი “მალბორო”, გთხოვ რა!

— ბიჭო, გადარჩა ნეტა? თუმცა რას გადარჩებოდა...

— რას გადარჩებოდა, ვერ ნახე რამხელაზე გადააგდო? ასეთი არაფერი მინახავს! – პასუხობს ვიღაც იქვე.

“სულ ერთი წამის ამბავი იყო – ჩემსკენ რომ მოდიოდა. . . და რატომ ერთი არ გავხედე?” — გაიფიქრა იკამ.

XII
რაც წახვედი, მაგარი ამბები დატრიალდა

ეს ერთი იმ წამთაგანი იყო, ცხოვრებაში გადამწყვეტი რომ გგონია — პირველად რომ შევიდა გიო კლასში, ამდენი მერხი, ამდენი სკამი... როცა თვლა არც იცოდა ჯერ... თვალი გადაავლო, ერთი ოთახისათვის ამდენი მერხი ებევრა... “კლასი” — გაიფიქრა პირველად... როცა პირველად გაამგზავრა თამილამ გუდაურში, ჩანთა თბილი სვიტრებით გამოუტენა და — თხილამურებზე დგომა უნდა ისწავლოო უთხრა; ან როცა კლასში დირექტორი შემოვიდა ნაბეჭდი ფურცლით ხელში და გიორგი ხელაია, სიაში ხარო — გამოაცხადა. *სიაში ვართ?* მაშინვე როგორ გადახედა წოღოს...

როცა პირველი ლექციიდან გამოვიდა გიო და საია შეეჯახა წიგნებით დახუნძლული და მერეც როცა გატრუნული იჯდა მანქანაში, საავადმყოფოში საკაცით რომ შეარბენინეს კიდევ ერთი ფეხმძიმე ქალი... ახლაც ზუსტად ერთი იმ მომენტთაგანი იყო, როდესაც ლენა შემოვიდა გახარებული ნომერში და — წოღო ვიპოვეთო! — წამოიძახა. წოღო ცოცხალია და აქაოო. გიომ ისეთი ხმაურით გამოუშვა პირიდან ჰაერი, თითქოს აქამდე სუნთქვაშეგუებული იჯდა... ასეთ დროს ერთი სიტყვაა საკმარისი: *მწყურია...* ანდა — მიყვარხარ, დავბრუნდი, დამიცადე... ამჯერად მხოლოდ:

— სადაა?! – წამოიწია გიო.

— ქვევით, მისაღებში წევს — სულ დაწვია კანი... სილაზე ჩაძინებია და კანი რომ დაეხრუკა, მაგან გააღვიძა. მაგრაა დამწვარი.

— კი მაგრამ, მთელი სანაპირო არ გადავჩხრიკეთ? – თან ქვევით ჩასვლას ჩქარობდა, თან მეტის გაგება უნდოდა გიოს.

— შორს იყო. ღამე ნასვამი გასულა, თავისი ჭკუით — საცურაოდ... — იცინოდა ლენა – და ზღვას რომ მიუახლოვდა, შესვლა შეშინებია, სანაპიროს გაჰყოლია. ამდენი როგორ გავიარეო — არც ახსოვს და რომ გაიღვიძა, მთლად პორტის იქით იყო გასული. ჩვენგან მარჯვნივ რომაა პორტი, მარცხნივ იყოო და მაგით მიხვდა სად იყო და თან მთელი ტანი ეწვოდა... მოკლედ, შავ დღეშია. არ ეჩხუბო ოღონდ გიო. თავისი ეყოფა. – მიაყოლა ლენამ. ეტყობა, რასაც ფიქრობდა, სახეზევე ეწერა გიოს.

— შტერი ეგა! – წარბი შეკრა, თან ბრაზობდა, თან გულზეც მოეშვა. — რა დღეში ჩაგვაგდო!

აი, ტაფაზე რომ ქათმის ბარკალს დააგდებენ, ცეცხლს აუწევენ და გემოზე გააპიწკინებენ... შემოსასვლელში ტახტზე იწვა აწითლებული წოღო და სა-

ცოდავად წკმუტუნებდა. რომ მოვიდა ხომ ყვირილ-ყვირილით დააწვინეს ტახტზე, ახლა საერთოდ ვეღარ ინძრეოდა. საავადმყოფოში გადავიყვანოთო და ერთ-ერთმა თურქმა სასწრაფოში გადარეკა. საშიში კი არაფერიო და რამე მალამოს დაადებენ, რომ არ ეწვოდესო. იქნებ წამლებიც დაელია რამე, ტკივილგამაყუჩებელი. გიო პირველი სართულისკენ გინებ-გინებით ჩარბოდა, ოღონდ ტახტზე გართხმული გრძელი, მთლად გადაწითლებული ფეხები რომ დაინახა, საწყლად ფლოსტებწამოცმული, გული მოულბა ცოტათი და მხოლოდ ესღა თქვა: – ე-ეჰ, წოღო, წოღო! წოღო მორჩილად იწვა და ოხრავდა თავისთვის.

გიოს ყოველთვის ცარიელად ეჩვენებოდა საავადმყოფოს შენობა — სულ რომ სავსე ყოფილიყო პაციენტებით, მაინც. ფერები იყო ალბათ ასეთი ცივი და იმიტომ. ცისფერი, თეთრი, ცისფერ-თეთრი... საიაც კი რაღაცნაირად ფერმკრთალად გამოიყურებოდა ამ შენობაში. ლენასთან ერთად იჯდა სკამზე მოსაცდელში და ყავას სვამდა, საშინლად უგემურს. საერთოდ, როგორ უნდა დალიო საავადმყოფოში ყავა? არ მოსწონდა გიოს ესეთი რამეები. არის ადგილები, სადაც უბრალოდ უნდა იდგე ცოტა ხანს, აუცილებლობის შემთხვევაში, ან ბოლთას ცემდე შეიძლება რაღაცის მომლოდინე, მერე კიდევ დაიხურო ქუდი და ფეხაჩქარებით გამოხვიდე გარეთ. ესენი კიდე, ჩამომსხდარან, თითქოს სანაპიროზე, ბუნგალოში არიანო — აი, საცაა გამოვა ვინმე მომღერალი და მიკროფონში ჩააავოკალიზებს...

— მაპატიეთ რა! მთელი დასვენება ჩავშალე. ზედმეტი მომივიდა. არ უნდა დამელია ამდენი...

— ლამის გამოგიტირეთ, უკვე! – გაეცინათ გოგოებს. წოღო ისეთი წითელი იყო, სასაცილო და ახლა კიდე სულ ბზინავდა — რაღაც მალამო წაუსვეს, მენთოლნარევი, წვა რომ დაეამებინა. გიო მკაცრი სახის დაჭერას ცდილობდა, არ გამოსდიოდა, წასკდებოდა სადაცაა სიცილი.

— წავედით რა, ვჭამოთ რამე!

— წავედით!

* * *

სად იქნებოდა ახლა სანდრო? სულ ასეთი კითხვა უჩნდება ადამიანს, რომელმაც ვიღაც სადღაც დატოვა, ვთქვათ — თბილისში... ჰო, სად იქნებოდა? თბილისში ახლა საღამო იყო, ასე, საათის ექვსი. სანდრო ეზოში თუ ჩავიდოდა, ბიჭებთან ჩამოდგებოდა, გარუჯული, ბათუმიდან ახალი დაბრუნებული. ეტყობა კარგი დრო ატარეს ზღვაზე, აგერ უკვე ორი კვირაა ერთი სიტყვა არ დასცდენია, ძმა სულ გადაავიწყდა, ანის თუ ასეირნებს აქეთ-იქით... ვინ იცის, როგორ შეიცვალა ამ სამ თვეში სანდრო. ბოლო დროს საერთოდ ისეთი ტემპით იზრდებოდა, გიოს თვალწინ... კაცობა დაიწყო... ჯერ ეცინებოდა გიოს, მერე დაიჯერა. არადა, რა არი ორი წელი განსხვავება და სანდრო მაინც ისეთი პატარა იყო ყოველთვის, პატარა და ჩუმი. თავისთვის რა... სად იქნებოდა ახლა სანდრო... იქნებ კუს ტბაზე ასული, ბიჭებთან ერთად, იჯდა სადმე, ეწეოდა, უყურებდა ნაპირთან მოქანავე წყლის ველოსიპედებს და ისევ ისე წასულიყო ფიქრებში, კაცი რომ ვერ გაუგებ, ისე. მათ შორის ყველაზე ნაკლებად ზარმაცი ამოიტანდა, ადრე თუ გვიან, ლუდს, რამე კბილის გასაკრავს და მერე — საუბარი ქალებზე... გიო თურქეთში ისე წამოვიდა, ერთხელ ვერ ნახა ანი. კი მოჰკრა თვალი, სანდროს დადევნებულმა, და მერეც დაინახა სადღაც, ერთხელ, შორიდან, ეგ არ ითვლება. აი, ახლოს რომ

მოვა და ხელს რომ ჩამოგართმევს და გეტყვის: *მე — ანი!* – აი, ეგრე ახლოს ვერ შეხვდა ვერცერთხელ. თვითონ სანდრო დიდად მოწადინებული არც იყო შეეხვედრებინა და ისეთიც არაფერია ჯერო, ვმეგობრობთო... ეტყობა გიო რომ წამოვიდა, მერე დატრიალდა ყველაფერი. ერთი იქ დააყენა, სანდრო რომ წაილუღლუღებდა, ისაო-ესაო და მომწონხარო და მიყვარხარო, ან იქნებ ის გოგო იყო ისეთი, ყოჩაღი, თვითონ ამოუქაჩა ყველაფერი პირიდან, როგორც საიამ მაშინ, გემბანზე — ხომ გიყვარვარო... გიო ჩუმად იდგა, გაიღიმა მხოლოდ — *მეც მიყვარხარო* და კიდევ უფრო გაიღიმა. ერთად ვიყოთო? — თითქოს საკუთარ თავს დაეკითხა გოგო. გიო იცინოდა უკვე. *ვიყოთო* – პასუხი გასცა თვითონვე. გიო უცბად დასერიოზულდა. მიხვდა, რაღაც მნიშნელოვანი გადაწყდა ამ რამდენიმე წამში. დასერიოზულდა და გოგოს დააშტერდა, ცოტათი დაბნეული. აი, ასე ავიდნენ ევროპაში ბორანზე მეგობრებად, და ჩამოვიდნენ აზიაში შეყვარებულები. იქნებ სანდროსთანაც ასე მოხდა. დასიცხულ კარავში, იქნებ "სალაშქრო ლექსებს" წერდნენ — რა დასამალია და, ტუალეტის ქაღალდზე, როგორც ხდება ხოლმე ლაშქრობებში, ან კოცონთან ისხდნენ, ერთმანეთს საშიშ ამბებს უყვებოდნენ, იქნებ შეეშინდა ანის, ან შიში მოიგონა, კარგად რომ ჩახუტებოდა სანდროს, ეგრძნობინებინა — საჭირო კაცი ხარო, იქნებ პირველი მთა რომ "დალაშქრეს", მაშინ მიეპარა, როგორც ჩვევიათ გოგოებს, ჯერ თვალი მიმოავლო სად დგას სანდროო, მერე კი თავდახრილი მიუახლოვდა, ვითომ სულ ვერ შეამჩნია... რა სილამაზეა – დაფიქრებული გადახედავდა ხედს და სანდროსაც სხვა რა გზა დარჩენოდა — რა სილამაზეა — ჩაილაპარაკებდა ანის მიჩერებული...

რა სულელი იყო სანდრო, სულ ვერ ერკვეოდა ასეთ რამეებში... ადვილი იყო სანდროს მობზრიალება. რკონში კარგი დრო ვატარეთო, იწერებოდა მერე. რკონის ამბებს სერიებად უშვებდა თითქმის ყოველ დღე. ზღვაზე სანამ წავიდოდა, ყველა წერილი რკონზე იყო. ბოლომდე კი არ ამბობდა სათქმელს. ასე, წვრილმანებით იწყებდა და სადაც მთავარი იყო, იმას მხოლოდ გაკვრით ეხებოდა. პირველი დღე წვიმიანი იყოო, ერთი დიდი კარავი გავშალეთ ბიჭებისთვის, გოგოებს თავიანთი ორ-ორ კაციანი კოპწია კარვები ქონდათ წამოღებულიო. მოკლედ, ღამე ყველანი ბიჭების კარავში შელაგდნენ, მოხსნეს გუდას პირი... ვახო თავის პირველ სიგარეტზე მოყვებოდა — იცოდა ეგ ამბავი გიომ: ვახო ხუთის იყო, მამისგან სიგარეტი მოიპარა, ოთახში დაჯდა, ჩაიდო პირში, უნდოდა გაეფუილებინა... შემოდის დედა, ვახო ვერაფერს ასწრებს შიშისაგან, სიგარეტს პირში იტენის...

— ვახო რას შეჯამ, რა მოგიმზადო? — ალერსით ეკითხება დედა, თავზე ხელს უსვამს. ვახოს უნდა უპასუხოს, სიგარეტს ყლაპავს და — არაფერი არ მინდა დე, უკვე ვჭამეო...

— რა ჭამე? – ეჭვით ეკითხება დედა. ვახო არაფერს ამბობს, ტირილს იწყებს. მერე გული ერევა... და მამას სახლში სიგარეტის მოწევა ეკრძალება — ცუდ მაგალითს აძლევ ბავშვსო!

— კიდევ თუ მოგინდეს შვილო, მხოლოდ მითხარი... ბარემ თეფშსაც მოგაწვდი, დანა-ჩანგალსაც, კულტურულად უნდა მიირთვა თამბაქო! — ლუღლუღებდა გამწარებული მამა...

ალბათ მთელი თვე სვამდნენ... დაწერეს ლექსი: "თუ კარგად მოვიქცევით, მთაზეც აგვიყვანენ", მოიშინაურეს მგელი "ვეფხვო", რომელიც სოფლის ფინია აღმოჩნდა ბოლოს და დალაშქრეს მთა, სადაც ყოველ დღე ადიოდნენ სამწყემსაოდ

სოფლელები. ვერაფერს იტყვი, ტრადიციული ლაშქრობა ქონდათ. ეგ ოღონდ ბოლო წერილში. პირველ რამდენიმე დღეს კი სმის მეტს არაფერს აკეთებდნენ და კიდევ, ავთოს მომზადებულ თმიან მაკარონს შეექცეოდნენ. — ვვფუ! — გააჟრიალა გიოს. როგორ არ უყვარდა ეს ლაშქრობის ზიზღდავიწყებული ამბები, აი, გათხრებზეც, ძველად რომ იყვნენ ერთად: ყოველ ნიჩბის დაკვრაზე ხელის გადასაბანად მირბოდა, სანამ მუდმივად ქვიშაში ჩაფლულმა, ბოლოს სულ არ დაკარგა ჭუჭყის შეგრძნება. ახლადჩამოსულ სანდროს, ფუნის გვერდით ჩამომჯდარი დახვდა. გამხმარი ფუნა ხელით გვერდზე, მოშორებით გადადო, ჩამოჯექიო — შესთავაზა ძმას. სანდრო გაოგნებული იდგა, მერე სახე დაემანჭა და: — ვვფუ! — დაიძახა ზუსტად ისე, როგორც ახლა გიომ. ასეთ ადგილებში ივიწყებ კაცი სისუფთავეს, ზიზღსაც. ველურდები. ზოგისთვის ეს საყვარელი განცდაა – გაველურება. ოღონდ არა გიოსთვის.

გიო რომ აქეთ გამოფრინდა, სანდრო უკვე აპირებდა იქ წასვლას. კარვების ამბებს არკვევდნენ ბიჭები. სანდრომ ვერც კარავი იშოვა, ვერც საძილე ტომარა. მოკლედ, ბოლოს სხვის იმედზე წავიდა მგონი. გიოს ძალიან უნდოდა ბიჭებთან ერთად ყოფილიყო. არა, განა აქეთ გამოფრენა არ უნდოდა! პირიქით, ერთი სული ქონდა. მოკლედ... ისიც უნდოდა და ესეც. განსაკუთრებით, ეზოში საუბარს რომ იწყებდნენ, აი — ის მომაქვს, ეს მომაქვსო. ჯერ გიოს და წოღოს წასვლის თემას ამოწურავდნენ, მერე ლაშქრობაზე გადადიოდნენ და გიო ფიქრობდა, რა იქნებოდა ერთი თვით გვიან მივფრინავდეო. სანდრო ძაან მოწესრიგებული ვინმე იყო: კოპწიად კეცავდა ყველაფერს, გამოზომილად ალაგებდა ჩანთაში. თამილა საქმიანი სახით მიდი-მოდიოდა ზურგჩანთებს შორის და ხან რას მოიტანდა, ხან რას — პირსახოცი, ქამარიო... ორივე კი მიდიოდა, მაგრამ წაღებით განსხვავებული ნივთები მიჰქონდათ. უცნაური შეგრძნება კი იყო: თითქოს ერთად მიდიოდნენ სადმე. გუდაურში ან ალგეთში. ოღონდ სანდროს კარტი მიჰქონდა, კბილის პასტა და პარალონი. გიოს კი პასპორტი, სკოლის ატესტატი და ხუთასი დოლარი. სანდრო პირველად მიდიოდა გიოს გარეშე დასასვენებლად. არადა, თითქოს სულ ასე იყოო, თავი ისე ეჭირა. გაიზარდა რა. გიო ხვდებოდა, რომ არ წამოსულიყო, ნელ-ნელა ეგ და სანდრო მეტი რაღაცეების კეთებას დაიწყებდნენ ერთად. მეტგან წაიყვანდა სანდროს, მეტს ეტყოდა. იქნებ ანგარიშიც მეტად გაეწია, ვინ იცის? გაეღიმა გიოს. აეროპორტი გაახსენდა. დედა და სანდრო. თამილამ ბევრის თქმა არ იცოდა. ჩაეხუტა და თვალიდან კენტი ცრემლი ჩამოუგორდა. გიომაც აღარ დაუყოვნა — ასეთივე ლამაზი დამხვდი იცოდე, რომ დავბრუნდებიო. მეორე ცრემლი ჩამოუგორდა დედას ლოყაზე. ეგ იყო და ეგ. გარეთ ძლიერი ქარი ქროდა, როგორც იცის ხოლმე და ხეებიც ალბათ ტრადიციულად მღეროდნენ იმ თავისას, როგორც არის: "შშშავლეგ შშშენი შშშაავი ჩჩჩოხა შშშშაავლეგოო..."

ბიჭებს გიო უცნაურად გამოემშვიდობა, თავისებურად. ვახო სახლში მოადგა გაფრენის დღეს და თავისთან წამოიყვანა. საერთოდ, წესით და რიგით, გიო ისეთი იყო, ადვილად ვერ მიიტყუებდი სადმე. თევზს რომ ჭიაყელას დაანახებ, ან თაგვს რომ სათაგურს დაუდგამ, ასე მარტივად ვერ გააცურებდი, უფრო სწორედ, თვითონ ეგონა, რომ ვერ გააცურებდი, სანამ იმ დილას ვახო არ ამოვიდა, სახლის გრძელი, ხის აივნის მოაჯირს არ ჩამოეყრდნო და უთხრა:

— გიო ძმაო, კი ვიცი დღეს მიფრინავ, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ვრჩებით. ხომ გესმის ჩემი. – გიო დაბნეული იდგა. ვახოს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, რაღაც

არასასიამოვნოს ეტყოდა ალბათ.

— უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ შეგიძლია უკვე აღარ გაერიო. შენთვის ალბათ სულერთია – მიფრინავ, მაგრამ დასაბრუნებელი პირიც ხომ უნდა დაიტოვო. დღეს მე თვითონაც არ ვიცი ვინ, როგორ, რატომ, ირაკლიმაც დამირეკა და კიჭამაც... კაი ამბავი არ არი, ეგ მინდა გითხრა და თუ გინდა რომ აქედან კაი სახელით გაფრინდე, უნდა წამოხვიდე და რაღაც რაღაცეებზე გვიპასუხო ძმაო. აქ როგორც მეგობარი ისე მოვედი. – გიო გაშრა. ისეთი სახე ქონდა ვახოს. ვახოს არ უყვარდა ტყუილი საუბარი და ლაზღანდარობა. თუ ამბობდა, ესე იგი რაღაცაში იყო მართლა საქმე...

— მოხდა რამე? რამე დავაშავე?

— მოკლედ, თუ გამომყვები, ბიჭებთან მიგიყვან და ჩემი ვალი ამით მოხდილი მექნება. დანარჩენი იმათ გითხრან, შენც იმათ უპასუხე. წამოხვალ? – გიომ კარი გაიხურა და ვახოს გაყვა, ცოტათი გაბრაზებული. თვითონ ხომ იცოდა — არაფერი დაუშავებია და თუ ძალით რამე შარის მოდება მოინდომეს, მიზეზს კაცი ყოველთვის იპოვის...

სრული სიჩუმე იდგა ვახოს ბინაში. არადა, სადღაც თხუთმეტამდე კაცი კი იქნებოდა. ზოგი სკამზე ჩამომჯდარი, ზოგიც ფეხზე, დადუმებული უყურებდა შემოსულს. გიო ოთახის ცენტრში გაიჭიმა, უკვე აპირებდა ეთქვა – რას მომჩერებიხართო, რომ ვანო ფეხზე წამოდგა, სკამი გადააყირავა და ბრაზისგან გაწითლებულმა იღრიალა:

— ძმაკაცი მეგონე გიო! ეგეთი რამე როგორ გაგვიკეთე! – თავი ჩაქინდრა ვახომაც. იქვე თავი გააქნია კიდევ რამდენიმემ.

— მეგობარი იყავი და როგორ იკადრე... – ფეხზე წამოდგა სერგოც. ამას რაღა უნდოდა? გაოგნებული იდგა გიო, ვერ ხვდებოდა რა ამბავი იყო მის თავს. ამასობაში სანდროც ამოვიდა, შემოსულმა ძმას მხარზე ჩამოადო ხელი — ვიცი რაც გააკეთა, მაგრამ ყველაფერს ვპატიობ, ჩემი ძმაა ბოლო-ბოლო, თქვენც აპატიეთო — მიუბრუნდა დანარჩენებს. უნდობლად იყურებოდნენ ბიჭები. ეს უკვე მეტისმეტი იყო. გიომ საჩქაროდ მოიშორა სანდროს ხელი, თვალებში ჩახედა ძმას და ხმადაბლა, ცივად დაეკითხა – ვინმე მეტყვის მაინც, რა მედება ბრალად?

— რა და ოთხი წელი რომ უჩვენოდ მიდიხარ საგულაოდ და აქ რომ გვტოვებ ყველას! – სრულიად სერიოზულად უპასუხა სანდრომ. ბიჭებს სიცილი წასკდათ მაშინ. სათითაოდ გადაეხვივნენ. მაგრად იყავიო, კარგად გაერთეო. ვინ იფიქრებდა! ვინ იფიქრებდა, გიოს გასულელება ასეთი ადვილი თუ იყო. იდგა მხოლოდ და გაზუთხულივით ამას იძახდა: — გამასულელეთ არა! გამასულელეთ!

— არა უშავს! უშენოდ უკეთეს დროსაც გავატარებთ, აი ნახავ! – ვითომ აჯავრებდა მეგობარს ვანო.

სანდრო იცინოდა, გიოს უყურებდა წყლიანი, ფართე თვალებით და მთელი გულით იცინოდა. გიომ ახლაღა შეამჩნია, რომ ოთახში ყველა იყო, გიოს ყველა მეგობარი. ეზოდან და ეზოს გარეთ. კიჭაც კი მოვიდა, ზურაც და სერგოც.

— აი ნახე, ისეთი ამბები დავატრიალოთ, შურით გასკდებით შენც და წოღოც — ამბობდა სანდრო.

ასე დაემშვიდობნენ გიოს ბიჭები. მხოლოდ წოღო არ იყო იქ. იმას ცალკე ჩაუტარეს იგივე შეკრება, ცოტა მოგვიანებით. ეგ სხვა ამბავია უკვე...

XIII
მომკლავს მზია

მაღაზიიდან გამოსულმა იკამ მაშინვე სიგარეტს მოუკიდა, ქუჩისაკენ აღარ გაუხედავს, გეზი პირდაპირ ოთოს სახლისაკენ აიღო. ისმოდა მხოლოდ სამარშუტო ტაქსის მძღოლის ზლუქუნი – ღმერთო ეს რა დამემართა! ეს როგორ მოხდა, ეს რა დამემართა! – იმეორებდა და თავში იცემდა ხელებს. იკას ჩქარი ნაბიჯი ჰქონდა, საიდანმე გაცლა რომ უნდოდა, ხომ საერთოდ. მალე ხმა უკვე ყრუდ მოისმოდა თითქოს კარს იქიდანო და კიდევ ცოტა ხანში მთლად მიჩუმდა.

— მოდი, მოდი. ვერაფერი კარგი ამბებია... – კარი გამოაღო ოთომ. — და ფეხები კარგად გაიწმინდე. მზიამ მორეცხა, არ დასვარო.

— რა ხდება? – ყურები ცქვიტა იკამ. ყველაზე მეტად ეგ უყვარდა, რაღაც რომ ხდებოდა — ცუდი, კარგი, მაგას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა... ეს აღელვებული საუბარი, ოდნავ შიში და ფორიაქი. არაყოველდღიური ვითარება. ან ვის არ სიამოვნებს რაღაც რომ ხდება ისეთი...

ოთომ პირზე თითი მიიფარა – ჩუმადო და მარჯვნივ, ოთახისკენ გაუძღვა ძმას. ეტყობა ეშინოდა, მზია გაიგებსო. იკაც ჟრუანტელდავლილი მიჰყვა უკან.

ადვილი დასადგენი არაა, რა გსიამოვნებს ასეთ დროს. ვთქვათ, პარლამენტის წინ რომ მიხვალ, აღელდები, იყვირებ ცოტას, ნერვებს მოიშლი — თუ ის, სახლში რომ დაბრუნდები რაღაცნაირად კმაყოფილი, ფორიაქის მორევში ჩაძირული, ირგვლივ მეზობლებს რომ შემოიკრებ, დღის შედეგებს შეაჯამებთ... იქნებ ისაა ყველაზე სასიამოვნო, ტელეფონზე რომ დაგირეკავენ, გეუბნებიან: მორჩა! პარლამენტის წინ გავდივართ, დიდი მიტინგი იმართება... ან ახლა, ან არასოდეს! — როდესაც მხოლოდ იწყება რაღაც მოძრაობა — "ვნებათაღელვის უსასრულობისა და შეცნობილი აუცილებლობისაკენ"... ან როცა ოთო გაგიღებს კარს და გეუბნება – მოდი, მოდი. ვერაფერი კარგი ამბებია...

— შელაპარაკება მომივიდა რა! შარზე იყვნენ. კიჭა და კიდევ რამდენიმე. მზიაზე თქვეს რაღაც და როგორ შევარჩენდი. ვაგინე ყველა და მოკლედ, დამიძახეს რა... ერთი ჩვენი ბიჭები უნდა მივუყვანო და ერთად რომ შეიყრებიან სადმე, მაგარი უნდა ჩავუტაროთ. უფროს-უცროსობა დაივიწყეს უკვე, სხვა თუ არაფერი.

— მზიასგან რა უნდოდათ? – ისე იკითხა იკამ, თავის სიტყვებზე გაეცინა გულში. მზიას მხოლოდ დანახვა და იკა ერთიანად იყინებოდა — "უხ შენი!" გაუელვებდა ხოლმე თავში..

— რა უნდოდათ და, მაგათ რა უნდათ ვიცი მე! ჭკუის სწავლება ჭირდებათ. აი ეგ უნდათ მაგათ. ბიჭებს დავუძახებ ხვალ...

— იკა, აქ ნუ ეწევი, ძალიან გთხოვ! – ოთახში შემოვიდა მზია. იკას ლუდისთვის ჭიქა შემოუტანა. წარბები აპრიხა, როგორც იცოდა ისე და ტუჩებიც ერთმანეთს შეაწება.

— როგორ ხარ მზია? – გულსგარეთ იკითხა იკამ.

— კარგად იკა, მე კარგად. – ერთი ამოიხვნეშა გოგომ და ოთახიდან გავიდა.

"უხ შენიი!" – ფიქრში გააყოლა იკამ.

საღამო იყო, ძმები სახლიდან რომ გამოვიდნენ. ოთოს რაღაც დისკების წამოღება უნდოდა. ახლა, როცა აქეთ ბინა უკვე მოაწყვეს, შეეძლო თავისი ნივთების

ნელ-ნელა გადმოტანა. გაზაფხულის წვიმიანი საღამო იყო. ოდნავ ცრიდა. ზედ სახლის ჭიშკართან გრძელი სკამი იდგა და ზედ ექვსი ბიჭი ჩამომსხდარიყო, ჯოხებით ხელში.

— ერთი ამათ უყურე, ბაჭაჭყანები! – კბილებში გაცრა ოთომ.

— ბაჭაჭყანები ეძახე და ექვსნი არიან, თან ჯოხებით. – ხმადაბლა უპასუხა იკამ. მერე უკან მიიხედა — გვიან არ იყო ათესილიყვნენ. აგერ სკვერამდე ისე მიირბენდნენ, ვერც მოეწეოდნენ და სკვერში საქმის გარჩევას ვინ დაიწყებს, იმდენი ხალხი ირევა... ოთო ძაან-ძაან გულადად მიიწევდა წინ. ბიჭებისთვის ზედაც არ შეუხედავს, ისე მივიდა სახლის ჭიშკართან, იკაც მიყვა, ან სხვა რა გზა ჰქონდა. ოთომ საკეტი გადაწია, კარი გამოაღო და უკვე შესვლას აპირებდა, რომ კიჭამ მთელი ძალით მოიქნია ხის გრძელი ჯოხი. ხმა არავის გაუღია. არც ყვირილი, მხოლოდ – ნაბიჭვრებოო! – შიგადაშიგ წამოიძახებდა ოთო, იკამ კიდე, ცხვირში რომ მოხვდა, მაშინღა იღრიალა მხოლოდ. ყველაზე მეტს კიჭა აქტიურობდა, ფეხებით შედგა წაქცეულ ოთოს, ეს წოღოსთვისო, ეს ზურასთვისო, ეს სანდრო რომ ცემეთო — გაუხსენა ყველაფერი. იკა გაბრუებული იწვა, ცხვირიდან სისხლი სდიოდა. სანამ ვალიკოს არ მოესმა რაღაც უცნაური ხმა და შემოსასვლელში შუქი არ აინთო, იქამდე არ მოეშვნენ ბიჭები ძმებს. შუქის ანთებაზე — წავედითო — გიომ წამოიძახა და ექვსივე სწრაფად მიეფარა სკოლის შენობას. ოთარი იკასკენ გადმოტრიალდა მაშინ, თავის ტალახში ამოთხვრილ ცისფერ პერანგს დახედა და შეწუხებულმა ჩაილაპარაკა: მომკლავს მზია! დღეს დილით გამირეცხა! – “ უ-უხ შენი-ი-ი” – ძალა არ ჰქონდა ხელის მოსაქნევად იკას. ერთი წამოიწია ოდნავ, გაიშხლართა ისევ ტალახში. ასე სჯობდა, იქნებოდა ცოტა ხანს...

ოფლი ჩამოსდიოდა წურწურით სანდროს. ძმას მიჰყვებოდა უკან. გიოს მაისური გაეძრო, დასცხა ეტყობა. გაშიშვლებული მხრები და ხელები დაძაბული, მარჯვენაში ხის ჯოხი. რაღაცნაირად, ვაჟკაცურად გამოიყურებოდა და ბიჭები ყველანი — ზურა, კიჭა, გივი, ვახო...

პირველად მოხდა, რომ ასეთ რამეზე წამოიყვანა გიომ. პირველად მოხდა, რომ რაღაც დიდის მონაწილე გახადეს. პირველად მოხდა, რომ გიო შემოვიდა სერიოზული სახით ოთახში და – სანდრო ჩაიცვი, დრო დადგა ჭკუა ვასწავლოთო – უთხრა. — კიჭამ დამირეკა, ჭიღოლას უგინებია იქ რაღაცაზე ბიჭები, – აგრძელებდა გიო — მოკლედ, რა მნიშვნელობა აქვს... ყველას ყელში ამოუვიდა უკვე ეგენი. ადე, ჩაიცვი და წავედით. სანდროც ადგა, ერთად გავიდნენ. პირველად მოხდა, რომ ზურას მამის გარაჟში... როცა ბიჭები ყველანი, ასეთი სერიოზულები... რომ ერთ-ერთ მათგანად იქცა... მოაბიჯებდნენ ახლა ერთად, გაოფლილები და ხმას არავინ იღებდა, სანამ ბოლოს ზურას არ ჩაეცინა:

— რა ავაწკმუტუნეთ! — ეს ერთი ზურას სიტყვა იყო და ყველამ მოხსნა გუდას პირი:

— თავისი ადგილი ეცოდინებათ აწი...

— ესეც ასე ...

გიოს უკან მიდიოდა სანდრო და სიამოვნებისგან ერთიანად ცქმუტავდა. მაისი იწურებოდა უკვე, ქუჩები სავსე იყო გასაყიდად გამოტანილი იასამნით. “ალგეთში ყვავის ახლა იასამანი” — გაიფიქრა სანდრომ. ამ ბინდ-ბუნდში, ყვავილები ისე საწყლად გამოიყურებოდნენ... დილიდან მოკრეფილი და დაყრილი, ამ გაზაფხულის

წვიმის წყალობით იყო კიდევ ცოტა რომ მოცოცხლებულიყვნენ. ეგაა, — "ყვავილს თუ დაჭკნობა შეატყვე, უკვე ვეღარაფერს უშველი..." — შორენამ უთხრა ერთხელ სანდროს. პატარა იყო მაშინ სანდრო, სადღაც თორმეტი-ცამეტი წლის. ხის აივანზე დაეყარა ძველი მაგნიტოფონის ნაწილები, დიდი იმედი ჰქონდა რომ ააწყობდა. ასე დაშლიდა ხოლმე ძველ, გაფუჭებულ ნივთს. ახლის დაშლაზე გამბედაობა არ ჰყოფნიდა. შორენა სარეცხის გასაფენად გამოვიდა მაშინ. ხელებზე წურწურით ჩამოსდიოდა წყლის წვეთები, ჩითის კაბა, თმა მაღლა აწეული. კისერი თეთრი, ისიც დაცვარული. ხელით რეცხავდა, გადახრილი და დასცხა ცოტათი. სანდრო იჯდა, ორ პლასტმასის ნაწილს აწებებდა ერთმანეთს.

— ეგ რაა სანდრო, რამე გატეხე? – დაეკითხა მაშინ შორენა.

— არა, დავშალე და ახლა ვაწყობ. – შეიშმუშნა სანდრო, სერიოზული სახე დააწყო.

— მერე რას დაშალე, თუკი აპირებდი აგეწყო ის, რაც ისედაც უკვე აწყობილი იყო? – ცოტა გაურკვევლად კი გამოუვიდა შორენას... მერე სველი თითებით თმა გადაიგდო შუბლიდან.

— ეს რა კითხვაა? – არ მოსწონდა ხოლმე სანდროს, საქმეს რომ უკრიტიკებდნენ.

— არ გაბრაზდე. უბრალოდ დამაინტერესა. აი მე მაგალითად, ამდენი მცენარე ხომ მაქვს სახლში და ყვავილებს კი არასდროს მოვაშენებ... იცი რატომ?

— რატომ? — აზრს ვერ ჩაავლო სანდრომ.

— ყვავილს თუ დაჭკნობა შეატყვე, უკვე ვეღარაფერს უშველი. რამდენიც გინდა უსხი წყალი. შენ არც დაჭკნობას გეკითხება, არც აყვავებას. თავისთვისაა.

— ა-ა... – გულში გაეცინა სანდროს. ეს ქალი სულ ასე ლაპარაკობდა, ულოგიკოდ, საიდან-სად გადახტებოდა და თან სულ მცენარეები ეკერა პირზე. არადა ასე, სარეცხის გადასაფენად თითის წვერებზე წამოწეული, სველი ხელებით და მაღლა აწეული თმით, იყო ამ ქალში რაღაც ისეთი, გვერდზე ჩავლისას ლოყებს რომ უწითლებდა სანდროს. ოღონდ ეს ძველად. კაი ხნის წინ...

სკვერი სავსე იყო ხალხით. ბავშვები ქვიშაში თამაშობდნენ, გვერდზე ბებიები, სახლში დედები და მამები კიდევ, ღმერთმა უწყის სად... ბიჭები იქვე, ხის სკამზე ჩამოსხდნენ. ცოტა ხანი იყურყუტეს, ილაზღანდარეს, მერე ყველამ თავ-თავის სახლს მიაშურა. თამილა უკვე დაბრუნდებოდა, გიო და სანდრო არ დახვდებოდნენ და ანერვიულებული, როგორც ყოვლეთვის, ათას ვინმესთან გადარეკავდა.

— დროა, ჩვენც წავიდეთ! – წამოდგა სადრო.

— იჯექი ცოტა ხანს, გავგრილდეთ. – მაისური გადაიცვა გიომ. ისხდნენ ასე ჩუმად. ბოლოს ისევ სანდრომ ამოიღო ხმა:

— გადაფრენის არ გეშინია? – გაეცინა. გიოსი ისედაც ყველაფერი იცოდა. რაც მნიშვნელოვანი იყო, ყველაფერი იცოდა. ასეთ წვრილმანებზე თუ დაელაპარაკებოდი მხოლოდ.

— არა-ა, რა გადაფრენის... მაინტერესებს კიდევაც. თვითმფრინავი, რამერუმე. როგორი შეგრძნებაა ეს აფრენა და მერე — ცაში...

— არც მე არ შემეშინდებოდა. – თავი დახარა სანდრომ.

— აღიარე ახლა რომ მოგენატრები, მეც მომენატრები! – ჩვეული პათოსით დააბრეხვა გიომ.

— მოიცა რა, ნუ ადრამატულებ ერთი, – ირონიული ღიმილით გახედა

სანდრომ. – ვინ არ გამგზავრებულა. – და უცბად სანდროს მწველი უსამართლობის გრძნობა დაეუფლა სადღაც შიგნით, სადღაც სიღრმეში. უყურებდა ძმას და გიოს ხომ სულ არაფერი მიჰქონდა გულთან ახლოს, ასეთი იყო, რაღაცნაირი... აი, რანაირი?

ეს ბოლოჯერ იყო, რომ ასე ისხდნენ ორნი, საუბრობდნენ. მერე ცოტა დატვირთული დღეები გადაება ერთმანეთს. სანდრო საძილე ტომრის საშოვნად დარბოდა. თბილი ტანსაცმელი... მთელი თვე ლაშქრობაში წასვლა, იოლი ამბავია? გიო ვიზის ამბებში იყო. მერე ეს თამილას გაუთავებელი ფუსფუსი. ყველაფერი საშოვნელი — ჩემოდნები, ჩანთები, ფული...

აეროპორტში მხოლოდ დედა და სანდრო გაჰყვნენ გიოს. დედამ ერთი-ორი ცრემლი ჩამოაგდო და ეგ იყო. გიო ცანცარებდა ისე, აი, როგორც ახალწელს. მხოლოდ სანდრო ხვდებოდა, ასეთი წრიალის იქით, ფორიაქი იმალებოდა. აფორიაქებული მოუთმენლობა. სხვას რომ შეეხედა, იფიქრებდა უბრალოდ კარგ ხასიათზეაო. ასე ხალისიანმა ჩააბარა ბარგი, ხალისიანად გამოემშვიდობა ორივეს და ხალისიანი გავიდა იმ ზღუდის იქით, გამცილებლების შესაკავებლად რომაა დადგმული.

— ერთი, ორი სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი წერო! – აითვალა სანდრომ და გიოც თვალს მიეფარა.

— ესეც ასე! — წამოიძახა უცბად თამილამ. — წამო სანდრი, რამე შევჭამოთ, ძლივს ვდგავარ ფეხზე. – ხელი ძალიან მძიმედ ჩაავლო მკლავში სანდროს, ისიც მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე.

— ნუ ღელავ, — შეეცადა დედის დაწყნარებას – ეგ თავს კარგად მოუვლის, პატარა ხომ აღარაა..

— რამხელები გაგზარდეთ, აწი რაღას დაგიჭერთ კაცი! — ნაღვლიანად გაიღიმა დედამ, — რამხელები გაგზარდეთ! – და თითქოს ვითარებას დაენდოო, ისე ჩამოუშვა ხელი.

XIV
არ იყო, არის და სულ ასე იქნება

საიას შავი თმა აბრეშუმის ნაჭერივით ფრიალებდა ქარში. რაღაც უცნაური დასვენება კი გამოუვიდათ, აი! წოღოს თავზე პანამა ეხურა, პერანგიც გრძელმკლავიანი ჩაეცვა — უთხრეს, ასე ქენიო — მზეს რომ კიდევ არ დაეწვა. ქარი ისე უბერავდა წინიდან, თითქოს ტრასაზე არიან, მთელი სიჩქარით მიაქროლებენო, არადა მანქანა ბორანზე შეეყენებინათ, ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სტამბულის სანაპიროს.

ბორანი დიდი იყო, თეთრად გაღებილი. რკინის მოაჯირებს აქეთ-იქიდან აწყდებოდნენ მარილიანი წვეთები, მთელ გაყოლებაზე მიუყვებოდნენ გემბანს, ისევ ზღვას უბრუნდებოდნენ. "წყალი ხარ და წყლად მიიქცევი" — თავში გაურბინა გიოს. მიჩერებოდა უკან მოტოვებულ აქაფებული ტალღების თეთრ კვალს.

ყველაზე ამაზრზენი საყურებელი ალბათ ცხოვრებაში ისაა, კაცი რომ მცირედით კმაყოფილდება. ეს დანებებას ნიშნავს, ოცნებების დათმობას. გიოში ასეთი დანებებული ადამიანები სიბრალულის გრძნობასაც აღარ იწვევდნენ, მხოლოდ

ბრაზს. სურვილ-შეკვეცილები, ფრთებმოჭრილი ფრინველებივით რომ დაფართხალებენ აქეთ-იქით და ცოტას ჯერდებიან, რაც ერგოთ, იმას. აი, გიო კი სწორედაც რომ ამბიციური იყო. ხანდახან თვითონ აშინებდა საკუთარი ოცნებები, ამდენს როგორ გავწვდებიო... ერთი ის იცოდა დანამდვილებით, წარმატებული იქნებოდა ცხოვრებაში. ბავშვობიდან სწამდა ამის.

ფაატის უნივერსიტეტის მთავარ კამპუსში უკვე გაეკრათ გამოცდების შედეგები. გიომ ჩააბარა. ბარგიც არ ამოულაგებიათ, საერთო საცხოვრებელში წამით არ ასულან, პირდაპირ ისე მიადგნენ ახლად გაკრულ ცხრილებს. საიას გამბედაობა არ ეყო საკუთარი გვარ-სახელი ენახა, პირველად იყო რომ ამ გოგოს გამბედაობა არ ეყო რამეზე. გიოს მოაძებნინა.

— საი... – სერიოზული სახით დაიწყო გიომ. საია გაშეშდა, ბიჭზე მიჩერებული – საი, ჩააბარე!

წოღო გვერდით იდგა, არაფერს ამბობდა, მერე პანამა მოიხადა, ძირს დააგდო და ფეხებით შედგა ზედ. გაკვირვებული შემოტრიალდა გიო, ეს რას შვებაო.

— ვიღაცას უმართლებს, ვიღაცას არა! – რაღაცნაირი საწყალი სიცილით ამოცრა წოღომ. — აი ჩვენი გზებიც გაიყარა-ა...

რას ეტყვი კაცს, რომელსაც რაღაც ქულებით აჯობე? მეგობარს, რომელიც უნდა წავიდეს, შენ კი დარჩე. რას ეტყვი გამარჯვებული, რითი დააწყნარებ, ყველა სიტყვა ყალბად ჟღერს... რა დასამალია, სასიამოვნო ჟრუანტელი დაგდის მთელ სხეულში — ჯერ ერთი რომ ჩააბარე, მეორე რომ აჯობე და მესამე, რომ იმის მწუხარების გვერდით, შენს ბედნიერებას უფრო მძაფრად განიცდი... – ე-ეჰ-ე! — ფიქრობ შენთვის. — ეს მიდის, მე კიდე ვრჩები. მაგარია! — აბა რა მნიშვნელობა ექნებოდა გამარჯვებას, არავინ რომ არ მარცხდებოდეს? რა გინდა რომ თქვა? *ვიზიარებ?.* – როგორც ამბობ ხოლმე ვიღაცის ბებიის პანაშვიდზე ჭირისუფალთან მისული, სულ ცალ ფეხზე რომ გკიდია, რომ არც იცნობდი, ან კი იცნობდი, მაგრამ მოიცა რა, ვის არ ყოლია ბებია? ვის არ დაუკარგავს? შენც კი გყოლია ოდესღაც, ბავშვობაში, არ გახსოვს უბრალოდ. ეტყვი: *ტეხავს?* — როგორც წაქცეულთან წამით შეჩერებული, მუხლგადატყაულს სისხლი რომ ჩამოუდის... ვინ არ წაქცეულა, ვინ არ მჯდარა ველოსიპედზე, ვინ არ შეჯახებია ტროტუარის ამაღლებულ კიდეს... რას იზამ, ცხოვრებაა, ხდება ხოლმე. ეტყვი — *რას იზამ, ხდება ხოლმე?* გიო იდგა და რა ეთქვა არ იცოდა. ბოლოს ბევრ სულელურ ფრაზათაგან ერთ-ერთი აარჩია და ამოუშვა პირიდან:

— რას იზამ, დღეს შენი დღე არაა ძმაო.

— ეგრე გამოდის. — ისევე საწყლად იღრიჯებოდა წოღო – რას არ მივცემდი, ეს დღე ყოფილიყო ჩემი და სხვა დღეები ჭირსაც წაეღო ყველა! – ქუდი აიღო, დაბერტყა საგულდაგულოდ – იცი რა, გიო — სიმართლე ითქვას, დიდად არც მომწონდა აქაურობა. ძაან სიმკაცრეა. ჩემნაირებისთვის არაა, ხომ მიცნობ...

— კი, გიცნობ. – რაღაცნაირად შეხედა გიომ – ჩვენი წოღო!.

— აქ რომ აღმოჩნდით ეგრევე მივხვდი, ჩემი ადგილი არაა რა. ეს ბიზნესი, ფაატი, ეს ინგლისური... არა, თბილისში კი ბატონო, ინგლისურიც და ყველაფერი, მაგრამ ასეთი ტემპი და რამე, ეგ ჩემთვის არაა. ხვდები?

— კი. ყველა ერთნაირი ხომ არ იქნება შე კაცო და ყველა ამ ოხერ ფაატში ხომ არ ისწავლის. ვის დაკარგვია ერთი, არ გავკარი?

— ეგრეა რა. კაი დროც ხომ ვატარეთ და ეგრე. სტამბულიც ვნახე-ე!

საიას არ ესმოდა რას საუბრობდნენ ბიჭები, დაკვირვებით კი უგდებდა ყურს. გუმანით მიხვდა ყველაფერს. ისეთი სახე ჰქონდა წოღოს — საწყალი და მომღიმარი. ჩანთები არ ამოულაგებიათ, ისე გავიდნენ სტუდქალაქიდან დასალევად. შიგნით სმა აკრძალული იყო და ახლა წოღოს სხვა რა უშველიდა. გავიდნენ და იმ პატარა, პალმებით დაჩრდილულ კაფეში ჩამოსხდნენ, გოგოებს რომ მოსწონდათ. თეთრი, მოწნული კალათებით ყვავილები დაედგათ ყველა მაგიდაზე. ასეთი, მოცუცქნული თაიგული... სულ იოტის ოდენა კმაროდა საიას გასახალისებლად. ბავშვივით იყო ხოლმე ხანდახან. დაინახავდა ყვავილს და გაუბრწყინდებოდა თვალები. ლენა უფრო პრაქტიკული ქალი იყო. ზრდასრული და ჭკუადამჯდარი. ეს საიასთან შედარებით, თორემ... ახლა წოღოს მისჯდომოდა გვერდზე, გულს უკეთებდა. ლენას უკვე გამოვლილი ჰქონდა ეს პირველი წლის დაძაბულობა, ჯერ ყველაფერი რომ ახალია, რომ არ იცი სადან დაიწყო მეცადინეობა, რას დაუთმო მეტი ყურადღება. თავიდან ყველაზე ძნელია, მერე ყველაფერი თავისით მიდის — თითქოს სულ ასე იყოო. პირველი ლექცია არასდროს დაავიწყდება გიოს: გატრუნული იჯდა, ლექტორის შემოსვლას ელოდებოდა. ყველაფრისთვის მზად იყო, ასე ეგონა. რა უნდა მომხდარიყო, რომ შეშინებოდა. ზარის დარეკვისთანავე აუდიტორიაში მოტვლეპილთავიანი, ერთი ბეწო კაცი შემოვიდა და აბსოლუტურად გაუგებარ ენაზე რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. ჟღერდა დაახლოებით ასე: *აიველქამიუ ინოურ ედმაირობელუნივერსიტი!* გიო სკამის ზურგს გადაეყუდა და ერთი ესღა გაიფიქრა – "აქ კი დაგერხა, გიო!". მერე ორი ინდოელი ჯგუფელის ეს გულისგამაწვრილებელი ზუზუნი უკნიდან და ბოლოს საიას სასოწარკვეთილი – ალლა იაჰ, ალლა იაჰ! – თაბახის ფურცლები რომ დერეფანში მიმოეფანტა და დაბნეულ გიოს სათითაოდ მოუწია ყველას აკრეფა. გოგოს მძიმე, მძიმე წიგნები ეჭირა ხელში, გაშეშებული იდგა და ელოდებოდა როდის გამოისყიდდა ბიჭი ჩადენილ დანაშაულს...

– Sorry, oh sorry! – წამოიძახა გიომ – You know, it's my first year, my first lesson. I'm a little bit confused. – დაამატა.

– No, no! Thats's my foult. Actually, I was trying too much, not to drop any of these, so, I didn't see you comming out. – გაიღიმა გოგომ და საია მქვიაო, მოაყოლა.

საღამოს სწორედ ამ კაფეში წამოიყვანა გიომ ახლადგაცნობილი საია. სხვა არ იცოდა ახლო-მახლო. ისხდნენ და ერთმანეთს ბანალურ კითხვებს უსვამდნენ: რატომ გადაწყვიტე აქ ჩაბარება და მისთანები. საიამ, უბრალოდ, ოჯახიდან მოშორებით მინდოდა სწავლაო. ანკარიდან ჩამოვიდა. ძალიან შორსაც არ წასულა – ანკარა-სტამბული. გოგოს მწვანე, უბრალო მაისური ეცვა, ტანზე მომჯდარი ჯინსები, სპორტული ფეხსაცმელი... ვიღაც იტყოდა — ყოველდღიურ ფორმაშიაო, გიოსთვის კი ისეთი იყო, აი — უყურებდა და თვალს ვერ აცილებდა. ყველაფერი მოსწონდა ამ გოგოში... იჯდა ახლაც ასე საია, მშვიდად, გვერდით წოღო, იქვე ლენა. აი, ეს ორი ადამიანი რომ მოგეცილებინა და მერე ეს "ზაგრად" წოდებული გაუგებრობაც საიას კანიდან, მზე რომ ქვევით ჩამოგექაჩა და უხერხული ღიმილი აგეკრო გიოს სიფათზე, ყველაფერი ზუსტად ისე იქნებოდა, როგორც მაშინ, პირველად...

რაღაცეები უბრალოდ არ უნდა შეიცვალოს. ეს დაახლოებით ასეა, რომ იყო უკუნი, სრული უკუნი, მერე იყო სიტყვა, გაჩნდა ნათელი, გაიყო ნათელი და

ბნელი... დამყარდა წესრიგი. მორჩა — შებრუნებას, უკუქცევას არ ექვემდებარება! ასეა, რომ იყო მთა დაულაშქრავი, თოვლიანი, ყინულიანი. მერე ავიდა იქ ვიღაც ედმუნდი, თავის შერპასთან ერთად, მოარჯულა მთა, ამოაძვრინა ზურგჩანთიდან დროშა და მყარად დაამაგრა მწვერვალზე... დამყარდა წესრიგი. მორჩა, საქმე გაკეთებულია!. მოკლედ, იყო გიო უამრავი ამოულაგებელი ჩემოდნით, ყველაფერი თავზე ეყარათ, დადიოდნენ, დაწანწალებნდნენ ქალაქში: სპორტული დარბაზებიო, ბიბლიოთეკაო, სტუდენტური გაერთიანებებიო, კლუბებიო... გაარკვიეს როგორც იქნა, ლექციების ცხრილიც. ერთად თითქმის არცერთი ლექცია არ უწევდათ. როცა წოღო "ლისნინგ"-ზე იყო, გიო "სპელლინგ"-ს ესწრებოდა და ასე ყველაფერში... მეორეს მხრივ, იყო საია ანკარადან ახლადჩამოსული, ცოტათი დაბნეული და შეშინებული. გოგო, რომელიც დედამისის ზარებს არ პასუხობდა. ის თუ აინტერესებდა დედას, როგორ ჩავიდა საია, როგორ მოეწყო... გოგოს მშობლები სადღაც ნახევარ წელზე მეტი იყო, რაც გაშორდნენ. საია მამას იყო მიჯაჭვული. ბოლომდე ვერ შეეგუა დედის არჩევანს. ეს დედის არჩევანი იყო ასეთი და მოკლედ, ბრაზობდა გოგო. ვინ არ გაბრაზდება?! მოდიხარ სკოლიდან, ჩანთას სავარძელზე აგდებ, გშია ძალიან, სამზარეულოში დედა გხვდება, გეუბნება: — სანამ შენი პატარა დაიკოები დაბრუნდებიან, უნდა დაგელაპარაკოო. – ასე, უცბად. ჯერ ეჭამა მაინც... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ლენასთან დააბინავეს ახალჩამოსული. ლენამ ცოტათი გაუადვილა პირველი დღეები, სისტემაში გაარკვია, წიგნების შოვნაშიც დაეხმარა, ლათინური ცეკვების ჯგუფშიც ჩაწერა... თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და მაინც, იმ დილით სულ გადაავიწყდა საიას, რომელი ლექცია უნდა ჰქონოდა. დროც აღარ იყო — ცხრილებიდან უკან რაღას მოირბენდა... ყველა წიგნს ერთიანად დააკლო ხელი, ოთახი ფრთხილად გამოხურა, ლენა რომ არ გაეღვიძებინა და თითქმის მიირბინა 134-ე აუდიტორიამდე, რომ კარები გაიღო, ლექციიდან გამოვიდა გიო და გოგო კინაღამ ძირს დააგდო. დერეფანს მიმოეფინა ნაბეჭდი თაბახის ფურცლები...

"ალლა იაჰ! ალლა იაჰ!"

'Sorry' – დაიბნა გიო.

მერე საუბარს შეყვნენ. შავგვრემანი ბიჭი იყო გიო, თვალები — ცოტათი ეშმაკი, ცოცხალი, მოციმციმე.

— OK, meet you after lessons, lets go out somewhere, ok? – აჩქარებით დაეკითხა გიო.

— OK – აჩქარებით უპასუხა გოგომ. მორჩა. დამყარდა წესრიგი. არ სჭირდება ამბავს გაგრძელება. არის რაღაცეები, რაც აღარ უნდა შეიცვალოს...

იჯდა გიო პატარა, სანაპირო კაფეში და საოცარი სიმშვიდე ეუფლებოდა. აი, ნამდვილი სიმშვიდე. ისეთი კი არა, რომ იცი ხუთი წუთის წინ გული საშინლად გიცემდა და ხუთ წუთში ისევ ამოგვარდება საგულედან, ისე კი არა, წამით რომ ჩამოჯდები ქუჩის გრძელ, ხის სკამზე, აქოშინებული და მორიგი გარბენისთვის გაემზადები, არა. აი ისე, რომ გადახედავ მომღიმარ საიას, გადაეყუდები სკამზე და დამშვიდებული მილულავ თვალებს, ყველაფერი თავის ადგილზეა. არ იყო, არის და სულ ასე იქნება.

XV
ამასობაში

ხშირად კი არ დგება ასეთი დღეები, მთელი სამყაროს ერთიანად აღქმას რომ გაიძულებენ. გარეთ გასული ჰაერს ღრმად ჩაისუნთქავ და ქუჩაში ყველა დეტალს თავის მნიშვნელობას ანიჭებ. სულაც რომ ვერ ხედავდე და არ გესმოდეს, მხოლოდ იცოდე, იქ, სადღაც, ალგეთის მიყრუებულ სოფელში, სახურავი წვიმას ვერ იკავებს და წვეთ-წვეთობით მორიგი გუბე ჩნდება შენს პატარა, ორსართულიან სახლში და თუმცა წლებია უკვე იცი, რომ სახურავი შესაკეთებელია, იცი რომ ასეთი ტბორები ყოველ წვიმიან დღეს აფრთხობს სახლში დაბინადრებულ მინდვრის თაგვებს, მხოლოდ ასეთ, განსაკუთრებულ დღეებში განიცდი ყოველი მორიგი წვეთის ჩამოვარდნას. მხოლოდ ასეთ დროს ფიქრობ, რომ სადღაც ახლა წვიმს...

სწორედ ასეთი, ზაფხულის საღამოშემოპარული დღე იდგა, როცა სანდრომ ახალი, გიოს გამოგზავნილი ყავისფერი ქუდი თავზე ჩამოიფხატა, კარი გააღო და გარეთ გამოვიდა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მწვანე ფოთლებით გაჟღენთილიყო თბილი საღამო... პატარები ბურთს თამაშობდნენ — მთელი უბნის ბავშვები ერთად შეკრებილი. ერთი ამბავი ჰქონდათ. დიდი ხანი კი არ იყო მას მერე, რაც სანდრო და გიო დარბოდნენ ამ ეზოში, ბურთს გაკიდებულები და კიდევ წოღო, ვახო, გივი, სერგო, რამდენი კიდევ... ახლა ბურთს თამაშობდნენ კი არა, აგერ, კუს ტბაზე თუ შეიკრიბებოდნენ, ვითომ სავარჯიშოდ, სინამდვილეში, მხოლოდ სიგარეტის მოსაწევად და ლუდის დასალევად. ანი უნდა ჩამოსულიყო დღეს. სადღაც გურიაში იყო სოფელში, მეგობართან. როგორ იციან გოგოებმა ეს ერთად წასვლა და ყოველთვის კარგი დროის გატარება, რაც არ უნდა იყოს, სადღაც, სულ გადაყრუებულშიც რომ აღმოჩნდნენ, ან შეიძლება მხოლოდ ამბობენ, რომ კარგი დრო გაატარეს. მოკლედ, ჩამოდიოდა დღეს ანი და სანდროც საგანგებოდ გამოეკაზმა ასე რაღაცნაირად, დიდურად. ზღვაზე გარუჯულს უხდებოდა თეთრი მაისური და ეს ხაკი შარვალი, ყავისფერი ქუდი, უკანა ჯიბეში სიგარეტი, წინა ჯიბეში სახლის გასაღები... ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო და სანდრო ერთიანად ცქმუტავდა, იმიტომ რომ ბოლოს, ანიმ რომ დაურეკა, ასე შემოუთვალა — ერთი სული მაქვს როდის გნახავო და ანი კი ისეთი დაუფიქრებელი იყო, შეეძლო ასეთი რამეები სულ ჰაიჰარად ელაპარაკა — აი, როგორც გიომ იცოდა, ისე და მაინც, სხვა რა უნდა ეთქვა ამაზე უკეთესი?

— ერთი წერო, ორი წერო, სამი წერო. — ნაბიჯებს ითვლიდა სანდრო. ასე იცოდა. დაისახავდა ხოლმე მიზანს:

— აქედან იმ ხემდე — ოცდაერთი წერო, – შეაფასებდა მანძილს და დაიწყებდა ნაბიჯების ათვლას. ძირითადად ყოველთვის არტყამდა, თუ ცოტა მანძილი რჩებოდა და ბევრი წერო გასაფრენად, პატარა ნაბიჯებით იწყებდა სიარულს. თავს იტყუებდა ასე.

— ზუსტად ოცდაერთი! – წამოიძახებდა ბოლოს, ხემდე მშვიდობით მისული და წეროებსაც ცაში გაუშვებდა, როგორც ყოველთვის.

სტადიონის მიღმა სკვერში ბიჭები ისხდნენ. სულ ახალი სახეები. იმდენი ახალი გადმოვიდა უბანში ამ ბოლო დროს. ძველად თუ არ ეამხანაგებოდი, სახეზე მაინც ცნობდი. დიდები კი იყვნენ შედარებით, ესე — ოცი-ოცდაორი წლისა და

იკაც იდგა თითქოს სადღაც, თუ მოეჩვენა. მოკლედ, გული კი აუთამაშდა უცნაურად. მშიშარა კი არ იყო სანდრო, არა, უბრალოდ ასე ვის არ უჩხვლეტს ხოლმე ხანდახან გულზე. სულ ოდნავ.

დღე იყო ისეთი. აი, მარტო ღრმად გესუნთქა კი არა, მთელი სამყაროსათვის მაღლიდან უნდა დაგეხედა, ან არც მაღლიდან, უბრალოდ კორპუსები მიგეწია-მიმოგეწია, ერთი-ორი სტადიონი, მანქანები, ხეები და დაინახავდი როგორ აირბინა თამილამ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეებზე. რა ლამაზი კაბა ეცვა — გრძელი, თეთრი, ყვავილებიანი. ერთთვიანი შვებულება დაუმთავრდა დედას, როგორც ყოველთვის, გამოუცნობი ენერგიით სავსე, ახალი სასწავლო ცხრილის შესათანხმებლად მიიჩქაროდა დეკანატში. დაღლილი ხელებით კაბის ბოლოებს ზევით წევდა, არ დამესვაროსო. მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადაღმა, ცოტა ზევით და ცოტა მარცხნივ, საბარგულახდილი "ჟიგულიდან" ვიღაც საზამთროებს ყიდდა. ერთ-ერთ მზისგან გახურებულ საზამთროზე კატა წამოგორებულიყო. კატას ეძინა და ალბათ ესიზმრებოდა, რომ გზა ცისფერი იყო, ცა მზის ფერი. მზე თაგვისფერი... თაგვი? თაგვი კი არსად ჩანდა. კატა ძალზე დაამწუხრა ამ ამბავმა. ქუთუთოები ასწია, გვერდზე ჩავლილ მანქანას თვალი გააყოლა და ისევ ძილს მიეცა. მანქანაში ტაქსისტი ბორია იჯდა. ჩვენი ეზოელი, ტაქსისტი ბორია. ბორიას კარგი დღე არ გაუთენდა, კლიენტები ჰყავდა ცოტა. ან ვის რაში სჭირდება ტაქსი, როცა ყველამ საკუთარი მანქანა შეიძინაო – ფიქრობდა ბორია... დათუკამ თავისი პირველი გოლი გაიტანა "არწივების" კარში, გახარებულმა კლასელებმა კინაღამ დაახრჩვეს ამდენი ჩახუტებით, ზესტაფონის სადგურიდან კი როგორც იქნა გავიდა დაგვიანებული მატარებელი. მატარებელი, მზია და ბავშვები ერთად დაიძრენ ბათუმისაკენ. სწორედ მაშინ, კომპიუტერს მიმჯდარმა გიომ საჩქაროდ გახსნა ახლადგამოგზავნილი წერილები, რომ ყველას წაკითხვა მოესწრო, სანამ ფაატის ბიბლიოთეკაში შემოვიდოდა საია, საიამ კი წარმატებით შეაყენა მანქანა კამპუსთან, როცა სანდრომ გულისჩხვლეტით გადაკვეთა წვრილი ქუჩა, თითქმის გასცდა მაღაზიას წარწერით – "სურსათი" და აშკარად გაიგონა, როგორ დაუძახა ზურგს უკან ვიღაცამ:

— ჰეი სანდრო! საქმე გვაქვს, ერთი წუთით!

სანდრომ არ შეიმჩნია, ნაბიჯს აუჩქარა მხოლოდ.

— ჰეი! სანდრო!. გაჩერდი ერთ წუთს... ჰეი! სად მიდიხარ, გაჩერდი-მეთქი!

სანდრომ სკვერი გადაირბინა, უკან არც მოუხედავს ისე შევარდა რომელიღაც ეზოში, პირველსავე ეზოში. იქ გასასვლელი არ დახვდა — მხოლოდ ხრეში, ბევრი ხრეში, წინ კი — გაულესავი აგურის კედელი.

— სად მიდიხარ...

სანდრომ მობრუნება ვერ მოასწრო, რომ იკამ უკვე კედელთან მიაბჯინა, მაგრად დაუჭირა მარჯვენა ხელი. მერე ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. უცბად ხრეშის ხმა, გვერდიდან, საიდანღაც ოთო და სახეზე ხელისგული, არც აპირებდა დაყვირებას. ძალიან ჩუმი, შეთანხმებული მოძრაობები, სუნთქვა ცოტა აჩქარებული. მერე უცნაური ტკივილი მუცელში, ასე რამდენჯერმე. გვერდით კედელი წითელაგურიანი. აგურები აითვალა სანდრომ: ერთი, ორი, სამი... ცოტა შორიდან შეძახილი — *ფეხი გამოადგი, იკა!* ქვევით სისხლის ერთი ბეწო, თითქმის შეუმჩნეველი წვეთები. სამი, ოთხი, ხუთი — კიდევ აითვალა აგურები სანდრომ. გათავისუფლდნენ ხელები, ასფალტს მოსწყდნენ იკას შავი "ბათინკები", ტყავის...

ხუთი, ექვსი, შვიდი! და სანდრომ ვერც შეამჩნია ყავისფერი ქუდი როგორ დავარდნია ძირს. მამას ჰქონდა ასეთი. მთელი კარადა მამას ქუდები... რვა, ცხრა და ბოლო დაცემა, ბოლო დაცემა იგივე მსუბუქი სხეულით, მხოლოდ რაღაც წარმოუდგენელი ძალით, როგორც ზღაპრებში ეცემიან ბუმბერაზები, შეარყევენ დედამიწას, დაიგრუხუნებს ცა, ერთიანად მოჯახუნდებიან შემოღებული ფანჯარები, ან იქნებ საერთოდ არ გაისმას რაიმე ხმა, ხმა ხომ იგვიანებს ხანდახან, თუ შორს დგახარ და მხოლოდ რაღაც დროის მერე იყვირებს ქალი — უშველეთო. მაშინ გამოვარდებიან ცნობისმოყვარე ბავშვები, თან მოჰყვებიან უფროსები და ეზოში შეგუბდება ჰაერი. ვინმე შემოღებულ ჭიშკარს მივარდება — იქნებ დამნაშავე დავინახოო. იქნებ სასწრაფოშიც დარეკავს, ან მანქანას გამოიყვანს — უფრო სწრაფად მივალთო. მერე კი ირკვევა რომ ამას აზრი არა აქვს, რომ უკვე აღარაფერს აქვს აზრი. ასე ერთ-ერთი მათგანი იტყვის, ხალხიც მას მიაჩერდება ანაზდად. მერე ეზოში სიჩუმე ჩამოვარდება. ყველა ერთიანად გაკმენდს ხმას, ან იქნებ სიჩუმე ცოტა მანამდე ჩამოვარდება და ყველას ხმას გააკმენდინებს. მერე კი ახლად გამოფხიზლებულივით იკითხავს ვიღაც — ღმერთო ეს ის არააო? და ვიღაც უპასუხებს — ჩემთან დავწვინოთო, ან იქნებ უბრალოდ იტყვის — ღმერთოო. პატარა კულულებიანი გოგონა ეზოს ჭიშკრიდან გაიხედავს და რეზიკოს დაუძახებს — მოდი ნახე ჩვენთან რა მოხდაო. რეზიკო ხელს გაუშვებს შავგვრემან, მაღალ ქალს და გოგონასკენ გაიქცევა, ამით ძალიან გააბრაზებს დედას.

– რეზიკო! – დაუძახებს დედა რეზიკოს, სწორედ მაშინ, როცა საია წაიკითხავს ინგლისური ასოებით დაწერილ სიტყვას – ა მ ა ს ო ბ ა შ ი და მთელი გულით გადაიკისკისებს.

— It means – in that time, like – *while* _ გადაუთარგმნის გიო.

— Really? For me it sounds like some kind of a building – უპასუხებს გოგო.

* * *

ასეთ დროს ყველაზე უცნაური დაუსრულებელი ამბებია ხოლმე, არშემდგარი ამბები. ეს დაახლოებით ასეთი სახით იყინება წარსულში – უნდა მომხდარიყო და არ მოხდა, ანუ — იყო და აღარ იყო რა...

ხომ მოხდა რომ მოიქნია ხელი ქეთინომ, სახეში გააწნა ირაკლის — აი, ჯვრისწერამდე სულ რამდენიმე საათით ადრე, კინოფილმებში რომ არის ხოლმე, ისე და კარადაში საკიდზე ჩამოკიდული დარჩა თეთრი, ფაშფაშა საქორწინო კაბა...

ხომ მოხდა რომ იყიდა ლუკაჩომ მატარებლის ბილეთი ბათუმამდე, მეორე დღეს კი ლოგინში ჩაწვა, ოცდათვრამეტი სიცხით, მთელი ეზო მის გარეშე წავიდა საგრიალოდ ზღვაზე.

ხომ იყო რომ წერდა ლადო სასიყვარულო წერილს ვალენტინობა დღეს — წერდა, თითქმის ბოლოში გავიდა, მერე რაღაც შიში დაეუფლა თუ რა იყო, ფურცელი შუაზე გადახია, ურნაში გადაუძახა და უკმაყოფილო გავიდა ოთახიდან.

ხომ იყო რომ საუბრობდნენ ტელეფონზე ანი და სანდრო, ანი გურიიდან მეორე დღეს ბრუნდებოდა თბილისში. ბევრი ისაუბრეს თუ ცოტა, ბოლოს ასე ჰკითხა სანდრომ:

— ანი, გიყვარს ციგურები?

— ციგურები? – დაიბნა გოგო – მიყვარს, ოღონდ სრიალი არ ვიცი. – დანანებით ჩაილაპარაკა. — არადა წესით, რატო არ უნდა ვიცოდე...

— გასწავლი გინდა? – სანდრომაც არ იცოდა სრიალი. ასე გათვალა, რომ ორ დღეში თვითონ ისწავლიდა და მესამე დღეს ანის ასწავლიდა. — ეს ერთიორი დღე არ მეცლება და ოთხშაბათს — კი ბატონო.

— კარგი სანდრო, შევთანხმდით! – გაეცინა გოგოს და ერთი სული მაქვს როდის გნახავო – მოაყოლა. ეს იყო და ეს. დაკიდა ორივემ ყურმილი.

XVI
წეროები მიფრინავენ, ანუ, ვერ დაიჭერ და — გაფრინდა...

საიას თავი გიოს მუხლებზე ჩამოედო, ბიჭის თითებს ათამაშებდა უაზროდ და მუსიკას უგდებდა ყურს, საერთო საცხოვრებლის პირველი სართულიდან ამომავალს. ვიღაცას ელვის პრესლი ჩაერთო. მთელ ხმაზე აწეული დინამიკებიდან *ახლა ან არასდროს* — ისმოდა გულისდამთუთქავი სიტყვები. ისვენებდნენ ფაატის უნივერსიტეტის სტუდენტები — ზოგი ცეკვავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი უბრალოდ ყირაზე გადადიოდა და ყველაფერი ასე გაგრძელდებოდა, სანამ მთავარი კამპუსის დერეფანში დაკოჟრილხელებიანი ადმინისტრატორი არ გამოკიდებდა სასწავლო ცხრილს, აუდიტორიებისა და საათების ზუსტი მითითებით. მანქანიდან ახლადამოზიდული ჩემოდნები კარებთან ელაგა, კედელს მიყუდებული. ორივეს ეზარებოდა წამოდგომა და ნივთების ამოლაგება. გზამ დაღალა ასე გიო, თუ დილის ამ წოწიალმა იალოვას სანაპიროზე, ახლა განძრევის თავი არ ჰქონდა. იჯდა და ფანჯრიდან შემოსული ნიავისთვის მიეშვირა სახე. ერთი მეტრი იყო დაშორება ლოგინიდან კომპიუტერამდე. ერთი წამი უნდოდა ინტერნეტში შესვლას და მხოლოდ ერთი რამე აინტერესებდა ახლა გიოს – მოვიდა თუ არა, ბოლოსდაბოლოს, ასე დაგვიანებული წერილი სანდროსგან.

* * *

— ასე რომც მივწერო, რა მივწერო? ვთქვათ და მივწერე... ვახო, მითხარი რამე, რა?. შენ მიკარნახე და ბაზარი არაა...

— საერთოდ მარაზმია, მე თუ მკითხავ. მე იმაზეც წინააღმდეგი ვიყავი რომ არ უთხრეს და ასეთი რამის დამალვა რანაირად შეიძლება, ვერ ვხვდები...

— არ უთხრეს ეგ ერთი, და მერე მოდის თამილა და ეგეთ რამეს მეუბნება. არა მაგ საწყალი ქალისაც მესმის, მაგრამ ბიჭები თუ არ დამეხმარეთ... უნდა დამეხმაროთ. ერთად თუ მივწერთ რამეს. მოკლედ, მარტო მე მაგას ვერ ვიზამ. არ შემიძლია რა!

— თამილასი კი მესმის, დედაა და ეშინია, როგორ არ მესმის, უბრალოდ არ გვაპატიებს გიო... ხომ, ვიცი რომ არ გვაპატიებს. სანდროს ნაცვლად წერილის მიწერა... არა რა. სიგიჟეა. ახლა ეგ ქალი ისეთ დღეშია, საღად ვერ აზროვნებს. ადრე თუ გვიან, გიო მაინც გაიგებს და მერე უარესია კიდევ. არ გვაპატიებს.

— უბრალოდ, რაღა მე მთხოვა, რაღა მე?!

* * *

რაღაც სასიამოვნო იყო ამ ოთახში ისეთი... სიმშვიდე და წესრიგი. ერთმანეთში ჰარმონიულად შერწყმული ფერები: მწვანე, თეთრი, ყავისფერი. მოჩანდა მდელო კარგად მოვლილი, გაკრეჭილი. ოთკუთხედი, გამოყვანილი ბუჩქები, ფრენბურთის მოედანი ცოტათი მოშორებით... აუღელვებლად იწვა საია. შავი თმა უჩრდილავდა სახეს...

არ იცოდა გიომ რა მოხდებოდა მომავალში. სად იქნებოდა ერთი წლის მერე, აქ დარჩებოდა თუ არა, როგორ გაგრძელდებოდა ცხოვრება, რას გააკეთებდა... იქნებ ბიზნესი დაეწყო, იქნებ კიდევ წლები ესწავლა... თავში იმდენი კითხვა უტრიალებდა ყოველ დღე, ყოველ წუთს, ყოველ წამს... მხოლოდ ახლა არა. მხოლოდ ახლა არა. ახლა ფანჯრიდან უბერავდა სასიამოვნო, გრილი ნიავი, საია აქვე იყო, გიოსთან და ორივე ერთად იყვნენ – "შინ".

— გიო, როგორ გგონია, არის რამე ამაზე უფრო რეალური? – რა ზუსტად იკითხა მაშინ საიამ.

* * *

— ეგ როდის იყო. როდის გითხრა? – შეწუხებული იჯდა ვახო.

— ამ ორი კვირის წინ, ეგ ამბავი რომ მოხდა, ჯერ ხომ გვთხოვა გიოს არაფერი მიწეროთო, მერე ჩემთან გადმოვიდა. ვდრუგ და რა, ეგეთ რამეს მეუბნება. რას ვეტყოდი, ხომ არ ვეტყოდი — არა თამილა დეიდა, მე მაგას ვერ ვიზამ-მეთქი!. თან ისე მთხოვა რომ არ ვიცი... გიო რომ აქ ჩამოვიდესო... ეგ არ მოისვენებს, შურს იძიებს, უარეს რამეს იზამს, თავს დაიღუპავსო. — ერთი ეგეცაა, ჩვენც ხომ ვიცით, გიო ასე უბრალოდ არ დატოვებს მაგ ამბავს. ეგ ეგრეა.

— მაგრამ ასე მოტყუებაც არასწორია. რა ვიცი, ვიცი? არ ვიცი...

* * *

— არაფერი საი. ამაზე რეალური ახლა არაფერია. – პასუხობს გიო და ეღიმება. საიამ ხომ ისე ზუსტად თქვა, როგორ ზუსტად თქვა, გიოს მაშინვე გაახსენდა — ის ოჯახი, პარკის წინ, პიკნიკზე გამოსული ოჯახი. — რაღაცეები არის საი, რაც ყველაფერზე მნიშვნელოვანია. ახლა ვუფიქრდები რომ ასეა. აი ჩიტებიც, მიფრინავენ თბილ ქვეყნებში, მაგრამ ბუდეებს ხომ აქ ტოვებენ. ბუდე მთავარია. ასე არაა? მე ასე მგონია საი, რომ ყველაზე რეალური ეგაა. – საიას შავ თმას ოდნავ არხევდა, ვერ ერეოდა ნიავი.

— წეროები, გიო? – ნასწავლი თამაში გაახსენდა და გაეცინა გოგოს.

— მიფრინავენ! — გახალისდა უცბად გიოც.

* * *

— არასწორია, აბა რა არი! მოკლედ, ბიჭებს დავუძახებ და ერთად თუ ვიზამთ რამეს. ან ჩვენ რა ვიცით სანდრო რას წერდა, რა უნდა მივწეროთ... ეგეცაა.

— მოვლენ ბიჭები და გადავწყვეტთ.

— კი, მოვიდნენ და გადავწყვიტოთ. — გაჩუმდა ვახოც.

* * *

— სად? – ხელი გაამზადა საიამ.

— შო-ო-ორს! –ეშმაკური ღიმილით პასუხობს გიო. თვალები გაურბის კუთხეში მდგარი კომპიუტერისკენ — იქნება და მოვიდა წერილი?

— რამდენი? – ისევ ეკითხება გოგო.

— ერთი! – ცოტა დაიძაბა გიო.

— ერთი! – მოიქნია ხელი საიამ, ეცადა ბიჭის ხელისგული როგორმე გამოეჭირა, მაგრამ უშედეგოდ — გიომ სწრაფად აიქნია მკლავი მაღლა, თითები ჰაერში აათამაშა და თვალები ცისკენ გააყოლა ნათქვამს:

— გაფრინდა-ა!.

დასასრული.

ილუსტრაცია: ყოყა თოფყორია

რომანები

ენტონი ბერჯესი – *'მექანიკური ფორთოხალი'*



წინასწარმეტყველების მექანიკა, ანუ ერეტიკული შენიშვნები ერთი არშემდგარი ლიტერატურული იუბილეს გამო

ზუსტად ამ 30 წლის წინ, ქრისტეს შობიდან 1962წ.*, ინგლისის წიგნის ბაზარზე გამოჩნდა ჩვენებური გაგებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერლის, ენტონი ბერჯესის მომცრო რომანი "მექანიკური ფორთოხალი" – ერთი მელომანი სადისტის ამბავი, ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამიზნული, არანაკლებ სადისტური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი რომ შეიქნა, მაგრამ შემდეგში, ხელისუფალთა კონიუნქტურული პოლიტიკის წყალობით, კვლავ მიეცა საშუალება, პირვანდელ მდგომარეობას დაბრუნებოდა... მოქმედების დრო – შორეული მოვალი, როცა ინგლისში ტოტალიტარული რეჟიმია გამეფებული; ტექსტი – "მოდერნისტული", უხვად გაჯერებული ინგლისურენოვანი მკითხველისათვის მეტად ეგზოტიკური ცხოვრებისეული დეტალებითა და რუსიციზმებით (მინიშნება საბჭოეთის ექპანსიაზე) და კიდევ, ლაიტმოტივი-მეტაფორა: ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია როგორც რომანის მთავარი გმირის, უფრო სწორად კი ანტიგმირის, საქმეთა და საფიქრალთა თანამდევი ფონი. ერთი სიტყვით, ეკლექტიკური, თუმცა შინაგანად დამუხტული მხატვრული ოპუსი, თითქოსდა იმთავითვე განწირული ხმაურიანი წარმატებისთვის. მაგრამ ასე არ მოხდა: მკითხველ საზოგადოებაში რომანის პუბლიკაციას დიდი აჟიოტაჟი არ გამოუწვევია, თითო-ოროლა დადებით რეცენზიას თუ არ ჩავთვლით და მხოლოდ ათწლიანი დაგვიანებით, სტენლი კუბრიკისეული ეკრანიზაციის შემდეგ, როცა ალეკს-მაკდაუელის, თუ მაკდაუელ-ალეკსის სახე-ნიღაბმა მსოფლიო კინოთეატრების აფიშები დაიპყრო, ფილმის ლიტერატურულმა პირველწყარომაც საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

კაცმა რომ თქვას, ასეთი ნაგვიანევი აღიარება მნიშვნელოვანწილად იმდროინდელი ევროპის საზოგადოებაში გაბატონებული ფსიქოლოგიური კლიმატითაც იყო განპირობებული: ყველას კარგად ახსოვდა ახლადგადაგორებული ახალგაზრდული ჯანყის ტალღა, ერთიანად რომ შეაზანზარა მთელი დასავლური სამყარო, თუმცა თავიდან ინტელექტუალური ელიტა გარკვეული სიმპატიითაც კი შეეგება რესპექტაბელურ "მომხმარებელთა საზოგადოების" შვილთა ექსტრავაგანტურ გამოხდომებს, ცდილობდა გაეგო კონტრკლტურის არა მარტო ესთეტიკა, არამედ იდეოლოგიაც – იმის მიუხედავად, რომ ხშირად ძნელი ხდებოდა ზღვარის გავლება კონტრკულტურასა და ანტიკულტურას შორის. მეტიც, ჟან-პოლ სარტრი დემონსტრაციულად იმუქრებოდა, ჩემი ხელით გამოვიტან ლუვრიდან "ჯოკონდას" და ცეცხლში გადავუძახებო; პაზოლინი ჰომოსექსუალიზმით იწონებდა თავს, ენცენსბერგერი კი საერთოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ წიგნი, როგორც ასეთი, საერთოდ არაა საჭირო და არც წიგნის კითხვაში ყრია რამე ხეირი... მაგრამ როცა 1968 წლის გაზაფხულზე ახალგაზრდა რევოლუციონერები სიტყვი-

* მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, წერილი პირველად 2002 წ. დაიბეჭდა — *"ფორთოხლის"* II გამოცემის წინათქმად, თუმც კი ზუსტად ათი წლით ადრეა დაწერილი...

დან საქმეზე გადავიდნენ და შიგ ევროპული ცივილიზაციის გულში, პარიზში, ძალადობის ნამდვილი ფეიერვერკი მოაწყვეს, "მამების" თაობა დაბნეულობამ შეიპყრო. თვით "ახალ მემარცხენეთა" უფროსი თაობის იდეოლოგი, ჰერბერტ მარკუზეც კი შეწუხდა და საქვეყნოდ განაცხადა, მე ეს არ მინდოდაო...

სწორედ ამ დროს გამოვიდა ეკრანებზე კუბრიკის ფილმი და ბერჯესის რომანმაც, როგორც იტყვიან ხოლმე, ახალი ცხოვრება დაიწყო.

საქმე ისაა, თუკი ბერჯესის შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის გასაღების მორგებას დავაპირებთ, თუკი შევეცდებით იმ ფორმულის პოვნას, ლაკონიურად რომ განსაზღვრავდეს მისი მწერლობის არსს, ალბათ ყველაზე უპრიანი იქნება სიტყვა *ერეტიკოსი* (აქ, რასაკვირველია, გამოვრიცხავთ ამ ცნების შეფასებით მნიშვნლობას). ერეტიკოსი მეამბოხისაგან კი უპირველესად იმით განსხვადება, რომ მას თავისი თეორიული ბაზისი გააჩნია; ერეტიკოსი არასოდეს უარყოფს მხოლოდ უარყოფის მიზნით, იგი საკუთარი თვალსაზრისის დამტკიცებას ცდილობს, ყველგან და ყოვლთვის...

ერთი შეხედვით, ამგვარი დახასიათება ბერჯესის მიმართ ნაკლებად გამოდგება – ყოველ შემთხვევაში, "მექანიკური ფორთოხალი" მთლიანად თავისუფალია ავტორ-დემიურგის მორალისტური თუ კონცეფციური ქადაგებისაგან, მაგრამ ერეტიკოსი რის ერეტიკოსია, თუ დაკანონებულ ნორმას არ გადაუხვია და ის ფაქტი, რომ ბერჯესის რომანი ათი წლის დაგვიანებით აღიარეს, შეიძლება არა იმდენად სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, არამედ გარკვეული ლიტერატურული დოგმატების დარღვევითაც იყო გამოწვეული. ჯორჯ ორუელის *"1984"* ხომ გამოსვლისთანავე მონათლეს წინასწარმატყველებად, თუმცა იგი არსებულის დაფიქსირება უფრო იყო; აი, "ფორთოხალი" კი – სხვა ანტიუტოპიებთან შედარებით – ნამდვლად წინასწამეტყველური აღმოჩნდა.

ანტიუტოპია, ფაქტიურად, არსებული სინამდვილის უტრირებული მოდელია მხოლოდ, ოღონდ ბერჯესს არც უცდია მისი რაიმე ახალი მოდელის შექმნა – "ფორთოხალი" ანტიუტოპიის პაროდია უფროა; რომანში თხრობა პირველი პირით მიმდინარეობს, მაგრამ ამაოდ ვეცდებით მასში რაიმე აღსარების მაგვარის ძიებას – იგი აღმსარებლური პროზის პაროდიაცაა, თავად ნაწარმოების ტექსტი კი თავისუფლად შეიძლება აღვიქვათ, როგორც ჯოისისეული *შინაგანი მონოლოგისა* და ორუელის *ახალი ენის* პაროდირებული ვარიანტი.

მოკლედ, რა ჟანრობრივი მოდელიც არ უნდა მივუსადაგოთ, "ფორთოხალი" ყოველთვის წარმოგვიდგება როგორც ნებისმიერი ჟანრის ერესი. აქედან, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ ვერ გაიაზრეს თავის დროზე ალეკსის მხატვრული სახე წინასწარმეტყველებად: თვით წინასწარმეტყველების მექანიკა იყო მეტისმეტად რთული, უფრო სწორად, გართულებული. ალეკსის სულიერი ნათესაობა 60-იანელ მეამბოხეებთან სიღრმისელი სიახლოვეა და არა ზედაპირულ-პუბლიცისტური. მათ ნიჰილიზმი აერთიანებთ, თორემ თავის პარიზელ თუ ნიუ-იორკელ თანამოძმეთაგან განსხვავებით, ალეკსს პოლიტიკა სულ ფეხებზე კიდია, ხოლო

“ბითლზის” *Roll Over, Beethoven* ალბათ, მკრეხელურადაც კი მოეჩვენებოდა. რასაკვირველია, ბერჯესს შეეძლო რომანში იმთვითვე გადაენაცვლებინა აქცენტები, მოეხსნა ყოველგვარი პოსტმოდერნისტული შენიღბვა და უფრო ცხადლვ მოეხდინა თავისი წინასწარმეტყველების მექანიკის დემონსტრირება, მაგრამ ეს, ჩვენში გავრცელებული მოდური თქმა რომ გამოვიყენოთ, უეჭველად მისი მწერლური მრწამსის ღალატი იქნებოდა...

რაც შეეხება საკუთრივ იდეას, აქ ბერჯესი ერეტიკოსია სწორედ რომ კანონიკური გაგებით: კათოლიკური აღმსარებლობის მწერლისთის ფუნდამენტურ პრინციპად თავისუფალი ნება, თავისუფალი არჩევანი – უფრო სწორად, ამ პრინციპის *აბსოლუტიზაცია* ქცეულა. თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკა ბერჯესს ნეტარი ავგუსტინეს სახელგავარდნილი ოპონენტის, სწორედ იმ პელაგიუსის მემკვდრედაც კი მიჩნევს, რომელიც აღაფრთოვანებდა ერაზმ როტერდამელს და ნერვებს უშლიდა ლუთერს...

და ენტონი ბერჯესიც – მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი და კომპოზიტორი – როგორც ჭეშმარიტ ერეტიკოსს შეშვენის, შესაშური შეუპოვრობით ავითარებს თავის თხზულებებში თავისუფალი არჩევანის უზენაესობის პრინციპს, როგორი ლიტერატურული ფანდებითაც არ უნდა ნიღბავდეს სათქმელს. მისი იდების პროტაგონისტები იშვიათად არიან “დადებითი გმირები”, ხშირად კი იდეა რამდენიმე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პერსონაჟშია გაფანტული. “ფორთოხალში” ასეთი პროტაგონისტი თითქოს ჩარლი კაპელანია – ლოთი და კარიერისტი მღვდელი; კიდევ ერთი კათოლიკე (და ერეტიკოსი!) მწერლის, გრემ გრინის დაკომპლექსებულ გმირებს რომ მოგვაგონებს, მაგრამ როგორც პატრიოტული რიტორიკის მოძულე ჯეიმზ ჯოისმა (ასევე კათოლიკემ და ასევე ერეტიკოსმა) თავისი სიყვარული სამშობლოსადმი “ულისეს” მეშვიდე ეპიზოდში – მავანი ირლანდიელი ორატორის პაროდირებული სიტყვით გაამჟღავნა, ენტონი ბერჯესის შემოქმედებითი კრედოც მისი ყველაზე სახელგანთქმული რომანის მეორეხარისხოვანი გმირის – ბედოვლათი, “იმ ჩემის მწერალის” დაუმთავრებელი თხზულების ფრაგმენტითაა გადმოცემული: *‘... ყოველგვარი მცდელობა, თავს მოვახვიოთ ადამიანს – არსებას მზარდსა და ღვთის ბაგეებზე სიტკბოების შესაძლო მომტანს – თავს მოვახვიოთ-მეთქი კანონები და ის პირობები, მექანიკური ქმნილებისათვის რომ უფროა შესაფერისი, აი ამის წინააღმდეგ მივმართავ მე კალამს – ჩემს ერთადერთ მახვილს...’*

* * *

“მექანიკური ფორთოხლის” ამ თავისებურ იუბილესთან დაკავშირებით, რასაც ინგლისის ლიტერატურულ და მუსიკალურ წრეებში ყოვლად სერიოზულად აღნიშნავენ, ერთი ის შეიძლება ვთქვათ, რომ ამ მხრივ მას ჩვენში, უბრალოდ, გაუმართლა: 1990წ. პირველად გამოვიდა წინამდებარე თარგმანი, სადაც მშვენივრადაა გადმოქართულებული მწერლის ეკლექტიკური, ფარული ალუზიებითა და რემინისცენციებით დახუნძლული ტექსტი. ეს იმანაც განაპირობა, რომ თვით ორიგინალისადმი მიდგომაც, გარკვეულწილად,

ერეტიკული იყო: თარგმანი იმდენად თანაბრად მიედინება, ქუჩის ჩხუბის სცენებიც კი (!) იმდენად ბუნებრივადაა აღწერილი, მკითხველში ეჭვის გრძნობას აღძრავს – აქ რაღაცაშია საქმეო... ან რა გასაკვირია – უკვე მივეჩვიეთ კიდეც, რომ თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოების თარგმანს, როგორც წესი, ცოტათი მაინც უნდა აჩნდეს ნაძალადევობის, ხელოვნურობის კვალი, რაც მისი "უცხოურობის" საბუთად ითვლება. მაგრამ რომანში ინგლისურენოვანი მკითხველისათვის უცხო რუსიციზმებიც კი ზედმიწევნით ბუნებრივადაა "გადმოქართულებული" და ასეთი სარკისებული სიმეტრია სწორედაც რომ საჭირო ეფექტს იძლევა: ინგლისელისთვის ტოტალიტარიზმი – მაინც ფანტასტიკაა, ბერჯესის რუსულ-ინგლისური – ჰიპოთეტური, ხელოვნური ენა, ჩვენთვის კი ეს ყველაფერი ყოველდღიური, ყოფითი რეალობა გახლავთ...

მაგრამ მიუხედავად ამისა, ან შეიძლება, სულაც ამიტომ, ქართულ თარგმანს ორიგინალის ბედი დაჰყვა. კარგი უცხოელი მწერლის კარგი თარგმანი ჩვენში მუდამ ლიტერატურულ (და არა მხოლოდ ლიტერატურულ) მოვლენად აღიქმებოდა: მთარგმნელს ლამის ორიგინალის ავტორზე მეტ პატივს მიაგებდნენ და ლიტერატურის სპეციალისტთა წრეში ბუნებრივად იხსენიებოდა იმგვარი არაბუნებრივი რამ, როგორც "მაჩაბლის შექსპირი", "ვახუშტის ჰაფეზი", "გოგიაშვილის რაბლე", "წერედიანის ვიიონი", "ჯემალ აჯიაშვილის ებრაული პოეზია" და ა.შ., მაგრამ "მექანიკური ფორთოხალი" მაინც ვერ გახდა "ჭუმბურიძის ბერჯესი". ლიტერატურულმა კრიტიკამ პირში წყალი ჩაიგუბა და სოციალურ-პოლიტიკური ვითარების სიმწვავემაც ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ მთავარი აქ მაინც სხვაა: "ფორთოხლის" ქართული თარგმანი, როგორც თავისთავადი ღირებულება, ორიგინალივით ერეტიკული სულისკვეთებისაა: ერეტიკული – როგორც ჩვენში დამკვიდრებული მთარგმნელობითი პრინციპების, ისე მთლიანად დახავსებული ლიტერატურული ტრადიციების მიმართ, ოღონდ ეს ყველაფერი მხატვრულ ქსოვილში ისეა ჩამალული, დღემდე არც არავინ აღშფოთებულა და არც ცვლილებების ჟინით ანთებულა...

რას იზამ, ერთი ათი წელიც კიდევ დავიცადოთ, საიუბილეო თარიღებს რა გამოგვილევს.

დ. ზყრაჭიძვილი

მექანიკური ფორთოხალი

კარი პირველი

1.

'ჰა, ვშვებით რამეს?'

ოთხნი ვიყავით: სამი ჩემი ბრატკა და მე – ალეკსი. იმ თოში, ბნელი ზამთრის საღამოს ყველანი "ფაქიზოში" ჩავჯექით და ვბალამუტობდით. ჩვენ ოთხნი – მე, პიტი, ჯორჯი-ბიჭი და ბნელო – ეგ მართლა ბნელი ეგა და ძმებო, თქვენ აბა რა გემახსოვრებათ რა კარგის რამე იყო ეს რძის ბარები – გარშემო ისე სწრაფად იცვლება ახლა ყველაფერი და ხალხიც ყველაფერს მალე ივიწყებს, გაზეთსაც კი აღარავინ კითხულობს ხეირიანად. მოკლედ, მთელი მუღამი ის იყო, ძროხა რასაც იწველის შიგ რო კიდე ჩაუმატებდი რამე ისეთს – ბებიამაგათისამ, სასმელებს მაგათ არ აყიდინებდნენ და ვის რაში ეკითხებოდა კაი ანადუღარ რძეში რას ჩაიყრიდი და გესვა მერე შენთვის სინტემესკით თუ დრენქრომით თუ კიდე სხვა რამ ახალი რამე-რუმეებით ნაზავი და მერე გენახა თიში და ღმერთი და დაცემულ ანგელოზთა დასტის გრიალი შენი მარცხენა ფეხის წვერზე და მთელი ეს ფეირვერკი ტვინში... სხვა დროს კიდე რამე გულის მოსაფხანს ჩაუშვებდი ქაფქაფა რძეში, ავარდებოდი და რაღაც ისეთს დაუწყებდი ძებნას, თვითონ რო არ იყავი აზრზე. სწორედ მაგისთანას ვსვამდით იმ საღამოს ძმებო, და ახლა კი მიგდეთ ყური.

ჯიბე სავსე გვქონდა და ვის რაში გვჭირდებოდა ვინმე ბეხრეკი ბიძა მიგვევდო ბნელ მოხვეულში და სანამ სისხლის ფურთხებაში იქნებოდა, ოთხზე გაგვეთვალა მაყუთი, ან ვინმე კანკალა და თმაგათეთრებული ყვავისთვის პორტ-მანი დაგვეწერა სადმე ვიტრინასთან, პლეტი მიგვეცა და პირში გულის ღეჭვამდე გვეძუნძულა ქლოშინით...

მაგრამ რა, მართლა ფულით ხო არ იზომება ყველაფერი.

'ვშვებით რამეს?..'

ოთხივე მაგარი დაზმანულები დავდიოდით – ძველი გაგებით, რაღა თქმა უნდა და მაშინ ეს იყო ძაან-ძაან შემოტკეცილი შავი შარვალი, წინიდან თეძოებზე ნაჭერ-ნაჭერ ჩაკერებული და მუცელსქვემოთ ამოკრული რეზინის რამე ფიგურით – თან ცოტა გიცავდა კიდეც და თან პოლუმრაკშიც კარგად მოჩანდა, ხოდა ჩემი დიდ შავ ობობას გავდა, პიტს ზედ მუჭი ქონდა ჩამოცმული, ჯორჯი-ბიჭს კიდე ყვავილი გადაეფურჩქნა კეკლუცად... ერთი ეგ საწყალი ბნელო გვყავდა, ბაიყუში იყო ნამდვილი, არც ცისა ესმოდა რამე, არც მიწისა – შენსას არაფერს გაიგონებდა და საკუთარი კიდე რა დააეჭვებდა – ცირკის მასხარას ბრიყვული სიფათი ამოედო ლაჯებში და კმაყოფილზე-კმაყოფილი დაბლაყუნობდა.

ზემოდან კიდე ჟილეტები – დიდზე დიდი, ლიპებდადებული პლეჩოებით, ოღონდ ეს ისე, მართლა ბრექიანებზე საღადაოდ. და ძმებო, უგალსტუკოდ რომელი გოიმი გაივლიდა მაშინ და ჩვენც გვეკეთა ტკიცინა და სულ თეთრი-თეთრი, ალაგ-ალაგ გამოზომილად დახვრეტილი. თმას კი მოკლეზე ვიჭრიდით – სკოლაში რო გვთხოვდნენ ისე, და სამაგიეროდ ფეხსაცმელები გვქონდა უმაღლესი, ცხვირმაგარი, დასარტყმელად პირველი იყო.

'ვშვებით-მეთქი რამეს?'

იქვე ახლოში სამი წიწკვი უჯდა მაგიდას, მაგრამ ჩვენ აქეთ ოთხნი ვიყავით და ვიღაცა მერე მეცამეტე გოჭივით იქნებოდა. გლეჯვაზე კი ეცვათ – გრძელი შავი სწორი-სწორი კაბები და სისხლისფერი, მწვანე და ყვითელი ბუმბულები გაერჭოთ თმებში და დაღებილები იყვნენ, ნუ იტყვი – ცისარტყელები თვალების გარშემო და ტუჩებზეც ფენა-ფენა. პაწია ჯიქნებზე კიდე ლითონის თითო ბროშკა ზედ ვინმე ბიჭის სახელით – ჯონი ან მაიკი ან მისი ჯანი: აქაოდა იმ ახვრების მოსაგონარი, რომლებთანაც ჩვენი ქალწულობის მეთოთხმეტე წლისთავზე ვიბაირამეთო.

რაღაც უშნოდ კი გვიჟუჟუნებდნენ თვალებს და ის იყო ცალი ყბით უნდა წამებურტყუნა, იქნებ ეს ჩვენი საბრალო ბნელო ცოტა ჩავაბნელოთ ერთი პატარა სინტემესკიანით, მოვტეხოთ და მერე სამმა ავუდოთ ამბავში-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე – ბნელო გარეგნობითაც ის იყო რაც სახელი ერქვა, მაგრამ ბოღმაც იყო, დაგიმახსოვრებდა და მერე ჩხუბში ჩემ მტერს მოხვდა მაგისი წიხლი.

ჩემ გვერდით კედლის გაყოლებაზე კლიენტი იჯდა, თვალები უკვე ჩაშუშებოდა და *არისტოტელესეული შროშანის შრომა შარს სდებს ინტელექტსო* – თუ რაღაც ამდაგვარს ესპორებოდა საკუთარ გოგრას. მოკლედ, მწიფედ იყო, ალბათ უკვე გაღმაც იყო გადასული და ღმერთმანი ძმებო, სწორედ მაშინ მოვედი აზრზე რო ფახისტობა იყო ეგ და სხვა არაფერი: განა რა, მე არ ვმჯდარვარ ეგრე ჩარძევებული და გარშემო თითქო ყველაფერი ძველად ხდებოდა – ყველაფერს ხედავ, ნაღდად – მაგიდებს, ბიჭებს, ხმებიც გესმის, ნაშებსაც თირავ, მაგრამ თითქო ეს ყველაფერი ადრე იყო და ახლა კი აღარაფერია. მერე კიდე საკუთარი ფეხსაცმლის წვერს დააშტერდები ან რამე წერტილს და ხარ ასე გათიშული, მაგრამ თან შიგნიდან ინჯღრევი ძველი ვაგონივით, იმდენს ინჯღრევი ბოლოს შენგან აღარაფერი რჩება, არც სახელი არც ხორცი არც არაფერი მაგრამ სულ ფეხებზე გკიდია და მერე ან ის ფეხსაცმლის წვერი ან ფრჩხილი ნათდება, ოქროსფერება, მერე იფეთქებს და ქრება და ახლა რაღაც ლაქა სადმე შარვალზე დიდდება, დიდდება, მთელი სამყარო იქცევა შიგ, შენც შიგ შედიხარ და ბებერ მამაღმერთს ასკდები თავით ან სულაც ვინმე სხვას და მერე კი თავდება ყველაფერი – ისევ აქა ხარ, პირღია და ენაგამშრალი და სულს ძლივს იბრუნებ. არა, სადღაც კი ასწორებს, მაგრამ სადღაც ტეხავს – კაცი მართლა იმისთვის ხო არ გაჩნდი, სულ დაქლიავდე. ეს კიდე ბოლო-ბოლო მთლიანად გამოგწურავს და რა ჩემფეხებად ვარგიხარ მერე.

‘ჰა-მეთქი, ვქნაათ რამე?’

კვადრაფონი გრიალებდა და ხმა თითქოს ბარის კუთხიდან კუთხეში გადადიოდა, კედლიდან კედელს აწყდებოდა, მერე ჭერში ავარდებოდა და ბოლოს იატაკზე იფშხვნებოდა ჟღრიალით: სტარიკა ბერტი ლასკი უბერავდა იმ ნათრევ ჰიტს – “ვიდრე ჩემთან ხარ”. ის ჩიტი კიდე, თავში მწვანე ფრთა რო ქონდა გარჭობილი, ისე ატრიალებდა თეძოებს თითქოსდა მართლა ნაღდ რამეზე ყოფილიყო ავარდნილი. ნელ-ნელა ნემსების ჩხვლეტა ვიგრძენი და ბიჭმაც მგონი თავი წამოყო...

‘აბა, ავუდეთ!’ – დავიყეფე უცბად და ერთი გემოზე ვწეპე იმ ბლიყვს ჩემ გვერდით რო გათიშული იჯდა, მაგრამ რად გინდა – ისე იყო ჩაშვებული, მაინც თავისას ერეკებოდა: *ტელეფონის ხაზი და დახაზული ცარიელი ხათრი და ხავხავი...* და ასე გაუთავებლად. არა უშავს, მეორე დღეს ცივცივ საფენებს ველარ მოიცილებდა სახიდან.

‘ეგ სადა?’ – იკითხა ჯორჯი-ბიჭმა.

‘ისე, გავიაროთ, – ვეუბნები, – იქნება თავისით დაგვეჩითოს რამე’.

და გავედით ჩვენ ოთხნი დიდ ზამთრის ღამეს და ქარიან ქუჩას დავუყევით და ღმერთმანი ძმებო, პირველსავე მოსახვევში ვპოვეთ რასაც ვეძებდით – პატარა სამხიარულო გულისგადასაყოლებელი ამ ცივი ღამის ბნელში: ერთი ბებერი აჩკარიკი მოჩანჩალებდა კედელ-კედელ, ხველებ-ხველებით, სუფთა პრაფესორა ტიპი, იღლიაში წიგნების გროვა ამოეჩარა. ნაღდად საჯაროდან მოდიოდა, სხვა ვინ სირი დადის ახლა იქ და თავში ფეხი არ უნდა გქონდეს, მაგის ფილტვების და გაქუცული პალტოს პატრონი აქეთ-იქით დაფრატუნობდე ამ თოშ ბნელ ღამეში? განა ვინ ჭკუათხელი ინტელიგენტი მოქალაქე გამოვა ამ დროს გარეთ, როცა გაზეთებში პოლიცია სულ კადრების ნაკლებობას უჩივის, ჩვენ კიდე – ახალგაზრდა, მომავლის ბიჭები – წელებზე ფეხს ვიდგამთ, ყოველ ღამე წრეებს ვურტყამთ აღმა-დაღმა და ეს შუშაბანდებიანიც ახლა ალბათ ერთადერთი გვიანი მოჩლახუნე იქნებოდა უბანში.

ჯერ ნელა დავუპათხოდეთ, მშვიდათ, წესიერად დავუდექით წინ და ვეუბნები: ‘ჩვენ ბოდიში, ბატონო ჩემო – ერთი პატარა გადაუდებელი საქმე გვაქვს გასარჩევი თქვენთან’. ცოტა კი დამანდრაჟდა, ასე ოთხნი რო დავეჩითეთ ზრდილად და ღიმილით, მაგრამ შიპიტი არ დაუწყია, მხოლოდ ხმა აუწიკვინდა სკოლის მასწავლებელივით და თავისი მოკლე ჭკუით ძაან მკაცრად ჩაგვეკითხა – ‘რაო, რა გნებავთ?.’

‘ვხედავ რომ წიგნები დაგაქვთ თან,’ – ვეუბნები – ‘მართლა მიკვირს, ჩვენს დამპალ დროში და ასეთი ნაკითხი კაცი’.

‘რა... როგორ თქვით?.. ჰო, დიახ...’ – ახლა კი მართლა დაიბნა, გაკვირვებული შემომყურებს და მგონი მუხლებიც უკანკალებს ცოტაზე.

‘დიახ-დიახ,’ – ვეუბნები – ‘და სწორედ რომ დიდად დამავალებთ, ბატონო ჩემო, თუ ნებას დამრთავთ და ემაგ წიგნებში ჩამაჭყიტებთ ცალი თვალით. ჩემს დღეში კარგ სუფთა დაუჭმუჭნავ წიგნზე უფრო არაფერი მყვარებია’.

‘ე-ე... უნდა განახოთ?..’ – აბლუყუნდა ის ჩემისა, მაგრამ პიტმა აღარ აცალა, შუსტრად დააწერა სამი ცალი და იქვე დაგვირიგა. ბნელო დარჩა მარტო უწიგნოდ და იდგა ვითომ ძაან დაღვრემილი სახით. მე კარგის რამე შემხვდა: *“კრისტალოგრაფიის საფუძვლები”* – ვფურცლავ და ვაქებ: ‘შშვენიერია ძმებო, შესანიშნავია – საინტერესოცაა და თან ჭკუისსასწავლებელიც’. მერე უცბად თითქო ხმა მიწყდება, სინანულით ვაქნევ თავს და სევდანარევი გამოხედვით ვეუბნები: ‘მაგრამ ეს რა ბილწი სიტყვა წერებულა აგერ? ხმამაღლა თქმისაც მცხვენია და ა-ასეთ რამეს კი ნამდვილად აღარ მოველოდი ბატონო, თქვენგან!’

‘რა?.. მოიცა, მომისმინეთ!..’ – ერთი კი წამოიკნავლა, მაგრამ ვინ რა მოუსმინა, იქვე ჯორჯი-ბიჭი ჩაერთო: ‘რასაა რო ბოდიალობ, აგერ ჩემთან მთლად ისეთი რამეა, მე მაგის წამკითხველი აღარა ვარ – ერთი სიტყვა *ტ*-ზე იწყება და მეორე კიდე *პ*-ზე!’

მაგის წიგნს *“თოვლის კრისტალის საოცრებანი”* ეწერა ზედ.

საწყალმა ბნელომ მაინც რო არ გადაამლაშოს არ შეუძლია – ერთი არც გადაუფურცლავს, ისე დააბრეხვა: პიტის წიგნში კიდე ისა წერია, რაც იმ ბიჭმა იმ გოგოს უყო და სურათებიც ბლომადაა შიგო. მერე ესეც არ იკმარა და თავის მხრივ დაამატა – დიდი გათახსირებული ვინმე ყოფილხართო.

‘აბა თქვენი ასაკის კაცი ამას როგორ უნდა კადრულობდეს’, – ვეუბნები და წიგნიდან სათითაოდ ვხევ ფურცლებს. ჯორჯი-ბიჭიც ამყვა და ბნელო კიდე პიტს *“რომბოედრული სისტემების”* დაფხრეწაში ეხმარებოდა. არა, ერთი მოგასმენინათ, რა წივილ-კივილი მორთო აჩკარიკამ: რას შვებითო, რას სჩადითო, ჩემი კი არაა, წიგნები მუნიციპალური საკუთრებაა, ვანდალები ხართო და რა ვიცი კიდე რა აღარ გვაკადრა. მერე სულ დაუფშტვინა – გვეცა და ძაან-ძაან ვაჟკაცურად ძიძგილაობა დაგვიწყო – ვითომ იმ საუნჯის წართმევა უნდოდა მისი ჭკუით. ‘აი ახლა კი მართლა დაისჯებით, ბატონო ჩემო’, – ვეუბნები – ‘მართლა მართლა მართლა’.

ის კრისტალების წიგნი კაი მაგარი რამე იყო, გემოზე აკინძული, სქელყდიანი, ძველად მართლა ნამუსიანად აკეთებდნენ ნივთებს, გაძლებაზე. მაგრამ ბოლოს მაინც დავანაკუწე და აჭყივლებულ პრაფესორას დავყარე თავზე, თოვლის ფიფქებივით. ბიჭებს მაგრა გაუსწორდათ, თავიანთებიც სულ დაგლიჯეს და ფურცლებს ჰაერში ისროდნენ, ბნელო კიდე დავლურს უვლიდა და გაიძახოდა: ‘ეგეც შენ, დამპალო გარყვნილო ბებრუხანა ინტლიგენტო შენა!’

მერე პიტმა ხელები დაუგრიხა უკან, ჯორჯი-ბიჭმა კიდე ყანყრატოში წაავლო, პირი დააფჩენინა და ერთი ისეთი გაუქანა ჟანგიან ყბაში, ორივე პროტეზი ერთად გამოუგდო, ზედაც და ქვედაც. მე კიდე ფეხსაცმლით შევდექი ზედ და იმდენი ვურტყი ქუსლი, სანამ სულ ნაფჩხვენებად არ ვაქციე. ისე, კაი კერკეტი კი იყო, რაღაც ახალი პლასტიკისაგან აკეთებენო გამიგია. პრაფესორა ახლა ბუყ-

ბუყს მოჰყვა და ცოფიანივით იდორბლებოდა, ხოდა ჯორჯი-ბიჭმაც ხელი უშვა და ახლა ტუჩებში დააკერა კაი მაგრად, თან კიდე ბეჭედიც ეკეთა თითზე და დაინთხა სისხლი ძმებო, და რა ლამაზად მერე – სულ წვეთ-წვეთ- წვეთად ჩამოდიოდა! ოღონდ მაგის კვნესა-ხავილის თავი აღარ გვქონდა, პიჯაკი და შარვალიც გავაძრეთ, მერე პიტმა ერთი გვარიანი ჭიტლაყიც დაუადა უკნიდან და გაუშვა თავის გზაზე. მიბლაყუნობდა დაცენტრილი, ნიფხავ-პერანგის ამარა (ისეთი ძველი და გადაკერებულ-გადაკემსილი იყო, ბნელო ლამის ჩაიხრჩო ყროყინით) და კაი ქეში მომღერალივით სულ ოოო-ს გაიძახოდა. ჯიბეები დავუჩითეთ, სანამ ბნელო კიდე ცეკვავდა ახლა მისი ქოლგით ხელში, მაგრამ ბევრი ვერაფერი ვიხ-ეირეთ. ოღონდ ეგ იყო, რაღაცა ძველი წერილი ვიპოვეთ ცხრაასსამოცში გამოგზავნილი, სულ *ჩემო კარგო* და *ჩემო საყვარელო* და ამისთანა სისულელეებით სავსე და გასაღები და ერთიც ძველი მოშლილი კალმისტარი. ბნელო რა თქმა უნდა იქვე შეეშვა ქოლგას, წერილი დაითრია და ხმამაღლა უკ-ითხავდა ცარიელ ქუჩას, აქაოდა მართლა ეგეთი ბნელიც არ გეგონოთ, კითხვა მაინც ვიციო და *'ძვირფასო,'* – მოთქვამდა პიდარასტივით, – *'სულ შენ მედარდ-ები, შენი გულმავიწყობის ამბავი რომ ვიცი, იქნებ თბილად ჩაცმაც არ გაგახსენდეს ამ ამინდში გარეთ რომ გამოხვალ, და გაციება ახლა შენთვის არაფრით არ შეიძლება...'* ამაზე კინაღამ პირი გაეხა ყურებამდე და ჩაბჟირებას არაფერი უკლდა. 'გეყოფა,' – ვეუბნები, – 'შეეშვი'. შარვლის ჯიბეში კიდე ცოტა ხურდა ვიპოვეთ და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ვინ შორს მოისროდა, აბა ეგ რა ფარა იყო, ქათმის საკენკი, ჯიბეს დაგვიმძიმებდა მარტო. მერე ქოლგა მი-ვამტვრიეთ, ტანსაცმელიც დავაკუსოკეთ და ნაჭერნაჭერ გავატანეთ ქარს. ეს იყო სულ პრაფესორას მოსაგონარი. ბევრი არაფერი, რა თქმა უნდა, და ჩვენ ბოდიში თუ ცოტა მოგაწყინეთ, ღამე ჯერ წინ გვედო და ჩარძევებულებს ძარღვებშიც გემოზე გვჩხვლეტდა. ახლა ერთი ის გვინდოდა ცოტა სული მოგვეთქვა სადმე წყნარად, ვინმეს დავნახვებოდით და მერე თავიც მოგვექონა, ალიბი დაგვეადებინა და ბარემ რამე ახალი ვარიანტიც გაგვეთვალა.

მაყუთი ხომ გითხარით, ყველას გვიჭყაოდა ცოტ-ცოტა და ზედ სენტრალ-ევინიუზე, "იორკის დუკას" ბარში შევთრიხინდით. არა, ისე ძაან წესიერად ვიქცეოდით, ღიმილიანად, კარგად აღზრდილი კაი ოჯახიშვილი ყმაწვილები, კაი წესიერი საღამომშვიდობისათი და რას ხედავს ჩვენი მშვენიერი, ნათელი თვალები: სამი თუ ოთხი ბაბუშკა დაყუნცულა და წყალწყალა ყავასა და ნაღებიან სიროპს წრუპავენ – პენსიების აღების დღე ქონდათ ალბათ და დაგვინახეს თუ არა, გლაზკები გაუფართოვდათ, ბებრული კლანჭები აუკანკალდათ, ერთს სიროპიც დაექცა და მოკლედ, რაღაცა ისქესეს; იმან კიდე, სახე რუკას რო მიუგავდა სიბერისაგან ისიც კი წაიჩლიფინა – ერთი საწყალი მოხუცი მარტოხელა ქალები ვართ, ვის რას გიშავებთო. მაგრამ ჩვენ ხომ როგორ გეკადრებათ, სულ კბილებს ვასხივებდით და წელში ვიკაკვებოდით, მერე ბარმენს გავძახეთ და ოთხი "ვეტ-ერანი" მოვითხოვეთ (ჩერი-ბრენდიში გარეული რომი – მაშინ ეს შიკი იყო, ზოგიც კიდე ლიმონის ნათალს უშვებდა შიგ და ეს ვითომ უკვე კანადურ ამბავში გა-დიოდა), მერე კი ვეუბნებით: 'აი ამ ტკბილ მანდილოსნებს ჩვენგან ერთი პატარა მოსაკითხი ფრანგული კონიაკი თითოს თითო და ნამცხვრები და კრემიანი სიროპი!' და რაც გვქონდა, მთელი ფული ცხვირწინ დავულაგეთ. ის ყვავები კიდე

ისე დაიბნენ ძლივს მადლობებს ჩიფჩიფებდნენ უკბილოდ და თან მაინც თვალებს აქეთიქით აცეცებდნენ რაღაც გოთვერნობის მოლოდინში. ბოლო-ბოლო ცოტა მაშინ დაწყნარდნენ მისამართები რო დავატოვებინეთ ბარმენთან, ხვალ დილაზე კიდე ოხრად სასუსნავი სახლში უნდა მოგართვან-თქო. გიჟებს გავდნენ ლაკომკები. მერე გავაფრთხილეთ, დაიცათ, ახლავე დავბრუნდებით-თქო და გარეთ გავიკრიფეთ.

'კაი საქმეა, მართლა დობრი ვინმედ გრძნობ თავს' – თქვა პიტმა. ბნელოს კიდე ზედ ეტყობოდა გაგებაში რო არ იყო, მაგრამ პონტაობდა – ემანდ გლუპი არ გამოვჩნდეო და უხმოდ მოაბოტებდა. მოკლედ, მეორე ქუჩაზე გავედით, იქ ერთი პატარა მაღაზია გვეგულებოდა ღია. სამი-ოთხი თვე ახლოში არ გავკარებივართ და წყნარად იქნებოდნენ. პოლიციაც არ ჩანდა – ამ დღეებში იქითა სანაპიროზე ქონდათ ბლომად საქმე, აქაურობა კი ახლა შედარებით მშვიდ უბნად ითვლებოდა. ნიღბები გავიკეთეთ – მართლა კარგი ნაკეთები იყო, სულ ისტორიული პირების როჟები (თუ იყიდდი, სახელებს მერე გეუბნებოდნენ) და მე ვიღაც დიზრაელი ვიყავი, პიტს ელვის პრესლი შეხვდა, ჯორჯი-ბიჭი კიდე ჰენრი რომელიღაცა, მგონი მერვე იყო, და საწყალი ბნელო როგორც ყოველთვის დაგვჩაგრა – ვიღაც პიჟონი პოეტი პ.-ბ. შელი ჩამოიფხატა თავზე. ყველაფერი ზედ ქონდა, თმაც და ტუჩებიც კი მოძრაობდა და თუ გინდოდა დაკეცილს ჩამალავდი ფეხსაცმელში – რაღაც თხელზე თხელი პლასტიკი, რას აღარ გამოიგონებენ ღმერთმანი და ჩუმად შევლაგდით სამნი, პიტი კიდე ატანდაზე დადგა გარეთ, თუმცა რა იყო აქ სამანდრაჟო.

მაღაზიის მეპატრონე ვინმე სლაუსი ბრძანდებოდა, ერთი ოყლოყი, ღიპგაგდებული ურია, დაგვინახა და წამში იყნოსა რაც ხდებოდა, შეტრიალდა და დახლსიქით დაგაზა – ნაღდში ან სიგნალიზაცის ჩამრთველი ექნებოდა კედელზე, ან დატენილი დურა უჯრაში. მაგრამ მაგას ვინ ჭამდა – ბნელომ მოკლეზე მოხია, შტაბელებად დალაგებულ რაღაც პაკეტებზე და კოლოფებზე გადათრიხინდა და ზედ დახლთან წაასწრო. ერთი განახათ, რა ამბავი ატყდა ორი მოზვერა რო ჩაეფსკვნა ერთმანეთს და მორთეს გორიალი და რასაც დაეჯახებოდნენ რა გადაურჩებოდათ, სულ ძირს გადმოშვავდა ყველაფერი. იყო ერთი მსხვრევა-მტვრევა, ჯახი და ფხრაწანი. ხმაურზე ქალბატონმა სლაუსმა შემოყო თავი, ჯერ კარებში გაიყინა, მერე თვალები გადმოცვენაზე გაუხდა და პირიც რო დააღო, მაშინღა მივხვდი რა სირენასაც ჩართავდა – დაღებილ ტუჩებში ჩავავლე ხელი და ხმა-მეთქი ვეუბნები, მაგრამ იმ ჩათლაშკამ ისე ჩამკბილა, ლამის აქეთ გავხდი გასაჩუმებელი. გავუქანე და სიმწრისაგან ცოტა ზედმეტიც მომივიდა – თავი ბეთქა კედელს და იქვე ჩაიკეცა. სამაგიეროდ სისხლი წამოუვიდა სახეზე ლამაზად, ტუჩების ფერს ეხამებოდა. შმოტკები შემოვახიეთ ისე, საღადაოდ, მერე დავყურებდი როგორ იწვა ძუძუებგადმოყრილი და კვნესოდა და ერთი კი გავიფიქრე, ხომარ-მეთქი, მაგრამ ჯერ წინ იყო ღამე. სალაროდან მთელი ფული გამოვხვეტეთ, თითომ თითო ძვირიანი კოლოფი კამფეტებიც დავითრიეთ და მართლა კმაყოფილები დავითესეთ იქიდან.

'კაი ჯანავიკი ყოფილა ეგ ჩემისა', – წაიბურტყუნა უცებ ბნელომ. შევხედე და ძმებო, მართლა რეჩხი მიყო გულმა: ჭუჭყიანი იყო, აჩაჩული და თმააბურძგნული, საყელოც მოგლეჯაზე ქონდა – მოკლედ, ნაჩხუბარსა გავდა; იყო კიდეც რაღა თქმა უნდა, მაგრამ კაცს ეგ ზედ არ უნდა გეტყობოდეს, თორემ შარი

არ აგცდება. ამიტომაც მივდექით ბრატკები, ცხვირსახოცები დავაძრეთ, ნერწყვით დავნამეთ და დავუწყეთ პაწიას წმენდა. საათს დავხედე: ათი წუთის წამოსულები ვიყავით "დუკადან". ტემპში დავგაზეთ და რო მივედით, ჩვენი ბაბუშკები იქვე იყვნენ, ძან-ძაან სვეტსკად წრუპავდნენ კონოს.

'გაამოთ, გაამოთ გოგოებო', – ვეუბნებით, იმათ კიდე ძველებურად გააბეს: 'გმადლობთ ყმაწვილებო, გაიზარდეთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სულ კარგად გამყოფოთ, სულ'. ისევ ჩამოვრეკეთ ზარები და ყელგამშრალებმა ახლა ლუდში ჩაშვებული რომი მოვითხოვეთ, კამფეტები კი ჩვენს ბებრუხანა დაქალებს დავურიგეთ. მერე წყნარად ისე ვეკითხები: 'ჩვენ სულ აქ ვზივართ თქვენთან, მთელი საღამო, ფეხიც არ მოგვიცვლია, არა თუ?' წამსვე იაზრეს ამ ყვავებმა და მოყვნენ თავების კანტურს: 'კი ბიჭებო, კი – თვალი არ მოგვიცილებია თქვენთვის, ძალიან კარგად იქცეოდით, ძალიან'. თან ყლურწავენ, არ ავიწყდებათ.

კაცმა რო თქვას, ან რაში გვჭირდებოდა ეს ყველაფერი – კარგა ნახევარი საათი გავიდა, სანამ პოლიციას უბნის გაჩითვის აზრმა შეუღიტინა ტვინში და თანაც ჩვენთან ორი სულ მთლად ლაწირაკი ყაყაჩო შემობლაყუნდა, სიცივისაგან ლოყები ატკეცოდათ და ძაან ძაან მკაცრი სახით გვეკითხებიან: 'სლაუსის მაღაზიაში რა ამბავი იყო, არაფერი გაგიგიათ?'

'ჩვენ?" – გავიკვირვე – 'არა, არაფერი... მოხდა რამე?'

'ძარცვა და ძალადობა. ცოლ-ქმარი საავადმყოფოში მოათავსეს. თქვენ აქ რამდენი ხანია ზიხართ?'

'ეს ლაპარაკი რაღაც არ მომწონს,' – ვეუბნები – 'რაღაც ბინძური ინსინუაციების სუნი მცემს. ძაან ძაან პროვოკაციული ლაპარაკია, დიახ.'

აქ კი ეს ჩვენი ბაბუშკები ერთხმად აყიყინდნენ – მართლაცო, ეს რა დაკითხვაო, თუ გინდათ იცოდეთ, ეს მშვენიერი ზრდილი წესიერი ბიჭუნები რახანია აქა სხედან, სულ ჩვენ თვალწინ იყვნენო, ასეთი კარგი სასიამოვნო ახალგაზრდები მეტი არ გვინახავსო და ასე და ამგვარად.

პოლიციამაც წამში უკან დაიხია: ჩვენაო – მოყვნენ თავის მართლებას – ვის რა შეურაცხყოფა მივაყენეთო, მხოლოდ ვიკითხეთო, სამსახური გვაქვს ასეთი, თორემ კი არ გვეხალისებაო. ბოლო-ბოლო გატრიალდნენ და წავიდნენ, ოღონდ მანამდე ერთი ძაან ძაან მკაცრად და გამაფრთხილებლად მაინც გამოგვხედეს. ჩვენ კიდე ტუჩები ავუწრუპუნეთ, თან ისე, ჩვენ-ჩვენთვის, ვითომც აქ არაფერი. ოღონდ ცოტათი მაინც გამიტყდა – აბა რა კაიფია სულ ასე უპრაგონოდ მიდიოდეს რასაც ჩაიფიქრებ, ცოტა ოფლიც ხო უნდა გამოგივიდეს კაცს.

თუმცა, ნაღდი ღამე ჯერ სად იყო.

2.

მალევე წამოვედით იქიდან და იქვე მოხვეულში ვიღაც ბებერ გატრეტილ ლოთს გადავწყდით, სულ რვიანებით მიბლაყუნობდა ტროტუარზე, ძველისძველ მამაპაპურ რაღაცას ღრიალებდა და *პამპ პამპ პამპ* – შიგადაშიგ ვითომ აკომპანიმენტს აყოლებდა თავის ჩამბალ ჭკუაში. მე რო მკითხო, აი ამაზე გულისამრევი არაფერია – აქოთებული თვალებმიბლეტილი ლოთი, ღამის ჩუმ ქუჩაში მთელი გრძნობით რო ბღავის და თანაც კიდე ამისთანა ჩამიჩი. ცალი ხელი ქეჩოში წავავლე და მეორეთი გემოზე ვდრუზე ყურისძირში, ის კიდე მაინც თავისას უბერავდა: *"კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავი-ი-ს..."* მერე ბნელომაც გამოიღო ხელი და ახლა კი ცოტა მოვიდა აზრზე და გამოირთო, მაგრამ უცბად სიმღერიდან ტემპში ჯიჯღინზე გადავიდა: 'მოდი შე დამპალო ნაბიჭვარო შენა – მოდი, მაინც არაფერი დამრჩენია ამ ცხოვრებაში და აღარც სიცოცხლე მინდა ამ დამპალ ქვეყანაზე და არც არაფერი!..' ამაზე შუსტრად ყურები ვცქვიტე, ბნელო როგორღაც გავაჩერე და ვეუბნები: 'არა, მაინც რატო აღარ გინდათ, ჰა? ძან-ძაან დამპალი რომაა, იმიტო?' ხანდახან მეინტერესება კიდეც ეს მამაჩემისხნის ტვინგამოლაყებულები რას ბოდიალობენ ხოლმე ცხოვრებაზე და ქვეყანაზე და საერთოდ.

'დამპალია და აქოთებული და აბა რა იქნება თქვენისთანა ძაღლიშვილები ბებერ კაცს რომ მიადგებიან და აღარც შიში აქვთ და აღარც მორიდება და აღარც არაფერი!' – ისე გაკიოდა ვითომ ოხრად ხალხი ედგა წინ, ხელებს აქეთ-იქით იქნევდა და იყო ერთ ამბავში. ამ დროს ისეთი გრძნობა მქონდა, თითქო ნაწლავებში უბუყბუყებდა რაც ჩახეთქა და ვერ მოენელებინა და ახლა იქაურობას აქოთებდა ეგ ჩემის გადანგრეული, ის კიდე იდგა ქადაგად და თავისას მოთქვამდა: 'მოხუცებს მაინც აღარ დაედგომებათ ამ ქვეყანაზე და მეც სულ ფეხებზე მკიდია ისეთი მთვრალი ვარ რაც უნდა მირტყათ მაინც ვერ ვიგრძნობ და თუ სულაც მიმასიკვდილებთ, კიდე მადლობას გეტყვით...' ამაზე ცოტა გაგვეცინა მაგრამ არაფერი გვითქვამს, იმან კი ისევ გაუტია, აბა მაგისთანას თავისით რა გააჩერებდა: 'კაცი მთვარეზე დაჯდა და ეშმაკმა იცის კიდე სად წავა და მიწაზე კი აირია ყველაფერი, აღარც წესია აღარც კანონი და თქვენისთანა ბანდიტების ხელშია ქვეყანა!..' მერე უცებ ტუჩები გამობერა და სწორედ იმისთანა ბუზიკა არ გაუშვა, ჩვენ რომ პოლიციელებს ვუპრუწუნებდით! და მერე ვითომც არაფერი, ისევ ისე მოჰყვა ღნავილს: *"სამშობლო ჩემო, ლამაზო-ო..."* აბა ამას ვინ გიჟი შეარჩენდა – კედელზე მივაგდეთ და კარგა გემოზე ვთუთქეთ ვიდრე ლუდიანი ნარწყევი არ გადმოუშვა პირიდან. ისეთი საზიზღარი სანახავი იყო, ხელს ვინღა მიაკარებდა – დაძნეყვება ვაცალეთ და მერე წიხლებით შევდექით, იმდენი ვურტყით ლამის იყო დედის ხსენი ამოვუყვანეთ და ის ნარწყევიანი პირი საკუთარი სისხლით კარგად რო გამოირეცხა, მერეღა გავანებეთ თავი.

ბოლო-ბოლო ამ ამბავსაც მოვრჩით და გავუდექით ჩვენ გზას – ჯერ ისევ ნაზი იყო ღამე.

ქალაქის ქსელის სადგურს შემოვუარეთ და ბილი-ბოიც, თავისი ხუთი ბრატკით დაბარებულივით იქ არ დაერჭო? იმ დროს ძმებო, თითო ბრიაჟკაში

ოთხ-ხუთ კაცზე მეტი არ გადიოდა და სწორეც იყო: ვთქვათ და თაზა მანქანის აწევას მოინდომებდი – ოთხი ზუსტად ჯდება, ექვსზე კი უკვე მთელი ბაზარი იწყებოდა. აი, როცა გრუპავი მიდიოდა უბანი უბანზე, მაშინ ვიყრებოდით ხოლმე მთელი ბატალიონი, მაგრამ ისე ოთხი ყველაზე ნაღდია. ბილიბოიზე რა გითხრათ, მეტსახელად კაკაშკას ვეძახდით და ისეთი ვინმე იყო, მართლა ერთ ნატვრად მქონდა სადმე მიყრუებულში შევხვედროდი – გაზეთილი სქელი სახე ახალამოყვანილ ყველს მიუგავდა და დაშმოტკილ-დაზმანულიც სულ ოფლში იხვითქებოდა.

ეტყობა იმათაც დაგვალივერეს და იმ ძაან ძაან სერიოზულ საქმეს შეეშვნენ – ვიღაც გოგოშკას მოათრევდნენ, ცამეტი-თოთხმეტი წლის იქნებოდა, მეტის არა: ბილი-ბოის მისთვის ცალი ხელი გადაეგრიხა და მეორე კიდე მის მარჯვენა ხელსა და პირველ ვეზირს – პუსკა ლეოს. საცოდავს კაბა ჯერ ზედ ქონდა, გართობას აწი ეპირებოდნენ და ის კი უკვე ჭყიოდა და ცრემლებად იღვრებოდა და რო გაუშვეს, სულ ოოოო-ს ძახილით მოუსვა, მარტო მისი ჩხინკი თეთრი ფეხები დავლანდე ფანრის ზოლში. ისინი კიდე იდგნენ და გველოდნენ მშვიდად და წყნარად და მივხვდი რაღა დროს მუშტი და ცხვირმაგარი ფეხსაცმელი იყო, ახლა იწყებოდა ღამე, ნაღდი – დანითა და ჯაჭვის ტრიალით, ბრიტვით და ყველაფრით...

დავიძარით მათკენ ნელა ძალიან ნელა და ხმამაღლა ისე ვიძახი, კაი ხნის უნახავ ძმაკაცს რო წააწყდები სწორედ ისე: 'ღმერთო კი მომკალი, ნუთუ ეს ჩვენი დედაიმასქნებული გაზეთილი ბებერი ბილიბოია, ფეხსაც რო ვერ ამოადებ გემოზე – რაც არა აქ სად უნდა ამოარტყა მაგ დაყვერილს და ჩემი ბოი-ბიჭი ბილი, იქნება და სულაც უკვე ჩამოგეზარდა კაკლები, ჰა?..'

ხომ გითხარით ექვსნი იყვნენ-მეთქი, მაგრამ ასეთ დროს ჩვენი ბნელო სამს უდრიდა. ერთი-ერთზე იჭრებოდა ხოლმე – ტვინი არ უჭრიდა, ასე ვთქვათ, თორე ქუჩის ჩხუბში მხეცი იყო. წელზე ჯაჭვს იხვევდა ორფად, მოიხსნიდა მერე და ატრიალებდა გიჟურად, მაჯაც რო არ ეღლებოდა და თუ მოსდებდა ვინმეს, მერე მეყოლე ვარდივით... პიტს და ჯორჯის დანები ევასებოდათ, მე კიდე ჩემი მუღამი მქონდა: ერთი ძველისძველი, ლესვისაგან გალეული სამართებელი – ჩემისთანა გრძელფეხება და ცეპკი ტიპისთვის, თუკი მოხმარა იცის, უკეთესი არ გინდა; ხმარება კიდე თუ ვინმემ იცოდა, მეორეც მე ვიყავი. პირველსავე შეხლაზე, რომელიღაცა რო მებდღვნა ბრიყვულად, ვუგანე და ზურგიდან ხელუკუღმა დავუსვი წელზე – სუფთად, ნაზად – ხორცს მგონი არც გავკარებივარ, ხოდა ამ გაქანებული სხვატკის დროს უცებ დუმებმა არ გამოანათეს ბნელში! იმ ჩემისას ისედაც არ მოეკითხებოდა ჭკუა და ახლა მთლად გადაირია, სულელივით დახტოდა აქეთ-იქით, უაზროდ იქნევდა დანას სანამ ბნელოს ჯაჭვის გაწვდენაზე არ აღმოჩნდა და უცებ რაღაცა გველივით გაიკლაკნა ჰაერში სისინით და ზედ თვალებში მოსდო, წამში გათიშა და გაისტუმრა ბუჩქებში. აწყობილად ვმუშაობდით, არავითარი გაცოფება და მალე ბილიბოის ჯილა ლეოც მიწაზე ეგდო, კისერზე ჯავმოხვეული, მეორე ბოლო კიდე ბნელოს ეჭირა; მაინც სცადა გაფაფხურება, მაგრამ პიტმა ქუსლი რო ჩააზილა კეფაში, ისიც მოყუჩდა კარგა ხნით.

ახლა კი შეგვეძლო ერთი-ერთზე გავსულიყავით ვის ვისთან მოეპრიანებოდა და მე რა თქმა უნდა ბილიბოი შევიტოვე – მაგის გახვითქული ღაჟღაჟა ბადრიმთვარე სიფათის დილიხორი მქონდა, პეპელასავით ვტანცაობდი მის გარშემო, ერთ მხარეს გადავხტებოდი და მერე უცბად მეორე მხრიდან ვცდილობდი სახეზე მიმეწვდინა ბრიტვა. იმას გრძელპირიანი დანა ეჭირა, თანაც მარცხენაში, მაგრამ რად გინდა – მძიმე იყო და მოუქნელი, მე კიდე ძმებო, ერთ რამედ მიღირდა ეს *კოჭლი* ვალსი: *მარცხნივ* და ორი-სამი, *მარჯვნივ* და ორი-სამი – ჯერ ერთ ყვრიმალზე დავუსვი, მერე მეორეზეც მივწვდი და იფეთქა სისხლმა, შავწითელ ფარდებად დაეშვა მის პუტკუნა გაზინზლულ ლოყებზე და მენდეთ ძმებო, სულ სხვა გემო ქონდა ამას მთვარის შუქზე! ეს დათვი ბილიბოი კიდე ვითომც არაფერი, ისევ მოიწევდა წინგაშვერილი დანიანი ცაციათი და ისევ იმას ცდილობდა როგორმე ნეკნებში ეტაკებინა წვერი.

უცებ პოლიციის მანქანის სირენა ჩაირთო, მერე მეორე... იმ მტირალა გოგოშკამ თუ ჩაგვიშვა – იქვე შენობის წინ ავტომატი იდგა, გვიანღა მოვიაზრე. ბილიბოი და ძმანი მისნი წამსვე გატრიალდნენ და უკანმოუხედავად დაგაზეს, მიწაზე დაგდებული მოღუღუნე ლეო არც გახსენებიათ. 'გულს ნუ გაიტეხ, ბილიბოთე! როდისმე მაინც ისე გამოგფაშვავ, წვეთი ზეთი არ შეგრჩება!' – მივაძახე და ჩვენც საპირისპირო მხარეს ავუდეთ.

ბევრიც არ გვირბენია, ის იყო მოკლეზე ჩავჭერით სანაპიროსკენ რომ სირენების ხმამ სხვა მხარეს გაუტია. ახლა რაღაც ჩაბნელებულ შუკაში მოვხვდით, აქეთ-იქიდან ორი მაღლივი კორპუსი დაყუდებულიყო მთასავით და ყოველ ბინაში თითო ცისფერი წერტილი ციმციმებდა: ამ ღამით **მსოფლიო არხზე** იქნებოდა ყველა გადართული, რაღაც ტელესპუტნიკი აქვთ გაშვებული და იქიდან თურმე დედამიწის ლუბოი წერტილში შეგიძლია ამ პროგრამის მიღება მაგრამ რად გინდა, ისევ ის ბრიყვი კომიკი იქნება ან რამე იდიოტური თოქ-შოუ, წამყვანი საკუთარი სიტუტუცით რო ტკბება ან ვინმე ახალი შხვართი ნეგრიტოსი – საშუალო კლასის საშუალო გაგების საშუალო ფანტაზიის მქონე მაყურებლის სათოხლავი... სირენების ხმა აღარ ისმოდა და ჩვენც წყნარად მივალაჯებდით, მარტო საბრალო ბნელოს მოეღრიცა კისერი ზემოთ ყურებით – პატარა ბავშვს რო პირველად დაანახებ ღამის ცას და ვარსკვლავებს და მთვარეს, სწორედ ისე. მერე უცებ დააბრეხვა, შეუმზადებლად: 'ნეტა იქ თუ არი რამე?..'

ამის გაგონებაზე კინაღამ გავგორდით, მერე ერთი წავუთაწე და ვეუბნები: 'წამო შე მართლა ბნელო, წინა თვის გაზეთში არ ეწერა – იქაც ისეთივე ხალხი ცხოვრობს როგორიც აქ დაბლა და იქაც ისეთივე ქაქია და დანების ტრიალი ხანდახანო. ჩვენ კი ძმაო, ჯობია ჩვენ თავს მივხედოთ, არავის დავეკარგოთ ამ ღამეში'. მაგრამ ბნელომ ჯერ რაღაც ძაან სერიოზულად შემომხედა და მერე ისევ ააღირა თავი. სულ დაიცენტრა-მეთქი, ჩავულაპარაკე ჯორჯი-ბოჭს და წავედით, აქეთ-იქიდან კიდე **მსოფლიო არხის** წამყვანის ქაქანი მიგვაცილებდა.

მალე მარშალ-პლეისზე გამოვედით – შორიდანვე მივხვდი, იმ ვიღაც ჩექმებიანი ულვაშა მასტის ბრინჯაოს ფიგურა რო წამოგვეყუდა. ახლა ერთი მან-

ქანა გვჭირდებოდა საგულაოდ და ძველისძველ ჩაფეხვილ ფილმოდრომს მივადექით. ხალხის სიმრავლე და დიდი არჩევანი რო არ იქნებოდა, ისედაც ვიცოდით – ვინღა დადიოდა იქ ჩვენისთანა ბიჭების გარდა, ისიც შესაკეთის გასაშანსავად ანდა ვინმე გოგოსთან პატარა საშმაშუნოდ ბნელში. აფიშაზე ყველაფერი გასაგები იყო – ისევ ოშზე და ჩვენი მტრების პოდლობებზე, ბახაბუხი და ერთი ამბავი და რა თქმა უნდა, მამაღმერთი მთავარი გმირის მხარეზე და ანგელოზები ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ...

რაც იქ მანქანები იდგა, ხელის გასვრად არც ერთი არ ღირდა, მაგრამ ბოლოს ჩიხში შეყენებული "დურანგო-95" დავლანდეთ და იმას კიდე არა უშავდა. ჯორჯი-ბიჭმა გასაღებების ასხმა დააძრო და წუთში ოთხივე შიგ ვიჯექით, ოღონდ პიტი და ბნელო უკან – დიდკაცურად უყვარდათ ხოლმე გაფუილება. მე კიდე მოკლეზე შევუერთე და რბილად, ნელა გამოვიყვანე ზადნით და მერე მოვწყვიტე ადგილიდან, კაციშვილს არ დავუნახივართ.

ერთხანს გარეუბანში ვიტრიალეთ, მოხუცებს ვაფრთხობდით გადასასვლელებზე და ვიღაც აზიატს მგონი ინფარქტიც ავკიდეთ, მერე კატებს და ძაღლებს დავდევდით, მაგრამ ერთიც ვერ გავიტანეთ. ტრასაზე რო გავედით, დიდი არაფერი მოძრაობა იყო და გაზიდან ფეხი არ ამიღია, ეს ჩვენი "დურანგო" კიდე მაკარონივით ჭამდა გზას და სულ მალე ქალაქგარეთ რომელიღაც კოტეჯებიან დასახლებაში ამოვყავით თავი. ბოლოს რაღაც მაინც გავიტანე, კბილებდაკრეჭილი, მგონი ფინია იყო, კარგად ვერ გავარჩიე სიჩქარეში. მერე ხის ძირას გოგო-ბიჭს ვკიდეთ თვალი, დიდი ხვევნა-პროშტნა ქონდათ გამართული. მანქანა მოვატრიალე, გზიდან გადავედი და ზედ მივაგდე. გადმოსვლა ვერ მოვასწარით, ისეთი დაფეთებულები გავარდნენ და დაწევის თავი ვიღას ქონდა, გავიფხრიწეთ სიცილით.

ახლა პატარა მოულოდნელი სტუმრობის ამბავიც არ გვაწყენდა სადმე მოტეხილ სახლში, მაგარი გრიალით და მერე, თუკი ივარგებდა რამედ, დიასახლისის მიმყნობაზეც არ ვიტყოდით უარს. ხოდა ბოლოში, სულ ცალკე, ერთი კოხტა კოტეჯი იდგა, წინ კარგი მოვლილი გაზონით და ჭიშკარზე კიდე (არა, მოფიქრება არ გინდა?) ყოვლად ბრიყვული წარწერით – *სამყუდრო*. ჯერ მე გადავედი მანქანიდან, ბიჭებს ვუთხარი მოყუჩებულიყვნენ და ეზოში შევედი. არც ძაღლი ყავდათ, არც არაფერი. კარზე დავაკაკუნე და ხმა არავინ გამცა, მერე ზარი მოვძებნე და ორჯერ დავრეკე ზედიზედ. ახლა კი ფეხის ხმა გავიგონე, კარი პატარაზე გამოიღო და ვხედავ – ჯაჭვზეა და ვიღაცა, ახალგაზრდა ქალი უნდა იყოს, მეკითხება: 'რა გნებავთ?' სტუმრებს ნაღდად არ ელოდნენ და მეც ძაან ძაან დაყენებული ხმით ვეუბნები:

'დიდ ბოდიშს მოგიხდით ქალბატონო, უდროო დროს კი გაწუხებთ მაგრამ სტუმარ კაცს ვაცილებდი და უცაბედად შეუძლოდ გახდა, მგონი გულის ამბავია, იქნება სასწრაფო გამომაძახებონოთ...'

'ტელეფონი არ გვიდგას...' – რაღაც ეჭვიანად მეუბნება – 'გზისპირა სახლებში აქვთ მხოლოდ'.

კოტეჯის შიგნიდან *კლაპ კლაპ კლაპკლაპ კლაპ* რაღაც ხმები გამოდიოდა, ალბათ საბეჭდ მანქანაზე თუ უკაკუნებდა ვიღაცა და უცბად კაკუნი შეწყდა და კაცის ხმამ გამოსძახა: 'რაო, ვის გავახსენდით?'

'ღვთის გულისათვის,' – ვეუბნები – 'სანამ იქ ჩავირბენდე იქნება ჭიქა წყალი მაინც მომაწოდოთ – ასე გულწასული როგორ დავტოვო!..'

ჯერ რაღაც ჭოჭმანობდა თითქოს, მერე 'მოიცადეთო' მითხრა და ეტყობა სამზარეულოში გავიდა, კარი არც ჩაუკეტავს, ჯაჭვზე დატოვა – ერთ რამედ ღირს როცა კარგად და წესიერად ლაპარაკი შეგიძლია და თუ არაფერი შეგეშალა წუთში შეაბამ ვისაც გინდა, თორე ისე აბა რომელი სინატრას ნამღერი ღამის უცნობი მე ვიყავი, ცოტა უფრო ფხიზლად არ ყოფილიყო.

ბიჭებს ვანიშნე და ჩუმად გადმოლაგდნენ მანქანიდან, ნიღბები გაიკეთეს და ზურგში ამომიდგნენ, მეც კიდე ჩემი ჩამოვიფხატე, მერე ბრიტვის ტარი ფრთხილად შევაცურე ღრიჭოში, ჯაჭვი ავხსენი და ოთხივენი ყეფა-კნავილით შევჯლიგინდით შიგნით. მშვენიერი ბუდე იყო, გემოზე მოწყობილი და შუა ოთახში ის ქალი იდგა, კამფეტკა, აცქვეტილი მკერდით, ხელში ჭიქით წყალი ეჭირა და ვიფიქრე არა უშავს, მოსასულიერებლად მართლა გამოადგება-მეთქი. კუთხეში კიდე მაგიდასთან სათვალეებიანი კლიენტი უჯდა საბეჭდ მანქანას და გარშემო გროვა ქაღალდები ეყარა. ეს უკვე სულ სხვა ინტლიგენტის რამე ტიპი იყო – წინა ჯერზე უბრალო მკითხველს მოვდეთ, ახლა კი ნამდვილი მწერალი არ დაგვეჩითა! იმან კიდე ძაან ძაან შეჭმუხნა შუბლი და გვეუბნება: 'ეს რა აბავია? როგორ ბედავთ სხვის სახლში ასე შემოვარდნას!' თვითონ კიდე ხმაც უკანკალებს და ცოტა ხელებიც. ხოდა მეც ვეუბნები: 'რაის გეშინია ბრატ, რაზე ავარდი? თუ რამ უკეთური გრძნობა გიდევს ჩვენს მიმართ გულში, ძმურად გთხოვ – ტემპში ამოიგდე და შორს მოისროლე!' ჯორჯი და პიტი უკვე სამზარეულოში ფოთიალობდნენ, ეს ბნელო კი იდგა ვითომ ჩესტზე და იმ ქალს მიშტერებოდა, ყლიყვი ეგა.

'რა არის ეს?' – ვკითხულობ ხმამაღლა და სებჭდ მანქანიდან ფურცელს ვაძრობ.

'მეც სწორედ მაგას გეკითხებით – *რ ა ა რ ი ს ე ს?* გაეთრიეთ აქედან, სანამ პოლიციეს გამოვუძახებდე!' ამაზე პ.ბ. შელი-ბნელომ ერთი კი ჩაიფრუტუნა მაგრამ ქუშად გავხედე და ისევ გაიჯგიმა.

'წიგნი უნდა იყოს, ასე მგონია', – გავაგრძელე დინჯად. – 'და ამა წიგნს თქვენ წერთ. მუდამ ღრმა მოწიწებით ვიმსჭვალებოდი ხოლმე იმ ხალხის მიმართ, წიგნების წერა რომ შეუძლიათ, ნამდვილად'. მერე უკვე დაბეჭდილი ფურცლების დასტას დავხედე და სათაურმა გამაკვირვა: **მექანიკური ფორთოხალი** – ეწერა ზედ. 'ძაან, ძაან უაზრო სათაურია', – ვეუბნები, – 'ნამდვილად. ბარემ *დასაქოქი ფორთოხალი* დაგერქმიათ'.

მერე ხელში რომ მეჭირა, იმ ფურცლიდან დავიწყე კითხვა – ხმამაღლა, ქადაგებასავით მძიმედ და საზეიმოდ: ***'... ყოველგვარი მცდელობა, თავს მოვახვიოთ ადამიანს – არსებას მზარდსა და ღვთის ბაგეებზე სიტკბოების შესაძლო მომტანს – თავს მოვახვიოთ-მეთქი კანონები და ის პირობები, მექანიკური ქმნილებისათვის რომ უფროა შესაფერისი, ამის წინააღმდეგ მივმართავ მე კალამს – ჩემს ერთადერთ მახვილს ...'*** ოღონდ ეს უკვე ჩემთვისაც მეტისმეტი იყო, ბნელოს კიდე რაღა გააჩერებდა, იქვე ჩაჯდა და მორთო პრუწუნი. სხვა რა დამრჩენოდა, დავიწყე თითო-თითოდ, ფურცელ-ფურცელ ხევა და ფხრეწა და ფეხით ტაქტს ვაყოლებდი ბნელოს პრუწუნს და ქაღალდის ფხრაწანის ხმას. ეს ჩემის მწერალი კი მთლად უსმენო აღმოჩნდა, გიჟივით მეცა და მთელი კონცერტი ჩაგვიშალა და დაისაჯა კიდეც: შიგ კაკალგულში ნაწყენმა ბნელომ ჯერ კარგად მოსდო გვერდიდან, მერე ერთი-ორი პირდაპირიც დაუქანავა ცხვირპირში და *ხხრრაჭ* – წასკდა ღვინოწითელი ძმარი ჩვენ ძმა მწერალს და აფრქვია მშვენიერ ნაზ ხალიჩას და ქაღალდის თეთრ ნაგლეჯებს წითელ წვეთებად!

მთელი ეს ხანი მისი ტურფა გაყინულივით იდგა, მარტო მაშინ წამოიხავლა რაღაცა, ბნელომ რო მუშტები აამუშავა და სწორედ ამ დროს პიტი და ჯორჯიც გამოჩდნენ, ორივე მადიანად ილუკმებოდა და ერთს მგონი შემწვარი ბარკალი დაეთრია და მეორეს კიდე კრემიანი ნამცხვარი. აი ამასაც ვერ ვიტან – ბაცნებივით რო იქცევიან ხოლმე და ან რა თოხლაობა აუტყდათ, თან ეს თითების კრემით გაწეპვა და ხორცის კბილებით გლეჯა რაღა უბედურებაა. გეყოთ თქვლეფა, – ვეუბნები – და ეს კაცი ისე დასვით ყველაფერს ხედავდეს და არც ხელი არ შეგვიშალოს-მეთქი. მწერალს ჩამსხვრეული სათვალე ცალ ყუნწზე ეკიდა და სახე კიდე მართლა მწიფე დაბეჟილ ფორთოხალს მიუგავდა. 'კარგი ხარ ბნელო, – ვეუბნები, – ახლა ერთი ეს მძიმე საქმეც დაგვრჩა მოსალევი და ღმერთმა მოგვცეს გამარჯვება'. ხოდა ბნელო იმ ქალს ეცა, მაგრა დაითრია და ძაან მოხერხებულად წაკუზა დივანზე. ჩემთვის მოსახერხებლად-მეთქი, უნდა მეთქვა – თორემ თვითონ ისე დათვურად გადაუგრიხა ხელები, ლამის სახსარში ამოუგდო, ის კიდე გემრიელად კიოდა ოთხმეოთხედზე და ბიჭებიც ვითომ მოთქმით აყოლებდნენ, მეც ბრიტვით ტაქტში ნელა დავუჭერი კაბა, ჯერ ქვევით მერე ზევით და ფეხებიც მშვენიერი გამოაჩნდა და კერტები ხომ მკვრივი მკვრივი უკეთესი არ გინდა, მთლად გოგოშკასი და მერე ჩავიხსენი ნელა, აუჩქარებლად და თან ერთი ხმაც კიდე შემოგვემატა – ის ჩვენი ძმა რაღაცის მწერალიც ცხვირპირდათეთქვილი ბღაოდა და მაინც კიდე იქაჩებოდა მაგრამ ჯორჯი და პიტი იქ არ იყვნენ და რო შევუდე, მთელი ოქტავით მაღლა ავარდა უცბად სოპრანო...

ჩემსას მოვრჩი და მერე ბნელოს ჯერიც დადგა და თავპატიჟი არ გაუდვია, ჩემი დახმარებაც კი არ დაჭირვებია მაგ ბეჰემოთს. მერე ადგილები გავცვალეთ – მე და ბნელო მწერალს დავუდექით, თუმცა უკვე აღარაფრის თავი აღარ ქონდა და მარტო რაღაც ბინძურ სიტყვებს ჩლიფინებდა ჩამტვრეული კბილებიდან და ბოდიალობდა რაღაცას თითქო თვითონაც რძისბარში ეგულავა კარგად და ახლა ჯორჯო და პიტი შეუდგნენ მუყაითად საქმეს.

ბოლო-ბოლო დავშუშდით მაგრამ თითქო რაღაც ბოღმა და ზიზღიც შე-მოგვაწვა უცებ და დავერიეთ რაც კი რამ დასამტვრევი იყო, არაფერი გადაგვირჩა მგონი და ბნელომ კიდე მაინც თავისი ქნა და ბუხარში მოშარდა – ასე დანთებულს ვერ დავტოვებ, ხანძარი იცისო და ერთი პირობა ხალიჩაზეც აპირებდა ჩაჯდომას – ამდენი ქაღალდი ყრია უხმარიო ოღონდ მე ავუყვირდი, მორჩი ბაზარს და საძა-გლობებს-მეთქი და კარში გავცვივდით ყველანი. მწერალი და მისი ქალი იატაკზე ეყარნენ უძრავად, მაგრამ ეგ არაფერი – ცოცხლები ხომ იყვნენ.

3.

მანქანაში ჩავეყარენით და ახლა მე დავჯექი უკან – რაღაც გადაღლილად ვგრძნობდი თავს, ამდენი დავიდარაბის მერე. საჭეს ჯორჯი-ბიჭი მიუჯდა და გავუ-ბერეთ ქალაქისაკენ, გზადაგზა კიდე ორ-სამ რაღაც პატარა ცხოველს გა-დავუარეთ, მაგრამ მარცხი არაფერი მიგვსვლია. ეგ იყო, ზედ სანაპიროზე ბენზინს დაენძრა, ჩვენმა "დურანგომ" ერთი ჭლექიანივით ჩაახველა და გაჩერდა. ახლა საქმე ის იყო, იქვე დაგვეგდო და ტრანსპორტზე გადავმჯდარიყავით თუ არ დაგვეზარა და პირდაპირ მდინარეში გადაგვეშვა კარგი გემრიელი ტყაპანის გასაგონად. ეგ მაინც უკეთესი ვარიანტი იყო და სიჩქარიდან ამოვაგდეთ, ცხვირი მოაჯირისკენ ვუქენით და მერე მივაწექით ოთხივე, იქ პატარა დაქანებაც იყო და შედღლიზა პარაპეტი და ლამაზად, შხლაპანით ჩაეშვა დიდი ქალაქის ნარეცხით აყროლებულ წყალში. 'კარგად, ჩვენი ძმა!' – მიაძახა ჯორჯიმ და იქით წავედით, მეტროს წარწერა რომ ციმციმებდა. იქ კი უკვე ყველანი წესიერად ვიქცეოდით, ბილეთებიც ავიღეთ და ბნელოს იმდენი ხურდა ფული მორჩა, სათამაშო ავტო-მატებიდან ერთი არ გამოგვიტოვებია და ღარიბ-ღატაკთა და მათხოვართა გასაკ-ითხადაც კი გვეყოფოდა, მაგრამ ამ დროს ასეთ მიგდებულ სადგურზე სანთლით რო ეძებო, ერთსაც ვერ იპოვი.

მალე ვაგონიც ჩამოდგა, კაციშვილი არ იყო შიგ და მთელი სამნახევარი წუთი რა უნდა გვეკეთებინა, მივდექით და სახელმწიფო ქონებას ვანიავებდით – ცოტა სკამები დავჭერით, პიტმა სახელური მოაძრო რაღაცას, ბნელომ თავისი ჯაჭვი მოსდო ფანჯარას და ნატეხებმა გემრიელად გაიელვეს გარეთ, სიბნელეში, მაგრამ ასეთი შინაარსიანი გვიანი საღამოს მერე ცოტა გადავიწვით ეტყობა და თავი დიდად აღარ გამოგვიდვია. მარტო ბნელო დახტოდა აქეთ-იქით და ჭყვიტინებდა აჩაჩულ-დაჩაჩული და სახეგაოფლილი და ყველაზე უფრო სწორედ ეს მაღიზიანებდა ხოლმე, ძმებო.

ცენტრში ამოვედით და ისევ "ფაქიზოში" ვდურთეთ თავი, თუმცა ყველას უკვე ნანუნები გვეპარებოდა და შიგადაშიგ კიდეც ვამთქნარებდითსავით – ეს დი-ლაუთუნია ადგომები და სკოლა იყო რო გვსპობდა მოზარდებს. ხალხი ახლა აქ კიდე მეტი იყო, ის ჩვენი გათიშულიც იქვე იჯდა, ოღონდ უკვე აღარაფერს აღარ დუდღუნებდა – მთლად გადაფითრებოდა სახე და გამომეტყველებაც კაცის კი არა, ნივთის ქონდა, ღმერთმანი უკვე მესამე თუ მეოთხე კრუგზე იქნებოდა

გასული და ამდენხანს თუ აპირებდა გაღმა ყოფნას, ერჩივნა ცალკე კაბინა აეღო – ასეთ ადგილას კუნძივით რო დაეგდები, რა იცი რამდენი ოხერია – ან ჯიბეს ამოგისუფთავებს ვინმე ან უარესსაც გიზამს. დიდი კი არაფერი, ჰა და ჰა ერთი წაგითაქონ და სკამიდან მაგიდის ქვეშ გიკრან თავი – ფეხების შესაწყობად; ნამდვილ გართობას კი არ დაგანებებენ – ყველამ იცოდა, ასეთ ბარებში ორი-სამი ოყლოყი ყოველთვის იჯდა სადმე და ფულსაც სწორედ იმაში უხდიდნენ, არეულობა არაფერი მომხდარიყო. ბნელომაც მხოლოდ ერთი დღლიზა გვერდში, კედელთან მიაგდო და მის ადგილზე დაეძნეყვა ხვნეშით, მაგრამ იმას რა – სული და სხეული გაყოფილი ქონდა და ყველა შეგრძნებები კიდე ცალკე ედო...

ტინეიჯერები უკვე ყველა გაკრეფილიყო ბარიდან, ახლა უფრო ვზროსლი ხალხი უჯდა მაგიდებს და ჩაცმულობაზე ეტყობოდათ მსახიობები უნდა ყოფილიყვნენ – ტელესტუდიაც აქვე იყო, კუთხეში. ქალებს ცოცხალი, რაღაცნაირად მეტყველი სახეები ქონდათ, კარგად დაღებილი ტუჩები და ყოველ გაცინებაზე ჩაწიკწიკებულ კიჭებს აჩენდნენ და ფეხს ფეხზე ისე გადაიდებდნენ ხოლმე, თვალი ზედ დაგრჩებოდა. ლაპარაკობდნენ, დაობდნენ რაღაცაზე და ღმერთმანი ძმებო, ეს ბილწი დამპალი სამყარო სულ არ ადარდებდათ. ამ დროს დისკიც ჩათავდა (ჯონი ჟივაგო დაგვჩხაოდა თავის რაღაცაიმისგამო დაკარგულ სიყვარულზე) და სანამ ავტომატი ახალს გაუშვებდა, უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში ყველამ დაუწია ხმას და ერთმა ქალმა – ისიც მსახიობებში იჯდა – რაღაც წაიღიღინა თითქოს მაგალითისთვის, თითქოს რაზეც ლაპარაკობდნენ იმაში ჩართო, სულ ტაქტნახევარი იქნებოდა მაგრამ ძმებო, ესეც მეტი იყო ჩემთვის – თითქოს რაღაც უცხო ჩიტი შემოფრინდა რძისბარში და მე კი დამბურძგლა და ხვლიკებმა დამირბინეს ზურგზე: ფრიდრიჰ გიტერფენსტერის ოპერიდან იყო – Das Bettzeug* ქვია და სწორედ ის ადგილი ძმებო, ყელგამოღადრული რომ ხრიალებს სიკვდილის წინ – *'ჩემივე ბედის შესახვედრად...'*

მაგრამ კაცს რო ბნელოს შეგარქმევენ რა მოგეკითხება, მუსიკა და ხმაური მაგისთვის ერთი იყო და უხმაურო მუსიკა კიდე – უმი ხორცი. ხოდა ამ ბრიყვს რო თავისი არ ექნა ისე რა გააჩერებდა და წამოხტა, მოპრუწა ტუჩები, თვალები მიბლიტა, ხელები დაიწყო მკერდზე და ვითომ გრძნობებში გადავარდნილი ახვიხვინდა ცხენივით. მერე პირგახეული და ძაან ძაან კმაყოფილი დაებერტყა ადგილზე. აი მაშინ მეგონა სიცხე მომცა-მეთქი, თვალებში სულ სისხლისფერი ფილტრები ჩამიდგა და ვეუბნები ხმადაბლა, წყნარად: 'ბრიყვო, დამპალო ბრიყვო ნაბიჭვარო...' მერე გადავიხარე და მოკლეზე მივაკერე ტუჩებში. გონზე ვერ მოვიდა, ისევე გახეული დარჩა პირი და სისხლი მოიწმინდა მარტო და ხელზე რო დაიხედა მთლად გამოქლიავდა და დებილივით მეკითხება – 'რატო?..' ბევრს არავის დაუნახავს რაც ვქენი და თუ ვინმემ თვალი შემასწრო რაში ადარდებდათ. ამასობაში მუსიკა ჩაირთო ისევ და ახლა ელექტროგიტარების ჟღიალს მიქონდა იქაურობა. 'იმიტო და ამიტო. ბრიყვი ხარ და გაუზრდელი და ხალხში გვარცხვენ,' – ვეუბნები – 'ასეა ძმაო ჩემო და კი ნუ გეწყინება'. ბნელომ კიდე თვალები მოწკურა და

**საბან-გობანი,* ანუ – ლოგინის აქსესუარები იგულისხმება.

ავად ისე წაიბურტყუნა: ‘არაფერი შენი ძმა მე აღარავარ და არც ვიქნები. მეყო’. თან ცხვირსახოცით იწმენდდა სისხლს და ცოტა გაკვირვებული დაყურებდა თითქო მისი კი არა ვიღაც სხვისი იყო. იმ ქალს კიდე არაფერი შეუმჩნევია, მგონი არცკი გაუგია არაფერი და კაცმა რო თქვას, მარტო მე დამათხლიშა ნერვები ამ ბრიყვმა. ‘ჰოდა ძალიანაც კარგი თუ გეყო’, – ვეუბნები – ‘აწი დაიმახსოვრებ და ძმობაზე კიდე სხვა დროს ვისპოროთ’. და უცებ ჯორჯი-ბიჭი არ გამოვიდა სიტყვაში? თან რაღაც ისე უცნაურად თქვა, სხვანაირად, ტემპში მისკენ შევტრიალდი: ‘კარგი, არ გვინდა ახლა...’.

‘დაიცა,’ – ვეუბნები – ‘ჯერ გავარკვიოთ. მთელი ეს ამბავი ბნელომ ატეხა და ხო არ შეიძლება მთელი ცხოვრება ბავშვივით ველოლიავოთ. კაცი რო რამეს მიქარავს თუნდაც პატარას და უჭკუოდ და ძმაკაცს რაღაცაში გაუტეხავს, ცოტა მაინც უნდა მოხვდეს. და მიხვდეს’. ბნელო კიდე ისევ სისხლს იწმენდს და თავისას ბურტყუნებს, ოღონდ უკვე ხმამაღლა და მოურიდებლად: ‘არა, მაინც რასაა რო პრიკაზობს და მირტყამს, რა მაგის შესტიორკა მე ვარ... ერთი თუ მოვდე ჯაჭვი, მერე მეყოლოს!..’

‘ცოტა ფრთხილად ძმაო’, – ვეუბნები – ‘სიტყვებს არჩევა უნდა ძმაო, მაშ’.

‘მაშ მაშ, სულ შენ ჭკუაზე ვივლი და ხმას როგორ ამოვიღებ და როცა გინდა მაშინ მომდებ შენმა მზემ! პრიჩინაზე თუ წავიდა სწორედ მე მაქ და როცა გინდა, გინდა დანით გინდა ბრიტვით და გინდა ჯაჭვით საცა გინდა და მერე ვილაპარაკოთ!’

‘დანა იყოს,’ – ვეუბნები შემპარავად – ‘როცა შენ იტყვი.’

აქ კიდე პიტი ჩაერია და ალბათ დროზეც: ‘მაიცათ ახლა, ეს რა ლაპარაკია – დაცხებთ აქ ერთმანეთს და მერე სხვების საღადაო გავხდებით... აზრზე მოდით, უკვე ისედაც ლევად გვიყურებენ’.

‘ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს,’ – ვეუბნები – ‘სწორეა?’

‘დაიცადაიცა’, – ისევ ჩაერთო ჯორჯი-ბიჭი – ‘ეს რაღაც ახალია. პირველად მესმის ეს რაღაცა ადგილებზე დასმა’.

‘იცი რა, ალეკს,’ – ახლა პიტი მეუბნება – ‘მეც ძაან გამიკვირდა. სადაური წესია ასე გამეტებით ურტყა მეგობარს და თანაც ხალხში. იქნება და მართლა შეეშალა რაღაცა და ძაან გაგიტყდა, მაგრამ მაინც... ხომ იცი ყველა ამბავში პატივს გცემ მაგრამ ჩვენში იყოს და ეგ რო ჩემთვის გექნა, მე ლიჩნად არ შეგარჩენდი... ეს ისე, სიტყვაზე ვამბობ’. – თქვა და ცხვირპირი ისევ რძიან ჭიქაში დურთა.

უკვე ვგრძნობდი ბოღმა მაწვებოდა მაგრამ არ მინდოდა შემემჩნია და წყნარად ისე ვეკითხები: ‘ჩვენ ამბავში დისციპლინაა მთავარი, ეგრეა?’ ერთს არ გაულია ხმა, თავიც კი არავის დაუქნევია. ახლა უფრო გავლიზიანდი და კიდე უფრო წყნარად და მშვიდად ვეკითხები: ‘ყველანი ძმაკაცები ვართ მაგრამ ვიღაცა

უნდა უფროსობდეს ბრიაჟკაში, ვიღაცის სიტყვა უნდა გადიოდეს – ულაპარაკოდ, სწორეა? სწორე ვარ-მეთქი?' ერთმა თავი დამიქნია თითქოს, მეორემ თითქოს მეთანხმებაო დაიდუდღუნა რაღაცა და უცებ ბნელომ თქვა დაწყობილად და გასაგებად:

'ეგრეა, სწორე ხარ. დღეს ცოტა ზედმეტი მოიგვივიდა და გადავიღალეთ ეტყობა. მოვრჩეთ ბაზარს. ახლა ნანუნები გვინდა და ხვალ ყველაფერი კარგად იქნება'.

ამაზე კი ატეხეს ორივემ თავების კანტური და შვებით ამოისუნთქეს, მაგრამ მე ძაან გამიკვირდა და სიმართლე გითხრათ, მაგრა დამაეჭვა ბნელოს ამ უცაბედად დაბრძენებამ.

'უნდა გამიგო ბნელო,' – ვეუბნები, – 'გიჟი ვხდები ხოლმე ვინმე რო მუსიკის დროს ჩაერთვება. ავიწევი ხოლმე ჭკუიდან'.

'კარგი, გვეყო ხალა ამაზე. ერთი თიში ძილი გვინდა ახლა ყველას'.

იმ ორმაც ისევ დააკანტურეს თავები, ნამდვილად გვინდაო.

'აბა ავიბარგეთ. ხანდახან ბნელოც იტყვის ჭკვიანურს... თუ დღისით-მზისით ჩვენი გზები არსად შეიყარა ძმებო, ხვალ იმავე დროს და იმავე ალაგას ვიკრიბებით, მოსულა?'

'მე ლიჩნად მაწყობს,' – თქვა ჯორჯმა. პიტმა ისევ თავი დააქნია მხოლოდ.

'თუ შემაგვიანდა,' – თქვა ბნელომ – 'პირველი-მეორეზე გაითვალეთ და სანამ ბოლოში გახვალთ კიდე მოგისწრებთ. თუ ვინმე მომღერალი გოგო ნახოთ სადმე, თქვენ იცით, არ გაუშვათ ხელიდან!' – თქვა და არორხროხდა, ეტყობა საკუთარი იაზვობით ძაან ნაამები.

ჩვენც დავიშალეთ, ყველა თავ-თავის მხარეს წავიდა და მე კიდე კონსტიტუციის აღმართს შევუყევი. იქ, სულ ბოლოში, მოსახვევთან, ის ყლინჯი მაღლივი შენობა იდგა – #18ᵃ, სადაც ჩემები ცხოვრობდნენ. ყოველი შემთხვევისათვის სამართებელი გახსნილი მედო ჯიბეში – რა იცი ბილიბოის შაიკიდან არ გადავყროდი ვინმეს, ან რომელიმე გრუპას რამე ვერ გაეყო და ზედ ჩემი სახლის წინ არ გაემართა ბოი... სიწყნარე იყო, მარტო ვიღაც პუჭურა ეგდო იქვე კუთხეში, კარგა მაგრა დასერილი და წკმუტუნებდა. იქვე კიდე ქალის დაფხრეწილი საცვლები ეყარა, ეტყობა ცხელ გულზე წაევლოთ ვიღაცისთვის ხელი.

სადარბაზო ფართო გვქონდა, ძაან ფართო, კაცმა არ იცის რისთვის. კედლები კიდე სულ ფრესკებით მოეხატათ, ქალაქის საბჭოს დაკვეთით: ჩამოსხმულტანიანი შიშლიკანა ქალები და კაცები – ასე ვთქვათ, ანტიკური ქანდაკებე-

ბის სტილში, დაზგებთან თუ რაღაც სამეურნეო მანქანებთან ამაყად მდგომნი, ძაან შემართულები, სფინქსებივით იყურებოდნენ სადღაც მოუსავლეთში. ოღონდ ამაღლებული ხელოვნების ამ დაუცველ ნიმუშებს უკვე დატყობოდა არასრულწლოვანი ვანდალების ხელი: ფლომასტერებით და აეროზოლის ბალონებით ფეხებშორის რა არ მიედღაბნათ, კაცებისთვის ულვაშები მიეხატათ, ქალების გაწვდილ ხელებში ხო რაღა არ ჩაედოთ ვითომ; ყოველგვარ ბინძურ და გარყვნილ წარწერებს კიდე, ვითომც მათი ვაჟკაცურად და მთელი შეგნებით მოკუმული ტუჩებიდან რომ გამოდიოდა, თვლა არ ქონდა – საათის ნახევარი მაინც დაგჭირდებოდა ყველას წასაკითხად.

ლიფტში აღარც შევსულვარ – ვიღაცა ემჯეპეს რკინის კარი ჩამოეღო და იქაურობა ერთიანად დაებარდაგებინა. ღმერთმანი, ხალხს საქმე არა აქ. დაღლილ-დაქანცული და ნერვებმოშლილი ავბლაყუნდი მეათე სართულზე და ახლა მარტო მუსიკა თუ გამისწორებდა ხასიათს, თვალწინ სულ ის არტისტკა მედგა, რძისბარში რომ წაიღიღინა. ეტყობა იმან ამაგდო და ძმებო, მე ახლა გრძნობების ღრეობა მენატრებოდა და ვერც მოვიკლებდი ამ სიამოვნებას, ვიდრე ძილისგუდა მორფევსი არ ჩამირტყამდა ბეჭედს მის საუფლოში გადასასვლელად.

გასაღები ჩემი მქონდა და მუდამ უხმაუროდ შევდიოდი ჩვენს წყნარ, დაწუკწუკებულ ბინაში. დედა-მამა ამ დროს შუა სიზმრებში იყვნენ ხოლმე, მაგრამ სამზარეულოში პატარა მაგიდაზე ვეჩნად მხვდებოდა მზრუნველი ხელით გაწყობილი რამე სათოხლავი – ან მოხარშული ხორცის ნაჭერი მაიონეზით ან ყველიანი ბუტერბროდი და ჭიქა რძე, აუცილებლად. ჰუ-ჰუუ! *ჩვეულებრივი* რძე, ძმებო – ყოველგვარი სინტემესკებისა და დრენქრომების გარეშე და დედოს ხო აზრადაც არ გაუვლიდა რა გრძნობა მიჩნდებოდა ამ ღვთისნიერი ცხოველისაგან გამოწველილი პროდუქტის დანახვაზე...

კარგა მოშიებული კი ვყოფილვარ, ნამცეცი არ დამიტოვებია და მაცივრიდან კიდე რაღაც ნამცხვარიც დავითრიე. მერე ტუალეტში შევიარე პატარა საქმეზე, კბილებიც გამოვიხეხე (ეგ არასოდეს მავიწყდებოდა) და ჩემს სოროში შევიკეტე. ტანსაცმელი კი იქვე მივყარე, ნოხზე, აბა მილაგების თავი ვის ქონდა და დედიშობილა გავიშოტე ლოგინზე – აქ უკვე ჩემს სამყაროში ვიყავი და კაცი არ მყავდა გამკითხავი. ცოტა ხანი ასე ვიწექი, კედელზე ჩამოკონწიალებულ რაღაც ვიმპელებს და სიგელებს შევყურებდი და სულელივით მეცინებოდა. სკოლის ბანაკის მოსაგონარი იყო: *ჯგუფი ალფა, ლურჯი კეპები, ვიღაცაიმის სახ. IV რაზმი...* რა ვიცი, რაღას არ იგონებდნენ. მერე ერთმანეთს გვაჯიბრებდნენ ვითომ. შიგნაკრავები.

ჩემი სიამაყე, ოთხარხიანი კვადრაფონი ლოგინთან მედგა, დისკების თარო კიდე მის ზემოთ, ხელის გაწვდენაზე. დინამიკები მუდამ გაშლილი მქონდა – ორი იატაკზე აქეთიქიდან და ორიც ჭერზე ეკიდა დახრილი კუთხით და ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა ხოლმე თითქო შიგ შუაგულ ორკესტრში ვიჯექი. ოჯახმა ჭკუა ისწავლა და ასეთ დროს კარზე აღარ მიბრახუნებდნენ, ეს შენი მუსიკა ტვინს გვიბურღავსო. ძილის აბების ყლაპვა დაიწყეს და ახლა უკვე მიღებულიც ექნე-

ბოდათ სრული დოზა და ძალიანაც კარგი – უკვე ვიცოდი რითაც დამეწყო: ჯეფრი პლოტუსის ერთი ახალი საჟიოლინო კონცერტი მქონდა, ოდისეუს ქორილოსისა და მეკონის (ეგ შტატებშია) ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. კონვერტიდან გამოვიღე ფრთხილად, ფრთხილადვე დავდე, ავტომატიკზე დავაყენე და ველოდები.

გარღვეული ღრუბლებიდან ჩამოქცეულ ცის ნათელს გავდა ძმებო, თუკი გინახავთ ეს როდისმე და მე კი ვიწექი შიშველი, ჭერქვეშ, თვალდახუჭული და პირღია, ხმები თითქო ტალღებად გადამდიოდა სხეულზე და ნეტარებაში დახრჩობის მეშინოდა თითქოს. სადღაც ზურგსუკან ტრომბონები ბაჯაღლო ოქროსფრად უბერავდნენ, საყვირების ხმა გამდნარი ვერცხლის ენებად იკლაკნებოდა ჩემ თავზემოთ და უდარნიკის თეფშების წკარუნი ტვინში ნაპერწკლებად გამდიგამომდიოდა. ყოველგვარ ნეტარებაზე უნეტარესი შეგრძნება იყო და მერე სადღაც, სხვა სიმებიანებისაგან მოშორებით ჩამოიღვარა ვიოლინოს ხმა – ძლიერდებოდა, სუსტდებოდა, წინ და უკან, ზევით და ქვევით ადი-ჩადიოდა, ობობასავით რაღაც ჩარდახს ქსოვდა ჩემი ლოგინის თავზე; მერე ფლეიტა და კლარნეტიც გამოძვრნენ, გამლღვალი სპილენძის სქელ ფაფაში დასრიალებდნენ პლატინისაგან გამოჭედილი გველებივით, მე კი ანაორთქლში დავცურავდი თითქოს საკუთარ სხეულს მოწყვეტილი და ვხედავდი იმას, რასაც ვერცერთი სინტემესკით გამოძახებული ღმერთი ვერ მიჩვენებდა – უამრავი კაცი და ქალი, სულ სხვადასხვა ხნის, აქეთიქით მიყრილმოყრილები გაკიოდნენ და შველას მთხოვდნენ, მე კიდე გიჟივით ვიცინოდი და შიპებიანი ფეხსაცმელებით დავალაჯებდი სახიდან სახეზე და ნელა-ნელა, ხტუნვა-ხტუნვით მივდიოდი იქ სადაც კედელზე გაკრული კაბაშემოფლეთილი გოგოები ჭყიოდენ და რომ მივადექი სათითაოდ სწორედ ამ დროს ავარდა ფინალის tutti და მაშინ გავასხი, უცაბედად გავთავისუფლდი, საკუთარ სხეულს დავუბრუნდი და დისკიც სწორედ ამ დროს ჩათავდა.

მერე მოცარტის 'იუპიტერი" დავდე და ახლა სხვა სურათები და სახეები დამიდგა თვალწინ, მაგრამ ვიცოდი მერე მომინდებოდა რაღაც ძალიან ძველი, ძლიერი და მკვეთრი, წაწყობილი ხმებით და ბოლოსთვის მოვიტოვე ის ერთი – "ბრანდერბურგული კონცერტების" ალბომიდან, იქ სულ საშუალო და დაბალ რეგისტრებში მირეკავენ სიმებიანები. ვუსმენდი და რატომღაც გამახსენდა გადაფხრეწილ თავფურცელზე რომ ეწერა იმ ჩემის მწერალს იმ თავის *სამყოფელში* თუ არა, *სამყუდროში* – **მექანიკური ფორთოხალი**. ვუსმენდი ბებერ გერმანელ მაისტერ ბიურგერს და თითქოს ახლა ვხვდებოდი რისი თქმაც უნდოდა ამით და ისევ მომინდა იქ მიბრუნება, ოღონდ ახლა სულ მარტო და ყველაფრის თავიდან დატრიალება, ოღონდ ახლა უფრო გემოზე და აუჩქარებლად...

4.

მეორე დღეს სადღაც საათის რვაზე კი გამომეღვიძა, მაგრამ ისე ვიყავი დაბამბურებული, თავიც ვერ ავწიე ბალიშიდან და მეთქი ერთი-ორი საათი კიდე წავუძინებ და მერე ავდგები წყნარად, აქაფებულ ვანაში ვიჭყუმპალავებ, მშვიდად და წესიერად, ნება-ნება ჩავიცვამ, საუზმესაც ჩემ ჭკუაზე მოვიმზადებ და გაზეთსაც გადავხედავ; თუ სურვილი გამიჩნდა, იქნებ სკოლაშიც გავიარო – ვნახო ერთი, რა ყრია სწავლაში. მესმოდა კედლის იქით რას ფართიფურთობდა მამაჩემი, სამსახურში მიეჩქარებოდა. საწყალს მგონი მართლა ჯერა რო უომისოდ საქმე არ გაკეთდება. მერე კარიც გაიჯახუნა და უკვე ვიცოდი, ახლა დედო დამიკაკუნებდა ფრთხილად და შემომძახებდა: 'მეცხრე საათი დაიწყო შვილო, ისევ არ დაგაგვიანდეს'. ხოდა სანამ ხმას ამოიღებდა, თვითონ გავძახე – რაღაც თავი მტკივასავით და ცოტა ძილს გავიგრძელებ-მეთქი. კარსუკან ამოიოხრეს თითქოს და შემეშვნენ. ასე ჯობია. ახლა დედოც გაბაკუნდება – საყოველთაო კანონით ყველა ზრდასრული, ვინც კი ავად არაა ან ჩვილი არა ყავს მოსავლელი, დროზე უნდა გამოცხადდეს სამსახურში. ის კიდე რომელიღაც დიდ მაღაზიაში მუშაობდა და კონსერვებს და პაკეტის ჩაის თუ რაღაც ამისთანა საზიზღრობებს ყიდდა დილიდან საღამომდე. გავიგონე სამზარეულოში რომ საქმიანიბდა რაღაცას და მერე დერეფანში გავიდა, პალტო ჩამოიღო ალბათ და მაინც ვერ მოითმინა, კიდე შემეხმიანა წასვლის წინ: 'შვილო, მივდივარ და საუზმე გაზზე შემოგიდგი, შეათბე'. მაგრამ მე უკვე გაღმა გავდიოდი საძილეთში და ხმა აღარ გამიღია.

მერე კიდე ისეთი რამე მეზმანა, რო მცოდნოდა თვალსაც არ მოვხუჭავდი ძმებო: ჯერ იყო და ჯორჯი-ბიჭი დამეჩითა, ძაან დაბერებული და გამკაცრებული, სულ დისციპლინაზე და კანონმორჩილებაზე ლაპარაკობდა, მერე ისიც დაამატა – ვინც სიტყვას შემომიბრუნებს კარგი დღე არ დაადგებაო; მე კიდე ვიღაც სხვა ბიჭებთან ერთად მწკრივში ვიდექი ვითომ და ყველანი სულ ერთსა და იგივეს გავიძახოდით: 'დიახ სერ,' – 'არა, სერ!' და ბოლოს კაი სალდათებივით ვესალმებოდით ყველანი. კარგად რო დავაკვირდი, მხრებზე პაგონები დავუნახე ზედ რაღაც ვარსკვლავებით და საერთოდაც ისე იქცეოდა, თითქო მართლა დიდის რამ ჩინი იყო. მერე კიდე ჩვენი ბნელო გამოეჭიმა წინ, ჯაჭვის ქნევით მიესალმა და მე რო მკიდა თვალი, ლამის იქვე ჩაიღრჩო სიცილით. ჯორჯი-ბიჭმაც თითქოს ახლაღა დამინახაო, წარბები მოქუშტა, თითი ჩემკენ გამოიშვირა და 'ეს კაცი რატოა უფორმოდო' – იკითხა. ამის გაგონებაზე კინაღამ ჩემი დამემართა, არ მცემოთ ძმებო-მეთქი, მოვრთე ყვირილი და დავგაზე, მაგრამ ბნელო გამომენთო უკან, ჯაჭვს იქნევდა და ყოველ მორტყმაზე თითქო დენი მივლიდა ტანში და ელექტროზარის ბზუილი ისმოდა საიდანღაც.

ფეთიანივით წამოვხტი და გულს სულ ბაგაბუგი გაუდიოდა, ამ დროს კიდე კარზე მართლა რეკდა ზარი და მიხმობდა, გაუთავებლად. ჯერ ვიფიქრე არ გავალ, ვითომც სულ არა ვარ-მეთქი სახლში, მაგრამ ეს ბზზზზ აღარ გათავდა და ბოლოს ხმაც გავიგონე: 'ალეკს, მორჩი მაგ დამალობანას, ვიცი სახლში ხარ!'

იმწამსვე მივხვდი ვინც იქნებოდა – გამასწორებელი სკოლიდან გადმოყ-

ვანილთა ზედამხედველი – ვინმე პლატონ დელტოიდი (იმ ბებერ უილის კიდე რო კითხო – *რაა სახელიო...*) და რაღა მექნა, მაგას ეგრე ადვილად რას მოიცილებდი თავიდან, კიბო იყო ნამდვილი და არიქა, იქნება გადაგვიწვათ ეგ ზარი-მეთქი, მივაძახე, თან ვითომ ძაან ნატანჯი ხმით. მერე კარადა გამოვაღე, ჩემი დრაკონებიანი კიმონო შემოვიცვი, ფეხები ბეწვიან ფაჩუჩებში ვტუცე, ქოჩორ-ბუჩქიც ჩამოვიფარცხე ცოტა და ჩემი ღრმა რწმენით, საკმარისად გავემზადე უფ. პ. დელტოიდის დასახვედრად.

კარი გავუღე და ისიც შემობლაყუნდა: ჩია, გალეული, განუყრელი ძველი შლაპით თავზე და თვალები სულ აქეთ-იქით გაურბოდა, ქუჩის ბაცანასავით.

'მაშ, ალეკს ჩემო', – მეუბნება – 'ეს წუთია დედაშენს ველაპარაკე, ნამდვილად. მითხრა თითქოს სადღაც რაღაც წამოგტკივდა თურმე და ვერც სკოლაში ვეღარ წასულხარ'.

'აუტანლად მტკივა თავი სერ, ნამდვილად'. – ვეუბნები იმ ჩემი დაყენებული ხმით – 'დღის მეორე ნახევრამდე თუ არ გამიარა, ექიმს გამოვიძახებ'.

'რას ამბობ, ჩემი ბიჭი, როგორმე საღამომდე მოითმინე და მერე თავისით გაგივლის, ნამდვილად. ღამისპირს თავი სულ სხვანაირად გიწყებს ხოლმე მუშაობას, ეგრე არაა? დაჯე, რას უდგეხარ'. – ისე მეუბნება ეს ჩემისა, თითქოს მე ვიყო მისული მასთან სტუმრად. თვითონ კიდე მამაჩემის საყვარელ კრესლოში გამოიჭიმა და მოყვა თავის კანტურს. თან თვალს არ მაცილებს.

'ჭიქა ჩაის ხომ არ ისურვებდით, სერ?'

'სადაა დრო...' – მეუბნება თავის კანტურით – 'ჩაის დასალევად მცალია?' – თან ფეხს ფეხზე იდებს და ზის ასე ფეხიფეხგადადებული, თავკანტურა და დრონაკლული. მაგას თუ ვუყურე, კაი დახლი დამიდგება. ნამდვილად.

'რას მივწერო თქვენი მოულოდნელი ვიზიტი, სერ? მოხდა რამე?'

'რა უნდა მომხდარიყო?' – უცებ მოისხიპა ღიმილი და გამომხედა ეჭვიანად, მერე მზერა გაშლილ გაზეთზე გადაიტანა, იქ კიდე ერთი შხვართის ფოტო იყო, რაც ეცვა უფრო უჩენდა ვიდრე უფარავდა რამეს და ქვეშ წარწერა. – ვიღაცა მთელი გრძნობით გეპატიჟებოდათ ადრიატიკის მზიან სანაპიროზე. ბნ-მა დელტოიდმა დიდრონი ნერწყვი გადაყლაპა, ერთხელ კიდე დაალივერა რეკლამა და თითქო გამოერკვაო, ახლა აქეთ შემომიტია: 'მოხდა-არმოხდა – ეგ შენზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს ალეკს ჩემო, და თუკი მართლა მოხდა რამე, გიჯობს დროზე გამანდო. ხომ იცი, რომ ჩავარდე, ჩემს მეტი ხელისშემშველებელი კაცი არ გეყოლება და ვაითუ იმისთანა ალაგას ჩაგაყუდონ, გამასწორებელი სკოლა სანატრელ მოგონებად დაგრჩეს... მეც კიდე თავზე არავინ გადამისვამს ხელს და საკუთარი თავი თუ არ გებრალება, მე შემიცოდე, ორიოდე დღის სიცოცხლე დამრჩენია და ისიც შენისთანებზე ზრუნვას უნდა შევალიო!'

'რას ბრძანებთ,' – ვეუბნები – 'სანიმუშოდ ვიქცევი, მოწმედაც კი არავის გამოვუძახივარ პოლიციაში'.

‘შეეშვი მასეთ ლაპარაკს, ალეკს ჩემო,’ – მეუბნება ბ-ნი დელტოიდი – ‘რომ გამოგიძახებენ, მერე გვიან იქნება, თუ ვერაფერზე წაგასწრეს, ეს კიდე არ ნიშნავს რომ არც არაფერი ჩაგიდენია – ასე არაა, ჩემი ბიჭი? აგე, გუშინ ღამით დიდი დაკადაკა ყოფილა უბანში, დანების ტრიალითა და ჯაჭვების ქნევით. ვიღაცა სქელ-სქელი ყმაწვილის მეგობარი კიდე საავადმყოფოში მოხვდა, რაღაც უცნაური იარაღით დასერილი. შენი სახელი უხსენებია. ნამდვილად. ზოგიერთი შენი ძმაკაციც, გვარებს არ დავასახელებ, საქმეში გადიოდა თურმე. ასე ამბობენ. ხმები დადის. არა, თავს არავინ დებს და პირზე არავინ წაგადგება, მაგრამ ერთხელ თუ იეჭვეს... მე კი, ღმერთმანი, ერთადერთი ვარ ეტყობა ამ მძიმე სენით დაავადებულ საზოგადოებაში, ვინც მართლა მოწადინებულია გზაზე დაგაყენოს როგორმე’.

‘ამას არასოდეს დაგივიწყებთ, სერ,’ – ვეუბნები – ‘ნამდვილად’.

‘კი, როგორ არა – მაგის იმედით მიდგია სული’ – ჩაიცინა პ. დელტოიდმა და მერე უცებ მართლა სერიოზულად, რაღაცა სევდიანადაც კი ჩამეკითხა: ‘არა, მაინც რა უბედურება გჭირთ ასეთი, არ მეტყვი? თითქმის საუკუნეა ამ პრობლემას ვსწავლობთ და მისხალიც ვერ გაგვირკვევია ვერაფერი. აგერ შენ თვითონ რა გაკლია – საკუთარი ოთახი, სანიმუშო მოსიყვარულე მშობლები, არც ჭკუაგონებაზე ხარ მწყრალად და არც შესახედაობით დაგჩაგრა ღმერთმა – რა ეშმაკი შეგიჯდება ხოლმე?’

‘ღმერთმანი სერ, აღარც კი ვიცი რა ვიფიქრო – დავაშავე რამე?’

‘მეც მანდა ვარ – ჩვენი ანგარიშით, სწორედ ახლა დაგიდგება ყველაზე სახიფათო პერიოდი და ამიტომაც გმოძღვრავ, შვილო ალეკს – ფრთხილად იყავი, ცდუნებას არ აყვე და რამე ცუდ ამბავში არ გაეხვიო ოთხივე თათით. ნათლად და გასაგებად თუ ვლაპარაკობ?’

‘უღრუბლო ცასავით ნათლად და გამრავლების ტაბულასავით გასაგებად, სერ! და საერთოდ, სერ – ჩემი იმედი გქონდეთ სერ – სწორ გზას ვადგავარ, ნამდვილად!’ – ვთქვი და გამარჯვებული სკაუტივით გავუღიმე, გულღიად და გულუბრყვილოდ.

ბოლო-ბოლო გავისტუმრე ეგ სკოლის ვირთხა მაგრამ მერე, ნაღდ ჩეფირს რომ ვიკეთებდი ჩემთვის, გულში გამკენწლა უფ. პ. დელტოიდის მოთქმამ – ასე და ისე ვწუხვართ და ვშიშობთო. არა, იმას კი არ ვამბობ თითქო მართლა თავი შემაცოდა მაგ ბრიყვმა – კარგია თუ ცუდი, მაინც ჩემი საქმეა მთელი ეს ცემა-ტყეპა, ბრიტვის ტრიალი და ჩახდა-წამოცმები და თუ ჩავვარდი და ჩამაყუდეს, სხვა კაცი არ იქნება ამაში დამნაშავე. მერე კიდე მეც გამოვალ სიტყვაში და სწორედ ასე მოვახსენებ საკუთარ თავს: ‘მკაცრი დასამართლიანია ეს განაჩენი, ბატონო ჩემო და შევეცდები კიდეც მეტ-ნაკლებად ჭკუა ვისწავლო; ხოლო როცა ისევ თავისუფალი ვიქნები, მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე, სანამ ვისიმე

დანა მომიღებდეს ბოლოს ბნელ ქუჩაში ანდა ტრასაზე ამოტრიალებულ მანქანაში მიპოვნიდნენ დაძვალრბილებულს, იმაზე ვიფიქრებ, როდისმე კიდევ არ ჩავუვარდე ამათ ხელში!.' აბა თავში მუშტების ცემას ხო მარ მოვყვები და ძახილს – მივხვდი რა ცუდი ბიჭიც ვყოფილვარ და აწი მე ვიცი, გამოვსწორდები კი არა, მთლად თითით საჩვენებელი გავხდები-მეთქი?! მთელი ეს ტვინის ჭყლეტა და ლაყაფი რაღაც "სოციალურ ფესვებზე" და "ბოროტების გამომწვევ მიზეზებზე" კიდე შაყირადაც არა ღირს. ჯერ სიკეთის გამომწვევი მიზეზისათვის ვერ მიუგნიათ და უცბად ბოროტების სათავეებს არ დაუწყეს ძებნა? ვითომ და რაო, თუ ვინმეს სიამოვნებს და ძაან დობრი რამეს აკეთებს ღმერთმა ხელი მოუმართოს – ვუშლი რამეს? იყოს და ისიამოვნოს, მეტი დარდი არა მაქ ფეხს თუ წაიტეხავს სადმე, და მე თუ სწორედ ამის საპირისპირო ამბავი მისწორებს, მე რაღაზე უნდა მიჩმახებდნენ საქმეს? იმიტო ხო არა, რომ ბოროტი მხოლოდ პიროვნება შეიძლება იყოს და ეს თვისებაც ბრიყვული გულმოდგინებით კი არა აქ გამომუშავებული – ღმერთმა მისცა. ჩმორი კიდე ბოროტების გაგებაში არაა, სიბრიყვე შეიძლება ჩაიდინოს და ნერვები დაგათხლიშოს თორემ ისე რა – ბოროტების თავი სადა აქ და მთავრობა იქნება თუ სასამართლო თუ სკოლა – ყველა პიროვნების წინააღმდეგია და მხოლოდ ამიტომ იქაჩებიან თავისი ჭკუით ვითომ ბოროტების წინააღსადგომად. განა მთელი ეს დიდი ამბები იმიტომაც არ ხდებოდა ქვეყანაზე, რომ პატარ-პატარ პიროვნებები ყოველთვის ებრძოდნენ ამ დიდ-დიდ გველვეშაპებს? მართლა გეკითხებით ძმებო – არ ვღადაობ... ოღონდ თუ მე რამე ისეთს ჩავდივარ რაც ამათ არ მოსწონთ, ამას არც ჯიბრზე ვშვები და არც გველეშაპებთან მებრძოლი მგონია თავი – ასე მევასება, მორჩა და გათავდა.

მერე ამაზე გამეცინა და ჩაის რო ვსვამდი მაშინაც სულ მეცინებოდა და მარტო ჩემს ფიქრებზე კი არა, აგერ გაზეთშიც იგივე წერია – დაბიდუბი აქ, ძალადობა იქ, ბანკის გაძარცვა თუ ვიღაც ფეხბურთელების მუქარა – თუ ხელფასს არ მოგვიმატებენ, სულაც არ გავალთ მოედანზე ამ შაბათსო. ესენიც ძაან ცუდი ბიჭები უნდა იყვნენ, ნამდვილად. მერე კიდე ათასი სისულელე, ვის რა იდეები არ აწუხებს ღმერთმანი და ერთი დიდი სტატია თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემებზე. მისი დამწერიც კაი დიდი ჭკუის კოლოფი უნდა იყოს: მშობლების უყურადღებობაო, სკოლაში ნამდვილი აღმზრდელების ნაკლებობაო, სახელმძღვანელოებში ცარიელ-ტარიელი სიტყვების რახარუხიაო და მოსწავლეები კიდე მასწავლებლებს თავზე აჯდებიანო. სიცილისაგან კინაღამ ყლუპი გადამცდა ყელში. რამდენი გაზეთს ხელში ავიღებ, სულ რაღაცას ვნახულობ ხოლმე ეგენი რო "თანამედროვე ახალგაზრდობას" ეძახიან, იმაზე. სულ ერთიდაიგივეს ქაქანებენ და სულ ისე თითქოს რაღაც ახალს აღმოაჩენენ ხოლმე. მარტო ერთი მომეწონა – ვიღაცა მღვდლის დაწერილი იყო, ფოტოზე საყელო ბულდოგივით ქონდა წაყრონჭილი და ამტკიცებდა, სულ ეშმას ოინებია, უმანკო სულებს ეპატრონება და ამაზე ყველამ უნად ვაგოთ პასუხი, ჩვენ კიდე ბომბებს ვაკეთებთ და ჯარს ვამრავლებთ და პოლიტიკურ დისკუსიებში ვფლანგავთ დროსო. მოიკლედ, კაი ბალამუტა ვინმე იყო, ღვთისკაცი. ხოდა ჩვენც აწი რაღა მოგვეკითხება-მეთქი ვიფიქრე – პატარა უმანკო პიროვნულ სულებს. მამაზეციერს მოკითხეთ ეშმასათვის რომ ვერ მოუვლია და კიდე მღვდლებს და აღმზრდელებს და პოლიტიკოსებს. დიახ დიახ დიახ. უფშტვენენ, ნამდვილად.

საუზმესაც მოვრჩი, ჩემი ჭიქა და თეფშიც გავრეცხე – დედოს ჭუჭყუნის თავი არ მქონდა, კბილებიც გამოვიხეხე და კარადაში ტანსაცმელს დავუწყე ჩითვა. რადიო კლოდიუს ბერდმენის მშვენიერ პაწია კვარტეტს გადმოცემდა სიმებიანისთვის და ახლა ის სტატია გამახსენდა, პატარა ჭკუის რამდენიმე დიდი კოლოფი ერთად რო ქადაგებდა ხელოვნების "ცხოველმყოფელ" გავლენაზე (არა, ამისთანა სიტყვის *მოფიქრება* არ გინდა?) და ირწმუნებოდნენ, დიად მუსიკას და მაღალ პოეზიას ადრეულ ასაკშივე და შესაფერისი ფორმებით თუ მივაწვდით, მთელი ჩვენი ახალგაზრდობა უკეთესობისკენ იზამს პირსო. ღმერთმანი, ზოგს მართლა პირი უნდა აქნევინო ერთ მხარეს. ჩემდათავად როცა მართლა ნაღდ მუსიკას ვუსმენ და თან ნაღდში ვუსმენ, ვითიშები და თითქოს ეკლები მასხამს და მართლა ღმერთად ვიქცევი თითქოს, განკითხვის დღეს ვმართავ და ელვა-ქუხილში ჩამჯდარი, ჩემს ქვემოთ გართხმულ დედიშობილა ქალებს და კაცებს ვურახუნებ ხოლმე. აბა რა უნდა მომელანდოს – გამხმარი ყვავილები?..

დღის ჩასაცმელში ასარჩევი ბევრი არაფერი მქონდა: გამოხარშული ჯინსები, თხლადნაქსოვი თეთრი სვიტრი და ზედ დიდი შავი ლათინური A (ეს ვითომ ჩემი სახელის გამო შემირჩიეს მშობლებმა საჩუქრად და ამაზეც დიდი მადლობელი, თორემ ზოგს იმდენი და ისეთები აწერია, სანამ წაიკითხავდე თავი აგტკივდება). დღე სულ სხვა ამბავია ძმებო – ღამე ჩემი და ჩემისთანებისაა, აბა რომელი ჭკუათმყოფელი ოჯახის კაცი გამოყოფს ცხვირს გარეთ, ძაან თუ არ დაადგა ყელზე ოჯახი და ტელევიზორი; დღე კი ვინ აღარ დატანცაობს ქუჩაში და პოლიციაც მეტია და კარგადაც გთირავენ, ასე მგონია. ყოველ შემთხვევაში, ჯობია ნორმალურად გეცვას და თვალშიც არავის ეჩხირებოდე, ნამდვილად. ასე იტყოდა დელტოიდი.

მოკლედ, გამოვიპრანჭე და სტვენა-სტვენით გამოვედი ქუჩაში. კაი მზიანი დღე იდგა და ვისაც არ ეზარებოდა – მოხუცი თუ უსაქმური – ყველა გარეთ გამოლაგებულიყო. მე კიდე ჩემი გზა და მიზანი მქონდა: დისკების ერთი პატარა მაღაზია ცენტრის ახლო, როგორც ყოველთვის ძაან ორიგინალური სახელწოდებით – ***მელოდია.*** თითქო დიდი არაფერი დირკა იყო, ხალხიც არ ეტანებოდა მაგრამ ბებერ ძვალტყავა არმენს (რაღაც აღმოსავლური გვარი ქონდა, ვერაფრით დავიმახსოვრე) თავისი კლიენტები ყავდა. მეც სულ მაგასთან დავდიოდი და კარგა ხნის წინ დამპირდა ბეთჰოვენის მეცხრეს – "დიდოსტატების" სერიით გამოვიდა მუხაიროვიჩის დირიჟორობით, მეტროპოლიის სახელმწიფო ორკესტრთან ერთად.

შემომხედა და თავი დამიქნია, არისო. მერე ნაღდი მაესტროს ჟესტით მანიშნა შეიცადეო და საწყობში დურთა თავი. პოპ-დისკების სტელაჟებთან ორი წიწკვი ტრიალებდა, ცამეტი-თოთხმეტი წლისა იქნებოდნენ, ეტყობა ჩემსავით დასვენების დღე მოიწყვეს დილიდან. დიდი ქალებივით იქცეოდნენ თავისი ჭკუით, ტუჩები დაეღებათ, ფრჩხილებზე შავი მანიკური წაესვათ და ძაან მინაზებულ ხმებში პუტუნებდნენ. დამინახეს და სტოიკაც მაგარი დაიყენეს – ცალი ფეხი მეორის უკან მიდგმული და მხოლოდ თავები მოატრიალეს მართლა ბეღურა ჩიტებივით – ტანის შერხევა მაგათში იავნად გოიმობად ითვლებოდა. ერთი კიდე

ვითომ ძაან განაწყენებულ-ამგდები სახით მეუბნება, მხარი ცხვირამდე აეწია და ხელიც განზე, სახსარში ამოვარდნილივით. ფრთამოტეხილი ჩიტუნა.

‘თქვენ რა, ლიჩნად ცალკე გემსახურებიან, დიდი ბიჭი? ყველგან ასე განავალი ხართ? არა, მაინც რა მოტეხეთ ქვეშიდან, იქნებ ჩვენც გვინდა-ა?’ მეორე კიდე იქით ფრუტუნებს. დიდი მაზალო რამეები იყვნენ, ღმერთმანი.

და უცებ მხია თავში – ღმერთმანი ადრე აზრადაც არ მომსვლია, არადა რა იყო ამაში შეუძლებელი, დროზე უნდა მეფიქრა! ძაან მამაშვილურად გავუღიმე და თითქო დიდი ინტერესი მქონდეს ისე ვეკითხები: ‘თქვენ რაღა შეგიძენიათ გოგონებო, და როგორ აპირებთ კაიფის დაჭერას – თქვენს პაწია სათამაშო სტერეოებზე გაუშვებთ?’ ამაზე ტუჩები აიბზუეს მაგრამ მე აღარ დავაცადე და ვეუბნები: ‘დაუჯერეთ ბიძიას, კარგ მუსიკას კარგი მოსმენაც უნდა. ჩემთან ავიდეთ – გპატიჟებთ, ასე ვთქვათ’ – ვუთხარი და დიდის ამბით დავუკარი თავი, თან ჩემი ახალგამოხეხილი კბილებიც შევანათე.

ჯერ ისევ ფხუკუნი ატეხეს, მერე ასეო და ისეო, ასე პირდაპირ უცნობ კაცთან სახლში რა გვინდაო, თუ დაპატიჟებაა ჯერ სადმე გავიაროთო; იქნებ ჩინურ რესტორანშიო, ან სულაც რაღაც ახალი რომ გახსნეს წყალზე, ვარიეტეთიო; ერთი ვეღარ მოვაბით თავი იქ მისვლასო... მოკლედ, მართლა გამოსული ქალებივით არ დაიფასეს თავი? რასაკვირველია-მეთქი, როგორც ინებებთ, მაგრამ თუ ბიძია ალეკსს დაუჯერებთ, არ წააგებთ – ვეუბნები, ხოდა ბებერ არმენს თვალი ჩავუკარი, მერე გავსწორდებით-მეთქი, ლამაზად შეფუთული ჩემი მეცხრე იღლიაში ამოვიჩარე და ასე ალალად ნაშოვნი ქალები ბატებივით წავისხი წინ.

იქვე ახლოში ერთი ჩაშვებული რესტორანჩიკი მეგულებოდა ზუსტად საამათო, ვითომც ძაან ეგზოტიკაში გადავარდნილი (ჩემი ფეხები, ეგზოტიკა კი არა ეკლექტიკა იყო ცარიელი) და სანთლების შუქზე სულ თეძოების რხევით გემსახურებოდნენ ცოტა კი შებერებული, ოღონდ თავიანთ ამბავში ძალიანაც გაგებული ოფიციანტკები. მივედით და რაც კი რამ ნამცხვრები ქონდათ, ერთიც არ დატოვეს გაუსინჯავი, ორ-ორი პორცია ნაყინი და თითო ჭიქა კრემ-სოდაც ზედ დააყოლეს და მათი შემყურე ლამის იყო ცუდად მე გავხდი. მაგრა გავდნენ ერთმანეთს, ერთნაირი აზრები ქონდათ და სულ ერთნაირად უაზროები იყვნენ. გაუჩერებლად კი კაკანებდნენ. წიწილები. არა უშავს, მალე ვარიკებად ვაქცევდი. სკოლაში გაცდენილ სააათებს დღეს ალეკსმასწი აუნაზღაურებდათ და იცოცხლე კარგი გაკვეთილიც იქნებოდა – არავითარი სწავლა, პირდაპირ განათლებაზე გადავიდოდი.

იქიდან რომ გამოვედით, საზოგადოებრივ ტრანსპორტს როგორ იკადრებდნენ ქალბატონები და მანქანა დავიჭირე. მთელი გზა ფხუკუნებდნენ, სულ რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს და ჩემთან რომ ავედით უკვე პირი უშრებოდათ საცოდავებს, ხოდა ჩაკეტილი უჯრიდან ჩემი ხელშეუხებელი მარაგი ვისკი დავაძრე, ცოტა ჩხვლეტია რაღაცეებიც ვდურთე შიგ, მერე სოდის წყალიც დავუმატე გემოს გასაქრობად და ისე მივართვი ძაან სვეტსკად იატაკზე ფეხ-

მორთხმით მჯდარებს. ხუთ წუთში ეს ფხუკუნი უკვე კისკისში გადაუვიდათ, მერე მუსიკამაც იმოქმედა და სულ მიიბნიდენ და ძაან ღრმა გრძნობებში გადავარდნენ ეტყობა. მაგარი დისკები კი იყო ღმერთმანი – ძვირფას ჭიქაში რო შამპანურის მაგივრად სიროპი ჩამოგისხან, ეგეთი ეფექტი ქონდა. ჯერ იყო და კვნესა-კრუტუნით შემიკლა ვიღაცამ, კაცი იყო თუ ქალი ვერც გავარჩიე; მერე კიდე ნამდვილად რო ორი ბიჭის ხმა იყო, ტირიფებს თუ რაღაც მარადმწვანე ნარგავებს მისტიროდნენ, ოღონდ ინტონირებები ქონდათ, ნუ იტყვი – რაღაც საშუალო მუეძინის გალობასა და საჭურისების მოთქმას შორის. ბოლომდე ვაჟკაცურად ვითმინე და მერე კი ჩემი ჯერიც მოვიდა: შუა ოთახში დავდექი შიშველი, ცალ ხელში ლუდვიგ ვანის ოლიმპიური თმაგაჩეჩილსახიანი თეთრი კონვერტი მეჭირა, მეორეში – ჩესტზე მდგარი საკუთარი ფალოსი და თვალს ვერ მაცილებდნენ თვალებდაჭყეტილი ქალბატონები, და სწორედ ამ დროს ჩაირთო მეცხრეს ის გიჟური ფინალი: ჯერ ბანები ამოვიდნენ თითქო იატაკიდან და ორკესტრიც ზედ მიყვა, მერე ბარიტონი გვიქადაგებდა – განიხარეთო და წასაკუზად მოუწოდებდა მილიონებს, და სწორედ მაშინ გამიწყდა მოთმინების ძაფი და გინდათ გითხრათ რა იყო მერე? ვერ გეტყვით ძმებო – თვითონ უნდა ჩახვდეთ დიდი ლუდვიგის და დიდრონი ალეკსის ამ ზღაპარი კოოპერაციის გემოს. ოღონდ ვარიკები რაღაც თიშებივით იყვნენ და მგონი მთლად ბოლომდე აზრზე ვერც მოდიოდნენ რა და როგორ ხდებოდა ყველაფერი, ხოდა მერე, მეორეჯერაც რომ ჩათავდა ფინალი მთელი თავისი გრიალითა და განხარებებით – გამეორება სწავლის დედააო, სულ მაგას მიჩიჩინებდნენ სკოლაში – ცოტა გამოერკვნენ და ატეხეს ერთი ვიშვიში და წუწკუნი და სულ უსინდისო, ველური და მხეცი მიძახეს და მემუქრებოდნენ, პოლიციაში დავფქვავთ ყველაფერს, ნახავ თუ არაო. მე კიდე ლოგინზე გარდიგარდმო ვიყავი გაშხლართული და მაგრა მემთქნარებოდა, თან ერთი სული მქონდა როდის მოხიკავდნენ თავის ჩვრებს და გაიკრიფებოდნენ ეგ ჩემის სპეცკლასდამთავრებულები და განვიბანებოდი ცხელი შხაპის ქვეშ, მაგრამ აღარ დამცალდა – უცებ ძილისკენ წავედი რაღაც ძაან ძაან განხარებული.

5.

კარგა მაგრა კი გავთიშულვარ ეტყობა – სრული რვის ნახევარი იყო თვალები რო მოვიფშვნიტე და გავიგონე კედლის იქით საშზარეულოში რაღაცას პუტუნებდნენ ბებრები – ნამსახურები და ვალმოხდილნი დღის ბოლოს დაბრუნებოდნენ თავიანთ ბუდეს და ახლა საკუთარი ოფლით მოპოვებულ ალალ ლუკმას შეექცეოდნენ. საწყლები. ხალათი მოვიცვი ზრდილობის გულისთვის და ოჯახის ერთადერთი სიხარულის სიფათით დავადექი თავზე.

– აქა მშვიდობა! გაამოთ, გაამოთ... დე, მე არაფერს მაჭმევ? გემოზე გამოვიძინე, თავიც აღარ მტკივა და ამ საღამოს პატარა საქმე მაქ ცენტრში, შემაგვიანდება.

სიმართლე გითხრათ, კი ვიცოდი დედაჩემი რა მზარეულიც იყო მაგრამ

პატარა მაინც ხო უნდა ასიამოვნო მშობელს, ისევ ზრდილობის ამბავია. მერე სააბაზანოში გავტანცავდი, ნამრუშალი ჩამოვირეცხე, თმასაც ცოტა სველი სავარცხელი შევაშველე, დავიშმოტკე და სახეგანათებული მივუჯექი მაგიდას. ერთხანობა ჩუმად ვილუკმებოდით, მაგრამ კაცს რო არ მოასვენებს გამჩენი და მამაჩემსაც სურვილი უჩნდება ხოლმე, გამესაუბროს:

– ისე კი არ გამიგო შვილო, თითქოს შენს ამბებში ვერეოდე – ოღონდ ვიცოდე მაინც, რას საქმიანობ ხოლმე საღამოობით?

– ხან რას, ხან რას. რასაც კანტორაში მეტყვიან. ან ავეჯი აქვს ვინმეს გადასატანი, ან ყვავილებია ბინაზე გასაგზავნი... მოკლედ, გაქცევა-გამოქცევაზე ვარ. შენ მაინც რა გადადრდებს, არც ჩასაცმელ-დასახურის ფულსა გთხოვ და არც არაფერს. რა გაწუხებს?

– მაგიტომ არ გეუბნები, უბრალოდ, რაღაც ცუდი წინათგრძნობა მიჩნდება ხანდახან. სიზმრებსაც ვხედავ.

– რაო-რაო?..

აი, ამან კი მაგრა დამაინტრიგა ღმერთმანი, რაღაცა სიზმარი თითქო მეც ვნახე სწორედ იმ დღეს, მაგრამ რაღაც ძაან ძაან ბუნდოვნად მახსოვდა... 'მერე?' – ვეკითხები.

– ცუდად მენიშნა, მართალს გეუბნები. ქუჩაში იწექი, საშინლად იყავი ნაცემი და გარშემო სულ ის ბიჭები გეხვივნენ, შენი სკოლელები...

– მართლა? კარგი ერთი, არ დაიჯერო – როგორმე მოვუვლი თავს, შენ მაგის დარდი არა გქონდეს!.

და უცბად გამახსენდა პაგონებიანი ჯორჯი-ბიჭი რო მესიზმრა იმ დილით, მისი ხელქვეითი ბნელო კიდე, გოთვერანი, ჯაჭვით რო მჟვეპავდა; მაგრამ სიზმრები საწინააღმდეგოდ მართლდებაო, გამიგია.

– ისეთი უმწეო იყავი, გაქცევაც არ შეგეძლო...

ეს კიდე მთლად დაუჯერებელი იყო, იასნი ამბავია და გუნებაში გამეცინა კიდეც, მერე ფული ამოვხიკე ჯიბიდან, მაგიდაზე დავდე და ვეუბნები:

– მამ, აი ეს რაც გუშინ წავიმუშავე – ბევრი კი არაფერი მაგრამ ერთ გასვლაზე მაინც გეყოფათ სადმე... ბოლოს როდის იყო, შენ და დედო კინოში რო წახვედით ერთად?

– ეეჰ, სად უნდა წავიდეთ, აღარც თავი გვაქვს და შენი მტერი გავიდა ღამღამობით კარში. ათასი უბედურება ხდება. მაინც მადლობელი ვარ, ერთ ბოთლ

წითელ ღვინოს მოვიტან და აქვე გამოვწრუპავთ, ტელევიზორთან.

თქვა და ეს მრუდე გზით ნაშოვნი ხელის ჭუჭყი ჯიბეში იკრა. დედო კიდე ამ დროს თეფშებს რეცხავდა, არც გაუგონია კიდე კარგი. ასე სიყვარულში და გაგებაში დავშორდით იმ საღამოს ერთმანეთს.

კიბეებზე ჩავთრიხინდი და ძაან გამიკვირდა მთელი კოდლა რო იქ დამხვდა – კედელთან იდგნენ და ინდუსტრიალიზაციის შიშლიკანა მქადაგებლებს ბნელო თავის კომენტარებს ურთავდა დიდზე-დიდი წითელი ფლომასტერით.

'რძისბარში ვიჯექით,' – ჯორჯი მეუბნება – და რო არ მოხვედი ვიფიქრეთ იქნება გატეხილშია იმ ამბის გამო-თქო და მოგაკითხეთ'.

'დიდ ბოდიშობანას მოგიხდით,' – ვეუბნები ფრთხილად – 'დილას თავი გასკდომაზე მქონდა და ცოტა კიდე წავუძინე. ჩვენები კი გავაფრთხილე, მერე გამაღვიძეთ-მეთქი, მაგრამ მაგათ იმედზე...'

'ცუდი ამბავია,' – თავი გადააქნია პიტმა – 'თავს გაფრთხილება უნდა, ჩემო. ყველას მაგივრად რო შენ უნდა იფიქრო, იმის ბრალია ალბათ,' – თქვა და რაღაც უშნოდ გაიღმიჭა – 'წამო გარეთ, შუბლი გაიგრილე'.

'დაიცა ბრატკა,' – ვეუბნები, – 'ეგ რა მესმის? მწიგნობართა ენაზე მაგას სარკაზმი ქვია, ჩვენში იაზვობას ეძახიან. თუ მომეყურა? ან იქნებ ინტელექტის დონემ აგიწია და მიმალავ? ბნელოც რაღაცა უცნაურად ჭიკჭიკებდა გუშინ'.

'ბნელოს შევეშვათ,' – თქვა ისევ ჯორჯი-ბიჭმა – 'პატარები აღარა ვართ და გვეყო ვეჩნად შენს ჭკუაზე ტოპვა – იქ რაღაცას დავითრევთ, აქ რაღაცას დავიადებთ... ვერთობით რა, ბავშვებივით. უილი დამრტყმელამ მითხრა, მაგარ ნაკოლს მოგცემთ, თქვენ იქაურობა გამოხვეტეთ და გასაღება ჩემზე იყოსო. თან ხურდაზე კი არაა ლაყაფი, მართლა დიდი მაყუთის ამბავია'.

'აჰ-ა-ა! და როდის აქეთია ემაგ უილიამ ძალიან მაგარ დამრტყმელთან რო დაიარებით?' – ვეკითხები უცბად.

'ყველას ჩვენ-ჩვენი ცხოვრება გვაქ, ალეკს – სწორეა?'

'მაინც-მაინც?' – ბოლომდე ჩავდიე.

'წინა შაბათს გველაპარაკა მაგ საქმეზე'.

'ჰოო? მერე, ჩემი ძალიან საქმიანი ფულის მშოვნელი ბიჭები, მაგ დიდ მაყუთს რას უპირებთ? უნიტაზებთან დაილაგებთ გამოსახოცად?' – ვეკითხები.

'მორჩი რა ალეკს, რას გვესპორები, შენ თვითონ გაწყენს ფული?'

‘მაწყენს ბრატკა, მაწყენს” – ვეუბნები – ‘ჯერ სულს ავნებს და მერე ხორცს. ბოლოს იქნებ დამირხიოს კიდეც. ზედმეტი არაფერი ვარგა, გაგაღორებს. აქამდე გაკლდათ რამე? როცა გვინდოდა მანქანას ვიადებდით, გემოზეც ვგრიალებდით, ჯიბის ფულსაც ვშოულობდით და არც რამე ისეთში არ გავხვეულვართ... ახლა რა ფულიანობაზე ავარდით?’ – დავეკითხე.

‘არ გინდა ნუ გინდა – მოვრჩეთ ბაზარს. შენი საქმე შენ იცი, ჩვენ ამ ღამით გავდივართ’. – თქვა და გატრიალდა, ჯორჯი-ძალიან-ძველი ბიჭი, უილიამ დარტყმულის პრიამოი ძმაკაცი.

ეგეც შენ-მეთქი, გავიფიქრე. ამიხდა თუ არა სიზმარი: ეს გენერალივით ბრძანებლობს, ბულდოგისმორდიანი ბნელო კიდე იქით იკრიჭება და იმ თავის ჯაჭვს აჩხარუნებს. ცუდი ამბავია ძმებო, ძალიან ცუდი. კაცმა ცოტა წინაც უნდა გაიხედო.

‘მაშ ბევრი ითმინეთ და თქვენი ჯერიც დადგა, ასეა? ძალიან კარგი. აწი შენი თქმა და ჩემი ასრულება, ჯორჯი-ბიჭი. გაწყობს? ოღონდ რასაც დასთესო... ხო აზრზე ხარ?’ – ვეუბნები.

‘ჯერ შენს დათესილს უნდა მივხედოთ ალეკს – სხვა მერე ვთქვათ!’ – რაღაც უცებ დაიყეფა ბულდოგა ბნელომ.

‘ვიტყვით, ვიტყვით’. – წყნარად, უვერენად თქვა ჯორჯმა – ‘წამო, ფაქიზო გამოვწველოთ და იქ ვილაპარაკოთ საქმეზე’.

‘კარგია, კარგი, ჯორჯი-ბიჭი’ – ვეუბნები ღიმილით – ‘ჯერ-ჯერობით ყველაფერი ძველებურად მიდის’.

ოღონდაც ყველაფერი ძველებურად ვერ წავიდოდა, ვარიანტი არ იყო.

ქუჩაში გავედით და უცებ მანქანამ ჩაგვისრიალა გვერდზე, ნელა, ფანჯარა ჩაწეული ქონდა და რადიოში საკიოლინო კონცერტის ფინალს უსმენდა ვიღაცა შერეკილი და სწორედ რო ბებერმა ლუდვიგამ ამაგდო ისევ – უცბად ვიაზრე, აქვე უნდა მომეთავებინა გასაკეთებელი, მერე იქნებ გვიანი ყოფილიყო: მაგათ ავყოლოდი და კისერსაც წავიტეხდი, არადა მარტომგელზეც ყველა ნადირობს, ბრიაჟკა კიდე ერთხელ თუ დაიშალა, მერე ვეღარც შეკრავ.

ბრიტვა გავშალე და ჯორჯიც თვალს მადევნებდა ეტყობა, წამსვე დანა იძრო, ფეხიც არ მოუნაცვლებია ისე დაეყუდა ადგილზე. მით უკეთესი-მეთქი, გავიფიქრე – ვინც კლდესავით დგას, იმას მეტიც ხვდება. ერთი ბნელომ კი დააპირა გაქაჩვა და წელზე დახვეული ის ჯაჭვიც შეიხნა, მაგრამ პიტმა არ დაანება, ხელი გამოსდო და ძალად ისე ხმამაღლა ჩაუგდო, ჩემს გასაგონად – არ გინდა, ყველაფერი ჩესტნად მიდის, მერე შენი ჯერიც მოვაო. ხოდა კარგი სანახავები

ვიყავით, ჯორჯი ერთ ადგილს ტკეპნიდა და გამოჭერაზე იყო, დანიანი მუჭი გველის თავივით დაუდიოდა აქეთ-იქით, მე კიდე წინდაუკან ვტანცაობდი, მინდოდა ნახტომზე წამომეგო და როგორმე მაჯაზე დამესვა ბრიტვის პირი. ოღონდ მეთისმეტად კარგად კი ვიცნობდით ერთმანეთს და არავითარი ყვირილი და ღუხზე აყვანა აზრადაც არ მოგვსვლია, ჩუმად ვმოძრაობდით, პირზე ღიმილი გვქონდა აკრული და კაცი ყურადღებას არ გვაქცევდა – ან თამაშა ეგონათ ან შარში არ უნდოდა არავის გახვევა.

ბოლო-ბოლო ჩემი კარონი ერთი-ორი-სამი გადავთვალე, ბრიტვამაც ორჯერ *ფშსიტ-ფშსიტ* გაიხმიანა და უცბად მესმის, დანის პირმა გაიწკარუნა ასფალტზე. მაჯას კი ვერ მივწვდი, მაგრამ ეტყობა თითებზე გავდე და ჯორჯი-ბიჭიც იდგა გაოგნებული და წითლად დამანიკურებულ თითებს დაშტერებოდა. მორჩა, ეგ დანის ხელში ამღები აღარ იყო. ახლა მაინც. მისთვის აღარც შემიხედავს, ახლა პიტს მივუტრიალდი და წყნარად ისე, ინტერესით ვეკითხები: ასე ხელჩაკიდებული სანამდე გინდა ატარო ეგ ბუთხუზა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც გაიაროს თავისი ფეხით-მეთქი. ბნელო რო ბნელოა, ასე იავნად ნათქვამი მის თავშიც კი შევიდა როგორღაც და ბუღას რო წითელი დაუფრიალო ცხვირწინ, აი ისე მეცა ეგ ბრიყვის ერთი, მართლა ხარივით ზმუოდა და ჯაჭვს კი გემოზე იქნევდა, ვერაფერს იტყვი, ოღონდ ერთი რაც ქონდა ამოჩემებული, იმას ხო ვერ შეცვლიდა – გრძლად ეჭირა და ორი ხელით მოკლეზე ხმარების ვარიანტი არ იყო – მეც გომბეშოსავით მოვყევი ხტუნვას, მერე ერთი რო ავიცილე მეორეს აღარც დავლოდებივარ, ვისკუპე და წინა ფეხზე დავუსვი მადიანად. ის მისი შემოტკეცილი შარვალი კარაქივით გაჭრა ბრიტვის პირმა და ხორცშიც კარგად გაისეირნა და ამან ხო სულ გააცოფა, უკვე აზრმიუტანებლად იქნევდა ჯაჭვს და ახლა უკვე ჩემ სტილში ვიჯექი – ერთი-ორი-სამი, უკან-გვერდზე-წინ და მერე ხელუკუღმა ქვემოდან ზემოთ, ოღონდ მუხლებშიც უნდა ჩავმჯდარიყავი და თითქო შენელებულ კადრში დავინახე როგორ სუფთად ჩაეთალა მაჯაზე ხორცი და ისე იბღავლა მკვდარს წამოაგდებდა, მოქნეულ ჯაჭვსაც ხელი უშვა და ღმერთმანი, ერთი ოც მეტრზე მაინც გაუშვა ჰაერში კლაკვნა-კლაკვნით, სანამ ფარნის ბოძს არ წამოედო და ზედ არ შემოეხვია მართლა გველივით. მისი შემლოცავი კიდე ცალ ფეხზე დახტოდა და მაჯას ილოკავდა წკმუტუნით. მეტი არაა ჩემი მტერი, მასე ვერ გაეჩერებინა სისხლდენა. უფრო მოითხვრებოდა ეგ უბედური. ოღონდ ახლა მაგის დარდი არა მქონდა.

'მაშ ასე, ჩემი პიტი-გვრიტი – ერთი შენღა დამრჩი მგონია,' – ვეუბნები წყნარად, ნელა, სიტყვებს შორის ამოსუნთქვა მინდა მოვასწრო, არაფერი შემეტყოს. ის კიდე მხრებს იჩეჩავს:

'ჩემგან რა გინდა, მე რა – ვთქვი რამე? გირჩევნია ბნელოს მიხედო, ვენა ან რამე არტერია არ ქონდეს გადაჭრილი და ხელში არ ჩაგვაკვდეს, რამდენი სისხლი დის...'

ელაპარაკე ახლა ამას. რო დაგჭირდეს, თითს ვერ შეგიხვევს ხეირიანად და ვენებზე და არტერიებზე კი ბოდიალობს რაღაცას. 'ორჯერ ჯერ კაცი არ

მომკვდარა,' – ვეუბნები – 'ბნელო კიდე დაბადებიდანვე მკვდარი იყო'. მერე ცხვირსახოცი მაინც გამოვართვი, მაჯის ზემოთ გადავუჭირე და სისხლიც გაუჩერდა და წკმუტუნსაც მორჩა. კარგია, ყველა ძაღლი თავის პატრონს უნდა ცნობდეს. აწი არაფერი შეეშლებათ.

მერე "დუკაში" წავასხი ეს ნაომარი ხალხი, ტუალეტში ჭრილობები შეიხვიეს, ნასისხლარები ჩამოიბანეს და ბარში თითო კონიაკიც ვახუხინე ხასიათზე მოსასვლელად (თავიანთ ხარჯზე, რა თქმა უნდა, მთელი ჩემი ფული ხო მამაჩემს მივეცი). მერე იქვე დავსხედით კუთხეში და რას ვხედავთ, ის ჩვენი ბაბუშკები არ დაგვეჩითენ ისევ! გვიცნეს და მოყვნენ ძველებურად თავების კანტურს და ჩიფჩიფს: 'ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ყმაწვილებო – თქვენზე ენა როგორ მოგვიბრუნდება ვინმესთან, იმ უზრდელმა პოლიციელებმა თუ კიდე მოგდონ შარი, ვიტყვით რომ სულ აქ იყავით, თვალი არ მოგვიცილებია თქვენთვის, ძალიან კეთილი ზრდილი ყმაწვილები არიან-თქო, სწორედ ასე ვეტყვით. ღმერთი შეგეწიოთ'.

ესეც კარგად მენიშნა და საერთოდ, ამ ცუდად დაწყებულ საღამოს რაღაც კარგი პირი უჩანდა მგონი, მაშინ მართლა ასე მომეჩვენა და პიტს ვუთხარი რითიმე ისევ გამასპინძლებოდა ამ ღვთისნიერ მანდილოსნებს. მერე სავარძელში გადავწექი, ჯორჯი-ბიჭს გავუსწორე თვალი და ვითომ ძაან მხიარულად ვეკითხები: 'რაო ჯორჯი ჩემო, აიმ შენმა კარგმა ძმაკაცმა უილიმ – რა მინდაო?'

'დაიცა თუ ძმა ხარ', – მეუბნება – 'ამ ღამით ვისა აქ მაგისი თავი'. მითხრა და თან ბნელოს გახედა. ის კიდე ზის გაბუსუნებული, ხელფეხდაბინტული და ცხვირში დუდღუნებს რაღაცას. ჯერ კიდე ვერ გამოსულა ეტყობა, იმ ამბიდან.

'არა უშავს, ჯორჯი-დიდი-ბიჭი,' – ვეუბნები – 'ეგ წასული ამბავია და რაც მალე დავივიწყებთ, მით უკეთესი. ჩვენისთანა ბიტი ხალხისთვის თითოოროლა ნაკაწრი რა სახსენებელია. ახლა კი საქმეს მივხედოთ. რა თქვი, სად ბებიაჩემთან გაგზავნიდათ ბატონი უილიამი?'

'დიდების მოედანთან, პარკის კუთხეში რო ძველი სახლია, შესასვლელში მრგვალი ფანრები კიდია აქეთ-იქიდან – ვიღაც ადინოჩკა ყვავი ცხოვრობს მარტოდ-მარტო, კატების ბუდეა და მაგარი ძველებური რაღაცეები აქ ოხრადო'.

'მაინც რა რაღაცეებიო, არ თქვა?'

'კი, ოქრო-ვერცხლი და მგონი ბეჭდებიც ძაან ძვირფასი. ნახევარი ზედ ასხია, ძლივს დაბანტურობსო'.

უკვე ვიცოდი ვიზეც ამბობდა, მართლა სამადლო საქმე იქნებოდა იმ ვედმას გაფცქვნა, ღმერთმანი. ხალხს დასალევის ფული არა აქ, ეგ კიდე დიბა-ატლასის ლეიბებს უკერავს კატებსო, გამიგია. და საერთოდ, ძველებურ ნივთებს და ხანდახან უმცროსების ინიციატივასაც დაფასება უნდა.

‘ძალიან კარგი, ჯორჯი ჩემო,’ – ვეუბნები – ‘მომწონს ეგ აზრი და შენც უფრო და უფრო მომწონხარ. მივხედოთ საქმეს’.

ბაბუშკებს დავუბარეთ, მალე ისევ გინახულებთ-თქო და გარეთ გავლაგდით ღამეში, მე კიდე ვღიღინებდი: *“ჩემივე ბედის შესახვედრად...’*

6.

წყება-წყება კანტორებს ჩავუარეთ და მერე ერთ დაფეხვილ ბიბლიოთეკას და სწორედ იმ ვიღაცის თუ რაღაცის დიდების პარკს მივადექით. აქეთ უკვე ქალაქის ძველი უბანი იწყებოდა, ძველისძველი უცნაური სახლებით და ხალხიც ისეთი ცხოვრობდა შიგ, კაცი ვერ იტყოდა ვინ უფრო მეტი ხნის იყო, სახლი თუ მისი ბინადარი: ზოგი ძაან გაბრექილი დაგვიდიოდა, ტროსტით ხელში – ესენი ნაღდში გადამდგარი სამსახურის კაცები იქნებოდნენ; ჩინოსანი სამხედროების ცოლები წკავწკავა და მაზალოდ შეკრეჭილ ბანტიან პუდელებს დაასეირნებდნენ საღამოობით, ძაან-ძაან სტარი ძევები კიდე, თავის დღეში კაცის ხელი რო არ მიუკარებიათ, ახლა კატების მთელ ხროვას პატრონობდნენ გრძნობების კომპენსაციის ამბავში. ამისთანებს მართლა ექნებოდათ რამე – ობლიგაციები, ძველი სამკაულები, პატარა ბეზდელუშკა ანტიკვარიატი, ან სულაც რამე იმისთანა, ტურისტები რო ჭკუას კარგავენ – ხატები და რაღაც ეგეთი ხარახურა.

ბოლოს იმ სახლსაც მივადექით – შესასვლელთან, რკინის ბოძებზე შუშის ორი ბურთი ანათებდა იქაურობას, გარშემო კი ყველგან ბნელოდა და მარტო პირველ სართულზე, კუთხის ფანჯარაში ენთო სინათლე. გარედან კარგა სქელი რეშოტკები ქონდა ციხესავით, მაგრამ შიგ რა ხდებოდა, მონდომების ამბავი იყო და ყველაფერსაც მშვენივრად დაინახავდი. ხოდა ის ბებრუხანა ბოთლიდან რძეს ასხამდა მათლაფაში, მაგიდაზე კიდე ორი გასისინებული კატა ილოკავდა ულვაშებს, ოღონდ იმან მათლაფა იატაკზე დადო და ეტყობა იქაც ოხრად იყვნენ მიაუ-მიაუები, უბრალოდ აქედან არ ჩანდა. მაგრამ რაც ჩანდა ისიც საკმარისი იყო – დიდი ჩუქურთმიანი საათი კედელზე, რაღაც სურათები სქელ ჩარჩოებში, იავნად ძაან ძვირფასები და კიდე ბლომად ვერცხლის ჭურჭელი.

‘უილის არაფერი შეეშლებოდა,’ – წაიბურტყუნა პიტმა – ‘ახლა რა ვქნათ?’

ახლა მეც დროზე უნდა ამომეღო ხმა რომ ეჭვიც არავის გაჩენოდა, ვის ეკითხებოდნენ. ‘არ გვინდა ტვინის ჭყლეტა’, – ვეუბნები – ‘დავრეკავ ზარს და უეცრად გულწასული მეგობრის ზღაპარს დავფქვავ. ჯორჯი კიბეებზე ჩამოჯდება – ცალი ხელი გულზე და პირიც ღია – ეს თუ კარში გამოხედვა ინება, იმისთვის. დანარჩენი ადვილია’.

‘თუ არ გააღო?’

‘ჯერ ვცადოთ, თუ ვიდგეთ აქ და ვიმკითხაოთ დილამდე?’

ჯორჯის ხმა აღარ გაუღია, იმ ორმა კი თავები დააკანტურეს მხოლოდ.

ზარს თითი მივაჭირე და ჩვეულებრივი ბზზ-ბზზ-ბზზ კი არა, ჩიტების ჟღურტული გაისმა. ან ხშირად ურეკავენ, ან კატებს აქვთ კარგი სმენა და ასეთ სისულელეზე არ ავარდებიან ხოლმე, თორე რა გააძლებინებდათ. ეტყობა მართლა უფშტვენს ამათი პატრონი-მეთქი, გავიფიქრე. მით უკეთესი.

მალე ჰოლში სინათლე აინთო, მერე ფლოსტების ფრატუნიც გავიგონე. სანამ რამეს მკითხავდა, გაზეთების ღრიჭოს ძველებური, ჩუქურთმიანი რკინის მძიმე სახურავი აწწიე და ძაან აღელვებული ხმით ჩავძახე: ‘გვიშველეთ ვინმემ, კაცი გახდა ცუდად ქუჩაში! წყალი მომაწოდეთ ჩქარა და სასწრაფოში დარეკეთ!..’ თან მძიმე-მძიმედ ვსუნთქავ, ნარბენივით. ეგ მართლა ქაჯი კიდე კიკინებს კარსიქიდან: ‘თავი გამანებეთ! კარგად ვიცნობ თქვენისთანებს – ჯერ კარს გამაღებინებთ და მერე ხურდის მათხოვრობას დამიწყებთ... პოლიციას გამოვუძახებ ახლავე!’

მოულოდნელობისაგან ენა მუცელში ჩამივარდა და რამდენიმე წამი ვიდექი ასე პირდაფჩენილი. იქით პიტი ჩაიკეცა მუხლებში და აქეთ ჯორჯის კინაღამ საკუთარი სახელო შემოეჭამა. მარტო ბნელო იდგა კედელსაკრული, წარბიც არ გატოკებია.

‘რას ბრძანებთ ქალბატონო, გამოიხედეთ გარეთ – აგერ კიბეებთან გდია და არც ვიცი რა ვქნა!’ – ხელებს ვასავსავებ, ხმასაც ავუწიე, ემანდ პიტის ფხუკუნი არ გაიგონოს-მეთქი... საქმეში ხარ?!

‘კიდე ხმას ამოიღებთ და კატებს მოგისევთ ყველას!’ – თავისას ერეკება ეს ჩემის გადარეული.

აი, მამალი გიჟიც ამას ქვია-მეთქი, გავიფიქრე და უეცრად ერთმა აზრმა დამკრა თავში: სინათლე რო აინთო, კარის თავზე ვიტრაჟიანი რაღაც პატარა ფანჯარა თუ სარკმელი დავლანდე, ისეთი მტვრიანი იყო ეტყობა, გარედან არც ჩანდა ამ ღამეში. ახლა რამე საყრდენი მინდოდა რო კარნიზს მივწვდენოდი და დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იქნებოდა; ამ ბებრუხანას შებმის შანსი კი მიზერული იყო, დილამდე შეიძლებოდა მელაქლაქა და კიდე კაცმა არ იცის ვინ ვის დააფსტვენინებდა ბოლოში. ხოდა მეც ვითომ ძაან აღშფოთებული გავტრიალდი და ხმამაღლა ისე გავიძახი: ‘ეგ არაფერი, მეგობარო – ცოტაც გაუძელი და ვინმე კეთილ სამარიტელს მაინც გადავეყრებით სადმე! მხარზე დამეყრდენი, ეგრე უფრო გაგიადვილდება...’ თან ჯორჯიც წამოვაყენე და მეტი დამაჯერებლობისათვის სულ ხვნეშა-ხვნეშით გავეცალეთ იქაურობას. ცოტა შევიცადეთ, ამ ჩემს ბლიყვებსაც ავუხსენი რასაც ვაპირებდი, მერე ჩუმად დავბრუნ-

დით შესასვლელთან და ბნელოს ვანიშნე მხარი შეეყენებინა ჩემთვის. აი ასე. ახლა ხომ კარგად ხედავდნენ ვინ რისი მაქნისი იყო.

კარნიზს თითებით მივწვდი და მეტიც არ მინდოდა, ზედ ჩამოვეკიდე, მერე ხელებზე ავიქაჩე, ცალი ფეხიც მივახმარე და წამში ზემოდან მოვექეცი. ფანჯარა დაკეტილი იქნებოდა რა თქმა უნდა, ეჭვიც არ შემპარვია, საკითხავი ის იყო ბოლოს რომელ საუკუნეში გააღეს. ისე, ღმერთს მადლობა და ისევ იმ მსოფლიო არხის წყალობით თუ ღამის შიშით, გამვლელს ვერ ნახავდი ქუჩაში და ვერც შუშის ჩამთელების ხმას გაიგებდა სახლში ვინმე. იდაყვი მოვდე ფრთხილად, ძაან ფრთხილად, ჩარჩენილ ნატეხებს რო არ წამოვდებოდი, ხელი შევყავი და შპინგალეტი ამოვაგდე. ახლა ერთი პატარა მიწოლაც მჭირდებოდა და მორჩა, ჰოლისაკენ ჰერი, ჰერი!.

ისინი კი იდგნენ და მელოდნენ, ყურებს აპანტურებდნენ კარის გაღების მომლოდინენი. ახია მათზე, იდგნენ და მელოდონ-მეთქი, ვიფიქრე – თვითონ დავამთავრებ ჩემივე დაწყებულს, ჯერ ამ ვედმას გულს გავუხეთქავ, მერე გადავარჩევ რაც ვარგისი იქნება, საუკეთესოს ჩემთვის მოვტეხავ, მერე წყნარად, აუჩქარებლად გავუღებ კარს და წინ დავხვდები თოვლის ბაბუასავით საჩუქრებით დაგრუზული. ასე ჯობია. მორჩა, რა საჭიროა ყველაფერში მაგათ შევუთანხმდე ხოლმე და ყველგან საქმეში გავიყვანო. ჯერ დაჯერება და მორჩილება ისწავლონ. ჩემთან არ დაეკარგებათ.

ჰოლიდან გრძელი ჩაბნელებული დერეფანი იწყებოდა, აქეთ-იქით კარებებით, სასტუმროში გეგონებოდათ თავი, არადა მთელ ამხელა ბინაში ერთი ეს გადამღძვალი ბებერი ცხოვრობდა თავის ფისუნიებით. იქნებ თითო ფისოს თითო ოთახი ქონდა დაბრონილი – არც გამიკვირდებოდა, ღმერთმანი. ერთგან ღრიჭოში სინათლე გამოდიოდა და ქალის ხმაც გავიგონე, მგონი ტელეფონზე ელაპარაკებოდა ვითაცას, ან სულაც კატების თავზე სახარებას კითხულობდა – მაგისაგან არც ეგ იქნებოდა გასაკვირი.

შეეედი და რას ხედავს ძმებო, ჩემი სიმპათიური თვალები: ფანჯრიდან რაც დავჩითეთ რა სათქმელი იყო, უნდა გენახათ შიგ რა ხდებოდა – ოქრო-ვერცხლი, ფაიფური, კაი ჩემსიმაღლე ჩინური ვაზები, ჯვარცმაც იყო ერთი – ნაღდად სპილოსძვლის იქნებოდა, სურათების და ხატების კი რა გითხრათ, მარტო ჩარჩოები ეღირებოდა ერთ რამედ, ოღონდ გარშემო კი ისეთი შმორის სუნი იდგა, ლამის ჩემი დამემართა. აბა რა იქნებოდა, ვივარიუმში გახლდით ერთხელ ექსკურსიაზე და ამდენი კატა ერთად იქ არ მინახავს – რა ჯიშის და ფერის გინდოდა, ერთ პატარა გამოფენას მოაწყობდი ღმერთმანი, ოღონდ ზოგი იმ ხნის იყო უკვე, მთლად გაქუცული, თვალში ვერ იხედებოდა, ზოგი კი სულ ახლადთვალახელილი კნუტი, ოთახის შუაში გამოსვლასაც ვერ ბედავდა ჯერ და კედელ-კედელ დასუნსულებდა.

რომ შევედი, კარგა ხნის დაუზეთავმა კარმა გაიჭრიალა და კატიან-ბებრიანად ყველა მე მომაჩერდა.

'სალამი, სალამი ქალბატონებო,' – ვეუბნები – 'აქა მშვიდობა და თბილი რძე ნუ მოგაკლოთ გამჩენმა'. თან ოთახს ვათვალიერებ და იქვე თაროზე ვერცხლის ერთი მშვენიერი პაწია ნაკეთობა დავალივერე – შიშველი გოგონა ფეხის წვერებზე იდგა ხელებაწვდილი, წელში გაზნექილი და თითქოს უნდა რო მისწვდეს რაღაცას... ბევრიც არ მიფიქრია, ეგ უკვე ჩემად მივითვალე, თაროდან გადმოვიღე და ვტკბები ხელოვნების ნიმუშით. გაცალა ვინმემ?! ეს ჩემის ბებრუხანა ნურას უკაცრავად, არც შეშფოთებულა და არც არაფერი, ძან დუხით მიტევს: 'დადე ახლავე ადგილზე, უზრდელო შენა! დაძვრება აქ სხვის ბინაში და ეპოტინება ყველაფერს! მანდ არ მომიყვანო თორემ აგახევ ყურებს!'

'დაიცა ბებერო,' – ვეუბნები – 'შარზე ხარ? ემანდ არაფერი მოიწიო'.

ის კიდე მართლა ჩემკენ მოიწევს და არ მომიქნია უცბად კასტილი?! ძლივს ავიცილე და ძმებო, სწორედ ამ დროს ისეთი რამე დავინახე, ბებრუხანაც გადამავიწყდა და მისი ჯოხიც: რაღაცა სადგამი იყო, შავი ხის და ზედ თეთრი ქვისაგან გამოთლილი ბიუსტი – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, ლიჩნად, თმაგაჩეჩილი და იმ თავისი არტისტული შარფით ყელზე. მტკაველის სიმაღლე იქნებოდა, მეტი არა და ზუსტად საჩემო. ის იყო ნაბიჯი გადავდგი და ხელიც უნდა დამევლო და რძიან მათლაფაში არ ვტუცე ფეხი! გამისრიალდა, წონასწორობა დავკარგე, ამ დროს კიდე ის ბებერი ვედმა წამომეპარა უკნიდან და დამცხო და დამცხო თავში...

ეს კი უკვე აღარაფრად მეპიტნავა, მივუტრიალდი და ხელუკუღმა ისეთი გავუქანე დაჩამიჩებულ სიფათში, წამსვე თავის ძვირფას კატუნებს მიუწვა იატაკზე. კიდე კარგი სქელი ნოხი ეფინა და ზედ გაიშხლართა, თორემ ვეღარც ავაკრეფინებდი ბებერ ძვლებს. ამ დროს კიდე ბედი არ გინდა, რომელიღაც ხვადს დავაბიჯე ეტყობა კუდზე, *მიაااააუო* – ერთი დაიჭყავლა განწირული ხმით და კლანჭიან-კბილებიანად ჩაფარინდა წვივში. აი კონცერტი მაშინ დაიწყო – ეს ვედმა ცალკე გაკივის, დამფრთხალი კატები თავისას ჩხავიან-კნავიან, მე სულ დედის გინებით ასკინკილა დავხტუნაობ, ვიქნევ ხელ-ფეხს და ვცდილობ როგორმე ეს ცხოველი მოვიშორო და სწორედ ამ დროს ისევ იმ მათლაფაში არ ჩავალავჯე?! ფეხი დამისხლტა, უშნოდ ამოვტრიალდი და მაგიდის კიდეს ჩავაფრინდი, მაგრამ რაღაც გადასაფარებელი შემრჩა ხელში და ვაზებიან-საფერფლეებიანად თავზე ჩამოვიმხე. სხვაზე მოსაყოლადაა სასაცილო, თირემ მე ჭკუას ვიყავი გადასული. თანაც ეს ბებრუხანა იქიდან წიკვინებს და ღმერთმანი, კატებს მისევს. არ ვიცი მართლა გაუგონეს თუ შემთხვევით იყო, მაგრამ ერთი-ორმა ნაღდად გამკრა ბრჭყალი და ისეც ხომ გმადლობთ კარგად გახლდით და ამაზე სულ დავიშალე ძარღვებში, სკამს წამოვავლე ხელი და დავერიე. ხომ გითხარით, ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი-მეთქი! ის ვედმა კიდე არ წამოხტა უცბად და ერთი წივილ-კივილით გადამიდგა წინ – კატებს რას ერჩიო. ხოდა ის სკამიც ორივე ხელით დავაფშვენი თავზე. ეგ იყო და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, საკუთარი ქოშინის ხმა მესმოდა და რომელიღაცა კნუტის კნავილი ფარდის უკან. დანარჩენები ოთახებში მიმოიფანტ-

ნენ და ძმებო, სწორედ ამ დროს გავიგონე ის ძაან უსიამო ხმა, მართალია შორიდან, მაგრამ მაინც ძაან-ძაან უსიამო – პოლიციის მანქანის სირენა იყო ჩართული და ხმაც სულ უფრო ახლოვდებოდა. აი მაშინ მოვედი აზრზე რო ეტყობა იმ ვედმამ დამასტუკა ტელეფონით და იმიტომაც იყო ასე დიდგულზე. მისთვის ზედაც არ დამიხედავს, ტემპში კარისაკენ მოვხიე, საკეტები, ზადვიჟკები და რაღაც ოხრად ცეპები ავხსენი და გიჟივით გავვარდი გარეთ. იქ კიდე მარტო ბნელო დგას, იმის ჭკუაც არ ეყო დროზე დაეგაზა სხვებივით. 'პლეტი-მეთქი, ბრიყვო!' – ვუყვირი და ის არი ბნელში უნდა ვდურთო თავი და უცებ რაღაცამ მხია თავში, თვალების დახუჭვა კიდე მოვასწარი მაგრამ მაინც ისეთი ტკივილი იყო, გადმოცვენაზე გამიხდა და თითქო დენს მიტარებდნენ შიგ. მერე უკან დამქაჩა ჯაჭვმა, ძირს დამაგდო და ბნელოს მშვიდი, ძაან მშვიდი ხმაც ჩამესმა: 'ასეა ბრატ, იმ ხალხს დახვედრა უნდა და შენზე საპატიო კაცს სად ვიპოვით... მე კიდე ისევ წამოვროშავ რამეს და შეგარცხვენ'. – თქვა და სირენების საწინააღმდეგო მხარეს გაბრაგუნდა.

მერე მე აქეთ ვღმუოდი და იქით სირენები წუოდნენ და წამში ძაღლებით გაივსო იქაურობა. მე რას დავინახავდი – თვალები მეწვოდა და რაღაც საზიზღარი ცრემლიანი წირპლი მდიოდა, მაგრამ ყნოსვით ვცნობდი მაგათ, ისინი კიდე მეცენ და ხელები გადამიგრიხეს, თითქო რამის გამკეთებელი ვიყავი. დამპლები. ისიც გავიგონე, ბინა რო დაჩითეს და რომელიღაცამ თქვა: 'მძიმედაა, მაგრამ ჯერ სუნთქავს'.

ამ დროს კიდე მე მომადგა ვიღაც და ძაან კმაყოფილი ხმით აცხადებს: 'ასე, ასე – კარგა დიდი ღლავი დაგვითრევია!' აზრზე მოდით – კაცი დავბრმავდი მგონი და ეს კიდე ჩემზე ღადაობს. 'თვალში ვერ ვიხედები, რა გინდათ ჩემგან!' – ვყვირი – 'რას დამესიეთ ძაღლებივით!'

'აბა ეს რა ლაპარაკია ახალგაზრდავ, ცოტა სიტყვები შეარჩიეთ.' – იცინის ვიღაცა და იქვე ბეჭდიანი თუ ბრასლეტიანი ხელი მწარედ მლეწა ცხვირპირში. მერე მანქანაში შემაგდეს და ჩართული სირენით დავგაზეთ სადღაც. მიეხვდი, შავად იყო ჩემი საქმე. მეტი არ იყო ჩემი მტერი, მაგათ საავადმყოფოში არ მივეყვანეთ. ის ჩემი გრიაზნი ბრატკები კიდე "დუკაში" ისხდნენ ალბათ, ბანკის პიკას ურახუნებდნენ და იმ ყვავებს ახვევდნენ ყავითა და შოკოლადით, იქნებ სხვა რამეც გაემეტებინათ, ისინი კიდე გამხმარ თავებს უკანტურებდნენ ალბათ და თავისას გაიძახოდნენ: 'ღმერთი შეგეწიოთ ყმაწვილებო, თქვენ გაიხარეთ, მთელი საღამო აქ არ იყავით? თვალი არ მოგვიცილებია თქვენთვის!..'

მერე ნელანელა გამოვიხედე თითქოს, რაღაც ბუნდოვნად და გადღაბნილად კი ვხედავდი ყველაფერს, თან მაგრადაც მეცრემლებოდა, მაგრამ დაბრმავებას გადავრჩი და ეგეც ხეირი იყო. ოღონდ კარგს რას დავინახავდი, აქეთ-იქით ორი ფორმიანი მეჯდა და წინ კიდე, შოფრის გვერდზე, შტაცკიში გადაცმული ვიღაც სქელკისერა. სწორედ ის იყო რო მომიტრიალდა და ვითომ ძაან დრუჟელუბნად მეკითხება: 'გაები ალეკს, მახეში? იმ ქალს თუ დაენძრა, წასულია შენი საქმე'.

‘მერე მე რა შუაში ვარ?!’ – ლამისაა მართლა ვიტირო – ‘სამი კაცი მადგა თავზე, იმათ გამაღებინეს კარი შიგნიდან და მერე კარგად ხედავთ რა დღეშიც ჩამაგდეს და ახლა გინდათ მე შემომტენოთ ყველაფერი?.’ ის კიდე მეიაზვება და ეს ძაღლებიც გვერდზე ხითხითებენ: ‘ღმერთო კი მომკალი, მართლა ცუდ წრეში და დღეში ჩავარდნილხარ მაგრამ არა უშავს, ახლა მივალთ სადაც საჭიროა და დროის მეტი რა გვექნება – იჯექი და წერე როგორ გახდი ძალადობის მსხვერპლი და მოძალადეების გზაკვალზეც დაგვაყენებ ალბათ, ვინმე სხვა შენისთანა უცოდველი კიდევ არ ჩაითრიონ ბნელ საქმეებში! ხომ კი, ჩემი ბიჭი?’

‘ჩემ ფეხებს დაგიწერთ! – ვყვირი – რის კვალზე დამდგომები თქვენა ხართ, ახლა უკვე “იორკის დუკაში” იჯდებიან ეგ ნაბიჭვრები და ალიბიც ზედ ექნებათ! თქვენ იმ ბებერ ლაკომკებს დაუქანავეთ ერთი კარგად და იქვე ჩამოფქვავენ ვინ სად იყო და როდის...’

ძაღლები კიდე ყურსაც არ იბერტყავენ ვატყობ, რომელიღაცამ კიდე წამითაქა კეფაში და სწორედ ამ დროს ერთ ახლადშეთეთრებულ მყრალ სამორიგეოსთან მივგორდით. სულ ჯიკავ-ჯიკავით გადმომიყვანეს და მუჯლუგუნების რტყმევით ამაგდეს კიბეებზე. მართლა მტერი მოხვდა ამათ ხელში.

7.

არა, ყველა ეს მაგათი კანტორა ერთნაირია, გინდა თეთრად შებეთქე გარედან და გინდა სულ შამპუნით რეცხე შიგნიდან – ისეთი სუნია, კბილის ექიმის ოთახი მოგენატრება პოლიკლინიკაში.

ჯერ მოსაცდელში შემაგდეს, იქ ოთხი ოყლოყი უჯდა მაგიდას და ჩაის მიირთმევდნენ დიდის ამბით. კამერებიდან ბლუყუნი და გინება ისმოდა და ვიღაცა ფალცეტით მოთქვამდა ქურდი კაცის ბედზე. მერე ერთი ეს კაიჩაისმსმელი ბიჭი გავიდა და ბრაგანის ხმა გვიგონე და გულის გამაწვრილებელი მოთქმაც შეწყდა.

მე არცერთი ძაღლიშვილი ყურადღებასაც არ მაქცევდა სანამ ვიღაც ეპოლეტებიანი არ შემოვიდა, მძიმედ, ამხედ-დამხედა და ძაან მრავალმნიშვნელოვნად წართქვა: ‘ჰ-ჰმ!.’

‘სიტყვასაც არ დავძრავ, სანამ ადვოკატს არ მომიყვანთ,’ – ვეუბნები – ‘და სახლშიც უნდა დავრეკო. არასრულწლოვანის დაკითხვის არავითარი უფლება არა გაქვთ, დამცველი თუ არ დაესწრო’.

‘უყურე შენ, კანონებიც ცოდნია! ამდენი განათლებაც არ ვარგა, ალეკს – თავს აგატკიებს’. – თქვა უფროსმა და ამოიოხრა, მძიმედ, ძაან დაღლილი კაცივით, ქვეყნის საქმეები რო აბარია და მიყურებს თვალგაშტერებული.

ეტყობა კიდე შემრჩენოდა გაკვირვების უნარი და საიდან მიცნობთ-მეთქი, ვეკითხები.

‘აბა ვინ არ იცნობს პატარა ალეკსს და მის ბანდას – ძმაკაცებიც შესაფერისი გყავს, ნარჩევი’.

‘არავითარი ბანდა და ძმაკაცები მე არა მყავს,’ – ვეუბნები – ‘და არცა მყოლია. ვიღაცაში გეშლებით ან სხვის საქმეს მტენით. არაფერზე ხელს არ მოგიწერთ, ჩემიც მეყოფა’. ის კიდე თავს უქნევს ერთ ოყლაყს და ისიც წყნარად, მშვიდად, ღიმილიანი სახით დგება, მოდის ჩემთან და მის ისე რა გაპარსულ სახეს ვხედავ, ჩაშავებულ წინა კბილს, გაოფლილ კისერს, ოფლისა და რძიანი ჩაის სუნი ერთად მომდის და უცებ ისეთი მწეპა მზისწნულში, ოთხად მოვიკაკვე და სადილზე დაყოლებული ნამცხვარიც სანანებელი გამიხდა. ისინი კიდე კვდებოდნენ სიცილით, ოღონდ უფროსი ისევ ისე თვალგაშტერებული მიყურებდა, დაღლილი სახით, მე თან შეთეთრებულ კედელს მივეყრდენი, სხვა რა გზა მქონდა, თან ხელიც მივაშველე და სულ ამოვიგანგლე თეთრად, ის ნაბიჭვარი კიდე შებრუნდა და იმათ ეუბნება, მაგიდასთან – ახლა ვინმე სხვა მოდით, ჩაი მიცივდებაო.

არა, რომ მომკვდარიყავი ამისტანა შანსს მაინც ვერ გავუშვებდი ხელიდან – ძლივს მოვიბრუნე სუნთქვა, წამოვიმართე და ერთი ისეთი ამოვადე კაკლებში, გაგიხარდებოდათ. იმას კი დაადგა შავი დღე, მაგრამ მერე, რო მოასულიერეს, მომდგნენ ყველანი და იმდენი მირტყეს, კუჭის წვენი გადმომდიოდა ტუჩებზე. მერე მიმაგდეს კუთხეში და ნაშრომ-ნაჯაფავებმა ისევ ჩაის ხვრეპა გაახურეს.

ცოტა ხნით ეტყობა გონება დავკარგე, მერე სიცივემ გამომიყვანა – კეფა მქონდა კამერის რკინის კარზე მიბჯენილი; თვალი გავახილე და ღმერთმანი, თავად ბ-ნი დელტოიდი არ დამდგომია თავზე? მიყურებს და თვითონაც კარგი შესახედია, გეგონებათ მთელი ღამე აქ გაეტარებინოს, კუტუზკაში. მიყურა, მიყურა და ბოლოს მეუბნება: ‘მაშ ასე, ალეკს ჩემო, როგორცა ვთქვი, ისე აგიხდა ყველაფერი, ნამდვილად. ღმერთო რა შეგცოდე ამის ფასი!’ ცოტა პათეტიკურად კი გამოუვიდა, მერე ძაღლებს მიუბრუნდა და ძველი ნაცნობებივით მიესალმა, გულითადად. თან ისიც უთხრა, ბიჭი რაღაც ვერ გამოიყურება კარგადო. ღმერთმანი, სწორედ ასე უთხრა.

‘ძალადობა ძალადობას შობს’ – ბრძნული იერით ეუბნება ძაღლთუფროსი – ‘შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა კანონის დამცველებს’.

‘იზამდა, კი’ – წამსვე დაეთანხმა ეს ტრიაპკა დელტოიდი – ‘მეც თავზე ხელს არავინ გადამისვამს, მომხსნიან.’ – თან ისე მომჩერებია, ვითომც ნაცემ-ნაბეგვი ადამიანი კი არა, მართლა ჩვარი ეგდოს კუთხეში. ‘მომხსნიან, ნამდვილად’. – დაუმატა ისევ თავისთვის, თითქოს საკუთარ შანსებს წონიდა და მერე იმათ ეკითხება: ‘სასამართლო როდისაა? მომიწევს მოსვლა’.

‘თქვენი იმედი მაქვს სერ,‘ – ვეუბნები ხმის კანკალით, – ‘ხომ ხედავთ რა მიყვეს, მე კი ისეთი არაფერი დამიშავებია, იმათ მაიძულეს...’

‘მოვალ კი, აბა არ მოვალ? კარგადაც დაგახასიათებ, ნამდვილად’. – მეუბნება და რაღაც უცნაურად მიყურებს.

‘თუ პირადად მისთვის გაქვთ რამე სათქმელი, ჩვენი ნუ მოგერიდებათ,’ – ეუბნება უფროსი – ‘იცით, ხანდახან გულის მოოხებაც საჭიროა’.

და ბნ-მა პლატონ დელტოიდმა, არასრულწლოვანთა აღზრდის ზედამხედველობის ინსპექტორმა, დამსახურებულმა პედაგოგმა და ა.შ. და ა.შ., უცებ ისეთი რამე მოხია, ამ სქელკანიანებმაც კი თვალები ჭყიტეს: მოვიდა ახლო, სულ ახლო და შიგ სახეში არ შემომაფურთხა! სახეში შემომაფურთხა-მეთქი, ძმებო – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მერე კი გატრიალდა და უსიტყვოდ გაშპა გარეთ.

დილამდე ადინოჩკაში ვეგდე და ძილი რას მომეკარებოდა, ერთიანად დაჩეჩქვილ-დაბეგვილი ვიყავი. დილით კიდე რაღაც ქაღალდი მომიტანეს ხელმოსაწერად. ეშმაკსაც წაულიხართ ყველანი-მეთქი ვიფიქრე, მაგ თქვენი სიკეთისა და წესიერებისათვის თუ სულ თქვენისთანა დამპლები და ჩათლახები იბრძვიან, ღმერთმანი კაია რომ თქვენს მხარეს არა ვარ მეთქი. ეგღა მაკლია დავდგე და გულზე მჯიღის ცემით ვინანიო, თვითონ ხო დიდად პატიოსან და სამაგალითო ხალხად მოგაქვთ თავი, ერთი თქვენი აღსარებაც მანახა დაბეჭდილი და ხელმოწერილი, რაებს ფიქრობთ და ბოლომდე თქვენი ნება იყოს რაებს ჩაიდენდით, ოღონდ მაგის ჯიგარი ვინ მოგცათ, რასაც ჩაგიყრიან თავში, ნარეცხი წყალივით იგივე გამოგდით პირიდან... და მოვდექი და იმ სტენოგრაფისტს თუ რაღაცა ჩემი ჭირი იყო – ფორმა კი ეცვა მაგრამ ძაღლს რა მიუგავდა, სათვალეებიანი პედიკი იყო ვიღაცა – ბოლომდე და სულ წვრილად ჩავუმარცვლე ყველაფერი თუკი რამე თავს გადამხდენია რაც ბანაკიდან გამომიშვეს. ღმერთმანი არაფერი გამომიტოვებია და არც ჩემი ექს-ძმაკაცების წვლილი დამჩენია დაუფასებელი – ასეა, ყველას თავისი წილი ქაქი უნდა შეერგოს.

ბოლოში რო გავედით იმ საწყალს ცივმა ოფლმა დაასხა მგონი და საერთოდ ცოტა ალაოდ იყო, შეფმაც კი შეამჩნია და რაღაც ამრეზით უთხრა: ‘კარგი, საკმარისია... წადი ახლა, მაგარი ცხელი ჩაი გამოგიყვანს. მერე ამ საძაგლობას სამ ეგზემპლარად გადაბეჭდავ და ამ ვაჟბატონს მოაწერინებ ხელს’. მე კიდე ზედაც არ შემხედა – ერთი შკაფი იდგა იქვე, გაჯგიმული, მთელი ამ ხნის განმავლობაში წარბიც არ გაუტოკებია და იმას ეუბნება – საერთოში შეაგდეო.

ეს საერთო რო კარგის არაფერი იქნებოდა, რა მიხვედრა მაგას უნდოდა მაგრამ მე იქ დღე დამადგა, ლამის იყო კედლებზე გავედი. ვინ იატაკზე ეგდო საკუთარ ნათხევში და მაინც გემოზე ხვრინავდა, ვინ ნარებზე იწვა და იმისთანა სუნს უშვებდა, რომელი ხვრელი სად ქონდა ვერ გაუგებდი. ამათ სულ ფეხებზე ვეკიდე და ჩემი შემოსვლაც არ გაუგიათ, მაგრამ კიდე ვიღაც ორი დამპალი იყო, ჯერ ერთმანეთს დაცხეს ჩემი გულისთვის და ვინც ვერხი აიღო ახლა მე მომდგა

ხელების ფათურით. ისეთი ნაბეგვი ვიყავი აღარც ჩხუბის თავი მქონდა და აღარც რწყევის, ორი თითი ვატაკე თვალებში და ეგ იყო, შემეშვა. იქვე ვიღაც მოხუცი იწვა ზედა კოიკაზე, ისეთი გაგლეჯილი მთვრალი, ეტყობა ძაღლებმა შეაგდეს იქ, თვითონ რას აფორთხდებოდა. სახე ერთიანად დაჭმული ქონდა – ნაღდად რო ათაშანგი ექნებოდა აკიდებული მაგრამ ახლა ცარიელი ადგილის ძებნა სად შემეძლო, ბრახანით დავუშვი ქვევით და თვითონ ავძვერი ზედ. არც გაუგია, მაგისთვის ახლა არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა სად ეგდებოდა და არც ჩემთვის, ოღონდ კი ჰორიზონტალური მიმეღო. ხოდა მივეგდე იმ მყრალ მატრასზე და ისეთი დანგრეული ვიყავი, წამსვე ჩამეძინა; ჩამეძინა კი არა, რაღაც გავითიშესავით და სხვა სამყაროში გადავედი თითქოს, უკეთესში რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესში, დიდ ყვავილებიან მდელოზე ვიყავი ტყის პირას და ვიღაც თხისფეხებიანი კაცი უბერავდა მგონი ფლეიტაზე. მერე მზე ამოვიდა და ვითომ ბეთჰოვენის ფაფარაშლილი თავი იყო, ქარიშხალივით სახე ქონდა და ქუხილივით ხმა. და მეცხრეს ფინალი გავიგონე, უცნაურად შეცვლილი სიტყვებით, ოღონდ თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, სიზმარში ვითომ თვითონ ლუდვიგა ქაჩავდა ბარიტონს:

შენ იხარე, შენ იხარე ტურფავ
ელიზიუმის!
მილიონები მოვდივართ – ძელაყენებულები!..
გრაილ-გრიალით,
თომარ-თომარით –
სანეტარო შენი ხვრელის დასაგრიაზნავად...

ოღონდ მუსიკა კი სწორად მიდიოდა, არავითარი ტრანსკრიპცია და ტრაკანი, და სწორედ ამ დროს გამაღვიძეს, აზრზეც არ ვიყავი რა დრო გავიდა – ათი წუთი თუ ოცი საათი თუ დღეები და წლებიც იქნებ და აღარც საათი მეკეთა ხელზე, შეხსნა მოესწროთ, ოღონდ ქვემოდან ვიღაც ფორმიანი მტენიდა თავის ჯოხს და მეუბნებოდა: 'ადე, ადე! ნახა რა ამანაც ძილის დრო...'

მე კიდე გონზე ვერ მოვდიოდი, ძლივს ჩამოვბობღდი ნარებიდან, მერე რაღაც დერეფნებით მატარეს და *შენ იხარე, ო ასულო ელიზიუმისაო* – რეკდა თავში. ბოლო-ბოლო ერთ კანტორაში შემაგდეს, სულ მბეჭდავი გოგოებით იყო სავსე, მაგიდებზე ყველას თითო ყვავილი ედგა ჭიქაში და ერთ დიდ მთავარ მაგიდასთან კიდე ის გუშინდელი უფროსი იჯდა, გაყინული მზერით მათვალიერებდა და ხედავდა ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ სახელმწიფო ქონებას ხო არ დამასვრევინებდა – სკამს, მაგალითად.

'კიდე რა ჩემი შიბლა გინდათ'-მეთქი, დავეკითხე – 'არ გეყოთ რაც მიბრაგუნეთ და სახეში მაფურთხეთ და ოხრად ყველაფერი დაგიფქვით და ამის მერე საერთო სანაგვეში შემაგდეთ ვიღაც სიფილიტიკებთან და პიდარასტებთან? ახლა კიდე რითი უნდა მტანჯოთ-მაწვალოთ?'

‘სატანჯველი შენი გეყოფა,’ – მეუბნება – ‘იქნება და მთელი ცხოვრებაც გეყოს’. და სანამ რამეს დაუმატებდა ძმებო, უკვე ვიყიდე კიდეც რას მეტყოდა, რითი გამახარებდა ამ დილაუთენია... ის ბებერი ვედმა მომკვდარიყო ძმებო – გონზე აღარც მოსულა, ისე ჩაკვდომოდათ ხელში. ეტყობა ცხელ გულზე მეტისმეტი მომივიდა. ახლა დილიდან საღამომდე იკნავლებდნენ დამშეული ფისუნიები და ვინღა დაუდგამდა რძიან მათლაფას. მორჩა ეგ ამბავი, იმ ბებრისაც და ჩემიც.

ოღონდ მე ჯერ თექვსმეტისაც არ ვიყავი.

წიგნი მეორე

1.

‘ახლა რა ვქნათ?.’

აბა რა გითხრათ ძმებო, დავდგე ახლა და ტვინი წაგიღოთ მთელი იმ სპექტაკლის მოყოლით რაც ჩემს ამ დირკაში გაფორმებას დაჭირდა? ცალკე დედომ იცა თავში ხელები, ცალკე მამაჩემი ბოდიალობდა რაღაცას გზის აცდენაზე და თავის მოჭრაზე და სასამართლოში კიდე რაც იმ პარიკიანმა ტიპმა ჩემზე იბაზრა, ყველაფერი ნაღდი ყოფილიყო, მართლა წასაცლელიI მექნებოდა თავი. მერე კიდე მთლად უმაღლესი სასამართლო და მანამდე წინასწარ პატიმრობაში ყოფნა ისევ ადინოჩკაში და დაფშტვენას მართლა აღარაფერი მიკლდა, იქ კიდე ძაან ძაან მაღალ ტონებში ილაპარაკეს ისევ ჩემსა და ჩემი ხნის კაიდედმამიშვილი ბიჭების ხელიდან წასვლაზე და სრულ გადაგვარებაზე და ფინალში დიდი მწუხარებით მაგრამ მაინც ძაან მტკიცედ, გასაჩივრების უფლების გარეშე მომისაჯეს თოთხმეტი წელი.

ხოდა ვარ ახლა აქ, **Ց.Ь**. 84ᵇ-ში (ეს ***Ց.Ь***. ჯერ უბრალოდ “ციხის” უაზრო შემოკლება მეგონა, მაგრამ აქაურებიდან შედარებით უფრო განათლებული კონტინგენტის წარმომადგენელმა ამიხსნა – *ცენტრალურ ხაროს* ნიშნავს, 84ᵇ კიდე ბლოკის ნომერიაო), სახელმწიფო ხარჯზე ვიშმოტკები – რაღაც ტრაწისფერი პიჟამა მაცვია და ზედ გულზე და ზურგზედაც ნომერი 665321 მაწერია, ასე რომ არავითარი ალეკსი და ფამილარობა, ცარიელი ციფროვკა ვარ წინიდანაც და უკნიდანაც.

მთელი ამ ამბებიდან ორი წელი გავიდა ძმებო და ადვილი ასატანი არ იყო ეს ორი წელი, ასატანი კი არა და თავი ძლივს გავიტანე ადამიანისდაგვარი ცხოველების ამ პიტომნიკში და ვის აღარ გადავეყარე – ქურდებს, ბანდიტებს,

ქეშებს, ხურუშიანებს და ღმერთმანი თითქოს ჩემზე უდგებოდა ყველას: ზოგს თავი უნდოდა ჩემი და ზოგს უკანალი – ვინ ყელის გამოჭრას მიპირებდა და ვინ ხასად დასმას. კიდე კაი ჭკუაზე ვარ. მერე ეს სამუშაოც მაგარი დამაქლიავებელი რამე იყო – ასანთის კოლოფები უნდა გვეკეთებინა და დღის ბოლოს უკვე თითები მიხევდებოდა. შესვენებაზე კიდე ზონის ეზოში გაგვყრიდნენ ხოლმე და სადოღე ცხენებივით წრეზე გვატარებდნენ მუხლის გასაშლელად. მარტო საღამოობით გვქონდა ხოხმა, ვინმე დაფეხვილ პრაფესორა ტიპს მოიყვანდნენ და ისიც ძაან გულმოდგინედ ბუბუნებდა რაღაცას მწერებზე ან გალაქტიკაზე და ერთხელაც თოვლის ფიფქების გეომეტრიაზე გვებლატავა ვიღაც შერეკილი და ერთი მაშინ იყო რო არ ჩამთვლიმა: კი არ ვუსმენდი, უბრალოდ ის ბებერი მწიგნობარი გამახსენდა ღამით ქუჩაში რო მივასიკვდილეთ მე და ჩემმა ნაძმაკაცარებმა. რაც ჩამაყუდეს, მათზე მარტო ერთი რამ გავიგე – წლის თავზე ჯორჯი-ბიჭი გაუსაღებიათ. მერედა არ იკითხავთ, როგორ და რანაირად? ღმერთმანი, ხანდახან სამართალიც არი ქვეყანაზე და მაგის ბოლოც ეგ იყო – გაღორდა და ვეღარ ეტეოდა საკუთარ ტყავში, ვიღაც მდიდარი კოლექციონერის ბინაში გადამძვრალა ეგ ბრიყვი ეგა და იმის მაგივრად, სანამ მოჩანთული პატრონი გონზე მოვიდოდა წასაღები დროზე წაეღო, მიმდგარა და სულ გაუოხრებია იქაურობა. ეს კოლექციონერებიც ხო მაგარი დარეხვილი ხალხია – ჯერ მარტო ფულის ამბავი ეგონა და წყნარად ეგდო, მაგრამ მერე აზრზე მოსულა რაც ხდებოდა და გიჟს დამსგავსებია, ძველებური ბრონზის მძიმე შანდალი დაითრია და ეცა თურმე, ჯორჯი კი ბაიბურში არ იყო და მიიღო კიდევაც უკნიდან ბათქი თავში, იქვე გათავებულა. იმ ტიპს რა – თავდაცვაში ჩაუთვალეს და პირობითიც არ მიუციათ, ჯორჯი-ბიჭი კი გავიდა გაღმა. ახია, ღმერთმანი.

'რა ვქნათ ახლა?.'

კვირა დღე იყო და ციხის სალოცავში ვიყავით შეყრილები, კაპელანი საკვირაო დამოძღვრას გვიპირებდა და როჟაც შესაბამისი დაეყენებინა – ბრძნული და ვითომც ძაან გამგებიანი. მე შესაფერისი მუსიკის გაშვება მევალებოდა მაგნიტოფონზე – ჯერ დასაწყისში, მერე სადღაც შუაში, როცა კი მანიშნებდა და სულ ბოლოში. მუსიკა სასულიერო ხასიათისა უნდა ყოფილიყო რასაკვირველია, მაგრამ ეს ცოტა ტიომნი ამბავი იყო ჩვენი კაპელანისთვის და მეც ხან ბახს ვდებდი და ხან ჰენდელს და ხან კიდე როდის რაც მომენატრებოდა.

'*ახლა რა ვქნათ-მეთქი*, თქვენ გეკითხებით!' – მესამეჯერ იყივლა ცენტრალური ხაროს რიგითმა მამაომ, – 'ვიაროთ ასე კოლონიიდან კოლონიაში? განთავისუფლება – დაპატიმრება, ციხე-კოლონია-სახლი, ისევ ციხე და ისევ კოლონია – სადამდე?. თუ ბოლოსდაბოლოს შეისმენთ სიტყვას უფლისას და შეიმეცნებთ რა სასჯელიც გელით იმ ქვეყანას – თუ არ მოინანიებთ ცოდვებს და მართალ გზას არ დაადგებით, და ამ ქვეყანას – თუკი ისევ თქვენსას გარეკავთ?.. ღმერთმა აზრის ნათელი უბოძა ადამიანს, თქვენ კი აღარც აზრი შეირჩინეთ თავში და სიბნელეშიც ხელის ფათურით დაბორიალობთ... რა ჭკუით ცვლით-მეთქი, მე თქვენ გეკითხებით, ღვთის პირმშოებას ოსპნის ბალანდაზე? რა გული გითქვამთ ძალადობის, ქურდობის, მრუშობისა და იოლი ცხოვრებისათვის, თუკი ნაღდში

ვიცით – და ეს უკვე მეცნიერულადაც დამტკიცებულია – რომ ჯოჯოხეთი არსებობს?! განა არა, თავადაც რამდენჯერ მწვევია ხილვა – და მწუხრის ჟამს განსაკუთრებით – რომ არის ასეთი ადგილი, ყველა საკანზე უბნელესი, ადამიანის ხელით დანთებულ ყოველგვარ ცეცხლზე უფრო მწველი, სადაც თქვენისთანა ცოდვამოუნანიებელი ავაზაკები – ჰო, თქვენისთანები-მეთქი, რას იკრიჭებით – წივიან-კივიან და გოდებენ უსასრულო ტანჯვის გამო და ყელამდე სიბინძურეში ჩაფლულნი, ყლუპ სუფთა წყალს ნატრულობენ... ასეა ეს!'

და სწორედ ამ დროს ძმებო, ბოლო რიგებში ვიღაცამ დაუპრუწუნა და ატყდა ერთი ხორხოცი მაგრამ ზედამხედველები რას მიკეთებდნენ – ტემპში მოაკეტინეს ყველას და მერე ერთ ვიღაც გაძვალტყავებულ შიბზიკას დააკლეს ხელი და გააქანეს საცა წესი იყო. ბევრს კი ჭიჭყინებდა, მე არა – აი ის ზეკი იყოო, მაგრამ ვინ დაუჯერა და ან რა მნიშვნელობა ქონდა ამას.

'აი, ხომ ხედავთ!' – თავისას მიერეკებოდა კაპელანი – 'ამქვეყნად მთლად უმცირესი ცოდვაც კი არა რჩება დაუსჯელი და წარმოიდგინეთ ერთი, რა ხდება იმქვეყნად! ახლა მოდით წიგნი წავიკითხოთ...' – პაწია ბიბლიას დააძრობდა საიდანღაც, თითებს დაინერწყვავდა და იწყებდა რომელიღაცა ადგილის ძებნას. კარგი სანახავი იყო, ღმერთმანი – ხორცის გროვა, აღაჟღაჟებული სახე და ღორის თვალები სულის ხსნისაკენ მოუწოდებდა პატიმრებს. თუმცა მე რას ვერჩი, ჩემს მიმართ ყოველთვის ძაან მამაშვილური ეჭირა და როცა ამ მისი საღვთო წიგნით დაინტერესება შემატყო, ჩამკეტავდა ხოლმე სალოცავში, მუსიკის მოსმენის ნებასაც მაძლევდა და ვიყავი ასე განცხრომაში – დავჯდებოდი ჩემთვის, მარტო, კასეტას ჩავდებდი და ბიბლიას ვფურცლავდი...

თავიდანვე დიდი გოთვერანი ხალხი კი ყოფილან ეს ყევერები: რას ურახუნებდნენ თურმე ერთმანეთს, მერე ღვინოც მაგრა ყვარებიათ ეტყობა და ქალების ამბავს კიდე ნუღარ მკითხავთ – ვინ ვისთან წვებოდა, დავთარი ამერია. აი მეორე ნაწილი კი ჯერ იყო და ვერაფერი შვილი მეგონა – სულ რაღაც ქადაგებები და ეგეთი ბალამუტი, არავითარი ჩხუბი და წერაობა; მაგრამ ერთხელაც კაპელანმა ტორი დამადო მხარზე, მეორის საჩვენებელი თითი ზეცას მიაპყრო და მეუბნება: 'დროა, დროა გზანი წამებისანიც შეიმეცნო, შვილო ჩემო ე-ე... # 665321! ჩვენი სატანჯველი რაა საყოველთაო ცოდვების საკუთარ მხრებზე მოკიდებასთან შედარებით!'

ესა თქვა, ერთი გემოზე ამოაბოყინა და ვისკის სურნელით ააქოთა იქაურობა. მაგრა გაუტყდა, ჩაფიქრდა, ეტყობა კიდე უნდოდა ეთქვა რაღაც ისეთი, მერე ხელი ჩაიქნია და თავის გზას დაადგა. საღამოობით მარტო ბოთლთან შეეძლო მწყობრისად ლაპარაკი. ვიცი, შევსწრებივარ.

მაგის მერე იყო სწორედ, კიდე წავიკითხე ჯვარცმის და ეკლის გვირგვინის ჩამოცმის ამბავი და მაშინ დამარტყა, ამაშიც რაღაცა ყრია-მეთქი, ბახის "ვნებანი" დავდე – ალტის პარტია მათედან, თვალები დავხუჭე და უცებ წარმოვიდგინე თითქოს ლურსმანს თავად ვურჭობდი გაშლილ მტევანში. მას მერე

ოთხივე თავის ეგ ადგილები ლამის დავიზეპირე და უკვე მართლა მეჩვენებოდა რომ თეთრი ტოგა მეცვა და თაკარა მზეში მათრახს ვუტყლაშუნებდი შიშველ ოფლიან ზურგზე, სისხლი და ოფლი ირეოდა ერთმანეთში და ხალხის გოდების ხმა მესმოდა კარგი გუნდივით. იტოგში, მთლად უსარგებლოდ არ დამიკარგავს დრო და ხაროს უფროსის ყურსაც კი მიწვდა – # ესა და ეს ეკლესიურობაში გადავარდაო. ქადაგად დამდგარ კაპელანსაც უფრო ყურადღებით ვუსმენდი ხოლმე, მაგრამ მაგის ნაბჟუტურალის ბევრი მაინც არაფერი გამეგებოდა.

დღესაც რაღაცა იბოდიალა იმათზე, ვინაც ღვთის სიტყვას კი უსმენდა თითქოს, მაგრამ მათ თავში რო არ შედიოდა არაფერი, და ვითომ სილაზე აშენებდნენ სახლს და ატყდა თურმე ჭექა-ქუხილი, ნიაღვარი წამოვიდა და ნაგებიც ჩამოიქცა. ჯერ რა ხისთავა რამე უნდა იყო ამას აკეთებდე და მერე ან მართლა მშენებელს არავის იცნობდნენ, ან მეზობლებიც კაი დამპლები უნდა ყოფილიყვნენ, დროზე არავის გაეფრთხილებინა... მოკლედ, რაღაც მუღამი ვერ ავუღე მაგის გადაკრულად ნაქადაგარს.

მერე იყო და უცბად მიაფუჩეჩა ბოლოში სათქმელი და 'ახლა ორმოცდამეხუთე საგალობელი დავცხოთო' – გამოაცხადა. ატყდა ერთი შმაშუნი, ხველება, პიჟამების სწორება და ხმების მიხედვით ადგილების გაცვლა-გამოცვლა. მე ჩემი მუსიკა გამზადებული მქონდა და მოცემულ ნიშანზე გავუშვი შუტცის ძაან ძაან მარტივი თემა ორღანზე, თანაბარი გადასვლებით ბანებში.

საერთოდ, რიგიანი მომღერლებიც გვყავდა, დამწვრისად უბერავდნენ ხოლმე გალიაში გამომწყვდეულ ბულბულებსა და თავის ნებაზე მონავარდე ყვავებზე – პატარა ტრენინგი და სამხმიან მოტეტებსაც ამღერებდა კაცი, ზედ კიდე ფსალმუნებიდან დაადებდი სიტყვებს, მაგრამ კაპელანს თავისი რეპერტუარი ქონდა დაწესებული, არც ვიცი ვისი შეთხზული იყო, იქნებ სულაც საკუთარი და ხაროს უფროსს და ზედამხედველ კომისიასაც თავის დროზე ძაან მოსწონებიათ თურმე:

მძიმე არი ციხის კარი –
გარეთ როგორ გახვალ,
ცოდვებს თუ არ ინანიებ –
ჯოჯოხეთში ჩახვალ!..

ცხვრებივით ერთ ხმაში ბღაოდნენ პატიმრები ამ სისულელეს და ზოგს მგონი ცრემლიც ადგა თვალზე. ეს ვირი ნადზორები კიდე დაუვლიდნენ ხოლმე კიდეზე და დასძახებდნენ – ხმამაღლა, უფრო მოშჩნადო. ბოლო-ბოლო ესეც მოთავდა და ბოლო სიტყვაც კაპელანმა დაგვაწია: 'გფარვიდეთ წმიდა სამება და მუდამ უკეთესობისაკენ წაგმართავდეთ ყველას, ამენ!' მეც ჩემის მხრივ ერთი პატარა ნაწყვეტი დავურთე ადრიან შაიზელბერგის მეორე სიმფონიიდან, დამშვიდობების ამბავში, ჯოგი კიდე გასასავლელს მიაწყდა და იყო ერთი ზედახორა და ნადზორებმაც გაიხარეს დრუჩოკების ქნევით.

მერე კაპელანი მომადგა, კაი ძმაკაცივით გადამხვია მარჯვენა და გაბადრული სახით მეუბნება: 'დიდი მადლობა შენი ამჯერედაც, რას მეტყვი ახალს?' საქმე ის იყო, ეგ ჩემის კაპელანი მაგრა ჩალიჩობდა როგორმე წინ წაწეულიყო ჩინის ამბავში, ამისთვის კიდე ხაროთუფროსისაგან ატმასკა ჭირდებოდა. ხოდა, ეგ ვირთხაც მგონი ყოველ მეორე დღეს მასთან ყურყუტებდა და ყურებს უჭედავდა – პატიმრებში ასე და ასე ლაპარაკობენ, სულ რაღაც-რაღაცეებს ხიმანკობენ მაგრამ ჩემი ჯერათ, მე კიდე სულ თქვენს ქებაში ვარ და როგორღაც მაინც ვაშოშმინებო. ხანდახან კიდე მთლად გაუხეთქავდა გულს – ბუნტი მზადდება, ან ესა და ეს ნომერი გაქცევას აპირებს, ან კიდე რამე ამდაგვარს დაუბრეხვებდა და იწყებოდა ერთი ალიაქოთი. მთელი ეს ბაზარი კი სულ ჩემი შეთხზული იყო, თუმცა ხანდახან მართალიც გამირტყია შემთხვევით – აი თუნდაც იმ ბოთე ჰარიმენის ამბავი, ღამის შემოვლაზე დარაჯის მოღრჩობას და მის ტანსაცმელში გადაცმული რო აპირებდა ათესვას, ოღონდ ენა ვერ გაიჩერა პირში... ან კიდე კანალიზაციის მილებზე კაკუნით რო დაამუშავეს ტიპებმა ერთმანეთთან კავშირი. აი ეგ მართლა ფინთი რამე იყო: არ შეიძლება პატიმრებს გაერთიანების საშუალება მისცე. ერთხელაც კიდე სადილზე იმდენი იჯაჯღანეს უგემური საკვების გამო, ვახშამზე ნაღდად შუხურს ატეხავენ-მეთქი, ვუთხარი და მაგრადაც გამიმართლა, ოღონდ იმ საღამოს მორიგეების გარდა გარეთ კიდე მთელი ქვეგანაყოფი იყო გამზადებული და უცბად დააყუჩეს სუყველა. კაპელანს კიდე ცალკე უფროსისაგან ერგო მადლობა და ცალკე სასულიერო სამმართველოდან – განსაკუთრებით მძიმე ობიექტზე თავდადებული სამსახურისთვის.

ამჯერადაც ცინცხალი ტყუილი მქონდა გამზადებული, მაგრამ ვინ რას დაგიდევდა, მაგის მეასედიც თუ გამართლდებოდა, ამბის გაბუქვა მერე უკვე მაგათი საქმე არ იყო?!

'დიახ, სერ – ნამდვილს გეუბნებით, სერ – ჩემი ორი ყურით გავიგონე, პაკეტი კოკაინი უნდა შემოიტანონ და მგონი მერვე ბლოკს აქცევენ დასანაწილებელ ბაზად'.

'ძალიანაც კარგი,' – მეუბნება – 'თუმცა რა კარგი, ისა – ცუდი ამბავია, ძალიან ცუდი! მაგრამ შენ აბა რა შუაში ხარ – შენი გულმოდგინების ამბავს კიდევ ცალკე მოვახსენებ ზემოთ.' – თქვა და გაიბღინძა, როგორც ჩვეოდა ხოლმე როცა უფროსობასთან თავის ახლო ურთიერთობაზე გადაკრავდა სიტყვას.

'საზოგადოდ, ნამდვილად რომ სანიმუშოდ იქცევი, აშკარად გამოსწორების გზას ადგახარ შვილო ჩემო # 665321... ასე თუ გაგრძელდა, შუამდგომლობასაც აკეთებ, ერთი-ორი წლით ადრე რომ გაგათავისუფლონ, დიახ'.

'დიდი მადლობელი სერ, ღმერთმანი თავს არ დავზოგავ, ოღონდ ერთი რამ მინდა გკითხოთ სერ – ხმები დადის, რაღაც ახალი მანქანა გამოუგონიათ, ჩაგიშვებენ შიგ და განახლებული გამოდიხარ, აღარც ციხე გინდა და აღარც არაფერი, პირდაპირ გარანტირებული ხარ ყოველგვარი ბოროტისაგანო...'

ვატყობ, არ ეპიტნავა მაინცადამაინც – ჯერ რაღაც საიდუმლოდ ინახავენ ამ ამბავს – არადა ხომ ვიცი, მუდამ ენა ექავება მაღალ მატერიებზე ებალამუტოს ვინმეს.

‘ჰო, ეეე... როგორ არა, არის ეგეთი რამ, ლუდოვიკოს მეთოდს ეძახიან, ოღონდ ჩვენთან ჯერ არ უცდიათ – უფროსია წინააღმდეგი და სიმართლე ითქვას, არც მე მეხატება გულზე’.

‘ეგ რატომ, სერ?’

‘იმიტომ რომ ადამიანის ბუნებას ვერავითარი მეთოდებით ვერ გააუმჯობესებ. კეთილიცა და ბოროტიც შინაგანი ამბავია და ღვთისშვილს არჩევანის უფლება თუ არა აქვს, იმას ადამიანიც აღარ ეთქმის!.’

კაცმა არ იცის კიდე რამდენს იქაქანებდა ამ აბდაუბდას მაგრამ ამ დროს რკინის კიბებზე ერთი ბრაგაბრუგი ატყდა – მორიგი პარტია ზეკები მოგვადგენ თავისი წილი სულიერი საზრდოს მისაღებად.

‘კარგი, ახლა შენს საქმეს მიხედე,’ – მეუბნება კაპელანი – ‘მაგაზე კიდე სხვა დროს ვილაპარაკოთ’. ხოდა მეც ბახის ერთი ქორალური პრელუდია დავუდე, Wachen auf* ქვია რატომღაც და ეს ჯგროც შემობლაყუნდა, ნადზორები კიდე აქეთ-იქიდან დადგნენ, კაპელანიც აბობღდა კათედრაზე და გააბა ისევ თავისი *რა ვქნათ ახლა?*

იმ დილით კიდე ოთხი პორცია ქადაგება ქონდა დაგეგმილი და ჩემთვის ვიღა მოიცლიდა – ბოლოში ჩვეულად გადამიხადა მადლობა, ის ლუდოვიკოს მეთოდია თუ რაღაცა, სიტყვითაც არ უხსენებია.

2.

საღამოსკენ ისევ ჩვენ-ჩვენს სოროებში შეგვრეკეს და მოგვიკეტეს კარი. თავის დროზე თითო კამერა ეტყობა სამი კაცისთვის იყო გათვლილი, ოღონდ მერე კიდე სამი ნარიც დაემატებინათ და ახლა ექვსნი ვიყავით სელიოდკებივით ჩალაგებულები. პირველი კარებთან ზოფარი იწვა – ვერც სახელით გაიგებდი რა ჯილაგისა იყო და ვერც გარეგნობით – ერთი მურთხი რამე და არავითარი აქცენტი. ლაპარაკი კიდე ნამდვილი ქურდის ქონდა, ცოტა ჭკუაზეც აფრაკად იყო და იჯდა ხოლმე თავისთვის და სულ ყვებოდა რაღაცა გაუთავებელს, მაგრამ თავს ბოლოს ვეღარ აბამდა და აღარც ყურს უგდებდა ვინმე. მერე ერთი სქელო ურია მოდიოდა, სულ მუდამ ოფლში იწურებოდა და ნამდვილი ძილისგუდა, ოღონდ

* განიღვიძეთ! *(გერმ.)*

მაგაზე ამბობდნენ, სტუკაჩია და კაცი ფრთხილად უნდა იყო, ძილშიც ყველაფერი კარგად ესმისო. ეგ იყო, იავნიზე ვერც ერთხელ ვერ გამოიჭირეს. მერე ორი განუყრელი ძმაკაცი – კირპიჩა და დოქტორა. კირპიჩა ვიღაც პატარა გოგოშკას ხმარებაზე იყო ჩამჯდარი (ისიც შეტენეს, "გაუკულმართებულადო", თუმცა დედის სულს იფიცებოდა – არაფერი მსგავსიო), დოქტორა კიდე თავს დებდა თურმე – კიბოს ვკურნავო, ოღონდ შპრიცს ცარიელა გამოხდილი წყლით ავსებდა. მერე ერთი ქალიც აბორტმახერობის დროს ჩაკვდომია ხელში. უფრო სწორედ, მაგიდაზე. ესეც გაუხსენეს.

კიდე იყო ვინმე ჯოჯონა, მაგარი ჰიგიენური ტიპი – ყოველ კვირადღეს პედიკურს იკეთებდა გადატეხილი ბრიტვით. მოკლედ, ძაან საზოგადოებაში გახლდით გამოსული. იმ დღეს კიდე, თითქოს ადამიანებად აღარც გვთვლიანო, კიდე ერთი შემოგვისახლეს, ანუ – კარი გაიღო და შემოგვიგდეს, იატაკზე მოადინა ზღართანი. ჩვენ ჯერ აზრზე ვერც მოვედით, ის რო წამოხტა, გისოსებს ეცა და მორთო ღნავილი: 'ხალხი არა ხართ?! იატაკზე დავწვე?. რა მინდა ამ გადატენილ სოროში – ციხეა თუ გაზის კამერა! უფროსთან ვიჩივლებ!.'

ყურიც არავინ გაიბერტყა, რა თქმა უნდა.

ხოდა ძმებო, სწორედ ამ კაცით დაიწყო ყველაფერი – იმისთანა დამპალი ვინმე აღმოჩნდა, ვინ იყო მაგის ამტანი. ჯერ ჩემზე გაახურა – ყველაზე ახალგაზრდა შენა ხარ და მოგიწევს იატაკზე ძილიო. ახალმოთრეულს თუ ერთხელ რამე გაუვიდა მერე კარგად მეყოლე და ალბათ ამიტომ იყო, ხმის ამოღებაც არ დამჭირებია, სხვებმა წაუთაქეს თავში და მოაკეტინეს. მერე ის იყო წავთვლიმე და გვერდში არ მომიწვა ეგ ვირიშვილი და არ დამიიწო ხელების ფათური და სიყვარულის ახსნა! გიჟივით წამოვვარდი, დავითრიე და ვერც ვხედავდი კარგად სად ვურტყავდი, მერე ფეხებით შევდექი და სანამ ნადზორები არ შემოცვივდნენ, არც გავჩერებულვარ. დიდი კი არაფერი, რა თქმა უნდა – ფეხსაცმელებზე შნუროკები ყველას დაძრობილი გვქონდა და იმ სიბნელე-სივიწროვეში კიდე ხელსაც ვერ გაიქნევდი ხეირიანად, მაგრამ ჩხუბი ჩხუბია და მტყუან-მართალს ვინ დაგიდევდა – თითო-თითო ყველას მოგვხვდა და თავისი ჭკუით, დაამყარეს წესრიგი. მერე გაგვაფრთხილეს, კიდე რამე შუხური თუ ატყდა, ვაი თქვენი ბრალიო და პატარა წითელი სინათლეც აღარ გამორთეს ჭერში: ასე უფრო ჭკვიანად იქნებითო – გაიღმიჭა ოპერ-ნადზორი და გაიკრიფნენ.

უკვე ვიცოდი, ჩემი ძილი აღარ იქნებოდა და იმ პიდორს ვეუბნები – დაეგდე ნარზე და განძრევა არ გაბედო, მე კიდე ჩემი საბან-გობანით იატაკზე მოვწყობიმეთქი. 'დაიცა,' – დოქტორა მეუბნება – 'ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ არც მაგის დაწოლა იქნება – იდგეს ფეხზე კუთხეში, ჭკუას ისწავლის'. იმ ჩემისამ კიდე იმის მაგივრად, ენა მუცელში ჩაეგდო და ხალხი უფრო არ გაეღიზიანებინა, ახლა იმას აუხტა: შენ ვინა მყევხარ, ვინ რას გეკითხება მე და ეს კაცი როგორ მოვრიგდებითო. მართლა კაი დარეხვილი ვინმე იყო. დაიწყო და აღარ გაათავა. ჯოჯონამაც უყურა, უყურა და ის ქლიავიც რო აღარ მორჩა შიპიტს, ერთი ამოიოხრა და მშვიდად ისე, ყველას გასაგონად თქვა: 'ძილი თუ არ გვიწერია ამ ღამით, ერთი სასარგებლო საქმე

მაინც ვქნათო'. ხოდა კირპიჩამ ქეჩოში სტაცა ხელი, მეორეთი ცოტა ხნით პირი მოუკუპრა და მოსდგნენ და იმდენი უბრაგუნეს, თურქის ბარაბანს რო არ მოხვედრია, ოღონდ უხმოდ მუშაობდნენ და მეთოდურად, რიგ-რიგობით. ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა და ამ პატარა წითლად მბჟუტავ სინათლეზე ეს გასისხლიანებული სიფათი რო დავინახე, თითქო რაღაც გადამიტრიალდა გულ-ღვიძლში – ცუდად კი არა, პირიქით, თითქო ახლა გავხდი მართლა კარგად, მხოლოდ ყველაფერს წითლად ვხედავდი, ცოტა ბუნდოვნად და არავითარი ცემა-ტყეპა არ დამიწყია, მივუახლოვდი, შორიდანვე გავუშალე და მთელი ტანით შევუშვი დარტყმა – შიგ ჟანგიან ყბაში მოხვდა და კეფით გაეკრო კედელს. მართლა მაგარი გრძნობა იყო, ღმერთმანი.

'ესეც ასე.' – კმაყოფილად, ვალმოხდილი კაცის ხმით თქვა დოქტორამ – 'ახლა კი ნამდვილად წაუძინებს, იმედია დილამდეც და ხვალ სულ სხვა, წესიერ ზრდილ და უაღრესად მორიდებულ პიროვნებად წარმოგვიდგება, იმედია. თუ არა და კიდევ გავიმეორებთ – *რეპეტიციო ესტ მატერ სტუდიორუმ*, მოგეხსენებათ'. დიდი მაზალო ვინმე კი იყო ეს დოქტორა, სულ ასე დახვეწილ სტილში ლაპარაკობდა, დინჯად და მძიმედ.

ჩვენც ჩვენ-ჩვენ ნარებზე ავძვერით და დილამდე თავი არც ერთს არ აგვიღია. მე კიდე რატომღაც ისევ ისეთი უცნაური სიზმარი მესიზმრა: თითქოს მთელი ორკესტრი მარტო მე ვიყავი და ორი დირიჯენტი მყავდა ერთდროულად – ბებერი ფაფარიანი ლუდვიგა და პარიკიანი ჰენდელი მაგრამ ორივე ერთნაირად უკმაყოფილო იყო და ხან რაზე მდებდენ შარს და ხან რაზე. მერე მეც ამეშალა ნერვები და ხან ალთას ვუბერავდი და ხან ბალთას. ბოლოს ორივე ერთად მომდგა და გამიხვრიტეს ტვინი... სწორედ ამ დროს გამომეღვიძა და ვხედავ, ყველას იმ გუშინდელ ნაცემ-ნაბეგვი ბაიყუშის გარშემო წრე დაურტყამთ და რაღაცას ყაყანებენ. მერე დოქტორას ხმა გავიგონე: 'გულის ამბავია ალბათ. ასე გაცხარებაც არ ვარგა. მეტისმეტი მოგივიდათ გუშინ, მეტისმეტი'.

'დაიცა დოკ,' – ჯოჯონა ეუბნება – 'მგონი არც შენ დაგიკლია ხელი'. მეც მივედი და ვხედავ ის ჩემისა რაღაც უცნაურად წევს, თვალებდაჭყეტილი და პირღია. შიშველი ფეხის თითები შევახე მკლავზე და ცივი იყო – ისეთი კი არა, შემცივნებული როცაა კაცი, მართლა ცივი – მაცივარში ნაგდები კატლეტივით.

'მართლა, ალეკს – ის ბოლო დარტყმა ნამდვილად ზედმეტი იყო.' – ახლა მე მომიბრუნდა დოქტორა.

'ჰო, რა თქმა უნდა.' – ვეუბნები, თან გულმა რაღაც რეჩხივით მიყო – 'კირპიჩას ეჭირა, შენ და ჯოჯონა ცემდით, მე კიდე ერთი დავუადე ბოლოში და ახლა თურმე სულ ჩემი ბრალი ყოფილა ყველაფერი!.'

'ერთი იყო, კი – მაგრამ მეტისმეტი, ასე ვთქვათ, გამეტებით... რომ იტყვიან, ზედმეტი ჩხირი ტვირთი აქლემსაც დააგდებსო...' – დანარჩენებიც დგანან და ძაან ბრძნული სახით კვერს უკრავენ. მარტო ყევერაა ჩუმად და როგორც

ყოველთვის, ახლაც ოფლი ასხამს, ოღონდ სიმწრის.

‘ნაბიჭვრებო’, – ვუბნები – ‘ვირიშვილო თესლო ნაბიჭვრებო...’ მერე გავჩუმდი, ან რა აზრი ქონდა რა – გუშინდელივით მახსოვდა იგივე ამბავი, იმ ჩემმა ყოფილმა ძმაკაცებმა რო მიყვეს. ასეა ძმებო, ბოლომდე არავის ნდობა არ შეიძლება ქვეყანაზე – ადამიანი, საზოგადოდ, ყველა ერთი ნაგავია, ერთი ქაქიდან მოზელილი.

მერე ატყდა მთელი ბაზარი, მკვდარი გაიტანეს, პატიმრები აღარც სამუშაოზე და აღარც ნასადილევს მუხლის გასაშლელად აღარ გაუყვანიათ, ის კი არა და სადილი საერთოდ არ ჩამოუტარებიათ – იჯექით მანდა და ხმა არ გაიღოთო, ყველაფერზე ამას პასუხობდნენ. რა თქმა უნდა, ხაროთუფროსს სისხამდილასვე მოახსენეს ყველაფერი, იქნებ ლოგინიდანაც კი წამოაგდეს მაგრამ უცნაური ის იყო, არც თვითონ გამოჩენილა და არც მისი ბრძანებით რამე სასჯელი არ დაუდვიათ არავისთვის. ოღონდ რაღაცას კი ელოდნენ ყველანი და სულ მირბიმორბოდნენ, ფაციფუცობდნენ რაღაცას დარაჯებიდან დაწყებული დამლაგებლებით გათავებული. ბოლო-ბოლო საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, ჩვენი კამერის კარი გააღეს და მთელი უფროსობა დაგვეჩითა, თანაც მათ შორის ახლა სულ სხვა პირველობდა – ვიღაც მაღალი, ცისფერთვალება პიჟონი და ღმერთმანი ძმებო, ასე მორგებული შარვალ-კოსტუმი მე მეტი არც მინახავს – ისე ადგა ტანზე, თითქო საკუთარი ტყავიაო. ჩახალსტუხებულ-ჩაპერანგებულიც ხო იყო და სათვალეც ისეთი ეკეთა, მგონი მართლა ოქროსი ქონდა ჩარჩო, თუ არა და ფასი მაინც ნაღდი ოქროსი ექნებოდა. იდგა და სადღაც ჩვენს იქით იყურებოდა, თითქო შუშისაგან ვიყავით ყველანი ნაკეთები და ქადაგებდა: ‘...ესეც თქვენი ნაქები თეორიები დანაშაულისა და სასჯელის თაობაზე – ბოროტმოქმედებს ერთად შეყრით და ერთი პირი სასჯელის მოხდასაც ვერ ასწრებენ, დანაშაულს დანაშაული ემატება!. არა ბატონებო – ასე არაფერი გამოვა, ხაროები ისედაც გადაჭედილია და პოლიტიკურებს რაღა ვუყოთ? ან რომელ სასჯელის მოხდასა და შრომა-გასწორებაზეა ლაპარაკი?! ამათ რა გამოასწორებთ – ერთმანეთსაც არ ინდობენ... რადიკალურ ზომებს უნდა მივმართოთ – ან მკურნალობა გამოასწორებთ, ან სამარე!..’

აი მანდ ვისქესე, ჩემი დროც დადგა-მეთქი და ცისფერთვალას ვეუბნები: ‘ნება მომეცით მოგახსენოთ, სერ – კარგა ხანია ჩემი ნებით ვითხოვ მკურნალობა დამინიშნონ – კაპელანი დამემოწმება რომ სამაგალითო ქცევით...’ მაგრამ სუბორდინაციის ასეთი უმაგალითო დარღვევის მომსწრე ცენტრალური ხაროს უფროსს უეცრად სისხლმა აასხა ტვინში და ერთი ისეთი მიღრიალა, ყურის ბარაბანი გამისკდება-მეთქი, ვიფიქრე. ის შმოტკინა კიდე შეიჭმუხნა მხოლოდ და ეუბნება: ‘აი ხომ ხედავთ, უკვე მოხალისეებიც გამოჩდნენ! ძალიან კარგი, ახალგაზრდაა და თავგამოდებული – მივცეთ შანსი. დამიჯერეთ, ბროდსკის ხელში მკვლელიც კი მშვიდობის მტრედად იქცევა’. თქვა და გატრიალდა. სხვებს რაღა დარჩენოდათ, კვალში მიყვნენ. მე კიდე ცხვირწინ მომიჯახუნეს კარი.

3.

იმავე საღამოს ძაან ნაზად და ზრდილობიანად წამომაგდეს და წამათრიეს უფროსის კაბინეტში. ის კიდე კუშტად მომაშტერდა და საშინლად გადაღლილი პასუხისმგებელი მუშაკის ხმით მეკითხება: 'ისე, აზრზე მაინც თუ ხარ, ამ დილას ვის ელაპარაკე?' მერე პასუხისთვის არც დაუცდია, თავისი გარეკა: 'მინისტრს, ჩემო კარგო – დიიიახ, შიდა საქმეთა ახალ მინისტრს! ახალმა სიომ დაუბერა, მოგეხსენებათ, და ამასაც ახალი იდეები აწუხებს... ასეა თუ ისე, ბრძანება ბრძანებაა და მე არავინ მეკითხება ძველი ცოცხი მირჩევნია თუ ახალი უფრო მომწონს, თუმცა ნაღდად რომ არ მომწონს და ჩემდათავად, სადაც გნებავთ იქ ვიტყვი: თვალი თვალისა წილ – რამდენჯერ უთქვამს ჩვენს კაპელანს და სავსებით ვეთანხმები, სავსებით! თუ ვიღაცა გაგარტყავს, შენც ჩასცხებ – ასე არაა? თორემ მერე უარესს გიზამს... მერედა ვინც სახელმწიფოს უჩაჩქუნებს თავში, იმას რაღატო არ უნდა მოხვდეს? არაო, ახლა ისეთი აზრიაო გვეუბნებიან, ცუდს კარგად უნდა მოვექცეთ, ბოროტს – კეთილადო, სადაური სამართალია, გეკითხები?.'

'აბა რა გითხრათ სერ...' – ვეუბნები, თან ვცდილობ ვუჩვენო რა ზრდილი და წესიერი ვარ და სხვისი ჭირის გამგები, ეს ჩემი ახმახი ნადზორი კიდე შიგ ყურში არ ჩამბღავის: 'ხმა-კრინტი! რაებს ბედავ აქა!!.'

'კარგი, კარგი, შეეშვი.' – ისევ იმ ძაან ძაან გადაღლილი ხმით ამბობს ხაროსთავი – 'შენ კიდე, რა ნომერი ხარ... ჰო, 665321 – ხვალ იმ ვიღაც ბროდსკისთან გამოცხადდები. უნდა გადაგაკეთონ. რაღაც ორ კვირაში პატიოსან კაცად ვაქცევთ და საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გავხდითო. ყოველ შემთხვევაში, ნომრებს აგაძრობენ და გვარ-სახელს დაგიბრუნებენ. გაწყობს?'

ვდგევარ, ხმას არ ვიღებ, და ახლა ამაზე ამიყვირდა ახმახი: 'უპასუხე უფროსს, არ გესმის შენა?!'

'დიახ სერ, დიდზე-დიდი მადლობა, სერ! ვეცდები ნდობა გავამართლო. მადლობელი ვარ ყველასი, სერ!'

'ტყუილად ხარ... ვერაფერი სამადლობელია. აი აქ ხელი უნდა მოაწერო, რომ ნებით თანხმდები ამ ახალი მეთოდით მკურნალობაზე და განთავისუფლების შემთხვევაში არავითარი პრეტენზია არ გექნება. მოაწერ?'

'უეჭველად და უყოყმანოდ, სერ! ხელიც არ ამიკანკალდება'. იმანაც მომაჩეჩა კალმისტარი და კარგად, გარკვევით და ლამაზად ჩავუწიკწიკე საკუთარი სახელი და გვარი.

'ამ დავიდარაბასაც მოვრჩით...' – თქვა უფროსმა და თავი დაუქნია, გაიყვანეთო. ოღონდ ჯერ თურმე ერთიც მქონია მოსალევი: კაპელანს მოსურვებია ჩემთვის გამოსათხოვარი სიტყვის თქმა და ახლა იმასთან წამაპრიწიალეს. ის კიდე იჯდა თავის მაგიდასთან, გაფხორილი, და როგორც ყოველთვის ახლაც ვისკითა და

სიგარის სუნით ყარდა. ახრანას ანიშნა, გარეთ დარჩითო და მერე მე მომიბრუნდა:

‘დაჯექი, დაჯექი შვილო ჩემო 665321! ერთი რამ უნდა გითხრა თავიდანვე: ჩემი ხელი ამაში არ ურევია. აზრი რომ ქონდეს, ხმასაც ავიმაღლებდი ამ უმსგავსობის წინააღმდგ, მაგრამ ახლა უკვე გვიანია – ხმა ჩემი დარჩება ხმად მღაღადებლისა ოფიციალური უსულგულობის კედლის წინაშე... გესმის რას ვამბობ?

ისერა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც დავუქნიე თავი.

‘რთულზე რთული ზნეობრივი საკითხია – ყოვლად წესიერ, ზნეკეთილ ბიჭად უნდათ გაქციონ. სურვილიც კი აღარ გექნება ბოროტება ჩაიდინო, ან თუნდაც ძალადობის რაიმე აქტი. გესმის რას ვამბობ?’

‘მერე მაგას რა ჯობია, სერ!’ – ვეუბნები, არადა გულში მეცინება ძმებო, რასაა რო ბოდიალობს-მეთქი.

‘ჯობია, შვილო ჩემო, ბევრი რამე ჯობია! თავისთავად კარგს ამაში ვერაფრს ვხედავ: ძალად კეთილი გაგხადონ – არ იქნება ეს ადვილი ასატანი საქმე. ადვილი კი არა, გაუსაძლისი იქნება ალბათ და უკვე ვგრძნობ, მრავალი ღამე დამათენდება მაგაზე ფიქრით... განა რა სურს ღმერთს ჩვენგან? ბრმად და იძულებით კეთილნი ვიყოთ თუ შეგნებულად ვარჩიოთ კეთილი ბოროტს? იქნებ ვინც შეგნებულად ირჩევს ბოროტების დაკლაკნილ ბილიკს, რაღაცით მაინც უფრო ახლოა ღმერთთან, ვიდე ის ვისაც სიკეთის სწორ გზას იძულებით გაუყენებენ? მძიმე და მნიშვნელოვანი კითხვებია, შვილო ჩემო #665321! მაგრამ ახლა სხვა მინდა გითხრა: თუკი ოდესმე მოიგონებ აქაურობას და მეც გამიხსენებ, უმდაბლესსა და უმორჩილესს ღვთის ნების აღმსრულებელთა შორის, გემუდარები – გულშიაც ნუ გაივლებ, თითქოსდა რაიმე წვლილი მედოს ამ საქმეში, უბრალო ვარ და მხოლოდღა ღმერთს შევავედრებ შენს ცოდვილ სულს. ერთი ეგაა, მე კი ვილოცებ შენთვის, მაგრამ შენ ახლა იმ ზღვარს გადახვალ, რომლის იქით ლოცვის მადლიც ვერ შეგეწევა... საშინელი განსაცდელია ეს, შვილო ჩემო! თუმცა, მეორის მხრივ, როცა ნებით უარი სთქვი ზნეობრივი არჩევანის უფლებაზე, ამით ხომ თავისთავად კეთილი ირჩიე უნებურად?!. საოცრად რთული საკითხია, რთული და ჩახლართული და მაინც, მრწამს რომ სწორედ ასეა ეს და არა სხვანაირად!‘ – როგორც იქნა, მოხია ფინალი და აზლუქუნდა. სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია მაინცდამაინც, სეკრეტერი ღიად დარჩენოდა და ვისკის ბოთლიც ლამის ძირამდე ჩანდა დაყვანილი. თითქოს მიმიხვდაო, გასაღებით გულმოდგინეთ ჩაკეტა და სლუკუნფსლუკუნით მეუბნება: ‘ან იქნებ სწორედ ასეა საჭირო, ვინ უწყის? შეუცნობ არიან გზანი უფლისანი!..’ და უცებ დადგა და კარგი დაყენებული ხმით შეუბერა რომელიღაც საგალობელი. მაგარი სანახავი იყო, ღმერთმანი. მაგრამ ამ დროს ის ახმახი ნადზორი შემოვიდა და ისევ ჩემს მყრალ საკანში წამაჩანჩალა.

როგორც იქნა, გათენდა ნანატრი დილა და ამ პიტომნიკსაც დავემშვი-

დობე. ისე, ძაან შორსაც არ წავსულვარ: იმავე ტერიტორიაზე, ოღონდ ციხის ბლოკებისაგან მოშორებით ერთი მაღალი თეთრი შენობა იდგა, შუშაბეტონში გადაწყვეტილი, კარგა მაღალი გალავანი ერტყა, ფანჯრებიც ტონირებული ქონდა და ცალკე მისასვლელი, საკუთარი ახრანა და კაციშვილმა არ იცოდა ვინ რას საქმიანობდა შიგ – სწორედ იქ მიმიყვანეს.

უზარმაზარ ჰოლში ნამდვილი საავადმყოფოს სუნი იდგა, ოღონდ ისეთი კი არა, ჩვენი უბნის პოლიკლინიკაში როა, პირიქით – სტერილური სისუფთავის და კონდიცირებული ჰაერის სპეციფიური სუნი. ტანში გამბურძგლა. მერე ვიღაც თეთრხალათიანი მოვიდა, რაღაც დავთარში ჩამწერა და ძაან ალერსიანად გამიღიმა. ჩემი ტლუ ნადზორი კიდე ეუბნება: 'ფრთხილად ამასთან, სერ! ამას არც ციხემ უშველა და არც კაპელანის ბიბლიის კითხვამ...' მაგრამ იმან მარტო გაიღიმა ისევ, მხრები აიჩეჩა, ეს ვირი დაითხოვა და მეორე სართულზე ამიყვანა. თვალებს არ ვუჯერებდი ძმებო – ცალკე ნომერი მომცეს, აბაზანით, ფართო ლოგინით, გატკიცინებული პიჟამათი და მშვენიერი ფუმფულა ხალათით! ის ჩემი ნომრიანი ფლასები კიდე სადღაც გააქრეს. გული არ დამწყვეტია მაინცადამანც. 'არა, ძმაო ალეკს,' – ვეუბნები საკუარ თავს – 'აწი წუწუნი აღარ გავიგო შენი'. მერე კიდე ნამდვილი ყავა მომართვეს და ძველი ჟურნალები – მთლად სანატორიუმში მეგონა თავი.

ცოტა ხანში ვიღაც კიდე ერთი თეთრხალათიანი შემობლაყუნდა, სტეტოსკოპი დააძრო და დოქტორ ბრენომად გამეცნო, ბროდსკის ასისტენტი ვარო, დაუმატა. ვაცალე, სანამ ეს ჩაისუნთქე-ამოისუნთქე და ისუნთქე-არისუნთქო ბაზარი ჩათავდებოდა და მერე ვეკითხები: 'მაინც რას მიპირებთ, სერ – ალბათ რაიმე პროცედურები უნდა ჩამიტაროთ?'

'არაფერი მსგავსი,' – მეუბნება – 'კარგს გაჭმევთ, კარგს გასმევთ და მერე ფილმებსაც განახებთ!' ყურებს არ ვუჯერებდი ძმებო, მაშაყირებს-მეთქი, გავიფიქრე. კინოში მარტოკამ უნდა ვიარო თუ თქვენ წამომყვებით-მეთქი, წავეიაზვე. ამან კიდე ვითომც არაფერი, სრულიად სერიოზულად ამიხსნა – არსადაც არ წახვალ, სპეციალური ფილმებია, აქვე უნდა უყუროო; ოღონდ ყოველი ამის მერე თითო ნემსი უნდა გაგიკეთოთ, მოგიხდებაო. – მახარა იქვე.

'ეს ალბათ რამე ვიტამინები იქნება, ჯანზე მოსასვლელად?' – ჩავდიე ღდინში. 'ჰო, რა თქმა უნდა ვიტამინები, დიახ – ციხის მერე, ხომ იცი, მომაგრება ჭირდება ორგანიზმს.' – თქვა და ამანაც ძაან გულთბილად გამიღიმა. ასე ღრეჭა-ღრეჭით გავიდა გარეთ.

მე კიდე ლოგინზე წამოვგორდი და ჟურნალების ჩითვა დავიწყე. ღმერთმანი, რა გინდოდა სულო და გულო: *გლოუბსპორტი, ფლეიბოი, კინოსამყარო...* მაგრამ მაინც მალე მომბეზრდა, თავქვეშ ხელები ამოვიწყე და წავედი ფიქრებში. არა, აწი თუ არაფერი გამომიხტა, ტუზის დაცემასავით იყო მთელი ეს ამბავი: გავიდოდი აქედან ყოვლად წესიერი ახალგაზრდა, ალბათ სკოლაში სიარულსაც აღარავინ მომთხოვდა – რაღა დროს ჩემი სწავლა იყო, ხოდა გამოვძებნიდი რამე იოლ

სამუშაოს, საღამოს გამოვიძინებდი და ბნელ ღამეში საქმეს მივხედავდი ჩემებურად. ჯერ ერთ კარგ ახალ შაიკას ავკრეფდი – ჭკუით, შერჩევით, და მერე ბნელოს და პიტს ვუტირებდი ყოფას, თუკი ისინიც ციხეში არ ჩააყუდეს ჩემსავით. ოღონდ ფრთხილად კი უნდა ვყოფილიყავი, ძაან ფრთხილად, აბა ყველა ამათ როგორ გავუცრუებდი იმედს – ამდენი უნდა იწვალონ, ტვინები იჭყლიტონ, ფილმებიც მანახონ, იქნებადა დისერტაციებიც კი გააშანშალონ ჩემზე და ბოლო-ბოლო წყალში ხო არ ჩავუყრიდი ამაგს! ასეთ რთულ სამეცნიერო ექსპერიმენტს გამართლება უნდა-მეთქი, გავიფიქრე და ამიტყდა სიცილი. მაგარი შიზოიდები არიან მთელი ეს დოხტურები და მათი კოდლა, ნეტა ჯერ საკუთარი თავებისთვის ემკურნალათ ცოტა. თუმცა რა, კარგად კი ცხოვრობენ და სიფათებიც ბრძნული უჭირავთ და რა უნდათ მეტი. ან მათ ან მე.

ამ დროს თოხლიც შემოიტანეს და პავლოვის რეაქცია დამეწყო ძმებო – კარგა მოზრდილი ნაჭერი ხორცი, ზეთში შემწვარი კარტოფილი ბლომად, რაღაც საწებელი, მშვენიერი ნამცხვარი ჩაროზად და ნაღდი ჩაისფერი ჩაი. ერთი ცალი სიგარეტიც კი იდო საფერფლეში და კოლოფი ასანთი, ოღონდ იმაშიც რატომღაც სულ ერთადერთი ღერი იდო. ყველას თავისი ოფოფები ყავს – ორი რო ყოფილიყო რა, ფარდას წავუკიდებდი ცეცხლს?!. *მეშაქა* – უქრით, ნამდვილად.

მერე ცოტა ჩამთვლიმა ამ განცხრომაში და თვლემა-თვლემაში ვხედავ, ექთანი გოგო შემობაკუნდა, მშვენიერი აცქვეტილი მკერდი ქონდა (ორი წელი იყო, გრძელზე გრძელი წელი, ასეთი არაფერი მენახა), ხელში შპრიცი ეჭირა და ბამბა. აჰა, ვიტამინიც თავისი ფეხით მოვიდა-მეთქი, ვეუბნები მაგრამ წარბი არ შეუხრია, მკლავში თითისსიმსხო ნემსი მჟვლიპა და ქუსლების პაკაპუკით გატანცავდა. ცოტა ხანში ახლა უკვე ჯანიანი სანიტარი შემოვიდა და ინვალიდების ტაჩკა შემოაგორა. აი ეგ კი მართლა გამიკვირდა. 'შეჩემის ესკულაპო,' – ვეუბნები – 'რა ეშმაკად მინდა?! რა, თვთონ ვერ გავივლი თუ ძაან-ძაან შორს მივდივართ და მიფრთხილდებით, ემანდ ნაჭამზე არ შევწუხდე?' მაგრამ ფეხზე რო დავდექი, სამასხარაოდ აღარ მქონდა საქმე, მთვრალივით ვბანცალებდი და თავბრუც კი დამეხვა ცოტა. სანიტარმა ბავშვივით ამიტაცა ხელში და ტაჩკაში ჩამდო. მართალი ყოფილა ის დ-რ ბრენომია თუ ვიღაცა-მეთქი ვიფიქრე, სულ ციხის სალაფავის ბრალია ყველაფერი – ორი წლის მანძილზე პირველად ვითოხლავე ადამიანურად და ახლა ფეხზე ვეღარ ვდგები. არა უშავს, ბლომად ვიტამინები და მისი ჯანი-მეთქი, – თავი დავიწყნარე.

4.

დიდი უცნაური კინო კი მომიწყვს, ღმერთმანი. ჯერ იყო და კბილის ექიმის კაბინეტში რო კრესლოა, რაღაც იმდაგვარში ჩამსვეს, რაღაც ფერადი შნურები და კაბელები მომიჭირეს ხელებზე და საფეთქლებზეც, მაგრამ ყველაზე ბოღმა ის იყო, ზედა ქუთუთოები დამიმაგრეს პაწაწკინტელა შპილკებით და

თვალის დახამხამებაც კი აღარ შემეძლო. რას შვებით-მეთქი, ვეკითხები – რა და ეკრანს თვალი რომ ვერ მოაცილო, იმისთვისაო. ნაღდად შეირეკნენ-მეთქი, ვიფიქრე: ორი წელია კინოში არ ვყოფილვარ და ამ ჩემისებს კიდე იმის შიში აქვთ, ძილი არ გამოვაცხო! არადა ვგრძნობ, მართლა სუსტად ვარ რაღაც და ჩემი ნება იყოს, საღამოს სეანსს ვარჩევდი. ეგ რო ვუთხარი, ერთი გოგოშკა იყო, ლამის გადაფიჩინდა სიცილით. ორი სხვა თეთრხალათიანი კიდე ვხედავ, რაღაც კანდალებს მადებენ ფეხებზე და მაჯებიც ტყავის ქამრებით მიმიბეს აქეთ-იქით სახელურებზე. ეს კი უკვე მთლად სიგიჟედ მეჩვენა მაგრამ ჭკუა მეყო და ხმა აღარ გამიღია. ხალხი ორ კვირაში განთავისუფლებას მპირდება და მართლა გიჟი უნდა ვიყო, შიპიტი ავტეხო-მეთქი, გავიფიქრე. მერე რაღაც შლემი ჩამომაცვეს თავზე და იქიდანაც ოხრად მავთულები გადიოდა; იქვე ორღანივით პულტი იდგა, იმასთან იყო ყველა შეერთებული და ზედ ფერადი კნოპკები ციმციმებდა, ეკრანზე ციფრები იწერებოდა წარამარა, ვიღაც ძაან ძაან სერიოზული აჩკარიკი კიდე მიქშერს აწვალებდა და ახლა ამ ქლიავის სვეტომუზიკაღა მაკლდა-მეთქი, ვიფიქრე. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და დოქტორი ბროდსკი შემოჯლიგინდა მთელი ამალით. აბა, როგორაა საქმეო, – იკითხა და არც არავის პასუხს არ დალოდებია, ისე გაშპა გვერდით კარებში.

მალე სანთელიც ჩააქრეს და რაღაც მაგარი დინამიური მუსიკა წამოვიდა, ოღონდ ვერაფრით ვერ გავიგე დინამიკები სად იდგა, მგონი ორი კი არა, ოხრად იყო, სულ სხვადასხვა ადგილას ჩაშენებული. მერე ეკრანიც განათდა, თურმე მთელი წინა კედელი ერთი დიდი ეკრანი ყოფილა, ოდნავ შეზნექილი და ღმერთმანი, ნაღდი გოლოგრამული ეფექტი იყო, "შერატონშიც" არ მინახავს ეგეთი. ფილმი კი რაღაც უცნაურად დაიწყო – არც ტიტრები და არც არაფერი, პირდაპირ ქუჩა აჩვენეს, ღამე იყო, ოღონდ კარგად განათებული ადგილი და ვიღაც ჯოხიანი მოხუცი მიჩანჩალებდა. უცბად ორი ტიპი დაიჩითა ჯაჭვებით და მოსდეს გემოზე – ერთმა გაჩხინკულ კისერზე და ერთმაც ცალ ფეხში და გაქაჩეს აქეთ-იქით. მაგარი ხოხმა კი იყო იმის ფართხალის ყურება მაგრამ მერე, როცა უშარეს – ძაან მტვრიანი ხარო და ბერტყვა დაუწყეს და სისხლმა რო ამოასხა პირიდან, სულაც აღარ მეცინებოდა, თითქოს მუცელი ამომივიდა ყელში და ვფიქრობდი სირცხვილს ვინ ჩივის, ემანდ ეს მშვენიერი საჭმელი გარეთ არ გადმოვუშვა-მეთქი. ძაან უცნაური იყო ღმერთმანი, მაგრამ მაშინ ესეც წესიერ საკვებს გადაჩვეულ ჩემ კუჭს დავაბრალე. ამასობაში იმ ბერიკაცს ტვინი მიასხმევინეს კედელზე და ფილმიც დამთავრდა. რაღაც მუღამი ვერ ავუღე, თუმცა ოპერატორი კი მართლა გლიჯავდა: ისეთი ფერები იყო, ნაღდი სისხლი და ხორცი გეგონებოდა. მერე ძლივს ცოტა ამოვისუნთქე და ახლა ახალი როლიკი გაუშვეს, თანაც ისევ არც ტიტრები და არც არაფერი – პირდაპირ იმით დაიწყო რომ ვიღაც ბაცნებს ნაშა დაეთრიათ, კედელზე გაეკრათ და რიგრიგობით აჯდებოდნენ ზედ. ის კიდე კიოდა რა თქმა უნდა და მშვენიერი, რაღაც ძაან ძაან ტრაგიკული მუსიკა მოდიოდა შორიდან და ამ დროს კიდე ისე ნაღდში აჩვენებდნენ ყველაფერს, ნებისმიერი პორნოფილმი მიმიქარავს მთელი მისი ჯვრებით. არავითარ ფილმს ეს არა გავს, თითქო მართლა ქუჩაში გადაიღეს ფარული კამერით-მეთქი, გავიფიქრე და ისევ ყელში მომაწვა რაღაც, თითქოს გულისრევა მეწყებოდა, ეკრანზე კიდე მეშვიდე თუ მერვე სერია მიდიოდა უკვე და ის გოგო

საერთოდ აღარ იყო ჭკუაზე. ამ დროს კიდე დოქტორ ბროდსკის ხმა ჩამესმა საიდანღაც: 'რეაქცია თორმეტი ხუთზე? ვნახოთ, ვნახოთ... ჯერჯერობით მაინც არა უშავს'.

ამჯერად სულიც აღარ მომათქმევინეს, პირდაპირ შემდეგი როლიკი გადაება: ვიღაც კაცი გაებაწრათ პარკში სკამზე, მარტო მისი სახე ჩანდა და იქით ხეივანი და ამ ფონზე ბრიტვიანი ხელი სახეზე რო უახლოვდებოდა და ჯერ ცალი თვალი ამოაჭრა და თითქო კამერის ლინზებს შემოესხა მთელი სისხლი და ისეთს ყვიროდა, აღარც მუსიკა ისმოდა და აღარც არაფერი, მერე გაზით აძრობდნენ კბილებს სათითაოდ და ღმერთმანი ხომ ვიცოდი რომ ეს *ნამდვილი* არ იყო, მაგრამ თავს ვერაფერი მოვუხერხე, პირიც გამიშრა და სულ მძმარავდა და ვკანკალებდი. ამ დროს კიდე ისევ იმ ბროდსკის ხმა გავიგონე: 'ძალიან კარგია და მშვენიერი, ამდენს არც ველოდი...' ნეტა რა ჩემ ფეხებს ელოდა-მეთქი, გავიფიქრე, და კიდე ერთი ფილმიც დაიწყო – ახლა ვიღაც მაგარი ბიჭები შევარდნენ სადღაც ბინაზე, იქ ერთი ყრუ-მუნჯი დედაბერი იყო მარტო, ფეხები გადაუმტვრიეს და იქაურობას ცეცხლი წაუკიდეს. ღმერთმანი, მაშინ კი დავეჭვდი, მგონი ნამდვილია-მეთქი: ძვლების ჭახაჭუხიც გავიგონე და მერე ჩანდა როგორ იხრუკებოდა, ფეხზე ადგომა კიდე არ შეეძლო და ხორცის შიშხინის ხმაც მესმოდა და მართლა დამწვრის სუნიც კი მომივიდა თითქოს. აი აქ კი ჩავეშვი და ავყვირდი, ტაშტი ან რამე მომიტანეთ თორემ სულ დავთხვრი აქაურობას-მეთქი! საქმეში ხარ? ის შობელძაღლი ბროდსკი მეძახის – გეჩვენება ნამდვილად, სამაგისო ჯერ არაფერიაო. ეტყობა იმათ წრეში ეგ მაგარ ტონკი იუმორში გადიოდა, ისეთი ჭიხვინი მორთეს.

მერე უცბად პენტატონიკა წამოვდა და ნაღდი ქრონიკის კადრები, თითქო ცოტაზე აჩქარებული – როგორ სჯიდნენ იაპონიაში სამხედრო ტყვეებს: ერთი ლურსმნებით მიაკრეს ბოძზე და შიშველი ფეხის ტერფებს ნელ ცეცხლზე უხრუკავდნენ კარგა ხანს, მეორეს ვიღაც მაღალი ჩინის ოფიცერმა ერთ მოქნევაზე წააცალა ხმლით თავი და იმ გაგორებულ თავს აჩვენებდნენ, თვალებს რო ხუჭავდა და აღებდა და ტუჩებსაც აცმაცუნებდა – თითქო ლაპარაკობდა რაღაცას, მაგრამ სიტყვების მაგივრად სისხლი გადმოსდიოდა, ტანი კიდე იდგა ცოტა ხანი, მერე მიწას დაასკდა და წაჭრილი კისრიდან კიდე ოხრად წამოვიდა სისხლი და ნაწლავებივით გადმოიყარა რაღაცა. ცალკე ეგ იყო სანახავი და ცალკე ეს წყვეტილი რიტმიც ჩაქუჩივით მირტყამდა საფეთქლებში. მერე მართლა სპაზმები დამეწყო, მინდოდა მეყვირა ამხსენით-მეთქი, მაგრამ რაღაც ხავილი ამომდიოდა გადამშრალი ყელიდან, ჰაერიც აღარ მყოფნიდა და ვიღრჩობოდი, ვერც თვალი დამეხამხამებინა და დახუჭვაზე ხო ლაპარაკიც არ იყო და ვერც გონებას ვკარგავდი, და საითაც არ უნდა გამეხედა – ყველგან ეკრანი იყო მთელ კედელზე და თან კიდე ეს მუსიკა მიხვრეტდა ტვინს.

... და ასე, დღე დღეს მისდევდა და უარესი კიდე წინ მედო თურმე, თუმცა ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო თითქოს, მაგრამ ერთხელაც რაღაც ქრონიკას მიჩვენებდნენ ისევ, გატიტვლებულ ხალხს ხვრეტდნენ ყველას განურჩევლად – ქალებს, ბავშვებს, ძვალტყავა ბებრებს – თუმცა იქ ყველა ცარიელი ძვალი და

ტყავი იყო და ბულდოზერით აქუჩებდნენ მერე ერთად და თხრილში ყრიდნენ, მეორე ბულდოზერი კიდე მიწას აყრიდა ზემოდან, თანაც ზოგი მგონი მკვდარი არც იყო ჯერ, მერე ერთი დიდი ორმო აჩვენეს, ძირში ოხრად რაღაც ჭინჭები და ხარახურა ეყარა, კანისტრებით ნავთს თუ ბენზინს ასხამდნენ ზედ, მერე ცეცხლიც წაუკიდეს და მანქანის ძველი საბურავებიც დააყარეს – ხო აზრობთ რა თონეც იქნებოდა და ისევ ვიღაც ხალხს ყრიდნენ შიგ, რამდენიმე ორსული ქალიც იყო, მუცელგაბერილი და ჩანდა როგორ იბერებოდენ კიდე უფრო და როგორ უსკდებოდათ ფაშვი და ნაყოფი გარეთ ვარდებოდა ალმურში. ხმა არ იყო, მარტო მუსიკა იღვრებოდა დინამიკებიდან მაგრამ რა მერე – ისეთი გრძნობა მქონდა თითქო ყველაფერიც მესმოდა – კივილი, შიშხინი, ტკაცანი... თანაც მთავარი სწორედ ეს მუსიკა იყო – გული ყელში ამომივიდა, ენაზე კუჭის წვენს ვგრძნობდი თითქოს და თავიც გასკდომაზე მქონდა და საფეთქლებშიც თითქო ჩაქუჩს მიჩაჩქუნებდნენ მაგრამ რას ვერ ვიცნობდი – დიდებული მეხუთეს ფინალი იყო და აი მაშინ გავხდი მართლა ცუდად, კინაღამ ავიწყვიტე და ვღრიალებდი რო როგორმე იქნებ მართლა არაფერი გამეგონა, დედმამის სულს ვუტრიალებდი ყველას და რო გამითიშეს, უცბად ვერც კი მოვედი გონზე და სიჩუმეში კიდე ჩემი ბღავილი ისმოდა – დამპალო ბრიყვო ნაბიჭვრებო, გრეხია ეგ და პოდლობა და ჯოჯოხეთშიც გიწევთ სუყველას ეგ ცოდვა-მეთქი...

‘რაო?’ – ბროდსკი დამიდგა წინ და გაკვირვებულ მეკითხება – ‘რა ცოდვა-განკითხვებზეა ლაპარაკი?’

მუსიკა-მეთქი, ვეუბნები – მუსიკა გამორთეთ და ისე ვუყურებ რასაც გინდათ და როგორც გინდათ და ღმერთმანი, ძალით არ მიქნია – უცბად არ ამოვანთხიე რაც კი იმ დილით ჩავუშვი კუჭში! წკიპზე გადამირჩა ღმერთმანი, თავის ხალათიან-ფეხსაცმლიანად. სანამ სანიტრები იატაკს მორეცხავდნენ, ცოტა სული მოვითქვი და მესმის, ბროდსკი ეკითხება: ‘...მუსიკამ იმოქმედა – ყველაზე ძლიერი გამაღიზიანებელი ეგ აღმოჩნდა, თუ ატყობთ. მშვენიერი ემოციური გამაღიზიანებელი... რას იტყვით, ბრენომ?’

‘მუსიკის მე არაფერი გამეგება, მაგრამ შეეურჩევთ, არაა ძნელი საქმე. დასჯის კიდევ ერთი ჰუმანური ფორმა... იქნებ ხაროთა მთავარმმართველიც კი დაინტერესდეს. თვითრეკლამისთვის გამოიყენებდა კარგად’.

წყალი მაინც დამალევინეთ-მეთქი, თქვენი ასე და ისე, ვიძახი. ‘ახსენით’, – თქვა ბროდსკიმ – ‘და ჭიქა წყალიც მოუტანეთ, ოღონდ ძალიან ცივიც არა’. ხოდა ჭიქა კი არა, სამი დავლიე და კიდე მეტსაც ჩავუშვებდი ხახაში, მაგრამ მითხრეს გეყოფა, უარესს გიზამსო და დავუჯერე.

‘მისმინე,’ – ბროდსკი მეუბნება – ‘უჭკუო ბიჭი არა ხარ და გრძნობაც გქონია თუ იქნებ გემოვნებაც, რა ვიცი – ოღონდ ეგაა რომ სულ ძალადობისკენ გიბიძგებს რაღაც, და ქურდობაზეც ხომ ჩაგვლეს, თუმცა ეგეც ძალადობის ერთი ფორმაა, კაცმა რომ თქვას...’ ცალი ყურით ვუსმენდი, მეტის თავიც არა მქონდა და დიდად არც მაინტერესებდა მაგის ბოდიალი. ‘ახლა ეს მითხარი,’ – მეუბნება

ისევ – ‘შენი აზრით, რას ვშვებით ჩვენ აქ და შენგან რა გვინდა?’

რას უნდა შვებოდეთ-მეთქი, ვეუბები – რაღაც საზიზღრობებს მაყურებინებთ და გიხარიათ თუ რწყევამდე მიმიყვანთ, ოღონდ იმდენს კი ვხვდები რო ეგ თქვენი ფილმები არაფერ შუაშია და რაღაც ნემსებს მირჭობთ, აქაოდა ვიტამინებიაო და მეც შტერივით თავს გიქნევთ, მაგრამ სხვა რა დამჩენია რა – ცოტას კიდე გავუძლებ როგორმე, ოღონდ კი ეგ მუსიკა გამორთეთ და ყველაფერსაც გავუძლებ, რატო რაც მიყვარს მაინცდამაინც იმაზე გინდათ მარწყევინოთ-მეთქი...

‘ბოლოს ყველა თავის სიყვარულს კლავსო – ერთმა ნაციხარმა პოეტმა თქვა.’ – მეუბნება ბრენომი და რაღაც კარგს ვერაფერს ვატყობ მის ნათქვამს. ისევ რაღაცა გოთვერნობას უტრიალებს ფიქრით. ვატყობ.

ცოტა ხანს ჩუმად იყვნენ, მერე ისევ ბროდსკიმ ამოიღო ხმა:

‘ასოციაციური მეთოდი – სწავლების უძველესი ფორმა... კაცმა რომ თქვას, ასე ყველაფრის ერთმანეთისაგან გამიჯვნაც არ შეიძლება, უტკბესი და ზეშთაგონებულიც კი ძალმომრეობის თუ დამორჩილების აუცილებლობის რაღაც ელემენტსაც შეიცავს: სიყვარულის აქტი, მაგალითად, ან თუნდაც მუსიკა... ვცადოთ’. მე კიდე – არავითარი ცდები აღარაა საჭირო-მეთქი, ავყვირდი – ყველაფერი გასაგებია და იმასაც მივხვდი რა საშინელებაა მთელი ეს ძალადობა და სისხლი და უბედურება. ‘გულ-გვამი მეწვის ბატონებო,’ – ვეუბნები – ‘და მთლიანად განკურნებული ვარ ღმერთმანი, ჩემისთანა წესიერი ბიჭი ახლა მეორე აღარ მეგულება ქვეყანაზე და აღარც კინოში წავალ ჩემს დღეში და ქუჩაში კიდე ცხვირსაც აღარ გავყოფ ღამით – ვიჯდები სახლში და მუსიკას მოვუსმენ ხოლმე, ღმერთმანი აღარაფერი მინდა მეტი!’

არაო, ბროდსკი მეუბნება და თან რაღაც ისე, თითქოსდა ცოტა ნაღვლიანად – ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და მხოლოდ როცა ბოროტების *ყოველვარი* გამოვლინება, თუნდაც რომ ფიქრად გავლებული, წამსვე უარყოფით რეაქციას გამოიწვევს შენს სხეულში და ამისათვის არავითარი ინექციები აღარ იქნება საჭირო, აი მაშინ ჩავთვლი საქმეს მოთავებულადო.

‘მოიცათ,’ – ვეუბნები – ‘მე ხომ უკვე *ვიცი* რომ ეს ცუდია და არასწორი, რომ ყველას აქვს უფლება თავის ნებაზე იცხოვროს და ლუბოი ძალადობა ყველა სულიერის მიმართ სიგიჟეა და საერთოდ, ძალადობა ბოროტებაა თავისთავად და საზოგადოებისათვის მიუღებელი...’

ამაზე კიდე ბრენომს სიცილი აუტყდა და კოლეგა ბროდსკის ეუბნება: ‘ესეც რაციოს ეპოქის ახალი ერესი – მე ვიცი რაც არი კარგი, მაგრამ ვაკეთებ იმას, რაც ცუდია!’ მერე მხარზე მომითათუნა ხელი და დაამატა: ‘არა ჩემო კარგო, არც ესე მარტივადაა საქმე. შენ ოღონდ დამჯერე იყავი, ცოტა კიდე მოითმინე და პირობას გაძლევთ, სულ რაღაც ორიოდ კვირაში თავისუფალი კაცი გახდები’. ბროდსკიმაც თავის კანტურით დაუდასტურა და მომეჩვენა რომ ორივენი რაღაც

ძაან ძაან კმაყოფლები წავიდ-წამოვიდნენ...

მე კიდე ჩემი მემართებოდა – ორი კვირა საუკუნედ მოჩანდა ჩემთვის და ახლა მგონი ციხეში გასატარებელი წლები მერჩივნა ამ ტანჯვის დღეებს. მერე ამას ერთი უბედურებაც დაემატა: სიზმრები დამჩემდა და ოფლში გაწურული ვიღვიძებდი ხოლმე, თან სულ ერთსა და იგივეს ვხედავდი – ვიღაცა გვყავდა დათრეული ჩიხში და ვამუშავებდით გემოზე, მე კიდე ვკამანდრობდი როგორც ყოველთვის და უცბად ისევ გულისრევა მეწყებოდა, სული მიგუბდებოდა პირში – ჩავისუნთქებდი და ამოსუნთქვა კი აღარ შემეძლო, ვიღრჩობოდი, ხმას ვერ ვიღებდი და ოფლში ვიწურებოდი... ერთხელაც გამეღვიძა, გიჟივით წამოვვარდი და კარებს ვეცი, დაკეტილი დამიხვდა რა თქმა უნდა და მგონი სულაც იმ ღამეს შევამჩნიე პირველად, ფანჯარაზეც რკინის გისოსები იყო აკრული და მაშინღა ვიაზრე სწორედ, დათქმულ დრომდე ჩემი საშველი არ იყო და აწი სიზმარიც და ცხადიც ერთი იქნებოდა ჩემთვის.

5.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღესაც ისეთი რამე მითხრეს, ყურებს არ დავუჯერე ძმებო: მორჩა, ხვალიდან თავისუფალი ხარო. მე კიდე ისეთი გრძნობა მქონდა, თითქო დრო გაჩერდა, ეს ორი კვირა აღარც გაივლიდა და ვერც ვერასოდეს გავაღწევდი აქედან.

'ხვალე ხვალს მოსდევს, ჩემო...' – ის თეთრხალათიანი მეუბნება, თოხლი რო დაქონდა ჩემთვის და სატანჯველზე მიმაცილებდა ხოლმე – 'დღეს კი, ასე ვთქვათ, შენი გამოსასვლელი დღე იქნება და ერთი კარგი საჯარო გამოსვლაც მოგიწევს.' – თქვა და რაღაცა ძაან საეჭვოდ გაიღიმჭა.

ჯერ მეგონა ისევ პიჟამაში და ფლოსტებში და ხალათში გამოწყობილს გამიძღვებოდა იმ უბედურ ადგილას, მაგრამ საქმეში ხარ? – ჯერ იყო და გარეცხილ-დაუთოებული საცვლები და გატკიცინებული პერანგი მომართვეს და მერე ის ჩემი სქელცხვირა ბაჩები, თანაც სულ ლაპლაპი გაუდიოდათ მაგრამ ბოლოს ბრიტვაც რო დამიბრუნეს, მაშინ კი მართლა შუბლზე ამივიდა თვალები და რაღაცა გოთვერნობას ხომ არ მიწყობენ-მეთქი, ვკითხე. იმ ჩემისა თეთრხალათიანს კიდე არაფერი უთქვამს, მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

მერე წავედით ისევ კინოს საყურებლად და რას ვხედავ ძმებო – ჩვენი ციხის უფროსი გინდა, მთავარი ნადზორი, ჩვენი ძმა კაპელანი თუ ის შმოტკინა რაღაცაიმსაქმეთა მინისტრი და ოხრად სხვები, თვალით რო არ მენახა მანამდე და ნაღდად არც მომავალში მექნებოდა ამის ნატვრა, მარამ მე ვინ რას მკითხავდა, ცხადია. დ-რი ბროდსკი კიდე სიტყვით მიმართავდა ამ უწარჩინებულეს კოდლას:

‘... და ახლა, სწორედ ამ ბოლო ეტაპზე, ნება მიბოძეთ ბატონებო თავად ცდის ობიექტი წარმოგიდგინოთ – როგორც ხედავთ, მისი ფიზიკური მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია: კარგმა მოვლამ და შესაბამისმა კვებამ, რა თქმა უნდა, თავისი ქნა. ამჯერად მისთვის არც ტრანკვილიზატორები მიგვიცია და მერწმუნეთ, არც ჰიპნოზის ქვეშ არ იმყოფება. რა მისცა მას ციხის კედლებში იძულებითმა ორწლიანმა გამოკეტვამ? არაფერი. ან თითქმის არაფერი. უფრო სწორად, უამრავ ახალ მანკიერებას აზიარა და შეგნებაში დაუფიქსირა მრავალი ძველი. ხოლო რა მოვცა ჩვენ ამ ნებაყოფლობითმა ორკვირიანმა მკურნალობამ? ამ ახალგაზრდას ხვალ სწორედ იმ საზოგადოებას დავუბრუნებთ, რომელსაც ის ვერ ჰგუობდა და რომელმაც მოიკვეთა იგი, დავუბრუნებთ პიროვნებას სავსებით ჯანმრთელს, ოღონდ გარშემო მყოფთათვის – სრულიად უვნებელს! მაშ ასე ბატონებო, ახლა კი მივყვეთ დემონსტრაციის მსვლელობას და ჩვენი მუშაობის შედეგებიც თავად შეაფასეთ!’

ცოტა ხანს აზრზე ვერ მოვედი, მთელი ეს ლაყაფი თუ მე მეხებოდა, მერე კი სინათლე ჩაქრა და თითქო სცენაზე ვიყავი – მარტო პროჟექტორის ერთი შუქი მანათებდა და მეორე კიდე – იქითა კუთხეში ვიღაც მაიმახს. მერე ის ჩემკენ წამოვიდა, სინათლეც გამოყვა და რომ მომიახლოვდა, ორივე უკვე ერთ განათებულ წრეში ვიდექით, ძაან დრამატული მსახიობებივით. ჯერ მიყურა, მიყურა, მერე უცებ წკიპურტი მწეპა ცხვირის წვერში, მერე ყურში წამავლო ხელი და ლამის იყო ამახია, ბოლოს გემრიელი ალიყურიც მომდო და რეაქციას დაელოდა. მაყურებლებს მე ვერ ვხედავდი, თუმცა რა ჩოჩქოლიც ატყდა, კარგად გავიგონე. ცალი ყური მეწვოდა, ლოყა მიხურდა და ცხვირშიც მძმარავდა, მაგრამ ვინ გიჟი ვიყავი, ხელი შემებრუნებინა. ვიდექი და თვალებს ვაფახულებდი.

‘რა გინდა ჩემგან?’ – ვეკითხები – ‘მოგზავნილი ხარ?’

‘კი, ნამდვილად.’ – მეუბნება, მერე თმებში წამავლო ხელი, დამქაჩა და ახლა კისერში წამითაქა ზემოდან. ერთი გავიფიქრე, შანსი მაქ მანამ დავაძრო ჩემი ბრიტვა და დავუსვა სულერთია სად, ვიდრე ის გულისრევის გრძნობა მომაწვება ყელში და სპაზმები დამეწყებ-მეთქი, მაგრამ ძმებო, ის იყო ხელი ჩავიყავი ჯიბეში და თითქოს უკვე მომხდარი დავინახე – ეს ტიპი სახედასერილი და სისხლი და უცებ მე თვითონ სისხლმა ამასხა ტვინში, თითქო ჰაერი აღარ მყოფნიდა, საკუთარ გულს ვღეჭავდი თითქოს და მივხვდი ტემპში თუ არ ვიაზრებდი რამეს, ჩემი დამემართებოდა და გავიგონე საკუთარი ხმა, სისულელეს რო ბუტბუტებდა რაღაცას: ‘გინდა კამფეტი მოგცე? რო არა მაქ...’

მესმის რაღაცა შვებასავით სიცილი ატყდა იქით, ბნელში, მეც თითქო მომეშვა რაღაცნაირად, მარამ ბოლომდე ჯერ მაინც არა და ვცდილობ რამე მოვიფიქრო და ახლა ბრიტვას ვაჩეჩებ ხელში და საწყლად ისე ვეუბნები: ‘აიღე რა, სამახსოვროდ გქონდეს, კარგი რამეა ღმერთმანი’. იმ დამპალს კიდე ისეთი სახე აქ თითქო საკუთარ კაკაშკებს ვთავაზობდე და ახლა სახეში მაფურთხებს, მე კიდე ყელში მომეშვა მაგრამ ახლა მუცელში დამიარა და ოთხად ვიკაკვები და ‘გინდა ფეხსაცმელებს გაგიწმინდავ...’ – ვეუბნები, თან უკვე მუხლებზე ვდგევარ და

აკანკალებული ხელებით ცხვირსახოცს ვიჩხრიკავ ჯიბეებში, სახეზე ოფლი მასხავს მაგრამ მაგას ვინ ჩივის ერთი ეს ოხერი მაპოვნინა მაგრამ ვერ ვპოულობ, სადღაც ჯანდაბაშია და ახლა ცალ ხელს კოჭში ვავლებ და ვცდილობ სახელოთი გავუწმინდო, არადა ისედაც გაპრიალებულია, ბზინავს. აი ამ დროს მივქარე და ახლა ეს ცალი ფეხი რო მიჭირავს, მეორესაც გამოვქჩავ და არც ძალადობა იქნება და არც არაფერი, ისე გამოვა თითქო მუხლებზე მოვეხვიე-მეთქი და წამიც აღარ დამიხანებია, თითქო თავისით მოხდა ყველაფერი – გემოზე დაასკდა იატაკს!

მაგრამ რად გინდა რა – ეს ბრაგვანის ხმა რო გავიგონე და ძირს დავინახე გაშხლართული, ისევ ყველაფერი თავიდან მეწყებოდა ვიგრძენი, წამოვხტი და ხელი გავუწოდე, წამოვაყენე და დავუწყე ტანსაცმლის ფერთხვა.

‘შშვენიერია, სავსებით საკმარისი თქვენგან!’ – მესმის ამ დროს დოქტორ ბროდსკის ამაყი ხმა, სინათლე ინთება და ეს შიგნაკრავიც კიდე გაბადრული სახით თავს უკრავს ყველას და ბალერონივით მიტანცაობს სადღაც ფარდის იქით. სინათლე პირდაპირ სახეში მირტყავს, ვდგევარ პირღია და თითქო ფეხები იატაკზე მქონდეს დაწეპილი, ადგილს ვერ ვინაცვლებ.

‘როგორც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ,’ – ძაან რიხიანად მირახრახებს ბროდსკის ხმა – ‘ბოროტი საქციელი პირიქით უბიძგებს ობიექტს სიკეთისაკენ. საპასუხო ძალადობის თვით სურვილიც კი ორგანიზმში დისკომფორტის ძლიერ იმპულსს იწვევს და მის დასათრგუნად რეციპიენტი იძულებული ხდება საკუთარი მოქმედება სასურველის დიამეტრულად საწინააღმდეგო ქმედებაზე გადართოს. შეკითხვები თუ გაქვთ ვინმეს, გთხოვთ...’

‘ნებსითი არჩევანის უფლება!’ – დაუბუხუნა უცებ ჩარლი კაპელანმა. – ‘რა ზნეობრივი კრიტერიუმი და თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება რჩება ადამისშვილს?! ღვთიური დირექტივის გროტესკული პაროდია – მე ამაში მეტს ვერაფერს ვხედავ!’

‘ეს უკვე თქვენი განსასჯელია,’ – ეღიმებასავით დ-რ ბროდსკის – ‘თეოლოგია და ეთიკური ნიუანსები. ჩვენი მიზანი კრიმინალური ერთეულების უდანაკარგოდ ლიკვიდირება იყო – რაც დაგვავალეს, ის შევასრულეთ...’

‘... და ციხებიც გამოთავისუფლდება გამოუსწორებელი ელემენტებისაგან,’ – სიტყვა დააგდო გამოწკეპილმა მინისტერმა. – ‘შეიძლება ითქვას, ერთი გასროლით ორ კურდღელს...’

‘მოიცათ... მოიცათ!..’

და ისეთი ყაყანი ატყდა ძმებო, ვიღას ვახსოვდი, კაცი არ მაქცევდა ყურადღებას, ლამის იყო იქვე დაეცხოთ ერთმანეთისთვის. მე რაღას მიპირებთ, მორჩა ჩემი ამბავი თუ როგორაა საქმე-მეთქი, ერთი კი დავიძახე, მაგრამ ამაზე ახლა მე შემომიტრიალდა ყველა და ისევ აყაყანდნენ ერთად, კაცი ვერაფერს

გაიგებდა, მე კიდე ჩემსას გავიძახოდი და ბოლოში ისიც მივაყოლე – რა, სულ ასე თქვენს ჭკუაზე უნდა ვიარო, დასაქოქი ფორთოხალივით-მეთქი?!

ახლაც აზრზე არა ვარ ძმებო, ეს სიტყვები საიდან მომადგა მაგრამ თქვენ ისინი გენახათ – უცბად მოსხიპეს და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი და თვალები გადმოცვენაზე გაუხდათ.

მერე წამოდგა ერთი, ღერი თმა არ ქონდა თავზე და ნამდვილი ჩამიჩი იყო, ეგეც კიდე ნაღდი აკადემიკოსი ვინმე იქნებოდა ალბათ და ძაან ბრძნული სახით აკიკინდა – ასე და ისეო, ხმა არ ამოგეღება ყმაწვილოო, თვითონ აირჩიე ეს გზა და ახლა ბოლომდე უნდა ზიდო შენი ჯვარი, ისევ შენთვისვე სასიკეთოდო... ამაზე ისევ ატყდა ერთი ვაიუშველებელი, მერე ვიღაცამ სიტყვა სიყვარული ახსენა და ჩარლი კაპელანიც სულ გადაირია, ხაროთა მთავარმმართებელიცა და ის ჩემის მინისტერიც სულ ფეხებზე დაიკიდა, ბოდავდა რაღაცას *სიყვარული ჭეშმარიტი განაშორებს შიშსო* თუ რაღაც ამდაგვარი. მარტო დოქტორი ბროდსკი იდგა მშვიდად, გაღიმებული და ბოლოს როცა პატარაზე მიწყნარდა ყაყანი, დრო იხელთა, პაწია ძველებური ზარი დააძრო საიდანღაც და დააწკარუნა. თითქო ცივი წყალი გადაასხესო, უცებ მოკეტა ყველამ და თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ, ზოგი საკუთარი თავით ძაან კმაყოფილი და ზოგი კიდე ინდაურივით გაფხორილი.

'ძალიანაც კარგი, ბატონებო – რაკი საკითხის ეს ასპექტიც წამოიწია, ახლავე დაგიმტკიცებთ – სიყვარულის გამოხატვის ის ფორმა, წარსულ საუკუნეებს რომ გვეგონა მიბარებული, ჯერ კიდევ მყარად ზის ადამიანის ფსიქიკის ქვეცნობიერ შრეებში... გთხოვთ!' – კარგი ილუზიონისტივით აიქნია ხელი და სინათლეც ჩაქრა, მარტო სცენა დარჩა განათებული, ზედ კიდე იმისთანა ქალი გამოვიდა ძმებო, ძაან მოშილიფებული, თან ისე მოიწელებოდა, წამში ადრეკილას ბაირამი დამეწყო. ამის თავი მომცა ბნელ მოხვეულში და ისეთ სოპრანოს ავაქაჩინებდი, კატალანი მიმიქარავს-მეთქი, ვიფიქრე. გაფიქრება კი მოვასწარი და ერთი იმანაც გამიელვა თვალწინ, ტანზევე როგორ შემოვახვევდი ამ პენუარივით რაღაცას, კაბის მაგივრად რო შემოეცვა და ავაყუდებდი კედელზე და დამიარა კიდეც და თითქო შიგ კუჭში ჩამავლო ვიღაცამ ხელი და მიჭერდა მიჭერდა და აღარც მეშვებოდა, მერე მუხლებიც მომეკვეთა და კარგად აზრზეც არ ვიყავი, ეტყობა უკვე რეფლექსში გამიჯდა – ჩავიჩოქე და ხელები გავიწოდე მისკენ და მოვრთე ერთი მოთქმა-გოდება და გავიძახოდი თუკი რამე მახსოვდა სულელური ძველი ფილმებიდან – როცა ვინმე ჩაბრიოლინებული მასტი თავის მიბნედილ გოგოს ეფიცებოდა სიყვარულს. ცოტა მომეშვა და რაღაც ნაწყვეტები ახლა სკოლის პროგრამიდან ამომიტივტივდა გონებაში – მახსოვს რას ვღადაობდი ამაზე მაგრამ ახლა რა გამაცინებდა და დაზუთხულივით მივაყარე *ორმოც ათას ძმას ერთად მოგროვილთ ჩემსავით ვერ ეყვარებოდი* და სხვა რაც კი ენაზე მადგებოდა. მგონი კულულის შეჭრაც ვთხოვე სამახსოვროდ და კუბოს ფიცარიც ვახსენე და აი მაშინ ამოვისუნთქე როგორც იქნა...

სინათლე აინთო ისევ და ეს გოგოშკაც სულ ღიმილ-ღიმილით და კნიკსენებით დაითესა სცენიდან. გენახათ ერთი, რა თვალებით მიაცილებდა

მთელი ეს პატიოსანი საზოგადოება – ლამის იყო შეეჭამათ, ბროდსკი კიდე იდგა და ქაქანებდა: ‘ესეც თქვენი ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელიც მზადაა უმალ მეორე ყვრიმალი შეუშვიროს, ვიდრე ხელი შეუბრუნოს ვინმეს, მზადაა თავად ეცვას ჯვარს, ოღონდ ჯალათის როლი აიცილოს და საერთოდ, ჭიანჭველასაც კი არ დაადგამს ფეხს!’

ღმერთმანი ძმებო, სიტყვა ტყუილი არ უთქვამს – უცბად წარმოვიდგინე თითქო მართლა დავაბიჯე ფეხი ჭიანჭველას და კინაღამ გულმუცელი ამომიტრიალდა.

‘მშვენიერია, ‘ – განაცხადა მინისტერმა – ‘ვფიქრობ, დამეთანხმებით’.

‘’ნამდვილად.’ – რატომღაც ამოიოხრასავით ჩარლი კაპელანმა – ‘ღმერთმა მოგცეთ გამარჯვება და მშვიდი ძილი’.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

1.

‘ახლა რას ვშვებით?.’

ეს უკვე ჩემს თავს ვეკითხები ძმებო – ეს წუთია მთავარი ალაყაფიდან გამოვედი, ორი წლის წინანდელი ჩემი ტანსაცმელი მაცვია და ჯიბეშიც ბლომად ხურდა მიჩხრიალებს – ეგ უკვე არ ვიცი, ვისი წყალობაა. ზონის თავკაცებმა თუ დამიადეს ახალი ჯანსაღი წესიერი ცხოვრების დასაწყებად. კარგად კი გამომასავათეს ამ დილით: ათი-თორმეტი კორესპონდენტი ერთად დამეხვია და რაღაც სისულელეებს მეკითხებოდნენ და იყო ერთი ბლიცების ფეთქება და აპარატების ჩხაკაჩხუკი. მერე ვიღაც კანცელარიის შიშკამ თავისი ჭკუით გზა დამილოცა – აქ მოსული აღარ გნახოო და საკუთარ თავს ვეკითხები – ‘ახლა რას ვშვებით?.’

რას ვშვებით და საჭმელად მივდივართ სადმე. დილიდან ლუკმა არ ჩამსვლია პირში – ვის ეცალა ბატონო, ერთი სული მქონდა სანამ საკუთარი თავის უფალს გამხდიდნენ. ჭიქა ჩაი დამიდგეს პრესკონფერენციაზე და ეგ იყო სულ. დღიური სარჩოს ეკონომია. ციხის ბუღალტერიასაც თავისი ანგარიში აქვს.

ეს ჩვენი **Ც.Ხ**. კიდე ერთ მიყრუებულ გარეუბანში იდგა – რის კაფე, რა ბარი, მაგრამ იქვე ახლოში მუშების სასადილო ვიპოვე, რაღაც ორგანიზაციას კი ეკუთვნოდა მაგრამ შესვლა თვისუფალი იყო, მე შენ გეტყვი და თავს მოიკლავდა ხალხი და რიგს დააყენებდა – ისე ქოთდა იქაურობა და ბუფეტი, ჭურჭლის სარეცხი კონვეირი და ისერა გადაწმენდილი მაგიდებიც – სულ ერთ

მოციცქნულ დარბაზში იდგა ყველაფერი. ნაციხარმა კაცმაც კი ცოტა ცხვირი ავიბზუე თავიდან, მაგრამ ასარჩევი მაინც არაფერი მქონდა და უსიტყვოდ დავათოხლავე პირველი, მეორე და რაღაც წყალწყალა კამპოტიც მივაყოლე ზედ.

მერე გაზეთი ვიყიდე კიოსკში, ვნახავ ერთი რა მოხდა ამ ორ წელიწადში ქვეყანაზე, სულ მთლად ყუმი არ გამოუჩნდე-მეთქი. პირველი გვერდი სულ იმაზე ქაქანს ეჭირა, რა კარგი და მზრუნველი მთავრობა გვყავს თურმე, ახალ არჩევნებშიც ყველამ ერთსულოვნად მივცეთ უნდა ხმა და არაფერი შეგვეშალოსო. რა გინდა სულო და გულო, ამ ჩვენს ახლანდელ ხელისუფლებას არ გაეკეთებინოს ბოლო ხანებში, ყველაფერი წვრილად იყო ჩამოთვლილი: ეს საგარეო პოლიტიკაო, ეს ეკონომიკაო, ეს მომსახურების სფერო და ბინების საკითხიო და რავიცი კიდე რა არა. მაგრამ განსაკუთრებით კიდე იმით იწონებდნენ თავს, პოლიციის რიგებიც გავზარდეთ და უფლებებიც მეტი მივეცითო, ახლა ნახეთ რა სიმშვიდე, სიწყნარე და წესრიგი დამყარდეს ღამ-ღამობით ქუჩებშიო. პირველი გვერდი ამით თავდებოდა და მეორეზე ვიღაცის ძაანძაან ნაცნობი სიფათი დაებეჭდათ, ცოტათი გადღაბნილი, მაგრამ რა ცნობა მაგას უნდოდა – იავნად მე ვიყავი ძმებო, ლიჩნად! ქვემოთ კიდე ტექსტი მოდიოდა მსხვილი შრიფტით:

კრიმინალური ინდივიდების გარდაქმნის სახელმწიფო ინსტიტუტის პირველი გამოშვება – ძალმომრეობის ყოველგვარ ინსტინქტს მოკლებული, კანონის მოშიში მოქალაქე!

მერე კი იმაზე იყო ლაყაფი თუ რა კარგი და მშვენიერი და საოცარი მიღწევა გახლდათ ეს ლუდოვიკოს მეთოდი და რა მშვენიერი და შესანიშნავი ამბები გამოდნებოდა მისგან. იქვე შუაში შინაურ საქმეთა მინისტრის ფოტოც იყო და ისიც იმას მიედმოედებოდა თუ რა დიდი პასუხისმგებლობა იკისრა მთავრობამ და რა მშვენიერი, მშვიდი და უკონფლიქტო მომავალი გველის წინ – არავითარი ძალადობა და ბანდიტიზმი არც დღისით და არც ღამით. ერთი სიტყვით, ნამდვილი გაფურჩქვნის ხანა გვეწყებაო.

გაზეთი მოვისროლე და გარეთ გამოვედი, ჰაერზე. ახლა რაღა ვქნათ-მეთქი, ვიკითხე ისევ. რა უნდა მექნა რა – სახლში უნდა წავსულიყავი და ერთი მაგარი სცენა მომეწყო: უძღები შვილი უბრუნდება მშობლიურ კერას. დედა-მამა ცრემლებს აღვარღვარებენ, მე კიდე ცოტას ამოვიოხრებ, მერე ჩავიკეტები ჩემს სოროში, წამოვწვები და პატარა მუსიკას მოვუსმენ, თან წავთვლემ ცოტას და მერე ვიფიქრებ რა ვქნა საერთოდ ცხოვრებაში და როგორ მოვიქცე. ზონის მორიგე ინსპექტორმა მთელი სია გამომატანა, სად და რა სამუშაოზე მიმიღებდნენ გამოსაცდელი ვადით და ისიც მითხრა, შენზე უკვე შეტყობინებაც გავაგზავნეთო; მაგრამ რა საჩქარო ეგ იყო, ჯერ ცოტა მოსვენება არ მაწყენდა, რაც მე ამბავი გადავიტანე და ცოტა მუსიკის მოსმენა დაგლეჯილი ნერვების სამკურნალოდ და საკუთარ ლოგინში შუადღემდე ძილი. ხოდა მეც დავაჯექი ჯერ ავტობუსს ცენტრისკენ, მერე მეორეზე გადავჯექი, იმ გაუთავებელ კონსტიტუციის აღმართზე რო ფეხით არ მევლო და ზედ მოსახვევთან ჩამოვედი, და გინდ დაიჯერეთ გინდ არა ძმებო – გულმა შემიფრთხიალა, ის ჩემი ყლინჯი #18ᵃ რომ დამეყუდა წინ.

ზამთრის სუსხიანი კვირადილა იდგა და კაციშვილი არ შემხვედრია სადარბაზოში, მარტო ანტიკურ სტილში გადაწყვეტილი გაბრექილი მუშა ხალხი ფრესკებზე. ერთი იმან გამაკვირვა, არც ის ბინძური წარწერები აღარ ჩანდა და არც არავითარი გარყვნილი მინახატები. იქაურობა სულ დასუფავებული იყო და ლიფტიც კი მუშაობდა – ისიც დაკრიალებული და აღარც რახრახი გაუდიოდა, ღმერთმანი. მეათე სართულზე ავსრიალდი და სიტყვაზე მენდეთ ძმებო – ხელი მიკანკალებდა, გასაღები რო ამოვიღე და ძლივს მოვახვედრე ჭრილში. მერე საკუთარ თავზე გამეცინა ხმამაღლა, კარი გავაღე და ძველებურად შევბლაყუნდი ბინაში. ოღონდ იქ ყველაფერი ძველებურად აღარ იყო.

დედა-მამა მაგიდას უსხდნენ – ჩაის მიირთმევდნენ, ჩემკენ ზურგით კიდე ვიღაც მოტრეტილი ჯეელი იჯდა, სათვალეებიანი და ერბოკვერცხს ათოხლავებდა. ჩვენებმა რო დამინახეს, დედოს ლამის იყო ჭიქა გაუვარდა ხელიდან, მამაჩემს კიდე ყბა მოექცა გვერდზე. ეს ვიღაცა მომიტრიალდა და გაკვირვებული მეკითხება, ცოტა ნაწყენიც კია, მგონი: 'შენ რა, ყველგან ასე შედიხარ, დაუკითხავად? თუ კარი დაგხვდა ღია და წარწერაც ეკიდა ზედ – შემობრძანდითო?' ირონისტი. მაგრამ ახლა მაგისი დარდი არა მქონდა, ჩვენებს შევყურებდი და ნელა-ნელა აზრზე მოვედი რო იმდილანდელი გაზეთები არც მიეღოთ ჯერ და ბაიბურში არ იყვნენ რა ხდებოდა მათ თავს.

პირველმა დედომ ამოიღო ხმა და რა გგონიათ – მეცა და გადამეხვია? არ დაიჯეროთ – ერთი ვაივუი მორთო, ასე და ისეო, ეს რა ქენიო, ეს რა ჩაიდინეო, გაივსება ახლა აქაურობა პოლიციელებით და ჩვენც კიდე თავი მოგვეჭრება და შენც გამოქცევაზე წლებს დაგიმატებენო... ბოლოს მთელი ეს ტირადა ფშლუკუნითა და ცრემლების ღვრით დაამთავრა. ვეუბნები რაც მოხდა – გინდათ ცენტრალურში დარეკეთ და გინდათ კიოსკიდან გაზეთებს ამოგიტანთ, იქ ყველაფერი წერია-მეთქი ვეუბნები – გისმენს ვინმე? ფშლუკუნებს თავისთვის. მამაჩემი ხო მთლად გაითიშა – ზის ქანდაკებასავით. ახლა იმ შუშაბანდებიანს ვეკითხები: 'იქნებადა შენ მაინც ამოიღო ხმა, ოღონდ გლუპი შეკითხვების მაგივრად იქნებ ის მითხრა, აქ რას უზიხარ და რისთვის?' მუშაკაცის სიფათი ქონდა, ასე, ორმოცს იქნებოდა მიტანებული, იჯდა და ბუსავით აფახულებდა თვალებს. ქაჯის ერთი იქნებოდა, ნამდვილად.

როგორც იქნა, ოჯახის უფროსი მოვიდა ცოტა გონზე. 'მისმინე შვილო,' – მეუბნება – 'არ იფიქრო შენი ნახვა არ გაგვიხარდა და თუ მართლა ვადამდე გამოგიშვეს, მაგას რა ჯობია, მაგრამ ჩვენთვისაც ხომ უნდა გეცნობებინა ადრევე... გვეგონა ხუთი-ექვსი წელი მაინც კიდე გამყოფებდნენ იქ. ახლა რა ვქნათ?.'

'დაიცა-დაიცა,' – ვეუბნები – 'რისი რა უნდა ვქნათ? და საერთოდ, ეს ჩემისა ვინაა?'

'მდგმურია,' – წამოიკნავლა დედომ – 'ჯონათანი ქვია. ეს ერთი ხანია,

ჩვენთან ცხოვრობს... ღმერთო რა შეგცოდე ამის ფასი!' და *უ-ჰუ-ჰუ-ჰუუ* – გააბა ისევ.

'გასაგებია' – ვამბობ – 'მდგმური. ჯონათანი ქვია. რა ბიჭია რაბიჭია და რაბიჭია ჯონი...' ვითომ ძაან მეღიღინებოდეს. გული რაღაც რეჩხს მიშვება: ეს ბლიყვი თუ ჩვენთან ცხოვრობს, სამზარეულოში ხომ არ დააბინავებდნენ და მაშინ ვაი ჩემი ოთახის ბრალი, კარგ დღეში კი დამხვდება-მეთქი. მაგრამ კარი რო გამოვაღე, საუთარ თვალებს მაინც არ დავუჯერე ძმებო – ჩემი იმ ოთახში აღარაფერი იყო: ჟურნალებიდან ამოჭრილი ვიღაც მაგარი დამრტყმელების და ქერა კრასოტკების ფოტოები კედლებზე და კიდე ვიღაც ფეხბურთელების მთელი გუნდი, ორ მწკრივად, წინ ვეებერთელა თასით. ეს არაფერი, მაგას კიდე ეშველებოდა რამე, თქვენ ისა თქვით – არც ჩემი კვადრაფონი ჩანდა სადმე, არც დისკები და არც ის ჩემი საკეტიანი განჯინა – ვისკის, ტაბლეტკებს და ორ პაწია სტერილურ ნემსს რო ვინახავდი.

სისხლმა ამასხა ტვინში და კაცმა არ იცის ადრე რა ამბავს დავაწევდი ამაზე, მაგრამ ახლა სხვა იყო – სულ პატარა აფსიხება და სპაზმები გამოწერილი მქონდა. შევტრიალდი და უხმოდ მივაჩერდი ჩვენებს.

'რა გვექნა შვილო,' – მამაჩემი მეუბნება – 'წაიღეს ყველაფერი. *კომპენსაცია დაზარალებულთათვისო* – ასე თქვეს'.

'ვინ დაზარალებული... აკი ის ქალი მოკვდაო?..'

'მისი კატები გამოუცხადებიათ მემკვიდრეებად და მოვლა-პატრონობის ხარჯია დასაფარავი. ყველაფერი აღწერეს და გაყიდეს – ფირფიტები, ტანსაცმელი...'

გეუბნებით ძმებო, დანა რო დაგერტყათ წვეთი სისხლი არ გამომივიდოდა ალბათ. "ახლა რა ვქნათ?' – ვეკითხები.

'რა უნა ვქნათ აბა... რამე უნდა მოვიფიქროთ. ჯონათანი კიდე ორი წელი უნდა იყოს აქ, ხელშეკრულებით მუშაობს პატარა სამშენებლო ფირმაში, მუშად. ექვსი თვის ფული წინასწარ გადაგვიხადა. ახლა ქუჩაში ხომ ვერ გავაგდებთ – სანამ სხვა ბინას იშოვის, რა უნდა ქნას. თან ზამთარია...' თან თვალს მარიდებს. გესმით ძმებო, ამას მეუბნება მშობელი მამა, მშობელი დედა კიდე ისევ ისე ფშლუკუნებს, თავისთვის, საერთოდ არც იხედება ჩემკენ. რა გინდა რო ქნა. ღმერთმანი, თავი შემეცოდა. შემეცოდა კი არა, გული მომიკვდა. ვდგევარ გახევებული. სამაგიეროდ, ახლა ამ ჩვენმა მდგმურმა ჯონიმ ამოიდგა უცებ ენა: შენაო, – მეუბნება, – რაც სხვისთვის ავი გიქნია, ახლა ცოტა კიდეც უნდა იტანჯო, რაც საკუთარი მშობლები გიმწარებია, ახლა ცოტა შენც იგემეო... მე კიდეო, – დავარდა ქადაგად, – ამათ შვილივით მიმიღეს და შანსი არ არი, კიდე გამწარებინო ამათი თავიო. ჯონი უძახე შენ და ნახე ერთი რა ამბავშია. ახლა რომ მე ამას-მეთქი, გაფიქრება კი მოვასწარი და დამეწყო შიგნიდან სიგნალები. გამოვტრიალდი და

გამოვვარდი გარეთ, სულს ძლივს ვითქვამდი და ლიფტი არც გამხსენებია, სულ თრიხინთრიხინით ჩავთავე სართულები.

2

ისეთ დღეში ვიყავი ძმებო, თავი აღარ მინდოდა ცოცხალი და არც არაფერზე ფიქრი აღარ მინდოდა, მივალავ*ჯ*ებდი გათოშილი, უაზროდ, ხალხი თვალს მაყოლებდა ბარე ორი წლის წინ მოდიდან გადავარდნილი, იავნად ღამ-ღამობით საგულაო შმოტკებში დაზმანულს რო მხედავდნენ. მერე რაღაც ტრანს-პორტს დავა*ჯ*ექი ცენტრისკენ და ბოლოს იმ ჩემ დისკების დირკას მივადექი – ბებერი არმენის ნახვა მინდოდა, მეთქი რამეს მომასმენინებს და ორ სიტყვასაც მეტყვის რა ხდება ამ დამპალ ქვეყანაზე სადაც მშობლები შვილებს კარში აგდებენ შუა ზამთარში.

გარედან იგივე წარწერა კი ქონდა – **მელოდია**, და თითქო შიგნითაც ბევრი არაფერი შეცვლილა, ოღონდ იქაურობა სავსე იყო ბიჭუშკებით და გოგოშკებით, იტალიური ესტრადის რომელიღაცა მბჟუტავ ვარსკვლავს უსმენდ-ნენ და ერთი დაბიდული ქონდათ გამართული. აღარც ბებერი არმენი ჩანდა სადმე, მის მაგივრად ვიღაც კულულებიანი შიბზიკა იდგა დახლდან, რალშჩიკების კეპკა ეხურა და *დი-ჯეი* ეწერა ჩავარდნილ მკერდზე. იმდენი მაგას რა ვუთხრა. კარგა ხანი ვუცადე, სანამ თვალებმინაბული, ტრანსიდან არ გამოვიდა და იკადრა დაინ-ტერესება – რას ისურვებთო. Stabat Mater თუ გაქვთ-მეთქი, ვეუბნები.

'ეგა ვინაა?'

ნაწარმოებია-მეთქი, ვუხსნი, პერგოლეზია ავტორის გვარი, ისიც იტალ-იელია. უფრო სწორად, იყო – მეთვრამეტე საუკუნეში. შენი ხნისა უკვე მკვდარი იყო-მეთქი, რატომღაც ესეც დავაყოლე.

'აჰა, სიმფონია იქნება. კაბინაში შედი და როგორც კი მოვძებნი, ნაუშ-ნიკებში გავუშვებ'. მერე გავიგონე, ყუთებში რო იქექებოდა და ეუბნებოდა ვიღა-ცას: 'აზრზე მოდი, მასტი თურმე სიმფონიებს უსმენს – როგორია?..'

მაგრა გავღიზიანდი, მაგრამ ამას რაც მოყვებოდა კარგად ვიცოდი უკვე და არაფერი შევიმჩნიე. ძაან ძაან ღიმილიანი სახით გადავხედე მთელ ამ შანტრაპას და კაბინკაში ჩავიკეტე. მალე მუსიკაც ჩაირთო – მარჩელოს კონცერტი დაუდვია მაგ კრეტინს. ეტყობა პირველივე ხელში მოხვედრილი იტალიელი დაეთრია ყუ-თიდან, სადაც შუასაუკუნეების მუსიკა ეწყო. ეს კიდე არაფერი, მაგასაც მოუს-მენდა ჩემსავით გატანჯული დანატრებული კაცი, ოღონდ ის კი აღარ მომსვლია აზრად, რო რაც უფრო გრძნობებში გადავარდნილი იყო მუსიკა, მით უარესი დამემართებოდა: იქ ბოლოს უკვე ყველაფერს მუსიკის ქვეშ მიჩვენებდნენ და ახლა ამ პატარა ნაივნი რამის მოსმენაც ისეთივე დღეში მაგდებდა როგორც ის საზიზღ-რობა, ბეთჰოვენის Mezerere-ს თანხლებით რო მაყურებინეს. გარეთ გამოვვარდი

და არც ამ იხვის ჭუჭულების სიცილზე და არც ბენტერა ვითომ დისკ-ჟოკეის ყვირილზე უკან აღარ მომიხედავს, პირდაპირ "ფაქიზოში" დავგაზე – ახლა ის ერთი რამე თუ მიშველიდა ცოტას.

იქაურობა ჯერ ცარიელი იყო და ძალიანაც უცნაურად გამოიყურებოდა, სულ მთლად წითელი ბოჩოლებით მოხატული. ბარშიც ვიღაცა უცნობი ტიპი იდგა, მაგრამ რძე და რამე, დიდი ჭიქით-მეთქი და ტემპში შემიკეთა, არავითარი ახსნა-განმარტება არ დამჭირვებია. იქვე დავჯექი დივანზე, მაინც კაციშვილი არ იყო გამკითხავი და ნაგიჟარივით ვყლურწავდი, დაგემოვნების თავი ვის ქონდა. ასე საერთოდ გოიმები იქცევიან მარტო და მერე სანანებლად უხდებათ ხოლმე, ოღონდ ახლა არც მაგის დარდი არა მქონდა, ბოლოში დავიყვანე და წარმოდგენაც დაიწყო. ჯერ თვალი გამიშტერდა რაღაც ვერცხლისფერი ქაღალდის ნაგლეჯზე – სიგარეტის კოლოფიდან იქნებოდა მოხეული, იქაურობის დაწმენდაზე წელს არავინ იწყვეტდა ეტყობა, მერე ეს ნახევი გაიზარდა გაიბერა კედლისხელა გახდა და ისე ბრჭყვიალებდა მგონი გუგები ამეწვა მაგრამ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო, ქუთუთოები არ მემორჩილებოდა, ის კიდე გაიზარდა უფრო გაიზარდა, ფაქიზოც ჩანთქა და მერე მთელი ქუჩა და ქალაქიც მიაყოლა ზედ და მერე მთელ სამყაროდ იქცა ძმებო, და თითქო ტალღები გადადიოდნენ ყველაფერზე რაც კი ოდესმე შექმნილა და არსებულა და საკუთარი ხმა მესმოდა თითქოს უსასრულობაში – *დავიწყო დავივიწყო ყოფნა ნათელი თლილი ლილი ლი...* და მერე ეს ვერცხლისფერიც ალივლივდა და დაიშალა ისეთ ფერებად კაცს რო არ უნახავს ჯერ და ვერც ნახავს ბუნებაში და მერე დაბზრიალდა დაბზრიალდა ჯერ ჭრელ ბორბალად იქცა და მერე სულ ერთ თეთრ ფერად, ოღონდ შუაში წერტილი გაჩნდა გაიზარდა გაიზარდა და მერე თავით შევვარდი გვირაბში – მიმაქანებდა სადღაც თითქოს მეტროში ოღონდ აქეთიქიდან ქანდაკებები იდგა თითოთითოდ განათებული და აინთებოდა და ჩაქრებოდა აინთებოდაჩაქრებოდა და ბოლოს შიგ გასასვლელში კიდე ერთი, ოღონდ შუაში და მეთქი ახლა შევასკდები კიდეც და ვიყვირე ააااა და ისევ ნათელში გამოვედი და ახლა ქარი მიბერავდა, სულს ძლივს ვითქვამდი და უცებ წავედი ქვევით სულ ქვევით და მერე თითქოს ნელა ამოვედი ისევ იქ სადაც ვიჯექი ძმებო – დივანზე კუთხეში, ზედ ბარის პირდაპირ, თვალგაშტერებული და ხელში ცარიელი ჭიქა მეჭირა.

ახლა უკვე ნაღდად ვიცოდი რაც მინდოდა: თავის მოკვლა, ოღონდ ეგაა რო აზრზე ვერ მოვდიოდი როგორ მექნა – ჩემი ბრიტვა კი მედო ჯიბეში, მაგრამ მისი დაძრობა და გულისრევა ერთი იქნებოდა, ყელამდე ვერც მივიტანდი, გაფიქრებაზეც კი გამაჟრჟოლა და მერე სსრსტ! – გადახსნილი ხორცი დამიდგა თვალწინ და სისხლის ფანტანი და ყელში მომადგა რაღაც, მუცელშიც გამჭრა და სული ძლივს მოვიბრუნე... 'არა-მეთქი, ძმაო,' – ჩემ თავს ვეუბნები – 'ასე არაფერი გამოვა'. რამე ისეთი უნდა მომეფიქრებინა – არავითარი ძალადობა და ჭრა-სერვა, რამე უემოციო – უსიზმრო ძილივით მშვიდი და გამთიშველი. მერე ვიფიქრე საჯაროში მივალ, ბარემ აქვეა კუთხეში, იქნებ რამე სამედიცინო წიგნში ეწეროს, უსისხლოდ და უმტკივნეულოდ როგორ წავიდე იმქვეყანას. უცებ წარმოვიდგინე რომ უკვე მკვდარი ვარ, დედა-მამას სინდისი არ აძლევთ მოსვენებას, ინკვიზიტორ ბროდსკის და მის შესტიორკა ბრენომს კიდე – საზოგადოებრივი

აზრი, გაზეთები და ტელევიზია; რაღაცაიმსაქმეების მინისტრის ქვეშ საკარძელი ყანყალებს და ხეპრე ჯონიც ღამისგასათევს დაეძებს ენაგადმოგდებული. გლიჯავს, ღმერთმანი.

ისევ გარეთ გამოვედი და საათს შევხედე მოედანზე, ორი სრულდებოდა. ვიდრე მეგონა, იმაზე მეტი მიგულავია გაღმა ნაპირზე. მშვიდობის ჩიხს შევუყევი და იქვე ორ ნაბიჯში საჯარო ბიბლიოთეკის კარს მივადექი. ერთი ძველი, ჩაფეხვილ-ჩაოხრებული შენობა იყო, ცალ მხარეს წასაკითხს იძლეოდნენ, მეორეზე სამკითხველო ქონდათ მოწყობილი. ოღონდ რა მოწყობილი ეგ იყო რო – მონჯღეული მაგიდები და მორყეული სკამები და თითო დამტვერილი ლამფა თითო მაგიდაზე – მთელი მაგათი ავლადიდება. თანაც ისეთი გაჯის სუნი და სიცივე იდგა, წესიერი კაცი ცხვირს არ შეყოფდა შიგ. არადა ოხრად კი იყვნენ – ვიღაც სტარიკები, ვითომც დიდი მწიგნობრები მყავდნენ, პალტოებში და შარფებში ჩაფუთნულები უსხდნენ მაგიდებს და ზოგი ჟურნალ-გაზეთებს ფურცლავდა, ზოგი ზედ გადაშლილ წიგნზე ყვინთავდა და ერთი-ორი მგონი წაიხვრინებდა კიდეც. ჯერ უცბად ვერც გავიხსენე რა ეშმაკები მინდოდა აქ და მერე დამარტყასავით, თავის მშვიდად მოსაკლავ რეცეპტს რო ვეძებდი და საძიებელში დავიწყე ქექვა. სათაურების მიხედვით ბევრი ვერაფერი ვნახე სახეირო, რამდენიმე კი მაინც გამოვიწერე, მაგრამ მთელი ეს სამედიცინო წიგნები ისე იყო დასურათებული და ისეთი ფოტოებით სავსე, ჩემი დამემართა. მერე ერთი სქელტანიანი ბიბლია გადმოვიღე, იმას გამოწერაც არ უნდოდა, იქვე იდო თაროზე და ალალბედზე დავუწყე ფურცვლა – ის დღეები გამახსენდა, რაღაცა შვებას მაინც რო მგვრიდა ციხეში. ოღონდ ახლა სულ სხვა იყო, მაშინ იმ ვიღაცა გოთვერანი ლუდოვიკოს კურსი არ მქონდა გავლილი, ახლა კიდე მეტი ვერაფერი ვნახე შიგ, ურიების ერთი ჯგრო მეორეს ურახუნებდა თავში და იდგა ერთი ვაიუშველებელი, ხოცვა-ჟლეტა, ჭრა-ჩეხვა და მოსწყვედნა ყრმათა...

აი ეს რაღას ნიშნავდა მთლად კარგად ვერ გავიგე, მაგრამ უკვე ისედაც მწიფედ ვიყავი და ეტყობა რაღაცა ხმები ამოვუშვი, რადგან ერთმა ბეხრეკმა მომიტრიალა თავისი ქიცინა წვერი და რაღაც ისე, სიაფანდზე მეკითხება – ცუდად ხომ არა ხარ შვილოო. ვარ-მეთქი, შევუღრინე, ძაანაც ცუდად ვარ და საერთოდაც მინდა შევეშვა ამ ცხოვრებას, ოღონდ მოკლე გზა ვერ მიპოვნია-მეთქი. იქით ახლა კიდე მეორემ წამოყო თავი და სსსუ-ო, გაგვაჩუმა თავისი ჭკუით და მე რო სრულ ჭკუაზე ვყოფილიყავი უკვე მაშინ უნდა ჩამოერეკა ხსოვნის ზარს, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია და ჩემსას მივერეკებოდი: 'ახლა არ მითხრათ ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი წინა გაქვსო, თორემ მართლა გავაფრენ – მართლა მართლა მართლა!' და აი ამაზე ისევ დაგვისუსუნა იმ ბებრუხანამ, მაგრამ ახლა უკვე სიჩუმეს კი აღარ ითხოვდა, დორბლს ყრიდა ჩამტვრეული კბილებიდან, ხელგამოწვდილი იქაჩებოდა ჩემკენ და რაღაცის თქმა უნდოდა, ოღონდ ერთბაშად სული ვერ მოებრუნებინა და სისინებდა გაანჩხლებული ბატივით.

კი, ის იყო ღმერთმანი – პრაფესორა, ამ ორი წლის წინ მე და ჩემმა ყოფილმა ბრატკებმა რო ვეჟეჟეთ აქვე, მოსახვევში. ახლა მაინც უნდა მყოფნოდა

ჭკუა და სწრაფად და უხმაუროდ ავთესილიყავი იქიდან, მაგრამ დავაგვიანე – ყველა ჩვენ მოგვჩერებოდა და პრაფესორამაც ბოლოსდაბოლოს ამოიღო ხმა: 'დაიჭირეთ ეგ არაკაცი! არ გაუშვათ! ეგ იყო, ეგ ცხოველი ეგა და მაგის ძმაბიჭები – კრისტალოგრაფიის უნიკალური გამოცემები დაფხრიწეს, ცემით მიმასიკვდილეს მოხუცი და ზამთრის ღამით ქუჩაში დამაგდეს შიშველი!!!' – არადა, მთლად ეგრეც ხო არ იყო ძმებო, მთლად ტიტლიკანა ხო არ დაგვიტოვებია – ის ფოხანა ნიფხავ-პერანგი ხო შევურჩინეთ, ეს კიდე დგას აქ და რაებს იხსენებს – ნარჩენი კბილებიც ჩამიმტვრიაო, სისხლის ჩაქცევა მქონდაო, კეთილმა ადამიანებმა გადამარჩინეს შემთხვევითო... მერე ღვთისგმობაზეც გადავიდა – ღმერთი მაინც როგორ ითმენს ამისთანების არსებობასო და ბოლოს იმაზე აგულიანებდა ამ მუმიებს, ცოცხალი არ გავუშვათ აქედანო! მგონი მართლა ჭკუას იყო გადასული, მაგრამ სხვებს რა, ნაკლებად უქროდათ?! წამში აუბეს მხარი და ერთმა, რაღაცით ყოფილ სამხედროს გავდა, ჩამავლო ხელი და შიგ ყურში ჩამჩხავის – შენისთანები ქიმიკატებით უნდა მოსპოს კაცმა, მღრნელებივითო.

'შემეშვი ბიძაჩემო', – ვეუბნები, – 'ჩემი მეყოფა. ეგ ამბავი ორი წლის წინათ იყო და კარგადაც დავისაჯე მაგისთვის. ჭკუაც მასწავლეს. მართალი თუ გინდა, მეტისმეტად კარგად მასწავლეს. დღევანდელი გაზეთები ნახეთ – იქა წერია ყველაფერი'. პრაფესორა კიდე თავისას გაყვიროდა – შური ვიძიოთ, სამაგიერო გადავუხადოთ, კბილი კბილის წოლო... სულ დაუფსტვინა, მე თქვენ გეუბნებით! არადა სხვებიც აიყოლია და ისეთ დღეში იყვნენ თითქო მართლა გუშინდელზე იყრიდენ ჯავრს და მაგათთვის მგონი, მართლა ერთი იყო გუშინდელი და წლებისწინანდელი. მერე მთელი ეს ხროვა ერთად გამექაჩა, გაძვალტყავებული ხელები ჩამავლეს და ვინ თმებს მგლეჯდა და ვინ ყურის ახევას ცდილობდა და სხვა კიდე ცხვირპირში მირტყამდა სუსტად, ბებრულად და წიხლებსაც მიშენდენ თავის ჭკუაში, ცდილობდნენ ძირს დავეგდეთ და ფეხებით შემდგომოდნენ და ღმერთმანი მალე თავისას გაიტანდნენ – გაძალიანებას მე ვერ ვბედავდი იმ ნამდვილი ტკივილის შიშით და მერჩივნა ჩემთვის ერტყათ ვიდრე თუნდაც ხელი მეკრა ვინმესთვის, მაგრამ თვითონ მე ხომ მირტყავდნენ და მფხოჭნიდნენ და ტუჩიც გამიხეთქეს, ცხვირიდანაც წამომივიდა ეტყობა სისხლი და იგივე არ იყო – უკვე გულიც მერეოდა, მუცელშიც დამიარა და უპაერობით ვიღრჩობოდი თითქოს.

სწორედ ამ დროს შემოყო თავი ბიბლიოთეკარმა და ისიც ცალკე აყვირდა – ახლავე პოლიციას გამოვიძახებო. ღმერთმანი ძმებო, ასეთი რამე თვითონ როგორ მომივიდოდა თავში და ახლა თითქო ხავსს ჩავებღაუჭე და გამწარებული ვუძახი: ცოტა ტემპში ბრიყვო, თორე გვიან იქნება-მეთქი. ეს იმიტო რო არც გაშველება უცდია და არც ფეხს უჩქარებდა მაინცდამაინც. მერე ერთი მართლა კარგი მომხვდა ყბაში, ნაღდში იმ სალდათი სტარიკანის მოქნეული იქნებოდა, თან კიდე ვიღაცას თუ რაღაცას წამოვედე და უკვე საშველი აღარ იყო – ცოტაც კიდე და გადამივლიდნენ ზედ და ერთი პირი გაბრძოლებაც ვცადე ოდნავ, ძაან სლაბად და სწორედ ამ დროს გავიგონე ეს მხიარული, რაღაც ნაცნობი ხმა: 'კარგით ხო, გეყოფათ ახლა... გეყოთ-მეთქი!' – და ჩემმა პოლიციამ სულზე მომისწრო

ჩემ დასაცავად.

3.

ისეთი დაშლილი ვიყავი ძმებო, კარგად ვერც ვიხედებოდი თვალებში მაგრამ აკი გითხარით ხმა მეცნო-მეთქი და მართალიც ვყოფილვარ – ჯერ ერთი პატარა ქოთი მისცეს იმ ბებრებს და მერე, გარეთ რო გამიყვანეს დღის შუქზე, ვხედავ მარა რას ვხედავ – ჩემი ყოფილი ძმა და მეგობარი, ჩემი ჩამშვები ბრატკა ბნელო და ის სქელო ბილიბოი – ჩვენი საერთო მტერი და მოსისხლე!..

'არა,' – ვბურტყუნებ ჩემთვის – 'ვარიანტი არაა...'

ისინი კიდე დგანან და იკრიჭებიან ფორმებში დაზმანულები და ბნელო ისევ ისე ხვიხვინებს ძველებურად, მართლა ცხენივით: 'ჰუუ-ჰუჰუ-ჰუუ! ამას ვისა ვხედავ – ჩვენი ძალიან ძველი ბიჭი! უკვე მოიციხავე, ალეკს?'

არა-მეთქი გუნებაში გავიძახი, არ არსებობს, შანსი არაა – ნაღდად გავითიშე და მეჩვენება ყველაფერი...

'რაო ჩვენი ძმა – გიკვირს?' – ბილიბოი მეკითხება – 'დრო გარბის, უკვე ვზროსლები ვართ და ხალხის სამსახურში ვდგევართ, ეგრეა'.

პიტი სადღაა-მეთქი, ბნელოს ვეუბნები, ჯორჯი-ბიჭის ამბავი კი მომიტანეს, მაგრამ პიტის არაფერი ვიცი-მეთქი.

"პიტი' – ბნელო ამბობს – 'ჰო, სახელი რაღაც მეცნობა. იყო ერთი ეგეთი. სულ დაგვეკარგა'.

ბილიბოი კიდე სახელოთი ზეთს იწმენდს სახიდან, ბნელოს თავს უქნევს და თითქო მე სულაც იქ არ ვიყო, ისე ეუბნება: 'ეხლა ამის განყოფილებაში მიყვანის და მერე ჩვენების წერის თავი გაქ? იასნია, ეს თავის ძველ ამბებს არ მოიშლიდა – ხო ნახე, რა უპატივცემულოდ ექცეოდა საბრალო მოხუც ხალხს, თანაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას... ვუთხრათ რო ჩვენს მისვლამდე დაითესა. ბიბლიოთეკარს გავაფრთხილებთ, ჩვენ კიდე ჩვენ-ჩვენი პატარა ანგარიშები გავასწოროთ'.

ვიდექი და ყურებს არ ვუჯერებდი, ძმებო! მეთქი აზრზე თუა რას მიედმოედება – ანარადა არც ამას უნახავს დღევანდელი გაზეთები. 'ჭკუაზე ხარ, ბილიბოი?' – ვეკითხები – 'რა ანგარიშებს მისწორებ? დამთავრდა ჩემი ბრიტვების ტრიალი – არაფერი გაგიგია?' თან სულ ისეთი გრძნობა მაქ თითქო ეს ყველაფერი რაღაც ბრიყვული ხუმრობაა და ბნელო მაინც მოიძრობს ამ თავის კოკარდიან ქუდს და აჭიხვინდება ისევ ცხენივით.

‘კი, გვითხრეს.’ – ბნელო მეუბნება – ‘სწორედ დღეს წაგვიკითხეს, დილის სბორზე. შეფმა თქვა, ძაან კარგი და მშვენიერი ამბავიაო’.

‘აჰა, კიდე კარგი.’ – ვეუბნები ცოტა იაზვურად – ‘თვითონ აქამდე ვერ ისწავლე კითხვა, ბნელო?’

‘ბნელები კამერაში მოიკითხე,’ – მეუბნება – ‘ჩვენ კიდე წესრიგს ვიცავთ და არაფერი საჭირო არაა ყველა ხედავდეს სად და როგორ’.

‘სწორეა,’ – ისევ თავს უქნევს ბილიბოი – ‘ქუჩებში სიმშვიდე უნდა იყოსო – ასე თქვა შეფმა’.

მერე უცებ კარგად მომდო მუცელში, ბნელომ კიდე ის თავისი ზოლებიანი ჯოხი ჩამაფარა კეფის ძირში და მთლად მომჩვარული, მანქანაში შემაგდეს. აზრზე რო მოვედი უკვე სადღაც გარეუბანში ვგაზავდით სირენაჩართულები.

‘ჩემი მტერი მოხვდა თქვენს ხელში’, – ვბურტყუნებ ჩემთვის. ‘ეგერე იყოს,’ – მპასუხობს ბილიბოი – ‘მაგრამ ჯერ გავსწორდეთ’.

ბოლო-ბოლო სადღაც ხრიოკში გავჩერდით. ორივემ ის პაგონებიანი ფორმები წყნარად გაიძრეს, სახელოები დაიკაპიწეს და მაგრა მომდგნენ, საქმიანად, ბრაზის და ცოფის გარეშე. მეთოდურად მუშაობდნენ, რიგრიგობით. არც ვიცი რამდენი ხანი მიბაგუნებდნენ და ბოლოს უკვე აზრზე აღარც ვიყავი რა ხდებოდა და ტკივილსაც ვეღარ ვგრძნობდი: სისხლი რო დავინახე, ისეთი კრუნჩხვები დამეწყო, სხვა შეგრძნებები გამითიშა... მერე, როგორც იქნა, მორჩენ მუშაკობას, პაგონები და კოკარდები ჩამოიფხატეს, მგონი ორი თბილი სიტყვაც კიდე დამიგდეს და აითესნენ.

გონზე რო მოვედი, წვიმა ცრიდა, ძვალ-რბილი გაერთიანებული მქონდა მეგონა, მთელ ტანში მტეხდა და მაჟრიალებდა. ძლივს ავითრიე წელი და წავლასლასდი, ოღონდ საით – თვითონაც არ ვიყავი აზრზე.

4.

ღმერთმანი ძმებო, ახლა ერთი მყუდრო პალატა მომნათლავდა სადმე მიგდებულ ჰოსპიტალში, მომვლელი მჭირდებოდა და მოსვენება, მე კიდე მივტყლაპუნობ წვიმაში, ნისლში, სადღაც უკაცრიელ ადგილას და ყველა ღმერთსა და ეშმაკს ერთად ვლანძღავ და ჩემ ბედს ვწყევლი, მერე უკვე ჭკუასაც ვკარგავდი ალალად და დროის შეგრძნებასაც, როცა რაღაც დასახლებას მივადექი – სულ ერთნაირი კოტეჯები იდგა და ყვირილის თავიც აღარ მქონდა საშველად რომ დამეძახა ვინმესთვის, და ამ დროს ერთ ჭიშკარზე ვხედავ აწერია – **სამყუდრო**.

ღმერთმანი ან ღვთის ხელი ურევია ან ბედის დაცინვაა-მეთქი, მაგრამ რა მაგის გარკვევის თავი მქონდა, მივადექი და ვაბრახუნებ რაც ძალა დამრჩა.

კარი გაიღო და ვიღაც კაცი გამოჩნდა სინათლეზე – 'რა ამბავია?' – კითხულობს და ვხედავ მის ზურგს უკან, ოთახში ბუხარი ანთია და თითქო კარგად გამომშრალი ხის ტკაცუნიც კი მესმის. 'ღვთის გულისათვის,' – ვეუბნები – 'მიშველეთ რამე, პოლიციელებმა მიმასიკვდილეს და სადღაც გზის პირას დამაგდეს უგონოდ. იქნებ გათუნებამდე შემიფაროთ, ან სანამ წვიმა მაინც გადაიღებდეს...'

'შემოდი, შემოდი,' – მეუბნება – 'ამ უკანონო ქვეყანაში ერთმანეთს თუ დავეხმარებით, თორემ სხვა რისი იმედი უნდა გქონდეს ადამიანს'.

წინკარი თითქო თავისით გაიღო და მეც კიბეებზე ავბანცალდი. არაფერი მსახიობობა არ დამჭირვებია – ისეთ დღეში ვიყავი, ფეხს ძლივს ვადგამდი, შემოფხრეწილი ტანსაცმელი რაღაც ძონძებად მეკიდა, ორი კბილი ჩამტვრეული მქონდა, ტუჩები ზევითაც და ქვევითაც და კიდე ცალი წარბიც გახეთქილი, მარცხენა ყურზე ცეცხლი მეკიდა და ცხვირიც ისე გამისივდა, ვერ ვსუნთქავდი. ამ ღვთისნიერმაც ხელი შემაშველა და შიგ შემიყვანა – დიდ, თბილ და ნათელ ოთახში.

და სწორედ მაშინ იყო ძმებო, რო გამცეცხლა და აზრზე მოვედი სად ვიყავი და ვისთან მომახვედრა ჩემმა უკუღმართმა ბედმა. ის მაზალო წარწერაც – **სამყუდრო** – რეკლამის აბრასავით გამინათდა თავში და მთლად გამოთაყვანეული მივაჩერდი სახლის პატრონს. კი, ის იყო ნამდვილად – ოღონდ რაღაცა მოტეხილი თითქოს, დაბერებული და კოჭლობდასავით. თვითონ ვერ მიცნობდა რა თქმა უნდა, შანსი არ იყო – მაშინ მე და ჩემ ბრატკებს სუყველას ნიღბები გვეკეთა და ლამის საკარნავალოდ ვიყავით დაზმანულები, ახლა კი ასე ნაცემ-ნაბეგვს და გასაწყლებულს იმ ძველი ალეკსის რა მიგავდა – სველ მიწაზე ნაგდები და წვიმაში ნაბოდიალები საკუთარ ხმასაც ვეღარ ვცნობდი, ჩამეხრინწა და წინა ორი ჩატეხილი კბილის წყალობით გემოზეც ვჩლიფინებდი.

ის კიდე ძან ძაან თანაგრძნობით შემომცქერის და რაღაც ისე, ნაღვლიანად მეუბნება: 'აგერ დაჯექი, ცეცხლთან. თაფლიან არაყს დაგალევინებ და ამასობაში წყალიც გაცხელდება'.

'პოლოციელები', – ვბურტყუნებ ჩემთვის – 'ჩათლახები...'

'ასეა,' – მეუბნება – 'პოლიციური რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი. არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი იქნები. ესაა მაგათი დამყარებული წესრიგი'. მერე გატრიალდა და საშხარეულოში გავიდა, მარცხენა ფეხს მიითრევდა ცოტათი.

ოთახი მოვათვალიერე. ქალის ხელი არ ეტყობოდა – ორადორი გაქექილი სავარძელი იდგა სულ, დამტვერილი წიგნებით იყო სავსე და პატარა მაგიდაზე საბეჭდი მანქანა იდო, გვერდზე კიდე დასტა ფურცლები. გამახსენდა, ეს კაცი

მგონი მწერალი იყო. ***მექანიკური ფორთოხალი.*** უცნაურია, ასე რო ჩამჩა გონებაში. ოღონდ ახლა არა ღირდა იმ ამბების გახსენება – ახლა სითბო და გაგება მჭირდებოდა და იმ გოთვერნებმაც ლუდოვიკოს ცენტრში ისე მომიწყვეს საქმე, აწი ასეთ დღეში ვიქნებოდი სულ და სხვისთვისაც იგივეს მოვინდომებდი – თუკი ჩემგან საერთოდ მიიღებდა ამას ვინმე.

'ჰო, ასეა.' – მწერალი მობრუნდა, ჭიქას მაწვდის და სველი პირსახოცით მიწმინდავს სახეს – ფრთხილად, ძაან ნაზად, – 'აბაზანა გაგივსე, მერე ვივახშმოთ და დალაგებით მომიყევი ყველაფერი. ღამით ჩემთან დარჩები'. ღმერთმანი ძმებო, რაღაცამ წამიჭირა ყელში და თვალებშიც წყალი ჩამიდგა ეტყობა, რადგან უცებ ძაან ოტეჩესკი დაიჭირა, მხარზე მომითათუნა ხელი და 'კარგი ახლა, გეყოფა – ეგ რა ვაჟკაცის საქმეაო' – მეუბნება.

ბოლო-ბოლო ავედი ზევით, კაფელის აბაზანაში ჩავწექი, მერე მშვენიერი ფლანელის პიჟამა, შავ-თეთრი გრძელი ხალათი და ღუნღულა ფლოსტები ჩამოვიცვი – ყველაფერი იქვე იყო ჩამოლაგებული სკამზე და ღმერთმანი ძმებო, სიკვდილის პირას მიყვანილმა კაცმა ცოტა თვალებში გამოვიხედე, რაღაც ხალისიც დამიბრუნდა თითქოს და დაფეხვილ-დათეთქვილს ტკივილზე უფრო ახლა შიმშილი მახსენებდა თავს. ქვევით რო ჩავედი ისევ, მწერალს უკვე მოეთავებინა სამზარეულოში ფაცი-ფუცი და სუფრაც საუფროსო გაეწყო: ფუმფულა თეთრი პური, ნაღდი შვეიცარიული ყველი, ერბოკვერცხში მოტაფული ძეხვი ზედ მოსხმული რაღაც ცხარე წითელი საწებლით, მაყვლის ჯემი და თიხის დიდი ჭიქა ცხელი რძიანი ჩაი. ისე მივაძეხი, მიპატიჟებას არც დავლოდებივარ, ხუთ წუთში გამოვიბუსკნე და მერეღა ამოვღერღე ცოტა დარცხვენილმა – არც ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა-მეთქი.

'ეგ არაფერი,' – მეუბნება, – 'ჩემთან რომ მოხვედი, ამაშიც ალბათ განგების ხელი ურევია. უკვე მივხვდი ვინცა ხარ: შენი სურათია გაზეთში და რა უბედურებაც მოგწიეს, მგონი იმასაც გამადლიან. ჯერ ციხეში გალპობდნენ, მერე რეზისტენციის ყოველგვარი უნარი წაგართვეს და ახლა ქუჩის პოლიციას მიუგდეს შენი თავი. ასე აპირებენ ეგენი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას?! კარგი საზოგადოება კია, ამგვარი მეთოდებით თუ იცავს თავს! მაგრამ ღვთის ნებაა-მეთქი ყველაფერი – შენ ის მითხარი, ჩემ შესახებ თუ გსმენია რამე?'

'ეეე... როგორ გითხრათ,' – ვფრთხილობ, ძაან ძაან ვფრთხილობ – 'ერთხელ ყური მოვკარი, *მექანიკურ ფორთოხალზე* ლაპარკობდნენ... გულზე მომხვდა რაღაცეები, ოღონდ მე თვითონ არ წამიკითხავს, აბა საიდან...'

'ოჰო,' – მეუბნება, თან სახე ლამის გაუნათდეს – 'ეგეც კარგია. ახლა შენი ამბავი მომიყევი და ისიც მინდა ვიცოდე, ციხემდე რამ მიგიყვანა. ნუ გეშინია, გულახდილად მიამბე ყველაფერი, მე რა შენი გამკითხავი ვარ'.

კარგად ვერც ჩავხვდი რისი თქმა უნდოდა მაგით – თუ გამკითხავი არაა, რაღას მეკითხება-მეთქი, მაგრამ ამ ტიპის ხალხს ხომ ბოლომდე ვერაფერს

გაუგებ, რაღაც თავისი ენა აქვთ და სიტყვებსაც თავის ჭკუაზე ატრიალებენ.

ბევრი არც არაფერი მაქ სათქმელი-მეთქი, ვეუბნები, – 'სულ უბრალო ამბავია: ბიჭებმა ამაგდეს და რაღაც სულელურ სანაძლეოზე სხვის სახლში შევიპარე, ვითომ გავბედავდი თუ არა – მართლა რამეს მოპარვა არც მიცდია. ხოდა ერთი მარტოხელა მოხუცი ქალი ცხოვრობდა თურმე შიგ. სიბნელეში დამლანდა და გული წაუვიდა; მერეღა გავიგე, დაცემისას მაგიდის კიდეზე ჩამოურტყამს თავი და კაცმა არ იცის, დარტყმისაგან გარდაიცვალა თუ შიშისაგან. მე კიდე გაქცევის მაგივრად მის მოსულიერებას ვცდილობდი და პოლიციასაც ჩემი ხელით გავუღე კარი. იმათ კიდე საქმეში გამიყვანეს – აქაოდა, დიდი მკვლელი და ოხერი ვინმე ბანდიტი გავქაჩეთო. სასამართლოშიც სიტყვა არ მათქმევინეს თავის დასაცავად...'

მათგან არც მიკვირსო, – თავს მიქნევს და მეც ჩემსას მივერეკები: 'მერე შიდა საქმეთა მინისტრმა ციხეში ჩამოვლაზე მაინცდამაინც მე გამომარჩია და საავადმყოფოში მიკრეს თავი, ლუდოვიკოს მეთოდით უნდა გიმკურნალოთო. თანაც პირობა მომცეს, ხაროში აღარ დაგაბრუნებთო და მეც რა შვილი ვიყავი, ხმა ამომეღო'.

დაწვრილებით გამომკითხა იმ ცნაური მკურნალობის ამბავი და ღმერთმანი ძმებო, სულ წვრილად ჩავუკაკლე ყველაფერი, მანდედან არაფერი გამომიტოვებია და ფილმებს რო ვიხსენებდი, კინაღამ ისევ ცუდად გავხდი. ის კიდე ვეღარაფერს ამჩნევდა, ოთახში დაბლაყუნობდა და მამალი გიჟივით თავისთვის ბურტყუნებდა რაღაცას. მერე შევთავაზე, სუფრას აგილაგებთ და ჭურჭელს მაინც დაგირეცხავთ-მეთქი, მაგრამ თითი არ გამანძრევინა – შენ ახლა მოსვენება და სიმშვიდე გჭირდებაო. ერთხანს კი ვიყავით მართლა მშვიდად – ის სამზარეულოში ტრიალებდა და მე კიდე ბუხარს ვუჯექი და რაღაც მშვენიერ უფილტრო სიგარეტს ვაფუილებდი, მაგრამ მალევე მორჩა დიასახლისობას, ისევ მომადგა და მეუბნება: 'შენ იქნებ შესცოდე კიდეც და სასჯელიც დაიმსახურე, მაგრამ ყოველგვარი სასჯელი ჩადენილი ბოროტების საზღაური უნდა იყოს მხოლოდ, შენ კი ათმაგად გაზღვევინეს – პიროვნების მაგივრად რაღაც უნებო არსებად გაქციეს და საკუთარი არჩევანი აღარ გაგაჩნია: შენ ახლა სხვისი გამოწერილი რეცეპტით უნდა იცხოვრო – სიკეთეზე მომართული მექანიკური არსება! თავად შენთვის კი ყოველგვარი ცხოვრებისეული სიამენი ტკივილის გამომწვევი იქნება მუდამ: მუსიკით ტკბობა თუ ქალის სურვილი, ლიტერატურა და ხელოვნება – ყველაფერი ეს მხოლოდ ფიზიკურ ტკივილს გამოიწვევს შენში... ეგენი კი საზოგადოების გაჯანსაღების იდეით ისე არიან შეპყრობილები, ზღვარის შეგრძნება დაკარგული აქვთ – ადამიანს თუ ნებსითი არჩევანის უფლება არ გააჩნია, მას ადამიანიც აღარ ეთქმის.!..'

'ჩვენი კაპელანიც სწორედ მაგას ამბობდა, სერ,' – ჩავურთე როგორც იქნა – 'ზუსტად მაგ სიტყვებით.'

'ჰოო? ან რატომაც არ იტყოდა – მაინც ქრიტიანი მოძღვარია, ასე თუ ისე... ახლა კი აი რა მინდა გითხრა: ხვალ ორ-სამ ჩემს მეგობარს შევატყობინებ, სანდო და საჭირო ხალხია, იმათაც დაწვრილებით მოვუყვები ყველაფერს. ნახავ, არც ჩვენ

ვართ გულხელდაკრეფილები, რაღაცის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია და თუ საზოგადოებრივი აზრი აღარაფერს ნიშნავს ამ ქვეყანაში, მაგასაც ვნახავთ. არა მგონია, ახალგაზრდის ფსიქიკაზე ასეთი ბარბაროსული ცდების ჩატარება დიდ მიღწევად ჩაეთვალოს რომელიც გნებავთ მთავრობას – თუნდაც ამისთანა ავტორიტარულს!'

'როგორც მეტყვით ისე მოვიქცევი,' – ვეუბნები – 'ოღონდ ჩემ გამო უსიამონებას არაფერს გადაეყაროთ'.

ხელი ჩაიქნია და ცოტა ხნის მერე მეუბნება: 'აწი რაღა უნდა მომივიდეს? ოჯახი მე აღარა მყავს და ჯანმრთელობაც არაფრად მივარგა...'

'შეგემთხვათ რამე?..' – ფრთხილად ისე ვეკითხები, სასხვათაშორისოდ, არადა მართლა მაინტერესებს სად გაქრა მისი ცოლი – 'თუ მეუღლემ მიგატოვათ?'

ცოტა ხანს ჩუმად იყო, ვიფიქრე შეკითხვა არ დაევასა-მეთქი, მერე რაღაცნაირად ჩამწყდარი ხმით მეუბნება: 'ჰო, მიმატოვა. შოკში იყო ჩავარდნილი, გაგიჟებას არაფერი უკლდა და... თავი მოიკლა'. ვხედავ, თითები უკანკალებს, სიგარეტს ვერ მოუკიდა ვერაფრით. მე კიდე გავითიშესავით, თვალწინ ის ღამე დამიდგა, მაშინდელი ამბები და უცებ ისევ დამიარა მუცელში, თითქოს ჰაერიც აღარ მყოფნიდა და ეტყობა სახეც მაგრა შემეცვალა, უცებ მოვიდა გონზე, წამომაყენა და მეუბნება: 'კარგი, გვეყოფა ძველის გახსენება, ახლა მომავალზე ვიფიქროთ. დაწექი, დაიძინე და ხვალ უკეთ იქნები'. მერე საწოლი ოთახის კარი რო გაიხურა, გავიგონე – თავისთვის ბუტბუტებდა ისევ: 'საბრალო ბიჭი... ესეც ამ შეშლილი საუკუნის კიდევ ერთი მსხვერპლი. რა განსხვავებაა, ძალადობა ფიზიკური იქნება თუ სულიერი – შედეგი შეძლება ერთნაირი იყოს. ბედზე რომ არ მოხვედრილიყო ჩემთან, ან კარი არ გამეღო, ამასაც იგივე დაემართებოდა ალბათ...'

5.

თიშად მეძინა ძმებო იმ ღამით – გვერდიც არ მომიცვლია და იქნებ ამიტომაც იყო, არც დაბეგვილი სხეულის ტკივილს გავუღვიძებივარ და არც დამსიზმრებია რამე. დილით ჯერ აზრზე ვერ მოვედი სად ვიყავი, მერე გამახსენდა ყველაფერი და ვიფიქრე ერთი უნდა გავიგო როგორმე, ამ ჩემს მასპინძელს რა ქვია – აკი გუშინ ვუთხარი თქვენზე და თქვენ წიგნზეც მსმენია-მეთქი. ამ ოთახში ვერაფერი ვნახე, მერე პატარა დერეფანს გავუყევი, ვითომდა ვერ მოვიმხარე საით წავსულიყავი და ბოლოში კარი დავინახე გამოღებული, იავნად საძინებელი იყო მაგრამ რამდენიმე ცალი წიგნების თაროც დავჩითე და მეთქი თუ ის "ფორთოხალი" ვიპოვე, ავტორის გვარიც ხომ ზედ იქნება, ვარიანტი არაა.

ჩუმად შევიპარე და რას ვხედავ – სწორედ იმ ქალის გადიდებული, მეტრიმეტრზე სურათი შემომცქერის კედლიდან და მიღიმის... ისევ მომაწვა ყელში რაღაც, მაგრამ წიგნების ქექვა დავიწყე სასწრაფოდ და გადამიარა. მალე ვიპოვე, პატარა წიგნი იყო და ავტორის გვარიც ეწერა, რა თქმა უნდა: ელიკსანდერი. ესეც

კიდე ერთი ალეკსი-მეთქი, გავიფიქრე. მერე ალაგ-ალაგ გადავფურცლე მაგრამ ღმერთმანი, თავი და ბოლო ვერ გავუგე რას ბაზრობდა. ერთი ეგ იყო, ძაან პათეტიკურად ამტკიცებდა – დღესდღეობით ხალხი რაღაც მანქანებად უნდათ რომ აქციონ, წესით კიდე უცხო ხილვით უნდა ვიზრდებოდეთ დედამიწაზეო. ამ ჩემის ელიკსანდერს ეტყობა ისე წარმოედგინა ეს ქვეყანა თითქო ჩვენ ყველანი ერთ რაღაც დედა-ხეზე უნდა ვეკიდოთ, მამაზეციერმა რო დარგო საკუთარ ბაღჩაში საკუთარი დილიხორის გასასწორებლად და ჩვენ კი არ გვჭირდებოდა ღმერთი, თავად ღმერთს ვჭირდებოდით რაღაც სამყაროული წყურვილის მოსაკლავად. სულ რაღაც ამისთანას ბოდიალობდა და ღმერთმანი, მგონი მართლა შერეკილია ან ცოლის სიკვდილმა თუ შეარყია-მეთქი ვიფიქრე და სწორედ ამ დროს გავიგონე, ძაანაც აზრიან რამეს იძახდა – ჩამოდი, ვისაუზმოთო. მეც თავპატიჟი არ გამიდვია, რაღა თქმა უნდა.

'ეტყობა კარგად გეძინა,' – მეუბნება და ტოსტერიდან პურის დაბრაწული ნაჭრები ამოყარა – 'ათია უკვე. მე კიდე დილიდან ვსაქმიანობ. ხომ იცი მოხუცების ამბავი – წავთვლემ და ეგაა'.

'ახალ წიგნს წერთ?' – ვეკითხები.

'არაა – ტელეფონს ვუზივარ. ყველგან მივრეკ-მოვრეკე'.

'მეგონა სახლში ტელეფონი არ გედგათ,' – ვუთხარი და წამსვე ენაზე ვიკბინე, ისე შეეცვალა სახე. 'საიდან მოიტანე?' – მეუბნება – 'რამ გაფიქრებინა რომ ტელეფონი არა მაქვს?' – მეკითხება გაშტერებული, თითქო რაღაც ძაან მნიშვნელოვანი რამე მეთქვას. 'ისე, უბრალოდ-მეთქი – ვეუბნები – გუშინ თვალი არსად მომიკრავს. თუმცა ან რისი დანახვის თავი მქონდა – კარგად გონზეც არ ვიყავი მგონი.' – თან კიდე იმას ვფიქრობ, მართლა თუ გაახენდა ის ორი წლის წინანდელი საღამო, მე და ჩემი ბრიაჟკა რო მივადექით კარზე და დაყენებული ხმით ექიმის გამოძახებას ვთხოვდი მის ცოლს, იმან კიდე მითხრა, ტელეფონი არ გვიდგასო...

ცოტა ხანი კიდე მიყურა თვალგაშტერებულმა მაგრამ მერე გამოერკვა, რაღაც საწყალობლად გამიღიმა და სავსე კოვზი შაქარი ბუთქა ჩემს ჭიქაში, მე კიდე დატკბილულს ვერ ვიტან. არაფერი მითქვამს, ცხადია.

'იმას გეუბნებოდი, ჩემს ნაცნობებს ჩამოვურეკე და ბევრიც დაინტერესდა შენი ამბით. ერთიც ვნახოთ, მშვენიერი იარაღი აღმოჩდე ამ მთავრობის საწინააღმდეგოდ! არჩევნები კარზეა მომდგარი და ეგენი კიდე დიდ იმედებს სწორედ ამ ყბადაღებულ *"კრიმინალური ელემენტების საწინააღმდეგო პროგრამაზე"* ამყარებენ, ტრაბახით აიკლეს პრესა. ახლა დროა ისიც ვუთხრათ ხალხს, რა შედეგი მოაქვს მაგ ნაქებ ლუდოვიკოს მეთოდს და მთელ მაგათ პროგრამებს!'

ისევ მომაჩერდა და ვიფიქრე: ვაითუ რაღაცა მაინც იყნოსა ან რაღაცა ახსენდება ჩემსა და იმ ამბავთან კავშირში-მეთქი, მაგრამ მაშინ ყველას ნიღბები

გვეკეთა და რა ხანი იყო გასული მას მერე, ვარიანტი არ იყო რამე ესქესა – რა თქმა უნდა, თვითონ თუ არ დავაბრეხვებდი რამე ისეთს. იმან კიდე ისევ გაუტია თავისი: 'რომ კითხო, მშვენიერი გამოსავალი იპოვეს – კუნთმაგარ იმბეცილებს პოლიციაში იწვევენ, ცოტა სხვანაირ ხალხს კიდე დამცველ ბარიერს ჩაუდგამენ ფსიქიკაში, უნიათო და უნებისყოფო მასად გადააქცევენ და მორჩა, დალაგდა ქვეყანა და თავისით გადაიჭრება ყველა პრობლემა... კი, როგორ არა – მაგალითუ-ბის მეტი რა არი, ოღონდ აქედან მერე ნახევარი ნაბიჯია სრულ ტოტალიტარიზ-მამდე!'

მართლა დარტყმულია-მეთქი, ვფიქრობდი – თვალები შუშებად ექცა და სახე გაუქვავდა. სადღაც ჩემს იქით იყურებოდა და მგონი საერთოდ ვეღარც კი მამჩნევდა. 'ღმერთო შენ უშველე ყველა გიჟსა და დარეხვილს' – გუნებაში წერ-ტილი დავუსვი მის ქაქანს და ფრთხილად შევაპარე – განა მე რა შემიძლია-მეთქი.

'შენ, – მეუბნება, – ცოცხალი საბუთი ხარ და იმის მაგალითი, რას უპირებენ მთელს ერს!' – წამოხტა, ხელების ქნევას მოჰყვა და ხმასაც აუწია: 'აქაც თუ თავისი გაიტანეს, მერე ვინც კი მთავრობას თვალში არ მოუვა, ან საწ-ინააღმდეგოს იტყვის, ყველას შეუძლიათ კრიმინალი დასწამონ, ტვინი გამოურეცხონ, ფსიქიკა დაუბლოკონ და ამას სულ საზოგადოებაზე ზრუნვის ლოზუნგით გაამართლებენ!' მერე ცოტა დაწყნარდა, მაგრამ არ დამჯდარა, ოღონდ თათების ქნევას და ყვირილს მორჩა და მეუბნება: 'წერილი დავწერე ერთი გაზეთისათვის. მალე დაიბეჭდება. შენი ფოტო უნდა დავურთო და მინდა შენი ხელმოწერაც იყოს ზედ'.

'კი ბატონო,' – ვეუბნები, – 'როგორც თქვენ იტყვით. ოღონდ თუ არ მი-წყენთ, ერთი ის მინდა გკითხოთ: თვითონ რა ძალა გადგათ, რაზე გინდათ გადაიკი-დოთ მთელი ეს ვერხუშკა?'

ჯერ გაკვირვებით შემომხედა, თითქო კარგად ვერც გაერკვა რას ვეკითხე-ბოდი, მერე სკამის ზურგს ჩააფრინდა, გადმოიხარა ჩემკენ და რაღაც ძაან გულ-ნატკენი კაცივით დამიწყო: 'იცი რას გეტყვი, მარტო შენი ამბავი არ არი აქ. თავისუფლების სიყვარული ჯიშშივე მოგვდგამს და ამას უნდა გავუფრთხილდეთ. რომელი მებრძოლი მე ვარ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა, თორემ სულ დავიღუპებით. რა, განა ნებით დათანხმდება ვინმე, მის შვილს რომ იგივე გაუკე-თონ, რაც შენ გიქნეს?! ოღონდ მასას სიმშვიდე და მცონარობა ყველაფერს ურჩევნია და თავს წინასწარ არავინ აიტკივებს, ყველაფრის მიმართ აპათიაც სწორედ აქედან იწყება და ამიტომაც დროზე უნდა დაარჭო ნემსი მტკივან ადგი-ლას!' და უცბად ძმებო, ჩანგალს დაავლო ხელი და ისე გლიჯა მაგიდას, ჩარ-ჭობით ვერა მაგრამ ორად კი გადაღუნა.

ამან თუ ბოლომდე ასე გარეკა, ისევ ჩემი გასაჩერებელი არ გახდეს-მეთქი ვიფიქრე, და ვითომ მაგრა დაინტერესებულმა წერილის წაკითხვა ვთხოვე.

'ჰო, მართალი ხარ,' – შუბლზე იტკიცა ხელი ძაან თეატრალურად. –

‘შენი სახელით იქნება და ხომ უნდა იცოდე ხელს რას აწერ...’ – მგონი გახარებულიც კი იყო და ჩემი აზრი მართლა უნდოდა გაეგო. მე წერილს ჩავუჯექი და იმან კიდე მაგიდის ალაგება დაიწყო, ისევ ხელი არ დამაკარებინა არაფერს. მოკლედ ძმებო, ამ წერილიდან ისე გამოდიოდა თითქო ჩემი პირით ვლაპარაკობდი რა უბედურებაც გადამხდა თავს და რა გოლგოთა გამოვიარე და რა დღეში ჩამაგდო ამ ჩვენმა მთავრობამ, სული ამომაძრო და ტვინი მიღრძო და გონებრივად დამახეიბრა, ასეთი აღარც თავისუფლება მინდოდა და აღარც არაფერი. ძაან გრძელი და ძაან ცრემლსადენი რამე იყო, ღმერთმანი. გული ამიჩვილდა.

‘მხეცი ხართ, ბრატ’ – ვეუბნები – ‘მაგრა გიწერიათ. ტემპში ავარდება ხალხი’.

‘რა... რა თქვი?.’

‘არაფერი, ეს ისე...’ – ვეუბნები, – ‘მეგობრებში ვლაპარაკობთ ხოლმე ამგვარად. ჟარგონია, ასე ვთქვათ’.

ის კიდე მომჩერებია და ბუსავით აფახულებს თვალებს. რაღაცამ კი გამკრა გულში, მაგრამ ამ დროს ზარმა დარეკა კარზე და საზოგადო მოღვაწე ბატონ ალეკსანდერსაც სახე გაუნათდა.

‘აჰა, – მეუბნება, – მოვიდნენ როგორც იქნა.’ – და სტუმრების შესახვედრად გაქანდა. მერე ერთად შემოლაგდნენ ყველანი – სამნი იყვნენ და ბ-ნმა ალეკსანდერმაც რიგრიგობით გააცნო ჩემი თავი. ერთი ვინმე დოლინი იყო – პატარა, ჩაპუნტულებული, პირში სულ სიგარეტი ქონდა გაჩრილი და სადაც მოხვდებოდა იქ აფერფლებდა, ან სულაც იატაკზე ეყრებოდა ხოლმე. მეორე – ნაღდი ყევერი, გვარად რუბინშტეინი, მაღალი, სათვალიანი და წვეროსანი, ტელევიზიის დიქტორივით კაი დაყენებული ხმა ქონდა, და მესამე კიდე ვიღაც რამდნიმესახელიანი ჩორნა ტიპი, გადაგლესილი თმით და მაგარი გვარით – დელა სილვა. აქოთებული იყო არ ვიცი ბრიოლინით თუ კიდე რამე ეგეთით. სამივემ ჯერ კარგად დამალივერა და მერე სწორედ ეს დელა სილვა გამოვიდა სიტყვაში, ეგ ვის რას დააცდიდა: ‘მთლად გასაცოდავებულიც არ ეთქმის – სახე კი აქვს ცოტა შეშუპებული, მაგრამ ასე ლოთს უფრო გავს... გრიმი დაგვჭირდება’.

მაგრა არ დამევასა ძმებო, მაგის მურდალაქცენტიანი პიჟონური გამოსვლა და თვთონაც კაი დამპალი ვინმე ჩანდა, ხოდა წყნარად ისე ვეუბნები, ხმადაბლა: ‘არა ბრატ, არ გამოვა ეგ საქმე. კბილებს კი ჩავისვამ, მაგრამ პუდრი, დუხი და ეგეთები ცხოვრებაში არ მიხმარია და მორჩი ახლა ბაზარს’. კინაღამ ისიც დავუმატე, ან თვითონ რაში გჭირდება რო დაზეთილხარ – ისედაც იავნად პედიკს გევხარ-მეთქი, ოღონდ თავი შევიკავე. არადა სულ არ ამომელო ხმა, ის ჯობდა – იმ გასლიკინებულ მურთხს ყურიც არ გაუპარტყუნებია, სამაგიეროდ მასპინძელი გაიყინა ადგილზე და რაღაცა ბუტ-ბუტს მოყვა, მე მარტო ის გავიგონე, უცნაურიაო იძახდა – ეს ხმა და ლაპარაკიც მეცნობა და ნაღდად სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთსო. ეს უკვე მეორედ ჩამორეკა ზარმა და ჭკუით უნდა

ვყოფილიყავი, ასე უაზროდ არ უნდა მეტლიკინა.

მერე ბატონი დოლინი გავიდა საქმეში: 'აქცენტი პიროვნების განადგურების საკითხზე უნდა გადავიტანოთ. დანგრეული ოჯახიც ვახსენოთ და პირადი ტრაგედიაც. გაზეთები იცოცხლე, ერთხმად აიტაცებენ. საზოგადოებრივ აზრს უცბად შევაბამთ ეჟვანს'.

'მომისმინეთ', – ახლა ამას მივუბრუნდი, – 'თქვენი თქვენ იცით, მაგრამ მე რა აქედან? ჯერ იყო და ვირის აბანოში მომაყუჩეს, მერე ისე მომიწყვეს საქმე, ყველაფერზე გული მერევა და ცუდად ვხდები, მშობლებმა საკუთარ სახლში არ მიმიღეს, ბებერი თუ ახალგაზრდა, წიგნის ჭია თუ ბრიყვი პოლიციელი – ყველა მე მიკაკუნებს თავში. ამას თუ მოეღება როდისმე ბოლო?'

რაბინი რუბინშტეინი მხარზე მხვევს ხელს, მკლავზე მეფერება – ნაგიჟრებს რო აწყნარებენ, სწორედ ისე, და ძაან ძაან უმნი სახით მუბნება: 'ჩვენი პარტიისა და თავისუფლების იდეისათვის თავდადებას არავინ დაგივიწყებს. თითსაც ვერავინ დაგაკარებს, ჩვენს გვერდით თუ იქნები და ყველაფერს დაგვიჯერებ. აი ნახავ, ბნელიდან ნათელში გაგიყვანთ'.

ამაზე ისევ გამოვედი წყობიდან და ახლა უკვე ყვირილი მოვრთე: 'ხელების ცაცუნს შეეშვი და ზოგი გიჟი და მართლა ბნელო თქვენკენ მოიკითხეთ! ჯერ ის მითხრას ვინმემ, მე ვინ დამიბრუნებს ჩემ თავს? როდესმე თუ გავხდები ისევ ჯანმრთელი და ვიცხოვრებ ჩემ ჭკუაზე?!'

'ბნელო...' – ისევ გააჩმახა ალეკსანდერმა, ფიქრიანად – 'ბნელო... ეგ მართლა ვიღაცის სახელი იყო – ბნელოს ეძახდნენ, მართლა'.

'ჰა...' – უცბად ვერც გამოვერკვიე და ახლა იმას ვეცი, – 'ბნელო რაღა შუაშია?! ახლა არ მითხრათ, ისიც ჩვენ ბრიაჟკაშიაო!'

ვთქვი და იქვე ვიკბინე ენაზე: ისეთი სახე გაუხდა, ერთი სული მქონდა ზევით ავსულიყავი, ვითომც ტანსაცმლის გამოსაცვლელად და მერე ფანჯრიდან ავთესილიყავი სადმე, სულერთია სად, ოღონდ კი მას აღარ გადავყროდი ისევ.

'მაშ ასე ძმებო,' – ვეუბნები და თან წამოვდექი კიდეც, – 'კარგად მეყოლეთ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ახლა ცოტა სკუთარ თავსაც უნდა მივხედო'. მაგრამ იასნი იყო, ეგრე ადვილად ვეღარ დავუძვრებოდი მაგათ ხელიდან. აქედან ერთი ჩამაფრინდა და იქიდან მეორე და მორთეს ლაყაფი მოქალაქეობრივ სინდისზე და პატიოსნებაზე და საკუთარ ადამიანურ ვალდებულებებზე ჩემს მიმართ და მოკლედ, აქეთ მაგდებდნენ ნამუსზე. მეთქი დავფერთხავ ამათ და მოვუსვამ როგორცა ვარ – ფლოსტებში და ხალათში, ოღონდ გაბრძოლებაზე გაფიქრება და რწყევის გრძნობა ერთი იყო – ეს რაღაც ფსიხოდელიკობა მგონი დღითიდღე მიმატებდა. ჩათრევას ისევ ჩაყოლა

ჯობდა და შიპიტი აღარ დამიწყია, ბოლო-ბოლო ოღონდ ახლა გავცლოდი აქაურობას და ამ ჩემი მასპინძლის გაციებულ მზერას და მეტი ახლა აღარაფერი მინდოდა. ის კიდე გაფუჭებული პატეფონივით იმეორებდა ერთი და იგივეს: 'ბნელო, ბნელო... ვინაა ეგ ბნელო? საიდან მახსოვს?' დაიციკლა ეტყობა, სხვა ვერაფერზე სიტყვა ველარ დააცდევინეს.

ხუთ წუთში მანქანაში ვიჯექით მე და მთელი ეს რაღაც პარტიული კოდლა, მეფორთოხლე მწერლის გამოკლებით და ქალაქისკენ ვუბერავდით. რომელიღაც ახალ უბანში მივედით, ზუსტად ისეთივე მაღლივი შენობები იდგა როგორც ჩემთან, ისეთივე შრომა-შენების სადიდებელი ფრესკებით მოხატული და ლიფტით ავედით რომელიღაც სართულზე, ერთ მოციცქნულ კუთხის ბინაში შემიყვანეს და აწი აქ ივხოვრებო – მახარეს. ისე, არა უშავდა რა – კარგი ფართო ლოგინი იდგა, მაცივარიც გამოტენილი იყო და ქალაქის ცენტრიდანაც არ ვიყავი მაინცდამაინც შორს, თუმცა ეგ ან რაში მარგებდა.

'ახლა ჩვენ საქმეს მივხედავთ,' – ყევერი რუბი მეუბნება – 'შენი კი მოისვენე, დამაშვრალო სულო...'

'როგორა?' – ბოლოში რაღაც ვერ გავერკვიე.

'წაუძინე,' – დოლინი მიმარტავს – 'და ნურაფერზე ნუ იდარდებ. ხვალ გინახულებთ'.

'დაიცათ...' – ამ პიჟონ დელა სილვას ერთხელ რო მოვაკეტინე, მერე ხმა აღარ გაუღია, მაგრამ აშკარად სულ რაღაცა აზრი აწუხებდა – 'ერთი წუთით... იცით ალბათ, ჩვენს ამხანაგს, ჩვენს ძვირფას ალეკსანდერს ამ რამდენიმე წლის წინ მძიმე პირადი ტრაგედია დაატყდა თავს. ე-ე... და თავად შეამჩნევდით, ხანდახან რაღაცას აიკვიატებს ხოლმე... დიახ, და ის მინდოდა მეკითხა, რაღა თქმა უნდა ეს ჩვენს შორის დარჩება და მართლა ხომ არ მიგიძღვით, ასე ვთქვათ, ე-ე... რაიმე წვლილი?..'

დიდი გველაძუა ვინმე იყო ეგ მართლა დამპალი ეგა და თან ჩემი წვლილის გახსენებაზე და თან კიდე იმიტო რო ხელი მექავებოდა ღმერთმანი, უნიტაზში ჩამეყოფინებინა მაგისი გადაგლესილი თავი, ისევ დამიარა მუცელში და სუნთქვა შემეკრა და ისღა წავიბუტბუტე, მე ჩემი უკვე მოვიხადე-მეთქი. იმათაც დიდის ამბით თავები მიქნიეს, სამძიმარზე შემოვლილი ძმაკაცებივით დამემშვიდობენ და რაღაც თავიანთი პოლიტიკური საქმეების საჩარხავად გალაგდნენ.

ლოგინზე მივეგდე, ჭერს მივაშტერდი და იმაზე დავიწყე ფიქრი, მომავალში რა მელოდა. მერე ის გამახსენდა, ბრიყვულად რო ვეცი პირში ბნელოს ხსენებაზე და ახლა თავი წავიჭამე დარდით, მართლა რო გაიხსენოს იმ შერეკილმა ვინ იყო და რა საქმეში გადიოდა ეგ ვინმე ბნელო, ნეტა მერე რას ვაპირებ-მეთქი. მერე ეტყობა დავყვინე – არაფერი მახსოვს. არც ვიცი, როდის გამეღვიძა, კარგა ხანი იქნებოდა გასული: ბნელდებოდა. ოღონდ თავისით კი არ გამღვიძებია ძმებო –

რომ მივეშვით, დილამდე გვერდს არ მოვიცვლიდი მაგრამ უცებ მუსიკა ჩაირთო კედლის იქით. ამ ახალ სახლებში რო იზოლაციაა – ნუ იტყვი, ხოდა ისე ისმოდა თითქო აქვე, ჩემ სამზარეულოში გრიალებდა დინამიკი. თან ძაან რეზკი თემა იყო – ვინმე დანიელი ოტო სკედლიგის მესამე სიმფონიიდან. ჯერ თითქო გამიხარდა კიდეც, ლოგინიდანაც წამოვდექი და იქვე ფეხები მომეკვეთა: ხმას აუწიეს და დამეწყო მაგრამ რა დამეწყო – თითქო გავარვარებული სპიცები გამიყარეს ნაწლავებში. და მე, ვინც სწორედ ამ დასაწყისს ვუსმენდი ხოლმე დილაობით, ხასიათზე მოსასვლელად, ახლა იატაკზე ვგორავდი და კედელზე ვაბრახუნებდი და ვბღაოდი გამორთეთ-მეთქი, მაგრამ მგონი კიდე უფრო მოუმატეს და ვიფიქრე სანამ ჭკუაზე ვარ როგორმე აქედან უნდა გავაღწიო-მეთქი, კარებს ვეცი და ჩაკეტილი აღმოჩნდა გარედან, მარტო სახელური მოვაძრე. მერე მთლად გამობრუებულმა ბავშვივით საბანი გადავიფარე თავზე და თითებით ყურები დავიცე, მაგრამ ტრომბონების ჭყვირილი და თეფშების ხმა მაინც აღწევდა. მერე კიდე უფრო აუწიეს მაღლებს და ეს უკვე იავნად ძალით იყო, ვიღაცას ჩემი გაგიჟება უნდოდა და მეც მართლა გიჟივით ვბოდიალობდი აქეთ-იქით და ხან კედელს ვეხეთქებოდი თავით და ხან სკამს წამოვედებოდი და იატაკზე ვადენდი ბრაგვანს და ვგორაობდი და ვბღაოდი რაღაცას, თვითონ არ ვიცი და კარგს და ტკბილს რას ამოვუშვებდი პირიდან, მერე მაგიდა აკაყირავე, რაღაც ფურცლები მიმოიფანტა ძირს და უცებ მოვედი აზრზე რაც მინდოდა – რისი გაკეთებაც გადავწყვიტე მაშინ, საჯაროში, იმ დამპალ ბილიბოისა და ყლიყვ ბნელო-პოლიციელს რო არ გადავყროდი – ერთ დიდ გრძელ ფურცელზე წითელი ასოებით ეწერა **სიკვდილი** და რა რო მერე **მთავრობას** მოდიოდა – ალბათ პლაკატი თუ იყო, ჩემთვის კიდე ეს იყო სწორედ ნაღდი გამოსავალი მთელი ამ ტანჯვა-წამებიდან და თითქო მართლა ღვთის ნებით იქვე კიდე წიგნი ეგდო და ღია ფანჯარა ეხატა ყდაზე. ღმეთმანი აბა სხვანაირად როგორ უნდა გამეგო – ერთი ნახტომი, წამით სულის შეკვრა, მერე იქნებ წამით კიდე ტკივილის გრძნობა და მორჩა, მერე სულ ძილი და ძილი. კედლის იქით დინამიკები იხეოდა უდარნიკის ხუთმეოთხედიანი ბოისაგან და ფანჯარაც ღია მქონდა უკვე, ვხედავდი ქვევით ტარაკანებივით რო მირბიმორბოდნენ მანქანები, ოღონდ ხალხი კი არ ჩანდა რატომღაც, და ამ დროს თითქო სწორედ ჩემთვის ჩართეს ლამპიონები, როგორც ცირკში ისე, მე კიდე თვალები დავხუჭე და ის ერთი ბოლო ნაბიჯიც გავადგი გარეთ.

6.

აბა რა გითხრათ ძმებო, თვითონაც არ ვიცი როგორ და რანაირად მოხდა – მაგრა რო დავებერტყე მახსოვს, მაგრამ სანამ ტკივილისაგან გავითიშებოდი, ჩემ ზემოთ და გარშემო გაკვირვებული სახეების გროვა დავლანდე და იმის გაფიქრებაც მოვასწარი, ეგენი ყველა ერთი ნაგავია და რა თქმა უნდა ის კონცერტიც ჩაწყობილი ამბავი იყო, და ვინ დამწყევლა ასე რო უტანჯველად სიკვდილიც ვერ მომიხერხებია-მეთქი...

მერე თითქო წლები გავიდა სანამ ისევ მოვიდოდი გონზე და აზრზე მოვი-

დოდი სად ვიყავი ან რა მომივიდა; საავადმყოფოს სუნი მეცა ჯერ – მომწარო, სტერილური სისუფთავის სუნი და კიდე წამლების, მერე თითქო თვეები გავიდა და თვალშიც გამოვიხედე – ყველაფერი გაქათქათებული თეთრი ფერის იყო, ისეთი მკვდარი სტერილური თეთრი ფერის, ატალახებული მიწის დანახვა მოგენატრებოდა. ძაან ნელ-ნელა აღვიქვამდი ყველაფერს გარშემო და ვერც საკუთარ სხეულს ვგრძნობდი ჯერ, ვერც ამ არტახებს თუ რაღაც უბედურებას, თავიდან ფეხებამდე გაკოჭილი კი ვიყავი და შეფუთული, ზევით კიდე გადმობრუნებული შუშა ეკიდა, სისხლით სავსე. ბლანტე წითელი სითხე წვეთ-წვეთად მოდიოდა გამჭვირვალე მილში და სადღაც მარჯვენა ხელში შემდიოდა.

მერე ცოტა მივიხედ-მოვიხედე და რას ვხედავ ძმებო – ლოგინთან ვიღაც წიწკვი ზის და წიგნს კითხულობს. ტანზე კარგად შემოტმასნილი ფორმის ხალათი აცვია, ფეხებს ვერ ვხედავ მაგრამ ზევით ყველაფერი რიგზე აქვს და მინდოდა მეთქვა რას ითხრი თვალებს, მაგას ჯობია აგერ მომიწვე გვერდში-მეთქი, მაგრამ სიტყვების მაგივრად რაღაც *შსთ-ფშსტ* სტვენა ფშვიტინი ამომივიდა და ენით რო მოვისინჯე, ერთადერთი წინა კბილიღა ვიპოვე. ისიც ყანყალებდა. გოგოშკა კიდე წელსქვევით ნაჩქმეტივით შეხტა და მორიგე ექიმის დასაძახებლად გავარდა. ფეხებიც გვარიანი ქონდა, თვალის შევლება მოვასწარი. მერე ისევ გავითიშე და ეტყობა ისევ კარგა ხნით, იმიტო რო თავზე უკვე ის დამპალი სამეული მადგა და რომელიღაცა მგონი დელა სილვა ენაგაუჩერებლად მექაქანებოდა: '...ხალხი შფოთავს, ეხლა ამათ ვერავინ გააჩერებს, წასულია მთავრობის საქმე. შენი ღვაწლი კიდე, ჩემო პატარა მეგობარო, პარტიისა დათავისუფლების იდეის მიმართ, მე ვიტყოდი, განუზომელია!..'

თქვენი დედაც და მამაც და ყველა კეთილები-მეთქი, მინდოდა მეთქვა – რომ მომკვდარიყავი, ხო მთლად უკეთესი და გადასარევი იქნებოდა და მაშინ ყველაფერს კარგად გაზომავდით-მეთქი, მაგრამ პირიდან ისევ ფშვენა-ფშტვენის მეტი არაფერი ამომივიდა. მაშინ ერთმა გაზეთების ამონაჭრები და ფოტოები დამილაგა წინ და რაღა არ იყო იქ, ძმებო – ასფალტზე რო ვგდივარ და მერე ნასილკებით რო მტენიან მანქანაში და წარწერებს კიდე ნუღა იტყვით: **პრიმინალური რეფორმის პირველი მსხვერპლი! მეცნიერები – დეესპოტიზმის სამსახურში!.. მთავრობა – მ კ ვ ლ ე ლ ი !** და რა ვიცი კიდე რა არა. ამ დროს ის ჩემი წიწკვი მედდა დაერჭო და ატეხა ერთი ალიაქოთი – ეს რა ამბავიაო, ექიმმა სულ ორწუთიანი ვიზიტის ნება დაგრთოთო, პაციენტს ახლა სრული სიმშვიდე ესაჭიროება, თქვენ კიდე ამ ფოტოებით სულიერ წონასწორობას აკარგვინებთო და მოკლედ, გაუტია და გაყარა ყველა. არავითარი წონასწორობა მე არ დამრღვევია რა თქმა უნდა, ოღონდ მალე სიზმრებში წავედი და ისე კარგი იყო ძმებო, როგორც ძველ დროს, როცა ჯანმრთელი და საღსალამათი ვიყავი. ჯერ იყო და ვითომ მოპარულ მანქანაში ვიჯექი, სადღაც ტრასაზე მივჯლიგინობდი და ერთ ბებრუხანას ზედ გადავუარე ბორბლებით, მაგრამ არც ცუდად არ გავმხდარვარ და არც არაფერი. მერე ვითომ მრგვალ სცენაზე გამოვედი, ეს ჩემი მედდა გამოვათრიე თმებით, საოპერაციო მაგიდაზე დავაბი, სკალპელით ნაზად დავუჭერი ფორმა და იქვე მივაწექი მთელი ეშხით. მაყურებელს კიდე მაგრა გაუსწორდა, ტაქტში მიკრავდნენ ტაშს და რაღაც შეძახილებით მამხნევებდნენ.

მერე არც ვიცი რამდენი მეძინა, თვალი რო გავახილე, ჩემი დედამამა დამეჩითნენ – სხედან გუგულებივით თავიანთ ძაან ცუდ დღეში ჩავარდნილი შვილის საწოლთან და დედო სლუკუნებს გაუთავებლად. ახლა უკვე ყბა ისეთი გასიებული აღარ მქონდა და ცოტა უკეთესადაც შემეძლო ლაპარაკი, ხოდა ვეკითხები ძაან ისე მწარედ და იაზვურად: 'აჰა, როგორც იქნა მოიცალეთ ერთადერთი შვილის მოსანახულებლად!.'

დედომ იქვე *ბუ-ჰუ-ჰუ-ჰუუ* ამოუშვა და მამაჩემი კიდე რაღაც ისე დარცხვენილივით აბურტყუნდა: 'ჰო შვილო, იცი რა – გაზეთებიდან შევიტყვეთ ყველაფერი... და მგონი ცოტა ჩვენი ბრალიცაა... მაგრამ აწი შეიცვლება ყველაფერი და სახლში დაბრუნდები, ხომ?.'

'მერედა რასა იქმს ჩვენი ოჯახის ის ახალი წევრი, ბიჭი ჯონი? ხომ მაძღრადაა?'

ამაზე დედომ კიდე მოუშვა ონკანი და ახლა ერთი ცხვირსახოცი აღარც ყოფნიდა, მეორეც დააძრო, მამამ კიდე ამოიოხრა და ძაან გულამოსკვნით მეუბნება – პოლიციასთან მოუვიდა რაღაც უსიამოვნება, მგონი წინააღმდეგობაც გაუწია, სამსახურიდან დაითხოვეს და სადღაც პატარა ქალაქში გადაასახლესო.

'მაშ ასე,' – ვეუბნები – 'ყველაფერი თავის კალაპოტში დგება ნელ-ნელა, როგორც ვხედავ... და თქვენც გინდათ გადმოვარდნილი ბარტყი ისევ ბუდეში დააბრუნოთ – ასეა?'

'ჰო შვილო, როგორც შენ იტყვი...'

დედაჩემმა კიდე მეტი რა იცის – ფშლუკუნებს და თავს უკანტურებს მხოლოდ. 'მოვიფიქრებ,' – ვეუბნები დინჯად – 'დრო ითმენს. ცოტას მოვჯობინდები და მოვიფიქრებ. აქედან მაინც არავინ მაგდებს ჯერ'. ამაზე დედომ კიდე ერთი უ-უ-უ ჩაბერა ცხვირსახოცში და ალბათ კიდე ერთ მოთქმა-გოდებასაც მოაყოლებდა, მაგრამ დროზე ჩავაწყვეტინე ხმა. სხვა თუ არაფერი, მომსახურე პერსონალთან იყო უხერხული.

'არ შეიძლება ასე,' – მამაჩემი მეუბნება – 'არ შეიძლება ასე უყვირო საკუთარ მშობელს'.

'თორე თუ მშობა, ძაან-ძაან ვეხვეწე და ძაან კარგ ადგილას ამოვყავი თავი! მოვრჩეთ ახლა, ხომ გითხარით, მოვიფიქრებ-მეთქი. ოღონდ თუ ისევ გამიჭირებთ საქმეს, სულაც გავყოფ იმ ბინას და ცალკე შესასვლელს გავიკეთებ, მომბეზრდა'.

'კარგი შვილო, როგორც შენ იტყვი. ოღონდ კი მალე გნახო ფეხზე დამდგარი...'

წავიდნენ და არავითარი სინდისის ქენჯნა მე არ მიგვრძნია რა თქმა უნდა, უცნაური ის იყო, თითქო რაც უფრო ავფსიხდებოდი, უკეთესად ვგრძნობდი თავს. იყო ამაში რაღაც დასაფიქრებელი.

რამდენიმე დღე ვიწექი კიდე ასე, კაციშვილი არ მაწუხებდა, მერე კი ორი ახალგაზრდა ექიმი მესტუმრა, ძაან დამტკბარი ღიმილებით სახეზე, გვერდში მომისხდნენ ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ და რაღაც დიდი წიგნი გადამიშალეს. ახლა სურათებს გიჩვენებთო, მეუბნებიან, შენ კიდე შენი აზრი მოგვახსენეო. მეთქი მაშაყირებენ, მაგრამ მერე გამახსენდა, იმ ლუდოვიკოს ცენტრშიც რო ასევე დაიწყო ყველაფერი და ვიფიქრე, ამათგან ყოველგვარი გოთვერნობაა მოსალოდნელი – ჯობია ფრთხილად ვიყო, კიდე რამე ხათაბალა არ ავიკიდო-მეთქი.

‘აბა, რას გვეტყვი?’ – ერთი მეუბნება.

‘ჩიტის ბუდეს გავს,’ – ვეუბნები – ‘შიგ კვერცხები აწყვია. მშვენიერი სურათია, მართლა’.

‘და რას უზამდი, შენი ნება რომ იყოს?’

‘სურათს?’ – გაკვირვებული ვეკითხები.

‘არა, მართლა რომ იპოვო თბილი თეთრი კვერცხებით სავსე ბუდე’.

‘აჰა, გასაგებია.’ – ვეუბნები დინჯად – ‘ავიღებდი და სათითაოდ მივალეწავდი კედელზე ან ქვაზე ან რამე ეგეთზე და მერე ვუყურებდი როგორ გაიდღაბნებოდა და ჩამოეწვეთებოდა ძირს’.

‘ძალიან კარგი,’’ – თქვეს ერთ ხმაში და ახლა მეორე სურათი მაჩვენეს – დიდი გაფხორილი ფარშევანგი იყო. ‘ამას კიდე სულ ღერა-ღერა დავაძრობდი კუდს და ბოლო ცალს დავუტოვებდი მარტო და მერე ვნახავდი რა მარაოსაც გაშლიდა... ისე, რომ შეიწვას, არი რამე განსხვავება მაგასა და ვთქვათ, ინდაურს შორის?’

ზრდილობიანად ვიკითხე, არაფერი ისეთი არ მიფიქრია, ამათ კიდე ერთმანეთს გადახედეს და ძაან ღრმააზროვნად დაუქნიეს ერთმანეთს თავები. მერე კიდე გადაფურცლეს, მერე კიდე, მეც რას ვკარგავდი რა – მშვენიერი გასართობი იყო და არც დამიმალავს ან იმ დეკოლტიან ბანოვანს რას ვუზამდი, ან იმ ბერეტიან ტიპს, ღამით სანაპიროზე რო მიცუნცულებდა იმ სახატავი ყუთით ხელში, მგონი მოლბერტი ქვია, და ბოლოს ჩვენი ჩარლი კაპელანის ის ძმაკაცი რო მაჩვენეს, ჯვარს რო მიათრევდა მთაზე, ვეუბნები – მანდ ვიყო და ერთი ჩაქუჩი და კაი გრძელი ლურსმნები მომცა-მეთქი!

ისეთი ნაამები როჟები გაუხდათ, რა მოხდა-მეთქი, ვიკითხე.

‘სიღრმისეული ჰიპნოპედია,’ – თუ რაღაც ამდაგვარი მითხრა მარჯვენამ და დაუმატა: ‘მგონი აწი აღარაფერი გიჭირს’.

‘რასაა რო ბოდიალობ?’ – ვეუბნები – ‘ეშმაკმა იცის რამდენი ხანია ვგდივარ ასე შეფუთული და რაღაც მავთულებზე შეერთებული, კბილებიც კი აღარ შემრჩა მთელი და ახლა მეუბნებით, აღარაფერი გიჭირსო!’

‘ცოტაღა დაგრჩა,’ – ახლა მარცხენა მამშვიდებს – ‘მალე თაბაშირს მოგაძრობენ’.

‘თავსაც თუ არ მიაყოლებენ ზედ, მადლობელი დავრჩები...’ – ვბუზღუნებ ჩემთვის.

‘მაგის შიში ნუ გაქვს, შენი თავი ახლა წონა ოქროდ უღირთ ზოგიერებს’. – თქვეს, ჩაიცინეს და გალაგდნენ. ნეტა მაგით რისი თქმა უნდოდათ-მეთქი, ერთი კი გავიფიქრე მაგრამ სწორედ ამ დროს შუადღის საუზმე მომართვეს და იმ ორი დოხტურის გადაკრულ სიტყვებზე ტვინი აღარ მიჭყლეტია.

ერთ დილასაც გამომიცხადეს, დღეს განსაკუთრებით საპატივცემულო მნახველი მოვა შენთანო და ატყდა ერთი ალიაქოთი, იქაურობა ისედაც კრიალებდა და ახლა მთლად გადააქათქათეს, თავზე ბინტები უკვე მოხსნილი მქონდა და ლიჩნად პარიკმახერიც კი მომიყვანეს ცოტა არ იყოსდა წამოზრდილი თმის შესასწორებლად, მაგიდაზე დიდი ვაზაც გაშანსეს ყვავილებისთვის და რაღაც დეზოდორანტიც შეასხურეს ფარდებს. ღმერთმანი ძმებო, მეთქი პრეზიდენტის ცოლი თუ მობრძანდება ამალით. გიჟი არ იყო – გავიხედე და თავად ყველაიმსაქმეთა მინისტრი არ მესტუმრა, ერთი ათი-თორმეტი ფოტოგრაფი მაინც მოყვა და კიდე სამი თუ ოთხი სხვადასხვა რანგის ფუნქციონერი. ძლივს დაეტიენ პალატაში. თვითონ მინისტერი იმისთანა ჩაცმულდახურული იყო, მანეკენად გამოდგებოდა, ღიმილი კიდე – ნაღდი კბილის პასტის რეკლამა. პირდაპირ ჩემ ლოგინს მოადგა და ატყდა ერთი ჩხაკაჩხუკი და ბლიცების ფეთქვა. თქვენღა მაკლდით-მეთქი, ვეუბნები, ახლა აქაც აღარ მომასვენოთ!

‘ცოტა წესიერად, ‘ – ერთი მეუბნება, ვითომ ჩურჩულით – ‘არ იცი, ვის როგორ ელაპარაკო?’

‘მოკეტე ბრატკა,’ – ვეუბნები – ‘ლოკე შენი შეფის უკანალი და იყავი შენთვის წყნარად’.

‘არაფერია, არაფერი...’ – მინისტერმა აკრიფა ინიციატივა – ‘მეგობრებში მოსულა ეგეთები, ასე არაა, შვილო?’

‘მეგობრებში კი,‘ – ვეუბნები – ‘სადა მყავს მეგობრები? მტრები კიდე რამდენიც გინდა’.

‘მოიცა, არც მთლად მასეა საქმე.’ – თავს აქნევს მინისტერი, მერე ძაან სვეტსკი ჟესტით იწევს პიჯაკის კალთას და გვერდში მიჯდება ლოგინზე. თვალები მოვჭუტე, ბლიცების ისეთი ზალპი გამოუშვეს აქეთ-იქიდან.

‘მტრები მართლაც გყავს, თორემ აქ არ მოხვდებოდი. ჯერ იმის იმედი ქონდათ, დაიღუპებოდი და შენს სიკვდილში მთავრობას დაადანაშაულებდნენ, ეს რომ არ გაუვიდათ, ახლა ერთმა თავი მოიგიჟიანა და ამტკიცებს, თითქოს შენ გერიოს ხელი მის ოჯახურ უბედურებაში... გაიძახის – ჩემი ხელით დავღრჩობო. საბრალო იქნებ მართლა ვერ არის ჭკუაზე, მაგას გაარკვევნ, აი სხვებს კი სასჯელი არ აცდებათ’.

‘გმადლობთ,’ – ვეუბნები – ‘ძაან დამავალებთ. იმ კაცს ეტყობა სწორედ მაგათ ჩააგონეს ეგეთი რამე, თორემ თვითონ ძაან მეგობრულად მეპყრობოდა თავიდან’.

მინისტერიც თავს მიქნევს და ცალი თვალი გაზეტჩიკებისაკენ გაურბის: ‘ძალიან კარგი, ბოღმას რომ არ იდებ გულში – სწორედაც გამოჯანმრთელების ნიშანია. კარგი მოპყრობა კი აქ არ გაკლია და მეგობრებიც რომ ბევრი გყავს, ამასაც მალე ნახავ – გამოხვალ აქედან და არავითარი პრობლემა შენ არ გექნება, ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ. ოღონდ მეგობრობის დავიწყება, მტრობისაგან განსხვავებით, არაფრით არ შეიძლება... შევთანხმდით?’

‘ნამდვილად,’ – ვეუბნები – ‘ჩემი იმედი გქონდეთ, სერ!’

მინისტრიც მაგრად მართმევს ხელს და არი ისევ ერთი ბლიცობანა და ჩხაკაჩხუკი და რაღაც დიდი ფირმა ყუთი შემოქვთ, ხსნიან და მანამ ამოიღებდნენ უკვე ვიცი რაც არი, ვიღაცა ბაბოჩკიანი ტიპი კიდე დასტა-დასტა დისკებს მაჩვენებს და მეკითხება: ‘რა დავდოთ – მოცარტი? ბეთჰოვენი? შონბერგი? კარლ ორფი?’

‘მეცხრე,’ – ვეუბნები – ‘დიადი მეცხრე...’

და ძმებო, დაგლჯა გეუბნებით – რა ხმა იყო, რა მაღლებს იღებდა, არავითარი ფონი და წკაპწკუპი! თვალები მივნაბე და გავიტრუნე – საუკუნეები გავიდა თითქოს რაც ასე არ გამსწორებია და მინისტრმაც დახურა – ხმა არ გაუღია, ჩუმად გალალა ხალხი და მარტო ერთი ვიღაცა იყო, ხელი მომიწერე აქ და აქო მთხოვა და ტემპში მოვუწერე, არც დამიხედავს რა ქაღალდები შემომაჩეჩა და არც მენაღვლებოდა. მერე კარიც გაიხურა და დავრჩი ჩემთვის.

მართლა სხვანაირი გრძნობა იყო ძმებო – დიდი ხნის მწყურვალი მთელ ტოლჩას რო მოიყუდებ ისეთი და მერე, სკერცო რო დაიწყო, უკვე თითქო სადღაც მივქროდი სივრცეში და მთელ აკივლებულ სამყაროს სახეს ვუსერავდი ჩემი ბრიტვით, და ის ნელი ადგილიც კიდე წინ იყო და ბოლოს ის მშვენიერი გუნდიც ხომ იქნებოდა ფინალში...

ღმერთმანი უკვე ძაან ძაან ჯანმრთელი ვიყავი. ნამდვილად.

დასასრული

სიმართლე ითქვას, ამ რუბრიკისათვის მასალების შერჩევისას მეტად შეჭირვებულ მდგომარეობაში ჩავიგდეთ თავი: სხვადასხვა არმაღან-ანთოლოგიათა სიმრავლის



პოეზია

ეზრა პაუნდი – *'ეპიტაფიები'*

氣

მიუხედავად, მაინც ჭირს XX საუკ. პოეზიის ორიგინალთა შესატყვისი და იმავ-დროულად, თუნდაც რამდენადმე სისტემატიზირებული სახით მიწოდება მკ-ითხველისათვის – იმ ყოვლად ბანალური მიზეზის გამო, რომ მეტისმეტად ცოტა გვაქვს მართლაც რამ ღირებული. მით უმეტეს ჭირს ისეთი ახალი თარგმანების მოძიება, რომელიც დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას, და სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ ***ეზრა პაუნდის*** ზ. გამსახურდიასეული თარგმანები 1971წ. გამო-ცემული წიგნიდან – "ამერიკელი პოეტები". რატომღაც, ამ სამი ლექსისთვის ჩვენს გარდა არავის არასოდეს მიუქცევია რაიმე ყურადღება – ოღონდ ჩვენ თუ გვკითხავთ, მისი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მემკვიდრეობიდან სწორედ ეს თუ დარჩება ქართველ მკითხველს...

ეპიტაფიები

ფუ ი

ფუ ი-ს უყვარდა ცა ღრუბლიანი და გორაკები,
საუბედუროდ, ალკოჰოლმა იმსხვერპლა იგი.

ლი პო[*]

ლი პოც ნასვამი დაიღუპა –
მთვარეს ჩაეხვია
ყვითელ მდინარეში.

ო შუ

სო-შუს ესიზმრა,
რომ ხან პეპელა იყო, ხან ფუტკარი და ხანაც ჩიტი –
ვერ კი გაეგო, რატომ უნდა ეგრძნო თავი სხვაგვარად და არა ისე,
როგორც ეს სამი გრძნობს თავს.

აქედან – მისი თვითკმაყოფილება.

[*] იგივე ლი-ბო; ტანის ეპოქის (VII საუკ.) სახელგანთქმული ჩინელი პოეტი. გადმოცემით, ცნო-ბილი მემთვრალე იყო და უ-შუს ერთ-ერთი სტილის — *ნასვამი კაცის* სკოლის — შემომღები.

საჯილდაო ქვად...

Valeri Chkadua:

HOW *NOT* TO BE AN ALIEN
(Helter-Skelter Mythstories of Georgia)



Lighter side of local History
Helter-Skelter Mythstory of Georgia
(As recounted by Vano [1], local winemaker and recorded by Daniel Arra[2]
I

The greater the country, the smaller its citizens are.
Confucius

Georgia is a small country.
Vano

Once upon a time Georgians were drinking wine, saying toasts and generally having a good pastime. They were celebrating the greatest invention they had ever made: They had just discovered how to press grapes and make wine.[3] Suddenly, they caught sight of an angel hovering over them and as is the custom of Georgian regale, readily invited him to join the celebration. The angel politely declined, explaining that he never drank before 6 p.m., and added: 'Gentlemen, let me introduce myself – I'm your Guardian Angel. It's a good thing you've got here and There Is Truth in Wine, as wise men say. But you've got an urgent matter to look after: God is distributing land among nations and you must dash for it to get a nice piece with good climate and beautiful view. So, come along, do it right now!'

Georgians, reluctant to stop the feast so abruptly, drank a few more toasts to the health of their toast-master, the Guardian Angel and God Almighty – thus creating the tradition of concluding all Georgian drinking bouts.[4]

When they came to God's real estate office, they saw that God was not

---

[1] The person in question, most probably, is Vano Nunuashvili, 69, resident of Kakheti. Kakhetians are famous for their strong wine and notorious for their strong language (Editor's note).

[2] Daniel Arra, special correspondent of Hustler's Bazaar, was supposed to be posted in New Georgia, West Pacific Islands but due to some quirky bureaucratic error, found himself in good old Georgia, South Caucasus. Hence, his slight disorientation. On the other hand, this Daniel Arra business could be a hoax of some nutty scribbler. Who cares, anyway! (Ed.).

[3] Georgian legends as well as some Georgian historians insist that wine-making was practiced in Georgia long before ancient Greeks started to produce it. Perhaps, much-talked-about "Golden Fleece" was nothing but some wine-making technology that Jason & his gang stole from the Kolchis, as Western Georgia was called at that time (Ed.).

[4] Georgian potation is a well-organized event. It provides a special toast-master, whose toasts can be subdivided into three categories: obligatory, optional and personal. The latter is the most attractive part of reflection – all participants of get-together are being toasted one by one. Each member of the Supra pronounces the same apologetic toast with his own improvisation. Having in mind popular psychological "Theory of Petting", you can easily imagine what dose of "pettings" an average Georgian gets at one go. So hell with all your psychotherapists! (Ed.)

in a mood to humor them: 'Where the hell have you been? I've given away all available land. Reliable sources informed me you've been drinking instead of attending to business! I hate such disrespect. Your effrontery astounds me! Cursed is the ground for thy sake, in sorrow shelt thou eat your bread all the days of thy life... No, wait, I think I'm repeating Myself.[5] Forget it, and just get lost!'

Georgians, taken aback by God's harsh words, realized they had to think fast to save their skins and their souls. They decided telling near truth was the best policy, so they dared to answer back: 'No disrespect, dear Lord! On the contrary – we've been drinking to Your health. That's what kept us. Ask the angel, he can confirm our words, – he was there. Surely, he won't lie to You...'

'Generally he doesn't', said God, eyeing the angel suspiciously.

The angel, whose duty was to cover up for the people in his custody, willingly verified their words. God was pleased though He didn't show it outwardly. He pondered a little, hesitated a bit, and then said: 'well, this fact speaks well of you and utterly changes the situation. What shall I do for you, my children? Upon my word, no free lots are left... Let me see... Well, I still have a small piece of land hidden under counter. In fact, I was keeping it for myself... Actually, to have a place to relax when I decided to spend my brief holidays on the earth. Since your love for me left you empty-handed, I'm giving you this lot. Take it, but beware, it's a savory piece and many will try to have a bite. Here is the address – easy to find: It's smack in the middle of the globe, at East-West-North-South crossroad. Remember, Love (mind the capital letter) beats hatred in the long run, but still, watch your neighbors, will you?[6] And please, don't overdo with those toasts of yours... OK, go now and let Me be with you!'

Georgians, happy with the lucky outcome amounting to a veritable Act of God, exclaimed: 'Oh, Lord, please don't deprive Yourself of Your holiday place. You're welcome to stay in Georgia – by the way, how do you like the name?[7]– any time You wish. We'll be lucky to have You with us'.

God smiled benevolently and said: 'So be it! I appoint St. George your patron saint – it'll be most befitting, I guess'.[8] With these words he nodded and gave them

---

[5] Clearly, God is quoting a fragment from his curse heaved upon Adam (Ed.).

[6] Evidently, God foresaw frequent attacks of Persia and Turkey on Georgia and Russia's customary betrayal of her southern ally.

[7] Historians argue the name "Georgia" is of Greek origin and it reads as "the land of farmers" in English (Ed.).

[8] Indeed, St.George is Georgia's patron saint and local population believes their country was called after him.

a farewell sign. Georgians were filled with joy because they had gained God-picked place for their dwelling and received the guarantees of close encounters of the third kind with God.[9] At the same time they got convinced in God's good taste - the land He had chosen had a little of everything: snow-covered mountains, emerald-green hills, fertile valleys, diamond-clean rivers, unpolluted beaches and what not. Georgians settled down and went on nursing vine because as Confucius say - *you want to drink wine, you grow vine.*[10]

Unfortunately, they forgot some of God's parting words: they overdid with their toasts and didn't watch their neighbors closely. Instead they eyeballed their neighbors' wives.[11] Anyway, Georgians lived happily as well as unhappily ever after. In fact, they lived rather dangerously, but the mythadventures of Georgians on that land is yet another story.

As for this tale, it has a simple moral: God visits Georgia now and again but, mind you, when in Georgia, He is strictly on leave.[12]

(To be continued)

NB: 100 GEL will be awarded to any adequate translation of the sketch !!!

---

[9] I don't believe this allusion to Stephen Spielberg's movie is quite appropriate here (Ed.).
[10] Confucius didn't say that. I've checked it scrupulously (Ed.)
[11] Presumably, Vano has the 1st paragraph of the Tenth Commandment in mind (Ed.)
[12] I'd hate to comment on that maxim (Ed.).

შემდეგ ნომერში:

პატრიკ ზიუსკინდის მართლაცდა შედევრი — *“ნელსურნელება”*...

იუკიო მიშიმას ტრაგიკული ოპუსი — *“პატრიოტიზმი”*

პოლ ჯონსონის სკანდალური ნარკვევი — *“ჟან-ჟაკ რუსო: შერეკილი, მაგრამ — საინტერესოდ...”*

მოულოდნელი კუთხით: **გიიომ აპოლინერი, ალან ე. მილნი, უილიამ ფოლკნერი**... დეტექტივის ჟანრში!

ჯონ ბ. პრისტლის ფანტასმაგორია — *“31 ივნისი...”*

სალმან რუშდი — *“სატანური სურები”*

“მასონური სიტყვის კონა” — მცირე ლექსიკონი

საჩვენო ზღაპრები — *“გუბერნატორი კომბლე”*, *“ნაცარქექია ინტერნეტში...”*

და სხვა მრავალი...